გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული

№5

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი 2015

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო
შრომათა კრებულის სარედაქციო საბჭო

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე
პროფ. **გიორგი მათიაშვილი**

სარედაქციო საბჭოს შემადგენლობა:

პროფ. რევაზ ბალანჩივაძე – მთავარი რედაქტორი
პროფ გელა ალადაშვილი
პროფ. ჩერეკ ბუსტრა /ნიდერლანდების სამეფო/
პროფ. ინგა დიაკონიძე
პროფ. ვალერი ვაშაკიძე
პროფ. დიკ ვეინანდს /ნიდერლანდების სამეფო/
პროფ. მარინა ვეკუა
პროფ. ამირან თავართქილაძე – პასუხისმგებელი მდივანი
პროფ. სერგეი იაკუბოვსკი /ოდესა/
პროფ. გივი ლობჟანიძე
პროფ. ამიდ ნიზჰად /აშშ/
პროფ. რაინჰარდ პაულინგი
პროფ. თალიკო ჟვანია
პროფ. ჟილ რუე /საფრანგეთი/
პროფ. ჩარლზ მორგან სტრომე /აშშ/
პროფ. მაია უკლება
პროფ. შენგელი ფიცხელაური
პროფ. ლალი ჩაგელიშვილი
პროფ. ბარბარა ჰაინესი /აშშ/

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული რეფერირდება ტექინფორმის ქართულ რეფერატულ ჟურნალში (ქრჟ).

ქრჟ ელექტრონული ფორმით გამოდის ქართულ და ინგლისურ ენებზე და განთავსებულია ინტერნეტში ტექინფორმის ინსტიტუტის საიტზე www.tech.caucasus.net

© გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი, 2015

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2015

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 222 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-568-0

SCIENTIFIC PROCEEDINGS OF GURAM TAVARTKILADZE TEACHING UNIVERSITY

VOLUME

№5

Publishing House **"UNIVERSAL"**

Tbilisi 2014

Scientific Proceeding of Guram Tavartkiladze
Teaching University

Heard of the Editorial Boards – **Giorgi Matiashvili**

Editorial Board:

Prof. Revaz Balanchivadze – Chief Editor
Prof. Amiran Tavartkiladze – Secretary Editor
Prof. Gela Aladashvili -
Prof. Tjerk Busstra – /Netherlands/
Prof. Lali Chagelishvili
Prof. Inga Diakonidze
Prof. Barbara Hines /USA/
Prof. Nezhad Hameed USA/
Prof. Sergei Yakubovskyi /Ukraine/
Prof. Givi Lobjanidze
Prof. Reinhard Pauling
Prof. Shengeli Pitskelauri
Prof. Gilles Rouet /France/
Prof. Charlz Morgan Stromme /USA/
Prof. Maia Ukleba
Prof. Valeri Vashakidze
Prof. Marina Vekua
Prof. Taliko Zhvania
Prof. Dik Weijnands /Netherlands/

Collection of scientific works of Guram Tavartkiladze Teaching University is reviewed in Georgian reviewed journal of Techinform (GRJ).

Electronic version of GRJ is issued in Georgian and English Languages and is set on the following site: www.tech.caucasus.net

ISBN 978-9941-22-568-0

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, როგორც მრავალდარგობრივი ჟურნალი, აერთიანებს ეკონომიკურ, სოციალურ, ჰუმანიტარულ და სამართლის მეცნიერებებს. ამ ჟურნალთან თანამშრომლობა, გარდა ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორებისა, შეუძლიათ სხვა უნივერსიტეტების პროფესორებსაც, მათ შორის, უცხოელ ავტორებსაც.

ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს ზემოაღნიშნულ დარგებში, უპირველეს ყოვლისა, უმაღლეს სასწალებლებში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებლების მეცნიერული კვლევა-ძიების შემდგომ განვითარებას, ორიგინალური კონცეფციებისა და ინოვაციების წარმოჩენას, ამ დარგების წინსვლაში ჩვენს მონაწილეობას, სამეცნიერო საქმიანობაში ახალგაზრდა სპეციალისტების ჩართვას, მათი სამეცნიერო პოტენციალის ამაღლებას.

კრებულის სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან ქართველი და უცხოელი მეცნიერები, ზემოაღნიშნული დარგების კვალიფიციური სპეციალისტები. უცხოელ მეცნიერთა მონაწილეობა სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაში აამაღლებს კრებულის ავტორიტეტს, საშუალებას მოგვცემს გავაფართოოთ აკადემიური კონტაქტები და ხელს შეუწყობს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა მოზიდვას კრებულში სათანამშრომლოდ. თავის მხრივ, ეს შესაძლებელს გახდის იმას, რომ მათი სამეცნიერო პროდუქცია, ორიგინალური კონცეფციები და კვლევები გავაცნოთ ქართულ სამეცნიერო ინტელიგენციას, დავგეგმოთ ერთობლივი პროექტები.

საერთაშორისო კონტაქტების გაფართოების მიზნით სასურველად მივიჩნიეთ და კრებულში სათანადო ადგილი დავუთმეთ საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევის შედეგებს, მათ მიერ შემოთავაზებული დასკვნებისა და რეკომენდაციების გაშუქებას.

Scientific Proceedings of Guram Tavartkiladze Teaching University are a multi branch journal covers economic, social and humanitarian and law sciences. Professors of other HEI as well as foreign authors can cooperate with our scientific journal.

The purpose of the journal is to foster scientific research development in different scientific fields mentioned above, support the introduction of the innovations, our participation in the development of these fields. It will also support the involvement of the young specialists, raise their scientific potential.

The editorial board of the journal consists of well-known Georgian and foreign scientists, highly qualified specialists. Participation of the foreign authors will support the exchange scientific product between Georgian and foreign scientists that will make it possible to carry out joint scientific projects.

In order to enhance international cooperation, the journal presents and reviews the conclusions and recommendations, the research results carried out by the international organizations acting in Georgia.

შ ი ნ ა ა რ ს ი

სამართლის მეცნიერებები

გივი ლობჟანიძე – საერთაშორისო ტერორიზმი და „კამიკაძის“ ფენომენი 9
სერგო ჭელიძე, ნუგზარ თევდორაძე – მითვისება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით 13
შენგელი ფიცხელაური – კრიმინალისტიკური კვლევის სპეციალური მეთოდები 17
თამარ ალფაიძე – ჰუმანური სამართალი, სამართლის ჰუმანური პრინციპები 23
თეა სუხიტაშვილი, დავით სუხიტაშვილი – ზოგიერთი საკითხი სადაზღვევო პასუხისმგებლობის შესახებ 32

ეკონომიკური მეცნიერებები

ბესიკ ალადაშვილი – საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება შიდა და გარე გამოწვევების ფონზე 41
გელა ალადაშვილი - ინოვაციური განვითარების ორიენტირი, როგორც საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლების შესაძლებლობა 46
ამირან /სიმონ/ თავართქილაძე - საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებისათვის საკრედიტო რესურსის ხელმისაწვდომობის პრობლემები საქართველოში 50
თალიკო ჟვანია, ანა კობიაშვილი – ელექტრონული სწავლება, როგორც თანამედროვე სამართლებრივი ტრენდი 57
ლალი ჩაგელიშვილი – ინოვაციის კომერციალიზაციის თავისებურებანი 62
დავით კბილაძე – სიღარიბის შეფასების ზოგიერთი სტატისტიკური ასპექტი 66
დავით ვეკუა - საქართველოს მაკროეკონომიკური პრობლემები და მისი რეგულირების თავისებურებები 71
ლია თოთლაძე – წინმსწრები კომპოზიტური ინდექსის გაანგარიშების თავისებურებები 76
მამუკა თორია – შრომის ბაზრის ფორმირების დემოგრაფიული საფუძვლები საქართველოში 81
მანანა მარიდაშვილი – ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ცხოვრების ხარისხის მაჩვენებლები ევროკავშირის ქვეყნებისა და საქართველოს მაგალითზე 86
მანანა მარიდაშვილი – ფარმაცევტული ბიზნესის მარკეტინგული კვლევის მეთოდოლოგია 93
ნათელა ლაცაბიძე – შრომის ბაზრის ფორმირების თავისებურებები საქართველოში 100
ლაშა ტაბატაძე – საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის განვითარების ტენდენციები 107
ნიკო კვარაცხელია – საექსკურსიო მენეჯმენტის პრობლემები საქართველოში 111
სოფიკო თევდორაძე – მარკეტინგი ტურისტული საწარმოს საქმიანობაში 117
ზურაბ ლაოშვილი – საქართველოში გის-ის მიმდინარე პრობლემები 119
თამარ აგლაძე – მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღების ძირითადი ასპექტები 123
Paul Sankess – Fears of a new global crash as debts and dollar’s value rise 128

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები

მარინე ვეკუა, დალი ჩიკვილაძე, ლაურა კუტუბიძე – საქართველოს მედიაგანათლებისა და მედიაბაზრის შესაბამისობის ასპექტები 131
მაია კალანდარიშვილი, ირმა შომახია – განნყობის მახასიათებელთა და მათი პიროვნებისეული ასპექტების კორელაციური ანალიზი 149
ზურაბ მანაგაძე - ალ. ყაზბეგის „ელისოს“ ეკრანული ტრანსფორმაცია 155
ნონა ახალაშვილი, ლიკა შენგელია – სტუდენტთა პრიორიტეტული პიროვნული ღირებულებები 159
თამარ ფანცულაია – ბიზნესის ეთიკური პრობლემები კორპორაციები და ზნეობრიობა 165
ნანა გოგიჩაშვილი – კრიტიკული აზროვნება, როგორც პედაგოგიური პრობლემა 173
რეზო ბალანჩივაძე - „გვაქვს უთვალავი ფერითა“ /მხატვარ ილია პატაშურის შემოქმედების ჰერმენევტიკულა ანალიზი 178
ავთანდილ ჩაჩავა - საკულტო სანახაობები /„ბერიკაობა“ და „ყეენობა“/ როგორც კულტურული ღირებულებანი და გონითი ფენომენი 184
ანა კლდიაშვილი – აზიელი ქალი ნობელიანტები მშვიდობის განმტკიცების დარგში 190
მაყვალა (ბაია) კოღუაშვილი – მედეა - უფრო მეტი, ვიდრე მითი 196
რამაზ ლომინაძე – აშშ-ს კავკასიური პოლიტიკა და ზემოქმედების ახალი ბერკეტები 202
Inga Diakonidze – Principal Aspects of Preparation for International English Language Exams 206

CONTENTS

SCIENCES OF LAW

GIvi Lobzhanidze – Internacional Terrorizm and „Kamikadze“ Phenomenon 9
Sergo Chelidze, Nugzar Tevdoradze – Misappropriation through Misuse of Job Position 13
Shengeli Pitskhelauri – Special Methods of Criminalistics Research 17
Tamar Alpaidze – Human Laws, Human Principles of Law 23
Tea Suchitashvili, David Suchitashvili – Some Issues of InsuranceResponsibilities 32

SCIENCE OF ECONOMICS

Besik Aladashvili – Economic Safety of Georgia on the Background of Inner and Outer Challenges 41
Gela Aladashvili – Benchmark for Innovative Development, as the Possibility to Improve Competitiveness of Georgia 46
Amiran Tavartkiladze – Problems ofAccess to Credit Resources for development of Small and Medium Business in Georgia 50
Taliko Zhvania, Ana Kobiashvili – E-Learning as the Modern Educational Trend 57
Lali Chagelishvili – Features of Commercialization of Innivation 62
David Kbiladze – Some Statistical Aspects of Poverty Evaluation 66
David Vekua – Macroeconomic Problems in Georgia and Peculiarities of its Regulations 71
Lia Totladze – The Features of Calculating The Leading Composite Index 76
Mamuka Toria – Demographic Foundations of Labor Market Formation in Georgia 81
Manana Maridashvili – Health-related Life Quality Indicators Based on the Eexamples of European Union 86
Manana Maridashvili – Marketing Research Methodology of Pharmaceutical Business 93
Natela Latsabidze – Peculiarities of Labour Market Formation in Georgia 100
Lasha Tabatadze – Development Tendencies of Higher Educational Service Market in Georgia 107
Niko Kvaratskhelia – Excursion Management Problems in Georgia 111
Sopiko Tevdoradze – Marketing in Functioning of Tourism Enterprise 117
Zurab Laoshvili – Current Problems of GIS in Georgia 119
Tamar Agladze – The World Economics Krisis and Mains Aspects of Georgian Economy Recovery 123
Paul Sankess – Fears of a new global crash as debts and dollar’s value rise 128

HUMANITY AND SOCIAL SCIENCES

Marine Vekua, **Dali Chikviladze**, **Laura Kutubidze** – The Aspects of Matching of Georgian Media Education and Media Market 131
Maia Kalandarishvili, Irma Shomakhia – Correlational analysis of mood characteristics and their personal aspects 149
Zurab Managadze – Screen transformation of „Eliso’’ by Al. Kazbegi 155
Nona Akhalashvili, Lika Shengelia – Students' Personal Values Priority 159
Tamar Pantsulaia – Ethical Problems of Business Corporations and Morality 165
Nana Gogichashvili – Critical Thinking as a Pedagogical Problem 173
Rezo Balanchivadze – The Hermeneutical Analysis of Artist Ilia Patashuri 178
Avtandil Chachava – Cultic Performances /„berikaoba“ and „Keenoba“/ as Cultural Values 184
Ana Kldiashvili – Nobel Peace Prize Awarded Asian Ladies 190
Makvala (Baia) Koguashvili – Medea – more than myth 196
Ramaz Lominadze – The US New Caucasian Policy and the Levers of Impact 202
Inga Diakonidze – Principal Aspects of Preparation for International English Language Exams 206

სამართლის მეცნიერებები

გივი ლობჟანიძე

საერთაშორისო ტერორიზმი და „კამიკაძის“ ფენომენი

თუ უკანასკნელი წლების მანძილზე ისრაელის ტერიტორიაზე განხორციელდა 180-ზე მეტი ტერორისტული აქტი, რომლის დროსაც 300-მდე ადამიანი დაიღუპა და 1000-მდე დაშავდა. შემდგომ მსგავსი აქციები განხორციელდა ევროპისა და აზიის არაერთ ქვეყანაში. ტერორისტთა უმრავლესობა იყვნენ ე.წ. კამიკაძეები, რომლებმაც თვითმკვლელობით დაამთავრეს სიცოცხლე უამრავ უდანაშაულო ადამიანთან ერთად. მაინც ვინ არის ეს ხალხი, რა ამოძრავებთ და რა არის მათი საბოლოო მიზანი?

„კამიკაძის“ ფენომენი აღმოსავლურია, ტერმინი გაცილებით ძველია და მისი გამოყენება სამხედრო დასაბრძოლო ლექსიკონში გაჩნდა XIII საუკუნის ბოლოს, კერძოდ 1274 და 1281 წელს იაპონიის დაპყრობა ორჯერ სცადა მონღოლეთის ძლევამოსილმა იმპერიამ. მონღოლთა ფლოტი იაპონიის ნაპირებს უახლოვდებოდა, სწორედ ამ დროს მათ თავს ტაიფუნი დაატყდათ, რის შედეგადაც ფლოტი განადგურდა. იაპონელებმა ეს ხსნა ღმერთს დაუკავშირეს და ამ ტაიფუნს სხელად „კამიკაძე“ შეურჩიეს.[1]

თვითმკვლელი ადამიანებიც პირველად იაპონიაში გაჩნდნენ, მათ სპეციალურ სკოლებში ზრდიდნენ, სადაც მიმდინარეობდა ფსიქოლოგიური ზემოქმედება და არწმუნებდნენ ამქვეყნიური თავგანწირვით იმქვეყნიურ მარადისობაში დამკვიდრებას. „იაპონიაში კამიკაძეთა რაზმების ჩამოყალიბება, რასაკვირველია, შემთხვევითი არ ყოფილა. თავის წარმოშობას ისინი ბურიდოს მორალურ-ეთიკურ სისტემას უკავშირებენ. კამიკაძეების წვრთანს საფუძვლად დაედო იაპონიისა და იმპერატორისთვის თავის გასაწირავად მზადყოფნის იდეა, თუ საშუალება იყო რაზმებში კამიკაძეებს სამურაების აუცილებელი ატრიბუტი – ხმალიც კი ქონდათ. მეომრები თავზე იჭერდნენ თეთრ სახვევს – ჰატიმაკის, ზუსტად ისეთს, როგორსაც ბრძოლის წინ სამურაები ატარებდნენ ხოლმე“. „მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა იაპონია მარცხდებოდა, სარდლობამ კამიკაძე დაარქვა თავგანწირულ ახალგაზრდებს, რომელთა დახმარებითაც აპირებდნენ ომის მსვლელობის შემობრუნებას. თავდაპირველად ისინი ამერიკულ თვითმფრინავებზე მონადირე მფრინავები იყვნენ. შემდეგ გაჩნდნენ „ადამიანი-ტანკები“ და ა.შ.

კამიკაძეთა რაზმების დამაარსებლად და მათ იდეურ სულის ჩამდგმელად ითვლება ადმირალი ტაკიჯირო ონისი[2]. კამიკაძე იაპონურად „ღმერთების ქარს ნიშნავს“, ანუ სასიკვდილოდ გამიზნულ, მფრინავს, რომლებსაც იაპონიის შეიარაღებულ ძალებში II მსოფლიო ომის დროს იყენებდნენ. კამიკაძე ერთჯერადი მოქმედების თვითმფრინავით ებრძოდა მოწინააღმდეგის ხომალდებს. 1945 წელს იაპონიის შეიარაღებულ ძალებში უკვე იყო 5 ათასამდე ერთჯერადი მოქმედების თვითმფრინავი. ამ თვითმფრინავებს ქონდათ პატარა რადიაქტიული ძრავა და მოქმედების შეზუდული რადიუსი. თვითმფრინავის წინა ნაწილში მოთავსებული იყო 1 ტონამდე ფეთქებადი ნივთიერების მუხტი. კამიკაძის მიერ პილოტირებული თვითმფრინავ შეეჯახებოდა მიზანს და ფეთქდებოდა. ამ გზით წყნარ ოკეანეში საომარი მოქმედების დროს დაიღუპა 2500-მდე კამიკაძე.[3] „ კამიკაძის“ ფენომენი გამოიყენა მეორე მსოფლიო ომის დროს ადოლფ ჰიტლერის სამხედრო მანქანამ. ისინი, გარდა ფსიქოლოგიური ზეწოლისა , მომავალ „კამიკაძეებზე“ სპეციალური სამედიცინო საშუალებებითაც მოქმედებდმენ და ფაქტიურად ომის ბოლო წლებში ფაშისტებმა შექმნეს „ადამიანი რობოტი“, რომელიც სხვისი მითითებით მოქმედებდა, თუმცა მათი გამოყენება მასიურად ვერ მოახერხეს.

„კამიკაძე“ დღეს უკვე, როგორც წესი, თვითმკვლელ ისლამისტებთან ასოცირდება და იაპონელებთან მხოლოდ წარსულიღა აკავშირებს. სინამდვილეში, თვითმკვლელ ისლამისტებს შაჰიდები ეწოდებათ, თუმცა ხშირად მათ კამიკაძეებად მოიხსენიებენ ხოლმე.

„შაჰიდი“ სიტყვასიტყვით „დადასტურებას“ ნიშნავს . ისლამში ის გამოიყენება, როგორც სასამართლოს მოწმის, ისე მორწმუნეთა მიმართ, რომლებიც მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში მოწამეობრივ სიკვდილს ეზიარნენ.

ე.ი. კამიკაძე ჯიჰადმა ჩაანაცვლა ისლამისტური ტერორიზმი გააქტიურდა, რომელიც კაცობრიობის საფრთხეს წარმოადგენს. ისლამისტური ტერორიზმი-ოპონენტებთან ანგარიშსწორების ძალადობრი-

[1] by lvcivsblog/February 12.2011

[2] ვ.პრონიკოვი, ი.ლადანოვი „იაპონია და იაპონელები“ თბ., 1991წ., გვ.139

[3] იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.5, 1980წ., გვ. 350

ვი ტაქტიკაა, რომელიც იდეოლოგიურ საფუძვლებსა და გამართლებას მუსლიმანურ სარწმუნოებრივ სასწვლებლებში პოულობს. სწორედ ისლამისტური ტერორიზმის ერთ-ერთი მიმართულებაა თვითმკვლელი ტერორისტების მომზადება.

თავისთავად თვითმკვლელი ტერორისტი უსაზღვროდ საშიში და საშინელი იარაღია, თუმცა, როგორც ამბობენ „თვითმკვლელი მხოლოდ ტყვიაა და მთავარია ის, ვინც ამ ტყვიას უშვებს...“

„ახალ კამიკაძეთა“ ტერორისტული აქტები მასიურად 1993 წლიდან ისევ ისრაელში დაიწყო. 90 შემთხვევიდან 60-ზე მეტი თვითმკვლელი კამიკაძის მიერ იყო ჩადენილი და უამრავი ებრაელი მოქალაქის. სამხედრო პირისა და სახელმწიფო მოხელის სიცოცხლის ხელყოფით მამთავრდა. ამ ხნის განმავლობაში „კამიკაძეთა“ რიგებში მისვლა სხვადასხვა მოტივებით ხდებოდა. ერთი მაგალითი, პალესტინელი მოქალაქე რამზიე 19 წლის უმუშევარია. იგი სიღატაკესა და დამცირებაში გაიზარდა, მშობლები და ახლობლები ისრაელთან ომმა „ინციფადმა“ შეიწირა, რამზი კამიკაძე ამის შემდეგ გახდა. სპეციალისტები მას ამ გზაზე დადგომის მიზეზად ორ ძირითად მომენტს გამოყოფენ: პირველი, შურისძიების მოტივი, მეორე, ეკონომიკური სიდუხჭირე, რამზი „კამიკაძემ“ ამ გზით გადაწყვიტა საკუთარი ოჯახის ღირსება აღედგინა, თავგანწირვით ეკონომკურად დახმარებოდა ახლობლებს. თვითონ კი სურდა ვაჟკაცობა დაემტკიცებინა სხვებისათვის, ისლამის წმინდა მორწმუნე გამხდარიყო, რადგანაც ძემოაღნიშნულ მოტივაციატა მიხედვით „ჯიჰადის“ ინსტრუქტორებისათვის რამზიზე გავლენა შედარებით იოლი იყო, ე.ი. ტერორისტული ორგანიზაციები ფლობენ ხერხებს და მეთოდებს „კამიკაძეთა“ არჩევის პროცესში. რამზიმ ათეულობით ისრაელი მოქალაქე იმსხვერპლა, ეს მაგალიტი ბევრი რამით ჰგავს სხვა „კამიკაძეთა“ ფსიქომდგომარეობას. თუმცა ბოლო პერიოდის „თვითმკვლელები“ თვისობრივად აშკარად განსხვავდებიან რამზისგან. ოსამა ბინ ლადენის ირგვლივ შემოკრებილი ტეროტისტები უფრო „ფანატიზმით“ შეპყრობილი ხალხია. ბევრ მათგანს ეკონომიკურად არ უჭირდა, პირიქით,. ზოგიერთს საკმაოდ ძლიერი პოზიციები გააჩნდა, გარდა ამისა, ისინი ინტელექტუალურად ცხოვრებას ნაზიარები ხალხია, კარგად ფლობენ უცხო ენებს, საკმაო თეორიული და პრაქტიკული მომზადება გააჩნიათ უახლეს ტექნიკასთან მიმართებაში. ეს ხალხი დარწმუნებულია, რომ წმინდა საქმეს აკეთებენ, იმქვეყნად კი ელოდებათ განსაკუთრებულ პატივში ყოფნა (72 ქალწულის გარემოცვა).[1]

სწორედ ისინი არიან მიზეზი იმისა, რომ დღევანდელი ისრაელის მოქალაქე (და არა მარტო ისრაელის) მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრობს. დილით სამსახურში თუ სკოლაში წასულმა არ იცის, საღამოს დაბრუნდება თუ არა. ავტობუსში, მატარებელში თუ სხვა ტრანსპორტში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, შიშით შესცქერიან ლაბადამოცულ და „საეჭვოჩანთიან“ მოქალაქეებს. დაძაბულად მუშაობენ საფოსტო განყოფილებები წერილებისა და ამანათების მიღება დახარისხების დროს. ხალხს გამოუმუშავდა „ეჭვის მეექვსე“ გრძნობა, რაც კარგახანს არ მოასვენებთ მათ.

სპეციალისტები თვლიან, რომ ყველაფრის მიზეზი რელიგიაა, მაგრამ ისრაელის სამინისტროს ერთ ერთი მაღალჩინოსნის განცხადებით, ყურანი კრძალავს თვითმკვლელობას, ამიტომ მათი საქციელის ამ მიზეზით ახსნა არ იქნება მართებული.[2] ამერიკაში მომხდარმა ტერორისტულმა აქტებმა ბევრი რამ ახლებურად წარმოაჩინა. ეს ჯგუფები საკმაოდ ორგანიზებული, ფინანსური უზრუნველყოფით, მაღალ პროფესიულ დონეზე მომზადებული საერთაშორისო ტერორისტული ოგანიზაციების ნაწილი არიან. ეს აქტები შორს არის „მარტოხელა თვითმკვლელთა“ მოქმედებისაგან, ისინი საკმაოდ კარგად ცხოვრობენ იგივე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. სპეციალისტებმა ჯერ-ჯერობით ყველა კითხვას ვერ გასცეს პასუხი, რა ამოძრავებდა საბოლოოდ თითოეულ მათგანს. თუმცა თვითმკვლელთა შერჩევა და წვრთნა ზოგიერთ კითხვაზე იძლევა პასუხს.

შაჰიდების კანდიდატების გადაბირებას ტერორისტული ორგანიზაციები მთელი მსოფლიოს მასშტაბით ცდილობენ. პირველ ეტაპზე „ალ-ქაიდას“(ან სხვა ნებისმიარი ტერორისტული დაჯგუფების) წევრები ან მათი აგენტები ცდილობენ თავიანთი იდეებით კანდიდატებში გააღვიძონ ემოციები, ჩამოაყალიბონ ჯგუფები, რომლებიც ისლამისტური ფუნდამენტალიზმით არიან დაინტერესებულები, აუხსნან ჯიჰადის კონცეფცია მორწმუნე ახალგაზრდებს და ასე შემდეგ.

ერთი მხრივ, ისინი მუდმივად აკეთებენ აქცენტს ოსმალეთის იმპერიის რღვევის შემდეგ მსოფლიოში ისლამის როლის შესუსტებაზე, მეორე მხრივ საუბრობენ სიცოცხლის გაწირვაზე ისლამის ძველი დიდების აღდგენისთვის. პირველ ეტაპზე თვითმკვლელობის იდეის შთაგონება ადამიანების ემოციურ-რელიგიურ გრძნობებზე თამაშით იწყება.

წყაროები მიუთითებენ, რომ ამ საქმიანობით იყვნენ დაკავებულები აბუ კატადა აბუ ჰამზა-ალ-მასრი ლონდონში, სალაჰ ავლადი და მუჰამედ ჰეიდერ ზამარი გერმანიაში, სულეიმან-ალ ალვანი საუდის არაბეთში და ასე შემდეგ. ეს სულიერი ლიდერები ასევე იყნებდნენ კულტურულ ცენტრებს, უნივერსიტეტებს. ზეწოლის შედეგად, მათი გავლენა მხოლოდ უფრო იზრდებოდა... თავის რიგებში „ალ-ქაიდა“ იღებს არა მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებმაც მომზადება ავღანეთის საწვრთნელ ბანაკებში გაიარეს. თუმცა ორგანიაციაში ყველაზე ღირსეულებად სწორედ ისინი მიიჩნევიან. შერჩევისას უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი თვითმკვლელობის სურვილია. ამდენად, „ალ-ქაიდას“ ბანაკში მიღებამდე კანდიდატებს სერიო-

[1] იხ. ჟურნალი AVIATION Secrity 2001 წ. გვ. 21-25.

[2] იქვე, 24

ზულ დაკითხვას უწყობენ. კერძოდ, აუცილებლად ისმება ასეთი კითხვები: რა მიზეზით მივიდნენ ისინი ბანაკში? რა გაუგიათ მის შესახებ? განსაკუთრებით რა იზიდავთ? რას საქმიანობდნენ ბანაკში მისვლამდე? აქვთ თუ არა რაიმე განსაკუთრებული შესაძლებლობები და უნარები? სწორედ ასეთი მეთოდით გამოავლინეს ჰანი ჰანჯურა, პილოტი, რომელიც 2001 წელს თვითმფრინავით პენტაგონს შეასკდა. ავღანეთში ჩასვლამდე მას უკვე შეეძლო თვითმფრინავის მართვა, რის გამოც 11 სექტემბრის ტერაქტის მომზადებაზე მომუშავე ჯგუფში მეოთხე პილოტად ჩაირიცხა სულ ბოლო მომენტში.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ გადაბირებისას ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი კანდიდატების შერჩევა, რომლებიც წარსულში „ალ-ქაიდასთან“ კავშირში შემჩნეულები არ ყოფილან, რათა არ მოხდეს გამოვლენა მისიის შესრულებამდე. მაგრამ მთავარი კითხვა მაინც ის არის, აქვს თუ არა კანდიდატს თვითმკვლელობის სურვილი? სწორედ ასეთ სურვილს აქცევდა უმთავრეს ყურადღებას ჰალიდ მოჰამედი ახალი ხალხის ძებნისას. სინამდვილეში, შაჰიდების კანდიდატთა ძიების პროცესი სულაც არ არის დაკავშირებული მათ ოპერატიულ შესაძლებლობებსა თუ წვრთნების დროს მიღწეულ წარმატებაზე. ყველაფერი დამოკიდებულია უნარზე, შაჰიდმა თავი მოიკლას და გადამწყვეტ მომენტში უკან არ დაიხიოს. საამისოდ ხდება ინტენსიური ფსიქოლოგიური მუშაობა და სუიციდის „დადებით შედეგებზე“ აპელირება.

ჰამიდ მუჰამედის („ალ-ქაიდას“ ტერაქტების მთავარი ორგანიზატორი დაპატიმებამდე) განკარგულების თანახმად, კანდიდატის მომზადება მოიცავდა ფსიქოლოგიურ ტესტებს მათ უნარზე, შეეწინააღმდეგონ ზეწოლას და ასევე, ერთგულების განმსაზღვრელ ტესტებს.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების საგამოძიებო კომისიამ დაადგინა, რომ ბინ ლადენი პირადად მონაწილეობდა კანდიდატების მომზადების პროცესში, რომლებმაც ეს საშინელი აქტები განახორციელეს. გარდა ამისა მსოფლიოს ყოფილი ნომერ პირველი ტერორისტი ხშირად სტუმრობდა შაჰიდების მოსამზადებელ ბანაკებს, სადაც ინსტრუქტორებს ორგანიზაციის მსოფმხედველობის საფუძვლებს უხსნიდა და შეეძლო, ლექცია ნებისმიერი კითხვის გამო შეეჩერებნა, რომელიც კანდიდატს გაუჩნდებოდა...

მას შემდეგ რაც კანდიდატი საბოლოო თანხმობას აცხადებს თვითმკვლელობაზე, დებს ფიცს ისე, რომ არც კი იცის, როგორი მისიის შესრულება მოუწევს და როდის. ფიცის დადების შემდეგ, კანდიდატს ვიდეოჩანაწერის მომზადება ევალება, რომელშიც მან ალაჰისათვის თავის განირვის მზადყოფნაზე უნდა ისაუბროს.

11 სექტემბრის ტერაქტში მონაწილე ტერორისტების უმრავლესობას ასეთი ჩანაწერები მომზადებული ჰქონდა...

იმისთვის რათა თვითმკვლელი რწმენაში უფრო გაძლიერდეს, ხდება შაჰიდიზმის, როგორც ეროვნული გმირობის წარმოჩენა.

ტერაქტის განხორციელებისთვის მოტივაციის ზრდა 4 ეტაპად ხორციელდება:

კრიზისის გაანალიზება, რომელსაც ისლამი განიცდის:

საკუთარი თავის გაიგივება სამყაროს ტანჯულ ნაწილთან;

სუიციდის იდეის თვითშთაგონება;

ჩვეულებრივი ცხოვრებისგან იზოლაცია, რომელიც „ალ-ქაიდას“ წარმომადგენლის მეთვალყურეობის ქვეშ ხორციელდება.[1]

ჩვენთვის ცნობილია ზოგიერთი სხვა დეტალიც კერძოდ ისინი ტერორისტულ აქტამდე გადიან განწმენდის პროცესს, რომელსაც ასრულებს შეიხი, იგი მათი მოძღვარია და ამასთან ერთად, ამზადებს და რწმენას მატებს მათ გადაწყვეტილებას. ცოლიანი მანამდე ეყრება მეუღლეს, რათა მათი წესების თანახმად, ქალს მეორედ მიეცეს გათხოვების საშუალება. ჩანთაში, რომელშიც ასაფეთქებელი ნივთიერებაა, ყურანიც უდევთ. ბოლო პერიოდში მათი ამოცნობა ჭირს-- თუ მანამდე ისინი გამოირჩეოდნენ ჩაცმულობით და სხვა ნიშნებით, ამჟამად სხვებისგან იოლად ვერ გამოარჩევ, იცვამენ ელეგანტურად, არ ატარებენ წვერს. ხელში შესამჩნევი ჩანთის ნაცვლად, „დიპლომატები“ უჭირავთ. კიდევ ერთი ტენდენციის შესახებ. მანამდე „კამიკაძეთა“ შორის თითქოს არ იყო სუსტი სქესის წასრმომადგენელი, ბოლო პერიოდში გაჩნდა „ქალი კამიკაძე“, რომელთაც კარგად იყენებენ, როგორც ასაფეთქებელ ნივთიერებათა გადამტანებს. ან კიდევ შენიღბვის საშუალებად და ა.შ.[2]

ბოლო პერიოდში ასევე შეიცვალა მათი ასაკობრივი და ოჯახური სტსტუსი. რამდენიმე ხნის წინათ35 წლის პალესტინელმა, 5 შვილის მამამ, რომელიც მძღოლად მუშაობადა, ავტობუსის დაჯახებით სიცოცხლეს გამოასალმა ათობით ისრაელის მოქალაქე. 55 წლის არაბმა სახელმწიფო მოხელემ განახორციელა ტერაქტი და საკუთარ თავთან ერთად, სიცოცხლეს გამოასალმა რამდენიმე ადამიანი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისრაელში პირველი „კამიკაძეები“ 1993 წელს გამოჩნდნენ. მათ ამზადებდა უცნობი „ინჟინერი“, რომელიც 1996 წელს ისრაელის სპეც. სამსახურის მუშაკებმა ამხილეს და ერთ-ერთი ოპერაციის დროს თავისივე დამზადებულ მოწყობილობაზე ააფეთქეს, ეს იყო ვინმე იეჰი აიები, რომელიც ისლამური ჯიჰადის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო. დომინირებდა მოსაზრება, რომ „კამიკაძეთა“ უმრავლესობა ალკოჰოლიკი ან ნარკომანი იყო. საგანგებოდ ჩატარებულმა ანალიზებმა და თითოეუ-

[1] http://2. dainteresdit..ge/sakithkavi/115-rogor-amxadebn-tvitmkvlel-teroristebs-da-rodis-gachndnen-pirveli-kamikaszeebi.html?tmpl=component&print…

[2] 2002 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში თელავივში თავი აიფეთქა, სტუდენტმა ქალმა კამიკაძემ, რასაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა

ლი მათგანის შესწავლამ სპეციალისტები მიიყვანა იმ დასკვნემდე, რომ ეს ასე არ არის, მათი უმრავლესობა არც ალკოჰოლიკია და არც ნაკომანი.

ტერორიზმის საკითხზე მომუშავე მკვლევარი, ჯესიკა შტერნი, მიიჩნევს, რომ თვითმკვლელი ტერორისტები გადადიან ტრანსში ან ჰიპნოზურ მდგომარეობაში, რომლის დახმარებითაც ისინი თავიანთი ლიდერის ბრძანებას ასრულებენ.

-არავინ დავობს იმაზე, რომ ტერორისტისა და მისი გადამბირებლის აზრები და შეგრძნებები ერთმანეთს ემთხვევა. თვითმკვლელები თავს ისე გრძნობენ, თითქოს ალაჰი მათთან არის და ამით „ძალიან კარგ ადამიანებად“ იქცევიან,- მიიჩნევს ჯესიკა შტერნი.

მისივე თქმით, სწრაფვა ტრანსცენდენტურობისაკენ (გრძნობა იმისა, რომ სიცოცხლე ბევრად მეტია, ვიდრე ფიზიკური სხეულის შესაძლებლობები), თვითმკვლელ ტეროისტებს ასაჩუქრებს იმით, რომ ისინი იღებენ ისეთსავე სიამოვნებას, როგორსაც ჩვენ, მაგალითად, სიყვარულისაგან, სილამაზისაგან ან ლოცვისგან ვიღებთ.

სხვები ამ მდგომარეობას ახასიათებენ, როგორც ლოგიკური კავშირების რღვევას და მხოლოდ ემოციურ მიზნებზე დაყრდნობას.

ნებისმიერ შემთხვევაში, ყველა ფსიქოლოგი თანხმდება, რომ, როცა თვითმკვლელი ტერორისტი შეტევისათვის ემზადება, ის ძალიან კომფორტულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმოყოფება...

11 სექტემბრის, მოვლენათა ანალიზმა ძლიან ბევრ კითხვას მაგრამ ბევრი რამ გასარკვევია და ამას გარკვეული დრო დასჭირდება. ასეთია „კამიკაძეთა“ შესახებ ზოგიერთი ინფორმაცია.

და ბოლოს, როდესაც დასკვნები კეთდება არა მარტო ამ მათი გზით ჩადენილ ტერაქტების რაოდენობაზე, არამედ საშიშ და საგანგაშო მდგომარეობად მიგვაჩნია მათ შორის არასრულწლოვანთა მიერ თვითმკვლელობის „თავგანწირვის“ შემთხვევები და განსაკუთრებით ხაზგასასმელია არასრულწლოვან გოგონათა მიერ ჩადენილი ტერაქტებისა და თვითმკვლელობის ზრდის ტენდენცია.

გამოყენებული ლიტერატურა

გ. ლობჟანიძე, საერთაშორისო ტრანსნაციონალური დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა, ქუთ., 2002წ.;

ვ. პრონიკოვი, ი.ლადანოვი „იაპონია და იაპონელები“ თბ., 1991წ.;

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.5, 1980წ.;

ჟურნალი AVIATION Secrity 2001წ.;

by lvcivsblog/February 12.2011;

http://2. dainteresdit..ge/sakithkavi/115-rogor-amxadebn-tvitmkvlel-teroristebs-da-rodis-gachndnen-pirveli-kamikaszeebi.html?tmpl=component&print…

გივი ლობჟანიძე

საერთაშორისო ტერორიზმი და „კამიკაძის“ ფენომენი

რეზიუმე

ავტორმა სამეცნიერო სტატიაში გააშუქა საერთაშორისო ტერორიზმის თანმხლები პრობლემები, ცალკე განიხილა ე.წ. „კამიკაძის“ ინსტიტუტის საშიში ხასიათი, მისი განვითარების ისტორია, მოგვცა მისი სამართლებრივი დახასიათება და განვითარების ტენდენციები.

Givi Lobhjanidze

INTERNATIONAL TERRORISM AND „KAMIKADZE“ PHENOMENON

Summary

The author presented us the corresponding problems of the international terrorism. He separately discussed the dangerous character of „kamikadze“ institution, the history of its formation and development, showed us its legal reference and tendencies of development.

სერგო ჭელიძე
ნუგზარ თევდორაძე

მითვისება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით

საქართველოს სს კოდექსის 182-ე მუხლში კანონმდებელი გამოყოფს მხოლოდ სპეციალურ ამსრულებელს, ე.ი. პირს, რომელსაც მართლზომიერ მფლობელობაში გადაეცა ნივთი. მისი პასუხისმგებლობის საკითხი დგება მაშინ, როდესაც მფლობელი არღვევს ამ პირობას და იწყებს ნივთის მისაკუთრებას. სპეციალური ამსრულებლის ეს თავისებურება შეიძლება გამოვლინდეს როგორც კერძო პირთა ურთიერთობაში, ასევე სამსახურებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებულ ურთიერთობაშიც.[1] 182-ე მუხლის პირველი ნაწილი ზოგადი ნორმაა, რომელიც ამსრულებელთა ყოველგვარ ნაირსახეობას მოიცავს.

სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტი ითვალისწინებს ქმედებას, რომელიც ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ამ ნიშნით ხდება ამსრულებელთა წრის შეზღუდვა.

იურიდიულ ლიტერატურაში „სამსახურებრივი მდგომარეობის“ ცნება ხშირად ზუსტად არ ესმით, რაც წარმოშობს არაერთ სადავო საკითხს. ამის გარდა, ანალოგიურ მდგომარეობას ადგილი აქვს სასამართლო პრაქტიკაშიც, რაც ასევე იწვევს საწინააღმდეგო კვალიფიკაციას. ძირითადად იკვეთება ორი მიმართულება: ერთ-ერთმა მიმართულებამ გამოთქვა მოსაზრება, რომელის საფუძველზე განისაზღვრება „სამსახურებრივი მდგომარეობის“ ვიწრო გაგება, კერძოდ, ამსრულებლად თვლიან ნებისმიერი დაწესებულების ხელმძღვანელს. ცნების ფართო გაგების მომხრეები კი სამსახურებრივი მდგომარეობის განმარტებას უკავშირებენ ნებისმიერ სამსახურებრივ საქმიანობას. ეს ორი მიმართულება თავს იჩენს როგორც თეორიაში, ასევე სასამართლო პრაქტიკაში.

უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ სამსახურებრივი მდგომარეობის ცნების ვიწრო გაგების მომხრეთა არგუმენტები.

ს.ელისეევის აზრით, მაკვალიფიცირებელი ნიშანი ვრცელდება მარტო იმ თანამდებობის პირებზე, რომლებიც ახორციელებენ განმკარგულებელ ფუნქციებს.

ბ.ვოლჟენკინი, ზ.ნეზმანოვა და ა.ჩუბროვი ამსრულებლად თვლიან ნებისმიერ თანამდებობის პირს, რომელიც ასრულებს მმართველობით ფუნქციას.[2]

ო.ბელოკუროვი თვლის, რომ სასამართლო პრაქტიკა სწორი მიმართულებით მიდის, მაგრამ იმისათვის, რომ არ დამახინჯდეს ნიშნის – „სამსახურეობრივი მდგომარეობის“ გამოყენება, აუცილებელია მისი დაზუსტება იმ ნორმებში, სადაც ის მითითებულია, როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოება. მისი აზრით, საზოგადოებრივი საშიშროების საფრთხის ხარისხი არსებითად იზრდება დანაშაულის ჩადენისას იმ პირთა მიერ, რომლებიც იყენებენ თავის სახელისუფლებლო ან მმართველობით ფუნქციებს. ამიტომ, 160-ე მუხლის მე-3 ნაწილში მაკვალიფიცირებელი ნიშანი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც „თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება სახელისუფლებლო თუ სამმართველო ფუნქციების შემსრულებელი პირის მიერ”.

აღნიშნული ნაწილის ან სსკ-ის განსაკუთრებული ნაწილის შენიშვნაში, სადაც პირველად იქნება დასახელებული ეს ნიშანი, ავტორის აზრით, შესაძლებელია მისი შემდეგნაირი ახსნა: ამ მუხლისა და ამ კოდექსის სხვა მუხლებში სახელისუფლებო ფუნქციების შემსრულებლად მიიჩნევა სამართალდამცავი თუ მაკონტროლებელი ორგანოს თანამდებობის პირი, აგრეთვე სხვა თანამდებობის პირი, რომელსაც კანონით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს გამრიგებლობითი უფლებამოსილებები იმ პირთა მიმართ, ვინც არ იმყოფება მის სამსახურებრივ დამოკიდებულებაში. მმართველობითი ფუნქციის შემსრულებლად ამ მუხლსა და ამ კოდექსის სხვა მუხლებში მიიჩნევა პირი, რომელიც მუდმივად, დროებით ან სპეციალური უფლებამოსილებით ასრულებს საორგანიზაციო-საგანმკარგულებლო ან ადმინისტრაციულ-სამეურნეო ვალდებულებებს ორგანიზაციაში საკუთრების ფორმის მიუხედავად.[3] ანალოგიური პოზიცია უკავია ს.კოჩოის, რომელიც თვლის, რომ კვალიფიცირებული მითვისების (გაფლანგვის) ამსრულებლად ითვლება პირი, რომელსაც საწარმოში, დაწესებულებასა თუ ორგანიზაციაში გარკვეული თანამდებობა, სამსახურებრივი მდგომარეობა უკავია.[4] ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას იზიარებს ზოგიერთი ქართველი მეცნიერიც.

---

[1] იხ. Элисеев С.С., Преступления против собственности по законодательству Росии (вопроси теории), Томск. Изд-тво, Том. Уи-та, 1999, С. 172-173.

[2] იხ. Комментарий к Уголовному Кодексу Российской Федерации. Ростов-на-дону, 1996, С. 375; Уголовное право, Особенная часть, С. 224; Научно-практический комментарий к Уголовному Кодексу Российской Федераций, В2-х т. Т.I.Н. Н. Номос, 1996, С. 422.

[3] იხ. Белокуров О.В., Проблемы квалификации хищения вверенного имущества, Ульяновск, 2003, http://allpravo.ru/library/doc101p0/instrum3374/item3381.html.

[4] იხ. Кочои С.М., Ответственность за користные преступления против собственности, М., 2000, С. 196.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაში მითვისების ან გაფლანგვის ჩადენა შეუძლია როგორც სახელმწიფო მოხელეს, ასევე კერძო სექტორში ხელმძღვანელობის უფლებით აღჭურვილ პირებს, რომელთაც სხვისი ნივთი გადაცემული აქვთ ოპერატიული მართველობისათვის (მაგალითად, საწარმოს ხელმძღვანელი, მთავარი ბუღალტერი, მთავარი ინჟინერი, სასწავლო დაწესებულების რექტორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ა.შ.). აღნიშნული მიმართულების მომხრეთა პოზიცია მიუღებელია შემდეგი გარემოებების გამო: უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსი არ იძლევა სამსახურებრივი მდგომარეობის ცნების ვიწრო განსაზღვრის საშუალებას. მთელ რიგ ნორმებში (313-ე მუხლის 1 ნაწილი, 320-ე მუხლის 1 ნაწილი, 142[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტი, 143[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტი და ა.შ.) კანონმდებელი მიუთითებს „სამსახურებრივი მდგომარეობის“ გამოყენებაზე. 332-ე მუხლის მე-2 ნაწილში, 333-ე მუხლის მუხლის მე-2 ნაწილში, 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტში ამსრულებლად გამოყოფილია სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირი, 316-ე მუხლის მე-2 ნაწილში გამოყოფილია სპეციალური ამსრულებელი სამხედრო ხელმძღვანელი. ანალოგიურად, 335-ე მუხლის პირველ ნაწილში სპეციალური ამსრულებელია მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი.

ასეთი დაყოფა შემთხვევითი არაა, რადგან აღნიშნული მუხლიბისაგან განსხვავებით, „სამსახურებრივი მდგომარეობა“ 182-ე მუხლში უკავშირდება ორგანიზაციაში მომუშავე პირისათვის მინდობილ ქონებასთან დაკავშირებულ უფლებამოსილებას. მნიშვნელობა არ აქვს, პირს უკავია თანამდებობა თუ არა. ამიტომ, ჩვენ ვემხრობით იმ მეცნიერთა აზრს, რომლებიც განიხილავენ „სამსახურებრივი მდგომარეობის“ ცნებას მართლზომიერი მფლობელობის ან განკარგვის კუთხით.

გასაგებია, რომ ქმედების ამსრულებლად შეიძლება იყოს როგორც თანამდებობის პირი, ასევე სხვა მოსამსახურეც (სახელწიფო, კომერციული თუ სხვა ორგანიზაციის), რომელმაც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენა ნივთის მისათვისებლად.[1]

“სამსახურებრივი საქმიანობა გულისხმობს არა მარტო თანამდებობის პირს, არამედ რიგითი მუშაკების საქმიანობასაც, რომლებიც ახორციელებენ მათთვის მინდობილ ქონებასთან დაკავშირებულ უფლებამოსილებას”.[2] მოკლედ, აქ იგულისხმება როგორც თანამდებობის, ისე არათანამდებობის პირები.

სამსახურებრივი მდგომარეობის შესახებ სასამართლო პრაქტიკაშიც არ არსებობს ერთიანი აზრი. როგორც აღნიშნავს ვ.პლოხოვა, საქმის ერთ მასალებში საგამომძიებლო ორგანოებმა საზოგადოებრივი ტუალეტის კონტროლიორის მოქმედებებში, რომელმაც აიღო ფული სავაჭროდან, დაინახეს მითვისება და გაფლანგვა, რაც ჩაიდინა პირმა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. მეორე შემთხვევაში საბილეთო სალაროების მოლარის ქმედების კვალიფიკაცია დაუკავშირა სამსახურებრივ მდგომარეობას. მესამე შემთხვევაში სააქციო საზოგადოების კომერციული დირექტორს ქმედება დააკვალიფიცირეს მაკვალიფიცირებელი ნიშნის გარეშე.[3]

საინტერესოა მაგალითი, რომელიც მოჰყავს ო.ბელოკუროვს. ასე, ქ.მოსკოვის ჩერემუშკინის რაიონის სასამართლომ 1999 წლის 9 ივლისს გაასამართლა გ რფ-ის სსკ-ის 160-ე მუხლის მე-3 ნაწილით (მისთვის მინდობილი სხვისი ქონების მითვისება და გაფლანგვა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით).

დანაშაული ჩადენილი იქნა შემდეგ გარემოებებში: გ მუშაობდა სააქციო საზოგადოების „მოსმრეწმშენის“ მექანიზაციის სამმართველოში „КАМАЗ АБС“ მარკის ავტობეტონშემრევის მძღოლად და ითვლებოდა მატერიალურად პასუხისმგებელ პირად. 1999 წლის 19 აპრილს სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებით ფირმისათვის „მონტაჟმშენინდუსტრია“ გაიტანა ოთხი კუბური მეტრი ბეტონი საერთო ღირებულებით 2515 მანეთი (რაც განაღდებული იყო ამ ფირმის მიერ 1999 წლის 23 აპრილს) და ეს ბეტონი უნდა მიეტანა ქ.მოსკოვის ერთ-ერთ სამშენებლო ობიექტზე. მაგრამ გ-მ გარკვეული ანაზღაურების მიღების მიზნით მისთვის მინდობილი ბეტონი უკანონოდ მიიტანა ავტოსამრეცხაოს მშენებლობის ადგილზე, სადაც გადმოტვირთა იგი, რითაც ფირმას „მონტაჟმშენინდუსტრია“ მიაყენა 2515 მანეთის ზარალი.

მოსკოვის საოლქო სასამათლოს სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო კოლეგიამ 1999 წლის 11 ნოემბერს განაჩენი დატოვა შეუცვლელად. რფ-ის უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის მოადგილემ პროტესტში დააყენა საკითხი სასამართლოების გადაწყვეტილებების შეცვლისა და მსჯავრდებულის მოქმედებების 160-ე მუხლის პირველ ნაწილზე გადაკვალიფიცირების შესახებ.

მოსკოვის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმმა პროტესტი დააკმაყოფილა და მიუთითა შემდეგი: სწორად დაადგინა რა ფაქტიური გარემოებები, რომელშიც გ-მ ჩაიდინა მისთვის მინდობილი ნივთის მითვისება, სასამართლო მცდარად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს ქმედება ჩადენილი იყო სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

---

[1] იხ. Коментарий к Уголовному Кодексу Российской Федераации, Под редакцией В.И. Родченко, М. Верикт, 1996, С. 258.

[2] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2005, გვ. 310.

[3] იხ. Плохова В. И., Субъект присвоения или растраты - Вестник Нижегородского государственного университета им. Н. И. Лобачевского, Выпуск 1(2), Нижний Новгород, Изд-во Нижегородского университета, 2000, С. 289-294.

პრეზიდიუმის დასკვნით, 160-ე მუხლის მე-3 ნაწილში გათვალისწინებული ქმედების ამსრულებლად ითვლებიან თანამდებობის პირები ან სხვა მოსამსახურეები, რომლებიც თავის თანამდებობრივ მდგომარეობას იყენებენ ნივთის მისათვისებლად. ხოლო, როგორც საქმითაა დადგენილი, გ.მუშაობდა მექანიზაციის სამმართველოში ავტობეტონშემრევის მძღოლის თანამდებობაზე და განახორციელებდა თავის უფლებამოსილებებს მისთვის მინდობილი ნივთის (ბეტონის) მიმართ არა დაკავებული თანამდებობიდან, არამედ თავისი საწარმოო ფუნქციებიდან გამომდინარე. ამიტომ მისი ქმედება გადაკვალიფიცირდა 160-ე მუხლის პირველი ნაწილით.[1] აღნიშნული გადაწყვეტილება არაა სწორი, რადგან იმისათვის, რომ დავაკვალიფიციროთ ქმედება „სამსახურებრივი მდგომარეობის" გამოყენებით, საჭიროა არა მმართველობითი იერარქია, არამედ მართლზომიერი მფლობელობის ან განკარგვის ფუნქცია. აღნიშნული ფუნქციის მატარებელი შეიძლება იყოს როგორც თანამდებობის პირი, ასევე არათანამდებობის პირი.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. იურიდიულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით რუს იურისტთა ნაშრომებში, დეტალურად განიხილება იმ პირთა წრე, ვისაც შეუძლია ნივთის ფლობა და ნივთის გამგებლობა. მაგრამ ასეთი დეტალური განხილვა მოკლებულია აზრს, რადგან რფ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლის მე-3 ნაწილი ასეთ დაყოფას მაკვალიფიცირებელი ნიშნის განსაზღვრაში არ ითვალისწინებს. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ" ქვეპუნქტის მიმართაც. დაუშვათ, ა-ს გააჩნია მფლობელობის ფუნქცია, ხოლო ბ-ს კი მარტო გამგებლობის. თუ ორივე სუბიექტმა მითვისებისათვის გამოიყენეს სამსახურებრივი მდგომარეობა, მაშინ დგება ერთი და იგივე შედეგი მათი ქმედება კვალიფიცირდება 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ" პუნქტის მიხედვით.

სამასახურებრივი მდგომარეობა ფართო ცნებაა, რადგან მოიცავს ამსრულებელთა ფართო წრეს, კერძოდ, როგორც თანამდებობის, ისე არათანამდებობის პირს (მესაკუთრეს, ექსპედიტორს, გამყიდველს, მოლარეს და სხვ.). ცნება „სამსახურებრივი მდგომარეობის" გამოყენება პირდაპირ დაკავშირებულია ცნებასთან „სამსახურებრივი საქმიანობა", ხოლო ეს უკანასკნელი მართლზომიერი მფლობელობის ან განკარგვის ცნებასთან. მოკლედ, სამსახურებრივი საქმიანობის განმხორციელებელი პირი, უდავოა, შეიძლება იკავებდეს გარკვეულ სამსახურებრივ მდგომარეობას და შეიძლება არც იკავებდეს. მაგრამ ქმედების კვალიფიკაციაზე მოქმედებს მარტო ის ფაქტი, რომ ქმედების ჩადენა დაკავშირებულია ისეთი სამსახურებრივი მდგომარეობის განხორციელებასთან, რომელიც მოიცავს მართლზომიერ ფლობას ან განკარგვას.

უნდა ითქვას, რომ სამსახურებრივი მდგომარეობის ვიწრო გაგების კონცეფცია უარყოფითად აისახება სასამართლო პრაქტიკაზე. არც გამოძიება და არც სასამართლო არ აქცევენ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ „სამსახურებრივი მდგომარეობის" ცნება ვრცელდება არა მარტო თანამდებობის პირზე, არამედ ნებისმიერ პირზე, ვისზედაც ნივთი იყო გადაცემული მართლზომიერ მფლობელობასა ან გამგებლობაში. სანიმუშოდ მოვიყვანთ ელგუჯა ჯიოევის საქმეს.

შპს „საქართველოს რკინიგზას" სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტის მალფუჭებადი ტვირთების გადაზიდვისა და იზოთერმული ვაგონებით მომსახურების განყოფილებას ევალებოდა მალფუჭებადი ტვირთის გადაზიდვა საქართველოდან მის საზღვრებს გარეთ; იმავე საზოგადოების სალოკომოტივო დეპარტამენტი ახდენდა მატარებლის შემადგენლობის გამართვას როგორც საწვავი დიზელით, ასევე დიზელის ზეთით.

2007 წლის 11 სექტემბერს განყოფილების უფროსის ი.სარიშვილის წერილის საფუძველზე შპს „საქართველოს რკინიგზას" სალოკომოტივო დეპარტამენტმა კუთვნილი ლიმიტის ფარგლებში გამოყო 6000 ლიტრის ოდენობოთ საწვავი, რომლითაც რეფრეჟერატორულ სექციას ქ. ფოთიდან ტაჯიკეთში უნდა გადაეტანა მალფუჭებადი ტვირთი. აღნიშნული საწვავის მიღება ფორმა ფეუ 21-ზე ხელმოწერით დაადასტურა სატვირთო გადაზიდვების დეპარტამენტის მალფუჭებადი ტვირთების გადაზიდვებისა და იზოთერმული ვაგონებით მომსახურების განყოფილების მექანიკოსმა ე.ჯიოევმა. იმავე დღეს, 2007 წლის 11 სექტემბერს, ე.ჯიოევი დაუკავშირდა გამოძიებით დაუდგენელ პირს, რომელსაც შესთავაზა თითქოსდა, მისი კუთვნილი 5000 ლიტრი დიზელის საწვავის 4000 ლარად მიყიდვა. თანხმობის მიღებიდან დაახლოებით ერთ საათში ე.ჯიოევმა ზემოთ აღნიშნულ პირს ბენზინმზიდში ჩაუტვირთა 5000 ლიტრი დიზელი, რის საფასურადაც მიიღო 4000 ლარი.

2007 წლის 11 სექტემბერს შპს „საქართველოს რკინიგზას" ოპერატიული კონტროლის ცენტრის რევიზორების მიერ მატარებლის შემადგენლობის ქ. ფოთში გასვლამდე შემოწმებულ იქნა ე.ჯიოევის გამგებლობაში მყოფი რეფრეჟერატორი, სადაც აღმოჩენდა 5000 ლიტრი დიზელის დანაკლისი. თბილისის საქალაქო სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განაჩენით ე.ჯიოევი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულ, მისთვის ინკრიმინირებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებაში.[2]

[1] იხ. Бюллетень Верховного Суда РФ. 2002, № 2, С. 20.

[2] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 მარტის განაჩენი.

სასამართლომ დაუშვა შეცდომა, რადგან არ გაითვალისწინა, რომ ე.ჯიოევის სამსახურებრივი მდგომარეობა, რომ არა იგი ვერ შეძლებდა 4000 ლიტრი დიზელის, მითვისებას. ამიტომ მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო 182-ე მუხლის არა I ნაწილით, არამედ II ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით.

გამოყენებული ლიტერატურა

სისხლის სამართლის კოდექსი, 2015 წლის მდგომარეობით;

სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომც. „მერიდიანი”, თბ., 2005.;

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 მარტის განაჩენი;

Белокуров О.В. Проблемы квалификации хищения вверенного имущества, Ульяновск, 2003;

Элисеев С.С., Преступления против собственности по законодательству Росии (вопроси теории). Томск. Изд-тво. Том. Уи-та. 1999;

Комментарий к Уголовному Кодексу Российской Федерации, Ростов-на-дону, 1996;

Кочои С.М. Ответственность за користные преступления против собственности, М., 2000;

Коментарий к Уголовному Кодексу Росийской Федераации. Под редакцией В.И. Родченко, М., 1996;

Научно-практический комментарий к Уголовному Кодексу Российской Федераций, В2-х т. Т.I.Н. Н.Номос. 1996;

Плохова В. И. Субъект присвоения или растраты - Вестник Нижегородского государственного университета им. Н. И. Лобачевского. Выпуск 1(2). Нижний Новгород. Изд-во Нижегородского университета. 2000;

Бюллетень Верховного Суда РФ. 2002. № 2. С. 20.

სერგო ჭელიძე
ნუგზარ თევდორაძე

მითვისება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით

რეზიუმე

სტატიაში საუბარია მითვისების მაკვალიფიცირებელ ისეთ გარემოებაზე, როგორიცაა სამსახუებრივი მდგომარეობის გამოყენება. ასევე განხილულია არა ერთი მეცნიერის შეხედულება და სასამართლო პრაქტიკა მითვისების მაკვალიფიცირებელ ამ გარემოებასთან დაკავშირებით.

Sergo Chelidze
Nugzar Tevdoradze

MISAPPROPRIATION THROUGH MISUSE OF JOB POSITION

Summary

The article discusses such type of misappropriation, as the misuse of job position. It also discusses the viewpoints of different scientists and court practices on the type of circumstances, qualified as misappropriation.

შენგელი ფიცხელაური

კრიმინალისტიკური კვლევის სპეციალური მეთოდები

კრიმინალისტიკაში კვლევის სპეციალური მეთოდების პრობლემას აქვს არამარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც, რადგანაც ის მეტყველებს პროფესიონალური საქმიანობის სპეციფიური ობიექტების და ამოცანების ათვისების დონეზე. კრიმინალისტიკური სპეციალური მეთოდოლოგიის შემუშავების მიხედვით ხდება კრიმინალისტიკური ამოცანების ამოხსნის ზოგადმეცნიერული, ხერხებისა და საშუალებების სისტემის ადაპტაცია. თანამედროვე კრიმინალისტიკაში მეთოდოლოგიური დამუშავების არსებითი ნაკლოვანება მდგომარეობს იმაში, რომ კრიმინალისტიკის სპეციალური მეთოდების ნაცვლად იყენებენ ფილოსოფიური და ზოგადმეცნიერული აღწერის მეთოდებს, რომლებიც შეიძლება წარმატებით გამოიყენებოდეს სხვა მეცნიერებებსა და პრაქტიკის სფეროებში.

რაში გამოიხატება სინამდვილის კვლევის კრიმინალისტიკური ხერხის თავისებურებანი? ჯერ კიდევ კრიმინალისტიკის ფუძემდებელთა შრომებში სწორად იყო აღნიშნული, რომ კვლევის გზა იწყება დანაშაულის მექანიზმიდან და მისი ნიშანთვისებების გავლით, მიდის გამოძიების მეთოდებთან, რომლებსაც უნდა ახასიათებდეს კრიმინალისტიკური ანალიზის სიღრმისეულობა.

პროფესორი ბ.მ. შავერი აღნიშნავდა, რომ მტკიცებულებათა აღმოჩენის, კვლევის მეთოდების სისტემათა შემუშავებისათვის აუცილებელია პირველ რიგში, შეისწავლო დანაშაულის ჩადენის ხერხები და საშუალებები, და რომ ასეთი შესწავლა შეადგენს კრიმინალისტიკის მეთოდის გამოყენების ცენტრალურ ელემენტს, თუმცა კრიმინალისტიკაში დანაშაულის მექანიზმისა და ხერხის კვლევა არ წარმოადგენს არც თვითმიზანს, არც კვლევის დამოუკიდებელ საგანს. დანაშაულებრივი მოქმედების ხერხის ანალიზი წარმოადგენს კრიმინალისტიკის მეთოდის შემუშავების საფუძველს, რამდენადაც კრიმინალისტიკაში მეთოდების არჩევანი განპირობებულია დამნაშავის მოქმედების ხერხებით, რომელიც აისახება შემთხვევის ადგილზე დატოვებულ კვალში. მხოლოდ მოცემული მეთოდოლოგიური მიდგომის რეალიზაციას შეუძლია უზრუნველყოს მეტად ეფექტური ტექნიკური და ტაქტიკური ხერხების და სპეციალური კრიმინალისტიკური მეთოდიკის შემუშავება, რაც დანაშაულის დროული გახსნის საფუძველია.[1] კრიმინალისტიკური მიდგომა (კრიმინოლოგიურისაგან, მატერიალურ-სამართლებრივისაგან განსხვავებით) მდგომარეობს იმაში, რომ დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მოპოვებისა და კვლევის მეთოდი დედუქცირდება მისი ჩადენის ხერხსა და მექანიზმში. თუ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს ბინის ან სხვა სათავსის გატეხვის კვალი, გამოიყენება კვლევის ტრასოლოგიური მეთოდები, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემთხვევაში – კრიმინალისტიკური ბალისტიკის მეთოდები, დოკუმენტების ფიქტიური შედგენის ან გაყალბების შემთხვევაში – სასამართლო ბუღალტერიის მეთოდები და ა.შ.

არსებითია აღინიშნოს, რომ დანაშაულის მეთოდოლოგიური მნიშვნელობა თანაბრად ვლინდება არამხოლოდ პრაქტიკულ, არამედ მეცნიერულ კრიმინალისტიკურ კვლევებში. კრიმინალისტიკის მეცნიერების ძირითადი პროდუქტი – დანაშაულებრივი მოქმედების ტიპობრივი კრიმინალისტიკური დახასიათების (საინფორმაციო მოდელები) და მათი გამოძიების ტიპობრივი მეთოდები შემუშავდება დანაშაულის სისტემატიური შესწავლის საფუძველზე, რომელიც ჩადენილია მსგავსი და ანალოგიური ხერხებით. მეცნიერული კრიმინალისტიკის ფუნდამენტალური კატეგორიები (დანაშაულის ხერხი (მექანიზმი) – დანაშაულის კვალის სურათი – დანაშაულის ტიპობრივი საინფორმაციო მოდელი – ტიპობრივი ვერსია. – კრიმინალისტიკური კვლევის ტიპობრივი მეთოდიკა) ქმნიან ცნებათა თანმიმდევრულ ჯაჭვს და სისტემას, რომელიც გაერთიანებულია საინფორმაციო – ლოგიკური კავშირით, სადაც ყოველი მომდევნო ელემენტი გამომდინარეობს წინა ელემენტიდან. ამგვარად, კრიმინალისტიკის მეთოდური გზები მთელი საინფორმაციო – ლოგიკური სტრუქტურა ეფუძნება დანაშაულებრივი ქმედების ხერხისა და მექანიზმის სტრუქტურას, რომელის შესწავლის გარეშე საერთოდ შეუძლებელია კრიმინალისტიკური პრაქტიკისა და კრიმინალისტიკის მეცნიერების მეთოდოლოგიური სქემის შემუშავება.[2] კრიმინალისტიკაში იყო მცდელობები გამოძიების პროცესის გარეგნული დახასიათების და იმ პირების მოქმედების აღწერისა, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული, ჩადენილი დანაშაულების ხერხებისა და მექანიზმების შესწავლისა და აღწერის გარეშე. ეს მცდელობები ასევე უნაყოფოა და უპერსპექტივო, როგორც მედიცინაში ქირურგიის შესწავლა ანატომიის გარეშე.

ოპერატიულ – საგამოძიებო, სასამართლო და საექსპერტო სამუშაოს გამოცდილების განზოგადება აგრეთვე წარმოადგენს კრიმინალისტიკის სპეციალური მეთოდოლოგიის შემუშავების მნიშვნელოვან ელემენტს.

---

[1] შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, ტ. II, თბ. 2007, გვ. 11

[2] Криминалистика, Учебник под. ред. проф. А. Г. Филаппова, М. 1998г., ст. 323

პრაქტიკის ზოგადმეთოდოლოგიური მნიშვნელობის გარდა, პროფესიონალურ კრიმინალისტიკაში მეცნიერებისათვის, პრაქტიკის განზოგადება წარმოადგენს დანაშაულის გახსნისათვის ეფექტური მეთოდების შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს.

დღეისათვის გამოიყენება კრიმინალისტიკური გამოცდილების განზოგადების 3 ძირითადი ფორმა.

1. გამოძიების კერძო შემთხვევებისა და საექსპერტო კვლევების აღწერები, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ანალოგები დანაშაულის გამოძიებისას, რომელიც ჩადენილია მსგავსი, ტიპიური ხერხებით (კრიმინალისტიკის არქივები, საგამოძიებო და საექსპერტო პრაქტიკის გამოცემები, ოპერატიული და მეთოდოლოგიური საორიენტაციო ინფორმაციები);

2. გარკვეული ნიშანთვისებების მიხედვით სპეციალურად დამუშავებული და რაიმე სახის კრიმინალისტიკური ამოცენების ამოსახსნელად სისტემატიზირებული მონაცემთა ბანკი ჩადენილი და გამოძიებული დანაშაულების შესახებ. ასეთი სისტემატიზაციის მაგალითად შეიძლება იყოს რეგისტრაციის სისტემა დანაშაულებრივი ქმედების ხერხის მიხედვით, რომელიც საშუალებას იძლევა შედარებული იქნას გამოსაძიებელი შემთხვევა ადრე ჩადენილი გახსნილ ან გაუხსნელ დანაშაულებთან და დადებითი შედეგის შემთხვევაში გააერთიანოს ოპერატიული ან საგამოძიებო წარმოება;

3. დანაშაულებრივი მოქმედების ტიპობრივი კრიმინალისტიკური დახასიათებების (საინფორმაციო მოდელების) შექმნა, რომელიც წარმოადგენს გამოძიების სამეცნიერო განზოგადების უმაღლეს ფორმას. აღნიშნული დახასიათებები და მოდელები წარმოადგენენ იმ გამოძიებული შემთხვევების რეპრეზენტაციული მასივის სავარაუდო-სტატისტიკური დამუშავების და შესწავლის შედეგს, რომელიც ჩადენილია გარკვეული ხერხით. ასეთი მოდელები ასახავენ კანონზომიერ კავშირებს დანაშაულებრივი ქმედების ელემენტებს და დანაშაულის ჩადენის ობიექტურ პირობებს შორის.[1] როდესაც ხდება ინფორმაციის წარდგენა ძებნილი პიროვნების შესახებ მისი დანაშაულებრივი ქმედების, ხერხის ცნობილი ელემენტების მიხედვით, აღნიშნული დახასიათებები უზრუნველყოფენ ტიპობრივი ვერსიების გამოყოფას და კონკრეტული საქმის გამოძიების დაგეგმვას. აღნიშნული ტიპიური მოდელებიდან მიღებული ინფორმაციის უტყუარობა დამოკიდებულია საინფორმაციო კავშირების სიმჭიდროვეზე დანაშაულებრივი მოქმედების ხერხის ელემენტების თანხვედრაზე, მაგრამ დანაშაულების ისეთი კრიმინალისტიკური დახასიათებები, რომელიც აგებულია დანაშაულებრივი ქმედების მექანიზმისა და ხერხის ყველა ელემენტის ორგანული ერთობლიობის გათვალისწინების გარეშე, ასევე რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ხერხით ჩადენილ დანაშაულს ან დანაშაულებს და გაერთიანებულია დანაშაულის ხერხის რომელიმე ერთი ელემენტით, არ შეიძლება გამოყენებული იქნას კონკრეტული დანაშაულის გამოძიების მეთოდიკის საფუძვლად.

მოდელირების მეთოდი კრიმინალისტიკურ საქმიანობაში

დანაშაულის გამოძიების პრაქტიკაში საკმაოდ ეფექტურია მოდელირების მეთოდი. ეს უნივერსალური მეთოდი გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც გამომძიებელს არა აქვს საშუალება რეალურად შეისწავლოს რომელიმე ობიექტი, რომლის შემეცნებაც არის გართულებული მთელი რიგი მიზეზებით. მაგალითად, დანაშაულებრივი ქმედება, გამოძიების მომენტისათვის როგორც წესი, უკვე აღარ არსებობს, ამიტომ იგება და ისწავლება მისი მოდელი.

მოდელირების მეთოდის არსი შედგება იმაში, რომ შეისწავლება არა თვით ობიექტი, არამედ სპეციალურად აგებული მისი რაღაც მოდელი, და, ამდაგვარად, გამომძიებელი მოდელის შესწავლის გზით ღებულობს ინფორმაციას, გამოსაკვლევი ობიექტის შესახებ. შემეცნების მეთოდოლოგიაში, განსაკუთრებით ტექნიკის სფეროში, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოდელირების მეთოდებს.

როცა საკითხი ეხება მოდელირებას, იგულისხმება მოდელისა და ნატურის თანაფარდობა გარკვეული მახასიათებლების შეთანადებით. მოდელირება შესაძლებლობას იძლევა რთული სისტემები შესწავლილ იქნას შედარებით მარტივი და იაფი მოდელების საშუალებით.[2]

მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ საგამოძიებო პრაქტიკაში მოდელირების მეთოდის გამოყენების რეკომენდაციები ჩადებულია კრიმინალისტიკის დამაარსებლის ჰ. გროსის და რუსეთის კრიმინალისტიკის ფუძემდებლის ვ.ი. გრომოვისა და ი.ნ. იაკიმოვის ნაშრომებში. ისინი, მართალია, არ იყენებდნენ თავის ნაშრომებში ტერმინებს „მოდელი“, „მოდელირება“, მაგრამ უკვე თავის დროზე გამოთქვამდნენ აზრობრივი მოდელირების ზოგიერთ იდეას, და აძლევდნენ გამომძიებელს რჩევებს აღადგინონ გამოძიებისას მომხდარის კონკრეტული სურათი და გამოუყენონ იგი დანმაშავის ძებნისათვის.[3]

ობიექტების შესწავლას ასეთ მეთოდს ეწოდება მოდელირება. კრიმინალისტიკაში გამოყენებული მოდელირება არის მეთოდი, რომელიც შედგება: ა) მოდელის შექმნაში, რომელიც მსგავსია სისხლის სა-

[1] ზ. წულაია, კრიმინოლოგია (ზოგადი ნაწილი), თბ. 2003წ., გვ. 21

[2] ა. კოსტავა, მეტაკრეაციონიზმის შესავალი, თბ. 1999, გვ. 116

[3] შ. ფაფიაშვილი, დას. ნაშ., გვ. 20

მართალწარმოების სფეროში მყოფ ორიგინალის; ბ) ამ მოდელის შემდგომ გამოყენებაში, როგორც კრიმინალისტიკურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღების საშუალება; გ) ამ ინფორმაციის შემდგომში ორიგინალზე გადატანაში.

მოდელი შემეცნების პროცესში გამოდის როგორც რეალობაში არსებული შემეცნების ობიექტისა და სუბუექტის შუა რგოლი.

მოდელირების მეთოდი ორგანულადაა დაკავშირებული კრიმინალისტიკაში გამოყენებულ სხვა ზოგადმეცნიერულ მეთოდებთან, როგორიცაა, დაკვირვება, ექსპერიმენტი, აღწერა და ა.შ. ამასთან ერთად, აღნიშნული მეთოდების გამოყენება მოდელირებასთან კომპლექსში იძენს გარკვეულ სპეციფიკას. მაგალითად, დაკვირვების მეთოდი ვარაუდობს ობიექტის უშუალო აღქმას, რომლის დროსაც შემეცნების ობიექტსა და სუბიექტს შორის არ არსებობს შუალედური რგოლები. მოდელირების დროს აგრეთვე გამოიყენება დაკვირვება, მაგრამ დაკვირვების ობიექტის როლში გამოდის მოდელი, და არა თვით რეალური ობიექტი.[1]

რეალობაში ჩატარებული ექსპერიმენტი მოითხოვს დროის, ძალების და საშუალებათა დანახარჯს. ამ მიმართულებით ბევრად იოლია ექსპერიმენტის მოდულზე ჩატარება, და კვლევის შედეგები სრულად შეიძლება გადატანილი იქნას რეალურ ობიექტზე.

ეს მეთოდი საკმაოდ ეფეტურად შეიძლება გამოყენებული იქნას მთელი რიგი კრიმინალისტიკური ამოცანების ამოსახსნელად. მაგრამ მოდელირების გამოყენება მიზანშეუწონელია მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში, როდესაც გამომძიებელს ან სისიხლის სამართლის პროცესის სხვა სუბიიექტს უჩნდება ინფორმაციის მიღების აუცილებლობა მისი შემდგომი შემეცნებისა და კვლევისათვის.

არ უნდა გადავაფასოთ მოდელირება და გამოვიყენოთ იქ, სადაც შეიძლება გამოვიყენოთ უფრო მარტივი მეთოდები. მოცემული მეთოდი გამოიყენება სიტუაციაში, რომელშიც კონკრეტულად ის არის მეტად მიზანშეწონილი, ასე, მოდელირების მეთოდის გამოყენებისათვის არსებობს შემდეგი წინაპირობები.

1) თუ საკვალო ან სხვა ობიექტი არსებობს რეალურად კვლევის მომენტისათვის, მაგრამ იგი ან რთულია, ან არ არის სრულად ხელმისაწვდომი უშუალო შესწავლისთვის (მაგალითად, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის იერარქია და სტრუქტურა).

2) როდესაც შემეცნების ობიექტი არსებობდა წარსულში და იგი უკვე აღარ არის სრულად ან ნაწილობრივად გამოძიების მომენტისათვის (დანაშაულებრივი მოვლენა, მისი ცალკეული გარემოებები, დანაშაულის ადგილის დარღვეული გარემოება, მისი ცალკეული ობიექტები, კრიმინალური სიტუაციები),

3) თუ შემეცნების ობიექტი, შესაძლოა, იარსებებს მომავალში (მაგ. შესაძლებლად საგამოძიებო სიტუაცია შემდგომი დაკითხვისას, რომლის მოდულირებაც ხდება მისთვის მომზადების პროცესში);

4) როდესაც საჭიროა თვალნათლივ წარმოვიდგინოთ დანაშაულებრივი მოვლენის ან მისი ცალკეული ელემენტების მექანიზმი და სხვა.

კრიმინალისტიკურ მოდელში იგულისხმება ხელოვნურად შექმნილი სისტემა, რომელიც აღადგენს და ცვლის კრიმინალისტიკური შემეცნებისთვის მნიშვნელოვან სხვადასხვა ობიექტების, მოვლენების და პროცესების ორიგინალებს, და რომელიც დაკავშირებულია დანაშაულთან და მის გამოძიებასთან. მოდელი საშუალებას იძლევა მივიღოთ ორიგინალის შესახებ ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია პრაქტიკული, სამეცნიერო და სხვა კრიმინალისტიკური ამოცანების წარმატებით ამოხსნისათვის.

მოდელების სახეები. მოდელირების ხერხის გათვალისწინებით გამოიყოფა მატერიალური, მათემატიკური, საინფორმაციო – კომპიუტერული და აზრობრივი მოდელები.

მატერიალური მოდელების წარმოება ხდება მატერიალურად ფიქსირებული სახით და გამოიყენება საგამოძიებო პრაქტიკაში უპირატესად საგამოძიებო მოქმედებისა და ექსპერტიზის წარმოებისას. მატერიალურთა შორის განასხვავებენ: სივრცობრივად და გეომეტრიულად მსგავსი მოდელები, რომლებსაც შეიძლება მივაკუთნოთ, მაგალითად, კვალის ტვიფარი, შენობის, საგნის მაკეტი, ფიზიკურად მსგავსი მოდელები (საგამოძიებო მოქმედებების სამაგნიტაფონო ჩანაწერები, ადამიანის ხმის ფონოგრამა, რომელიც გამოიყენება ხმის მიხედვით ამოცნობის პროცესში). მატერიალური მოდელირების განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენს კრიმინალისტიკური რეკონსტრუქცია, რომელიც უნდა გავიგოთ, როგორც გამოძიებისათვის საინტერესო ცალკეული ობიექტის აღდგენა მათი ფრაგმენტების, აღწერის, ფოტოსურათების და სხვა დოკუმენტალურ მონაცემთა მიხედვით. მაგალითად, კრიმინალისტიკური მოდელირების გამოყენება საკმაოდ ეფექტურია უხილავი გარემოებების რეკონსტრუქციისთვის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების გამოძიებისას. საგამოძიებო პრაქტიკაში მათემატიკური და საინფორმაციო – კომპიუტერული მოდელირების გამოყენება დაკავშირებულია სამართალდამცავ ორგანოების საქმიანობაში კომპიუტერული ტექნიკის ფართო გამოყენებასთან. კრიმინალისტიკაში მათემატიკური მოდელირების არსი მდგომარეობს კრიმინალისტიკური პრობლემის ტრანსფორმაციაში მათემატიკურ ამოცანაში, მის ამოხ-

[1] კრიმინალისტიკა, რედ. ა. ფალიაშვილი, თბ. 2000, გვ. 33

სნაში მათემატიკური აპარატის მეშვეობით, და აგრეთვე მიღებული მათემატიკური შედეგების კრიმინალისტიკურ ინტერპრეტაციაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აზრობრივი მოდელირება, რომელიც იკავებს განსაკუთრებულ ადგილს და მეტად გავრცელებულია სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებაში. გამოძიების პირველად ეტაპზე პრაქტიკულად ყოველთვის ადგილი აქვს ინფორმაციულ გაურკვევლობას, რომელიც ქმნის რა ლოგიკურ – შემეცნებით ბარიერებს, აყენებს გამომძიებლის წინაშე მთელ რიგ პრობლემებს. აზრობრივი მოდელირება გამოდის აუცილებელი შემეცნებითი საშუალების როლში, რომელიც ბევრად ეხმარება მართვის პროცესს. ასე მაგალითად, სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში, გამომძიებელი, მომხდარი კრიმინალისტიკური მოვლენის არსის გამოკვლევისას, აგებს თავის გონებაში მის აზრობრივ მოდელს – გამოსაძიებელი მოვლენის საინფორმაციო მოდელს. დანაშაულის და მისი ჩამდენი პირის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, ეს მოდელი ხდება უფრო სრული. გამოსაძიებელი მოვლენის საინფორმაციო მოდელი – დინამიური სისტემაა, რამდენადაც მისი აგება ხორციელდება თვით გამოძიების მსვლელობის პარალელურად. ამასთანავე გამოსაძიებელი მოვლენის საინფორმაციო მოდელი პირველად ფასდება როგორც შესაძლებელი, საინფორმაციო დატვირთვის არასრულყოფის შედეგად და მხოლოდ გამოძიების მსვლელობისას იძენს ყველა ელემენტში ან მის ცალკეულ ნაწილებში უტყუარ ცოდნას.

აზრობრივი მოდელების შორის, გამოყოფენ, პირველ რიგში, სახეობით მოდელებს, რომელიც თავისი ფორმით წარმოადგენს ფსიქიკურ სახეობას, და გნოსეოლოგიურ ასპექტში – ახალი ცოდნის მიღების ერთ-ერთ საშუალებას. გამომძიებლების უმეტესობა, ხშირად ვერ ათვითცნობიერებს მათ მიერ გამოყენებულ მოდულირებას, როგორც პროცესს და ფაქტიურად გამოძიების მსვლელობის მთელ პერიოდში ქმნიან თავის აზროვნებაში სახეობრივ მოდელებს და მუშაობენ მ ათთან. მეორე რიგში, აზრობრივ მოდელებს მიაკუთვნებენ აგრეთვე სახეობრივ-ნიშნობრივ მოდელებს, რომელბიც წარმოდგენილია სხვადასხვა სახის პირობითი ნიშნებით (გამოსახულება ასოებით, გრაფიკული და ა.შ.) კრიმინალისტიკაში ასეთ მოდულებს შეიძლება მივაკუთნოთ დაქტილოსკოპიური ფორმულა, სხვადასხვა გრაფიკული დანართები საგამოძიებო მოქმედებების ოქმებთან.

ზემოაღნიშნულ მოდელებს შეუძლიათ სამი მიმართულებით „მუშაობა“. რექტოსპექტიულში, რომელიც მიმართულია წარსულში; რეალური დროის მიმართულებაში; პერსპექტიულში, რომელიც მიმართულია მომავლის მოვლენათა კვლევისაკენ.

აზრობრივი მოდელირების განსაკუთრებულ ნაირსახეობას წარმოადგენს სიტუაციური მოდელირება – სიტუაციების კვლევის მეთოდი, რომელიც შეიცავს რეალური სიტუაციის მოდელის აგებას და მასთან სხვადასხვა სახის აზრობრივი ექსპერიმენტის ჩატარებას. სიტუაციური მოდელირება საშუალებას იძლევა ოპერატიულად გამოიტანო და ადეკვატურად შეაფასო არსებული საგამოძიებო სიტუაცია, უცნობი სიტუაციური ფაქტორები დაიყვანო ცნობილთან, ტიპიურთან, რისთვისაც უკვე შემუშავებულია ოპტიმალური ალგორითმი ან მათი გადაწყვეტის პროგრამა.

როგორც ცნობილია, გამოძიების მომენტისათვის დანაშაული გამომძიებლის წინაშე ისახება, როგორც წარსულის მოვლენა, ააგო გამოსაძიებელი მოვლენის რეტროსპექტიული აზრობრივი საინფორმაციო მოდელი – ნიშნავს თანმიმდევრობით აღადგინო გონებაში მომხდარი კრიმინალისტური სიტუაციის სურათი, გაერკვე მის არსში, თვალი ადევნო გენეზისს, ამის საფუძველზე გამოარკვიო დანაშაულის მექანიზმი. ამგვარი ტიპის მოდელი, მართალია, არ არის მტკიცების საშუალება, მაგრამ არსებითად ამსუბუქებს ამ პროცესს. კრიმინალისტიკური სიტუაციის მოდელის აგება ხელს უწყობს მთელი რიგი კრიმინალისტიკური ამოცანების ამოხსნას. ე.ი. მოდელი შეიძლება გამოდიოდეს, როგორც სისტემატიზატორი, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის შემგროვებელი და როგორც კრიმინალური სიტუაციისა და დამნაშავის შესახებ ახალი ცოდნის მიღების საშუალება.

ამავე დროს მოცემული მოდელები მჭიდროდაა დაკავშირებული. მაგალითად, აზრობრივი და მატერიალური მოდულების კავშირთან, რაც განპირობებულია იმით, რომ რომელიმე მასალისაგან მოდელის აგებამდე, ადამიანი მას ასაბუთებს, აკეთებს გაანგარიშებას, წარმოიდგენს აზრობრივად.

გამომდინარე ამოცნობიდან, რომლებსაც ხსნის მოდელირების სუბიექტი, უნდა განვასხვავოთ; შემეცნებითი, ევრისტიკული, პროგნოსტიკური, სიტუაციური, და აგრეთვე ტატიკური მოდელები.

<u>მოდელირების ობიექტები.</u>

გამოყენებით ასპექტში განსაკუთრებულ ინტერესს წარმოიადგენს კრიმინალისტიკური მოდელების კლასიფიკაცია მოდელირების ობიექტიდან გამომდინარე. თეორიულად მოდელირებას შეიძლება ექვემდებარებოდეს ყველა ობიექტი, რომელსაც შეისწავლის კრიმინალისტიკა. შესაბამისად მიზანშეწონილია გამოყოფილი იქნას მოდელები, რომლებიც ჩაანაცვლებენ კვლევის დროს „დანაშაული“-ს სისტემის ობიექტებს (რადგან გამოძიების მომენტისთვის იგი უკვე აღარ არსებობს, რადგან არსებობდა წარსულში), და ანალოგიურად „გამოძიების“ სისტემის მოდელები, რომლებიც გამოიყენება ტაქტიკური და სტრატეგიული ხასიათის პერსპექტიული ამოცენების ამოხსნისას.

„დანაშაულის“ სისტემაში პირველრიგში უნდა დავასახელოთ გამოსაძიებელი მოვლენის საინფორმაციო მოდელი. (მისი კრიმინალისტიკური დახასიათება), რომელიც თავის თავში კონცენტრირებს მის შესახებ ინფორმაციის მთელ ერთობლიობას. გამოსაძიებელი მოვლენის საინფორმაციო მოდელის ელემენტად შეიძლება განიხილოს ისეთი ობიექტების მოდელი, როგორიცაა დანაშაულის ხერხი, მექანიზმი და გარემოება: მისი ჩადენის მოტივი და მიზანი; დანაშაულის იარაღი, საშუალება და შედეგები; დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტი. „გარემოების“ სისტემაში შეიძლება მოხდეს, პირველ რიგში, მთლიანად გამოძიების მთელი პროცესის მოდელირება (ამ შემთხვევაში იგება გამოძიების პროცესის მოდელი). მეორე რიგში მოდელირებას შეიძლება დაექვემდებაროს საგამოძიებო საქმიანობის ისეთი ობიექტებიც, როგორიცაა გამოძიების ორგანიზაცია და დაგეგმვა, ტაქტიკური კომბინაცია, საგამოძიებო მოქმედება, ტაქტიკური ხერხი; ტაქტიკური გადაწყვეტილება, საგამოძიებო სიტუაცია (დინამიური სიტუაცია, რომელიც ბევრად განსაზღვრავს მთელი სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესს და მსვლელობას).[1]

კრიმინალისტიკური მოდელები შეიძლება იყოს როგორც ტიპიური, ასევე ინდივიდუალური ცოდნა დანაშაულის შესახებ, რომელიც დააგროვა კრიმინალისტიკის თეორიამ, დანაშაულებრივი მოქმედების ტიპობრივი მოდელების ფორმაში.

ცოდნა კი დანაშაულის შესახებ რომელიც მიღებულია პრაქტიკული გამოძიების პროცესში, გამოდიან გამოსაძიებელი დანაშაულის ინდივიდუალური მოდულის ფორმით.

მოდელირების უნივერსალურობა ხსნის მთელ რიგ კრიმინალისტიკურ ამოცანებს. პირველ რიგში, მოდელის შექმნის ამოცანას, რომელსაც უნარი აქვს გამოვიდეს როგორც კრიმინალისტიკური შემეცნების ობიექტი. მეორე რიგში, შემეცნების ამოცანას კრიმინალისტიკურ კვლევაში შექმნილი მოდელის გამოყენების პროცესში. მესამე რიგში, მტკიცებულებრივ-ილუსტრაციულ ამოცანას. მეოთხე რიგში, საინფორმაციო ხასიათის ამოცანას, რომელსაც, მაგალითად, შეიძლება მივაკუთვნოთ კოდირება, შენახვა (ტიპობრივი ან ინდივიდუალური თვისების მიხედვით) იმ ინფორმაციის, რომელიც აუცილებელია დანაშაულის გამოძიებისათვის. მეხუთე რიგში, ევრისტიკული ხასიათის ამოცანებს, რომელიც დაკავშირებულია ახალი ცოდნის მიღებასთან ინფორმაციის ლოგიკური გადამუშავების მეშვეობით – დამატებით კრიმინალისტიკურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეში არსებულ მონაცემთა კვლევის გზით. მეექვსე რიგში, ამოცანებს, რომელიც მიეკუთვნება დანაშაულის მართვის და ორგანიზაციის პროცესს, მეშვიდე რიგში სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ამოცანებს (საგამოძიებო, საექსპერტო და სასამართლოს პრაქტიკის განზოგადება). მერვე რიგში, დიდაქტიკური ხასიათის ამოცანებს, რომელიც იხსნება მოდელირების, როგორც სასწავლო პროცესის ინსტრუმენტის დანერგვის მეშვეობით.

და ბოლოს, აღნიშნულ ამოცანებზე დაყრდნობით შეიძლება განვსაზღვროთ კრიმინალისტიკური მოდელირების გამოყენების სფერო და მივაკუთვნოთ მას: გამომძიებლის, მოსამართლის, ექსპერტის პრაქტიკული საქმიანობა; საგამოძიებო, სასამართლოს და საექსპერტო პრაქტიკის შესწავლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, რომელიც შეიცავს კრიმინალისტიკის დარგში სპეციალისტების მომზადებას და საგამოძიებო კადრების გადამზადებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. კოსტავა, მეტაკრეაციონიზმის შესავალი, თბ. 1999;
2. ზ. წულაია, კრიმინოლოგია (ზოგადი ნაწილი), თბ. 2003;
3. კრიმინალისტიკა, რედ. ა. ფალიაშვილი, თბ. 2000;
4. შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, ტ. II, თბ. 2007;
5. Криминалистика, Учебник под. ред. проф. А. Г. Филаппова, М. 1998г.

[1] შ. ფაფიაშვილი, დას. ნაშ., გვ. 14

შენგელი ფიცხელაური

კრიმინალისტიკური კვლევის სპეციალური მეთოდები

რეზიუმე

ავტორს სტატიაში განხილული აქვს იურისპრუდენციასა და სამართლის ცალკეულ დარგებში მეთოდოლოგიის პრობლემა, რადგან მასზეა დამოკიდებული კვლევის ხარისხი და შედეგი. ფ. ბეკონი წერდა: „სწორად შერჩეული მეთოდი მეცნიერისათვის არის სიბნელეში ფარანი“. აქედან გამომდინარე კრიმინალისტიკაში სპეციალური და განსაკუთრებით მოდელირების მეთოდი უპირატესია სხვა მეთოდებთან მიმართებაში. წინამდებარე ნაშრომი ამომწურავად პასუხობს კითხვას, თუ რა როლს თამაშობს მოდელირება კრიმინალისტიკურ კვლევებში.

Shengeli Fitskhelauri

SPECIAL METHODS OF CRIMINALISTICS RESEARCH

Summary

The article deals with the jurisprudence and the problem of methodology in particular branches as far as research level and outcome is based on it. According to F. Bacon: „the rightly chosen method is like a lamp in the darkness for the scientist". Therefore, in the criminology the special and arrangement method is priority in relevance to the other methods. Presented work thoroughly answers the question what role the arrangement method plays in the criminological research.

თამარ ალფაიძე

ჰუმანური სამართალი

სამართლის ჰუმანური პრინციპები

ინტერესი სამართლისადმი უხსოვარი დროიდან მომდინარეობს. რა არის სამართალი? საკითხი ყველა ეპოქის მეცნიერებაში ფიგურირებს და მასზე შექმნილია მრავალგვარი და ექსტრაორდინალური თეორია, თუმცა აბსოლუტური ჭეშმარიტების დადგენა დღემდე შეუძლებელი გახდა.

სამართალი ცივილიზებული სამყაროს მრავალმხრივ რთული და სოციალურად ღირებული ფენომენია. სამართლის განვითარებას ახასიათებს საკმაოდ მკაფიო და ობიექტური კანონზომიერებანი. ეს განპირობებულია არა იმდენად იმით როგორი მატერიალური და სულიერი ღირებულებებია მასში გამოხატული, არამედ იმ ადგილში, რაც პოზიტიურ სამართალს უჭირავს პრაქტიკულ ურთიერთობათა რეგულირების სისტემაში, ცხოვრებისეული სიტუაციების „სამართლებრივად" გადაჭრის საშუალებებში. აქ ძირეული საკითხია – როგორი სოციალური რეგულატორი – ჩვეულება, მორალი, კანონი, რელიგიური დოგმები, სხვა იდეოლოგიური პოსტულატები წარმოადგენენ დომინირებულს პრაქტიკულ ურთიერთობათა რეგულირებაში.

სამართალი განიცდიდა მუდმივ განვითარებას. ეს ისტორიის ლოგიკაა. ცივილიზაციის მოთხოვნების შესაბამისად სამართლისა და მისი ფილოსოფიური გააზრების ფაქტი დაკავშირებულია განმანათლებლობის ეპოქასთან (XVII-XXსს), როცა ჩამოყალიბდა სამართლის პროგრესის ინტელექტუალური ბირთვი – ჰუმანური სამართლის ფილოსოფია.[1]

ფილოსოფიურ-სამართლებრივი აზროვნების განვითარების წანამძღვრები წარმოიშვა ანტიკურ პერიოდში. მაგრამ როგორც ფილოსოფიური ცოდნის დამოუკიდებელი დარგი ჰუმანური სამართალი ჩამოყალიბდა განმანათლებლობის ეპოქაში – საზოგადოების დემოკრატიული გარდაქმნის პროცესებთან დაკავშირებით.

ჰუმანური სამართალი არის დიდი ისტორიული გარდატეხის თავისუფალი საბაზრო კონკურენტული ეკონომიკის და დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრების პერიოდის მნიშვნელოვანი სულიერ-ინტელექტუალური გამოხატულება.

სამართლის ჰუმანური ფილოსოფიის ფორმირების უშუალო წანამძღვარი იყო საზოგადოების გარდაქმნა, რომელიც თავისი პირველადი ისტორიული სახით რეალიზირებულ იქნა მე-18 საუკუნის ბოლოს ჩრდილო ამერიკის დემოკრატიულ სახელმწიფოებში და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებში.

დიდ ბრიტანეთში დემოკრატიულ-სამართლებრივი საწყისი და პარლამენტარიზმი, გამოხატული 1215 წ. „თავისუფლების ქარტიაში" იყო საერთო დემოკრატიული გარდაქმნის წანამძღვრები. ორივე აღნიშნული ისტორიული პროცესი გახდა პირველი ნაბიჯი დემოკრატიის ახალ ისტორიულ პირობებში. პირველი ჩრდილო ამერიკული სახელმწიფოებრიობა რეალიზირებული იქნა აშშ 1787 წ. კონსტიტუციაში, რომელმაც განამტკიცა ადრე დეკლარირებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. მეორედ ეს უფლებები რეალიზირებული იქნა ადამიანის უფლებათა 1789 წლის დეკლარაციაში და საფრანგეთის 1791 წლის კონსტიტუციაში. ამ უკანასკნელში ადამიანის უფლებებთან ერთად თავისუფლების სამართლებრივი საწყისი აიყვანა მაღალ კონსტიტუციურ-სამართლებრივ დონეზე.

ჰუმანური სამართლის კონცეფციის ჩამოყალიბება დაკავშირებულია სამართლის ფილოსოფიის ფორმირებასთან, რომლის ფილოსოფიური და სამართლებრივი აზროვნების კულმინაციური მწვერვალი იყო განმანათლებლობის ფილოსოფიური კრედო, მისი აზრი – თავისუფლება გახდა სამართლის ფილოსოფიის ცენტრალური რგოლი.

იმანუელ კანტმა, პირველმა გერმანელ მეცნიერთა შორის განმარტა სამართალი არა უბრალო იურიდიული თავისუფლების მეშვეობით, არამედ თავისუფლების, როგორც ფილოსოფიური კატეგორიის მეშვეობით.[2]

ბუნებრივად ისმის კითხვა – რა ურთიერთობაა თავისუფლებასა და სამართალს შორის ? სამართალი თავისი არსით ისეთი წარმონაქმნია, რომელიც არსებითად არის დაკავშირებული ადამიანთა საზოგადოებასთან, იგი ისტორიულად და ლოგიკურად არის მოწოდებული იყოს ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის თავისუფლების რეალიზაციას, ადამიანის ღირსების დაცვას. სწორედ პოზიტიური სამართალი წარმოადგენს ნორმატიულად ღირებულ რეგულატორს, რომლის თვისებაა უპასუხოს სოციალურ მოთხოვნებს, თავისუფლების შემოქმედებით პოტენციალს. სამართლის პოტენციალი, მისთვის დამახასიათებელი ლოგიკა იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ რთული იურიუდიული კონსტრუქციები, სამართლებრივი რეგულირების ტიპები და მექანიზმები შეესაბამებოდნენ ლიბერალური ცივილიზაციის იდეებსა და ღირებულებებს.

---

[1] Michael J. Sandel, *Justice: A Reader*, Oxford University Press, 2007, p. 180

[2] Соловьев Э.Ю. И. Кант: Взаимодополнительность морали и права. — М.: Наука, 1992. С. 216

საზოგადოებაში არსებული იურიდიული სისტემა არეგულირებს მასში ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობას მთელი მათი მრავალფეროვნებით, რთული და სიტუაციური სპეციფიკით. ქვეყანაში მოქმედი პოზიტიური სამართალი განსაზღვრავს და უზრუნველყოფს თავისუფლებას.

განმანათლებლობის ეპოქაში ფილოსოფიის კლასიკოსების (განსაკუთრებით კანტის) მიერ ჩამოყალიბებულმა შეხედულებებმა დასაბამი მისცეს ისეთი სოციალური და სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებას, რომელმაც ამ საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში დააყენა ინდივიდის, ავტონომიური ადამიანის თავისუფლება.

"წმინდაა არა საზოგადოება, არა სახელმწიფო, არა ნაცია, არამედ ადამიანი. პიროვნების, როგორც უმაღლესი ღირებულების ინდივიდის პრინციპი, რომელიც დამოუკიდებელია საზოგადოების, სახელმწიფოს, გარეგანი გარემოცვისაგან“ – წერდა ნ.ბერდიაევი.[1]

კანონმდებლობის განვითარება, პოზიტიური სამართლის მთელი კომპლექსის შექმნა ევროპის ქვეყნებში, ამერიკასა და აზიაში მე-19-20-ე საუკუნეებში ასახავს მრავალპლანიან სურათს, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, დაწყებულს კონსტიტუციური რეგულირებიდან საყოფაცხოვრებო, ოჯახურ ურთიერთობათა იურიდიულ რეგლამენტაციამდე.

ადამიანური თავისუფლების რეალიზაციაში ეფექტური როლი ეკუთვნის კონტინენტური ევროპის, ხოლო შემდგომ მთელ მსოფლიოში სამოქალაქო კანონებს (ე.წ. ნაპოლეონის კოდექსს), 1900 წლის გერმანიის სამოქალაქო დებულებას.

სწორედ სამოქალაქო კანონები არის ის მთავარი ფაქტორი, რომელთა დახმარებით ხდება თავისუფლების, დემოკრატიული და და სამართლებრივი კულტურის ფაქტობრივად რეალიზაცია მოქალაქეთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამასთანავე იურიდიული საშუალებების დახმარებით უზრუნველოყოფილი იქნას თანამედროვე თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება.

სამოქალაქო კანონები გამოხატავს ადამიანთა, კაცობრიობის კულტურის ფუძემდებლური ინსტიტუტების დებულებებს. სწორედ საფრანგეთისა და გერმანიის, ასევე როგორც სხვა ქვეყნების კანონები პირდაპირი მემკვიდრეები არიან საკაცობრიო კულტურის ერთ-ერთი შედევრის – რომის კერძო სამართლისა. რომის სამართალი არის უნიკალური იურიდიული განძი, რომელიც გამოხატავს დახვეწილ იურიდიულ კონსტრუქციებს, მკაცრ და ზუსტ ლექსიკას, მათემატიკურად მწყობრ ფორმულებს და კლასიფიკაციას. სამოქალაქო კანონები გამოირჩეოდნენ გონიერებით, უმეტესობა ძველი რომაული იურიდიული ფორმულისა საკანონმდებლო სამართალშემოქმედების შედეგი კი არ არის, არამედ ძლიერი და ორიგინალური გონიერების ნაყოფია. ანტიკური პერიოდიდან მომდინარე კერძო სამართალი იურისპრუდენციის ისეთი სფეროა, რომელიც უშუალოდ განასახიერებს კულტურის მიღწევებს, სამართლებრივი რეგულირების გონიერებას.

თანამედროვე პერიოდში სამოქალაქო კანონებმა აღიქვეს ათასწლეულობით შემუშავებული იურიდიული მატერიის ტექნიკურ-იურიდიული მხარე და სრულყვეს ის.

თავისუფლება სამოქალაქო სამართლებრივ საზოგადოებაში არის მხოლოდ ერთადერთი წარმონაქმნი, რომელსაც უნარი აქვს პრაქტიკულ ურთიერთობებში ოპტიმალურად განსაზღვროს და დაიცვას ადამიანის უფლებათა საზღვრები, მისი თავისუფლება. ეს არის სამართალი. სამართლის ფენომენი თავისი თვისებებით და ძირეული ლოგიკით უნარმოსილია შეასრულოს ეს მისია. გონიერ ადამიანთა საზოგადოება უნდა იყოს არამარტო სამოქალაქო, არამედ სამართლებრივიც.

ამრიგად, სამართალი არის არა რაღაც მეორეხარისხოვანი, არამედ პირველხარისხოვანი ფენომენი ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებაში. იმ ზომით, რა ზომითაც მსოფლმხედველობაში და ბუნებაში კანონზომიერია გონიერება და გონიერი ადამიანები, თავისუფლებაც კაცობრიობისათვის კანონზომიერი მოვლენაა.

სამართალი წარმოადგენს ადამიანთა არსებობისა და განვითარების მექანიზმის ელემენტს, რომელსაც უნარი აქვს დაძლიოს თავისუფლების ნეგატიური მხარეები, ამასთანავე უზრუნველყოს კაცობრიობის ოპტიმალური ფუნქციონირების პირობები და სტიმულები. ამ განვითარების მექანიზმში სამართალი აუცილებელი, არსებითად მნიშვნელოვანი რგოლია, რომლის გარეშე შეუძლებელია კაცობრიობის პროგრესი. საზოგადოება სამართლის გარეშე, ან საზოგადოება ილუზიური სამართლით (რომელიც ემსახურება მხოლოდ ხელისუფლებას) უპერსპექტივოა.

ცნობილია, რომ სამართალი არის ადამიანთა ცხოვრების თანამდევი, ე.ი. სოციალური მოვლენა. ამასთანავე სამართალი შეიძლება განვიხილოთ როგორც ბუნებრივი მოვლენა, რადგან სამართლის ფესვები გადგმულია ადამიანის ბიოსოციალურ ბუნებაში.

მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ადამიანში ჩადებულია „არა მარტო ბიოლოგიური ქცევა, არამედ სხვა „ინსტინქტური პროგრამა“ – სურვილი იმისა, რომ იყოს თავისუფალი, ჰქონდეს ქონება, არ მოკლან, არ დააყაჩაღონ, არ დაჩაგრონ და ა.შ."[2] ამრიგად, სავარაუდოა, რომ ადამიანის ბიოსოციოლოგიური მოთხოვნა სამართლისა ორგანულად არის ჩადებული მის ბუნებაში, ისევე როგორც სწრაფვა თავისუფლები-

[1] Бердяев Н.А. Самопознание. М. 1991. С. 104.

[2] Michael J. Perry, The Morality of Human Rights, Emory University School of Law, Legal Studies Research Paper Series. No. 13-240, June, 2013 Electronic copy available at:http://ssrn.com/abstract=2274381.

საკენ. თავისუფლება ადამიანთა გარეგან ურთიერთობაში და თავისუფლება მის სულიერ სამყაროში განსხვავებულია.

სამართალი იცავს ადამიანის თავისუფლებას გარეგანი ურთიერთობის სფეროში, რამდენადაც სამართლის მოქმედების სფერო არის გარეგანი ურთიერთობანი, თავისუფლება ადამიანთა მოქმედებაში.

ადამიანთა სულიერ სამყაროში კი ბატონობს მორალური კანონი, თავისუფალი მორალური ნება, რომელსაც თვითონ ქმნის. მორალური კანონის ნება ისეთი ხარისხისაა, რომ მას ძალა აქვს არა მარტო ადამიანთა ფართო წრეზე. მორალი ეხება აგრეთვე ადამიანის გარეგან ქცევას, გარეგან თავისუფლებას იმ ზომით, რა მორალური პრინციპები და იდეებია საზოგადოებაში. ისინი ადამიანის შინაგან სამყაროში იძენენ კატეგორიულ ხასიათს.

ყველაზე არსებითი არის ის, რომ სამართალს შეუძლია განსაზღვროს ადამიანთა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მომენტები, მათ შორის გარეგანი თავისუფლება.

იურიდიულ მეცნიერებასა და პრაქტიკაში დაუფასებელია ბუნებითი სამართლის როლი. თანამედროვე ეპოქაში ბუნებითმა სამართალმა პრინციპულად ახალი შინაარსი მიიღო – თანამედროვე ისტორიული შესატყვისი სოციალური ღირებულებით. ეს არის ადამიანის გონიერებისა და თავისუფლების უმაღლესობა, მისი მაღალი სტატუსი – თანდაყოლილი უფლებები. ბუნებითი სამართალი კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების ყველა ეტაპზე უცვლელი, აქტიური საფუძველია პოზიტიური სამართლისა. პოზიტიური სამართალი – მოქმედი ფენომენი სულ უფრო მეტად ხდება ადამიანთა ცხოვრებაში გონიერების, ჰუმანური ღირებულების გამოხატულება. იგი მოწოდებულია უზრუნველყოს ადამიანის, როგორც გონიერი არსების თავისუფლება.

კაცობრიობის ცივილიზაციის ყველა ეტაპზე ბუნებითი სამართალი არის უცვლელი და აქტიური საფუძველი პოზიტიური სამართლისა. ამასთანავე, პოზიტიური სამართალი თავისი არსით სულ უფრო მეტად იძენს ადამიანთა ცხოვრებაში გონიერების და ჰუმანური ღირებულებების ძალას. ადამიანის, როგორც გონიერი არსების თავისუფლება, ბუნების უმაღლესი ქმნილებაა.

პოზიტიური სამართლის ძირეული საკითხია – რომელი სოციალური რეგულატორი -ჩვეულება, მორალური, კანონი, რელიგიური დოგმები, იდეოლოგიური ქცევები არის დომინირებული პრაქტიკულ ურთიერთობაში? სამართლის პოტენციალი ისეთია, რომ იგი წარმოადგენს დომინანტს ადამიანთა ცხოვრებისეული ურთიერთობის რეგულირებაში.

მე-18-20 საუკუნეებში განმანათლებლობის ეპოქაში სამართლის პროგრესის სულიერ-ინტელექტუალური ფაქტორი და ჰუმანური სამართლის კონცეფცია გახდა დომინირებული.

ჰუმანური სამართლის ფილოსოფიის ფორმულირების წანამძღვარია საზოგადოების დემოკრატიული გარდაქმნა, ლიბერალური ცივილიზაციის მნიშვნელოვანი ელემენტის – ღრმა დემოკრატიული საწყისების დამკვიდრება საზოგადოების ცხოვრებაში. ჰუმანური სამართლის კონცეფციის არსი და ცენტრალური რგოლი არის თავისუფლება.

თავისუფლების ცნებაში იგულისხმება ფართო სპექტრი ადამიანური ღირსებისა. თავისუფლება ე.კანტის მოსაზრებით, უპირველეს ყოვლისა „ბუნების ფენომენია". იგი თითოეული ადამიანის ყოფიერების ფუძემდებლური ელემენტია, მისი შემოქმედებისა და ინიციატივის წყარო. ამდენად, კაცობრიობის განვითარების წყაროც არის.[1]

თავისუფლებისადმი ასეთივე მიდგომა აქვს ჰეგელსაც. არსებითი არის ის რომ ჰეგელის აზრით, სამართალი არის ობიექტური რეალობა, რომელშიც თავისუფლებას აქვს აუცილებელი ელემენტის ადგილი.[2]

თავისუფლება თითოეული ადამიანისათვის, რომელიც მას თვით ბუნებისაგან აქვს მინიჭებული უმაღლესი ღირებულებაა, რომელიც არ არის დაკავშირებული არც სქესზე, არც სოციალურ მდგომარეობაზე, საქმიანობასა და ჯანმრთელობაზე, ინტელექტუალურ და სხვა თვისებებზე, არამედ არის უნიკალური გამოვლინება კაცობრიობის ცივილიზაციისა.

სწორედ თავისუფლება, განსაკუთრებით ლიბერალური ცივილიზაციის დამკვიდრების პირობებში გამოხატავს ადამიანთა ცხოვრების არსს, მის დანიშნულებას, ყველაზე მნიშვნელოვანს, რაც შეიძლება მისცეს ადამიანებს ნამდვილმა ბედნიერებამ, ცხოვრების სიამოვნებამ და კმაყოფილებამ.

სწორედ სამართალი თავისი არსით წარმოადგენს ისეთ წარმონაქმნს, რომელსაც უნარი აქვს ლოგიკურად და რეალურად იყოს ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის თავისუფლების რეალიზაციას, აძლევს მას განსაზღვრულობას, ადამიანურ ღირებულებებს.

რეგულირების რთული იურიდიული კონსტრუქციები, ტიპები და მექანიზმები უზრუნველყოფენ იმ იდეებსა და ღირებულებებს, რომლებიც შეესაბამებიან ლიბერალური ცივილიზაციის იდეებსა და ღირებულებებს. მაგალითისთვის საკმარისია დავასახელოთ, რომ ლიბერალური ცივილიზაციის გადამწყვეტი საწყისი – ნების დართვა/ნებართვა (განსხვავებით ვალდებულებისა და აკრძალვისაგან) განსახიერდება და პრაქტიკულად რეალიზირდება სწორედ პოზიტიურ სამართალში. სწორედ პოზიტიური სამართალი ანიჭებს მას თავისუფლებას.

---

[1] Kant, Immanuel, *The Groundwork for the Metaphysic of Morals*, 189-262. Edited by Thomas E. Hills, Jr. and Arthur Zweig. Copyright © 2002. Reprinted with the permission of Oxford University Press.

[2] Гегель Г.В.Ф. *Философия Дыха // Энциклопедия философских чаук*. М. 1977. С. 406.

როცა სივრცე შერწყმულია გონიერებასთან, სულიერ ღირებულებასთან სამართალმა უნდა უზრუნველყოს საზოგადოების ორგანიზებულობა, მკაცრი წესრიგი, ადამიანთა ჰარმონიული ურთიერთობა. საზოგადოებაში არსებული იურიდიული სისტემა არეგულირებს მასში ჩამოყალიბებულ მრავალგვაროვან, ისტორიულ და სპეციფიკურ და საზოგადოებრივ ურთიერთობებს. რეალურ სამართლებრივ ცხოვრებაში ადამიანთა თავისუფლება და ადამიანთა უფლებები, სამართლებრივი კულტურის განვითარება უნდა ემსახურებოდეს პიროვნების სტატუსის ამაღლებას.

იურიდიულ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამოქალაქო კანონს. სწორედ სამოქალაქო კანონები არიან მთავარი ფაქტორები, რომელთა დახმარებითაც თავისუფლების იდეა, დემოკრატიული და სამართლებრივი კულტურის მოთხოვნები რეალურად განსახიერდება ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების მრავალფეროვან გამოვლინებაში და ამით იურიდიულად არის უზრუნველყოფილი თანამედროვე თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება.

სამოქალაქო კანონებში ასახვა ჰპოვა კულტურის ისეთმა მიღწევებმა, რომელიც გამდიდრებულია გონიერებით. თანამედროვე სამოქალაქო კანონებმა შეითვისა არა მარტო ანტიკურ პერიოდში შემუშავებული ტექნიკურ-იურიდიული მხარე, არამედ შეუსაბამა ის თანამედროვე დროის იურიდიულ დებულებებს.

სამოქალაქო კანონების ღირსება და უნიკალობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მათში ყველაზე მკაფიოდ არის გამოხატული სამართლის ჰუმანური პრინციპები.

სამოქალაქო კანონებს საფუძველი ჩაეყარა ანტიკურ პერიოდში რომის კერძო სამართლის სახით. კერძო სამართალი სამართლის ისეთი ნაწილია, რომელიც ანტიკური პერიოდიდან თითქოს გამზადებული იყო თანამედროვე პერიოდისათვის. კერძო სამართალი ისეთი იურიდიული სფეროა, რომელიც უშუალოდ პირდაპირ განასახიერებს კულტურის მიღწევებს, გონიერების სრულყოფას, ადამიანის თავისუფლების, მისი პირადი უფლებების, პიროვნებისადმი ჰუმანური დამოკიდებულებების სფეროში. ამასთანავე, დემოკრატიულ საზოგადოებაში კერძო სამართალი იურიდიულ სისტემას შესაძლებლობას აძლევს ამაღლდეს ხელისუფლებაზე ზემოთ. კერძო სამართალი სწორედ იმიტომ არის „კერძო", რომ იგი იურიდიულად განამტკიცებს პიროვნების ავტონომიურ, სუვერენულ და თავისუფალ სტატუსს ამ პიროვნების კერძო ცხოვრებაში, ე.ი იმ ჰუმანურ ღირებულებებს, რომელიც აუცილებელია პიროვნების როგორც საზოგადოების დამოუკიდებელი სრულფასოვანი სუბიექტისათვის და რომელსაც კერძო იურიდიული სისტემა საშუალებას აძლევს დაცული იყოს სახელმწიფოს თვითნებურობისაგან.

სამოქალაქო კანონები დიდ მისიას ასრულებენ თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებასა და განვითარებაში. თითოეული ავტონომიური ადამიანის თავისუფლება სამოქალაქო სამართლის მეშვეობით ყოველდღიურ ცხოვრებაში მტკიცე საფუძველია პრაქტიკაში თავისუფლების და მთლიანად ცივილიზაციის განვითარებისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, მე-18-20 საუკუნეებში რომანული მოვლენების ჯაჭვში ჰუმანურ სამართალს ჩაეყარა საფუძველი და შესაბამისად, ფილოსოფიურ-სამართლებრივი იდეები არის უფრო მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა ევროპული-სამართლებრივი კულტურის განვითარებაში.

თავისი მაღალი, დომინირებული თვისებებით და ფუნდამენტური მისიით სოციალურ რეგულირებაში ბუნებითი სამართალი არის პოზიტიური სამართლის საფუძველი. იმ მრავალი უფლებისაგან, რომლებიც განპირობებული არიან ცხოვრების მრავალფეროვანი პირობებითა და მოთხოვნილებებით გამოიყოფა ადამიანის განუყოფელი და თანდაყოლილი უფლებები, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანური ყოფიერების არსს. ეს არის თავისუფლება, სიცოცხლის უფლება, პიროვნების ხელშეუხებლობა, საკუთრების უფლება, სიტყვის თავისუფლება და ა.შ. ამასთანავე, თავისუფლების საფუძველი გახდა ბუნებითი სამართლის მოთხოვნები ადამიანის თანდაყოლილი, განუსხვისებელი უფლებების ინდივიდუალიზაციაში.

სამართლებრივი ცხოვრების ჰუმანიზმი მნიშვნელოვნად არის განპირობებული იმ ჰუმანური ელემენტებით, რომლებიც განმტკიცებულია სამართლის ნორმებში.

ადამიანური ყოფიერების არსი და პოლიტიკურ-სამართლებრივი რეალობის განვითარება, ფილოსოფიურ-სამართლებრივი კონცეფცია ადასტურებს, რომ ადამიანთა ცხოვრებაში სამართალი უნდა შეესაბამებოდეს კაცობრიობის ცივილიზაციის თანამედროვე მოთხოვნებს.

განსაზღვრება „ჰუმანური" სამართალთან მიმართებაში ასახავს საზოგადოების ცხოვრებაში ადამიანურ ღირებულებებსა და ინტერესებს მკაცრად პერსონიფიცირებული მნიშვნელობით.

სამართლის რეალობა, მისი ქმედითობა განსახიერდება კანონიერების მეშვეობით, რომლის არსი კანონების ზუსტი და განუხრელი შესრულებაა. კანონიერება სამართლებრივ სახელმწიფოში ნიშნავს არა ყველა სამართლებრივი ნორმის განხორციელებას, არამედ ჰუმანური სამართლის საწყისების ხორცშესხმას, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის განუსხვისებელი უფლებების განხორციელებას, როგორიცაა სიცოცხლის უფლება, საკუთრების უფლება, თავისუფლება და ა.შ. ეს ნიშნავს მთელი იურიდიული სისტემის და პოლიტიკურ-სამართლებრივი ცხოვრების რეალურ -დემოკრატიულ ჰუმანურ საწყისებზე აგებას.

თანამედროვე ჰუმანური სამართლის კონცეფცია განიხილება არა როგორც ფაქტი, არამედ ფაქტიურად არსებული იურიდიული სისტემა ამა თუ იმ ქვეყნისა. ამდენად, იგი არის განსაზღვრული იდეა, მოდელი, თეორიული სახე.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისეთ დემოკრატიულად განვითარებული ქვეყნების ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ნორვეგია, შვეიცარია, ჰუმანური სამართლის თუ ყველა ელემენტი არა, უმრავლესობა მაინც უკვე ჩასახულია, ზოგიერ-

თი მათგანი კი მომწიფებულია. თითოეული ელემენტი შეესაბამება საზოგადოებრივი განვითარების ლოგიკას. პასუხობს ცივილიზაციის თანამედროვე დონეს.

ამრიგად, თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი სამართლებრივი კონცეფცია არის ჰუმანური სამართლის კონცეფცია, რომელიც მოწოდებულია საზოგადოებრივი ცხოვრება დაექვემდებაროს ადამიანურ ღირებულებებს, სამართლიანობას, საზოგადოების წევრთა თავისუფალ განვითარებას.

სამართლებრივ სახელმწიფოში კანონიერება უნდა ეფუძნებოდეს ჰუმანური სამართლის პრინციპებს, ადამიანის ბუნებრივ უფლებებს. სამართლებრივმა ურთიერთობამ უნდა შეიძინოს სამართლებრივი თვისება, უნდა გახდეს ისევე აუცილებელი და კანონზომიერი, როგორიც ბუნებაა. ადამიანები ისევე უნდა დაემორჩილონ იურიდიულ კანონებს, როგორც ემორჩილებიან ბუნების კანონებს, რაც მთელი საზოგადოების ჰარმონიული განვითარების საწინდარი იქნება.

ცნობილი ფილოსოფოსი ფ. შელინგი მიიჩნევდა, რომ სამართლებრივი წყობა „მეორე ბუნებაა“ როცა თავისუფლება გარანტირებულია წესრიგით, რომელიც ისევე ცხადი და უცვლელია, როგორც ბუნების კანონები".[1]

პოზიტიური სამართალი, რომელიც დაფუძნებულია ადამიანის განუსხვისებელ უფლებებზე არის პრაქტიკული საზოგადოებრივი ურთიერთობების დომინირებული რეგულატორი. იგი არა მარტო პირველია რეგულირების სისტემაში, არამედ უჭირავს მონოპოლიური მდგომარეობა ყველა იმ ცხოვრებისეული სიტუაციების გადაჭრაში, რომლის გარეშე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაბატონდება ქაოსი და განუკითხაობა.

ჰუმანური სამართლებრივი ფილოსოფიის ღრმა საფუძველს წარმოადგენს ადამიანთა ყოფიერების ბუნებრივ-სამართლებრივი საწყისი, რომელიც კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე გამოიხატება ადამიანის უმაღლეს ღირსებასა და განუსხვისებელ უფლებებში, რომლის არსი გამოიხატება დემოკრატიული საზოგადოების იურიდიულ სისტემაში.

განსაკუთრებულია ჰუმანური სამართლის ისეთი ნიშნები, როგორიცაა ადამიანის თავისუფლების იურიდიული გარანტიები, იურიდიული სისტემის კანონიერება, ბრძოლა ძალადობასთან, სამართლიანი მართლმსაჯულება.

ჰუმანური სამართლის პრიორიტეტი საკუთრების დაცვაა. საკუთრება ეკონომიკური თვალსაზრისით არა მარტო მატერიალური სიკეთეა, არამედ აქტიური სამეურნეო საქმე, შრომა და პასუხისმგებლობა. ადამიანის თავისუფლება შეუძლებელია თუ მას არ აქვს საკუთრების უფლება.

სამოქალაქო კოდექსი საქართველოს დემოკრატიული განვითარების ნათელი გამოხატულებაა, რომელშიც ასახულია ჰუმანური სამართლის პრინციპები. სამოქალაქო კოდექსი ზოგადი სახით განამტკიცებს სამოქალაქო კანონმდებლობის ძირითად საწყისებს. მისი თითოეული ნორმა ასახავს ადამიანის თავისუფლებას და მის სამოქალაქო უფლებებს, ჰუმანური სამართლის ფუძემდებლურ პრინციპებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის არსებითი თვისება მდგომარეობას იმაში, რომ მისი მთავარი საწყისები ჰუმანური კონცეფციისა გამოხატულია საკანონმდებლო ფორმულებში. არსებითი მნიშვნელობა აქვს კოდექსის ფორმულირებას რომ „საკუთრება ხელშეუხებელია".

აზუსტებს რა „ქონების“ ცნებას, კოდექსი ადგენს, რომ „ქონება, ამ კოდექსის მიხედვით არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუ კი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს".[2]

ეს არის სამოქალაქო კანონმდებლობის ერთ-ერთი ცენტრალური დოგმა.

სამოქალაქო კოდექსის ნორმებში გათვალისწინებულია, ადამიანის სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირების ზოგადი თავისებურებანი, სამოქალაქო უფლებების განუხრელი განხორციელება, დარღვეულ უფლებათა აღდგენის მექანიზმები, მათი სასამართლო წესით დაცვა.

ჰუმანური სამართლის პრინციპები ნათლად არის ფიქსირებული სამოქალაქო კანონმდებლობის შემდეგ დებულებებში:

- სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეების თანასწორუფლებიანობა, თანაც ისეთი, რომელიც არ არის დამოკიდებული რაიმე ნიშანზე, თანაც არცერთ მათგანს არ აქვს პრივილეგიები;

- სამოქალაქო უფლებების ხელშეუხებლობა, მათ შორის ფორმულირებისა საკუთრების ხელშეუხებლობის შესახებ. სამოქალაქო უფლებებით სარგებლობა იმ დონით და აბსოლუტური დაცულობით, რაც გათვალისწინებულია კანონით.

- სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა ნების იურიდიულად მაღალი დონე (დისპოზიციურობა), რომლის შესაბამისად ისინი ახორციელებენ თავიანთ უფლებებს საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით. კოდექსში განმტკიცებულია უაღრესად მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ფორმულა – გარიგების თავისუფლება, რომელიც არის იურიდიულად უნიკალური გამოხატულება თავისუფლებისა.

აღნიშნული სამი დებულება არის მნიშვნელოვანი დემოკრატიული მონაპოვარი ამა თუ იმ ქვეყნის იურიდიული სისტემისა.

[1] Шеллинг Ф.В. Соч. в 2т. Том I ь М. 1987 С. 458.

[2] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 147.

თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის მთავარია, რომ ჰუმანური სამართლის პრინციპები მტკიცედ დამკვიდრდნენ იურიდიულ ყოფიერებაში, საზოგადოების რეალურ ცხოვრებაში.

სამოქალაქო კანონმდებლობის გარდა ჰუმანური საწყისები განმტკიცებულია სამართლის სხვა დარგებშიც.

ქვეყნის ძირითად კანონში – კონსტიტუციაში დეკლარირებულია უნიკალური ჰუმანური პრინციპები. კანონის მე-5 მუხლი ადგენს, რომ საქართველოში ხელისუფლების წყაროა ხალხი, რომელიც თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით. არავის არ აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება.

მე-7 მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ სრულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ეს ნორმები არის უმაღლესი გამოსახულება ადამიანური ჰუმანიზმისა, პიროვნების მაღალი სოციალური სტატუსის ნათელი აღიარება.

გარდა ამ მნიშვნელოვანი პრინციპებისა, კონსტიტუციის ნორმებში განმტკიცებულია ადამიანის ფუნდამენტური, განუსხვისებელი უფლებები და თავისუფლებები, კერძოდ: სიცოცხლის უფლება, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება, კანონის წინაშე ყველას თანასწორობა, პირადი თავისუფალი განვითარების უფლება, პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა, ადამიანის თავისუფლების ხელშეუვალობა, სიტყვის, აზრის, სინდისის თავისუფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუვალობა, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება, ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება, საზოგადოებრივ გაერთიანებებში მონაწილეობის უფლება, შრომის თავისუფლება, განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება, ჯანმრთელობის დაზღვევით სარგებლობის უფლება და ა.შ.

ამ უფლებათა და თავისუფლებათა უბრალო ჩამონათვალიც ნათელყოფს რამდენად სისხლსავსეა ჰუმანური საწყისები ქართულ კანონმდებლობაში.

სამართალი უნიკალური ინსტიტუციური წარმონაქმნია. იგი განხილულ უნდა იქნას „წმინდა სახით", მორალის, ჩვეულების, ეთიკის, ესთეტიკის და სხვა კატეგორიებისაგან დამოუკიდებლად. სამართალს აქვს თავისი მატერია. სამართლის ძალა სწორედ ამ მატერიაში ვლინდება. ეს არის სამართლის იდეა, ფორმა, რომელშიც გამოსახულია სამართალი, მისი ღირებულება, როგორც განსაკუთრებული ობიექტური რეალობისა. ნამდვილი სამართალი არის იქ, სადაც რეალურად არსებობს ადამიანის თავისუფლება.[1]

თითოეული ადამიანის თავისუფლება უნდა იყოს სხვა ადამიანის თავისუფლების თანმხვედრი, რადგან ზღვარდაუდებელი თავისუფლება, რომელიც ლახავს სხვა პირის ინტერესებს, არ სარგებლობს სამართლის მხარდაჭერით. პიროვნების თავისუფლების შეთანხმება ყველა სხვა დანარჩენი პიროვნების თავისუფლებასთან იურიდიული მხრივ გამოხატულებას პოულობს იმ საწყისის რეალიზაციაში, რასაც ეწოდება „თითოეულს თავისი".

ადამიანის თავისუფლება, მისი განუსხვისებელი უფლებების პრობლემა მწვავე პრობლემაა, რომელიც შეადგენს ადამიანის ცხოვრების არსს, პოლიტიკურ ცხოვრებას, მეცნიერებასა და საზოგადოებრივ ყოფიერებას. როგორ მოხვდა ადამიანის თანდაყოლილი უფლებების რეალიზაცია იურისპრუდენციის სფეროში? მსოფლიოში შეიმჩნევა ტენდენცია განვითარდეს და გაღრმავდეს ადამიანის უფლებები. ეს იდეა იწვევს ინტელექტუალურ მსოფლმხედველობით ჰუმანურ ინტერესს.

ლიბერალური ცივილიზაციის პირობებში მსხვილი სოციალურ-ეკონომიკური, შრომითი, საპენსიო და სხვა ანალოგიური უფლებები იძენენ სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას ადამიანთა ცხოვრებაში. ისინი რეალიზირებულნი უნდა იქნენ სოციალური პრინციპების საფუძველზე.

სამართალი ერთ-ერთი მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციას იურიდიულ ჩარჩოებში.

უდავოა, რომ კეთილი საქმეა გაფართოვდეს ადამიანის უფლებათა კატალოგი, განსაკუთრებით ჰუმანური მიმართულებით, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო მასშტაბით, თუმცა აუცილებელია სათანადო ასახვა ჰპოვოს კანონმდებლობაში, რადგან სამართლებრივი რეგულირების გარეშე ეს კეთილშობილური იდეა ვერ განხორციელდება.

ადამიანთა უფლებების სფეროში გამოიყოფა ცენტრალური, განმსაზღვრელი რგოლი – ინდივიდუალური სულიერი თავისუფლება, მაღალი ზნეობრიობა, მორალური პრინციპები, რომელთა საფუძველზე მიმდინარეობს ზნეობრივი პროგრესი, რომელშიც ეს შემოქმედებითი თავისუფლება პოულობს საუკეთესო პირობებს თავის განხორციელებისთვის. თითოეული ადამიანის უფლება თავისი განუმეორებელი ინდივიდუალურობისაა. დამახასიათებელია, რომ მაღალი სამართლებრივი კულტურის დემოკრატიულ ქვეყანაში ინდივიდუალური უფლებების კონტექსტში განიხილება ადამიანის უფლების ბევრი მხარე.

ეკონომიკური და კულტურული განვითარების მსვლელობაში განუხრელად იზრდება პიროვნების მოთხოვნილებების დონე, მისი თვითშეგნება და თვითღირებულება. ადამიანის განსხვავებული უფლებები, როგორიცაა სიცოცხლის უფლება, ადამიანის დამოუკიდებლობა, მისი ღირსება, მისი სოციალური სტატუსი, სამოქალაქო საზოგადოებაში მხოლოდ იურიდიული სისტემისა და წესრიგის მეშვეობით რეა-

[1] Finnis, John M., „Law, Morality, and Sexual Orientation", *Notre Dame Law Review*, 69 (5): 1049, 1062-1076. Copyright © 1994. Reproduces with permission of Notre Dame Law Review

ლიზირდება, მხოლოდ იურიდიული კატეგორიებით მკვიდრდება ადამიანის ადგილი მთელ სოციალურ სივრცეში.

თუ სამართალს აქვს ღრმა ბუნებრივი ფესვები, ერთ-ერთ მის ბუნებრივ გამოხატულებას სამართლებრივ რეგულირებაში წარმოადგენს ის, რომ კანონის შესაბამისად, მართლმსაჯულების ჩარჩოებში გადაჭრის მის დაქვემდებარებაში მყოფ ყველა საკითხს. ადამიანის უფლებანი ჩანერგილია თვით იურიდიული მატერიის წიაღში, რთულ იურიდიულ მექანიზმებში, რომელიც გამოხატულია იურიდიულ ნორმებში, კანონებში, სამართლის ობიექტურ თვისებებში.

კატეგორია „ადამიანის უფლებები“ განიხილება როგორც სამართლებრივი სინამდვილე და მისი მექანიზმი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ადამიანს იყოს სოციალური ცხოვრების სრულფასოვანი სუბიექტი. „ადამიანის უფლებებში“ ასახულია პრინციპები და თავისებურებანი, რაც სამართლის ბუნებას და ლოგიკას ახასიათებს, ე.ი. ის, რომელიც მოიცავს კაცობრიობის გონიერი არსებობის პირობას და უჭირავს ამ პროცესში აუცილებელი, უალტერნატივო ადგილი.

სამოქალაქო საზოგადოებას ლიბერალური ცივილიზაციის ეპოქაში ჭირდება არა მარტო იურიდიული სისტემა, რომლის არსი არის არა მარტივი რეგულირება, არამედ იდეოლოგიური კრედო, რომელიც გაჯერებული იქნება ჰუმანური პრინციპებით.

ყოველი სამართალი არის „ხალხის სამართალი". ამ მიმართებაში არის ინსტიტუტი, რომელიც მიმართულია ადამიანის ნებასა და ქცევებზე. სხვადასხვა ტიპის იურიდიული სისტემები მოწოდებულია დაიცვას ადამიანის უფლებები და ამ მიმართებით არ არსებობს სხვა უფრო ეფექტური მექანიზმი, ვიდრე იურიდიული სისტემაა. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ იურიდიული სისტემა ემსახურებოდეს არა ხელისუფლებას, არამედ ხალხს.

საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე უცვლელი რჩება სამართლის, როგორც რეგულირების ფუნქცია, ამასთანავე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ფუნქცია აუცილებელი საზოგადოებრივი განვითარებისთვის ადამიანის კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის. ამისთვის სამართალს ესაჭიროება საზოგადოებრივი დისციპლინა, დასჯითი მეთოდების გამოყენება, რომელიც შერწყმულია მორალურ პრინციპებთან და ნორმებთან.

განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების პირობებში ჰუმანური და დემოკრატიული საწყისების გაძლიერებამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სამართლებრივ მატერიაში იძულებითი მეთოდების შესუსტების თვალსაზრისით. შესაბამისად, წინა პლანზე წამოიწია რეგულირების ზოგადდასაშვებმა მეთოდმა.

ზოგადი დაშვება სამართალში ნიშნავს იმას, რომ მოქმედ იურიდიულ სისტემაში მოქმედებას იწყებს სამართლებრივად დასაშვები ქცევა, მათ შორის მორალურიც. აგრეთვე ის გარემოება, რომ ზოგადი დაშვება დამახასიათებელია იმ ინსტიტუტებისათვის, რომლებიც სამართალს აძლევენ პრინციპულად ახალ იერსახეს, „კერძო სამართლის“ ნიშნებს, დასაშვებს ხდის წამყვან სამართლებრივ რეგულირებას.

ზოგადდასაშვები უფლება უმნიშვნელოვანესი ნიშანია იმ იურიდიული სისტემისა, რომელიც უნდა დამკვიდრდეს საზოგადოების ლიბერალურ დემოკრატიაზე გადასვლის პირობებში. ზოგადდასაშვები უფლება თავისი ფესვებით ეფუძნება ბუნებით სამართალს, კერძოდ იმ ნაწილს, რომელიც ახასიათებს ადამიანს, როგორც დამოუკიდებელ პერსონას. თითოეული ადამიანის პირადი თავისუფლება არის ჭეშმარიტად ჰუმანური მოთხოვნა, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ყველა იურიდიულ სისტემას.

იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკის სამი საკვანძო საკითხია შემდეგი:

- ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამართლის საყოველთაობას;
- ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ პიროვნების მაღალ საზოგადოებრივ სტატუსს;
- იურიდიული რეგულირების სახელშეკრულებო მეთოდი.

სამივე საკვანძო საკითხი სრულყოფილებას აღწევს ლიბერალური დემოკრატიის პირობებში, თუმცა მათ შორის უპირატესობა ეძლევა ინსტიტუტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. ადამიანის უფლებების დაცვა გამოხატული უნდა იყოს სამართლის ნორმებში, ინსტიტუტებში, პოზიტიური სამართლის სტრუქტურულ კომპლექსებში, მექანიზმებში, მეცნიერულ კონცეფციებში, რეგულირების სისტემაში.

ადამიანის დამოუკიდებლობის ჩარჩოებში შესაძლებელია რეალიზირებული იქნას ის გადამწყვეტი პირობა, რაც აუცილებელია სამართლის ზოგადი დასაშვები ბუნებისათვის – პიროვნების სამართლებრივი სტატუსის ამაღლება.

დემოკრატიულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის საზოგადოება, რომელიც თავის ფესვებში ინახავს რესურსს, მოქალაქეების უფლებების დაცვისთვის. ამ უფლებათა შორის ფუნდამენტურია სიცოცხლისა და საკუთრების უფლება. უფლება ფლობდეს ქონებას, იყოს მესაკუთრე, რომელიც მოქალაქეს მისცემს საშუალებას უზრუნველყოს მისი დამოუკიდებლობა ყველა საზოგადოებრივი წყობისთვის მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

საყურადღებოა დიდი გერმანელი ფილოსოფოსის ე.კანტის შეხედულებანი სამართალზე. იგი წერს: „სამოქალაქო წყობა განსახიერებული სამართალში წარმოადგენს ადამიანთა შორის გარეგანი ურთიერთობის უსიტყვო და პირველად მოვალეობას".[1]

[1] Кант И. Соч. в 6 т. Т. 3. М. 1964. С. 280.

მეორე ადგილას კანტი მიუთითებს, რომ „სამართალი ადამიანებისათვის არის მოვალეობა და იმედი, ხოლო თვითონ სამართალი არის უმაღლესი პრინციპი, რომლიდანაც უნდა გამომდინარეობდეს ყველა მაქსიმი, რაც საზოგადოებას ეხება".[1]

და ბოლოს, სამართალი როგორც მას ხედავს ფილოსოფოსი არის „ყველაზე წმინდა, რაც ღმერთს აქვს შექმნილი დედამიწაზე". [2]

სამართლის აზრი, რომელიც გამომდინარეობს მისი, როგორც ობიექტური გონიერების ყოფიერებიდან და მისი, როგორც ადამიანის უფლებების დახასიათებიდან და რომ სამართლის მეშვეობით მკვიდრდებოდა ადამიანებისათვის ყველაზე დიდი სიკეთე – თავისუფლება, უდავო ჭეშმარიტებაა.

ამრიგად, თანამედროვე ლიბერალურ-დემოკრატიული საზოგადოება ნოყიერ ნიადაგს ქმნის სამართალში ჰუმანური საწყისების დამკვიდრებისა და განვითარებისათვის. კაცობრიობამ ბევრი ქარცეცხლი გადაიტანა, სანამ ამ მდგომარეობამდე მივიდოდა. ჰუმანური სამართლის ჩამოყალიბება და განვითარება ამა თუ იმ ქვეყანაში ბევრად არის დამოკიდებული ჩვენს პლანეტაზე დემოკრატიის განვითარებაზე.

ამჟამად, საქართველო მტკიცედ დგას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის გზაზე, რაც ჰუმანური სამართლის პრინციპების დამკვიდრებისა და განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. ჰუმანური სამართლის კონცეფციას ახალ სიცოცხლეს მიანიჭებს მოქალაქეთა ნება და შეგნება, კანონმდებლობის ცივილიზებული განვითარება, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება, იურიდიული დონის განვითარების ამაღლება და სრულყოფა.

თამარ ალფაიძე

ჰუმანური სამართალი, სამართლის ჰუმანური პრინციპები

რეზიუმე

XVII-XX საუკუნეებში, განმანათლებლობის ეპოქაში ჩამოყალიბდა სამართლის პროგრესის ინტელექტუალური ბირთვი – ჰუმანური სამართლის ფილოსოფია. სამართლის ფილოსოფიის ცენტრალური რგოლი არის თავისუფლება, რომელმაც ადამიანის უფლებები აიყვანა კონსტიტუციურ სამართლებრივ დონეზე მაღლა.

ფილოსოფიის კლასიკოსების განსაკუთრებით ე. კანტის მიერ ჩამოყალიბებულმა შეხედულებამ დასაბამი მისცა ისეთი სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებას, რომელმაც საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში დააყენა ინდივიდის, ავტონომიური ადამიანის თავისუფლება, მისი თანდაყოლილი უფლებების დაცვა.

ჰუმანური სამართლის პრინციპები განსახიერებულია სამოქალაქო კანონებში, ქვეყნის კონსტიტუციაში და სამართლის სხვა დარგებში.

ჰუმანური სამართლის კონცეფცია ნასაზრდოებია ბუნებითი სამართლის პრინციპებით.

ჰუმანური სამართლის ფორმირების წანამძღვარია საზოგადოების დემოკრატიულად გარდაქმნის ლიბერალური ცივილიზაციის დამკვიდრება. სამოქალაქო საზოგადოებას ლიბერალური ცივილიზაციის პირობებში სჭირდება არა უბრალოდ იურიდიული სისტემა, არამედ იდეოლოგიური კრედო, რომლიც გაჯერებული იქნება ჰუმანური სამართლის პრინციპებით.

ამჯამად საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრება მტკიცედ დგას დემოკრატიული განვითარების გზაზე, რაც ნოყიერ ნიადაგს ქმნის ჰუმანური სამართლის პრინციპების დამკვიდრებისათვის, ამისათვის აუცილებელია მოქალაქეთა ნება და შეგნება, კანონმდებლობის ცივილიზებული განვითარება, სამართლიანი მართლმსაჯულება, იურიდიული ცოდნის ამაღლება და სრულყოფა.

[1] იქვე, გვ. 281

[2] იქვე, გვ. 287

Tamar Alpaidze

HUMAN LAWS, HUMAN PRINCIPLES OF LAW

Summary

In XVII-XX centuries, philosophy of *humanitarian* law, intellectual core of the law of progress, was formed. Freedom is a central link in the Philosophy of Law, which took Human Rights above the constitutional legal level. Points of view of classics of philosophy, especially such as Kant, gave rise to establishment of such a legal culture, which put autonomous freedom of an individual at the center of public life, protection of its immanent rights. The principles of *humanitarian* law are embodied in the civil laws, the Constitution and other legal fields. The concepts of *humanitarian* law are subsisted on principles of natural law. The formation of liberal civilization of society's democratic transformation is a forerunner of humanitarian law. Liberal civilization, civil society needs not only a legal system, but ideological credo, saturated with the principles of humanitarian law. Nowadays Georgian government and public stand firmly on the path to democratic development, which creates fertile soil for the establishment of humanitarian principles. For these purposes, citizen's will and consciousness, civilized development of legislation, fair justice and perfection of legal awareness is essential.

თეა სუხიტაშვილი
დავით სუხიტაშვილი

ზოგიერთი საკითხი სადაზღვევო პასუხისმგებლობის შესახებ

სადაზღვევო პასუხისმგებლობად მიჩნეულია პასუხისმგებლობა, რომელიც უზრუნველყოფს წინასწარ განსაზღვრული და გარკვეული სახის ზიანის ანაზღაურებას. ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ისევე როგორც მისი საკუთრების ბედი, პირდაპირ არის დაკავშირებული წინასწარ გაუთვალისწინებელი და აუცდენელი გარემოებების არსებობასთან. აქ მხედველობაში გვაქვს დაუძლეველი ძალის მოქმედებები, როგორიცაა სტიქიური უბედურებები: ზვავი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი და ა.შ., ასევე სოციალური მოვლენები: ომი, რევოლუცია, აჯანყება, სახელმწიფოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები, მაგალითად, როგორიცაა ექსპორტ-იმპორტის აკრძალვა და სხვა. საზოგადოება საუკუნეების განმავლობაში ამ გარემოებით თავსდატეხილი უარყოფითი შედეგების უვნებელყოფის და ამ მავნე შედეგების მინიმუმამდე დაყვანის ხერხებისა და საშუალებების ძიებაშია. ამ მიმართებით საზოგადოებამ დღევანდლამდე ყველაზე კარგი გამოსავალი სადაზღვევო სამართალში ჰპოვა; ამიტომ თანამედროვე ეკონომიკურად განვითარებული საზოგადოება ძნელად წარმოსადგენია სადაზღვევო სისტემის გარეშე.

სადაზღვევო პასუხისმგებლობის ცალკეული საკითხების განხილვამდე და მათზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად მოკლედ შევეხებით დაზღვევის ინსტიტუტს. იხილავდა რა დაზღვევის საზოგადოებრივ მნიშვნელობას, ვ. რაიხერმა ყურადღება გაამახვილა სტიქიურ უბედურებასთან დაზღვევის გზით ბრძოლის ორ განსხვავებულ საშუალებაზე. ერთი მათგანი პრევენციული ხასიათისაა და მიმართულია იქით, რომ არ დავუშვათ სტიქიური უბედურებების დადგომა;[1] ხოლო დაზღვევის მეორე დანიშნულება სტიქიური უბედურებით დამდგარი მავნე შედეგების სწრაფი ლიკვიდაცია და მისი მინიმუმამდე დაყვანაა. ამასთან საჭიროა სადაზღვევო სახსრების მიზანმიმართული გამოყენებით სტიქიით განადგურებული მეურნეობის აღდგენა.[2]

სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში დაზღვევის მნიშვნელობასა და დანიშნულებას მრავალი შრომა მიეძღვნა და მაინც მიგვაჩნია, რომ დაზღვევის მნიშვნელობის შეფასება განსაკუთრებით წარმატებულად არის ფორმულირებული ეკონომისტ ა. ი. ანტონოვიჩის მიერ. – დაზღვევის ამოცანა იმაში მდგომარეობს, წერს იგი, რომ ფიზიკურად განადგურებადი ქონება ეკონომიკურად გაუნადგურებელ ქონებად ვაქციოთ; მისი ფიზიკური განადგურების მიუხედავად, გაუნადგურებელ კაპიტალურ ღირებულებად ვაქციოთ.[3]

მეცნიერ-იურისტთა მიერ დაზღვევის განვითარების რამდენიმე ეტაპი განიხილება. ასე მაგალითად, გ. ფ. შერშენევიჩი დაზღვევის განვითარების ისტორიაში სამ ფაზას გამოყოფდა: „თვითდაზღვევა“, „ურთიერთდაზღვევა“ და „კომერციული დაზღვევა“. გ. შერშენევიჩს თვითდაზღვევა შემდეგნაირად აქვს გაგებული – თუ საწარმო რამდენიმე სამეურნეო ერთეულისაგან შედგება და თითოეული მათგანი ზიანის მიმყენებელი ერთი და იგივე ძალისაგან ერთდროულად არ განიცდის ზემოქმედებას, მაშინ ზიანი, რომელიც განიცადა ერთმა სამეურნეო ობიექტმა, გადანაწილდება ყველა სხვა სამეურნეო ერთეულზე, რითაც შემცირდება იმ დაზარალებული სამეურნეო ერთეულის ტვირთი, რომელმაც განიცადა ზიანი. აღნიშნულის საილუსტრაციოდ გ. შერშენევიჩს შემდეგი მაგალითი მოჰყავს: ორთქმავალთა საზოგადოება „სამოლიოტი“ ფლობს 40 ორთქმავალს. იმის ნაცვლად, რომ საზოგადოებამ თითოეული ორთქმავლის ღირებულებიდან გამომდინარე სადაზღვევო კომპანიას დიდძალი სადაზღვევო პრემია გადაუხადოს, საზოგადოება თვითონ ქმნის სპეციალურ ფონდს და ამ ანგარიშიდან ფარავს უბედური შემთხვევით გამოწვეულ ზარალს. როგორც ვხედავთ, გ. შერშენევიჩი ერთი საწარმოს მიერ და მის შიგნით ეკონომიკური მართვის რეჟიმს დაზღვევის ზოგად პრინციპებთან აიგივებს.[4] თვითდაზღვევასთან დაკავშირებულ გ. შერშენევიჩის პოზიციას ფაქტობრივად იზიარებს ვ. რაიხერიც. [5]

შემდგომ წლებში გ. შერშენევიჩისა და ვ. რაიხერის შეხედულებები თვითდაზღვევასთან დაკავშირებით უარყოფილ იქნა მ. ი. ბრაგინსკისა და ვ. ვ. ვიტრიანსკის მიერ. ისინი მიიჩნევენ, რომ თვითდაზღვევას დაზღვევის ზოგად წესთან საერთო არაფერი აქვს. ასეთი შემთხვევების ანუ თვითდაზღვევის დროს გამორიცხულია დაზღვევისათვის დამახასიათებელი ძირითადი გვაროვნული ნიშანი – პასუხისმგებლობის გადანაწილება. მაშინაც, როცა დაზღვევის მიზნით ფირმა გადაინახავს გარკვეულ მატერიალურ რე-

---

[1] ამის თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება გამოყენებული იყოს სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარების მასობრივი დანერგვა-გამოყენება.

[2] *Райхер В.К.*, Государственное страхование в СССР, Москва – 1938 г., 5-6.

[3] *Антонович А.Я.*, Курс политэкономии, Киев – 1886 г., 652-653. ტექსტი ციტირებულია წიგნიდან – *Брагинский М.И., Витрянский В.В.,* Договорное право, книги 1-5, Москва – 2000-2006 г.г., книга третья, Договоры о выполнении работ и оказании услуг, 273. <http://www.alleng.ru/d/jur/jur132.htm> [22.04.2015].

[4] *Шершеневич Г.Ф.,* Курс торгового права, том II, 1908 г., 357-359.

[5] *Райхер В.К.* Общественно-исторические типы страхования, Москва – 1947 г., 16.

ზერვს და გადაანაწილებს წლების მიხედვით და მაშინაც, როცა ფირმა გაითვალისწინებს სადაზღვევო მარაგის გადანაწილებას მისსავე ორთქმავლებზე, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, ხანძრისა და სხვა დაუძლეველი ძალით გამოწვეულ უარყოფით მატერიალურ შედეგს პირველ რიგში მაინც ფირმა განიცდის, ხოლო შემდგომ შეიძლება ორთქმავლებზეც აისახოს. არასწორია ასევე მითითება, რომ თითქოს თვითდაზღვევის შემთხვევაში იქმნება „სადაზღვევო ფონდი", რადგან სადაზღვევო ფონდი, როგორც ამას დაზღვევა მოითხოვს, უნდა იყოს განცალკევებული. საწარმოს მიერ თვითდაზღვევის მიზნით შექმნილი მარაგი კი ექვემდებარება ისეთსავე სამართლებრივ რეჟიმს, როგორც მესაკუთრის (საწარმოს) სხვა ქონება.[1]

თვითდაზღვევის სამართლებრივი შეფასებისას ვ. სერებროვსკი მ. ი. ბრაგინსკისა და ვ. ვ. ვიტრიანსკის პოზიციას იზიარებს. – თუ ჩვეულებრივი დაზღვევის დროს, წერს იგი, ზიანი სხვადასხვა სამეურნეო სუბიექტებს შორის გადანაწილდება, თვითდაზღვევის დროს ზიანის ანაზღაურებას ერთი სამეურნეო სუბიექტი ახორციელებს და თანამედროვე დაზღვევასთან საერთო არაფერი აქვსო.[2]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაზღვევის განვითარების მეორე ფაზას მიაკუთვნებენ „ურთიერთდაზღვევას". სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ურთიერთდაზღვევას ახასიათებს დაზღვევისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები. ურთიერთდაზღვევა დაზღვევის ის შემთხვევაა, როცა სადაზღვევო ფულადი კაპიტალის დაგროვება ხდება დაზღვეული ქონების მფლობელების მიერ და ამავე კაპიტალიდან ხდება განადგურებული ან დაზიანებული ქონების ანაზღაურება. ამრიგად, ურთიერთდაზღვევის დროს დამზღვევები, როგორც ცალკე დამოუკიდებელი სუბიექტები, ერთდროულად ერთმანეთის მიმართ დამზღვევებიც არიან და მზღვეველებიც. ამგვარ დაზღვევას საფუძვლად უდევს არა სამეწარმეო (მოგების) მიზანი, არამედ – თვითდახმარება და ურთიერთდახმარება.

ურთიერთდაზღვევის ფორმას დადებითად აფასებს დ. მეიერი. ის ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ურთიერთდაზღვევის საწყისებზე ორგანიზებული დაზღვევა ხელსაყრელი და სარგებლიანია მათი მონაწილეებისათვის, რადგან მათ მიერ გაკეთებული შენატანები გამოიყენება მხოლოდ დაზღვეული ქონებისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. მისგან მოგებას (შემოსავალს) არავინ ღებულობს, ამიტომ სადაზღვევო ფონდის შესაქმნელად გადასახადი თანხა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე კომერსანტი მზღვეველისათვის გადასახდელი პრემია. ამასთან ურთიერთდაზღვევის შემთხვევაში სადაზღვევო კაპიტალის გამოუყენებელი სახსრები ხელშეკრულების მონაწილეების საერთო საკუთრებას წარმოადგენს, მაშინ როდესაც კომერციული დაზღვევის დროს სადაზღვევო კაპიტალის თავისუფალი (გამოუყენებელი) სახსრები მზღვეველის საკუთრებაში გადადის, მისი შემოსავალია.[3]

მართალია, ურთიერთდაზღვევამ განვითარების გარკვეული გზა განვლო და ის არც დღეს არის კატეგორიულად უგულებელყოფილი, მაგრამ კოლექტიური დაზღვევის პირობებში თავისი მნიშვნელობით მაინც უპირველესია კომერციული დაზღვევა. როცა საუბარია კომერციულ დაზღვევაზე, მხედველობაში გვაქვს დამზღვევსა და მზღვეველს შორის დადებული დაზღვევის ხელშეკრულება, როცა მზღვეველის როლში ყოველთვის გამოდის სადაზღვევო კომპანია დამოუკიდებელი იურიდიული პირის სახით. ამ სახის დაზღვევის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის სადაზღვევო პრემიის გადახდით იქმნება დიდძალი სადაზღვევო კაპიტალი, რის წყალობითაც მზღვეველი საზოგადოების თვალში დიდი ნდობით სარგებლობს, რომ სადაზღვევო კომპანიას შესწევს უნარი, აანაზღაუროს სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება. სწორედ რომ მზღვეველის საკუთრებაში დაგროვილი დიდძალი სადაზღვევო ფონდი იძლევა ვალდებულების შესრულების სრულ გარანტიას – გარანტირებული პასუხისმგებლობის უზრუნველყოფას. დამზღვევის მიერ კომერციული მზღვეველისათვის გადახდილი სადაზღვევო პრემია ორი ნაწილისაგან შედგება: 1. სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული სავარაუდო ზარალის ასანაზღაურებელი თანხა ანუ სადაზღვევო თანხა და 2. სადაზღვევო კომპანიის მოგება.

დაზღვევის წარმოშობის დროისა და ადგილის შესახებ მეცნიერ-იურისტთა შორის ერთიანი პოზიცია არ არსებობს. მაგალითად, გ. შერშენევიჩი მიიჩნევდა, რომ ქონების დაზღვევის პირველი სახე, რომელიც საზღვაო ვაჭრობასთან იყო დაკავშირებული, მხოლოდ მე-13 საუკუნეში წარმოიშვაო, ხოლო მისი ინტენსიური გამოყენება ძირითადად მე-16 საუკუნეში გახდაო შესაძლებელი.[4] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უფრო დამაჯერებლად მიგვაჩნია ვ. რაიხერის მოსაზრება. დაზღვევისა და სადაზღვევო სამართლისადმი მიძღვნილ ფუნდამეტურ ნაშრომში - „დაზღვევის საზოგადოებრივ-ისტორიული ტიპები", ავტორმა დიდი ადგილი დაუთმო დაზღვევის წარმოშობა-განვითარების ისტორიას. დაზღვევა, წერს ვ.

[1] Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное право, книги 1-5, Москва – 2000-2006 г.г., книга третья, Договоры о выполнении работ и оказании услуг, 274 <http://www.alleng.ru/d/jur/jur132.htm> [22.04.2015].

[2] *Серебровский В.И.,* Избранные труды по наследственному и страховому праву, Москва – 1999 г., 275.

[3] *Мейер Д.И.,* Русское гражданское право, Москва – 2000 г., 683-684.

[4] *Шершеневич Г.Ф.,* Курс торгового права, 1908 г., 364; იხ. ასევე *Смирнов А.А.* в книге Гражданское право, часть 2, под редакцией доктора юридических наук, профессора *А.П. Сергеева* и доктора юридических наук, профессора *Ю.К. Толстого*, Москва – 1998 г., 494-495.

რაიხერი, არსებობდა ფეოდალიზმისა და მონათმფლობელურ საზოგადოებაშიც და ამასთან იგი იყო ნამდვილად თანამედროვე დაზღვევა. ავტორს ასეთი პოზიცია დასაბუთებული აქვს მოგზაურებს შორის დადებულ ხელშეკრულებებზე მითითებით, რომლებიც თანხმდებოდნენ უბედური (უიღბლო) მოგზაურობის დროს გამოწვეული შედეგების ურთიერთშორის გადანაწილებაზე. ამგვარ უბედურ (უიღბლო) შემთხვევებს მიაკუთვნებდნენ ყაჩაღობას, ქურდობას, ტვირთაკიდებული (საპალნიანი) საქონლის დაცემას ან მტაცებელი ცხოველების მიერ მათ დაგლეჯას და სხვა. განსაკუთრებულ ყურადღებას იძენდა გემის მესაკუთრეებსა და გადასაზიდი ტვირთის მესაკუთრე ვაჭრებს შორის დადებული შეთანხმებები ზარალის გადანაწილების თაობაზე.[1]

სადაზღვევო ურთიერთობის წარმოშობის წანამძღვრები თვით ადამიანის ყოფიერებაში არსებობს. ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება, მისი ბუნებასთან თანაარსებობა ისე არის მოწყობილი, რომ ყოველთვის არსებობს უბედური შემთხვევების წარმოშობის დიდი ალბათობა. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე პირობებში ამგვარი უარყოფითი მოვლენების წარმოშობის რისკი უფრო იზრდება. ადამიანი ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს თავიდან აიცილოს მისი პირადი და ქონებრივი ზიანის გამომწვევი ბუნებრივი და სხვა უბედური შემთხვევები, ხოლო თავს დატეხილი უარყოფითი შედეგები ოპერატიულად აღმოფხვრას. ამგვარმა ცხოვრებამ კი საზოგადოება დაზღვევის წარმოშობის მოთხოვნამდე მიიყვანა. ტრადიციული გაგებით დაზღვევის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან მისი ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც ჩვეულებრივ შემთხვევაში ერთმა პირმა უნდა განახორციელოს, დაზღვევის შემთხვევაში რამდენიმე პირზე გადანაწილდება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთი პირისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება განხორციელდება ამისათვის შექმნილი სპეციალური სადაზღვევო ფონდიდან, რომელიც იქმნება სუბიექტების განუსაზღვრელი წრის მიერ ფულადი გადასახადებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში აქტიურად განიხილება მე-17 საუკუნეში ლონდონში ედვარდ ლლოიდის ყავახანაში ვაჭრებს შორის დადებული შეთანხმება მიყენებული ზიანის ურთიერთშორის გადანაწილების თაობაზე და მიიჩნევენ, რომ დაზღვევის ინსტიტუტსაც ამ დროიდან დაედო სათავე,[2] რასაც ბევრი ავტორი არ იზიარებს და მიიჩნევს, რომ ედვარდ ლლოიდის ყავახანაში ვაჭრებს შორის დადებული შეთანხმების დიდი ინტერესი გამოწვეულია არა მისი, როგორც დაზღვევის წარმოშობის პირველწყაროთი, არამედ მისი სრულყოფილებით.[3] ვ. რაიხერის გადმოცემით ედვარდ ლლოიდის ყავახანაში ძირითადად საზღვაო დაზღვევის ხელშეკრულებებს დებდნენ. საზღვაო დაზღვევის ხელშეკრულებები მრავალფეროვანია. სანაოსნოდ გასული სხვადასხვა საქონლით დატვირთული გემები ხშირად უკან ვეღარ ბრუნდებოდნენ, რის შედეგადაც საქონლის მესაკუთრე ვაჭრები დიდ ზარალს განიცდიდნენ. გარდა სტიქიური უბედურებებისა საქონლით დატვირთული გემი და მისი ეკიპაჟი ზღვის მეკობრეების მსხვერპლიც ხდებოდა, რაც არც დღეს არის გამორიცხული. ამასთან დაკავშირებით საქონლის მესაკუთრე ვაჭრები ანდა ვაჭრები და გემის მესაკუთრეები თანხმდებოდნენ, რომ თავსდატეხილი უბედურების ჟამს განსაცდელში არ მიეტოვებინათ ის ვაჭრები და გემის მესაკუთრეები, რომლებმაც აღჭურვეს გემი სანაოსნოდ და ამით გამოწვეული მატერიალური ზიანი ურთიერთშორის გადაენაწილებინათ.

დაზღვევის ისტორიულ ტიპებს შორის ვ. რაიხერი განიხილავს ასევე ე.წ. „საზღვაო სესხს“, რომელიც ავტორის თქმით, ასევე სათავეს ძველ რომში იღებს და რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ საზღვაო სესხისა და პროცენტის დაბრუნების ვალდებულება განპირობებული იყო საზღვაო ნაოსნობის მშვიდობიანი დასასრულით და მის უზრუნველსაყოფად. შეიძლება ითქვას, რომ საზღვაო სესხით მოვალე ერთგვარად აზღვევდა იმ საშიშროებას, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონოდა ნაოსნობის პერიოდში. შესაბამისად, რამდენადაც სესხისა და პროცენტის გადახდა ნაოსნობის მშვიდობიანი დასასრულის შემთხვევაში ხორციელდებოდა, კრედიტორები ამგვარ სესხს უფრო მაღალი პროცენტით გასცემდნენ. [4]

სადაზღვევო ურთიერთობის არსი და დამზღვევთა ინტერესი იმაში მდგომარეობს, რომ მოხდეს სადაზღვევო შემთხვევით დამდგარი ზიანის გადანაწილება და ამით დაზარალებულს შეუმსუბუქდეს ზიანის აღდგენის ტვირთი. ფაქტობრივად ამით დამზღვევები ურთიერთშორის პასუხისმგებლობის გადანაწილებაზე თანხმდებიან. შეიძლება ითქვას, რომ სადაზღვევო პასუხისმგებლობის თაობაზე ერთიანი პოზიცია არ არსებობს. ო. იოფე და მ. შარგოროდსკი მიიჩნევდნენ, რომ პასუხისმგებლობა უპირველესად არის სანქცია სამართალდარღვევისათვის, ამიტომ მცდარია მტკიცება იმის შესახებ, თითქოს მზღვევე-

[1] *Райхер В.К.*, Общественно-исторические типы страхования, Москва – 1947 г., 16; იხ. ასევე *Серебровский В.И.,* Избранные труды по наследственному и страховому праву, Москва – 1999 г., 280 и сл., *Шиминова М.Я.,* Страхование: история, действующее законодательство, перспективы, Москва – 1989 г., 8 и сл.

[2] *Иванов А.А.* в книге Гражданское право, часть- 2, под редакцией доктора юридических наук, профессора *А.П. Сергеева* и доктора юридических наук, профессора *Ю.К. Толстого*, Москва – 1998 г., 494-495.

[3] Гражданское и торговое право зарубежных государств, том – II, ответственные редакторы: профессор *Васильев Е.А.*, профессор *Комаров А.С.*, Москва – 2006 г., 239.

[4] რაიხერი ვ., დასახელებული ლიტერატურა, 64.

ლის მიერ სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება მისი პასუხისმგებლობაა.[1]

არსებობს აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგო პოზიციაც. პოლონელი პროფესორი ვიტოლდ ვარკალო სადაზღვევო პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში პოლემიკაში ჩართვაზეც კი უარს აცხადებს და მიიჩნევს, რომ სადაზღვევო კომპანიის მიერ სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება არის მზღვეველის პასუხისმგებლობა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პოლონეთის სამოქალაქო კანონმდებლობა მზღვეველს პასუხისმგებელ პირად მიიჩნევს.[2] ამასთან პროფესორი წერს: არანაკლებ მნიშვნელოვანია ინდივიდუალური პასუხისმგებლობისა და მრავალ პირს შორის ზიანის გადანაწილებასთან დაკავშირებული კოლექტიური პასუხისმგებლობის ურთიერთგამიჯვნა. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დროს დამდგარი ზიანის კომპენსაციის ტვირთი ერთი პირიდან (დაზალებულიდან) მეორეზე – ზიანის მიმყენებელზე გადადის, ხოლო კოლექტიური პასუხისმგებლობის დროს ჩვენ საქმე გვაქვს ამ ტვირთის არა უბრალოდ ერთი სუბიექტიდან მეორეზე გადატანასთან, არამედ ზიანის ამ ტვირთის საზოგადოებაზე გადანაწილებასთან. ამგვარი გადანაწილების მაგალითს წარმოადგენს სადაზღვევო განლაგება (раскладка), რასაც საბოლოო ჯამში მივყავართ ერთი პირისათვის მიყენებული ზიანის მრავალრიცხოვან დამზღვევებზე გადანაწილებასთან.[3]

როგორც ვხედავთ, პროფესორი ვ. ვარკალო ერთი მხრივ უდავოდ მიიჩნევს, რომ სადაზღვევო პასუხისმგებლობის ტვირთი ეკისრება მზღვეველს, ხოლო მეორე მხრივ თვითონვე ადასტურებს, რომ სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისათვის კოლექტიური პასუხისმგებლობა დადგება.

მ. ი. ბრაგინსკი და ვ. ვ. ვიტრიანსკი პოლემიკას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაარსებითად მიიჩნევენ და მხოლოდ ტერმინოლოგიურ შეუთავსებლობაზე ამახვილებენ ყურადღებას. ტერმინი „მზღვეველის პასუხისმგებლობა“, წერენ ისინი, გასული წლების განმავლობაში არასწორად იყო გამოყენებული მზღვეველის სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების გამომხატველ სინონიმად. ქონების დაზღვევის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება, ისევე როგორც პირადი დაზღვევის დროს სადაზღვევო ანაზღაურება, არის მზღვეველის სახელშეკრულებო ვალდებულება, თუმცა არცთუ იშვიათად პასუხისმგებლობად არის მოხსენიებული.[4]

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ბატონებს მ. ბრაგინსკისა და ვ. ვიტრიანსკის, რომ სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული შედეგისათვის მზღვეველის მიერ სადაზღვევო საზღაურის გადახდა არის არა პასუხისმგებლობა, არამედ – სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება. ამასთან ვერ დავეთანხმებით მათ მოსაზრებას იმ ნაწილში, თითქოს ადრეულ წლებში მხოლოდ ტერმინოლოგიურ აღრევას ჰქონდა ადგილი. როგორც ვნახეთ, ამის დადასტურებაა პროფესორ ვ. ვარკალოს პოზიცია, რომელიც სრულიად გარკვევით და პრინციპულად აცხადებს, რომ მზღვეველის მიერ სადაზღვევო თანხის (სადაზღვევო საზღაურის) გადახდა არის მზღვეველის პასუხისმგებლობა.

ჩვენი დამოკიდებულება მზღვეველის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული ავტორებისაგან განსხვავებულია. ერთ შემთხვევაში ჩვენ ვიზიარებთ პროფესორების მ. ბრაგინსკისა და ვ. ვიტრიანსკის პოზიციას, რომ მზღვეველის პასუხისმგებლობა დადგება პასუხისმგებლობის საერთო წესების მიხედვით. მაგრამ მზღვეველის პასუხისმგებლობა ამით არ ამოიწურება. ამ მიმართებით დასახელებულ ავტორებს ავიწყდებათ ის თავისებურება, რაც სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევასთან არის დაკავშირებული. მზღვეველის პასუხისმგებლობა ორი მიმართულებით უნდა იყოს განხილული. ერთ შემთხვევაში იგი ექვემდებარება პასუხისმგებლობის წარმოშობის საერთო წესს, ხოლო მეორე შემთხვევაში მზღვეველის პასუხისმგებლობა სპეციფიკურია, მხოლოდ დაზღვევის ინსტიტუტისთვის არის დამახასიათებელი, რაც როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას უკავშირდება.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზოგადი წესი მჭიდროდ არის დაკავშირებული ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის განვითარებასთან, რისთვისაც ამ ურთიერთობის მონაწილეებმა ვალდებულება უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას (სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მზღვეველის მიერ ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას, რაც თავის მხრივ მეორე მხარისათვის უარყოფითი შედეგის მომტანი იქნება. სწორედ მსგავსი სამართალდარღვევის აღკვეთისა და მისგან გამოწვეული შედეგების აღმოფხვრის მიზნით აწესებს კანონმდებელი სამოქალაქო პასუხისმგებლობას.

---

[1] *Иоффе О., Шаргородский М.*, Вопросы теории права, Москва – 1961 г., 314 и сл. „Ответственность есть прежде всего санкция за правонарушение, поетому ошибочно утверждение, что страховщик несет ответственность за убитки, вызванные наступленнием страхового случая».

[2] *Варкалло В.*, Об ответственности по гражданскому праву, перевод с Польского, Москва – 1978 г., 116.

[3] *Варкалло В.*, Об ответственности по гражданскому праву, перевод с Польского, Москва – 1978 г., 123.

[4] *Брагинский М.И., Витрянский В.В.*, Договорное право, книги 1-5, Москва – 2000-2006 г.г., книга третья, Договоры о выполнении работ и оказании услуг, 342-343. <http://www.alleng.ru/d/jur/jur132.htm> [22.04.2015].

ანუ მზღვეველისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის სახეზე უნდა გვქონდეს მის მიერ სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა. თავისთავად მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული შედეგისათვის სადაზღვევო საზღაურის გადახდა თუნდაც იძულებით, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, არ იქნება პასუხისმგებლობა, რადგან ასეთი მოქმედება სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებაა. პასუხისმგებლობის შედეგად კი მზღვეველს სამართალდარღვევისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების გარდა დამატებითი ტვირთი, დამატებითი ვალდებულება დაეკისრება.

სხვა შემთხვევაში მზღვეველის მიმართ შეიძლება გამოყენებული იყოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პირი, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს გარკვეული პროცენტი. პასუხისმგებლობის ეს სახე სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „ფულადი ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის“ სახელით. სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის თანახმად, დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოთხოვნა. ციტირებული ნორმიდან ჩვენთვის საინტერესოა ტექსტის ის ნაწილი, საიდანაც ირკვევა, რომ მზღვეველს ცალკეულ შემთხვევებში ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება ეკისრება სადაზღვევო თანხის სახით. უფრო მეტიც, სამოქალაქო კოდექსის 820-ე მუხლით ზიანის დაზღვევისას მზღვეველი ზიანსაც ფულით აანაზღაურებს და არა ნატურით, როგორც ამას კოდექსის 408-ე მუხლი ითვალისწინებს. შესაბამისად, თუკი მზღვეველი დროულად არ გადაიხდის სადაზღვევო თანხას, იგი პასუხს აგებს სხვისი ფულადი კაპიტალით უკანონოდ სარგებლობისათვის, რომლის სამართლებრივ საფუძველს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი წარმოადგენს.

მზღვეველისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მეორე ჯგუფს განეკუთვნება სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევები. ამის შესახებ თვით სამოქალაქო კოდექსი აკეთებს რამდენიმე მითითებას. 839-ე მუხლის მიხედვით სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევით მზღვეველი მოვალეა, გაათავისუფლოს დამზღვევი იმ მოვალეობისაგან, რომელიც დამზღვევს დაეკისრება მესამე პირის წინაშე დაზღვევის პერიოდში წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამო. როგორც ვხედავთ, კანონს დამზღვევის პასუხისმგებლობა მზღვეველზე გადააქვს, ანუ მზღვეველს აკისრებს პასუხისმგებლობას. მზღვეველის პასუხისმგებლობაზეა საუბარი ასევე კოდექსის 842-ე და 843-ე მუხლებშიც. მაგალითად, ჩვეულებრივ ქონების დაზღვევის ხელშეკრულებით მხარეები – მზღვეველი და დამზღვევი თანხმდებიან, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეულ ზიანს მზღვეველი აანაზღაურებს; ხოლო სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი და დამზღვევი თანხმდებიან, რომ დამზღვევის მიერ სხვა პირისათვის მიყენებული ზიანისათვის ზიანის მიმყენებლის ნაცვლად სამოქალაქო პასუხისმგებლობა მზღვეველს დაეკისრება. სხვანაირად რომ ვთქვათ, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით პასუხისმგებლობის სუბიექტის ჩანაცვლება ხდება. ამიტომ პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს საქმე გვექნება მზღვეველის მხრივ არა ვალდებულების შესრულებასთან, არამედ – სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან.

პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონებისათვის მიყენებული ზიანისათვის წარმოშობილი პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით ერთ შემთხვევაში თვით დამზღვევის პასუხისმგებლობის რისკის დაზღვევა ხდება; ხოლო მეორე შემთხვევაში ხელშეკრულება უშუალოდ მესამე პირის სასარგებლოდ იქნება დადებული. პირველი შემთხვევისათვის პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების მონაწილე მხარეები არიან მზღვეველი და დამზღვევი, რაც იმას ნიშნავს, რომ მზღვეველი დამზღვევის წინაშე არის ვალდებული, ხოლო დამზღვევი უფლებამოსილია უშუალოდ მოითხოვოს მზღვეველისაგან ვალდებულების შესრულება, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამზღვევი დაზარალებულის წინაშე შეასრულებს პასუხისმგებლობას მისთვის მიყენებული ზიანისათვის. მზღვეველის პასუხისმგებლობა აქ არაპირდაპირი ხასიათისაა, რადგან მზღვეველი დამზღვევის მიერ შესრულებული პასუხისმგებლობის კომპენსაციას ახდენს. შესაბამისად, სარგებლის მიმღებადაც (მოსარგებლედ) დამზღვევი გვევლინება. პასუხისმგებლობის სუბიექტთა ასეთი გადანაწილება გამოწვეულია იმით, რომ პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებაში დაზარალებული არანაირი სახით არ მონაწილეობს და მზღვეველისადმი უშუალოდ მიმართვის უფლება არ გააჩნია.

მაგალითად, როდესაც მზღვეველსა და ავტომანქანის მესაკუთრეს (დამზღვევს) შორის იდება ამ უკანასკნელის მიერ სხვისთვის მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის რისკის დაზღვევის ხელშეკრულება, იმის გათვალისწინებით, რომ დაზარალებული ხელშეკრულების მონაწილეს არ წარმოადგენს, ის უფლებამოსილია, პასუხისმგებლობის დაკისრება უშუალოდ ზიანის მიმყენებელს – დამზღვევს მოსთხოვოს და არა მზღვეველს. დაზარალებულისათვის იმგვარი შესაძლებლობის მიცემა, რომ მას უშუალოდ მზღვეველისადმი მიმართვის უფლება ჰქონდეს, დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის მე-11

მუხლი იძლევა. დასახელებული ნორმის მესამე პუნქტის თანახმად ნებაყოფლობითი დაზღვევის დროს დამზღვევი უფლებამოსილია განსაზღვროს მოსარგებლე – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სადაზღვევო ხელშეკრულების თანახმად მიიღებს სადაზღვევო ანაზღაურებას. ზემოაღნიშნულ მაგალითს თუ გამოვიყენებთ, მანქანის მესაკუთრე, როგორც დამზღვევი, უფლებამოსილია, პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებაში მიუთითოს, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მიზნით სარგებლის (სადაზღვევო ანაზღაურების) მიღების უფლება აქვს დაზარალებულს. ამგვარი ხელშეკრულების საფუძველზე დაზარალებული ერთდროულად მოსარგებლეც ხდება და ახლა უკვე, როგორც ხელშეკრულების მონაწილე, მზღვეველისადმი უშუალოდ მიმართვის უფლებამოსილებას შეიძენს. აღნიშნულიდან გამომდინარე მზღვეველმა მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობა უშუალოდ დაზარალებულის (მოსარგებლის) წინაშე უნდა შეასრულოს.

განსხვავებულ პოზიციას ვხვდებით ინგლისურ სამართალში, რომლის მიხედვით გზებზე მოძრაობის შესახებ 1972 წლის კანონის 148-ე, 149-ე მუხლების თანახმად, როდესაც სადაზღვევო კომპანია მანქანის მესაკუთრესთან დადებს სადაზღვევო ხელშეკრულებას ავტო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მესამე პირის სიკვდილისა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევისათვის, სადაზღვევო საზღაურის მიღების უფლება დამზღვევთან (მანქანის მესაკუთრესთან) ერთად აქვს მანქანის მძღოლსა და დაზარალებულ მესამე პირებს. აღსანიშნავია, რომ დასახელებული კანონის მიხედვით დაზარალებული მესამე პირი უფლებამოსილია უშუალოდ მოითხოვოს სადაზღვევო კომპანიისაგან (მზღვეველისაგან) ზიანის ანაზღაურება მას შემდეგ, რაც მიიღებს სასამართლოს გადაწყვეტილებას დაზღვეულის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების თაობაზე.[1]

ზემოაღნიშნულის გარდა ინგლისურ სამართალში კიდევ ერთი თავისებურება ვლინდება. კერძოდ, საგზაო შემთხვევების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დამატებით დაცვას უზრუნველყოფს 1972 წელს ერთი მხრივ გარემოს დაცვის სახელმწიფო სამდივნოსა და მეორე მხრივ ავტომოტოტრანსპორტის სადაზღვევო ბიუროს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როცა ავტო-საგზაო შემთხვევის შემდეგ დამნაშავე მძღოლი მიიმალება ან როცა მძღოლის პასუხისმგებლობა არ არის დაზღვეული. ასეთ პირობებში სახელმწიფო სამდივნოსა და სადაზღვევო ბიუროს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მიუხედავად იმისა რომ დაზარალებული არ არის ამ ხელშეკრულების მონაწილე სუბიექტი, უფლებამოსილია, მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით მიმართოს სადაზღვევო ბიუროს, უფრო მეტიც, ბიუროს წინააღმდეგ საქმე წარმართოს სასამართლოში. [2]

ზიანის მიყენებით წარმოშობილი პასუხისმგებლობის დაზღვევის ნაირსახეობას წარმოადგენს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებაში, წინა ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, მონაწილეობს მზღვეველი, დამზღვევი და დაზღვეული. მესამე პირის სასარგებლოდ პასუხისმგებლობის დაზღვევის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 349-351-ე მუხლები, რომლებიც მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ზოგად დებულებებს შეიცავს; ამავე კოდექსის 836-838-ე მუხლები და დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი. მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებაში დაზღვეული არის პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა. მესამე პირის სასარგებლოდ სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის დროს, კანონმდებლობა, როგორც წესი, დამზღვევს ავალდებულებს ხელშეკრულებაში მესამე პირის განსაზღვრას. ნებაყოფლობითი დაზღვევისას კი დამზღვევი თვითონ არის უფლებამოსილი დაზღვევის ხელშეკრულებაში განსაზღვროს მესამე პირი, როგორც დაზღვეული. თუკი ხელშეკრულებაში ასეთი მითითება არ იქნება, ჩაითვლება, რომ დამზღვევი იმავდროულად არის დაზღვეულიც.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ობიექტი შეიძლება იყოს დაზღვეულის პიროვნება და მასთან დაკავშირებული ინტერესები (პირადი დაზღვევა) ან დაზღვეულის ქონება და მასთან დაკავშირებული ინტერესები (ქონების დაზღვევა), მათ შორის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა. უფრო ზუსტად მესამე პირის (დაზღვეულის) სასარგებლოდ დადებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების ობიექტი იქნება მესამე პირის მიერ დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის ინტერესი. ზემოაღნიშნული მაგალითის მიხედვით მზღვეველსა და დამზღვევს შორის დაიდება ხელშეკრულება, სადაც დამზღვევი მიუთითებს ავტომანქანის სხვა მესაკუთრეზე (მფლობელზე), რომლის მიერ დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანისათვის წარმოშობილი პასუხისმგებლობის რისკი იქნება დაზღვევის ხელშეკრულების ობიექტი.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით წარმოშობილი ყველა უფლება ეკუთვნის მესამე პირს – დაზღვეულს (სამოქალაქო კოდექსის 837-ე მუხლი), ამიტომ ამ სახის ხელშეკრულებაში მესამე პირი ერთდროულად არის დაზღვეულიც და მოსარგებლეც ანუ სადაზღვევო ანაზღაურების მიმღები. დაზღვეული მზღვეველის მიმართ, ერთგვარად დამ-

[1] *Ансон В.,* Договорное право, перевод с англиского, Москва – 1984 г., 284-285.

[2] იხ. დასახელებული ლიტერატურა, იქვე, 285.

ზღვევის როლს იკავებს. კერძოდ, დაზღვეულის მიერ დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანით წარმოშობილი პასუხისმგებლობის შესრულების შემდეგ, იგი უფლებამოსილია უშუალოდ, დამზღვევის გვერდის ავლით, მზღვეველისაგან მოითხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება. მზღვეველის პასუხისმგებლობას ამჯერადაც არაპირდაპირი ხასიათი აქვს, რადგან ამ შემთხვევაშიც მზღვეველი დაზღვეულის ანუ მესამე პირის მიერ შესრულებული პასუხისმგებლობის კომპენსაციას ახდენს. აღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაზღვეული პირი მოსარგებლედ გვევლინება.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებაში დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა თავისებურებით გამოირჩევა. ჩვეულებრივ, პირისათვის მიყენებული ზიანისათვის წარმოშობილი პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებაში ორი პირი მონაწილეობს – მზღვეველი და დამზღვევი, ამასთან დამზღვევი უფლებამოსილია ხელშეკრულებაში მიუთითოს ზოგადად დაზარალებულზე, როგორც მოსარგებლეზე და ასეთ შემთხვევაში დაზარალებული უფლებამოსილი იქნება უშუალოდ მზღვეველისაგან მოითხოვოს პასუხისმგებლობის შესრულება. რაც შეეხება მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებას, მასში მონაწილე მესამე პირი (დაზღვეული) ერთდროულად მოსარგებლეც არის და მხოლოდ მას შეუძლია მზღვეველისაგან სადაზღვევო ანაზღაურების მიღება. ამიტომაცაა, რომ დაზარალებულს მზღვეველისაგან უშუალოდ მოთხოვნის უფლება არა აქვს. ასეთი უფლება დაზარალებულს დაზღვეულის მიმართ გააჩნია. ვფიქრობთ, ერთადერთი გზა მზღვეველისათვის პასუხისმგებლობის უშუალოდ დაკისრებისა არის დაზარალებულის მხრივ სასამართლოს წესით უფლების აღიარება იმის შესახებ, რომ დაზღვეული დაზარალებულის წინაშე არის პასუხისმგებელი, ხოლო მზღვეველი – დაზღვეულის წინაშე და მაშასადამე დაზარალებულის წინაშეც.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობით დაზღვევის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, სავალდებულო დაზღვევის ხელშეკრულებით დაზარალებულს ყოველთვის აქვს უფლება უშუალოდ მზღვეველისაგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. მაშინაც კი, როდესაც მზღვეველი მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლებულია დამზღვევის წინაშე მოვალეობისაგან, მისი პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე ძალაშია სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (სამოქალაქო კოდექსის 843-ე მუხლი). ციტირებულ ნორმაში ტერმინი მესამე პირი გაგებული უნდა იყოს როგორც დაზარალებული. სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის მრავალი სახე შეიძლება არსებობდეს. 1997 წლის 27 ივნისს მიღებულ იქნა კანონი „ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლის 15 იანვრის კანონით ის ძალადაკარგულად იქნა ცნობილი. ცნობილია ასევე ნოტარიუსის, ადვოკატის, ექიმისა და სხვა პროფესიის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა. ნოტარიატის შესახებ საქართველოს 2009 წლის 4 დეკემბრის კანონის 22-ე და 23-ე მუხლებში ნათქვამია, რომ ნოტარიუსს ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა ზიანისათვის, რომელიც გამოიწვია მისმა განზრახმა ან გაუფრთხილებელმა ქმედებამ და რომ ამ ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად ნოტარიუსი ვალდებულია დადოს ხელშეკრულება სავალდებულო პროფესიულ დაზღვევაზე მუშაობის მთელი პერიოდისათვის.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის დროს საკანონმდებლო დონეზე რამდენიმე პრინციპული საკითხი არის გადაჭრილი: 1. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევით ყოველთვის დაზარალებულის მოთხოვნის დაკმაყოფილება არის უზრუნველყოფილი; 2. დაზარალებული არის მოსარგებლე; 3. დაზარალებული უფლებამოსილია უშუალოდ მიმართოს მზღვეველს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად; 4. მზღვეველი დაზარალებულის წინაშე პასუხს აგებს მაშინაც, როცა ამ მოვალეობისაგან გათავისუფლებულია დამზღვევის წინაშე. სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევის დროს მზღვეველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დამზღვევმა შეგნებულად გამოიწვია იმ გარემოების წარმოშობა, რისთვისაც მას ეკისრება პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე. მაგალითად, თუ ავტომოტოტრანსპორტის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევის დროს მძღოლი შეგნებულად ან ნასვამ მდგომარეობაში მართავს ავტომანქანას და ზიანს მიაყენებს მესამე პირს, მზღვეველი გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ თუ ნოტარიუსი მისი პროფესიული საქმიანობის შესრულების დროს განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით ზიანს მიაყენებს მესამე პირს (დაზარალებულს), აღნიშნულის მიუხედავად მზღვეველი ვალდებულია დაზარალებულს მისცეს სადაზღვევო საზღაური სადაზღვევო თანხის ფარგლებში, რადგან ნოტარიუსის სამოქალაქო პასუხისმგებლობა სავალდებულო წესით არის დაზღვეული. ამასთან თუ ნოტარიუსი დაზარალებულს შეგნებულად (განზრახ) მიაყენებს ზიანს, რისთვისაც მზღვეველი იქნება პასუხისმგებელი აანაზღაუროს ზიანი, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 842-ე და 843-ე მუხლის მეორე ნაწილისა, მზღვეველი უფლებამოსილია რეგრესის წესით ნოტარიუსისაგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ნოტარიუსის (დამზღვევის) მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს დაზარალებულსაც მაშინ, როცა მზღვეველის მიერ მისთვის გადახდილი სადაზღვევო საზღაური ვერ ფარავს მისთვის მიყენებული ზიანის ღირე-

ბულებას. მოთხოვნის მოცულობა უნდა განისაზღვროს დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანისა და მზღვეველის მიერ გადახდილ სადაზღვევო საზღაურს შორის სხვაობით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Ансон В., Договорное право, перевод с англииского, Москва – 1984 г.;
2. Антонович А.Я., Курс политэкономии, Киев – 1886 г.;
3. Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное право, книги 1-5, Москва – 2000-2006 г.г., книга третья, Договоры о выполнении работ и оказании услуг;
4. Варкалло В., Об ответственности по гражданскому праву, перевод с Польского, Москва – 1978 г.;
5. Гражданское и торговое право зарубежных государств, том – II, ответственные редакторы: профессор Васильев Е.А., профессор Комаров А.С., Москва – 2006 г.;
6. Иванов А.А. в книге Гражданское право, часть- 2, под редакцией доктора юридических наук, профессора А.П. Сергеева и доктора юридических наук, профессора Ю.К. Толстого, Москва – 1998 г.;
7. Иоффе О., Шаргородский М., Вопросы теории права, Москва – 1961 г., и сл. „Ответственность есть прежде всего санкция за правонарушение, поетому ошибочно утверждение, что страховщик несет ответственность за убитки, вызванные наступленнием страхового случая»;
8. Мейер Д.И., Русское гражданское право, Москва – 2000 г.;
9. Райхер В.К., Государственное страхование в СССР, Москва – 1938 г.;
10. Райхер В.К. Общественно-исторические типы страхования, Москва – 1947 г.;
11. Серебровский В.И., Избранные труды по наследственному и страховому праву, Москва – 1999 г.;
12. Смирнов А.А. в книге Гражданское право, часть 2, под редакцией доктора юридических наук, профессора А.П. Сергеева и доктора юридических наук, профессора Ю.К. Толстого, Москва – 1998 г.;
13. Шершеневич Г.Ф., Курс торгового права, том II, 1908 г.

თეა სუხიტაშვილი
დავით სუხიტაშვილი

ზოგიერთი საკითხი სადაზღვევო პასუხისმგებლობის შესახებ

რ ე ზ ი უ მ ე

ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება, მისი ბუნებასთან თანაარსებობა ისე არის მოწყობილი, რომ ყოველთვის არსებობს უბედური შემთხვევების წარმოშობის დიდი ალბათობა. ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ისევე როგორც მისი საკუთრების ბედი, პირდაპირ არის დაკავშირებული წინასწარ გაუთვალისწინებელი და აუცდენელი გარემოებების არსებობასთან. ასეთებია: სტიქიური უბედურებები, სოციალური მოვლენები, სახელმწიფოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები და სხვა. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე პირობებში ამგვარი უარყოფითი მოვლენების წარმოშობის რისკი უფრო იზრდება. ამიტომ საზოგადოება საუკუნეების განმავლობაში ამ გარემოებებით თავსდატეხილი უარყოფითი შედეგების უვნებელყოფის და ამ მავნე შედეგების მინიმუმამდე დაყვანის ხერხებისა და საშუალებების ძიებაშია. ამ მიმართებით საზოგადოებამ დღევანდლამდე ყველაზე კარგი გამოსავალი სადაზღვევო სამართალში ჰპოვა.

ტრადიციული გაგებით დაზღვევის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან მისი ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც ჩვეულებრივ შემთხვევაში ერთმა პირმა უნდა განახორციელოს, დაზღვევის შემთხვევაში რამდენიმე პირზე გადანაწილდება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთი პირისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება განხორციელდება ამისათვის შექმნილი სპეციალური სადაზღვევო ფონდიდან, რომელიც იქმნება სუბიექტების განუსაზღვრელი წრის მიერ ფულადი გადასახადებით.

Tea Sukhitashvili
David Sukhitashvili

SOME ISSUES OF INSURANCE RESPONSIBILITIES

Summary

Everyday being of a human and its co-existence with the nature is so organized that there is always high probability for arising accidents. Life, health and property fate of a human is directly related to the existence of unforeseeable and unavoidable circumstances. Such as: natural disasters, social events, legal acts adopted by the state and etc. In modern terms of science and techniques development the risk of arising such negative events is getting higher. Therefore, the society is in search of the methods and means for neutralization and minimization the faced negative results. The society has found an insurance law as the best solution towards this direction up to now.

Traditionally, the essence of insurance is in that compensation for health or property damage caused to a person that typically shall be covered by one person, in case of insurance is distributed on several persons. In other words, compensation for material damage caused to one person is awarded from insurance fund created especially for such circumstances and with monetary payments created by undetermined cycle of subjects.

ბესიკ ალადაშვილი

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება შიდა და გარე გამოწვევების ფონზე

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური უსაფრთხოების (ე უ) საკითხების შესწავლა და სერიოზულ მეცნიერულ დონეზე დამუშავება, ჯერ კიდევ არ წარმართულა, რაც შეეხება ეუ პრაქტიკულ მხარეს, აქ უფრო მეტად სავალალოდაა საქმე, – საქართველოს ე უ დღევანდელი რეალური დონე ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ქვეყნის კონსტიტუციის შემდეგ, მნიშვნელობით მეორე დოკუმენტია. იქ უნდა აისახოს, თუ რამდენად ადეკვატურად აფასებს ხელისუფლება ქვეყნის შიგნით და გარეთ შექმნილ მდგომარეობას და არის, თუ არა მზად არსებული და მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად ან გასანეიტრალებლად.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ესაა ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებზე ზოგად შეხედულებათა სისტემა, სადაც ჩამოყალიბებულია ქვეყნის პრიორიტეტული ინტერესები, სტრატეგიული მიზნები და მიზნის მიღწევის ძირითადი გზები კონცეპტუალურ დონეზე. კონცეფციის საფუძველზე უნდა დამუშავდეს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია.

საქართველოს ე უ არსებული მდგომარეობის მოკლე ანალიზი

საქართველო სტრატეგიული რესურსებისა და სურსათის უდიდესი ნაწილის (ზოგიერთ შემთხვევაში 90-100 %-ისაც კი) იმპორტს ახდენს, რაც სატრანსპორტო არტერიების და ინფრასტრუქტურის გამართულ მუშაობას მოითხოვს. თუმცა ქვეყნის დამოუკიდებლობიდან დღემდე მრავალი ფაქტი შეიძლება გავიხსენოთ, რომლებიც საპირისპიროზე მეტყველებს.

ჯერ კიდევ 1991 წლის მაისს საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა ხელისუფლებამ რამდენიმე დღით ბუნებრივი გაზის მიწოდება შეუწყვიტა ურჩ საქართველოს. ჩვენი მაშინდელი ხელისუფლება არ იყო მზად ამგვარი სიტუაციებისთვის და რამდენიმე დღის მანძილზე ქვეყანაში სრული ქაოსი სუფევდა. ამის შემდეგაც იყო მრავალი ანალოგიური ფაქტი, როდესაც რუსეთი ბუნებრივი გაზის მოწოდების საკითხს პოლიტიკურ ბერკეტად იყენებდა. მათგან ერთ-ერთი ყველაზე მძიმე 2006 წლის იანვარში რუსეთის ტერიტორიაზე გამავალ გაზსადენზე მომხდარი ვითომდა „ტერორისტული აქტი“ იყო, როდესაც რამდენიმე კვირით შეუწყდა საქართველოს გაზის მიწოდება. ჩვენი ქვეყნის დღევანდელი და სამომავლო პრობლემებიდან გამომდინარე, მეტად აქტუალურია საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების დაკავშირება ერთმანეთთან. გლობალური საერთაშორისო კავშირების ფონზე აუცილებელია დიპლომატიური მანევრების მთელი ხელევნების გამოყენება, რადგან, საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობა საკამოდ არამყარია, რაც შემდეგი ძირითადი ფაქტორებითაა გამოწვეულია:

1. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა მხოლოდ მაშინაა სტრატეგიულად ხელსაყრელი, როდესაც ჩვენს უშუალო მეზობლებთან მშვიდობიანი დამოკიდებულება გვაქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის სატრანსპორტო არტერიების უმრავლესობა ბლოკირებული აღმოჩნდება;

2. ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანას ზოგიერთი სტრატეგიული რესურსის (ნავთობი, ბუნებრივი გაზი, რკინის მადანი და სხვ.) სამრეწველო მარაგები არ გააჩნია. ხოლო ზოგიერთის (ხორბალი, ხეტყე და ა.შ.) ადგილობრივი წარმოება ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო კატასტროფულად არის შემცირებული. ამ რესურსების გარეშე კი, უმარტივესი პროდუქციის დამზადებაც შეუძლებელია. ასეთი ვითარების გამო საქართველოს სხვა ქვეყნებიდან შემოაქვს ზემოაღნიშნული უმთავრესი სტრატეგიული რესურსების საერთო მოხმარების 90 %-ზე მეტი (მეტ-ნაკლებად ზოგ შემთხვევაში – მაგ. ხორბლის იმპორტი 80-85 %, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი 95-98%-ს, ხოლო ხოლო ბუნებრივი გაზის შემთხვევაში იმპორტი თითქმის 100% აღწევს).

3. საქართველოს ექსპორტი ძირითადად სანედლეულო, აგრარული და მონოკულტურულია (ავტომობილები, ჯართი, მანგანუმი, ალკოჰოლური სასმელები, მინერალური წყლები, ხილი, ციტრუსი და ა.შ.), ამიტომ მსოფლიო ბაზრებზე კონიუნქტურის შეცვლა ან ტრადიციული ბაზრების დაკარგავა (რაც რუსეთის და უკრაინის შემთხვევაში მოხდა) მნიშვნელოვნად მოქმედებს საექსპორტო შემოსავლებზე;

4. საქართველოს ექსპორტ-იმპორტის უდიდესი წილი ერთ ქვეყანაზე – რუსეთზე მოდიოდა. ამიტომაც, არადივერსიფიცირებული საგარეო ეკონომიკური კავშირები ძალე მყიფე და არასტაბილური იყო. რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ეკონომიკური ბლოკადის დაწესების შემდეგ ეს საფრთხე უკვე რეალური გახდა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

ამ პირობებში სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება სტრატეგიული რესურსებით საქართველოს შეუფერხებელ უზრუნველყოფას. ამიტომ ჩვენი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპი უნდა იყოს: ეროვნული ინტერესების დასაცავად მიღებული ზომების ადეკვატურობა რეალურ და პოტენციურ საფრთხეებთან მიმართებაში; დიპლომატიური და პოლიტიკური მეთოდების პრიორიტეტულობა კონფლიქტური სიტუაციების გადაწყვეტისას და სხვ.

საქართველოს ე უ პოლიტიკის ტესტირება გარე საფრთხეების ფონზე

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის არსებული ნაკლოვანებები 2008 წლის „აგვისტოს ომმა“ ცხადად დაგვანახა. აღმოჩნდა, რომ მოსალოდნელი გარე საფრთხეების თავიდან აცილების რეალური მექანიზმი არ გვქონდა.

„აგვისტოს ომის“ დროს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შედეგად (რუსეთის მიერ ბათუმისა და ფოთის პორტების პარალიზება და სატრანსპორტო მაგისტრალების ბლოკირება) შეჩერდა საგარეო ვაჭრობა და ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები. შეფერხდა წარმოება. მნიშვნელოვნად შემცირდა იმპორტის მოცულობა. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი 75-80% იმპორტზეა დამოკიდებული, პანიკა და ქაოსი სამომხმარებლო ბაზარზე არსებული არასახელმწიფო რეზერვების გამოყენების შედეგად იყო აცილებული.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის მიერ საზღვაო პორტების, ცენტრალური ავტომაგისტრალისა და რკინიგზის ბლოკირება რამდენიმე დღით კიდევ, რომ გაგრძელებულიყო, საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი სურსათის გარეშე, ხოლო დასავლეთ საქართველო საწვავისა და ბუნებრივი გაზის გარეშე დარჩებოდა. ეს კი პირველადი მოხმარების საგნების დეფიციტის მიზეზი და სამომხმარებლო ბაზრებზე სერიოზულ პანიკას გამოიწვევდა. ამ პერიოდის განმავლობაში რიგი იმპორტირებული საქონლის ფასმა საგრძნობლად იმატა. პრაქტიკულად ჩავარდა ტურისტული სეზონი.

„აგვისტოს ომის“ შემდგომ საქართველოს, როგორც სატრანზიტო და ტურისტული ფუნქციის მქონე ქვეყნის სტატუსი საკმაოდ შეირყა. უნდა ავღნიშნოთ ერთი საინტერესო ფაქტი: საომარი მოქმედებებისას რუსული მხარის მიერ აფეთქებულ იქნა სარკინიგზო ხიდი, რომელიც აკავშირებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს, რამაც პარალიზებულ მდგომარეობაში ჩააგდო სარკინიგზო მიმოსვლა. მართალია ხიდი მალევე იქნა აღდგენილი, მაგრამ აღნიშნული ფაქტი აშკარად მიუთითებს სარკინიგზო ინფრასტრუქტურის არასაკმარის განვითარებაზე. ანალოგიური შეიძლება ითქვას ერთადერთ საავტომობილო მაგისტრალზეც, რომელის აღმოსავლეთ და დასავლეთ აკავშირებს.

ჩვენს ქვეყანაში დღეს სახეზეა ეკონომიკის დარგების არათანაბარი განვითარება: ვაჭრობისა და მომსახურების (იგივე ტურიზმი და სასტუმრო ბიზნესი) წინმსწრები განვითარება ადგილობრივ სამრეწველო და სოფლის მეურნეობის დარგებთან შედარებით. რაც "ნეგატიური იმპორტის“ ზრდას, კონვერტირებული ვალუტის გადინებას, ადგილობრივი წარმოების შემცირებას და უმუშევრობის ზრდას იწვევს. 2014 წელს სტატისტიკური მონაცემებით უმუშევარი იყო საქართველოს ეკონომიკურიად აქტიური მოსახლეობის თითქმის 14,0 %., ხოლო ქალაქის მოსახლეობაში ეს მაჩვენებელი 25 %-ზე მეტია.

ამჟამად საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი ძირითადად იმპორტზეა დამოკიდებული. ამიტომ ლარის კურსის დაცემა, მსოფლიო ფასების ზრდა, სატრანსპორტო არტერიების ბლოკირება, ეკონომიკური ბლოკადა და ა. შ. ეროვნულ ეკონომიკას დიდ საფრთხეს უქმნის.

ფულად-საკრედიტო სფეროს უსაფრთხოება

ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი საკმაოდ არასტაბილურია და ხშირად გაურკვეველ „კანონზომიერებებს“ (უპირველესად უცხოური გრანტების და კრედიტების კონვერტირების პერიოდს) ემყარება. ლარის გაუფასურებამ, რომელიც 2014 წლის ბოლოს დაიწყო, ნათლად წარმოაჩინა ქვეყანაში არსებული მონეტარული პოლიტიკის ნეგატიური მხარეები. საქართველოში ბანკების 70%-ს უცხოური კაპიტალი აკონტროლებს და ამ ვითარებაში საბანკო სისტემა ძალზე არამდგრადია და მთლიანად გლობალურ გეოპოლიტიკურ ფაქტორებზეა დამოკიდებული.

ამავე დროს საბანკო სისტემაში ძალზე მაღალია მოკლევადიანი დეპოზიტების ხვედრი წილი ანაბრების მთელ მოცულობაში, ხოლო „დოლარიზაციის კოეფიციენტმა“ (ანუ უცხოურ და ეროვნულ

ვალუტაში დეპოზიტების თანაფარდობა) 2013 წელს 60 %-ს მიააღწია, მაშინ, როცა ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმებით კრიტიკული ზღვარი 25-30%-ია.

სასურსათო უსაფრთხოების დონე

სასურსათო უსაფრთხოების დონე განისაზღვრება ძირითადი სასურსათო პროდუქტების დღიური მარაგებით. „ფაო"-ს მიერ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით, სასურსათო უსაფრთხოების მინიმალური დონე შეადგენს სასიცოცხლო მნიშვნელობის სურსათის (ხორბალი, ფქვილი, შაქარი, ზეთი, ხორცის და თევზის კონსერვები და ა. შ.) მოხმარების 60 დღის მარაგს.

თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი განისაზღვრება სურსათის საერთომოხმარების მოცულობის შეფარდებით ადგილზე წარმოებული სურსათის მოცულობასთან. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ეს კოეფიციენტი უკანასკნელ ოც წელიწადში 99-დან 113%-მდე გაიზარდა, ხოლო განვითარებად ქვეყნებში პირიქით, შემცირდა 103-დან 98%-მდე. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ბოლო ათი წლის მანძილზე თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 99-დან 94%-მდე შემცირდა. საქართველოში კი 20-30%-ია. ამავე დროს ძალზე მაღალია მოსახლეობის მიერ სურსათის შესაძენად გაწეული დანახარჯები. უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე საქართველოს მოსახლეობის მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში სურსათის ხარჯების წილი საშუალოდ 50 %-ზე მეტია.

გლობალური სასურსათო კრიზისის ფონზე საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება ქვეყნის ე უ უმთავრესი პრიორიტეტი უნდა ყოფილიყო, თუმცა უკანასკნელი წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრითი წილი მშპ-ში სისტემატიურად მცირდება.

ამავე დროს ქვეყანაში არ არსებობს ძირითადი სასურსათო პროდუქციის სახელმწიფო რეზერვები.

ენერგოუსაფრთხოება

ენერგეტიკული რესურსებით შეუფერხებელი უზრუნველყოფა საქართველოსათვის „№1" ეკონომიკური პრობლემაა. ქვეყანა კვლავ დამოკიდებულია ბუნებრივი გაზის ერთ მომწოდებელზე, რამაც ნეგატიური შედეგები შეიძლება მოგვიტანოს.

ენერგეტიკული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი მიმართულებებია რესურსების მომწოდებელთა დივერსიფიცირება და მარაგების შექმნა. აქამდე თუ მხოლოდ რუსეთი იყო ბუნებრივი გაზის მომწოდებელი, ამჟამად მხოლოდ აზერბაიჯანია. გაურკვეველია, ტერაქტის ან სტიქიური უბედურების შემთხვევაში საიდან მივიღებთ ბუნებრივ გაზს.

ამჟამად ჩვენ ქვეყანას არ გააჩნია ბუნებრივი გაზის და ნავთობის სტრატეგიული მარაგები, რათა ენერგეტიკული კრიზისის დროს ოდნავ მაინც შეძლოს სიტუაციის დაბალანსება.

სომხეთმა შეძლო და ბუნებრივი გაზის საცავები სწრაფად მოაწყო და ეხლა რამდენიმე თვე ჩრდილოეთიდან (რუსეთისა და საქართველოს გავლით) ტრანსპორტირება რომ შეწყდეს, საკუთარი მარაგები აქვს, რაც უკვე არაერთხელ გამოიყენა.

ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებაზე უარყოფითად მოქმედებს ნავთობპროდუქტების იმპორტისა და რეალიზაციის დღეს არსებული მონოპოლიური სისტემა

საჭიროა ჩამოყალიბდეს ისეთი ენერგოუსაფრთხოების მექანიზმი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს იმპორტირებულ ენერგიაზე დამოკიდებულების შემცირება საკუთარი რესურსების სრული ათვისების გზით. ბუნებრივი გაზის საცავის მოწყობა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, თუმცა სტრატეგიული საკითხია და, ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე კიდევ ერთი სასტუმროს აშენება ან კიდევ ერთი ქუჩის კეთილმოწყობა.

ინტელექტულური პოტენციალის უსაფრთხოება

საქართველოში 2004 წლიდან მოყოლებული სამეცნიერო დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერ მუშაკთა რიცხვი სისტემატურად მცირდება. ამავე დროს ძალზე საგანგაშოა ის ფაქტიც, რომ სამეცნიერო საქმიანობის მსურველ ახალგაზრდა სპეციალისტთა რიცხვი განუხრელად კლებულობს. 2013 წელს 2011 წელთან შედარებით დოქტორანტთა რაოდენობა 1053-ით (ანუ 24,7 %-ით) შემცირდა.

ჩვენი ქვეყნისთვის ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ემიგრაცია (ანუ „ტვინების გადინება"). ამ დროს: იკარგება სპეციალისტის მომზადებაზე გაწეული თანხები; მცირდება ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალი; ემიგრირებული სპეცილისტები უკვე სხვა ქვეყნისთვის ქმნიან კონკურენტუნარიან პროდუქტს.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება

2008 წლის „აგვისტოს ომმა“ ცხადად დაგვანახა, რომ მოწინააღმდეგის ერთ სადაზვერვო-დივერსიულ ასეულს შეუძლია საქართველოს სატრანსპორტო არტერიების ბლოკირება და საქართველოს რამდენიმე, ერთმანეთისგან მოწყვეტილ ტერიტორიულ ერთეულად დანაწილება. ამიტომ სატრანსპორტო მაგისტრალების რეალური დივერსიფიცირება კვლავ გადაუწყვეტელ პრობლემად რჩება – კვლავ ერთი სარკინიგზო ხაზი, კვლავ ერთი საავტომობილი მაგისტრალი.

სამწუხარო რეალობაა ის, რომ საქართველოს გეოსტრატეგიული მდგომარეობა ძალზე არამყარია და მეზობლების (უპირველესად რუსეთის) კეთილმეგობრულ დამოკიდებულებაზეა დამყარებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის სატრანსპორტო არტერიების უმრავლესობა ბლოკირებული იქნება (რაც გვიჩვენა „აგვისტოს ომმაც”), ვერ მივიღებთ სურსათსა და ნედლეულს, ბუნებრივ გაზს, ვერ გავყიდით ჩვენ პროდუქციას სხვა ქვეყნების ბაზარზე და ა.შ.

ეს შესანიშნავად იცის ჩვენმა მტერ-მოყვარემ, ამიტომ საქართველოს ტერიტორიის დიდი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა არაფრის მომცემი იქნება, თუ სატრანსპორტო ბლოკადებისგან თავდაცვის მექანიზმები არ გვექნება.

სახელმწიფოს მდგრადი განვითარება და დამოუკიდებლობის დაცვა სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე ვერ განხორციელდება. ეს ჩარევა კი ხან, მინიმალური შეიძლება იყოს, ხან უფრო მეტი (გლობალური საფრთხეების დროს). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა სახელმწიფო-ადმინისტრაციული მექანიზმის აქტიურ გამოყენებას მოითხოვს. ამ რეალობამ არ უნდა დააფრთხოს „თავისუფალი ბაზრის“ თაყვანისმცემლები, რადგანაც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური საფრთხის (მით უფრო ომების და გლობალური კრიზისის დროს) ღრმა კრიზისში გადაზრდის თავიდან აცილება, მხოლოდ სახელმწიფოს აქტიური ჩარევითა და მოქმედებით მიიღწევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბ. ალადაშვილი; „ეკონომიკური უსაფრთხოება: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა“. Yთბილისი, 2011.

2. ჰერსტი ჰ., ტომპსონი გ., „გლობალიზაცია, კრიტიკული ანალიზი“, თბილისი 2005.

ბესიკ ალადაშვილი

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება შიდა და გარე გამოწვევების ფონზე

რ ე ზ ი უ მ ე

ნაშრომი ეძღვნება ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს: ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი და სტაბილური განვითარების პრობლემებს გარე და შიდა გამოწვევების ფონზე.

ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების არსებული დონე, რამდენიმე ძირითადი ინდიკატორის (ფულად-საკრედიტო სფერო, სასურსათო უსაფრთხოება„ ენერგოუსაფრთხოება, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება და ა..შ.) მაგალითზე.

ავტორის აზრით ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ქვეყნის კონსტიტუციის შემდეგ, მნიშვნელობით მეორე დოკუმენტი უნდა იყოს და იქ უნდა აისახოს, თუ რამდენად ადეკვატურად აფასებს ხელისუფლება ქვეყნის შიგნით და გარეთ შექმნილ მდგომარეობას და არის, თუ არა მზად არსებული და მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად ან გასანეიტრალებლად.

დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ კონომიკური საფრთხის (მით უფრო გლობალური ეკონომიკური კრიზისისა და რეგიონალური ომების დროს) ღრმა კრიზისში გადაზრდის თავიდან აცილება, მხოლოდ სახელმწიფოს აქტიური ჩარევითა და მოქმედებით მიიღწევა.

ამიტომ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების ვალია გამოძებნონ სათანადო ინტელექტუალურ და მატერიალური რესურსები, რათა დროულად და სრულყოფილად მოხდეს ზემოაღნიშნული საფრთხეების თავიდან აცილება.

Besik Aladashvili

ECONOMIC SAFETY OF GEORGIA ON THE BACKGROUND OF INNER AND OUTER CHALLENGES

Summary

The paper is devoted to one of the most significant sphere of national security: the problems of stable and sustainable development of the country economy on the background of inner and outer Challenges.

The paper analyses the level of current economic safety of the country on the examples of several major indicators (monetary and credit sphere, nourishment product safety, energetic safety, transportation infrastructure safety and etc.).

The author suggests that national safety conception, after country's constitution, must be the second document according to its significance. It must reflect how adequate the government is in the evaluation of the circumstances within and out of the boarders of the country and if it is ready to prevent and neutralize existing and potential threats.

The author concludes that prevention of the economic threat turning into deep crises (in terms of global economic crises and regional wars) is only possible with active participation and action of the state authorities.

Therefore, the responsibility of legislative and executive authorities of Georgia is to find appropriate intellectual and material resources in order to timely and completely prevent the threats mentioned above.

გელა ალადაშვილი

ინოვაციური განვითარების ორიენტირი, როგორც საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლების შესაძლებლობა

ეკონომიკის გლობალიზაცია ფართო შესაძლებლობებს ქმნის ქვეყნების კონკურენტუნარიანობის განვითარებისთვის, მაგრამ ამათან, იგი ახალ გამოწვევებსაც სთავაზობს ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს. გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშებიდან [The Global Competitiveness Report 2012–20013: Full Data Edition is published by the World Economic Forum within the framework of The Global Benchmarking Network (Editor Professor Klaus Schwab); The Global Competitiveness Report 2013–2014: Full Data Edition is published by the World Economic Forum within the framework of The Global Competitiveness and Benchmarking Network (Professor Klaus Schwab)] ნათლად ჩანს, რომ მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა ჯერ კიდევ ვერ სარგებლობს იმ შესაძლებლობებით, რასაც ტექნოლოგიური ცვლილებები და მათი გლობალიზაცია იძლევა.

როგორც აღნიშნული წყაროების, ისე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების მიხედვით შეჯამებულ საქართველოს ინოვაციური და ტექნოლოგიური განვითარების მდგომარეობას თუ გავაანალიზებთ, ნათელი ხდება, რომ ქმედითი ნაბიჯებია გადასადგმელი. მაგალითად, საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. საქართველო 2020-ის მიხედვით ((პროექტი) (ნოემბერი, 2013)): საქართველოში წარმოებულ საქონელს აქვს დაბალი დამატებული ღირებულება. ამ ეტაპზე, შედარებით განვითარებულია მხოლოდ გადამამუშავებელი მრეწველობა, რომელიც პირდაპირ მიბმულია საქართველოში მოპოვებულ ბუნებრივ რესურსებზე და სოფლის მეურნეობის ადგილობრივ ნაწარმზე. ამის მიზეზია ტექნოლოგიური განვითარების და ინოვაციის დაბალი დონე; ქვეყანაში ინოვაციის დონე ჯერ ისევ არადამაკმაყოფილებელია და დაბალია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე, რაც ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებასა და რეიტინგში. ინოვაციის გლობალურ ინდექსში 2013 (GII) საქართველო მსოფლიოში 73-ე ადგილზეა, ხოლო 2012 წლის ინოვაციების შესაძლებლობის ინდექსში (ICI) საქართველოს 44-ე ადგილი უკავია 131 ქვეყანას შორის. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში (GCI) 2013-2014 წლის მდგომარეობით, საქართველო 148 ქვეყანას შორის შემდეგ პოზიციებს იკავებს:

- ინოვაციის განხორციელების შესაძლებლობების მაჩვენებელი - 118-ე ადგილი;
- კომპანიების დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე (R&D) - 128-ე ადგილი. დაბალია როგორც თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა, ასევე ტექნოლოგიური განვითარების დონე. ამავე ინდექსის მიხედვით, საქართველოს აქვს შემდეგი მაჩვენებლები:
- უახლესი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა - მე-100 ადგილი;
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვა კომპანიების მიერ - 117-ე ადგილი. არადამაკმაყოფილებელია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დონე, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინოვაციების განხორციელებისთვის. საქართველო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კომპონენტით 124-ე ადგილზეა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის კუთხით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა, მოსახლეობის მიერ კომუნიკაციის ამ საშუალების გამოყენების დონე კვლავ არადამაკმაყოფილებელია.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში (2013-2014) საქართველოს შედარებით უკეთესი, თუმცა არასათანადოდ კარგი პოზიციები აქვს:

- მოსახლეობის მიერ ინტერნეტის გამოყენება - 71-ე ადგილი; 100 მოსახლეზე მაღალსიჩქარიანი მონაცემთა გაცვლის ქსელზე ხელმისაწვდომობა - 65-ე ადგილი. ქსელური მზადყოფნის ინდექსის (Networked Readiness Index -NRI) მიხედვით 2013 წელს საქართველო 65-ე ადგილზეა. (აღნიშნული წყარო, გვ. 25-26)

განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, განვითრების დღევანდელი მდგომარეობა არ ნიშნავს იმას, რომ მათ არ შეუძლიათ ისარგებლონ ამ კუთხით გლობალიზაციის მიღწევებით. თუ ქვეყანა სწორ ორიენტირს აიღებს სამეცნიერო და ტექნოლოგიური ინოვაციების მოზიდვაზე და აქტიური პოლიტიკას გაატარებს ცოდნისა და ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასა და შესაბამისი სწავლების დონის ამაღლებაზე, შედეგი მიიღწევა.

მსოფლიო პრაქტიკას თუ დავაკვირდებით (ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მონაცემებით (http://www.oecd.org/newsroom/publicationsandstatistics/), ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე განსაკუთრებით შეიმჩნევა ინოვაციური აქტივობის დინამიკური ზრდა უფრო მეტად განვითარებულ ქვეყანებში, რაც იმაში გამოიხატება, რომ იზრდება სამეცნიერო კვლევებსა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე დანახარჯები; სახელმწიფოები ყურადღებას ამახვილებენ ინოვაციური გარემოს სტიმულირებაზე. განვითარებულ ქვეყნებში ცდილობენ, სამეცნიერო კვლევები მჭიდროდ დაუკავშირონ ეროვნული ინოვაციური სისტემების განვითარებას და შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკა შეიმუშაონ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ასეთი პოლიტიკის რეალიზების საკითხები კომპლექსურად უკავშირდება მეწარმეობის სტიმულირებას, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისა და განათლების სფეროს პრობლემების მოგვარებას, ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების საერთაშორისო ტრანსფე-

რებს, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას და გაუმჯობესებას, საჭირო ინსტიტუციური სტრუქტურის მოწესრიგებას.

ტექნოლოგიური განვითარების ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად განვითარებული ქვეყნები განათლების სისტემის გაუმჯობესებასა და ადამიანური კაპიტალის ხარისხის ამაღლებას მიიჩნევენ. ამასთან, სტიმულირების ერთ-ერთი საშუალება, განსაკუთრებით იქ, სადაც კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა, შრომის ანაზღაურების ზრდაა ცოდნაზე გაზრდილი მოთხოვნის დარგებში.

ინოვაციური განვითარების ორიენტირი მაღალ მოთხოვნას განაპირობებს ადამიანურ კაპიტალზე. აღსანიშნავია, რომ მაღალკვალიფიციური მეცნიერების და სპეციალისტების ანაზღაურების ზრდასთან ერთად, განსაკუთრებით ეფექტიანია მათი საერთაშორისო მობილურობის ზრდა, რომელიც განიხილება როგორც მეცნიერებისა და წარმოების ურთიერთქმედების გაძლიერების ფაქტორი. ამასთან, ბიზნესის სექტორში თავმოყრილი ფინანსური სახსრების უზარმაზარი რაოდენობა განაპირობებს კერძო ბიზნესის კავშირების გაძლიერებას მეცნიერების აკადემიურ სექტორთან, რადგან ფუნდამენტური კვლევების გარეშე შეუძლებელი ხდება ბიზნესის მთელ რიგ სექტორებში წარმატების მიღწევა და კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნება.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება დღეისათვის ინოვაციების სტიმულირებაზეა დამოკიდებული: მაკროდონეზე სახელმწიფოს მხრიდან ინოვაციური საქმიანობისთვის სათანადო გარემოს შექმნაზე და მიკროდონეზე კერძო სექტორის სწორ ინოვაციურ სტრატეგიასა და მენეჯმენტზე. მრავალი გზაა ცნობილი, რაც მეტ-ნაკლებად წარმატებულმა ქვეყნებმა გაიარეს კონკურენტული პოზიციების გასაუმჯობესებლად. ამასთან, ცნობილია ზოგიერთი გადამწყვეტი ფაქტორი, რომელსაც ეფუძნება კონკურენტული უპირატსება. მაგალითად, იგი შეიძლება დაეყრდნოს წარმოების ფაქტორებს, ინვესტიციებს, სიხალეების დანერგვას და სიმდიდრეს. ამ ფაქტორთაგან ერთი შეხედვითაც აშკარად ჩანს, რომ საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლება ვერ დაეყრდნობა სიმდიდრეს, წარმოების ფაქტორებს ან ინვესტიციებს (დღევანდელ ეტაპზე მაინც). განვითარების ძირითად ორიენტირად უნდა იქცეს აქცენტი ინოვაციებზე. საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. საქართველო 2020 (პროექტი) (ნოემბერი, 2013) უდავოდ სწორ აქცენტს აკეთებს ინოვაციურ განვითარებაზე. აღნიშნული სტრატეგიის დოკუმენტის (გვ. 27) მიხედვით: „ინოვაციის და ტექნოლოგიური განვითარების დონის ასამაღლებლად განსახორციელებელი პოლიტიკის მიმართულებები: ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობის და უახლესი ტექნოლოგიების ტრანსფერის და დანერგვის ხელშეწყობა. ასევე მნიშვნელოვანია გარემოს დაცვაზე ორიენტირებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და მწვანე ეკონომიკის განვითარების წახალისება; კვლევისა და განვითარებისთვის საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და მათი კომერციალიზაციის ხელშეწყობა; კერძო სექტორის განვითარების და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, მთავრობა ხელს შუწყობს კვლევასა და განვითარებას, რაც, თავის მხრივ მოიცავს როგორც გამოყენებითი კვლევების განხორციელების ხელშეწყობას მათი სახელმწიფო დაფინანსების ეფექტიანობის ზრდით, ასევე, სხვა ინსტრუმენტების შემუშავების მეშვეობით.

მთავრობა ასევე ხელს შეუწყობს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებიც, თავის მხრივ, ინოვაციის მამოძრავებლები არიან; კვლევების და განვითარების კომერციალიზაციის მიზნით, ხელი შეეწყობა კერძო სექტორს და განათლების სისტემას შორის კავშირების გაღრმავებას გამოყენებითი კვლევისა და განვითარების როგორც ხარისხის, ასევე პრაქტიკაში დანერგვის (კომერციალიზაციის) ეფექტიანობის ასამაღლებლად.“ მოტანილი ციტირებით ირკვევა, რომ საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის მაკროდონეზე ჩამოყალიბებული ხედვის ინოვაციური ასპექტები მიესადაგება საერთაშორისო დონის მაჩვენებლებს. შემდგომ ეტაპზე არსებითია მისი პრაქტიკული რეალიზაცია.

კვლავ დავუბრუნდეთ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ განხორციელებულ კონკურენტუნარიანობის კვლევებს (აწარმოებს კვლევას 2005 წლიდან). მის მიერ განსაზღვრულია კონკურენტუნარიანობა, როგორც ინსტიტუტების, პოლიტიკისა და ფაქტორების ერთიანობას; რაც რეალურად ნიშნავს სახელმწიფოს მხრიდან კომპლექსური ღონისძიებების გატარებას. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ საქართველოს სინამდვილე გვიბიძგებს ტექნოლოგიური მზადყოფნისთვის განსაკუთრებული სამუშაოების ჩასატარებლად, რათა სტრატეგია რეალობად იქცეს. აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილი ბოლოდროინდელი კვლევები [მაგალითად, Carl Dahlman, Technology, globalization, and international competitiveness: Challenges for developing countries, Industrial Development for the 21st Century http://www.un.org/esa/sustdev/publications/industrial_development/1_2.pdf; Daniele Archibugia, Carlo Pietrobellib, The globalization of technology and its implications for developing countries Windows of opportunity or further burden?, 2002; Investment and Technology Policies for Competitiveness: Review of successful country experiences, United Nations, New York and Geneva, 2003)] ადასტურებს, რომ სწრაფად განვითარებად ქვეყნებსა და შესაბამისად მზარდი კონკურენტული უპირატესობის მქონე ეკონომიკებში მნიშვნელოვანი როლი ტექნოლოგიურ ინოვაციებს ეკისრება. ის კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია განათლების და ინოვაციების სისტემაზე, კვალიფიციურ და განათლებულ ადამიანებზე და ა.შ.

საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის, ინოვაციური განვითარების შესაძლებლობების კონტექსტში, გადამწყვეტია ღონისძიებების გატარება შემდეგი მიმართულებებით:

უმაღლესი განათლება და სწავლების ხარისხი – იგი უნდა შეესაბამებოდეს მარტივი პროდუქციის წარმოებიდან რთული პროდუქციის წარმოებაზე გადასვლის ამოცანებს; სწრაფადცვალებად გლობალიზებულ ეკონომიკაში განათლების სისტემა სწრაფად უნდა ახდენდეს ადაპტირებას და პასუხობდეს წარმოების სისტემების განვითარების საჭიროებებს;

ქვეყნის ტექნოლოგიურ მზადყოფნა - ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რამდენად სწრაფად იღებს ქვეყანა არსებულ ან განახლებულ ტექნოლოგიებს, რასაც მნიშველოვნად ინტელექტუალური კაპიტალი განსაზღვრავს;

ინოვაციები - ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ სიახლეების დანერგვამ წარმოების პროცესში, - მე-18 საუკუნის სამრეწველო რევოლუციიდან დაწყებული ბოლოდროინდელი საინფორმაციო რევოლუციით დამთავრებული, - გადატრიალება მოახდინა და ფართო შესაძლებლობები შექმნა პროდუქციისა და მომსახურების სფეროში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა შეიქმნას გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ინოვაციურ საქმიანობას როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. კერძოდ, ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა გაიზარდოს კვლევებისა და განვითარების დაფინანსება; მხარდაჭერა ჰქონდეს მაღალი ხარისხის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, რომლებიც ახალი ტექნოლოგიებზე იქნება ორიენტირებული; მნიშვნელოვანია საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობის გაღრმავება. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მდგრადობა ბევრად არის დამოკიდებული უმაღლესი განათლების, სწავლების ხარისხის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მუდმივ განახლებად კავშირზე, რაც საბოლოოდ მისი კეთილდღეობის ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალა იქნება.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური განვითარების ორიენტირი, გლობალური კონკურენტუნარიანობა; განათლების, სწავლების ხარისხი, ტექნოლოგიები და ინოვაციები, როგორც ეკონომიკური ზრდის ძირითადი მამოძრავებლები.

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. საქართველო 2020 (პროექტი) (ნოემბერი, 2013) (http://www.economy.ge/uploads/news/giorgi_kvirikashvili/Strategy2020.pdf)

2. The Global Competitiveness Report 2012–20013: Full Data Edition is published by the World Economic Forum within the framework of The Global Benchmarking Network (Editor Professor Klaus Schwab);

3. The Global Competitiveness Report 2013–2014: Full Data Edition is published by the World Economic Forum within the framework of The Global Competitiveness and Benchmarking Network (Professor Klaus Schwab)

4. ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მონაცემები (http://www.oecd.org/newsroom/publicationsandstatistics/)

5. Carl Dahlman, Technology, globalization, and international competitiveness: Challenges for developing countries, Industrial Development for the 21st Century http://www.un.org/esa/sustdev/publications/industrial_development/1_2.pdf;

6. Daniele Archibugia, Carlo Pietrobellib, The globalization of technology and its implications for developing countries Windows of opportunity or further burden?, 2002;

7. Investment and Technology Policies for Competitiveness: Review of successful country experiences, United Nations, New York and Geneva, 2003.

გელა ალადაშვილი

ინოვაციური განვითარების ორიენტირი, როგორც საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლების შესაძლებლობა

რეზიუმე

ნაშრომი ეძღვნება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში ინოვაციურ განვითარებაზე ორიენტირების მნიშვნელობის შესწავლა-გაანალიზებას. მასში ხაზგასმულია ახალი გამოწვევები, რომლებიც გააუმჯობესებს საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის. აღინიშნულია, რომ შედარებით დაბალგანვითარებულ ქვეყნებს შეუძლიათ სარგებელი მიიღონ გლობალიზაციიდან, თუ ისინი ორიენტირებული იქნებიან სამეცნიერო და ტექნოლოგიური ინოვაციების მოზიდვაზე და აქტიური პოლიტიკას გაატარებენ, რომლის მიზანი იქნება სწავლის დონის ზრდა და ცოდნასა და ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება..

Gela Aladashvili

BENCHMARK FOR INNOVATIVE DEVELOPMENT, AS THE POSSIBILITY TO IMPROVE COMPETITIVENESS OF GEORGIA

Summary

The paper studies and analyses Benchmark for Innovative Development, as the possibility to improve competitiveness of Georgia in the world market. The author points out new challenges that would improve the competitiveness of the country. It is mentioned that comparatively less developed countries will benefit from globalization process, if they try to attract scientific and technological innovations and lead an active policy that will be oriented towards increase the educational level and improvement of technology accessibility.

ამირან თავართქილაძე

საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებისათვის საკრედიტო რესურსის ხელმისაწვდომობის პრობლემები საქართველოში

საბანკო სექტორი და მისი გამართული მუშაობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნაში ეკონომიკის, მათ შორის საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებისთვის.

საყოველთაოდ ცნობილია – საბაზრო ეკონომიკა, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკურ თავისუფლებას ემყარება, რაც არჩევანის თავისუფლებაში გამოვლინდება. არჩევანი კონკურენციის უმთავრესი წინაპირობაა, ხოლო კონკურენცია – ეკონომიკური განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალა.

გასაკვირია, მაგრამ Heritage Foundation „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“ 2015წ-ის მიხედვით, საქართველოს სარეიტინგო ქულა 0.4 პუნქტით გაუმჯობესდა წინა წელთან შედარებით და 73.0 ქულა შეადგინა. საქართველო მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის კვლავ 22-ე პოზიციაზეა „უმეტესად თავისუფალი“ სტატუსით.

ხოლო ევროპის რეგიონში 43 ქვეყანას შორის საქართველო 1 ადგილით დაწინაურდა და მე-11 ადგილს იკავებს. ამასთან, საქართველოს რეიტინგი ინდექსის 10-დან 7 კომპონენტშია გაუმჯობესებული. საქართველოს რეიტინგი გაუმჯობესებულია: კორუფციისგან თავისუფლების, ფისკალური თავისუფლების, მთავრობის დანახარჯების, ბიზნესის თავისუფლების, მონეტარული თავისუფლების, ვაჭრობის თავისუფლების და ფინანსური თავისუფლების რეიტინგებში.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ეს მაღალი მაჩვენებელები თითქოსდა მეტყველებს ქვეყნის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე და მიმზიდველს ხდის მას ბიზნესის დასაწყებად. ეს, თავის მხრივ, განაპირობებს სამუშაო ადგილების შექმნასა და დასაქმების მაღალ და სტაბილურ შესაძლებლობებს. მაგრამ, მეორე მხრივ, საქართველოში არსებული უმუშევრობის პრობლემის სიმწვავიდან გამომდინარე და ქვეყანაში მიმდინარე სტრუქტურულ უმუშევრობაზე დაყრდნობით რეალურად, უმუშევრობის მაღალი დონის მაჩვენებლები ნათელს ქმნის კვლევის მონაცემთა გარკვეულ შეუსაბამობას. კვლევის მიხედვით, საქართველოს სარეიტინგო მდგომარეობა მხოლოდ 1 კომპონენტში – შრომის თავისუფლება 11.3 ქულით შემცირდა და მე-5-დან 24-ე ადგილზე გადაინაცვლა (79.9 ქულა).

ეროვნული ბანკის კანონით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოში მოქმედი კომერციულმა ბანკებმა 2015 წლის I კვარტლის ფინანსური შედეგები გამოაქვეყნეს, საიდანაც ჩანს, რომ თითქმის ყველა ბანკის აქტივები საგრძნობლად არის გაზრდილი. ამ მხრივ უპირობო ლიდერები არიან „საქართველოს ბანკი“ და „თიბისი ბანკი”: ერთი წლის განმავლობაში „საქართველოს ბანკის“ აქტივები 1 მლრდ 789 მლნ ლარით გაიზარდა, ხოლო „თიბისი ბანკისა“ – 1 მლრდ 710 მლნ ლარით. მნიშვნელოვნად არის მომატებული „ბანკ ქართუს“ და ბანკ „რესპუბლიკის“ აქტივებიც, 350-350 მილიონი ლარით. ასევე, „ბაზისბანკის”, „ვითიბი ბანკ ჯორჯიას”, „ლიბერთი ბანკისა“ და „პროკრედიტ ბანკის“ ზრდის მაჩვენებლებიც. მთლიანობაში, ერთი წლის განმავლობაში საბანკო სექტორის აქტივები 5 მილიარდ ლარზე მეტით გაიზარდა.

რის ხარჯზე გაიზარდა კომერციული ბანკების აქტივები?

ერთის მხრივ, კომერციული ბანკი მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციაა და თუ სტაბილურად მუშაობს, მისი აქტივებიც იზრდება, რაც არანაირად ცუდი არ არის და პირიქით მისასალმებელია. სხვა საკითხია, რამდენად გახდა ამის მიზეზი საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ბოლო წლის განმავლობაში საქართველოშია. გამორიცხული არ არის, რომ ბანკებმა სხვადასხვა სავალუტო ფინანსური ოპერაციის მეშვეობით სერიოზული მოგება მიიღეს.

– არც არის გასაკვირი, რომ ბანკების აქტივები და საერთოდ, მათი შემოსავალი გაიზარდა. ასეულობით მილიონის მოგებაზეა საუბარი, რადგან საქართველოში გვაქვს პოლარიზებული საფინანსო სისტემა, სადაც საბანკო სექტორს მეტოქე არა ჰყავს. ეს იმიტომ, რომ ჩვენთან არ არსებობს არც რეალური საფონდო ბაზარი და არც საპენსიო ფონდები. მცირე სალომბარდო დონის მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ბანკებს კონკურენციას ვერ და არ გაუწევენ. რეალურად კონკურენტი საბანკო სექტორს არა ჰყავს. ამიტომ, მთელი ფინანსური რესურსი საბანკო სექტორში იყრის თავს და აქედან გამომდინარე, რეალური საწარმოო სექტორი გაცილებით ჩამორჩება საფინანსო სექტორს. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში 19 კომერციული ბანკია, არც ესენი წარმოადგენენ ერთმანეთის რეალურ კონკურენტებს. მტკიცებას არ ვაპირებ, მაგრამ მოსაზრებათა განხილვის დონეზე მხოლოდ რამდენიმე პარამეტრის – კომერციული თუ იპოტეკური სესხის, დეპოზიტების, ანაბრების და სხვა პროცენტების ერთსახოვნება, განუსხვავებლობა რეალური კონკურენციის არ არსებობაზე მიგვანიშნებს.

კონკურენცის არ არსებობის პირობებში, ბანკების აქტივები შეუდარებელი სისწრაფით იზრდება, მაგრამ საგანგაშო აქტივების ზრდა კი არ არის, არამედ საბანკო მომსახურეობის რა სეგმენტის ხარჯზე იზრდება. დამაფიქრებელია ის, რომ რეალური ბიზნეს სექტორი ამ ტემპს საგრძნობლად ჩამორჩება. ის, რომ ფინანსები გროვდება, კარგია, მაგრამ მისი კვლავწარმოებითი მიმართულებით მოხმარება არ ხდება და ეს არის ცუდი. ამის დასტურია ისიც, რომ დეპოზიტები იზრდება, რატომ? – იმიტომ, რომ სხვა ალტერნატივა არ არის და მთელი ჩვენი მოსახლეობა და ბიზნეს სექტორი თავიანთ ფინანსებს ბანკებისკენ

მიმართავენ. თუ რეალური სექტორი არ ვითარდება, არც ეკონომიკა იზრდება და ვალუტის კურსიც არ არის მყარი, რაც საბოლოო ჯამში ისევ ეკონომიკაზე აისახება. შეიძლება ითქვას, რომ საბანკო სექტორი დღეს ჩვენი ქვეყნის საფინანსო ბაზარზე უპირობო მონოპოლისტია. ბანკების შემოსავალზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ვალუტის კურსებს შორის სხვაობამ: ადრე მათი აქტივები 1,75-ში იყო ასახული, რადგან 1 დოლარი 1,75 ლარი ღირდა, ახლა კი, ეს ციფრი 2,35-მდე გაიზარდა. მარტო აქედან მიიღეს სერიოზული მოგება. ბუნებრივია, ეს მოგება- ლარში მათ აქტივებს დაემატა.

ეს მონოპოლისტი სარგებელს ღებულობს, მაგრამ ამავე დროს ძალიან ცუდ მდგომარეობაში აგდებს ბიზნეს სექტორს: რეალურად „ცალმხრივი“ ხელშეკრულების მაღალი განაკვეთები სესხებზე – ეს ყველაფერი ძირითადში მცირე და საშუალო ბიზნესის მხრებზე გადადის. თუ კონკურენცია გაჩნდება, ბანკები თავად გახდებიან იძულებული საპროცენტო განაკვეთები დასწიონ და კლიენტებს უფრო შეღავათიანი პირობები შესთავაზონ.

კარგად მესმის, რომ ძალიან დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ საბანკო სისტემას, რადგან ძლიერი საბანკო სისტემის გარეშე არც ძლიერი მსხვილი და არც მცირე ბიზნეს სექტორი, ზოგადად ქვეყანის ეკონომიკის განვითარება არ ხდება.

ბანკების აქტივების ზრდა დადებითი ტენდენციაა. ამისათვის რამდენიმე წყარო არსებობს: დეპოზიტებზე მოზიდული სახსრები, უცხოური წყაროებიდან მოზიდული რესურსები, ასევე სახაზინო ვალდებულებები და ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა. ეკონომიკური კანონების მიხედვით, აქტივების ზრდა უნდა იყოს წინაპირობა იმისა, რომ საპროცენტო განაკვეთები თანდათან შემცირდეს და კონკურენცია ამ სფეროში კიდევ უფრო გაიზარდოს. საბანკო მოგებას რაც შეეხება, ამ საკითხის განხილვისას ხშირად ჩნდება კითხვა – რის ხარჯზე იღებენ კომერციული ბანკები მოგებას? – პირველ რიგში ჩვენთან საკრედიტო რესურსი გაცილებით ძვირია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. საქართველოში ევროპასთან შედარებით დეპოზიტებზე გასაცემი პროცენტიც მეტია, მაგრამ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთებიც მაღალია. ამიტომ, გაცემულ სესხებსა და მოზიდულ თანხას შორის სხვაობა საქართველოში სამჯერ უფრო მეტია, ვიდრე ევროპის განვითარებული ქვეყნების საბანკო სისტემაში ანუ ქართული ბანკები მოგების მაღალ მარჟაზე მუშაობენ.

ყველაზე მთავარი და საყურადღებო – აბსოლუტურად ნიჰილისტური დამოკიდებულება ბიზნეს პროექტის გათვლების რეალობის მიმართ. არც ერთ ბანკს არ ჰყავს პროექტმენეჯერი, ბანკების თანამშრომელთა უმრავლესობა ბალანსს ვერ ან არ კითხულობს. სესხის ერთადერთი ფორმა - გირაო, ვერ გადაიხდი დავადებ ყადაღას, სულ ეს არის. რეალურ ბიზნეს სექტორთან ბანკები ფაქტობრივად ვერ და არ მუშაობენ! ყველა ბანკი გაურბის ბიზნესის „სტარტაფის“ დაფინანსებებს.

ბანკები საერთოდ არ ზომავენ ბიზნეს რისკებს და გეტყვით, რატომაც. იმიტომ,რომ მონოპოლიურ „კანონიერ“ ტრენდს ფლობენ. შესაბამისი კანონით -ბანკს უფლება აქვს ნებისმიერი ქონება ჩამოართვას მსესხებელს, ისიც კი, რაც გირაოში არ გაქვს ჩადებული. ამით ბანკებმა, არა რისკის ანალიზის საფუძველზე, არამედ, ერთი მარტივი ფორმულით „თავი დაიზღვიეს“ ვერ დააბრუნებ სესხს, მთელ ქონებას ჩამოგართმევ!

ზოგიერთი ექსპერტი ამართლებს ასეთ მიდგომას, მიაჩნიათ, რომ ეს მექანიზმი რომ ყოფილიყო თავის დროზე, ბევრი კომერციული ბანკი არ გაკოტრდებოდა. მათ არ ჰქონდათ მათ მიერვე გაცემული სესხების ამოღების მოქნილი მექანიზმი, იმის გამო, რომ მაშინ არც აღსრულების სისტემა და არც სასამართლო იდგა სათანადო დონეზე. მსგავს აზროვნებას დასავლეთში „არასახელმწიფოებრივ, მარტივ აზროვნებას“ უწოდებენ.

ამ შემთხვევაში მოვიყვან საბანკო კრედიტის აღებასთან დაკავშირებულ პრობლემების კვლევას, რომელიც 2015 ნელს „ფრიდრიხ ებერტის“ ფონდის პროგრამის „საშუალო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის“ ფორმატში განხორციელდა, 375 გამოკითხულიდან გამოიკვეთა 5 ძირითადი სირთულე:

1. კრედიტზე მაღალია საპროცენტო განაკვეთი – 271
2. ბანკი კრედიტს გასცემს, მხოლოდ გირაოს და არა ბიზნეს- იდეის შეფასების საფუძველზე – 294
3. დიდია მოთხოვნილი იპოთეკის/გირაოს ოდენობა – 159
4. ბიუროკრატიულია კრედიტის აღების პროცედურები და დროს მოითხოვს -157
5. ბანკის მხრიდან ირღვევა სესხის პირობები - 27

არ იფიქროთ, რომ ბანკებში ცუდი მენეჯმენტია ან/და დაბალი კვალიფიკაციის კრედიტ ოფიცრები ყავთ. არა, უმთავრესი საკრედიტო პორტფელის მართვის „მარტივი აზროვნების“ პოლიტიკაა, რომელიც მუშაობს პრინციპით – „დღევანდელი კვერცხი მირჩევნია“, კლიეტიდან დღესვე მივიღო ყველაფერი, თუნდაც ამას მისი სრული გაკოტრება მოყვეს. ეს პრინციპი ბიზნესს ცოტა მეტს ძარცვავს, ბანკი მეტ მოგებას „დაუმსახურებლად“ ღებულობს, აი, ეს არის ცუდი! ბანკი არ არის ორიენტირებული კლიენტის გრძელვადიან მომსახურებაზე. სამწუხაროდ ვერ მოვიპოვე ინფორმაცია ბიზნეს სუბიექტების მიერ დახურული/გაუქმებული ანგარიშების რაოდენობაზე. მეორე - მათი მონოპოლიური სატარიფო სისტემა ხელს არ უწყობს იმას, რასაც ბიზნესის განვითარება ჰქვია. ჩვენი ბაზარი საკრედიტო ფინანსური რესურსებით გაჯერებული არ არის. ამით ფანტასტიკურად სარგებლობენ და წარმოების ბიზნეს პროექტის ნაცვლად რეალურად, მხოლოდ იპოთეკას აფინანსებენ.

იმისათვის, რომ ცივილიზებულ ქვეყნებს დავუახლოვდეთ, კიდევ უფრო მეტი საკრედიტო რესურსი და უფრო მაღალი კონკურენცია გვჭირდება. ამ სფეროში ამინდს ორი ბანკი განსაზღვრავს -"საქართველოს ბანკი" და „თიბისი ბანკი" ლიდერ პოზიციებზე იმ ოც ბანკს შორის, რომელიც საქართველოში ოპერირებს, რაც გარკვეულწილად დაბალი კონკურენციის მაჩვენებელია. ეს იწვევს სწორედ მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. სასურველია საკრედიტო რესურსის ბაზარზე უფრო მეტი ბანკი ოპერირებდეს.

საბანკო კაპიტალი საინვესტიციო კაპიტალით უნდა იყოს დაბალანსებული. ანუ, ბიზნესს ფული თუ სჭირდება, ბანკში მიდის. ბანკი ან დათანხმდება ან არა, ანუ, მთლიანად ბანკზეა დამოკიდებული. შემდეგი გზა რჩება - ბიზნესმა უცხოურ ინვესტიციებს მიმართოს, ანუ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გავიდეს, აქციების თუ გრძელვადიანი კორპორატიული ობლიგაციების სახით გამოუშვას, მოიზიდოს საკმაოდ იაფი და, რაც მთავარია, გრძელვადიანი კაპიტალი, რომელიც ვერ მოდის საბანკო სესხთან, არის ხისტი, შეზღუდული და ნებისმიერი ბიზნესისთვის ძალიან არაკომფორტულია. ამის საშუალება კომპანიებს არ გააჩნიათ იმიტომ, რომ არ არის შექმნილი ის წინაპირობები, რაც მათ თავისუფლად საინვესტიციო პროექტების დაფინანსების გამოყენების შესაძლებლობას მისცემდა. წარმოიდგინეთ, აქ რომ ასეთი წინაპირობები იყოს, უცხოეთში გამოთავისუფლებულ კაპიტალს, მაგალითად, თუნდაც უკრაინაში, რომლის ერთ ტერიტორიულ ნაწილში სამხედრო პოლიტიკური კრიზისია და ამის გამო ხურავენ ბიზნესს და კაპიტალის უსაფრთხო გარემოში გატანა სურთ. ჩვენთან შესაბამისი პირობები, რომ შეგვექმნა ეს კაპიტალი ჩვენთან წამოვიდოდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 13 მაისის N35/04 ბრძანების მიხედვით, კომერციული ბანკებს ევალება, მათ მიერ „საბანკო მომსახურების გაწევისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესის" შესრულება. გარდა ამისა, მისი ფუნქციაა მომხმარებლებისაგან პრეტენზიების მიღება, განხილვა და შესაბამისი რეაგირება, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

„ინფორმაციის მიწოდების წესის" მიხედვით ბანკი ვალდებულია სამომხმარებლო კრედიტის გაცემის დროს მომხმარებელს ამომწურავად მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია სასესხო პროდუქტის შესახებ – ეფექტური საპროცენტო განაკვეთი , დაკავშირებული ხარჯები , პირგასამტეხლოები, სავალუტო რისკი.

ბანკმა უნდა უზრუნველყოს პრეტენზიების განხილვის ეფექტური მექანიზმებისა და პროცედურების დანერგვა. დავინტერესდი და ასეთი მექანიზმი საკუთრივ ბანკს არ გააჩნია. თუ, კრედიტის მომხმარებელს პრეტენზია გააჩნია, მან უნდა მიმართოს ხელშეკრულებით წინასწარ განსაზღვრულ ერთადერთ არბიტრაჟს. მაგრამ, რა საბანკო მომსახურებაზე ვრცელდება ეს წესი? იგი, ვრცელდება მხოლოდ 2011 წლის 1 ივნისის შემდეგ და მხოლოდ ფიზიკურ პირებთან გაფორმებული სამომხმარებლო კრედიტის, მათ შორის, ოვერდრაფტისა და საკრედიტო ბარათის გაცემასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებზე, როდესაც კრედიტის მთლიანი თანხა აღემატება 300 ლარს და ნაკლებია 50,000 ლარზე (ან მისი ექვივალენტზე უცხოურ ვალუტაში), ასევე ფიზიკური პირების ყველა სახის სადეპოზიტო ხელშეკრულებებზე, რომელთა პირველადი შენატანი ნაკლები 50,000 ლარზე ან მის ექვივალენტზე სხვა ვალუტაში. სამწუხაროდ, ეროვნულმა ბანკმა როგორც ამ წესის შემდგენმა და მის შესრულებაზე მონიტორინგის უფლების მქონე რგოლმა იგივე პირობა არ გაითვალისწინა მეწარმე სუბიექტებზე ამავე მოცულობის (300 დან 50 000 მდე ლარი) კომერციული სესხების გაცემისას პირობისას. სესხის ეს ოდენობა, ხომ სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ხელმისაწვდომი და საჭირო მოცულობაა. ამასთან, მცირე მეწარმეთა რეალურ სამართლებრივ ცოდნის დონესაც თუ გავითვალისწინებთ არ იქნებოდა ურიგო თუ იგივე წესი კომერციულ ბანკებს დაავალდებულებდა საკრედიტო მომსახურების გაწევის დროს მომხმარებელს- მეწარმე იურიდიულ და ფიზიკურ პირს, ამომწურავად მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია სასესხო პროდუქტის შესახებ – ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული ხარჯები, პირგასამტეხლოები, სავალუტო რისკი და სხვა.

ამასთან, გარკვეულობას და ორაზროვნებას იწვევს ამავე ბრძანებით განსაზღვრული დებულება ბანკის მხრიდან „კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების გაწევისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესის" დარღვევა ვერ იქნება ბანკსა და მომხმარებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი თუ ეს გარემოება ამავდროულად არ აკმაყოფილებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ხელშეკრულების ბათილობის კრიტერიუმებს.

სახელშეკრულებო სამართალი არა მარტო საბანკო მომსახურების არამედ ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე ვრცელდება და უმნიშვნელოვანეს სამოქალაქო სამართლეობრივ საკითხს წარმოადგენს. ზოგადად, ვალდებულებითი სამართლის წარმოშობის საფუძვლები, სახელშეკრულებო ურთიერთობები, ვალდებულების შესრულება, ვალდებულებით წარმოშობილი ზარალის ანაზღაურება და სხვა თანასწორობის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობებია.

მიმაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში საკმაოდ ნათლად და კარგადაა ჩამოყალიბებული თანასწორობის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მოთხოვნები. მაგალითად, კანონის 55-ე მუხლის მიხედვით: „ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს". კერძოდ, ბათილია გარიგება: რომელიც

დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე.

ზოგადად, ხელშეკრულებები სერიოზულად განსხვავდებიან თავისი შინაარსითა და სახით, მაგრამ ის რაც საერთოა ყველასათვის (მათ შორის საკრედიტო ხელშეკრულებისათვის) და რასაც კანონი მოითხოვს ეს არის მხარეებისათვის ურთიერთპატივისცემისა და გულისხმიერების მოვალეობაა.

გულისხმიერების მოვალეობა როგორც წესი მხოლოდ ვალდებულების განხორციელების პროცესში გამოიკვეთება.

კანონის თანახმად, ნებისმიერი ხელშეკრულების (მათ შორის საკრედიტო ხელშეკრულების) სტანდარტული პირობები მხოლოდ მაშინ იქცევა მათ შემთავაზებელსა და ხელშეკრულების მეორე მხარეს შორის დადებული ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად, როცა:

- შემთავაზებელი ხელშეკრულების დადების ადგილას თვალსაჩინო წარწერას გააკეთებს და მიუთითებს ამ პირობებზე
- ხელშეკრულების მეორე მხარეს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს ამ პირობების შინაარსს და, თუ თანახმაა, მიიღოს ეს პირობები.
- თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის მეწარმე, ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობები ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იქცევა მაშინ, როცა მას საქმიან ურთიერთობებში აუცილებელი გულისხმიერების გამოჩენისას ეს უნდა გაეთვალისწინებინა.(მუხ. 343)

ამასთან, კანონის ძალით, „ბათილია ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს ეწინააღმდეგება და საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის“.(მუხ. 346)

საყურადღებოა, კანონის 347-348 მუხლში მოყვანილი დებულებანი – ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობის შესახებ. ამ ნორმათა ძირითადი მიზანი მომხმარებელთა (მათ შორის საბანკო მომსახურეობის) უფლებათა ინტერესების დაცვაა. იგი პასუხისმგებლობას აკისრებს შემთავაზებელ იურიდიულ პირს. ამ შემთხვევაში შემთავაზებელი იურიდიული პირი ბანკია, და კანონი პასუხისმგებლობას კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვაზე მას აკისრებს.

სამწუხაროდ საზოგადოების დიდი ნაწილი გაუთვითცნობიერებელია თავის უფლებებში. კანონი იცავს და ეს იმპერატიული ნორმები ეხება ყველას, ზოგადად ნებისმიერ მომხმარებელს, მოქალაქეს, უცხოელს, მოქალაქეობის არმქონე პირს და სხვა. მომხმარებელთა (ფიზიკურ პირთა) დაცვის ასეთი და უფრო ზეაღმატებული საკანონმდებლო მოთხოვნები გვხვდება მსოფლიოს უმრავლეს განვითარებულ ქვეყნებში და ჩვეულებრივ ნორმას წარმოადგენს.

ზოგადად კეთილსინდისიერება თითოელი ჩვენთაგანის ქცევის, მოქმედების და ცხოვრების წესის ვალდებულებაა. ცივილიზირებული სამყარო სხვა დანარჩენისგან სწორედ „კეთილსინდისიერების ხარისხის ნიშნით“ გამოირჩევა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მიხედვით, „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.“

მართალია, კეთილსინდისიერების დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა, მაგრამ მისი კომენტარების ერთერთი ავტორი პროფესორი, ბესარიონ ზოიძე განსაკუთრებულად წარმოაჩენს მას და „მეფურ მუხლებს“ უწოდებს. რომელთა შესრულებაზე ბევრადაა დამოკიდებული სამოქალაქო ურთიერთობათა „მშვიდობიანი“ განხორციელება. უდავოა რომ კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას.

კეთილსინდისიერება ბიზნეს ურთიერთობათა ძირეულ საფუძველს წარმოადგენს. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, იგი მხოლოდ პოზიტიურ გაგებით გამოიყენება. კეთილსინდისიერება მისი პირდაპირი გაგებით წესიერი, ზნეობრივად და მორალურად გამართული ურთიერთობაა, რომელიც უპირველესად ამ ვალდებულებას წარმოშობს. თვით ბიზნესი/მეწარმეობა, იგივე საბანკო საქმიანობა თავისთავად მოგების მიღების სურვილს ემყარება, მაგრამ ეს მოგება არ უნდა იქნეს მიღებული „ნებისმიერი არაკეთილსინდისიერი გზით“, არამედ მხარეებისათვის ურთიერთ მისაღები ინტერესების გათვალისწინებით. აღნიშნული ღირებულებები დეკლარირებული აქვს საქართველოში მომქმედ თითქმის ყველა ბანკს, მაგალითად საქართველის ბანკის ვებ გვერდზე ვკითხულობთ, – ბანკის მისია და ღირებულებებია: .....“მომხმარებლის დაფასება, დაამკვიდრონ მომხმარებელთან გრძელვადიანი ურთიერთობა, აზრის გათვალისწინების, პროფესიონალიზმისა და დანდობის საფუძველზე“.

კონტრაქტორი არ უნდა იყენებდეს ბოროტად პარტნიორის გაჭირვებულ ან საკუთარ დომინანტურ მდგომარეობას. იგი უნდა ემყარებოდეს სიმართლეს და მხოლოდ სიმართლეს. დასავლეთში ის სამართლებრივი ბიზნეს ურთიერთობები, რომელიც არ ემყარება ნამდვილობას (სინამდვილეს), მოტყუებით, მოჩვენებითი ქცევითა და მოქმედებებით ხორციელდება არ ატარებს მეწარმეობის ერთერთ მთავარ ნიშანს – მრავალჯერადობას. რადგანაც ერთხელ მოტყუებული პარტნიორი თუ მომხმარებელი მეორედ არ შეიძენს იმ საქონელს/მომსახურეობას, რომელის რეალური ნამდვილობა არ შეესაბამებოდა დაპირებულ ხარისხს, ფასს და სხვა შეთანხმებას. ასეთი არაკეთილსინდისიერი კომპანიები/ბანკები ერთჯერადი დი-

დი მოგების მიუხედავად, მალევე იტეხენ სახელს, მათ აღარ ენდობიან, კოტრდებიან და ქრებიან ორბიტიდან.

დასავლურ ქვეყნებში ბიზნეს ურთიერთობებში გამოკვეთილია ნდობის, ბანკის „იმიჯის“ ფაქტორი, რომელიც სწორედ კეთილსინდისიერების ხარისხზეა დამოკიდებული. ბანკები სახელისა და იმიჯის შესანარჩუნებლად უამრავ ფულს ხარჯავენ, მილიონობით ზარალსაც ეგუებიან, ოღონდაც მომხმარებლის/კლიენტის ნდობა არ დაკარგონ.

ამიტომაცაა, რომ კეთილსინდისიერება არა მარტო უფლებების არსებობის, არამედ მოვალეობის შესრულების ვარაუდიცაა.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კერძო სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებლური იდეაა – ხელშეკრულების მხარეთა კეთილსინდისიერების პრინციპია.

კეთილსინდისიერების პრინციპი ჩამოყალიბებულია საერთაშორისო შეთანხმების – UNIDROIT-ის პრინციპების 1.7 მუხლში, რომლის თანახმად, საერთაშორისო ვაჭრობაში, ყოველი მხარე უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერებისა და „კეთილსინდისიერი გარიგების“ შესაბამისად; მხარეებს უფლება არა აქვთ გამორიცხონ ეს დებულება ან შეზღუდონ მისი მოქმედების ფარგლები.

კეთილსინდისიერებაზე საუბარია არა მხოლოდ თვით ხელშეკრულებასთან მიმართებით, არამედ მისი შექმნისა და მის შესახებ მოლაპარაკების წარმოების ეტაპებზეც, რაც უნდა გამოიხატოს მხარეთა კეთილსინდისიერ მიზნებში. ის ფაქტი, რომ სიტყვა „კეთილსინდისიერება“ აღნიშნულია გარიგების გვერდით, მიგვანიშნებს იმაზე, რომ იგი უნდა გავიგოთ მისი ობიექტური, სინონიმური მნიშვნელობით, რაც თვით UNIDROIT-ის პრინციპებში მოხსენიებულია როგორც – „გონიერი კომერციული სტანდარტები და სავაჭრო პატიოსნება”. სამწუხაროდ საქართველო ამ მნიშვნელოვან საერთაშორისო სამართლებრივ აქტს მიერთებული არ არის. რაც ვფიქრობ საშური და საჭირო საქმეა, რამდენადაც უცხოელი პარტნიორებისა და ინვესტორების მოსაზიდად საერთაშორისო შეთანხმებებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით მოვალის მიერ ვადის გადაცილებისას კრედიტორს (ამ შემთხვევაში ბანკს) შეუძლია დაუნიშნოს მოვალეს ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი დრო (დამატებითი ვადა). რამდენად იყენებენ ამ უფლებას საქართველოში კომერციული ბანკები, რამდენად ითვალისწინებენ ისინი კანონის „მეფური მუხლების“ კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების მნიშვნელობას. მოვიძიეთ და სამწუხაროდ ვერ აღმოვაჩინეთ რომელიმე სასამართლო გადაწყვეტილების პრეცენდენტი ბანკების მხრიდან კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების დარღვევის გამო მოვალის ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი დროს (დამატებითი ვადის) დანიშვნის ან ამ მიზნით მორიგების თაობაზე.

გაირკვა, რომ საბანკო საკრედიტო ხელშეკრულებების აფსოლუტურ უმრავლესობაში აღნიშნულია, რომ მხარეთა შორის სადაო საკითხის, ან მოთხოვნის წარმოშობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ მხოლოდ ბანკის მიერ წინასწარ შერჩეულ არბიტრაჟს. მოვალე კრედიტორი მხარე, როგორც წესი საარბიტრაჟო მომსახურეობის საკმაოდ მაღალი ტარიფისა და ნაკლებად იმედიანი განწყობის პირობებში არ მიმართავს დავის განმხილველ ამ ორგანოს.

ყოველივე ზემოთაღნიშნული (სტანდარტული საკრედიტო ხელშეკრულებების კანონთან შესაბამისობის თაობაზე) არაერთხელ გამხდარა, საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის – მსოფლიო ბანკის ყურადღების საგანი, მაგრამ საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის სამსახურის მხრიდან საკითხის შესწავლა/ანალიზი არასდროს მომხდარა.

დღეს, ბევრი კამათობს იმაზე, თუ ვის დაქვემდებარებაში უნდა იყოს „საბანკო ზედამხედველობა“?

ჩემის აზრით, მთავარია ამ სამსახურის გამართული და ეფექტიანი საქმიანობა და ნაკლებად მნიშვნელოვანია თუ ვის დაქვემდებარებაში იქნება იგი. ვფიქრობ, რომ „საბანკო ზედამხედველობა“ ეროვნული ბანკის ფუნქციას და მოვალეობას უნდა წარმოადგენდეს და ეს სამსახურიც მის დაქვემდებარებაში უნდა იყოს. ოღონდაც, რბილად რომ ვთქვათ „ეს სამსახური უნდა მუშაობდეს“!

და მაინც, ეს ყველაფერი წარსული და დღევანდელი დღეა, რა მოხდება ხვალ? რიგის სამიტის შემდეგ, ევროკომისიის ოფიციალურ ვებ. გვერდზე გაჩნდა ჩანაწერი, რომ ევროკავშირი საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში 2 მილიარდი ევროს ოდენობის ინვესტირებას აპირებს.

სწორედ ეს არის დამაფიქრებელი. პირობითად, თუ ინვესტირება – „საბანკო სექტორის საკრედიტო რესურსის შესავსებად“ იქნა მიმართული და შემდეგ ბანკებმა „ზედამხედველობის“ გარეშე იგივე (დღეს მომქმედი), საპროცენტო განაკვეთებით, სტანდარტული ხელშეკრულებების ფორმითა და შინაარსით – მცირე და საშუალო ბიზნესისათვის სესხის სახით გასცეს, მაშინ ვეჭვობ, რომ შედეგი იგივე იქნება, როგორც ეს 2008 წლის ომის შემდგომ მოხდა. (როცა, საქართველოსათვის გამოყოფილი 4,5 მლრ. დოლარი, რომლის წონადი ნაწილი, სწორედ საბანკო სექტორის „საკრედიტო რესურსის შესავსებად“ იყო განსაზღვრული). მაშინ, ქართულმა ბიზნესმა რეალური დახმარება ვერ მიიღო. რატომ? ფორმალურად, ბანკებმა ბიზნეს სექტორზე სესხი გასცეს! ოღონდ, იგივე პირობებით, იგივე წესით, იგივე პროცენტით, ქონებრივი უზრუნველყოფის/იპოტეკის საფუძველზე, დომინანტის უფლებებით და ა. შ.

მაშინ, დასავლური სამყაროს ეს კეთილსასურველი მიზანი საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა/დახმარება შეუსრულებელი დარჩება.

ამირან თავართქილაძე

საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებისათვის საკრედიტო რესურსის ხელმისაწვდომობის პრობლემები საქართველოში

რეზიუმე

საბანკო სექტორი და მისი გამართული მუშაობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნაში მეწარმეობის განვითარებისთვის. მეორეს მხრივ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვანია საშუალო და მცირე ბიზნესის ხვედრითი წილი.

საქართველოში კონკურენციის არ არსებობის პირობებში, ბანკების აქტივები შეუდარებელი სისწრაფით იზრდება. მთლიანობაში, ერთი წლის (2014) განმავლობაში საბანკო სექტორის აქტივები 5 მილიარდ ლარზე მეტით გაიზარდა.

მაგრამ საგანგაშო აქტივების ზრდა კი არ არის, არამედ ის, რის ხარჯზე (საბანკო მომსახურეობის რა სეგმენტის ხარჯზე) იზრდება და დამაფიქრებელია ის რომ რეალური სექტორი ამ ტემპს საგრძნობლად ჩამორჩება. ის, რომ ფინანსები გროვდება, კარგია, მაგრამ მისი კვლავწარმოებითი მიმართულებით მოხმარება არ ხდება. ამასთან, ეს მოგება არ უნდა იქნეს მიღებული „ნებისმიერი არაკეთილსინდისიერი გზით“, არამედ მხარეებისათვის ურთიერთ მისაღები ინტერესების გათვალისწინებით. აღნიშნული ღირებულებები დეკლარირებული აქვს საქართველოში მომქმედ თითქმის ყველა ბანკს,

საბანკო სექტორს მეტოქე არა ჰყავს. ეს იმიტომ, რომ ჩვენთან არ არსებობს არც რეალური საფონდო ბაზარი და არც საპენსიო ფონდები. ჩვენი ბაზარი საკრედიტო ფინანსური რესურსებით გაჯერებული არ არის. ამით სარგებლობენ ბანკები და წარმოების ბიზნეს პროექტის ნაცვლად რეალურად, მხოლოდ იპოთეკას აფინანსებენ. ჩვენთან საკრედიტო რესურსი გაცილებით ძვირია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. საქართველოში ევროპასთან შედარებით დეპოზიტებზე გასაცემი პროცენტიც მეტია, მაგრამ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთებიც მაღალია. ამიტომ, გაცემულ სესხებსა და მოზიდულ თანხას შორის სხვაობა საქართველოში სამჯერ უფრო მეტია, ვიდრე ევროპის განვითარებული ქვეყნების საბანკო სისტემაში ანუ ქართული ბანკები მოგების მაღალ მარჟაზე მუშაობენ. კომერციული სესხების გაცემისას პირობისას სესხის პროცენტი მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ხელმისაწვდომი არ არის.

ნაშრომში მოყვანილია საბანკო კრედიტის აღებასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევა, რომელიც 2015 წელს „ფრიდრიხ ებერტის“ ფონდის პროგრამის „საშუალო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის“ ფორმატში განხორციელდა.

Amiran Tavartkiladze

PROBLEMS OF ACCESS TO CREDIT RESOURCES FOR DEVELOPMENT OF SMALL AND MEDIUM BUSINESSES IN GEORGIA

Summary

Banking sector and its proper work is one of the important factors for development of entrepreneurship in the country. On the other hand, in the environment of market economy, the share of small and medium businesses is important.

Due to want of competition in Georgia, assets of the banks are increasing with skyrocketing speed. On balance, during one year (2014), assets of the banking sector were increased by more than 5 billion lari.

However, rise in the amount of assets is not threatening but the issue is, at the expense of what (what segment of banking services) goes this rise; it is also the cause of concern, that real sector is far behind in this race. Growth of finances is good, however its use in the direction of reproduction does not take place. At the same time, this kind of profit should not be achieved by 'any indecent way' but mutually acceptable interests of both parties should be taken into account. These values have been declared by almost every bank doing business in Georgia.

Banking sector has no competitor. That is so because we have neither real securities market, not pension funds. There is no glut of credit financial resources in the market. Banks take advantage of this situation and instead of financing business projects of production, they in reality finance only mortgage loans. Credit resource here is by far more expensive than in developed nations. Compared with Europe, in Georgia interest rate on the deposits are higher but interest rates on loans are also high. That is why the difference between delivered loans and deposits of money is three times bigger in Georgia than in banking systems of the developed nations of Europe, therefore, the Georgian banks work on a very high margin of profit. While providing commercial loans, the banks do not offer reasonable interest rates to small and medium-size businesses.

The work contains research of problems connected with taking bank loans which was fulfilled in 2015 within the program of Friedrich Ebert Foundation 'Support of Medium and Small Business'.

თალიკო ჟვანია
ანა კოგბიაშვილი

ელექტრონული სწავლება, როგორც თანამედროვე საგანმანათლებლო ტრენდი

სულ რაღაც ათიოდე წლის წინ სწავლების პროცესის წარმოდგენა შეიძლებოდა მხოლოდ საკლასო ოთახში კვალიფიციურ მასწავლებელთან ერთად და არა კომპიუტერის წინ. ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად დაიწყო სწავლების ინტეგრირება კომპიუტერთან და ელექტრონული სწავლება გახდა სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ბევრი კომპანია თავისი თანამშრომლებისათვის იყენებდა ვიდეოზე დაფუძნებულ სწავლებას. ამ პერიოდისთვის „სწავლების ინდუსტრია წარმოადგენდა ძალიან მცირე ბაზარს და განიცდიდა გაფართოებადობის ნაკლებობას, რაც ასე მნიშვნელოვანია დღევანდელ პირობებში“ [1]. სწავლების ვიდეოთი განხორციელება კარგი იდეა იყო, მიუხედავად იმ ნაკლოვანებებისა, როგორიცაა: მომხმარებლის საჭიროებების შესაბამისად გადაწყობის არარსებობა, რეალიზაციის სიძვირე, გაუმჯობესების სირთულე, სათანადო ვიდეოაპარატურის ნაკლებობა და სხვა. თუმცა ამ ტიპის სწავლების უმთავრესი ნაკლი იყო შეზღუდული ინტერაქციის უნარი, რაც იწვევდა იმას, რომ თითქმის შეუძლებელი ხდებოდა თანამშრომლების პროგრესის თვალყურის დევნება და შეფასება.

CD-ROM-ების გამოჩენამ, მათი წარმოების სიიაფის გამო, ეს პრობლემები გაამარტივა, ამასთან, ვიდეოებთან შედარებით ის ბევრად მოქნილი იყო. თანამშრომლებს შეეძლოთ, უბრალოდ მოეთავსებინათ CD თავიანთ კომპიუტერში და ესწავლათ. მიუხედავად იმისა, რომ CD-ROM-ზე დაფუძნებული სწავლების ხარისხი გაუმჯობესდა, მას მაინც აკლდა თანამშრომლის მოქმედებების თვალყურის დევნის შესაძლებლობა ცენტრალურ მონაცემთა ბაზაში. ასევე ადვილი არ იყო მასალის მოდერნიზება. ინტერნეტის გამოჩენასთან ერთად სასწავლო მასალამ გადაინაცვლა ქსელში – ვებგვერდებზე. თავდაპირველად ის წარმოადგენდა უბრალოდ ტექსტს, ასევე შესაძლებელი იყო მცირე გრაფიკული მასალის ატვირთვაც. გამარტივდა მასალის მოდერნიზება და შესაბამისად – მასთან წვდომა. მაგრამ „რეალურად არავინ ზრუნავდა ამ ახალი გარემოს ეფექტურობაზე – ის იყო უბრალოდ ძალიან კარგი“ [2].

ელექტრონული სწავლების სფეროში მომუშავე ადამიანები სულ მალე მიხვდნენ, რომ არაეფექტურია უბრალოდ დაიდოს ინფორმაცია ვებ-ზე მომხმარებლისათვის სწავლების სტრატეგიის შეთავაზების გარეშე. სწავლების პროცესის ტექნოლოგიური გაუმჯობესების მიზნით ამ ტიპის სწავლება უნდა „მორგებოდა“ მსმენელს და არა – პირიქით. შედეგად დაიბადა ელექტრონული სწავლება [3].

ელექტრონული სწავლების სფეროში ერთ-ერთი პირველი ნამდვილი ინოვაცია იყო LMS, ანუ სწავლების მართვის სისტემა (Learning Management System). სწავლების მართვის პირველი სისტემები გვთავაზობდნენ მზა სტანდარტულ პლატფორმას მსმენელთა რეგისტრაციისათვის და კურსების კატალოგიზაციას. ასევე შესაძლებელი იყო სწავლების პროცესის მენეჯმენტი. ამან საშუალება მისცა სასწავლო დაწესებულებებსა და კომპანიებს, თვალყური ედევნებინათ მსმენელების პროგრესისათვის, ჰქონოდათ მსმენელებთან ეფექტური კომუნიკაცია და შეექმნათ დისკუსიების საშუალება რეალურ დროში.

ამის შემდეგ სწრაფად შეიქმნა ელექტრონული საკლასო ოთახი. ასეთ საკლასო ოთახებს ხშირად უწოდებენ ინსტრუქტორის მიერ პირდაპირ წარმართულ სწავლებას, ანუ ILT-ს (Live Instructor-Lead Training). ILT-ი შეიძლება კომბინირებულ იქნეს რეალურ დროში მენტორობასთან, გაუმჯობესებულ სასწავლო სერვისებთან, თანამედროვე „ვებ-ზე დაფუძნებულ“ კონტენტებთან და ამ გზით შეიქმნას მაღალეფექტური, მრავალგანზომილებიანი სასწავლო გარემო [4].

ელექტრონული სწავლება მოგებიანია განათლების სისტემის, კორპორაციებისა და ყველა ტიპის მსმენელისათვის. ელექტრონული სწავლება უფრო ხელმისაწვდომი, ეკონომიური და ეფექტურია, ვიდრე ტრადიციული, რადგან ელექტრონული სწავლების ორგანიზება შესაძლებელია ნებისმიერ გეოგრაფიულ ადგილზე, გადაადგილებისათვის საჭირო დროისა და დანახარჯების გარეშე. მოქნილობა წარმოადგენს ელექტრონული სწავლების ძირითად სარგებელს. მას აქვს მეცადინეობის ჩატარების უპირატესობა ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილზე. განათლება ხელმისაწვდომია, როცა და სადაც საჭიროა ის. ამ ტიპის სწავლება შეიძლება განხორციელდეს ოფისში, სახლში, გზაში დღეში 24 საათისა და კვირაში 7 დღის განმავლობაში.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ ელექტრონული სწავლების სისტემებს აქვს ცოდნის შეფასების ინსტრუმენტები, რაც მსმენელსაც და ინსტრუქტორსაც საშუალებას აძლევს, სასწავლო კურსის სხვადასხვა ეტაპზე გაეცნოს, რა მასალა აქვს შესწავლილი მსმენელს და როგორია მის მიერ მიღებული ცოდნის შეფასება.

მსმენელებს მოსწონთ ელექტრონული სწავლება იმიტომ, რომ ის სთავაზობს მათ სხვადასხვა სტილის სწავლებას. მსმენელებს აქვთ უპირატესობა, ისწავლონ საკუთარი ტემპის შესაბამისად. მათ შეუძლიათ, ისწავლონ სხვადასხვა სახის აქტივობების გამოყენებით, რომლებიც შეიძლება მორგებულ იქნეს მსმენელთა ფსიქოტიპზე. მსმენელებს შეუძლიათ, მოარგონ ელექტრონული სწავლება თავიანთი საქმიანობის გრაფიკს.

ელექტრონული სწავლება მსმენელებს სთავაზობს ინფორმაციის შესწავლას ჰიპერლინკებისა და საიტების საშუალებით ქსელში. მსმენელებს შეუძლიათ, იპოვონ თავიანთი საჭიროებისა და ინტერესების შესაბამისი ინფორმაცია. ელექტრონული სწავლება მსმენელებს საშუალებას აძლევს, აირჩიონ თავიანთი ცოდნის დონის შესაბამისი სასწავლო მასალა და ყველაფერი ის, რის ცოდნაც მათ ესაჭიროებათ მეტი ეფექტურობის მისაღწევად თავიანთ საქმიანობაში. ელექტრონული სწავლება უფრო მეტად ფოკუსირებულია მსმენელზე და ამდენად ის უფრო საინტერესოა მისთვის, რადგანაც ეს ის ინფორმაციაა, რომლის ცოდნაც სურს მას.

ელექტრონული სწავლება ეხმარება მსმენელებს, განავითარონ ინტერნეტის ცოდნა, რაც დაეხმარება მათ კარიერულ წინსვლაში. ელექტრონული სწავლება მსმენელებს ასწავლის პასუხისმგებლობის აღებას საკუთარ სწავლაზე და დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღებას. მისი სწორად წარმართვით მსმენელს შესაძლებლობა აქვს, მიიღოს მაღალი ხარისხის თვითგანათლება და გახდეს თავდაჯერებული.

განათლების სისტემის თანამშრომლები და კორპორაციები ნამდვილ მოგებას ნახულობენ ელექტრონულ სწავლებაში. მსმენელებს მოსწონთ ნაკლები დანახარჯებით საკუთარი დროის ტემპის შესაბამისი სწავლების შესაძლებლობა.

ელექტრონული სწავლება საგანმანათლებლო ინდუსტრიაში უზრუნველყოფს მასწავლებლებისა და მსმენელების სპეციფიკური პრობლემების ახლებურ გადაწყვეტას; იგი კორპორაციებში პასუხობს ბიზნესის სამყაროს სპეციფიკურ მოთხოვნებს. ბიზნესსპეციფიკური კონცეფციის სწრაფი მიწოდება, სხვადასხვა დეპარტამენტების ერთდროული ტრეინინგი მთელი ქვეყნის მასშტაბით, ახალი პროდუქტის გაცნობა კომპანიისათვის – ეს ყველაფერი წარმოადგენს ელექტრონული სწავლების ბიზნესსფეროში გამოყენების მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევას.

კორპორაციები გამუდმებით ზრუნავენ ქმედითუნარიანობისა და ეფექტურობის ზრდაზე. ნებისმიერი ბიზნესისთვის თანამშრომლების განათლების შესაძლებლობა მუშაობის პარალელურად უაღრესად ფასეულია. კარგად სტრუქტურირებული ელექტრონული სწავლება არის ბიზნესმიზნების მხარდაჭერის საუკეთესო ხერხი. თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში ელექტრონული სწავლების შესაძლებლობები ვირტუალურად შეუზღუდავია. სხვადასხვა ადგილებში მყოფი დეპარტამენტების თანამშრომელთა სწავლება მიღებული გახდა დღევანდელ ბიზნესსამყაროში. სამსახურში მიმდინარე ტრეინინგები შეცვალა დამოუკიდებელი სწავლების პროცესმა. მობილური ტექნოლოგიების გამოყენებით ელექტრონული სწავლება შესაძლებელი გახდა სხვადასხვა პორტატულ მოწყობილობებზე. საზოგადოდ, ელექტრონულმა სწავლებამ დაამტკიცა, რომ ის აუცილებლად უნდა არსებობდეს. ტექნოლოგიების პროგრესი განაპირობებს მსმენელებისათვის უფრო მეტი ინტერაქტიურობისა და მოდელირების საშუალების მინიჭებას, რაც მაქსიმალურად სრულყოფს სწავლებას.

თანამშრომელთა წვდომამ თავიანთ პროფესიაში უახლესი სასწავლო მასალისადმი გაზარდა მათი თავდაჯერებულობა. ეს ზრდის მათს მოტივაციას და სამუშაოს შესრულებისას მიიღწევა მაღალი შედეგი. წარმოიდგინეთ, რომ შეგიძლიათ იჯდეთ კომფორტულად თქვენს სამუშაო მაგიდასთან და გადიოდეთ ტრეინინგს მოდულში თქვენი კომპანიის უახლესი პროდუქტის შესახებ. ამ ტიპის სწავლება საშუალებას გაძლევთ, გადახედოთ ინფორმაციას იმდენად ხშირად, რამდენადაც მოისურვებთ, გადაადგილდეთ წინ და უკუმიმართულებით ინსტრუქციაში თქვენთვის სასურველ ტემპში. ელექტრონული სწავლების წარმატებული გამოყენება უდიდეს სარგებლობას აძლევს კორპორაციას. ის სთავაზობს უსაზღვრო შესაძლებლობებს მათ, ვინც მას გონივრულად გამოიყენებს. ბიზნესის სამყაროში მთავარია პრაქტიკული შედეგის – მოგების მიღწევა. წარმატებული ელექტრონული სწავლების სტრატეგიის გამოყენება საშუალებას აძლევს კორპორაციას, უკიდურესად შეამციროს დანახარჯები თანამშრომლების თავდაჯერებულობისა და მოტივაციის ზრდასთან ერთად.

ელექტრონული სწავლება ასევე აქტიურად გამოიყენება იმ მსმენელების სპეციფიკური ჯგუფების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, რომლებიც სახლზე არიან მიჯაჭვული რაიმე მიზეზით, არიან უნარშეზღუდულები, უვლიან ბავშვებს, იმყოფებიან პატიმრობაში, არიან სპორტსმენები ან უწევთ ხშირი მოგზაურობა თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე. ამასთან, ელექტრონული სწავლება მსმენელებს აძლევს საშუალებას, მოახდინონ მასალის ადაპტირება ინდივიდუალური სასწავლო მოთხოვნების შესაბამისად.

მიმდინარეობს ცხარე დებატები ელექტრონული სწავლების გამოყენების შესახებ საშუალო სკოლის ასაკის პატარა ბავშვებისთვის. ელექტრონული სწავლების ოპონენტები აცხადებენ, რომ 12 წლის ასაკის ქვემოთ ბავშვებს არ გააჩნიათ საჭირო კოგნიტური უნარები მკაცრი ელექტრონული სწავლების გარემოში სწავლისათვის. ოპონენტებს აგრეთვე აშფოთებთ ახალგაზრდა მსმენელების სოციალური განვითარების დონე და აცხადებენ, რომ სწავლების ეს ფორმა ახალგაზრდებს ამ ეტაპზე სათანადოდ ვერ განუვითარებს სოციალურ უნარებს.

გამოსავალს წარმოადგენს შერეული სწავლება. შერეული სწავლების პირობებში მსმენელები, ტრადიციულ სასწავლო გარემოში არსებული პირისპირი ინტერაქციის პარალელურად, თავიანთი დავალებების ნაწილს ასრულებენ ონლაინ რეჟიმში. შერეული სწავლების გარემოსათვის შექმნილი კურიკულუმი ითვალისწინებს როგორც ელექტრონული სწავლების, ისე ტრადიციული საკლასო სწავლების უპირატესობებს მსმენელის დასახმარებლად სწავლების პროცესში.

რაც შეეხება ელექტრონული სწავლების ნაკლოვანებებს, ერთ-ერთია ის, რომ მსმენელისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც კომპიუტერი, ისე ინტერნეტი, რაც საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ჯერ კიდევ პრობლემურია. ასევე მსმენელს უნდა ჰქონდეს ისეთ კომპიუტერულ პროგრამებზე მუშაობის გამოცდილება, როგორიცაა: საოფისე პროგრამები, ინტერნეტბრაუზერები და ელექტრონული ფოსტა. ამ უნარებისა და პროგრამული უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია, მსმენელმა წარმატებას მიაღწიოს ელექტრონულ სწავლებაში. მნიშვნელოვანია, რომ მსმენელი თავს კომფორტულად გრძნობდეს კომპიუტერის გამოყენებისას. ნელმა ინტერნეტმა ან ძველმა კომპიუტერებმა შეიძლება გაართულოს კურსის მასალის მიღება. ამან შეიძლება გამოიწვიოს მსმენელების იმედგაცრუება და შესაბამისად დაუკარგოს სწავლის სურვილი.

ელექტრონული სწავლების მეორე ნაკლი უკავშირდება კომპიუტერული ფაილებისა და ონლაინ სასწავლო პროგრამული უზრუნველყოფის მართვის პრობლემებს. საწყისი დონის კომპიუტერული უნარების მქონე მსმენელებისათვის შეიძლება ზოგჯერ ძალიან რთული აღმოჩნდეს კომპიუტერული ფაილების ორგანიზებულობის შენარჩუნება. კარგი კომპიუტერული ორგანიზაციული უნარების გარეშე მსმენელმა შეიძლება დაკარგოს ან არასწორ ადგილზე შეინახოს რეპორტები, რაც გამოიწვევს მათ მიერ შესრულებული დავალებების გადაცემის დაგვიანებას. ზოგიერთ მსმენელს აგრეთვე შეიძლება ჰქონდეს იმ პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციის პრობლემა, რომელიც საჭიროა მეცადინეობისათვის.

ელექტრონული სწავლება მოითხოვს მეცადინეობისა და დავალებების შესრულებისთვის დაახლოებით იმდენივე დროს, რამდენიც საჭიროა ტრადიციულ საკლასო ოთახში ჩატარებული კურსისათვის. ეს ნიშნავს, რომ მსმენელები უნდა იყვნენ უაღრესად მოტივირებულები და პასუხისმგებლობით აღსავსენი იმიტომ, რომ მთელ სამუშაოს ისინი დამოუკიდებლად ასრულებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მსმენელები შეიძლება ძალიან ჩამორჩნენ.

ელექტრონული სწავლების კიდევ ერთი ნაკლია ის, რომ ტრადიციული მეცადინეობის რუტინული სტრუქტურის გარეშე მსმენელები შეიძლება დაიბნენ ან დაკარგონ კონცენტრაცია კურსის აქტივობებისა და ბოლო ვადების მიმართ, რის გამოც მსმენელმა შეიძლება მიიღოს დაბალი შეფასება ან ჩაიჭრას.

ელექტრონული სწავლების ნაკლია ისიც, რომ მსმენელებმა შეიძლება თავი იგრძნონ ინსტრუქტორისგან იზოლირებულად. ინსტრუქციებს ყოველთვის არ ძალუძს, დაეხმაროს მსმენელს. ამიტომ მსმენელები უნდა ფლობდნენ დამოუკიდებლად, ინსტრუქტორის დახმარების გარეშე მუშაობის დისციპლინას. ელექტრონულ მსმენელს აგრეთვე ესაჭიროება, ჰქონდეს წერისა და კომუნიკაციის კარგი უნარები. როცა ინსტრუქტორები და სხვა მსმენელები პირისპირ არ ხვდებიან ერთმანეთს, შესაძლებელია ნაგულისხმების არასწორად ინტერპრეტირება.

მიუხედავად არსებული ნაკლოვანებებისა, კვლევებმა გვიჩვენა, რომ ონლაინ მეცადინეობები წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას განათლების გადასატანად კომპიუტერიზებულ გარემოში. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებსა და საშუალო სკოლის მოსწავლეებსაც პოზიტიური დამოკიდებულება აქვთ ონლაინ ინსტრუქციების მიმართ, რადგანაც ისინი ვითარდებიან ინსტრუქტაჟში გამოყენებული ტექნოლოგიის გარემოცვაში, კერძოდ, კომპიუტერებისა და ინტერნეტის გარემოში.

სწორედ ამიტომ, ელექტრონული სწავლება გააგრძელებს უფრო სრულ ინტეგრირებას საგანმანათლებლო სივრცეში. იგი შესაძლებელს გახდის, სასწავლებლებმა მეტი ელექტრონული კურსი შესთავაზონ თავიანთ სტუდენტებსა და მოსწავლეებს, სწავლების პროცესს გახდის უფრო მოქნილს ინდივიდუალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და დაეხმარება საგანმანათლებლო ინსტიტუციებს ზოგადი საგანმანათლებლო დონის ამაღლებაში. რაც მეტი შედეგები მიიღება ელექტრონული სწავლების წარმატებისაგან, მით მეტი სასწავლო დაწესებულება მოემზადება მომავლისათვის ინვესტიციების ჩასადებად ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიაში და მასწავლებელთა ტრეინინგებში, რაც საჭიროა ელექტრონული სწავლების განვითარებისა და სრულყოფისათვის.

არსებითად ელექტრონული სწავლება წარმოადგენს პროდუქტს. ხარისხიანი ელექტრონული სწავლების ორგანიზება საჭიროებს მნიშვნელოვან დროსა და გააზრებას. თუ ელექტრონული სწავლების პროდუქტი არ არის სასარგებლო საბოლოო მომხმარებლისათვის, ის წარუმატებელი პროდუქტია. ელექტრონული კურსების შექმნისას საბოლოო მომხმარებელთან თანამშრომლობა მიმდინარეობს პროდუქტის შექმნის პროცესის დასაწყისშიც, როცა ხდება მოთხოვნათა ანალიზი და ბოლოშიც – პროდუქტის ტესტირებისა და შეფასების დროს. ეს პროცესი შეიძლება დამთავრდეს გამოუსადეგარი პროდუქტის მიღებით და საჭირო გახდეს დიზაინის ციკლის გამეორება. და მაინც, მომხმარებლის მიმართ ცენტრირებული პროდუქტის დამუშავება არის გარანტია იმისა, რომ პროდუქტი იქნება ეფექტური, გამოყენებადი და შედეგიანი საბოლოო მომხმარებლისათვის. ამასთან ის დამუშავების ციკლის შემოკლების საშუალებას მოგვცემს [5].

მომხმარებლის მიმართ ცენტრირებული დიზაინი წარმოადგენს იმ ადამიანების გამოცდილების რეალიზების ხერხს, რომლებსაც გააზრებული აქვთ თავიანთი მოთხოვნები. გამოყენებადობა არის ერთ-ერთი უპირველესი ცენტრალური მომენტი, მაგრამ მხოლოდ ერთი მრავალთაგან. დანარჩენი მახასიათებლებია: სარგებლიანობა, სასურველობა, სიცხადე, შესწავლის შესაძლებლობა და ა.შ. ეფექტურობა იმაში მდგომარეობს, რომ ეს გამოცდილება ხშირად უფრო ადვილი შესასწავლი და გამოსაყენებელია; უფრო შეესაბამება ფუნქციონირებისა და გამოყენების მოთხოვნებს; შეთავსებადია არსებულ პროცესებთან.

მომხმარებლის მიმართ ცენტრირებული პროცესი მომხმარებელს აქცევს აქტიურ მონაწილედ პროდუქტის დიზაინის პროცესში.

მას შემდეგ, რაც განისაზღვრება მოთხოვნები, მიზნობრივი მომხმარებელი და ელექტრონული სწავლების ძირითადი პრობლემების გადაწყვეტა, იწყება დიზაინის პროცესი. ესაა დიდი შესაძლებლობა, დაიწყოს სწავლების საბოლოო მომხმარებლის აქტიური ჩართვა დიზაინის პროცესში. საწყისი ნაბიჯები შეიძლება განხორციელდეს თითოეული მათგანის გამოკითხვის სხვადასხვა ფორმით (ინტერვიუები, მიზნობრივი ჯგუფები და კითხვარები/გამოკითხვები). კითხვები უნდა ფოკუსირდეს პრედიზაინის საკითხებზე, როგორიცაა:

- გაქვთ თუ არა რაიმე გამოცდილება ელექტრონული სწავლების პლატფორმებზე? ან – გთხოვთ, შეაფასოთ თქვენი გამოცდილება ელექტრონული სწავლების პლატფორმებზე!
- როგორ განახორციელებთ ელექტრონული სწავლების ამ გადაწყვეტილების მიზანს?
- როგორ შეისწავლით უკეთესად (ისეთი მაგალითების ჩათვლით, როგორიცაა: მოკლე გაკვეთილები გრძელი გაკვეთილების ნაცვლად, ვიზუალური მასალა, სასწავლო მაგალითები და ა. შ.)?
- რა არის სწავლისადმი თქვენი მოტივაცია?

უდაოა, რომ ეს სია ამოუწურავია. გამოკითხვის მიზანია მომხმარებლების ჩართვა დასკვნების მიღების პროცესში. ზოგ შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს მომხმარებლების განათლება ელექტრონული სწავლების ზოგიერთ ასპექტში, როგორიცაა: სინქრონული პლატფორმები ასინქრონული პლატფორმების წინააღმდეგ, ელექტრონული სწავლების ინტერფეისების მახასიათებლები და მაგალითები და ა.შ. თუმცა მომხმარებელი არ უნდა ჩამოშორდეს ერთ პლატფორმას მეორის სასარგებლოდ. მან თვითონ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რაც გამოყენებული იქნება დიზაინის შესრულებისას.

მას შემდეგ, რაც შესრულდება პროდუქტის დიზაინი, მომხმარებლის ჩართულობის დონე დამოკიდებულია სიტუაციაზე. თუ ელექტრონული სწავლება დიდი პროექტია, შეიძლება სასურველი იყოს მომხმარებლებთან თანამშრომლობა რაც შეიძლება ხშირად, უკუკავშირის სრული მიღებით სიტუაციებისა და ნავიგაციის შესახებ, მომხმარებლებთან პროდუქტის ტესტირების გამუდმებული შესრულებით, მათი შემდგომი ჩართულობით აქტივობების განსაზღვრისა და შექმნის და ასევე ტესტური დავალებებისა და ტესტების ჩამოყალიბების პროცესში. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს მომხმარებელს, შეიმუშაოს რეკომენდაციები ეფექტური პროდუქტის შექმნისა და მისი შემდგომი გამოყენების მიზნით.

მართალია, მომხმარებლები პროდუქტის საუკეთესო შემფასებლები არიან, მაგრამ ხშირად ისინი დუმან დიზაინის პროცესში, რაც მთავრდება ისეთი დასრულებული პროდუქტით, რომელიც არასოდეს იქნება გამოყენებული. მომხმარებლის მიმართ ცენტრირებული დიზაინი არის მსოფლმხედველობა, რომელიც ქაღალდზე ჩანს დიზაინის პროცესში უამრავი ზედმეტი ბიჯის სახით, მაგრამ რეალიზების პროცესში საშუალებას იძლევა, დაიზოგოს უზარმაზარი დრო და სხვა რესურსები გამოყენებადი პროდუქტის შექმნის გარანტირებით. მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებლის მიმართ ცენტრირებული დიზაინი ხშირად არ განიხილება, როგორც აუცილებელი პროცესი სწავლების დიზაინის სფეროში, უკიდურესად მნიშვნელოვანია ის, რომ დამუშავებული ელექტრონული სწავლება იყოს გამოყენებადი საბოლოო მომხმარებლისათვის სწავლების პროცესში. და ბოლოს, მომხმარებლის მიმართ ცენტრირებული დიზაინი ძალიან ეფექტურია გამოყენებადი სასწავლო კურსების შესაქმნელად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Clark, David James (2002, January). Big bang or steady evolution? Retrieved April 21, 2006 from http://www.learningtechnologies.co.uk/magazine/article_full.cfm?articleid=6&issueid=7& sectio n=1.
2. Cooke, Michael (2004, July). Clomedia: The evolution of e-learning. Retrieved April 21, 2006 from http://www.clomedia.com/content/templates/clo_webonly.asp?articleid=571& zoneid=78.
3. Kiffmeyer, Michael. (2004, November 9). The evolution of e-learning. Retrieved April 21, 2006 from http://knowledgemanagement.ittoolbox.com/documents/popular-q-and-a/the-evolution-of-elearning-2902.
4. Solomon, Gwen (2005). Shaping e-learning policy. techLearning. Retrieved April 4, 2006, from http://www.techlearning.com/showArticle.jhtml?articleID=163100416.
5. Evans, Meryl K. (2002, October 8). Peter Merholz and Nathan Shedroff on user-centered design.Retrieved April 18, 2006, from http://digital-web.com/articles/ peter_merholz_and_ nathan_ sherdroff/.

თალიკო ჟვანია
ანა კობიაშვილი

ელექტრონული სწავლება, როგორც თანამედროვე საგანმანათლებლო ტრენდი

რეზიუმე

ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად დაიწყო სწავლების ინტეგრირება კომპიუტერთან და ელექ-ტრონული სწავლება გახდა თანამედროვე საგანმანათლებლო საშუალება როგორც კორპოროციების, ასევე საგანმანათლებლო ინდუსტრიისთვის.

ნაშრომში განხილულია ელექტრონული სწავლების შესაძლებლობები, მისი დადებითი და უარყო-ფითი მხარეები. ასევე შემოთავაზებულია ხარისხიანი და ეფექტური ელექტრონული სასწავლო კურსე-ბის ორგანიზების მიზნით, მისი შექმნის პროცესში ცენტრირებული დიზაინის მეთოდის გამოყენება.

Taliko Zhvania
Ana Kobiashvili

E-LEARNING AS THE MODERN EDUCATIONAL TREND

Summary

With technological progress it began integration of learning with the computer and e-learning has become a modern educational opportunity both for corporations and for the educational industry.

The paper deals with e-learning capabilities, its advantages and disadvantages. It also offers for the purpose of organizing the high quality and cost-effective e-learning courses to use centered design methods in the process of its creation.

ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე

ინოვაციების კომერციალიზაციის თავისებურებები

მაღალეფექტიან ინდუსტრიულ ეკონომიკებში, დღეს განსაკუთრებულად განვითარებულია გამოგონებების და სამეცნიერო კვლევის შედეგების კომერციალიზაციის და სამრეწველო ბიზნესად გადაქცევის პროცესები.

მეცნიერები თანამედროვე გლობალურ ეკონომიკას აღწერენ, როგორც „ინოვაციურ(ცოდნის) ეკონომიკაზე“ გარდამავალს.

ინოვაცია, ინოვაციური საქმიანობის შედეგია, ინოვაციის სპეციფიური შინაარსი გამოიხატება ცვლილებით, გარდაქმნით. ინოვაციური საქმიანობის მთავარი ფუნქცია კი ცვლილების განხორციელებაა. ინოვაციური პროცესი დაკავშირებულია ინოვაციის შექმნასთან, ათვისებასა და გავრცელებასთან. ინოვაციების შემქმნელები (ნოვატორები) იყენებენ ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა პროდუქციის სასიცოცხლო ციკლი და ეკონომიკური ეფექტიანობა. მათი სტრატეგია მიზნად ისახავს კონკურენტებზე გამარჯვებას, უნიკალური სიახლის შექმნას, რომელიც აღიარებული იქნება მოცემულ სფეროში.

განვითარებული ქვეყნები დამაჯერებლად გადადიან განვითარების პრინციპულად ახალ ეტაპზე-ინოვაციურზე. სიახლეთა გამოყენების პროცესი იქცევა გააზრებულ, მიზანდასახულ და სისტემურ საფუძველზე კვლავწარმოებით პროცესად.

მსოფლიოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე, განსხვავება მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის გამოიხატება არა მარტო საფინანსო რესურსების მოცულობით, არამედ ცოდნის უკმარისობით. ამჟამად, განვითარება განიხილება დაგროვილი ცოდნის დონის მიხედვით, კერძოდ, ტექნლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ცოდნის დონით.

ცოდნის დეფიციტის დაძლევა თანამედროვე პირობებში საკმაოდ რთული ამოცანაა. განვითარებადმა ქვეყნებმა, ტექნოლოგიური ჩამორჩენილობიდან გამომდინარე, მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბონ ცოდნის შეძენის, მისი ათვისების და გადაცემის თანმიმდევრული მექანიზმი. ცოდნის შეძენის ამოცანები უნდა მოიცავდნენ მსოფლიოში არსებული ცოდნის გამოყენებას საკუთარი პრობლემების გადასაწყვეტად, რაც საბოლოო ჯამში ინოვაციური საქმიანობის განხორციელებასთანაა დაკავშირებული.

ინოვაციური განვითარების მიზნებისა და ამოცანების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენენ ინოვაციური ციკლები. ინოვაციური ციკლი მოიცავს პერიოდს, რომელიც მოიცავს ინოვაციური იდეის შექმნას, შემუშავებას და ამ სიახლის დანერგვას. ციკლის ძირეული რგოლებია: მეცნიერება – წარმოება – მოხმარება. ი.შუმპეტერის აზრით, ეკონომიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენს სიახლეთა გამოყენება.

კომპანიები ვერ მოიპოვებენ წარმატებას გამძაფრებული კონკურენციული ბრძოლის პირობებში, თუკი დროულად არ შეიტანენ ინოვაციებს თავიანთ ტექნოლოგიურ პროცესში, არ მოახდენენ კომუნიკაციისა და მენეჯმენტის ოპტიმიზირებას, კონკურენტებზე ადრე არ განახორციელებენ ახალ გამოგონებებს.

ახალი ეკონომიკის ჩამოყალიბებაში მთავარ ფაქტორად ინოვაციების დინამიკა გვევლინება. თანდთან ხმარებაში შემოდის ტერმინი „ინოვაციური ეკონომიკა“. ინოვაციური ეკონომიკა განვითარდა ინვესტირების სპეციფიური სახეობის შედაგად, რომელიც თან ახლავს უახლოეს ტექნოლოგიურ პროგრესს. გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი სახის ინვესტიციების დაბანდება ხდებოდა უშუალოდ წარმოების სარისკო სექტორში მათ მიიღეს სარისკო, ვენჩურული („venture“-რისკი) ინვესტიციების სახელწოდება.

ინდუსტრიული წარმოებისათვის დამახასიათებელი ინვესტიციებისაგან განსხვავებით, რომელთაც წლიურად მოაქვთ 2-3% ოდენობის მოგება, ვენჩურულ ინვესტიციებს ძალუძთ არნახულად დიდი მოგების მოტანა 20-30% დან 200%-მდე. რა თქმა უნდა ამავდროულად იზრდება წარუმატებლობის რისკიც. სწორედ ასეთი ინვესტიციები დაედო საფუძვლად მაღალი დონის ტექნოლოგიების კომერციულ ბუმს, ისინი მუდამ თან ახლდა მათ განვითარებას, განაპირობებდა როგორც მათ მასიურ კრახს, ასევე აღორძინებასაც. ამჟამად, ვენჩურული ინვესტიციები საფუძვლად უდევს ყოველი ახალი თაობის მაღალტექნოლოგიურ წარმოებას, ბიო და ნანოტექნოლოგიების ჩათვლით. ნებისმიერი ქვეყნის კეთილდღეობა დამოკიდებულია ეროვნული ინოვაციური ეკონომიკის განვითარების დონეზე.

1990-ანი წლებიდან განვითარებული ქვეყნების ინოვაციური საქმიანობის სფეროში შეინიშნება ორი უმნიშვნელოვანესი ტენდენცია: პირველი მდგომარეობს იმაში, რომ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსება სახელმწიფო სექტორიდან თანდათან გადადის კერძო სექტორში; მეორე – სამეცნიერო კვლევებისა და ახალი ტექნოლოგიების შემუშავებაში სულ უფრო და უფრო იზრდება ვენჩურული კაპიტალისტების როლი.

ახალი ტექნოლოგიებისა და ცოდნის შექმნა და მათი გამოყენება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის განსაზღვრავს ქვეყნის როლსა და ადგილს, ეროვნული უსაფრთხოების დონეს მთელს მსოფლიოში. განვითარებული ქვეყნების მშპ-ის ზრდის 80-95% განპირობებულია ახალი ცოდნის გამოყენებით ტექნიკასა და ტექნოლოგიებში. აქედან გამომდინარე, ამ ქვეყნებში ვითარდება ინოვაციური ეკონომიკა. განვითარებული ქვეყნების კომპანიებში სულ უფრო მეტად იზრდება დანახარჯები კვლევებზე. 2011 წლისათვის ინოვაციებზე ორიენტირებული კომპანიების პირველი ხუთეული ასე გამოიყურებოდა:

ცხრ.1

კომპანიების დანახარჯები კვლევებზე 2011წ

№	კომპანიის დასახელება	დანახარჯები მლრდ. დოლ
1	Roch Holding	9.6
2	Microsoft	9.0
3	Nokia	8.6
4	Toyota	7.8
5	Pfizer	7.7

ინოვაციების გამოყენების კუთხით მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა საკითხი პატენტების შესახებ. პატენტი კომპანიებისათვის უზრუნველყოფს ინოვაციათა სამართლებრივ საფუძვლებს, თავიდან აიცილონ მათ წინააღმდეგ მიმართული არაკეთილსინდისიერი დავები; იგი უზრუნველყოფს პატენტის მფლობელის მონოპოლიურ მდგომარეობას და დამატებითი მოგების წყაროდ გვევლინება. ამ რესურსით კი ინოვაციურ სუბიექტს შეუძლია კვლავ შექმნას ახალი გამოგონება და ინოვაციური პროდუქტი. ყოველივე ეს კი უზრუნველყოფს ინოვაციათა გრძელვადიანი ციკლების წარმატებით განხორციელებას და კომპანიათა სასიცოცხლო ციკლებს მიმართავს განვითარებისაკენ.

პატენტების ღრმა შინარსს და ეკონომიკურ სარგებელს ეფექტურად იყენებენ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები, რაზედაც საპატენტო განაცხადების დინამიკაც მეტყვლებს. 1985-2013 წლებში გამოგონებებზე განაცხადების რაოდენობამ მსოფლიოში 2 მილიონს გადააჭარბა. აშშ პატენტების ყველაზე დიდი პორტფელის მფლობელები არიან IBM; Samsung; Microsoft; Canon; Panasonic. კონკურენტუნარიანი კომპანიების თანამედროვე საპატენტო სტრატეგია წარმოადგენს მონოპოლური მდგომარეობის შენარჩუნებასა და სალიცენზიო საქმიანობის შეხამებას. მსოფლიო ბანკის შეფასებით, მსოფლიოს სალიცენზიო პოტენციალი 0.5-1 ტრილიონ დოლარამდეა; IBM-ის წლიური სალიცენზიო შემოსავალი 1-1.5 მლრდ. დოლარს შეადგენს.

ევროკავშირის სტრატეგია ინოვაციური ეკონომიკის განვითარებისათვის მოიცავს ცოდნის სამკუთხედის (განათლება, მეცნიერება, ბიზნესი) ხელშეწყობასა და განვითარებას. ევროკავშირის ინოვაციური სტრატეგიის ძირითადი ამოცანაა სახელმწიფო ფონდების ინოვაციურ პროექტების თანადაფინანსებაში მონაწილეობა. ამ სტრატეგიის ფარგლებში აქტიურადაა ჩართული ევროპის ინოვაციებისა და ტექნოლოგიის ინსტიტუტი (Europion Institute of Innovation and Technology -**EIT**). შექმნილია ცოდნისა და ინოვაციის საზოგადოება (KNOWLEDGE AND INNOVATION COMMUNITY –**KIC**). თანამედროვე გლობალურ სივრცეში, მძლავრი კონკურენციის პირობებში სულ უფრო მეტად ფართოვდება უნიერსიტეტების კვლევითი ორგანიზაციებისა და კომპანიების კოოპერირება, კონსორციუმების, კლასტერების შექმნა.

თანმიმდევრული, მიზანმიმართული ინოვაციური პოლიტიკის შედეგია, პატარა ქვეყნების ინოვატურობა და მზარდი ეკონომიკური განვითარება. ამას ადასტურებს მსოფლიო ბანკის მონაცემებიც, რომლის მიხედვითაც ყველაზე ინოვატური ქვეყნების სიაში არიან: დანია, შვეცია, ირლანდია, ისლანდია და სხვა. გააზრებული სახელმწიფო პოლიტიკის გატარების შედეგად, ბოლო ათწლეულში ინოვაციურ სფეროში საგრძნობ წარმატებას მიაღწიეს: სლოვენიამ, ბალტიის ქვეყნებმა, კვიპროსმა, შრი ლანკამ და სხვა.

ზემოდ აღნიშნულ დინამიკას ვერანაირად ვერ მიყვება საქართველო. საქართველოში ინოვაციური პოლიტიკა დაიწყო სამეცნიერო-ტექნიკური სტრუქტურების დევნით, რასაც სამეცნიერო ინსტიტუტებისა და საწარმოების ტოტალური დახურვა მოყვა. აღნიშნულმა კი სამეცნიერო, ინოვაციური პოტენციალის ქვეყნიდან გადინება გამოიწვია, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე შესაბამისად აისახა. რაც შეეხება ინოვაციური საქმიანობის მაჩვენებლებს, ეროვნული განაცხადები გამოგონებაზე შემცირების ტენდენციით ხასიათდება (იხ.სქემა 1)



სქემა 1 ეროვნული განაცხადები გამოგონებაზე*

* სქემა აგებულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მასალების საფუძველზე; 2017- 2015წწ

გამოგონებებეზე უარყოფით დინამიკაზე მეტყველებს წარმოდგენილი სქემა, სდაც 2012 წლის მონაცემებით მათი რაოდენობა 137, ხოლო 2015 კი სულ 24 დაპატენტებული გამოგონებაა. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოგონებაზე განმცხადებლების 99 პროცენტი ფიზიკური პირია, რაც კოოპერირებისა და ცოდნის სამკუთხედის განვითარების ნულოვან დონეზე მეტყველებს.

ანალიზმა ცხადყო, რომ პატენტების რაოდენობის ასეთი შემცირება პირველყოვლისა მასზე საფასურის მკვეთრმა გაზრდამ გამოიწვია – 700დოლ. ინოვაციურ საქმიანობაზე არა ნაკლებ იმოქმედა სამეცნიერო ცენტრებისა და ინსტიტუტების ტოტალურმა გაუქმებამ და გამოცდილი სპეციალისტების დათხოვამ, რამაც საქართველოში ინოვაციური პოტენციალის ხელოვნური ჩახშობა გამოიწვია. აღნიშნულმა გამოიწვია საერთაშორისო პატენტების რაოდენობის ზრდა, რომელსაც აქტიურად მიმართავენ ქართელი გამომგონებლები. აღნიშნული დინამიკის მკვეთრი გამოხატულება 2012 წლიდან აღინიშნება. ამ პერიოდისათვის, განვითერებული ქვეყნების პატენტებზე აღრიცხულია ქართველ გამომგონებლების მიერ 169 განაცხადი, რომელთაგან დღეისათვის გაცემულია 67 პატენტი, მათგან 8 ევრო პატენტია, 1 გერმანიის, 2 იაპონიის დანარჩენი 158 კი აშშ პატენტია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა სპეციალისტების მიერ გადაიხედოს საქართველოს განვითარების სტრატეგია 2020,; საქართველოს კანონი პატენტის შესახებ, რათა შესაძლებელი იყოს საქართველოს ახალი, საინოვაციო სტრატეგიის შემუშავება, რომლის საფუძველზეც საშუალება მიეცემათ საქართველოში არსებულ ეროვნულ ძალებს, ეროვნული რესურსების გამოყენებით შექმნან და აამოქმედონ (მხოლოდ ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზა საკმარისი არ არის) სამეცნიერო-საწარმოო ინკუბატორები; კლასტერები; აუცილებელია ცალკე ტერიტორიებზე, (მცხეთა, რუსთავი; თბილისი, ქუთაისი) ტექნო ზონების შექმნა და ფუნქციონირება, სადაც ქართველი ინოვაციური პოტენციალი, კოოპერაციის საფუძველზე შესძლებს განავითაროს თავისი შესაძლებლიბები, რომელიც საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია. მხოლოდ ასე შევძლებთ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფონდების მუდმივად უცხოურ ინვესტიციებიზე დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევას და საკუთარი, არა ამერიკული და ევროპული, ეკონომიკის მშენებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მსოფლიო ბანკის 2012-2013 წწ ანგარიში „გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ“
2. ლისაბონის სტრატეგია- 2000
3. შატბერაშვილი ო, ი. გოგოძე, მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირში და ევროინტეგრაცია; თბ.2010; 310გვ.
4. გოგოძე. ი. ევროგაერთიანების აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა და საქრთველოს ინოვაციური განვითარების პერსპექტივები; თბ.2011; 220გვ;

5. აღმოსავლეთ პარტნიორობა და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ელემენტები საქართველოში, რედ კ. გოგოლიშვილი; თბ. 2012; 110 გვ.
6. Economy of the European Union. Wikipedia.
(http://en.wikipedia.org/wiki/Economy_of_the_European_Union)
7. European Innovation Scoreboard 2008; Comparative analisis of innovation performance. January 2009, p.18 (www.proinno-europe.eu/EIS2008)
8. Knowledge sharing in the European Research Area. Report of the ERA Expert Group, European Commission,
Directorate-General for Research, 2008. EUR 23323 EN; Turning Science into Business: patenting and licensing at public reaserch organizations. OECD, 2003, 308P.
9. Christian Rammer, Susanne Thorwarth, Mark O.Sellenthin, Rurik Holmberg. Czech Republic. Country Review. March 2007, pp.23

ლალი ჩაგელიშვილი

ინოვაციების კომერციალიზაციის თავისებურებები

რეზიუმე

მსოფლიოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე, განსხვავება მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის გამოიხატება არა მარტო საფინანსო რესურსების მოცულობით, არამედ ცოდნის უკმარისობით. ამჟამად, განვითარება განიხილება დაგროვილი ცოდნის დონის მიხედვით, კერძოდ, ტექნლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ცოდნის დონით.

ცოდნის დეფიციტის დაძლევა თანამედროვე პირობებში საკმაოდ რთული ამოცანაა. განვითარებადმა ქვეყნებმა ტექნოლოგიური ჩამორჩენილობიდან გამომდინარე მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბონ ცოდნის შეძენის, მისი ათვისების და გადაცემის თანმიმდევრული მექანიზმი. ცოდნის შეძენის ამოცანები უნდა მოიცავდნენ მსოფლიოში არსებული ცოდნის გამოყენებას საკუთარი პრობლემების გადასაწყვეტად, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, სალიცენზიო ხელშეკრულებების, პატენტების შეძენას და სხვა.

ნაშრომში განხილულია საქართველოს ინოვაციური საქმიანობის თავისებურებანი, ხაზგასმულია ინოვაციის კომარციალიზაციასთან დაკავშირებული საპაენტო საქმიანობის პრობლემები, მოცემულია რეკომენდაციები პრობლემის გადასაწყვეტად.

Lali Chagekishvili

FEATURES OF COMMERCIALIZATION OF INNOVATION

Summary

Development the modern stage, the difference between rich and poor countries expressed not only in the volume of financial resources but lacking knowledge. Currently, the development is considered by level of knowledge in particularly, technical and socio-economical level.

Overcoming the lack of knowledge of the conditions is a difficult task. For elimination of Technical backwardness, developing countries have to acquire knowledge, its utilization and mechanism of consistent transfer. Objectives of knowledge acquire should include the using knowledge for solve their own problems.

In article considered specifics of innovative activity of Georgia, are noted problems of commercialization of innovation and patent activity. In the conclusion are made recommendations for problem's solving.

დავით კბილაძე

სიღარიბის შეფასების ზოგიერთი სტატისტიკური ასპექტი

სიღარიბის შეფასება მეცნიერების, სოციოლოგების, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების და ცალკეული ქვეყნების სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამეცნიერო და კვლევითი დაწესებულებების განსაკუთრებული მსჯელობის საგანია. ასეთი დისკუსიები შემთხვევითი არაა, რადგანაც ღარიბები ცხოვრობენ როგორც განვითარებად, ისე ღარიბ და განვითარებულ სახელმწიფოებში.

სიღარიბის ძირითადი მაჩვენებლები მსოფლიოს ეკონომიკურ საზოგადოებას შესთავაზა ჯეიმს ფოსტერმა (James Foster), ჯოელ გრიერმა (Joel Greer) და ერიკ ტორბერკმა(Erick Thorbecke).

მიზეზები რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს სიღარიბე შემდეგია:

- ეკონომიკური (უმუშევრობა, დაბალი ხელფასი, დაბალი შრომისნაყოფიერება);
- სოციალურ-სამედიცინო (მოხუცებულობა, ინვალიდობა, დაავადების მაღალი დონე);
- დემოგრაფიული (არასრული ოჯახები, ოჯახებში კმაყოფაზე მყოფთა მაღალი მაჩვენებელი);
- პოლიტიკური (საომარი კომპლიქტები, იძულებითი მიგრაცია);
- საგანმანათლებლო-კვალიფიციური (განათლების დაბალი დონე, არასაკმარისი პროფესიული მომზადება);
- რეგიონალურ-გეოგრაფიული (რეგიონების არათანაბარი განვითარება);
- რელიგიურ-ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური.

ზემოჩამოთვლილი მიზეზებიდან მათი უმეტესობა გვხვდება საქართველოში და ამდენად საჭიროა მათი გათვალისწინება სიღარიბის როგორც მოვლენის დახასიათებისას.

სიღარიბის პრობლემატიკის მეცნიერული და ემპირიული კვლევებისას საჭიროა გავითვალისწინოთ სიღარიბის განმარტების თანამედროვე კონცეფციები.

სიღარიბე პიროვნებათა ან სოციალური ჯგუფების ეკონომიკური მდგომარეობის დახასიათებაა, რომლის დროსაც მათ არ შეუძლიათ დაიკმაყოფილონ მინიმალურ მოთხოვნილებათა გარკვეული წრე, რაც აუცილებელია ცხოვრებისათვის, შრომისუნარიანობის შენარჩუნებისა და შთამომავლობის გაგრძელებისათვის.[1]

მსოფლიოში გამოყოფენ სიღარიბის კონეფციის განმარტების 3 სახეს. ესენია: სიღარიბის აბსოლუტური, შეფარდებითი და სუბიექტური კონცეფციები.

სიღარიბის აბსოლუტური კონცეფცია ახლოსაა სიღარიბის ზღვრის კონცეფციასთან. სიღარიბის ზღვარი განკარგვადი შემოსავლის, მთლიანი შემოსავლის ან მოხმარების ის დონეა, რომლის ქვემოთ მყოფი მოსახლეობა ითვლება ღარიბად. აბსოლუტური სიღარიბე იზომება მოსახლეობის ან შინამეურნეობების იმ რაოდენობად, რომელთა შემოსავალი ან მოხმარების დონე სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა.

სიღარიბის შეფარდებითი კონცეფცია ეს ისეთი მდგომარეობაა, როცა მთელი მოსახლეობის რეალური შემოსავლები იზრდება, მაგრამ მათი განაწილება არ იცვლება, ე.ი სიღარიბე კვლავინდებურად შენარჩუნებულია ისე, როგორც ადრე იყო. მოცემულ შემთხვევაში სიღარიბის შეფარდებითი ზღვრის განსაზღვრისას გამოიყენება მედიანური პირადი განკარგვადი შემოსავლის მაჩვენებელი.

სიღარიბის სუბიექტური კონცეფცია ეფუძნება პიროვნების საკუთარ შეხედულებას პირად ცხოვრებაზე, ღარიბია თუ არა იგი. ასეთი სახის ინფორმაციის მიღებისათვის დასავლეთის ქვეყნებში ატარებენ სპეციალურად ორგანიზებულ შერჩევით სტატისტიკურ კვლევებს.

ევროკავშირის განმარტებათა თანახმად მატერიალურად გაჭირვებულ პიროვნებად ითვლება ადამიანი, რომელთაც ქვემოთ ჩამოთვლილი 9 პუნქტიდან არ შეუძლიათ სულ მცირე 4 -ის შესრულება. 1)ქირის, იპოთეკისა და კომუნალური გადასახადების გადახდა; 2) ბინის გათბობა; 3) მოულოდნელი ხარჯების გასტუმრება; 4) ხორცის, თევზისა და ცილების შემცველი საკვების ყოველ მეორე დღეს მიღება; 5) ერთი კვირით დასასვენებლად წასვლა; 6) მანქანის ფლობა; 7) სარეცხი მანქანის ქონა; 8) ფერადი ტელევიზორის ფლობა; 9) ტელეფონის ქონა (მათ შორის მობილურის).

2012 წელს ევროკავშირის 28 წევრი ქვეყნის მიხედვით,მთლიანი მოსახლეობის 10% იყო მატერიალურად გაჭირვებული, ანუ მათ არ შეეძლოთ კომუნალურების გადახდა, ბინის გათბობა, დასასვენებლად წასვლა და ა.შ. ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიხედვით მატერიალურად გაჭირვებული ადამინების რაოდენობა განსხვავდებაქვეყნების მიხედვით.ასე მაგალითად, შვედეთში და ლუქსემბურგში ეს მაჩვენებელი თითოეულში 1 %-ია , ნიდერლანდებში (2%), დანიასა და ფინეთში (3%) , ავსტრიაში (4%) , ბულგარეთში(44%) , რუმინეთში (30%), ლატვიასა და უნგრეთში თითოეულში(26%).

ახლა შევჩერდეთ სიღარიბის შეფასების ამჟამად მოქმედ მაჩვენებლებზე:

[1] https://ru.wikipedia.org

სიღარიბის დონის მაჩვენებელი იანგარიშება ღარიბი მოსახლეობის (ვისაც აქვს საარსებო მინიმუმზე დაბალი შემოსავალი) შეფარდებით მოსახლეობის საერთო რიცხოვნობასთან. ფორმულას შემდეგი სახე აქვს:

$$S = \frac{q}{n},$$

სადაც S – სირარიბის დონეა,

q – ღარიბი მოსახლეობის რიცხოვნოვნობა,

n – მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა.

მოცემული მაჩვენებელი ზოგადად ახასიათებს ქვეყანაში ღარიბი მოსახლეობის წილს, რაც შეეხება ღარიბი მოსახლეობის შემოსავლების მიხედვით განაწილებას სიღარიბის ზღვართან მიმართებაში -ანგარიშობენ სიღარიბის სიღრმის მაჩვენებელს. მოცემული მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოისახება:

$$S_1 = \frac{\sum_{i=1}^{q}(z - y_i)}{nz},$$

სადაც S_1 _ სიღარიბის სიღრმეა,

z – საარსებო მინიმუმის მოცულობა,

y_i _ ღარიბი მოსახლეობის i-ური წევრის მოხმარების სიდიდე,

n – მოსახლეობის რიცხოვნობა მოცემულ ქვეყანაში.

მოცემული მაჩვენებელი ახასიათებს საარსებო მინიმუმამდე მისაღწევად საჭირო ღარიბი მოსახლეობის მოხმარების საერთი მოცულობის ფარდობას მოსახლეობის საერთო მინიმუმის დონის საერთო მოცულობასთან.

გარდა ამისა სტატისტიკაში ანგარიშობენ სიღარიბის სიმწვავის მაჩვენებელს, რომელიც ახასიათებს ღარიბთა შორის ცხოვრების დონის ერთმანეთისაგან დაშორებას. მას სიღარიბის სიმწვავე ჰქვია და გამოისახება შემდეგი ფორმულით:

$$S_2 = \frac{1}{n} \sum_{i=1}^{q} \left(\frac{z - y_i}{z} \right)^2$$

სადაც S_2 – სიღარიბის სიმწვავეა.

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა საქართველოში სოციალური სააგენტოს მონაცემებით ასეთნაირად ხასიათდება:

ცხრილი N1

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის რაოდენობა (ათასი კაცი)	279,5	368,4	436,3	430,6	411,1	436,0	437,2
(რეგისტრირებული სიღარიბე) (%)	6.4	8.4	9.9	9.7	9.2	9.7	9.7

წყარო: www geostat.ge

რეგისტრირებული სიღარიბის მონაცემები გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:

გრაფიკი N1



წყარო: www geostat.ge

ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლები საქართველოში საქსტატის მონაცემებით შედეგი:

გრაფიკი N2



წყარო: www geostat.ge

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, ფარდობითი სიღარიბის ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი როგორიცაა მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი, ეს მაჩვენებელი 2004 წლის 24,6 პროცენტიდან 2013 წლისათვის შემცირდა 21,4 პროცენტამდე.

სიღარიბის პრობლემების დახასიათებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ჯინის კოეფიციენტის ანალიზი,რომელიც იცვლება 0-დან 1-მდე ფარგლებში.რაც უფრო უახლოვდება მოცემული მაჩვენებელი 1-ს მით მეტი შემოსავლებია თავმოყრილი მოსახლეობის ცალკეული ჯგუფის ხელში.

ჯინის კოეფიციენტები საქართველოში შედეგია:



* მთლიანი სამომხმარებლო ხარჯები მოიცავს როგორც სამომხმარებლო ფულად ხარჯებს, ასევე არაფულად ხარჯებს.

წყარო: www geostat.ge

ამჟამად სოციოლოგები იხილავენ სიღარიბის განმარტების ალტერმატიულ ვარიანტებს. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვერსიაა: სამომხმარებლო კალათის შემადგენელი პროდუქტებისა და მომსახურების სახეების შეძენის შეუძლებლობა.

საქართველოში სიღარიბის მოვლენის შესაფასებლად საჭიროდ მიგვაჩნია მინიმალური სამომ-ხმარებლო კალათის ელემენტების ნორმატივების და თავად კალათის ღირებულების გადახედვა. ასეთი სამუშაოს შესრულებაში დაგვეხმარება მოსახლეობის სულ ახლახან ჩატარებული საყოველთაო აღწერა. მისი მასალების დამუშავებით შესაძლებლი იქნება მოსახლეობისა და შინამეურნეობების, შემოსავლების, ქონებისა და სხვა აუცილებელი ინფორმაციის მოპოვება, რაც საშუალებას მოგვცემს დავახასიათოთ მოსახლეობის ცხოვრების დონე, მათ შორის სიღარიბე. ყოველივე აღნიშნული დაგვეხმარება სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამების შემუშავებაში.

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მასალების დამუშავების შემდეგ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქვეყანაში შეიქმნას შინამეურნეობათა განახლებული, რეპრეზენტატული ქსელი, რომელიც მომავალ საყოველთაო აღწერამდე პერიოდის მანძილზე საფუძვლად დაედება მოსახლეობის ცხოვრების დონისა და განსაკუთრებით სიღარიბის სტატისტიკური მონიტორინგის რეგულარულად ჩატარებას. ამ მხრივ, აუცილებელია, ყურადღება დაეთმოს ისეთი საკითხების გაშუქებას, რომლებზეც მსოფლიოში ცხარე დისკუსიები მიმდინარეობს.[1] კერძოდ, შინამეურნეობების დონეზე ანალიზის ჩასატარებლად საჭიროა გავითვალისწინოთ სექტორებს შორის ურთიერთგადადები (ჯ.სტიგლიცი, 2009); სრულფასოვან ანალიზს გაამარტივებს შინამეურნეობების დონეზე აქტივებისა და პასივების ბალანსების აგება; აგრეთვე დაუცველობის შეგრძნების დახასიათება როგორც ეკონომიკური, ისე ფიზიკური თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დავით კბილაძე, ეკონომიკური ზრდისა და სოციალური მდგომარეობის შეფასების სტატისტიკური ასპექტები, მონოგრაფია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012;

2. ბიკენტი გაბიძაშვილი, სიღარიბის პორტრეტი საქართველოში, ეკონომიკურ-სტატისტიკური ნარკვევი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2006;

3. ნოდარ ჭითანავა, საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები, გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი, 2012;

4. www.geostat.ge;

5. www.ru.wikipedia.org

[1] ასეთი დისკუსიების წარმართვას დიდი სტიმული შესძინა საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის 2008 წლის ინიციატივამ შექმნილიყო ცნობილი მეცნიერის ჯ.სტიგლიცის ხელმძღვანელობით კომისიამ. ამ კომისიამ შექმნიდან ერთი წლის შემდეგ წარმოადგინა მოხსენება „ეკონომიკური შედეგებისა და სოციალური პროგრესის შეფასება“, რომელიც განიხილეს გაეროში, ევროპელ სტატისტიკოსთა კონფერენციაზე, ევროსტატსა და სხვადასხვა პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციებში. სამწუხაროდ საქართველოში ასეთი სახის დისკუსიები არ გამართულა და ეკონომიკისა და სოციალური განვითარების სამომავლო პროგრამები ისევ ძველი ინდიკატორებით მუშავდება.

დავით კბილაძე

სიღარიბის შეფასების ზოგიერთი სტატისტიკური ასპექტი

რეზიუმე

სიღარიბის გამომწვევი მიზეზები და მისი განმარტების აბსოლუტური, შეფარდებითი და სუბიექ-ტური კონცეფციები თითქმის ერთგვაროვანია საქართველოსა და დანარჩენ მსოფლიოში. ამასთან, ჯერ-ჯერობით საქართველოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავებუ-ლია სოციალური დახმარების მისაღებად მატერიალურად გაჭირვებული პიროვნებების იდენტიფიკაციის კრიტერიუმები. საქართველოში ცხოვრების დონისა და სიღარიბის სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტე-მა ევროკავშირის სტანდარტთან ჰარმონიზებას საჭიროებს. ასეთი მაჩვენებლების გათანამედროვება დაგვეხმარება სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამების შემუშავებაში.

David Kbiladze

SOME STATISTICAL ASPECTS OF POVERTY EVALUATION

Summary

Causes of poverty and definitions of its absolute, relative and subjective concepts are almost similar in Georgia and in the rest of the world. In addition, so far in Georgia as well as in EU member states identification criteria of poor people who need social assistance is significantly different. Statistical indices system of living standards and poverty in Georgia needs to be harmonized with EU standards. Modernization of indicators like this will help us to work out state program for poverty reduction.

დავით ვეკუა

საქართველოს მაკროეკონომიკური პრობლემები და მისი რეგულირების თავისებურებები

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვიბის შემდეგ ჩამოუყალიბდა საკუთარი განვითარების ვექტორი, რომელიც, ცხადია, დროის გავლენით გარკვეულ კორექტირებებს განიცდის, მაგრამ მთლიანობაში ის სისტემურია და ეფუძნება ეკონომიკის მაქსიმალურ ლიბერალიზაციას, ბაზრის თავისუფლებას და ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს ჩაურევლობას. საქართველოში მოღვაწე უცხოელი ექსპერტები და კონსულტანტები, მიუხედავად ქვეყნაში არსებული გეოპოლიტიკური თუ ფინანსური პრობლემებისა თითქმის უკვე ოცდახუთი წელია მუდმივად გვირჩევენ, რომ სახელმწიფო ნაკლებად ჩაერიოს ეკონომიკის რეგულირებაში და ბაზარი სახემწიფოს მხრიდან განთავისუფლდეს ნებისმიერი პროტექციონისტული პოლიტიკისგან. მთავარი არგუმენტი რომილსაც ისინი იშველიებენ არის ის, რომ მთავრობა ლიბერალური ეკონომიკის პირობებში მოიხმარს ნაკლებ რესურსებს და ამიტომ, მეტი ფინანსები რჩება ბიზნესის განვითარებისათვის.

დღეს არსებულმა მდგომარეობამ აშკარად დაგვანახა, რომ ყველა ის თეზისი და მიდგომა, რომელიც ლიბერალური ეკონომიკისთვისაა დამახასიათებელი, არ არის უნივერსალური და ის საჭიროებს სრულიად კონკრეტულ ადაპტირებას იმ გარემოში, რომელშიც ესა თუ ის ქვეყანა იმყოფება. მხედველობაში გვაქვს კულტურული სივრცე, მენტალობა, სამუშაო ძალის კვალიფიკაცია, დემოგრაფია, გეოპოლიტიკური და ამა თუ იმ ქვეყნის გეოგრაფიული მდგომარეობა, ისტორიული გამოცდილება და მახსოვრობა, უმუშევრობის დონე და სხვა.

დიდი გერმანელი ფილოსოფოსი იმანუელ კანტი თვლიდა, რომ „ტექნიკური პროგრესის შედეგად ადამიანი კარგავს ბუნებაში ყოფნის შესაძლებლობას და ცხოვრობს სპეციფიკურ კულტურულ გარემოში“.[1] ყოველი ქვეყანა წარმოადგენს სპეციფიკურ კულტურულ გარემოს, ამოტომაც მოსახლეობის მზაობის აუცილებლობიდან გამომდინარე,რეფორმა საჭიროებს საზოგადოების მხარდაჭერას და არ უნდა იყოს გარედან თავს მოხვეული. ამდენად,თუ რეფორმა არ გახდება კონკრეტული გარემოს ორგანული ნაწილი,იგი განწირულია წარუმატებლობისთვის.

ვფიქრობ, ლიბერალიზმით გატაცებულებმა არასათანადოდ შევაფასეთ სახელმწიფოს, როგორც მთავარი ეკონომიკური სუბიექტის როლი და ადგილი ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში.

რეფორმის და პოსტრეფორმის ეტაპზე, საქართველოს მთავრობა მაკროეკონომიკურ პროცესებში ჩარევას ახორციელებდა უმეტეს შემთხვევაში არაპირდაპირი მოქმედების გზით, რაც გულისხმობს სახელმწიფოს ზემოქმედებას ეკონომიკაზე ლიბერალური საგადასახადო კანონმდებლობით, მეწარმეობის გამარტივებით, ბაზრის თავისუფლებით, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის გამარტივებული შრომითი ურთიერთობებით და ა. შ.

ასეთი სტრატეგიის ლოგიკა მდგომარეობდა იმაში, რომ ქვეყანას არ ჰქონდა განვითარებისათვის საჭირო საბრუნავი კაპიტალი და გრძელვადიანი ინვესტიციებისათვის საჭირო რესურსი. ეს რესურსი ლიბერალურ გარემოს უნდა ჩამოეყალიბებინა, მათი საქართველოს ეკონომიკაში დაბანდების პირობებში კი მოხდებოდა სწრაფი განვითარება, თანმიმდევრულად გადაწყდებოდა საბიუჯეტო და სოციალური პრობლემები.

ასეთი მიდგომა ეკონომიკური მოძღვრების ისტორიაში ახალი არ არის. ჯერ კიდევ ადამ სმიტი, ამბობდა, რომ„განვითარებას განაპირობებს კაპიტალის დაგროვება, ამიტომ საჭირო არ არის შევზღუდოთ რესურსებზე ბიზნესის მოთხოვნილება და მასში კაპიტალის დაბანდება, თუ ბიზნესი მოგების წყარო იქნება“.[2] „შოკური თერაპიის“ ავტორის ცნობილი ეკონომისტის და ექსპერტის, ლეშეკ ბალცეროვიჩის აზრით, „მეცნიერული კვლევა და გამოცდილება ცხადყოფს,რომ თუ ქვეყანა ახორციელებს ლიბერალურ რეფორმებს, მის განვითარებას აქვს სტაბილური და მყარი ხასიათი, მიუხედავათ დასაძლევი სირთულეებისა, სპეციფიკური კულტურისა და ტრადიციებისა“.[3]

თუმცა საქართველოში ეს პროცესი ასე წარმატებით არ განვითარებულა. ეკონომიკის ლიბერალიზაციის შედეგად მივიღეთ მონოპოლიები და არადივერსიფიცირებული ეკონომინიკური სტრუქტურა, საგარეო გამოწვევებისგან დაუცველი ბაზარი, უმუშევრობისა და სიღარიბის არნახული მასშტაბები და სხვა, ამ პროცესების თანხვედრი არასასურველი მოვლენები. დღევანდელი გადმოსახედიდან ნათლად ჩანს, რომ ეკონომიკის დაბალანსების მიმართულებით საჭირო იყო უფრო გონიერი მოქმედებები და მთავრობის მხრიდან ქმედითი ჩარევები. ასე მაგალითად: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით მთლიანმა შიდა პროდუქტმა 2013 წელს ერთ სულ მოსახლეზე შეადგინა 3,6 ათასი აშშ დოლარი, რაც თუნდაც სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან შედარებით, ბევრად ნაკლებია. 2006 წელთან შედარებით 2013 წელს გაიზარდა უმუშევრობის დონე 7,3 პროცენტული პუნქტით და შეადგენს 14,6%-ს, ხოლო ქალა-

[1] Мусский И. А. Сто великих мыслилителей. Москва. „ВЕЧЕ“-2000г ст.6

[2] ანანიაშვილი ი. აჩელაშვილი კ. მესხია ი. პაპავა ლ. სილაგაძე ა. წერეთელი გ. „მაკრო–ეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები“.„ მეცნიერება“ თბილისი 2003 წ.გვ.40

[3] ბალცეროვიჩი ლ.„ თავისუფლება და განვითარება“. თბილისი 2004 წ.გვ.4

ქების მონაცემებით უმუშევრობამ 25,6% შეადგინა. ანუ, შრომისუნარიანი მოსახლეობის ყველა მეოთხე პირი საქართველოს ქალაქებში უმუშევარია. 2015 წელს ძალიან სწრაფად იზრდება ინფლაცია ჯანდაცვის სფეროში – 7,3%,სასურსათო პროდუქტზე მაგ. სიგარეტსა და ალკოჰოლზე გაიზარდა – 6,6% და ა.შ. მედიანური მოხმარების 60%-ზე ქვემოთ მცხოვრებ მოსახლეობის წილმა 2013 წელს საქართველოში შეადგინა 24,1%, რაც უმძიმესი სოციალური მდგომარეობის მანიშნებელია. ამ ფონს ამძიმებს ისიც, რომ ქვეყანაში დაბერების მაჩვენებელი ჭარბობს შობადობის მაჩვენებელს და უმძიმეს საპენსიო ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს. 2013 წელს პენსიონერთა რაოდენობა 2005 წელთან შედარებით გაიზარდა 137 ათასი კაცით და შეადგინა 686,7 ათასი, რაც 24 ათასი კაცით მეტია, ვიდრე ქვეყანაშია (662 ათასი კაცი) დაქირავებით დასაქმებული, თვითდასაქმებულთა (1054 ათასი კაცი) შემოსავლები კი ძირითადად ეპიზოდურია და უმეტეს შემთხვევაში სეზონური ხასიათისა. იზრდება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობაც. 2013 წელს, სახელმწიფოსგან შემწეობის დახმარების მიმღებთა რაოდენობამ შეადგინა მოსახლეობის 9,7%,რაც 2007 წელთან შედარებით გაზრდილია 3,3 პროცენტული პუნქტით. ეს ყოველივე იწვევს მოსახლეობის შემოსავლების არსებით ინფლიაციას, ეკონომიკური რესურსების ფლობაში ქონებრივ უთანასწორობას.

ამასთან სახეზეა უცხოური ინვესტიციების კლების ტენდენციაც, თუ 2007 წელს ქვეყანაში განხორციელდა 2 მილიარდზე მეტი დოლარის ინვესტიცია, მან 2014 წელს შეადგინა მხოლოდ 923 ათასი დოლარი. ეს დინამიკა შეინიშნებოდა 2011 და 2012 წლებშიც.

საგარეო ვაჭრობაში რეგულირების თავისუფლებამ მნიშვნელოვნად გაზარდა მონეტარული რისკები, რის შედეგადაც დღევანდელმა ლარის გაუფასურებამ გამოიწვია საქართველოში მყარი ვალუტის დეფიციტი. 2014 წელს ექსპორტზე გავიდა 2,8 მლრდ ლარის პროდუქცია, ხოლო იმპორტის გზით შემოტანილ იქნა 8,5 მლრდ. უარყოფითმა სალდომ შეადგინა 5,7 მლრდ., მაშინ, როცა წინა წლებში ეს სალდო არ აღემატებოდა 3 მლრდ ლარს. თუ ქვეყანაში არ ამოქმედდა ვალუტის შემოდინების სხვა ალტერნატიული წყაროები, მდგომარეობა ეკონომიკის კოლაფსის ტოლფასი იქნება. იდეოლოგია, რომელიც გულისხმობს საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას და ეწინააღმდეგება ეროვნული ბაზრის დაცვის პროტექციონისტულ მიდგომას, ჯერ-ჯერობით ვერ ამართლებს. საგარეო ვაჭრობის ამ მასშტაბის უარყოფითი სალდოს პირობებში, იმპორტის უკონტროლო ზრდა საზიანოა, რადგან იმპორტმა ქვეყნის შიგნით დასაქმების შესაძლებლობა შეზღუდა და შეამცირა მოთხოვნილება სამუშაო ძალაზე.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ თავისუფალი ვაჭრობა ქვეყნისთვის ყოველთვის მომგებიანი არ არის. ჩვენ უნდა ვიფიქროთ ადგილობრივი მეწარმეობის განვითარებაზე, მათ შორის უნდა წავახალისოთ მცირე და საშუალო ბიზნესი, რათა ქვეყანაში ჩამოყალიბდეს მეწარმეთა ფენა და საქართველო არ დარჩეს დაბალგანვითარებულ აგრარულ ქვეყნად.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წლის მონაცემებით, მცირე ბიზნესში დასაქმებულია ქვეყანაში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის მხოლოდ 20,0 % და მისი ზრდის დინამიკა წლების მიხედვით არ არის პოზიტიური, უფრო მეტიც, 2012 წლეთან შედარებით იგი შემცირებულია 9 პროცენტული პუნქტით (2012 წელს მცირე საწარმოებში დასაქმებულთა ხვედრითმა წილმა დასაქმებულთა მთლიან რიცხოვნობაში შეადგინდა 29.0%)

ევროკავშირის ქვეყნებში შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი მცირე და საშუალო ბიზნესშია ჩართული, რაც ამ ქვეყნებს აძლევს შესაძლებლობას, მაღალი დასაქმების გზით, შეინარჩუნოს სოციალური სტაბილურობა. ევროკავშირის 6 ქვეყანაში (ესპანეთი, ნიდერლანდები, ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, იტალია) მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ხვედრითი წილი 40-70%-ის ფარგლებში მერყეობს. ამ ქვეყნებში მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოები შეადგენენ საწარმოთა საერთო რიცხვის 90% და აწარმოებენ მთლიანი პროდუქციას მოცულობის 35-71%-ს.[1]

სამწუხაროდ 2000 წლიდან დღემდე საქართველოში ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები მთელ რიგ შემთხვევებში არ იყო თანმიმდევრული და სისტემური, ხოლო განხორციელებული ღონისძიებებიდან მიღებული შედეგები კი არ აღმოჩნდა ეფექტური.

მცირე ბიზნესის წარმატების ერთ-ერთი წინაპირობაა მისი პოლიტიკური რისკებისგან დაცვა. ამ რისკების ნეიტრალიზაციის გამოცდილება კი ჩვენს ქვეყანაში სამწუხაროდ ნაკლებია. პოლიტიკურ რისკებში ვგულისხმობთ როგორც გარე რისკებს (რუსეთ-საქართველოს ომი), ასევე შიდა რისკებს, რომელიც საქართველოს სინამდვილეში, ბოლო ათწლეულში დამკვიდრდა, ქონების უკანონოდ ჩამორთმევის ან და სხვა მესაკუთრეებზე იძულებით გადაფორმების ფორმით. ასეთმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა არა მარტო მომქმედ მცირე საწარმოებს, არამედ შეაფერხა ახალი საწარმოების შექმნისა და ამ სფეროს განვითარების დინამიკა.

2014 წლის მონაცემებით, მცირე ბიზნესის მიერ შექმნილმა პროდუქციამ ქვეყანაში მთლიანად გამოშვებული პროდუქტის მხოლოდ 8.3% შეადგინა, 2012 წელთან შედარებით შექმნილი პროდუქციის ხვედრითი წილი შემცირებულია 1.5% პუნქტით. თუ ისევ მსოფლიო პრაქტიკას გავაანალიზებთ, ვნახავთ, რომ იაპონიის სამრეწველო პროდუქციის 55% და

[1] ბერიშვილი ხ. „მცირე ბიზნესის განვითარების მაშტაბები საზღვარგარეთ და საქართველოში, ჟურნალი „ინოვაციები ბიზნესში“ 2010. წ. გვ. 50.

იაპონიის ექსპორტის 40% მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოებზე მოდის.[1] აშშ-ში მცირე საწარმოთა ხვედრითმა წილმა ერთობლივ ეროვნულ პროდუქტში 40%-ს მიაღწია.[2]

ეკონომიკის მონოპოლიზაციის მაღალი ხარისხი მცირე ბიზნესის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ბარიერია. საქართველოს ხელისუფლება ძალზედ ინერტულად ეკიდება ქართული ეკონომიკის დემოპოლიზაციის საკითხს, რის გამოც ფერხდება ბაზარზე კონკურენტული გარემოს შექმნა და არათანაბარ პირობებში დგება მცირე და დიდ ბიზნესი. დემოპოლიზაცია უნდა შეეხოს ჩვენი ქვეყნის განვითარების ყველა სფეროს, რის შედეგადაც მივიღებთ დივერსიფიცირებულ ეკონომიკური სისტემას, სადაც მცირე ბიზნესი შეძლებს ნორმალურ ფუნქციონირებას და განვითარებას. დივერსიფიკაციის შედეგად შესაძლებელი გახდება ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენება, მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა ეკონომიკის რესურსული ბაზა, რაც შესაძლებელს გახდის შევამციროთ იმპორტის ხვედრითი წილი ეკონომიკაში. ეს კი ძალზედ მნიშვნელოვანია ქართული ეკონომიკისთვის, რადგან იმპორტი დღეს სამწუხაროდ 3-ჯერ მეტია ვიდრე ექსპორტი. კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორ შარლოტა პერსის აზრით „დღეს არ არის მოძველებული წაროებები, დღეს არის მოძველებული წარმოების მეთოდები".[3]

ვინაიდან მთავრობა ქვეყნის ინსტიტუციონალური სივრცის შემომქმედია, მის მიერ ამ სფეროში შექმნილი სამართლებრივი გარემო, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მცირე ბიზნესის განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, უმთავრესი ინსტრუმენტი, რომლითაც სახელმწიფომ მცირე ბიზნესის ხელშეწყობაზე შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს, არის კანონმდებლობა. სწორედ კანონმდებლობის ლიბერალიზაცია და ხელშეწყობა სჭირდება მცირე ბიზნესს, რათა ამ სფეროში შესაძლებელი გახდეს ახალი ინვესტიციების მოზიდვა და მთლიანობაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება. ამ მიმართულებითაც საქართველოში არასახარბიელო მდგომარეობაა.

საქართველოში გადასახადის გადამხდელები,საგადასახადო ტვირთის თვალსაზრისით, საკმაოდ ლიბერალურ პირობებში იმყოფებიან. ეს ტვირთი წლების მიხედვით 24 პროცენტის ფარგლებში მერყეობს, რაც ევროპის ქვეყნებთან შედარებით (მაგ., საფრანგეთი 45%) ყველაზე "მსუბუქად" შეიძლება ჩაითვალოს. საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების მიზანი იყო,რეგიონში ყველაზე ლებერალური საგადასახადო კანონმდებლობის საშუალებით, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპების შენარჩუნება და საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების ფონზე, შემდგომ წლებში პირველ წლებში შესაძლო საგადასახადო დანაკარგების კომპენსირება უნდა მოეხდინა.

მიუხედავად ასეთი ლიბერალური გარემოსი, რასაც საგადასახადო კანონმდებლობა უქმნიდა და ახლაც უქმნის ზოგადად ბიზნესის განვითარებას ბოლო სამი წლის (2012-2014წწ.) საგადასახადო შემოსავლების სტატისტის მონაცემებით კვლავ ძალზედ მწირია მოგების გადასახადის ხვედრითი წილი მთლიანი შემოსავლების სტრუქტურაში (საშუალოდ 13 პროცენტი), რაც უშუალოდ ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირებაში ბიზნესის „საკმაოდ მოკრძალებულ" მონაწილეობაზე მიგვანიშნებს. მცირეა არა მარტო მოგების გადასახადის ხვედრითი წილი მთლიან შემოსავლებში, არამედ არასასურველია მისი ზრდის დინამიკაც 2012 წელს მოგების გადასახადმა შეადგინა 850 მილიონი ლარი, 2013 წელს – 924 მილიონი ლარი, ხოლო 2014 წელს კი 912 მილ. ლარი ანუ პრაქტიკულად იგი არ იზრდება.[4]

ბუნებრივია, რომ გადასახადების ფინანსური წყაროების წარმოშობაშიც ბიზნესის მონაწილეობა გადამწყვეტია (მაგალითად ის ყველაზე დიდი დამქირავებელია) რადგან მხოლოდ მოგების გადასახადია ის ერთდაერთი გადასახადი, რომელიც ბიზნესმენს აქვს საკუთარი "ჯიბიდან" ამოსაღები. ყველა სხვა მას ირიბად ეხება, რადგან ბიუჯეტს საშემოსავლო გადასახადით ავსებენ ფიზიკური პირები, ხოლო დღგ-სა და აქციზით კი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა.

მწირი ფინანსური რესურსების პირობებში, როდესაც სახელმწიფო სექტორი საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციის გზით ამცირებს საჯარო ფინანსების ოდენობას, კერძო კაპიტალის ზრდის მიზნით ბიზნესის მხრიდან მოგების მნიშვნელოვანი ნაწილის დივიდენდებად გადანაწილება დღევანდელი ქართული ეკონომიკისათვის აშკარად ფუფუნებაა. ფინანსური რესურსების დეფიციტის პირობებში ყველა ტიპის რესურსი უნდა მოხმარდეს განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ამ გზით სოციალური სტაბილურობის მიღწევას. და არა (განსაკუთრებით დიდი ოდენობის დივიდენდების მიღებით) ზოგიერთი ბიზნესმენის პირადი აქტივების და ქონების დაგროვებას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბიზნესი თავისუფალია მოგების განკარგვაში, ხოლო მათი იძულება საინვესტიციო აქტიურობისაკენ თეორიულადაც გამორიცხულია. ამიტომ საგადასახადო რეგულაციის მექანიზმების გამოყენებით უნდა შექმნას სათანადო მოტივაცია და წაახალისოს ბიზნესი აქტიურ საინვესტიციო საქმიანობაზე. რათა შესაძლებელი გახდეს ნარჩენი მოგების, როგორც დამატებითი ფინანსური რესურსების ეკონომიკაში რეინვესტირებისა.

---

[1] Разумов И. Мелкие фирма в США, журнал „Экономика и управление„ М. Наука 2007 г.

[2] ბერიშვილი ხ. „მცირე ბიზნესის განვითარების მაშტაბები საზღვარგარეთ და საქართველოში, ჟურნალი „ინოვაციები ბიზნესში" 2010. წ. გვ. 50.

[3] Цуколоев С. Государственная политика модернизации и иновационный процесс в Расии. Журнал „Экономические науки„ М. 2010 г

[4] www.mof.ge

საქართველოს მაკროეკონომიკურმა პრობლემებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ეკონომიკა ვერ გუობს პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ჩარევას და ის ეკონომიკური კანონზომიერებებითა და რეალური განზომილებებით უნდა განვითარდეს. ის, რაც დღეს ჩვენს ეკონომიკას დაემართა, არის ფსევდო ლიბერალიზმის მეტასტაზები, რადგან არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი ჭეშმარიტება: დამოუკიდებლობას სჭირდება დამსახურება, დამსახურებას კი – მყარი ნება საკუთარი განვითარების. დიდი საგარეო ვალის პირობებში საქართველოს მთავრობას ბევრი გამოწვევა, საერთაშორისო ვალდებულება და პასუხისმგებლობა დააკისრა, თუმცა არცერთი არ არის იმაზე მეტი, ვიდრე პასუხისმგებლობა საკუთარი ქვეყნის წინაშე. ერთი რამ უდაოა, რომ საქართველოს ეკონომიკას სჭირდება მოდერნიზაცია და ამ გზაზე არ უნდა დაგვავიწყდეს ძველი ინდური გამონათქვამი: „გეზის სისწორე თუ არ გვეეჭვება, მაშინ მანძილიც არაფერია“.[1] საუკეთესო გამოსავალი სწორი გზით სიარულია. საქართველოს აქვს ის ინტელექტუალური პოტენციალი, რომ მოძებნოს ეს სწორი გზა, სხვა შემთხვავაში ზუსტად მოგვესადაგება ბერძენი ფილოსოფოსის დემოსფენეს ცნობილი ფროზა“ ბრიყვი საზოგადოება ჯობია იყოს მორჩილებაში ვიდრე თვითონ მართავდეს ქვეყანას“.[2]

დღეს არსებული საერთაშორისო გამოწვევების და ეროვნული ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობის გათვალოსწინებით შესაძლებლობა გვეძლევა საფუძვლიანად გაავანალიზოთ წარსულის შაცდომები და განვსაზღვროთ მომავლის რისკები.ეკონომიკის მართვის ახალი სტრატეგიის განსაზღვრის დროს კი არ დავივიწყოთ სოციალური ეკონომიკის თეორიის ფუძემდებლის და გერმანიის ეკონომიკის აღორძინების ერთერთი ლიდერის ლუდვიგ ერხარდის, ეკონომიკურ ლიბერალიზმთან დაკავშირებით გამოთქმული ცნობილი თეზა: „ცალკეულმა ადამიანებმა უნდა ისარგებლონ კუთვნილი თავისუფლიბით და მისი წილი პასუხესმგებლობა იტვირთონ, სახემწიფომ კი ინდივიდის თავისულება უნდა დაიცვას და მისგან პასუხისმგებლობა მოითხოვოს“.[3]

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანანიაშვილი ი.აჩელაშვილი კ.მესხია ი.პაპავა ლ.სილაგაძე ა.წერეთელი გ. „მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები“. „მეცნიერება“ თბილისი 2003 წ.

2. ბალცეროვიჩი ლ.„თავისუფლება და განვითარება“. თბილისი 2004 წ.

3 ერხარდი ლ. „კეთილდღეობა ყველასათვის“თბილისი 2011წ.

4. ვეკუა დ. „მცირე ბიზნესის განვითარების შესაძლო პერსპექტივები საქართველოში“ გ. თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული-თბილისი 2014.წ

5. ვეკუა დ. „ფისკალური პოლიტიკის სრულყოფის და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების გზები საქართველოში“ გ. თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული-თბილისი 2011.წ

6. დ. ვეკუა, ი ვეკუა – „საქართველოში სოციალური დაზღვევის სისტემის მაკროეკონომიკური რეგულირების გზები და მიმართულებები“ თბ., 2013 წ.

7. ბახტაძე ლ.; კაკულია რ.; ჯიბუტი ა. „საჯარო ფინანსები“, თბ. 2007 წ.

8. ცაავა გ.; ხანთაძე გ. „საჯარო ფინანსები“, თბ. 2013 წ.

9. ბერიშვილი ხ. „მცირე ბიზნესის განვითარების მაშტაბები საზღვარგარეთ და საქართველოში, ჟურნალი „ინოვაციები ბიზნესში“ 2010. წ. გვ. 50.

10. Мусский И. А. Сто великих мыслилителей. Москва. „ВЕЧЕ“-2000г

11. Цуколоев С. Государственная политика модернизации и иновационный процесс в Расии. Журнал „Экономические науки„ М. 2010 г

12. Агофонов А. „Возможные сценарии развития малого придпринательства в Расийской Федераций„ „Экономические науки„ М. 2010 г.

13. Разумов И. Мелкие фирма в США, журнал „Экономика и управление„ М. Наука 2007 г.

14. w.geostat.ge.

15. www.mof.ge

[1] Мусский И. А. Сто великих мыслилителей. Москва. „ВЕЧЕ“-2000г. ст.10

[2] Мусский И. А. Сто великих мыслилителей. Москва. „ВЕЧЕ“-2000г .ст.13

[3] ერხარდი ლ.„კეთილდღეობა ყველასათვის“თბილისი 2011წ. გვ432

დავით ვეკუა

საქართველოს მაკროეკონომიკური პრობლემები და მისი რეგულირების თავისებურებები

რეზიუმე

საქართველოს მაკროეკონომიკურმა პრობლემებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ეკონომიკა ვერ გუობს პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ჩარევას და ის ეკონომიკური კანონზომიერებებითა და რეალური განზომილებებით უნდა განვითარდეს დღევანდელი გადმოსახედიდან ნათლად ჩანს, რომ ეკონომიკის დაბალანსების მიმართულებით საჭირო იყო უფრო გონიერი მოქმედებები და მთავრობის მხრიდან ქმედითი ჩარევები.

ეკონომიკური პროცესების მართვის მიმართულებით მოსაწესრიგებელ და მოსაგვარებელ საქმეთა სპექტრი იმდენად დიდია, რომ თუ ყველა სამთავრობო ინსტიტუციის საქმიანობა სწორ კოორდინაციას და ფუნქციათა გამიჯვნას არ დაექვემდებარა, შესაძლოა შემდგომში პროცესი ქაოტურად განვითარდეს.

სტატიაში ძირითადი ყურადღება გადატანილი საქართველოს მაკროეკონომიკური პრობლემებზე და მისი რეგულირების თავისებურებებზე, ეკონომიკის რეგულირების ახალი სისტემის ჩამოყალიბებს აუცილებლობაზე.

გაანალიზებულია ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობის ზოგიერთი ინდიკატორი და ამ კონტექსტში შეთავაზებულია საქმიანობის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიება.

David Vekua

MACROECONOMIC PROBLEMS IN GEORGIA AND PECULIARITIES OF ITS REGULATIONS

Summary

Since the independence of Georgia own vector of development had been formed, according to which in most cases the government used to intervene in economic processes in the way of indirect actions which means little intervention of the state in the economy.

From today's viewpoint it is clear that more sensible activities and active interventions from the side of the government would be necessary to balance economy. Macroeconomic problems of Georgia once again showed us that economy can't get used to the political and ideological interventions and it should be developed with economic regularities and real dimensions.

There are so many things to regulate and arrange in the management of economic processes that if all the activities of government institutions don't subject to proper coordination and separation of functions, the situation will worsen afterwards.

The article pays much attention to the macroeconomic problems of Georgia and peculiarities of its regulations, also to the necessity of forming a new system of the regulation of economy.

Some indicators of macroeconomic conditions of the country are analyzed and in this context some activities are suggested to improve the situation.

ლია თოთლაძე

წინმსწრები კომპოზიტური ინდექსის გაანგარიშების თავისებურებები

ნებისმიერი ქვეყნისათვის, განვითარების რომელ ეტაპზეც არ უნდა იყოს იგი მნიშვნელოვანია ეკონომიკის განვითარების ტენდენციების წინასწარ განჭვრეტა. ეს შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა გზით. საკმაოდ ხშირ შემთხვევაში ეკონომიკური განვითარების პროგნოზები ეყრდნობა ელემენტარულ ექსტრაპოლაციას, ან ეკონომეტრიკულ მოდელებს, ასევე ექსპერტთა და ანალიტიკოსთა შეფასებებს. ერთ-ერთ საინტერესო და საკმაოდ ეფექტიან მიდგომას წარმოადგენს წინმსწრებ ინდიკატორთა მეთოდი. იგი მნიშვნელოვანია ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთათვის როგორც მოკლევადიანი ასევე გრძელვადიანი გადაწყვეტილებების მიღების დროს. მრავალი წლის განმავლობაში წინმსწრები, თანამდევი და ლაგური ინდიკატორების მეშვეობით აშშ-ს ეკონომიკური კვლევების ეროვნული ბიუროს (NBER) მიერ წარმატებით ხორციელდება ბიზნეს-ციკლების შეფასება. უკანასკნელ პერიოდში ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) მიერ მონაწილე ქვეყნებისთვისაც ტარდება ამგვარი ტიპის ანალიზი. საქართველოს ეკონომიკის როგორც ტრანსფორმირებადი ეკონომიკის პროგნოზირებისათვის, მისი ვოლატილური ბუნებიდან გამომდინარე საინტერესო ამგვარი მიდგომის გამოყენება. იგი ღირებული იქნება როგორც სამთავრობო წრეების, ასევე ბიზნესის წარმომადგენლებისათვის.

წინმსწრები ინდიკატორების მეთოდის იდეა საკმაოდ ნათელი და მარტივია: იმის განსაზღვრისათვის თუ როდის მოხდება ეკონომიკის დაცემიდან ზრდაზე გადასვლა (ან პირიქით) აუცილებელია „ადრეული აღმოჩენის სისტემის“ აგება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საჭიროა ისეთ მაჩვენებელთა შერჩევა რომელთა გარდატეხის წერტილები უფრო ადრე დგება, ვიდრე მთლიანად ეკონომიკისა.

წინმსწრები ინდიკატორები განზოგადებული ეკონომიკური მაჩვენებლებია რომელთა ცვლილებას მოასწავებს სხვა მაჩვენებელთა და ზოგადად ეკონომიკური კლიმატის ცვლილებას. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი ინდიკატორები საკმაოდ ბევრია, მაგრამ ყველა მათგანს საპროგნოზო თვისებები არ გააჩნიათ. მაგალითად, უმუშევრობის დონე განეკუთვნება ლაგურ ეკონომიკურ ინდიკატორებს, ვინაიდან მისი მნიშვნელობა მცირდება ეკონომიკის რეცესიიდან გამოსვლის მხოლოდ 6-8 თვის შემდეგ. ამავდროულად საფონდო ბაზარი (უფრო სწორად მისი ინდექსი) წარმოადგენს წინმსწრებ ინდიკატორს, ვინაიდან იგი იწყებს ზრდას ოფიციალურ ეკონომიკურ სტატისტიკაზე ადრე. ამის მიზეზი ისიცაა, რომ ინვესტორები ცდილობენ სხვებზე ადრე განსაზღვრონ ეკონომიკური კლიმატის ცვლილება. წინმსწრები ინდიკატორების მეთოდის პრაქტიკაში გამოყენებამ აჩვენა, რომ ეს უფრო სრულყოფილი მეთოდია და მისი პროგნოსტული ღირებულება გაცილებით მაღალია, ვიდრე ტრადიციული ვექტორული ავტორეგრესიული მოდელებისა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვექტორული ავტორეგრესიული მოდელების მსგავსად ეს მეთოდიც ძალზე მგრძნობიარეა ცვლადების შერჩევის მიმართ.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული ინდიკატორი არ იძლევა სრულ ინფორმაციას, მაგრამ მათი ერთობლიობა შესაძლებელია გამოვიყენოთ საიმედო შედეგების მისაღებად. ამიტომ ადრეული ინდიკატორების ფორმირებისას მიზანი უნდა იყოს ინდიკატორების განზოგადება, მაგრამ ეს განზოგადებული ინდიკატორები ობიექტური უნდა იყოს. ინდიკატორთა სისტემის აგებისას პრაქტიკაში გამოიყენება ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ეკონომიკური დინამიკა. ერთი აქცენტს აკეთებს ეკონომიკის განვითარების მიმართულებაზე (ზევით-ქვევით, ზრდა-დაცემა), ხოლო მეორე კი მოძრაობის სიჩქარეზე. პირველი შეესაბამება საქმიანი აქტივობის ციკლის კლასიკურ გაგებას, მეორე – ზრდის ციკლების ცნებას. აშშ-ში გარდატეხის წერტილების ანალიზი წარმოებს ზრდისა და დაცემის ტერმინებით. *OECD-ში (Organisation for Economic Co-operation and Development)* კი პირიქით დაჩქარებული ზრდიდან შენელებული ზრდისაკენ და პირიქით (ითვლება, რომ მსოფლიოში ადგილი აქვს მეტნაკლებად მდგრად ეკონომიკურ, მაშინ როდესაც ზრდას ხანგრძლივობა და კლასიკური კრიზისების სიღრმე მცირდება).

წინმსწრები ინდიკატორების საფუძველზე იგება წინმსწრები ინდიკატორების ინდექსი (Index of Leading Economic Indicators -LEI). მას 10 წინმსწრები ინდიკატორის კომპოზიტურ ინდექსსაც უწოდებენ. იგი მთავრობის მნიშვნელოვანი ბარომეტრია ბიზნეს ტრენდის პროგნოზირებისათვის. ამის გამო მეთოდს ზოგჯერ ბარომეტრულ მეთოდსაც უწოდებენ. ინდექსი იძლევა ეკონომიკური აქტივობის ექვსიდან ცხრა თვემდე პროგნოზს. ყველა ქვეყანა ვინც იყენებს აღნიშნულ მეთოდოლოგიას, თავად განსაზღვრავს ინდიკატორების კომპლექსს, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე. საწყის წინსწრებ ინდიკატორებად შესაძლებელია ამა თუ იმ მაჩვენებლის განხილვა, თუ იგი:

- იწვევს ეკონომიკური დინამიკის ცვლილებას მოთხოვნისა და მიწოდებაზე ზეგავლენის გზით;
- ასახავს ეკონომიკური აგენტების მოლოდინებს;
- მთლიანად ეკონომიკაზე ადრე რეაგირებს ეკონომიკური აქტივობის ცვლილებებზე;
- ამგვარ ხარისხში წარმატებით გამოიყენება სხვა ქვეყნებში.

პრაქტიკული თვალსაზრისით მაჩვენებლები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ პირობებს: მათ მერყეობას უნდა ჰქონდეს ციკლური ხასიათი; რიგები საკმარისად საიმედო უნდა იყოს მთელი ანალიზირებადი პერიოდის განმავლობაში; ინფორმაცია უნდა ახლდებოდეს ოპერატიულად.

1960-იანი წლებიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია წინმსწრებ ინდიკატორთა ცვლილების შესახებ. აშშ-ში კრიზისული მოვლენების პროგნოზირებისათვის გამოიყენება *ეკონომიკური კვლევების ეროვნული ბიუროს (NBER) საშუალოშეწონილი ინდექსი,* რომელიც მოიცავს ათ წინმსწრებ ინდიკატორს:

1. სამუშაო კვირის ხანგრძლივობა;
2. განაცხადები უმუშევრობის დახმარებაზე;
3. საფონდო ბაზრის ინდექსი S&P 500;
4. ახალი შეკვეთები სამომხმარებლო საქონელსა და მასალებზე;
5. ახალი საცხოვრებელი ფართის მშენებლობაზე გაცემული ლიცენზიები;
6. სიჩქარე, რომლითაც ახალი საქონლის მიწოდება საცალო მევაჭრეებს;
7. სხვაობა გრძელვადიან და მოკლევადიან სესხებს შორის;
8. შეკვეთების მოცულობა კაპიტალურ საქონელზე (რომლებიც არ განეკუთვნება თავდაცვის მრეწველობას, თვითმფრინავების გარდა);
9. ინფლაციით კორექტირებული ფულის მიწოდების მოცულობა (M2);
10. სამომხმარებლო ნდობის ინდექსი.

როგორც ვხედავთ **წინსწრები ინდიკატორები გამოხატავენ ქვეყანაში საქმიანი აქტივობის დონეს და თანაბრად ასახავს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას როგორც დასაქმების თვალსაზრისით, ასევე მონეტარულ და სამრეწველო ასპექტებში.** ნებართვები ახალ მშენებლობებზე (იგულისხმება საცხოვრებელი ფართები) ეკონომიკის სიჯანსაღის ერთ-ერთი მაჩვენებელია. უძრავი ქონების სფეროში სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან ჩართული (დაწყებული არქიტექტორებითა და დამთვრებული მშენებლებით) ამიტომ ახალმშენებლობები სწორედაც რომ პოზიტიური ფაქტორია. სამომხმარებლო ნდობის ინდექსი(*Consumer confidence index)* მომხმარებელთა ნდობის შეფასებაა რომელიც ეფუძნება ეროვნულ განწყობას მიმდინარე სიტუაციისადმი და მომხმარებელთა იმედებს მომავალთან მიმართებაში. იგი დგება 5000 ოჯახის ყოველთვიური გამოკითხვის შედეგების მიხედვით. ტრადიციულად გამოიყენება მოსახლეობის დასაქმების ტენდენციის გამოვლენისა და ეკონომიკის საერთო მდგომარეობის პროგნოზირებისათვის. ამ ინდიკატორის ზრდა დადებითი ფაქტორია ეროვნული ვალუტისათვის. მათემატიკურად ესაა დადებითი და უარყოფითი პასუხების თანაფარდობა გამოხატული პროცენტებში.

პირველი ორი ინდიკატორი განეკუთვნება შრომის ბაზარს და ერთმანეთთან უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია. შემდეგი ორი შეკვეთებისა და გადაზიდვების მოცულობას ასახავს და ასევე უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია. 5-7 რიგები განსაზღვრავენ ინვესტიციების მოცულობას ძირითად კაპიტალში რაც წარმოადგენს გრძელვადიანი ეკონომიკური პერსპექტივის მაჩვენებელს. მერვე რიგი ასახავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების ცვლილებებს. მეცხრე გვიჩვენებს ასევე სამეურნეო აქტივობის ნიშანია. ბოლო ორი ინდექსი კი ასახავენ ფულადი მასისა და საკრედიტო რესურსების არსებობას.

ამ ინდიკატორთა საფუძველზე თავად ინდექსი გაიანგარიშება როგორც ზემოთაღნიშნული კომპონენტების საშუალოშეწონილი სიდიდე:

$$LEI = \sum_{i=1}^{n} W_i \cdot L_i ,$$

სადაც W_i – წონითი კოეფიციენტია, ხოლო L_i -ერთ-ერთი ინდიკატორი.

რას შეეხება წონითი კოეფიციენტებს – იგი სხვადასხვანაირად განისაზღვრება, მაგრამ უკანასკნელ წლებში ჩატარებული გააანგარიშებების შედეგად მკვლევარები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თანაბარი წონების შემთხვევაშიც ინდიკატორი მუშობს არანაკლებ კარგად, ვიდრე უფრო რთული ვარიანტების დროს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ინდექის იდეა ემყარება მისაზრებას, რომ ეკონომიკის მთვარი მოტივატორი არის სამომავლო შემოსავლების მიღების მოლოდინი. შემოსავლების ზრდის მოლოდინით კომპანიები აფართოებენ წარმოებასისა და მომსახურების მოცულობას, ინვესტიციებს. ამიტომაც ინდექსი იმგვარადაა ფორმირებული რომ მოიცავს საქმიანი აქტივობის ძირითად სფეროებსა და მაჩვენებლებს.

ნახ.1. აშშ წინმსწრები კომპოზიტური ინდექსის დინამიკა



წყარო: www.oecd.org/std/leading-indicators/

ნახ.2. OECD ქვეყნების წინმსწრები კომპოზიტური ინდექსის დინამიკა



წყარო: www.oecd.org/std/leading-indicators/

აშშ-სათვის LEI ინდექსის (რომელიც ყოველთვიურად ქვეყნდება) მცირედი ცვლილებაც კი მიუთითებს ზოგადეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებაზე. მისი ძირითადი ფუნქცია – ციკლების გარდატეხის წერტილების პროგნოზირებაა. ინდიკატორის მნიშვნელობა ეცემოდა საშუალოდ 0,3%-ით, როდესაც ეკონომიკაში შედიოდა რეცესიის ეტაპზე და იზრდებოდა საშუალოდ 0,2%-ით ეკონომიკის ზრდის ეტაპზე. LEI-ს საშუალო მნიშვნელობიდან გადახრა 0,8%-ია ზრდის დროს და 1,2% რეცესიის ეტაპზე. ემპირიული კანონების მიხედვით, ინდექსის მნიშვნელობის უარყოფითობა ზედიზედ სამი თვის განმავლობაში წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების შეჩერების ინდიკატორს. უნდა აღინიშნოს რომ, წინმსწრები ინდიკატორების ინდექსის მეშვეობით შესაძლებელი გახდა 50 წლის განმავლობაში ყველა 7 ოფიციალური რეცესიის პროგნოზირება ამერიკის ეკონომიკაში, თუმცა იყო 5 შემთხვევაც, როდესაც ინდექსმა იწინასწარმეტყველა რეცესია, მაგრამ პრაქტიკაში ეს ასე არ მოხდა.

საქართველოსათვის კომპოზიტური ინდექსის შემუშავების თვალსაზრისით ცხადია პირდაპირი გადმოტანა აშშ-ს ან თუნდაც ევროპის ქვეყნების მეთოდოლოგიისა არ იქნებოდა სწორი. მაშინ როდესაც ევროპის ქვეყნებისათვის მიმდინარეობდა ინტენსიური მუშობა ამ მიმართულებით 1990 წლიდან, ხოლო ამერიკაში 1960-იანი წლებიდან საქართველოში ჯერ მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემა იყო, ხოლო მისი ნგრევის შემდეგ კი ადგილი ჰქონდა მრავალწლიანი დაცემას, ტრანსფორმაციის ეპატი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. ცხადია ერთი ეკონომიკური სისტემის მეორეთი შეცვლა ვერ იქნებოდა უმტკივნეული და ხანმოკლე. ასეთ პირობებში აღნიშნული მეთოდოლოგიით მუშაობა კივერ იქნებოდა ეფექტური და შედეგიანი. დღეისათვის უპრიანი იქნებოდა ამ მეთოდოლოოგის მიხედვით საქარლეოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციის ანალიზი და პროგნოზირება, თუმცა ამ ეტაპისთვისაც არსებობს წინააღმდეგობები. კერძოდ:

პირველი – როგორც წესი ინდიკატორთა სისტემაში აუცილებლად შედის საფონდო ბირჟის მაჩვენებლები და საქართველოსათვის ამ მაჩვენებლის საფუძველზე ანალიზი, ამ სფეროს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე შეუძლებელი იქნებოდა;

მეორე- თვალსაჩინო გამოხატულება დასაქმების ბაზრისა არის უმუშევრობის დახმარებების მოცულობა. საქართველოში არ არსებობს ორგანო რომელიც თუნდაც არეგისტრირებს უმუშევართა განცხადებებს, შესაბამისად ზუსტი ინფორმაციის მიღება შეუძლებელია. შესაძლებელი იყო ამ მაჩვენებლის ნაცვლად განხილული ყოფილიყო ზოგადად დასაქმების მაჩვენებელი (მიუხედავად იმისა, რომ იგი ვერ იქნებოდა პირდაპირი ჩამნაცვლებელი), მაგრამ თუ გადავხედავთ სტატისტიკურ მონაცემებს უნდა ითქვას რომ იგი ვერ ასახავს რეალობას.

ნახ. 3. უმუშევრობის დონე



წყარო: http://geostat.ge

მესამე- ერთ ერთ ინდიკატორად განიხილება სამუშო კვირის ხანგრძლივობა ან წარმოებაზე დახარჯული სამუშო საათების რაოდენობა, რის გაანგარიშებაც სტატისტიკური ინფორმაციის არასრულყოფილების გამო ასევე პრობლემაა.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია ვთქვათ, რომ სათანადო სტატისტიკური ინფორმაციის პირობებში წინმსწრები კომპოზიტური ინდექსის გამოყენება საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკისა და პროგნოზირებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი და ინფორმაციული იქნებოდა. სათანადო მონაცემთა დამუშავების შემდეგ შესაძლებელია შეირჩეს ის მაჩვენებლები, რომლებიც ითვალისწინებენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სპეციფიკასაც. ის, რომ აღნიშნული ინდექსი გაიანგარიშება და ქვეყნდება ყოველთვიურად წარმოადგენს წინაპირობას იმისათვის, რომ მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემმუშავებლებსა და გამტარებლებს ხელთ ექნებათ ერთგვარი „ბარომეტრი“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. *Clements M.P.*, *Hendry D.F.* Forecasting Economic Time Series. Cambridge, MA.: Cambridge University Press, 1998;

2. *Clements M. P., Hendry D. F.* Macro-Economic Forecasting and Modelling. Nuffield College, Oxford. 2008;

3. Estimating Indexes of Coincident and Leading Indicators: An Application to Jordan. IMF Working Paper. by Joannes Mongardini and Tahsin Saadi-Sedik. 2003;

4. *Soderlind P.* Macroeconomic and Financial Forecasting. Lecture Notes. University of St. Gallen. St. Gallen, Switzerland. 2008;

5. http://geostat.ge

6. http://www.oecd.org/std/leading-indicators/

7. http://www.bloomberg.com/news/2014-02-20/leading-economic-indicators-index

ლია თოთლაძე

წინმსწრები კომპოზიტური ინდექსის გაანგარიშების თავისებურებები

რეზიუმე

სტატიაში გადმოცემულია წინმსწრებ ინდიკატორეთა შერჩევის მეთოდოლოგიური საკითხები. ამ ინდიკატორთა გაანგარიშება წარმატებით წარმოებს როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე ევროპის განვითარებულ ქვეყანაში. განხილულია აგრეთვე ამ ინდიკატორთა საფუძველზე კომპოზიტური ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგია, რომელიც მაკროეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთა მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს.

სტატიაში ხაზგასმულია საქართველოში მისი რეალიზაციის თავისებურებებიც. აღნიშნული მეთოდით პროგნოზირება უაღრესად აქტუალური და საინტერესო გახდეს საქართველოსათვის რიგი პრობლემების მოგვარების შემდგომ.

Lia Totladze

THE FEATURES OF CALCULATING THE LEADING COMPOSITE INDEX

Summary

The article describes the methodological issues forward leading indicators selection. The calculation of these indicators have been successfully conducted in the United States, as well as in the Europe Union. The author also considers the calculation of indicators based on a composite index methodology, which is an important tool of macroeconomic policy makers.

The article highlights the peculiarities of its implementation in Georgia. This forecasting method will be the highly actual and interesting for Georgia after solving number of problems.

მამუკა თორია

შრომის ბაზრის ფორმირების დემოგრაფიული საფუძვლები საქართველოში

საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეფექტიანად ფუნქციონირებადი შრომის ბაზრის ფორმირებას, რომლის საშუალებითაც ხდება სამუშაო ძალის გადანაწილება ცალკეულ ფირმებს, დარგებსა და რეგიონებს შორის. ამ პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, როგორც მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, ასევე მისი რეგიონების მიხედვით, არის შრომის მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებულ დისბალანსი.

სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებულ რაოდენობრივ და თვისებრივ თანაფარდობაზე უდიდეს გავლენას ახდენენ სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორები. კერძოდ, ურბანიზაციის დონე, მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქ–ტურა, მისი კვლავწარმოების რეჟიმი, შრომისუნარიანი მოსახლეობის განათლების დონე და პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურა, მიგრაციული პროცესები.

წარმოდგენილ სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ შრომის ბაზრის ფორმირების დემოგრაფიულ ფაქტორებზე.

შრომისა ბაზრის ფორმირების პროცესის შეფასებისა და მომავალში მისი პროგნო–ზირებისათვის აუცილებელია ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების ტენდენციების ანალიზი. შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდების სიდიდე, რომელიც ახასიათებს იმ ადამიანთა რიცხოვნობასა და შემადგენლობას, რომლებსაც გააჩნიათ შრომის უნარი, შეუძლიათ და საჭიროებენ სამუშაოს მიღებას, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხოვნობასა და მისი ცვლილებების მიმართულებებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით მართებული იქნება ვამტკიცოთ, რომ ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის მიწოდების მოცულობას, ამავდროულად განა–პირობებენ ასევე, შრომის ბაზრის ფორმირებასაც.

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში ქვეყანაში არსებულმა სოციალურ–ეკონო–მიკური და პოლიტიკური განვითარების ტენდენციებმა თავისი ასახვა ჰპოვეს ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნებისა და შემადგენლობის ცვლილებაზე.

1990–2013 წლებში საქართველოს მოსახლეობა 17,3 %–ით შემცირდა, მათ შორის ქალაქის მოსახლეობა 19.6 %–ით, ხოლო სოფლის მოსახლეობა –14.5 %–ით შემცირდა ანუ საკვლევი პერიოდის მანძილზე ქალაქის მოსახლეობა სოფლის მოსახლეობასთან შედარებით უფრო მეტად შემცირდა, რამაც ცხადია შეამცირა ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილი ქვეყნის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში 55.3–დან 53.8 პრო–ცენტამდე, ხოლო სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წილი გაიზარდა 44.7–დან 46.2 პროცენტამდე. ამასთან, აღსანიშნავია, რიმ ქვეყნის მოსახლეობას ჯერ კიდევ ვერ მიუღწევია 1990 წლის დონისთვის.

ბუნებრივია, მოსახლეობის რიცხოვნობის ასეთი მიმართულებით ცვლილებაზე გავლენა იქონიეს, როგორც მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ტენდენციებმა, ასევე გარე მიგრაციულმა პროცესებმა. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ამ უკანასკნელის მკვეთრად ნეგატიური გავლენა მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებაზე.

მთლიანობაში, გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში საქართველოში განვითა–რებულმა საყოველთაო-ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა, სოციალურ-კულტურულმა კრი–ზისმა ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაზე დამანგრეველი გავლენა იქონია.

ცხრილი 1

შობადობა, მოკვდაობა და ბუნებრივი მატება საქართველოში 1985–2013 წლებში, ათასი კაცი[1]

	1985	1990	1992	1995	2000	2006	2008	2010	2013
დაიბადა	97.7	92.8	72.6	56.3	48.8	47.8	56.6	62.6	57.9
გარდაიცვალა	46.2	50.7	55.1	49.1	47.4	42.3	43.0	47.9	48.6
ბუნებრივი მატება	51.6	42.1	17.7	7.3	1.4	5.5	13.6	14.7	9.3
იგივე მოსახლეობის 1000 კაცზე									
დაიბადა	18.5	17.1	13.4	11.9	11.0	10.9	12.9	14.1	12.9
გარდაიცვალა	8.7	9.3	10.2	10.4	10.7	9.6	9.8	10.7	10.8
ბუნებრივი მატება	9.8	7.8	3.2	1.5	0.3	1.3	3.1	3.4	2.1

[1] შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოში შობადობის აბსოლუტური მაჩვენებელი 1985–2006 წლებში მუდმივად მცირდებობდა. განსაკუთებული კლება დაბადებულთა რაოდენობაში შეიმჩნევა 1992 წლიდან, ხოლო თავის მინიმალურ დონეს ამ მაჩვენებელმა 2006 წელს მიაღწია და 1985 წლის მხოლოდ 48.9 %–ი შედგინა. დაბადებულთა რიცხოვნობის ზრდას გარკვეულწილად ქონდა ადგილი 2006–2010 წლებში (28.3%), თუმცა შემდგომ 2010–2013 წლებში კვლავ კლება დაფიქსირდა. რაც შეეხება გარდაცვლილთა რაოდენობას, იგი საკვლევი პერიოდის მანძილზე თითქმის სტაბილური. გამონაკლისი იყო 1992 წელი, როცა სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც არა მარტო დემო–გრაფიული, არამედ მძიმე პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობით (სამოქალაქო ომი, ეთნილური კონფლიქტები და უმძიმესი სოციალური მდგომარეობა) იყო გამოწვეული. ცხადია, შობადობისა და გარდაცვალების მაჩვენებლების მსგავსი მიმართულებით ცვლილებამ გავლენა იქონია ბუნებრივი მატების მაჩვენებელზე, რომელიც 1985–2013 წლებში 51.9 ათასიდან 9.3 ათასამდე ანუ 5.5–ჯერ შემცირდა. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბუნებრივი მატების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2000 წლს.

ბუნებრივი მატების მაჩვენებელის თვალსაზრისით, საკვლევი პერიოდი შეიძლება პირობითად ორ პერიოდად დავყოთ; 1985–2000 წლები, როცა ბუნებრივი მატების მაჩვენებელი მუდმივად მცირდებოდა და 2000 წლის შემდომი პერიოდი, როცა შეიმჩნეოდა ზრდის ტენდენცია. თუმცა, 2010–2013 წლებში ეს მაჩვენებელი კვლავ შემცირდა.

საქართველოში შობადობის მდგომარეობის ანალიზისას მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ამ მოვლენის ქალაქი–სოფლის ჭრილში გააანალიზება.

მოგეხსენებათ, რომ სოფლად შობადობის დონე საკმაოდ მაღალი იყო. მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა გასული საუკუნის 90–იანი წლებიდან. კერძოდ, 2006 წელს სოფლად დაბადებულთა რაოდენობამ მინიმალური მაჩვენებელი შეადგინა და 1990 წელთან შედარებით 2.8–ჯერ შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ 2006 წლიდან სოფლად დაბა–დებულთა რიცხვი თანდათანობით იზრდება, მას 1990 წლის დონისთვის ჯერ ვერ მიუღწევია.

ჩვენს მიერ განხილული შობადობისა და სიკვდილიანობის ზოგადი კოეფიციენტები, რომელთა გაანგარიშების ბაზას მთელი მოსახლეობა წარმოაგენს, თავიანთი სიმარტივის გამო ფართოდ გამოიყენება, როგორც სამეცნიერო, ასეე პოპულარულ ლიტერატურაში, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ გვაძლევენ საშუალებას მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ტენდენციების შესახებ საბოოლო დასკვნების გაკეთებისათვის, რადგანაც მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი მოსახლეობის სტრუქტურულ შემადგენლობაზე. განსაკუთრებით, ფერტილური ასაკის ქალთა რადოდენობასა და მათ წილზე მდედრობითი სქესის მოსახლეობის მთელს კონტინგენტში. აღსანიშნავია, რომ 1990–2012 წლებში ფერტილური ასაკის (15–49 წლის ასაკობრივი ჯგუფის) ქალთა რიცხოვნობა საქართველოში 199.9 ათასით ანუ 14.6 %–ით შემცირდა. თუმცა, 2012 წელს ფერტილური ასაკის ქალთა ხვედრითი წილი ქალების საერთო რიცხოვნობაში (49.4 %), 1990 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (47.8 %) გაიზარდა. ასეთი საპირისპირო ტენდენცია ფერტილური ასაკის ქალთა რიცხოვნობასა და ქალთა საერთო რიცხოვნობაში მათი ხვედრითი წილის ცვლილებას შორის გამოწვეული იყო ზოგადად 1990–2012 წლებში ქალთა რაოდენობის 498.6 ათასით შემცირებით

შობადობის მაჩვენებელზე მნშვნელოვან გავლენას ახდენს ქორწინებისა და განქორწილების მაჩვენებელები. მონაცემებიდან ჩანს, რომ საკვლევი პერიოდის მანძილზე აღნიშნული მაჩვენებელები სხვადასხვა მინართულებით იცვლებოდნენ. კერძოდ, 1990–2000 წლებში ეს მაჩვენებელები იკლებდა, ხოლო 2000–2013 წლებში კვლავ ზრდას განიცდიდა. ამასთან, საყურადრებოა ის გარემოება, რომ 2013 წელს ქორწინების მაჩვენებელმა 1990 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 5.8 %–ით დაიკლო, მაშინ როდესაც განქორწინების მაჩვენებელი ამ წლებში პირიქით – 3.8 %–ით გაიზარდა. საკვლევ პერიოდში ქორწინებისა და განქორწინების მაჩვენებელის მინიმალურ დონეს ადგილი ქონდა 2000 წელს.

მართალია ქორწინების მაჩვენებელი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შობადობის მაჩვენებელზე, მაგარამ ბოლო წლებში შეიმჩნევა ქორწინების გარეშე დაბადებულთა გავლენის ზრდა დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში. ასე მაგალითად, 1990–2011 წლებში ქორწინების გარეშე დაბადებულთა რიცხვი 16 %–ით გაიზარდა. ამასთან, აღნიშნული კატეგორიის დაბადებულთა მაქსიმალურ რაოდენობას ადგილი ქონდა 2005–2006 წლებში. აღნიშნული სიტუაციიდან შეიძლება რამდენიმე დასკვნის გამოტანა. პირველი, ბოლო წლებში გაიზარდა ქორწინების რიცხვი ეკლესიაში, როცა წყვილები ჯვრისწერით შემოიფარგლებიან და თუ ეს მხოლოდ ამ მიზეზითაა განპირობებული მაშინ ნაკლებად საგანგაშოა. იმ შემთხვევაში, როცა ქორწინების გარეშე დაბადებულთა რიცხოვნობის ზრდა მარტოხელა დედების რიცხვის ზრდითაა გამოწვეული ეს უკვე საგანგაშოა თუნდაც იმიტომ, რომ როგორც წესი მარტოხელა დედები ერთ ან იშვიათ შემთხვევაში ორზე მეტ შვილს არ აჩენენ, რაც უკიდურესად უარყოფითად აისახება ქვეყნაში მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმზე.

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ტენდენცია შობადობის პროცესში. კერძოდ, საკვლევი პერიოდის მანძილზე საქართველოში ადგილი აქვს დაბა–დებულთა შორის პირველი და მეორე შვილების ხვედრითი წილის ზრდას. რაც შეეხება მესამე, მეოთხე და მეტი შვილების ხვედრით წილს დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში ეს მაჩვენებელი ჯერ კიდევ ჩამორჩება 1990 წლის დონეს. უფრო მე-

ტიც, მხოლოდ, 2008 წლიდან შეიმჩნევა რიგით მე–3, მე–4 და მე–5 შვილების ხვედრითი წილის უმნიშვნელო მატება დაბადებულთა საერთო რიცხოვნებაში. მაშინ, როდესაც ქვეყნის მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოებისათვის გადამწყვეტი მიშვნელობა აქვს სწორედ დაბადე–ბულთა საერთო რიცხოვნებაში მესამე, მეოთხე და მეხუთე შვილების ხვედრითი წილის ზრდას.

საკვლევ პერიოდში ასევე შეიცვალა შობადობის ასაკობრივი სტრუქტურა, რაც ჩვენი აზრით ქვეყანაში მოსახლეობის აღწარმოების სასურველი რეჟიმის ფორმირების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

საკვლევი პერიოდის მანძილზე საქართველოში შობადობის ასაკობრივი კოეფი–ციენტები არათანაბრად იცვლებოდა. კერძოდ, ფერტილური ასაკის 1000 ქალზე შობა–დოების კოეფიციენტი 67.8–დან 49.8–მდე ანუ 26.5 %–ით შემცირდა. კლებას ქონდა ადგილი თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში, გამონაკლისია 30–39 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალები, სადაც შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი უმნიშვნელოდ (2.4%) გაიზარდა. შობადობის დონის შემცირება განსაკუთრებით შესამჩნევია 20–24 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალებისათვის – 33.3 %–ი; ასევე 20 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის ქალებისათვის – 26.3 %–ი. თუმცა, ის ტენდენცია, რომ 20–24 და 25–29 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალებისათვის, შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები ყველაზე მაღალია – შენარჩუნებულია. ასევე, ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ყველაზე მძიმე სიტუაცია ამ მაჩვენებელების მხრივაც შეიმჩნეოდა 2005–2006 წლებში.

საკვლევი პერიოდის მანძილზე შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 21.8 %–ით შემცირდა, ხოლო მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო და ნეტო კოეფიცენტები თავის მინიმალურად მისაღებ ზღვარს, როცა შესაძლებელია მოსახლეობის მარტივი აღწარმოება, დიდი ხანია ჩამოცდნენ. კერძოდ, ნეტო კოეფიციენტმა 2011 წელს 0.793–ი შეადგინა.

მოსახლეობის შობადობის პრობლემებისადმი ჩვენი გაზრდილი ინტერესი იმით აიხსნება, რომ სწორედ შობადობის მდგომარება განაპირობებს მნიშვნელოვანწილად შრომითი რესურსების შევსების შესაძლებლობებს. შრომითი რესურსები მოსახლეობის შემდაგენელი ნაწილია იმ განსხვავებით, რომ მოსახლეობის ქვედა ასაკობრივი ზღვარი ერთ წლამდე ასაკია, ხოლო შრომითი რესურსების ქვედა ასაკობრივი ზღვარი 16 წელია. ამიტომ, იმ შემთხვევაში, როცა ხანგძლივი პერიოდის მანძილზე მოსახლეობის აღწარმოების ტენდენციები სტაბილურია, შრომითი რესურსების აღწარმოების ტენდენციები მას ემთხვევა. ხოლო მაშინ, როცა მოსახლეობის აღწარმოების ტენდენციები ხანგძლივი დროის მანძილზე მყარი არ არის, შრომითი რესურსების აღწარმოების ტენდენციები მას არ ემთხვევა.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ბუნებრივი მატების მაჩვენებელი ქვეყნის ცალკეული რეგიონის მიხედვით მკვეთრად დიფერენცირებულია. ასე მაგალითად, 2013 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მოსახლეობის ბუნებრივი მატების უარყოფითი მაჩვენებელი (ფაქტიურად მოსახლეობის ბუნებრივი კლება) დაფიქსირდა გურიის, იმერეთის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში. მაშინ როდესაც ბუნებრივი მატების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ქვემო ქართლში, შიდა ქართლსა და სამცხე–ჯავახეთში.

ჩვენს ქვეყანაში დემოგრაფიული განვითარების პროგნოზის გაკეთება მოცემული სტატიის ფორმატს სცილდება, მაგრამ თუ უახლოეს ათწლეულებში მდგომარეობა მკვეთრად არ შეიცვალა საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოებას დიდი საშიშროება ელოდება.

ამგვარად, ბოლო პერიოდში საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შედეგები მეტად საგანგაშოა და მიგვაჩნია, რომ ისინი მომავალში აუცილებლად იქონიებს გავლენას ქვეყნაში სამუშაო ძალის მიწოდების მასშტაბებზე და ზოგადად შრომის ბაზრის ბაზრის ფორმირებაზე. ასევე, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, რომლის ნიშნები უკვე სახეზეა, რაც გამოიხატება შრომითი ასაკის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებაზე. (იხილეთ ცხრილი 6).

მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოში 1990–2012 წლებში შრომითი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა 12.6 %-ით, მათ შორის ამავე ასაკობრივი ჯგუფის კაცების – 12.5, ხოლო ქალების – 12.7 %–ით შემცირდა. აღნიშნული კატეგორიის ადამიანები ქვეყნის სამუშაო ძალის ძირითად კონტინგენტს წარმოადგენენ, რომლებიც აყალიბებენ კიდეც ძირითადად შრომის მიწოდების სიდიდეს შრომის ბაზარზე. ეკონომიკური კრიზისისა და პენსიის მინიმალური დონის პირობებში შრომის ბაზარზე, განსაკუთრებით კერძო სექტორში, შრომის მიწოდების სიდიდის ზრდაზე გავლენას ახდენენ საპენსიო ასაკის ადამიანები, რომელთა რიცხვი საკვლევ პერიოდში ქვეყანაში 11.2 %–ით გაიზარდა.

ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი, რაზეც გვსურს ყურადღების გამახვილება და რომელიც გადამწყვეტ როლს შეასრულებს ქვეყნის შრომის ბაზრის ფორმირებაში და სამუშაო ძალის მიწოდების მასშტაბების ფორმირებაში, გახლავთ შრომისუნარიან ასაკზე უმცროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა. სწორედ აქ იჩენს თავს ქვეყანაში შობადობის პროცესში არსებული უკიდურესად ნეგატიური ტენდენცია. კერძოდ, საქართველოში 1990–20012 წლებში შრომითი ასაკის უმცროსი მოსახლეობის რიცხოვნობა თითქმის განახევრდა. კლების მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ქალებში. ეს არსებითადაა განპირობებული დაბადებულებთა შორის გოგონების რაოდენობის

ცხრილი 2

მოსახლეობის განაწილება სქესისა და ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით საქართველოში[1]

	1990	1995	2000	2006	2008	2010	2012
მოსახლეობა – სულ მ.შ	**5 424.4**	**4 794.2**	**4 435.2**	**4 401.3**	**4 382.1**	**4 436.4**	**4497.6**
შრომისუნარიან ასაკზე უმ-ცროსი	1 328.9	1 089.9	943.5	809.9	755.0	756.5	761.1
შრომისუნარიანი ასაკის	3429.1	3031.2	2793.4	2875.3	2902.2	2951.7	2995.2
შრომისუნარიან ასაკზე უფ-როსი	666.4	673.1	698.3	716.1	724.9	728.2	741.3
მამაკაცები – სულ მ.შ	**2 572.0**	**2 267.7**	**2 092.8**	**2 083.9**	**2 078.4**	**2 108.9**	**2143.8**
შრომისუნარიან ასაკზე უმ-ცროსი	677.7	558.0	484.6	420.7	395.6	398.7	401.3
შრომისუნარიანი ასაკის	1 726.6	1 521.4	1 397.7	418.9	1 436.4	1 475.0	1509.8
შრომისუნარიან ასაკზე უფ-როსი	167.7	188.3	210.5	244.3	246.4	235.2	232.7
ქალები მ.შ	**2 852.4**	**2 526.5**	**2 342.4**	**2 317.4**	**2 303.7**	**2 327.5**	**2353.8**
შრომისუნარიან ასაკზე უმ-ცროსი	651.2	531.9	458.9	389.2	359.4	357.8	359.8
შრომისუნარიანი ასაკის	1702.5	1509.8	1395.7	1456.4	1465.8	1476.7	1485.4
შრომისუნარიან ასაკზე უფ-როსი	498.7	484.8	487.8	471.8	478.5	493	508.6

შემცირებით. კერძოდ, 1990–2013 წლებში დაბადებულ გოგონათა რიცხვი 38.2 %–ით შემცირდა. ეს მით უფრო საგანგაშოა, რომ სწორედ მათზეა დამოკიდებული საზოგადოებაში არა მარტო საწარმოო ფუნქციის, არამედ გამრავლების ფუნქციის შესრულება.

მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების არსებული ტენდენციების გავლენა ქვეყანაში შრომის ბაზრის ფორმირებაზე, ამჟამად შეიძლება იმდენად მწვავედ არ იგრძნობოდეს, მაგრამ მაშინ, როდესაც შრომით ასაკში შევლენ 2000 წელსა და შემდგომ პერიოდში დაბადებულები, რომელთა რიცხვიც ბევრად ნაკლები იქნება ხოლო საპენსიო ასაკში გამსვლელთა რიცხვთან შედარებით, შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდების მასშტაბები მკვეთრად შემცირდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ.თორია, შრომის ბაზარი: დასაქმება და უმუშევრობა (თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები), უნივერსალი", თბ. 2006;

2. მ.თორია, დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები და შრომის ბაზრის ფორმირება საქართველოში, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის შრომების კრებული #2, გვ. 76–80, 2012

3. მ.თორია, „შრომის ბაზრის ფორმირება გარდამავალ პერიოდში", ჟ. „სოციალური ეკონომიკა“ #& გვ. 110–118, 2007 წ.

4. წულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., ვადაჭკორია ა. საართველოს დემოგრაფიული წელიწდეული 2001. თბილისი, 2002.

5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები;

[1] შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

მამუკა თორია

შრომის ბაზრის ფორმირების დემოგრაფიული საფუძვლები საქართველოში

რეზიუმე

შრომისა ბაზრის ფორმირების პროცესის შეფასებისა და მომავალში მისი პროგნო–ზირებისათვის აუცილებელია ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების ტენდენციების ანალიზი.

ბოლო პერიოდში საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შედეგები მეტად საგანგაშოა და მიგვაჩნია, რომ ისინი მომავალში აუცილებლად იქონიებს გავლენას ქვეყნაში სამუშაო ძალის მიწოდების მასშტაბებზე და ზოგადად შრომის ბაზრის ბაზრის ფორმირებაზე.

ქვეყნის შრომის ბაზრის ფორმირებაში და სამუშაო ძალის მიწოდების მასშტაბების ფორმირებაში გადამწყვეტ როლს შეასრულებს შრომისუნარიან ასაკზე უმცროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა. სწორედ აქ იჩენენ თავს ქვეყანაში შობადობის პროცესში არსებული უკიდურესად ნეგატიური ტენდენციები.

Mamuka Toria

DEMOGRAPHIC FOUNDATIONS OF LABOR MARKET FORMATION IN GEORGIA

Summary

In order to form labor market and for its future forecast, it is necessary to analyse demographic development trends of our country.

Recent results of population natural movement are alarming in Georgia, and we think, that in future they will influence the scope of workforce supply in the country and generally on formation of labor market.

A significant role in forming of labor market and workforce supply scope forming will have dynamics of younger age population number on working age. It is here, where extremely negative trends of the birth process in the country resurface.

მანანა მარიდაშვილი

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ცხოვრების ხარისხის მაჩვენებლები ევროკავშირის ქვეყნებისა და საქართველოს მაგალითზე

მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე ზრუნვა ყოველთვის წარმოადგენდა ევროპის სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებას. თუმცა, ისეთი თანამედროვე გამოწვევები, რომელთაა წარმოშობის მიზეზებია: დასაქმების დაბალი განაკვეთები, მოსახლეობის დაბერება, შეცვლილი ოჯახური სტრუქტურები და სოციალური გარიყულობა, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ცხოვრების ხარისხის საკითხებს.

ევროფონდის კვლევები, რომლებიც ცხოვრების ხარისხის ინდიკატორებს შეისწავლის, მოწოდებულია, რათა გააუმჯობესოს პოლიტიკა, რომელიც ცხოვრების სტანდარტების ამაღლებისა და სოციალური ინტეგრაციისკენ არის მიმართული ზუსტად ამ კონკრეტული გამოწვევების ჭრილში. ცხოვრებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების ევროპული ფონდი (The European Foundation for the Improvement of Living and Working Conditions (Eurofound)) არის ევროკავშირის სააგენტო, რომელიც ფოკუსირებულია კვლევების მართვაზე, ინფორმაციის შეგროვებასა და მისი დასკვნების მოსახლეობისათვის გაცნობაზე. იგი დაარსდა 1975 წლის მაისში, ევროპის საბჭოს მიერ, რათა დაეხმაროს საცხოვრებელი და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ევროპის მასშტაბით. ევროფონდი არის ერთ-ერთი პირველი ორგანო, რომელიც ევროკავშირის პოლიტიკის ფარგლებში შეიქმნა. მისი სათაო ოფისი მდებარეობს დუბლინში (ირლანდია).

ევროფონდის მდიდარი მონაცემები იძლევა ევროპის მოქალაქეთა ცხოვრების დონის დეტალურ სურათს, აგრეთვე გვიჩვენებს, თუ როგორ აღიქვამენ ევროპელები თავიანთ ცხოვრებას, ოჯახებსა და საზოგადოებას, თუ ცხოვრების ხარისხის გამოწვევების ფონზე რომელი ფაქტორები განაპირობებენ მათ წარმატებებს.

ცხოვრების ხარისხის ევროპული სერვეი

ცხოვრების ხარისხის ევროპული სერვეი (European Quality of Life Surveys (EQLS)). ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება. ეს არის უნიკალური კვლევა, რომელიც მოიცავს სრულიად ევროპას. იკვლევს როგორც ევროპის მოქალაქეთა ცხოვრების ობიექტურ გარემოებებს, ასევე იმას, თუ როგორ გრძნობენ ისინი თავს ამ ვითარებაში. იგი სწავლობს მთელი რიგი საკითხებს, როგორიცაა დასაქმება, შემოსავალი, განათლების, საცხოვრებელი, ოჯახის, ჯანმრთელობისა და სამუშაო ცხოვრების ბალანსი. იგი ასევე იკვლევს ისეთ სუბიექტურ თემებს, როგორიცაა ადამიანების ბედნიერების დონე, რამდენად კმაყოფილნი არიან ისინი თავიანთი ცხოვრებით, და როგორ აღიქვამენ ისინი თავიანთი საზოგადოების ხარისხს .წლების განმავლობაში, ამ კვლევების საუფძველზე შემუშავდა ღირებული მაჩვენებლები, რომელიც ავსებს ტრადიციული ეკონომიკის ზრდისა და ცხოვრების სტანდარტის მაჩვენებლებს, როგორიცაა, მაგალითად, მშპ და შემოსავალი. ცხოვრების ხარისხის მაჩვენებლები ისეთივე ნათელი და თვალსაჩინოა, როგორც მშპ, თუმცა ისინი უფრო მეტად არიან ჩართული პროგრესის გარემო და სოციალური ასპექტებში და ამიტომ უფრო ადვილად ინტეგრირდებიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში როგორც ევროკავშირის, ასევე მისი წევრი ქვეყნების ეროვნულ დონეზე.

ცხოვრების ხარისხის ევროპული სერვეი (European Quality of Life Surveys (EQLS)) პირველად ჩატარდა 2003 წელს - 28 ქვეყანაში. ეს ქვეყნებია: ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფო და თურქეთი.მეორე ევროპული სერვეი (EQLS) - 2007-2008 წლებში ჩატარდა 31 ქვეყანაში. ეს ქვეყნებია: ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფო, ხორვატია, მაკედონია და თურქეთი და ნორვეგია.მესამე ევროპული სერვეი (EQLS) - 2011-2012 წლებში ჩატარდა 34 ქვეყანაში. ეს ქვეყნებია: ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფო და ხორვატია, ისლანდია, მაკედონია, მონტენეგრო, სერბეთი, თურქეთი და კოსოვო.გარდა ამისა, მთელი რიგი კითხვები ცხოვრების ხარისხის მეორე ევროპული სერვეი-დან 2009 წელს დაისვა ევრობარომეტრის (Eurobarometer) კვლევაში, რომელიც მიეძღვნა ცხოვრების ხარისხის ტენდენციების შესწავლას.

ამ სერვეის ფარგლებში შეისწავლება ცხოვრების ხარისხის შემდეგი განზომილებები:

1. ცხოვრების მატერიალური პირობები
2. ძირითადი ან პროდუქტიული საქმიანობა
3. ჯანმრთელობა
4. განათლება
5. დასვენება და სოციალური ურთიერთობა
6. ეკონომიკური და ფიზიკური უსაფრთხოება
7. მმართველობა და ძირითადი უფლებები
8. ბუნებრივი და საცხოვრებელი გარემო

9. ცხოვრების საერთო გამოცდილება

ჯანმრთელობა ცხოვრების ხარისხის კონტექსტში

ჩვენს სტატიაში ძირითადად ყურადღება გავამახვილეთ მესამე განზომილებაზე ე.წ. „8 + 1“ ცხოვრების ხარისხის მაჩვენებლების ფარგლებში. ეს არის ჯანმრთელობა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება არა მხოლოდ აუარესებს ადამიანის ცხოვრების ხარისხს, არამედ მას ზოგჯერ შეუძლია შეამციროს ცხოვრების ხანგრძლივობაც კი. კრებით დონეზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ხელს უშლის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, საზოგადოებაში არსებული ადამიანური კაპიტალის შემცირების გზით. ამდენად, ხანგრძლივი და ჯანმრთელი ცხოვრება არ არის მხოლოდ მნიშვნელოვანი პირადი მიზანი, არამედ აგრეთვე იგი არის საზოგადოების სოციალური კეთილდღეობისა და წარმატების მაჩვენებელი.ჯანდაცვის დანახარჯების წარმოადგენს სახელმწიფო და კერძო დანახარჯების მნიშვნელოვან ნაწილს ევროპაში. მისი ეფექტურობა იზომება ჯანდაცვის მაჩვენებლების ისეთი კომბინაციით, როგორიცაა, ობიექტური მაჩვენებლები: **სიცოცხლის ხანგრძლივობა და ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა** და სუბიექტური მაჩვენებლები, როგორიცაა **ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა და ჯანმრთელობის მდგომარეობის თვითაღქმა.** ეს ჩარჩო ასევე მოიცავს ჯანმრთელობის რისკის ფაქტორებს, როგორიცაა **მოწევა ან სხვა მავნე ქცევა,** რომელსაც მომავალში სავარაუდოდ გავლენა ექნება საზოგადოების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.

ჯანსაღი ცხოვრების წლების მაჩვენებელი. „სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა ცხოვრების ხარისხის გარეშე არის ცარიელი პრიზი. ჯანმრთელობის ხანგრძლივობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიცოცხლის.“- ეს სიტყვები ეკუთვნის დოქტორ ჰიროში ნაკაჯიმას (*Dr Hiroshi Nakajima)*, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (W.H.O) გენერალური დირექტორს, 1997წ.ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული ახალი სტრუქტურული მაჩვენებელი – **ჯანსაღი ცხოვრების წლების მაჩვენებელი (The Healthy Life Years (HLY) indicator**) არის შეზღუდული შესაძლებლობისაგან თავისუფალი სიცოცხლის ხანგრძლივობა. ის ეფუძნება შეზღუდვებს ყოველდღიურ საქმიანობაში და ამიტომ ზომავს იმ დარჩენილი წლების რაოდენობას, რომელიც მოსალოდნელია რომ იცხოვროს კონკრეტული ასაკის პირმა შეზრუდული შესაძლებლობების გარეშე.

ავადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლების შემცირების შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი ინდიკატორები:

- სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას
- ჩვილ ბავშვთა, 5 წლამდე ასაკის ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობა
- ინციდენტობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები 100 000 სულ მოსახლეზე

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას ასახავს ადამიანის მოსალოდნელი სიცოცხლის წლების რაოდენობას, აფასებს მოსახლეობის ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობას და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ–ერთ ძირითად ინდიკატორს წარმოადგენს. საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო ომებისა და ეკონომიკური კრიზის გამო სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა 90–იან წლებში საგრძნობლად შემცირდა, თუმცა 1995 წლიდან კვლავ დაიწყო მატების ტენდენცია და 2007 წელს დაფიქსირდა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 75.1 წელი. 2008 წელს, რუსეთის მიერ ინსპირირებული საომარი კონფლიქტისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად, კვლავ აღინიშნა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის უმნიშვნელო კლება, თუმცა 2010 წლიდან ისევ დაიწყო ამ მაჩვენებლის ზრდა და 2011 წელს 74.5 წელი შეადგინა (ნახ. 1 და ნახ. 2). ქვეყანაში საკმაოდ მაღალი განსხვავებაა ქალებისა და მამაკაცების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას შორის (საშუალოდ 7-8 წელი). საქართველოს მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა თითქმის ანალოგიურია ევროპის რეგიონის ქვეყნების საშუალო მაჩვენებლისა (76,3 წელი), თუმცა ნაკლებია ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე (79,8 წელი) და საგრძნობლად აღემატება დსთ-ის ქვეყნების საშაულო მაჩვენებელს (69,5 წელი)(წყარო ჯანმო/ევროპის ბიურო, ევროპის ჯანმრთელობა ყველასათვის მონაცემთა ბაზა, 2012 წლის მაისი)

ნახ. 1: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაბადებისას



წყარო: WHO HFADB & NCDC Georgia

ნახ.2: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაბადებისას ევროპის რეგიონის ზოგიერთ ქვეყანაში, 2010



წყარო: ჯანმო/ევროპის ბიურო, ევროპის ჯანმრთელობა ყველასათვის მონაცემთა ბაზა, 2012 წლის მაისი

დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლები. ჯანდაცვის სისტემის და ზოგადად ქვეყნის განვითარების დონეს განსაზღვრავს ***დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის*** მაჩვენებლები. საქართველოში უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ჯანდაცვის სექტორში გატარებული რეფორმების შედეგად საყურადღებო პროგრესი შეინიშნება დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების თვალსაზრისით. ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის დონე აღნიშნულ პერიოდში თითქმის ორჯერ შემცირდა (ნახ. 4). საქართველოში ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა მაღალია ევროპის განვითარებული ქვეყნების მაჩვენებელთან შედარებით. ევროპის განვითარებულ ქვეყნებში საშუალოდ მხოლოდ 4-5 ბავშვი იღუპება წლის განმავლობაში (ნახ.5). (ნახ. 4). აღნიშნული მაჩვენებლების შედარება ევროპის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან ცხადყოფს, რომ საქართველოში 5 წლამდე ასაკის ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობა ანალოგიურია ევროპის ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებისა, თუმცა მაღალია ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებზე (ნახ.4).

ნახ. 3: ჩვილ ბავშვთა, 5 წლამდე ასაკის ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობა და ათასწლეულის განვითარების მიზნები



წყარო: დკ&სჯეც

ნახ.4: ჩვილ ბავშვთა, 5 წლამდე ასაკის ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, 2010



	სომხეთი	აზერბაიჯანი	ესტონეთი	საქართველო	ყირგიზეთი	ნიდერლანდები	მოლდოვა	შვედეთი	ევროპა	ევროკავშირი
ჩვილ ბავშვთა	18	39	4	12	33	4	16	2	11	5
5 წლამდე ბავშვთა	20	46	5	13.4	38	4	19	3	14	4.1
დედათა	30	43	2	19.4	71	6	41	4	20	5.4

წყარო: დკ&სჯეც

თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარება

მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობის ძირითადი რისკ-ფაქტორების შემაფასებელ ინდიკატორებზე ქვეყანაში მონაცემები რეგულარულად არ იკრიბება, თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა წყაროდან იქნა მოპოვებული, რათა წარმოგვედგინა ცხოვრების სტილთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების მავნე ზეგავლენის მასშტაბები ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და შეგვედარებინა იგი საერთაშორისო მონაცემებთან.

თამბაქოს მოხმარება. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ 2010 წელს ჩატარებული არაგადამდებ დაავადებათა რისკ–ფაქტორების კვლევის შედეგებით, თამბაქოს რომელიმე პროდუქტის მოხმარება აღინიშნებოდა მოსახლეობის 30,3%-ში (მამაკაცების 55.5% და ქალების 4.8%). ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით თამბაქოს მოხმარების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი 25-44 წლის ასაკობრივ (36,1%), ხოლო ყველაზე დაბალი 55-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში იყო (ნახ. 5).

ნახ. 5 თამბაქოს მოხმარება საქართველოში



წყარო: „არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა“, დკ&სდკ, 2010.

ნახ. 6 თამბაქოს მოხმარება სხვადასხვა ქვეყანაში



წყარო: ჯანმრთელობის მსოფლიო სტატისტიკა 2012, ჯანმო

ალკოჰოლის მოხმარება. „არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევის“ მონაცემებით, ალკოჰოლის მოხმარების გავრცელება საკმაოდ მაღალი იყო საქართველოში და 78,5%-ს შეადგენდა. სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, 18-24 წლის ასაკის პირებში ძალზე მაღალი იყო ალკოჰოლის მოხმარება (ნახ. 9.3). ჯანმოს მონაცემებით, ალკოჰოლის მოხმარების დონე არ ითვლება პრობლემატურად საქართველოში. მოსახლეობის მიერ ერთ სულზე ალკოჰოლის მოხმარების დონე (6 ლიტრი ერთ სულზე) უფრო ნაკლებია ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნებში (ნახ. 9.4).

ნარკოტიკების მოხმარება. ნარკომანიის გავრცელება საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვან პრობლემად ითვლება საქართველოში, იმდენად რამდენადაც ნარკოტიკების მომხმარებელთა და ნარკოტიკებზე დამოკიდებულ პირთა შესახებ მონაცემების კოორდინირებული რეგისტრირებისა და ანალიზის არარსებობის გამო, დღეს ქვეყანას არ გააჩნია ნარკოტიკების მომხმარებელთა და ნარკოტიკზე დამოკიდებულ პირთა რაოდენობის შესახებ სტატისტიკურად სარწმუნო მაჩვენებლები. საქართველოში დაახლოებით 40000 ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელია, ანუ 15-დან 64 წლამდე ასაკის მოსახლეობის 1,5%.

ნახ. 7 ნარკოტიკების მოხმარება საქართველოში



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

ჭარბი წონა და სიმსუქნე

ჭარბი წონა და სიმსუქნე წარმოადგენს მთელი რიგი ქრონიკული დაავადებების რისკ-ფაქტორს როგორიცაა დიაბეტი, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, სიმსივნეები და იგი აღარაა მხოლოდ მაღალ-განვითარებული ქვეყნების პრობლემა. „არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევის“ მონაცემებით, საქართველოში რესპოდენტთა 31.4%–ს (მამაკაცთა 36.8% და ქალთა 25.7%) ჭარბი წონა აღენიშნებოდა, ხოლო 25.1% (მამაკაცთა 21.8% და ქალთა 28.5%) იყო მსუქანი (ნახ. 9.16). ჭარბი წონის პრობლემა რეგიონებს შორის ყველაზე გავრცელებულიქ იმერეთში (65.3%), მას მოსდევს შიდა ქართლი, გურია და მცხეთა-მთიანეთი (დაახლოებით 60%), ხოლო ყველა დანარჩენ რეგიონში მისი გავრცელება 50.8-54.5%-ის ფარგლებშია. თბილისში მომატებული წონის გავრცელება ერთ-ერთი ყველაზე დაბალია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://www.ncdc.ge/ ჯანმრთელობის დაცვა, საქართველო 2013. სტატისტიკური ცნობარი. თბილისი, 2014

2. სამედიცინო მედიაციის სამსახური. სტატისტიკური ინფორმაცია. http://www.nbg.gov.ge/index.php?m=489

3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ჯანმოს ევროპის ბიურო. საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასება 20013. თბილისი, 2014.

4. 1.http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Quality_of_life_indicators_-_health

5.. WHO. World Health Statistics 2013. Geneva. 2013. http://www.who.int/gho/publications/world_health_statistics/2012/en/index.html

6. WHO/Euro. European Health for All Database. http://www.euro.who.int/en/what-we-do/data-and-evidence/databases/european-health-for-all-database-hfa-db2

7. WHO/EURO. Health System Performance Assessment – A Tool for Health Governance in the 21th Century. 2013

მანანა მარიდაშვილი

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ცხოვრების ხარისხის მაჩვენებლები ევროკავშირის ქვეყნებისა და საქართველოს მაგალითზე

რეზიუმე

მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე ზრუნვა წარმოადგენს ევროპის სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებას. ამ სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ევროკავშირის ქვეყნებში აპრობირებულ ე.წ. „8 + 1“ ცხოვრების ხარისხის მაჩვენებლების ფარგლებში მესამე განზომილებაზე, ჯანმრთელობაზე და მასთან დაკავშირებულ ცხოვრების ხარისხის ისეთი მაჩვენებლების კვლევაზე, როგორიცაა სიცოცხლის ხანგრძლივობა, ჯანსაღი ცხოვრების წლების მაჩვენებელი, ჩვილ ბავშვთა, 5 წლამდე ასაკის ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობა და სხვ. ევროკავშირის ქვეყნებისა და საქართველოს მაგალითზე.

Manana Maridashvili

HEALTH-RELATED LIFE QUALITY INDICATORS BASED ON THE EEXAMPLES OF EUROPEAN UNION COUNTRIES AND GEORGIA

Summary

Quality of life has always been a key priority of European social policy. The presented article focuses on the third dimension of the ‘'8+1“quality of life indicators framework, **health** and research of health related quality of life indicators, such as life expectancy, number of healthy life years, infant mortality rates, mortality rates of child under the age of 5 and mothers’ mortality and so forth, based on the examples of European Union countries and Georgia.

მანანა მარიდაშვილი

ფარმაცევტული ბიზნესის მარკეტინგული კვლევის მეთოდოლოგია

ფარმაცევტული ბიზნესის ანალიტიკური კვლევა არის მარკეტინგული კვლევის სახე, რომელიც ეფუძნება მეორად ინფორმაციას (მონაცემთა ბაზები, დოკუმენტები, ექსპერტული მონაცემები) და რომელიც ხორციელდება ფარმაცევტული ორგანიზაციების სტრატეგიული მარკეტინგული დაგეგმვის ამოცანების გადაწყვეტის მიზნით. კვლევის მეთოდოლოგია შეიძლება განვიხილოთ როგორც ცოდნის სისტემა; ის აერთიანებს კვლევის ობიექტსა და საგანზე თეორიულ მსჯელობას, კვლევის მეთოდებსა და საშუალებებს (მათ თეორიული და პრაქტიკული ასპექტებს), ასევე ორგანიზაციის შემეცნებითი საქმიანობის პრინციპებს, რომელიც ჩვენ წარმოვადგინეთ შემდეგი სქემის სახით (იხ. სქემა 1):

სქემა 1. ფარმაცევტული ბიზნესის ანალიტიკური კვლევის მეთოდოლოგიის კონცეფცია



ფარმაცევტული ბიზნესის ანალიტიკური კვლევის კონცეპტუალური მეთოდიკის საფუძველია ეკონომიკური თეორია, მარკეტინგის თეორიული ასპექტები, ფარმაცია და ფარმაკოლოგია, მარკეტინგული კვლევის მეთოდოლოგიები, ასევე ფარმაცევტული ბიზნესის რეალურად ჩატარებული კვლევები.

სქემა 2. ფარმაცევტული ბიზნესის ანალიტიკური კვლევის მართვის სისტემა





სქემა 3. ფარმაცევტული ბიზნესის ანალიტიკური კვლევის მეთოდოლოგიის სქემა

მეორადი ინფორმაციის სახეები და წყაროები

ფარმაცევტული ბიზნესის ანალიტიკური კვლევის ჩატარების ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა სპეციფიკური ინფორმაციული რესურსების გამოყენება. ამიტომ ამ რესურსების სისტემატიზაცია ერთ-ერთი აქტუალური მეთოდოლოგიური ამოცანაა. გთავაზობთ მეორადი ინფორმაციის სახეებსა და წყაროებს, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება ფარმაცევტული ბიზნესის ანალიტიკურ კვლევებში, აგრეთვე ჩვენს მიერ მოცემულია მათი კლასიფიკაცია (იხ. სქემა 4).

სქემა 4. მეორადი ინფორმაციის სახეები, რომლებიც გამოიყენება ფარმაცევტული ბიზნესის ანალიტიკურ კვლევებში



მეორადი ინფორმაცია იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

- საერთო და დარგობრივი კანონმდებლობა,
- სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკური, სამედიცინო და დარგობრივი სტატისტიკა;
- ჯანდაცვის დაფინანსების მაჩვენებლები;
- მონაცემები სამკურნალო საშუალებების სახელმწიფო რეგისტრაციისა და ფარმაკო თერაპიული ინფორმაციის შესახებ;
- ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ;
- საცალო და ჰოსპიტალური აუდიტის შედეგები;
- ინფორმაცია ფარმაცევტული პროდუქციის ფასებისა და შეთავაზებების შესახებ
- ინფორმაცია საბოლოო მომხმარებლის, ექიმებისა და ფარმაცევტების სამიზნე აუდიტორიის შესახებ
- ინფორმაცია მედია საშუალებების აუდიტორიის, რეკლამების სიხშირისა და ღირებულების შესახებ მედია საშუალებებში და პროფესიულ ბეჭდვით წყაროებში.

მეორადი ინფორმაციის წყაროები იყოფა ოთხ ძირითად ჯგუფად (იხ.სქემა 5):

1. ოფიცილური სახელმწიფო წყაროები
2. ფარმაცევტული ინფორმაციის სპეციალიზირებული წყაროები
3. სოციალ-ეკონომიკური და ბიზნეს ინფორმაციების საერთო წყაროები;
4. ფარმაცევტული ბაზრის მონაწილეთა წყაროები.

მეორადი ინფორმაციის სპეციალიზირებულ წყაროებს მიეკუთვნება:

- პროფესიული ფარმაცევტული პერიოდული გამოცემები, პორტალები და საიტები
- სამკურნალო საშუალებების ცნობარები და მონაცემთა ბაზები
- პროფესიული ასოციაციები
- კვლევითი კომპანიები

მეორადი ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ მარკეტინგული კვლევითი კომპანიები, რომლებიც გვაწვდიან ინფორმაციას მათ მიერ ჩატარებული კვლევების შესახებ ანალიტიკური ანგარიშების, სპეციალური ბიულეტენებისა და მონაცემთა ბაზების სახით.

სქემა 5. ფარმაცევტული ბიზნესის ანალიტიკურ კვლევაში გამოყენებული მეორადი ინფორმაციის წყაროების ძირითადი ჯგუფები



მაკროეკონომიკური ფაქტორებისა და დარგობრივი ფაქტორების ანალიზი ფარმაცევტულ ბიზნესში

ფარმაცევტული ბიზნესის განვითარებასა და სამკურნალო საშუალებების მოცულობასა და მოთხოვნის დინამიკაზე მოქმედი მაკროეკონომიკური ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორები:

- დემოგრაფიული ფაქტორები
- ავადობა
- მოსახლეობის გადახდისუნარიანობა
- ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების დონე
- საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის სახსრები
- ბიუჯეტიდან სამკურნალო საშუალებების შეძენაზე დახარჯული თანხების დონე
- ინფლაცია

ისეთი დემოგრაფიული ფაქტორები, როგორიცაა მოსახლეობის რაოდენობა, შობადობა-სიკვდილიანობის დონე, განსახლება, სქესობრივი და ასკობრივი სტრუქტურა, სოციალური შემადგენლობა ტერიტორიული სამომხმარებლო ბაზრების მნიშვნელოვანი მახასიათებლებია. ფარმაცევტულ ბაზრის ანალიზისათვის ასევე ფრიად მნიშვნელოვანია სპეციფიკური სოციალური ფაქტორი- ავადობა. ავადობის მაჩვენებლები, რომლებიც იყოფა დაავადებათა სახეობის, კლასებისა და ჯგუფების მიხედვით, განაპირობებნ ბაზრის აბსოლუტურ პოტენციალს და სამკურნალო საშუალებებზე ობიექტურ მოთხოვნას.

ფარმაცევტულ ბაზარზე პოტენციურ და რეალურ მოთხოვნას განსაზღვრავს არა მარტო მედიკამენტებზე ობიექტური მოთხოვნა, არამედ მოსახლეობის გადახდისუნარიანობა და აგრეთვე დაფინანსების დონე სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების მთავარი მაჩვენებელი, რომელიც მაკროეკონომიკურ ანალიზში გამოიყენება, არის მოსახლეობის რეალური შემოსავლის დინამიკა. გადახდისუნარიანობის შესაფასებლად აგრეთვე მნიშვნელოვანია საოჯახო მეურნეობების საბოლოო მოხმარების დონე და სტრუქტურა.

ინფლაციური პროცესების შეფასება საშუალებას გვაძლევს არა მარტო გავითვალისწინოთ ფასების ზრდის გავლენა ფარმაცევტული პროდუქტის მოთხოვნის წარმოქმნაზე, არამედ შევადაროთ მედიკამენტების ფასების დინამიკა ეკონომიკაში ფასების საერთო ზრდის დინამიკასთან.

ფარმაცევტული ბიზნესის ანალიტიკური კვლევის ეტაპები.

ფარმაცევტული ბიზნესის ანალიტიკური კვლევა მოიცავს ოთხ ძირითად ეტაპს .

პირველი ეტაპი: მიზნობრივი ბაზრების განსაზღვრა და სეგმენტაცია, მათ შორის პროდუქციის მიხედვით სეგმენტაცია. პირველი ეტაპის ამოცანებია:

- მიზნობრივი ბაზრების განსაზღვრა და მათი სეგმენტაცია;
- აქტუალობის განსაზღვრა იმ სამედიცინო პრობლემისა, რომელიც ქმნის მიზნობრივ ბაზარს ;
- *მიზნობრივი ბაზრებისა და მისი სეგმენტების დახასიათება*;
- ფარმაკოთერაპიის მიმართულებების შესწავლა;
- დარეგისტრირებული კონკურენტული პრეპარატების განსაზღვრა;
- მკურნალობის სქემის ანალიზი.

მეორე ეტაპი: მიზნობრივი ბაზრებისა და სეგმენტების ანალიზი (მეორადი ინფორმაციის საფუძველზე), ასევე მაკროეკონომიკური ფაქტორებისა და დარგობრივი ფაქტორების ანალიზი და მათი გავლენა მიზნობრივ ბაზრებზე; მეორე ეტაპის ამოცანებია:

- მაკროეკონომიკური ფაქტორებისა და დარგობრივი ფაქტორების ანალიზი;
- მიზნობრივი ბაზრებისა და მისი სეგმენტების მახასიათებლების ანალიზი;
- ბაზრის ზომის, დინამიკის და სტრუქტურის შეფასება
- საფასო დინამიკის ანალიზი
- რეკლამისა და პრომოციის ანალიზი

მესამე ეტაპი: ფარმაცევტული ბიზნესის განვითარების მდგომარეობისა და პერსპექტივების ინტეგრირებული შეფასება; მესამე ეტაპის ამოცანებია:

ბაზრების განვითარების მდგომარეობისა და პერსპექტივის ინტეგრირებული შეფასება; კონკურენციის განვითარების მდგომარეობა და ანალიზი

- ბაზრის განვითარების სტადიის დადგენა
- მიზნობრივი ბაზრისა და მისი სეგმენტების განვითარების პროგნოზი

მეოთხე ეტაპი: ბიზნესის განვითარების სტრატეგიის შემუშავება. მეოთხე ეტაპის ამოცანებია:

- *კომპანიისა და მისი პროდუქციის პოზიციების პროგნოზი მიზნობრივ ბაზარზე*
- სტრატეგიისა და რეკომენდაციების შემუშავება

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Alvin Burns and Ronald Bush Marketing Research, 6/E, 2010, Prentice Hall
2. Kotler p. Marketng Management“ by Philip Kotler, 8th edition.
3. ჯანდაცვის ნაციონალური ინსტიტუტის მოხსენება, NIHCM(National Institute for Health Care Management), 2006
4. საქართველოს კანონი წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ, 1997წ. №1139-167გვ
5. Waldman and Jensen, Is Europe laggard in pharmaceuticals, 2011

მანანა მარიდაშვილი

ფარმაცევტული ბიზნესის მარკეტინგული კვლევის მეთოდოლოგია

რეზიუმე

სტატიაში ჩამოყალიბებულია ფარმაცევტული ბიზნესის ანალიტიკური კვლევის მეთოდოლოგიის კონცეფცია, სადაც გამოყოფილია ფარმაცევტული ბიზნესის ანალიტიკური კვლევა, როგორც მარკეტინგული კვლევის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც ეფუძნება მეორად ინფორმაციას. გამოყოფილია ფარმაცევტული ბიზნესის ანალიტიკური კვლევის ეტაპები.

სისტემატიზირებულია ფარმაცევტული ბიზნესის შესწავლაში გამოყენებული ინფორმაციული რესურსები. შემუშავებულია მაკროეკონომიკური და დარგობრივი ფაქტორების ანალიზის საფუძვლები.

Manana Maridashvili

Marketing Research Methodology of Pharmaceutical Business

Summary

The article deals with the concept of the pharmaceutical business analytical research methodology, which is separated from the analytical study of the pharmaceutical business as one of the types of marketing research, which is based on secondary information. The author classifies pharmaceutical business analytical research stages.

The work is the systematization of information resources used in the pharmaceutical business. The author develops fundamentals of macroeconomic and sectorial factor.

ნათელა ლაცაბიძე

შრომის ბაზრის ფორმირების თავისებურებები საქართველოში

უმუშევრობის დაძლევა და შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფა ორ ათეულ წელზე მეტია საქართველოსათვის ყველაზე მწვავე პრობლემად რჩება.

მოსახლეობის არაეფექტიანი დასაქმება საგრძნობლად აფერხებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებას და ბუნებრივია, ცივილიზებული შრომის ბაზრის ფორმირებას. მოსახლეობის სეზონური დასაქმება, მცირე და არასტაბილური შემოსავლები, უმართავი შრომითი მიგრაცია და სხვა უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა ამცირებს შრომითი პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობას. ქვეყნის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება სამომავლოდ მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული ადამიანური რესურსის გამოყენების გაუმჯობესებაზე. შრომითი პოტენციალის სრული და რაციონალური გამოყენება კი გულისხმობს არა მხოლოდ უმუშევრობის დონის შემცირებას, არამედ ადამიანური რესურსის ნორმალური კვლავწარმოების უზრუნველყოფას, ადამიანის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების უწყვეტ აღდგენასა და შენარჩუნებას, მისი პროფესიულ-კვალიფიციური და განათლების დონის მუდმივ განახლებას.

სწორედ ამიტომ, შრომის ბაზრის რეგულირებისა და მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბება უნდა დაეფუძნოს შრომის ბაზრის ფორმირების თავისებურებების, მისი ინფრასტრუქტურისა და კონიუნქტურის თანამედროვე მდგომარეობის კომპლექსურ შესწავლას, მეცნიერულ შეფასებას და ამის საფუძველზე ჩამოყალიბებულ დასკვნებს.

აღსანიშნავია, რომ უმუშევრობით გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური პრობლემები საქართველოს მოსახლეობისათვის ბევრად უფრო მტკივნეულია, ვიდრე ეს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს. თუმცა დამშვიდების საფუძველს არც ოფიციალური მონაცემები იძლევა. ეს უკანასკნელი ეფუძნება საერთაშორისო ეკონომიკური და სტატისტიკური ინსტიტუტების მიერ რეკომენდირებულ მეთოდოლოგიას და კლასიფიკატორებს. საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიებში არაერთხელ გამახვილებულა ყურადღება იმ კრიტერიუმების გადახედვის აუცილებლობაზე, რომლითაც დგინდება უმუშევრის და დასაქმებულის სტატუსი, მაგრამ ამჯერად ამ საკითზე მსჯელობა მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ, მიგვაჩნია, რომ იგი სცილდება ჩვენი კვლევის ფარგლებს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ქვეყანაში უმუშევრობის დონე ბოლო 12-13 წლის მანძილზე ფაქტობრივად არ შემცირებულა, პირიქით, 2000-დან 2010 წლამდე უმუშევრობის დონე ზრდის ტენდენციით ხასიათდება (ცხრილი 1). 2011-2013 წლებში უმუშეშევრობის დონის მაჩვენებელი თითქმის არ შეცვლილა.

ცხრილი1
უმუშევრობის დონე და დინამიკა საქართველოში 2000-2013 წლებში (პროცენტებში)

მაჩვენებლები	*2000*	*2005*	*2010*	*2011*	*2012*	*2013*
უმუშევრობის დონე საშუალოდ ქვეყანაში	10.3	13.8	16.3	15.1	15.0	14.6
ქალაქი	18.4	26.3	27.2	26.5	26.2	25.6
სოფელი	3.9	5.0	7.9	6.5	7.0	6.5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. www.geostat.ge

ნებისმიერი და მითუმეტეს საქართველოს მასშტაბის მქონე ქვეყნისათვის უმუშევრობის, ასეთი მაღალი დონე საგანგაშო მოვლენაა და ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი ფაქტორია. საერთოდ უნდა ითქვას, ეროვნული შრომის ბაზრის ფორმირება, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, მიმდინარეობს უმუშევრობის მაღალი დონის პირობებში, რაც ბაზრის ფორმირების ერთ-ერთ ტენდენციად უნდა ჩაითვალოს. უმუშევრობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების გაანალიზებისას თვალშისაცემია უმუშევრობის განსაკუთებით მაღალი დონე ქალაქად. ქალაქში უმუშევრობის დონე საშუალოდ 4-5-ჯერ მაღალია სოფელთან შედარებით, ეს ტენდენცია გამოკვეთილია ბოლო ათწლეულის მანძილზე, თუმცა სოფელში უმუშევრობის დაბალი დონე დადებითად ვერ შეფასდება, რადგან იგი შემცირებულია არაეფექტიანი თვითდასაქმების ხარჯზე (ცხრილი 2, ცხრილი 3).

ბოლო ათი წლის განმავლობაში ქალაქში დასაქმებულთა შორის 64-69% დაქირავებული, ხოლო დაახლოებით 30% თვითდასაქმებულია, საპირისპირო სურათია სოფლად, სადაც დასაქმებულთა მხოლოდ 18-20%-ია დაქირავებული, დაახლოებით 75-79% - თვითდასაქმებული.

ცხრილი /
დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით ქალაქში
/•••-/•№„ წლებში 8პროცენტებში9

მაჩვენებელი	*2000*	*2005*	*2010*	*2011*	*2012*	*2013*
დასაქმებული	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0
დაქირავებული	64.5	68.5	68.8	71.7	72.3	69.1
თვითდასაქმებული	30.1	31.4	31.0	27.7	27.1	30.1
გაურკვეველი	5.4	0.1	0.2	0.6	0.6	0.8

წყაროᲟ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიᲟ www.geostat.ge

ცხრილი „ დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით სოფელში
/•••-/•№„ წლებში 8პროცენტებში9

მაჩვენებელი	*2000*	*2005*	*2010*	*2011*	*2012*	*2013*
დასაქმებული	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0
დაქირავებული	18.7	15.7	19.2	18.1	19.3	20.5
თვითდასაქმებული	74.7	84.3	80.7	81.6	80.4	79.1
გაურკვეველი	6.6	0.0	0.1	0.4	0.3	0.4

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. www.geostat.ge

დაქირავებულთა და თვითდასაქმებულთა შორის თანაფარდობა თითქმის უცვლელია ბოლო 13 წლის განმავლობაში.

დასაქმებულებს შორის თვითდასაქმებულთა მაღალი ხვედრითი წონა ზოგადად არ შეიძლება უარყოფითად შეფასდეს, ვინაიდან თვითდასაქმებული მესაკუთრეა და მისი საქმიანობის მიზანი მოგების ან ოჯახური შემოსავლის მიღებაა. მეტიც, თვითდასაქმების ზრდა მესაკუთრეთა ხვედრითი წონის გაზრდით, დასაქმების პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად უნდა იქნას მიჩნეული. საქართველოს სინამდვილეში თვითდასაქმებულთა მაღალი ხვედრითი წონა დასაქმებულთა შორის არ შეიძლება დადებით ტენდენციად ჩაითვალოს. თვითდასაქმებულთა დიდი ნაწილი სოფლად სოფლის მეურნეობაშია ჩაბმული. თავისთავად, სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა დიდ რაოდენობაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ მხედველობაში მისაღებია ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა უმრავლესობის შემოსავლები მეტად მცირეა და დასაქმებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ოჯახურ საწარმოში/მამულში უსასყიდლოდ მომუშავე პირია და რეალურად დასაქმებულად არც კი შეიძლება ჩაითვალოს, განსაკუთრებით რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა, რომლის უმრავლესობას მხოლოდ სოფლის მეურნეობაში საქმიანობის შესაძლებლობა აქვს. აღნიშნულის გაუთვალისწინებლობა უმუშევრობის შესახებ არარეალურ და შელამაზებულ სურათს იძლევა. მხოლოდ ოფიციალურ (სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები) მონაცემებზე დავეყრდნობით შეიძლება შეიქმნას მოსაზრება, თითქოს საქართველოს რეგიონებში, თბილისთან შედარებით უმუშევრობის პრობლემა ნაკლებად მწვავეა, ხოლო ცალკეულ რეგიონებში ბუნებრივ დონის ფარგლებშია. 2013 წლის მონაცემებით უმუშევრობის დონე ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით ყველაზე მაღალია თბილისში —29.1%, შემდეგ მოდის აჭარა —18.1%, სამეგრელო-ზემო სვანეთი -15.8% (ცხრილი 4). თუმცა როგორც აღინიშნა, რეგიონებში უმუშევრობა ძირითადად შემცირებულია არაეფექტიანი თვითდასაქმებით სოფლის მეურნეობაში.

ცხრილი 4
უმუშევრობის დონე საქართველოს რეგიონებში 2000-2013 წლებში (პროცენტებში)

რეგიონი	*2000*	*2006*	*2010*	*2011*	*2012*	*2013*
სულ საქართველო	10,3	13.6	16.3	15.1	15.0	14.6
თბილისი	19,3	302	30.1	29.3	29.1	29.1
კახეთი	6,7	6.5	11.1	8.9	6.5	6.4
იმერეთი[1)]	9,8	9.7	11.6	9.3	10.0	9.3
აჭარის არ	14,9	18.9	17.9	18.0	16.4	18.1
შიდა ქართლი	5,7	10.2	12.7	8.9	10.6	9.8
ქვემო ქართლი	7,6	8.4	9.2	9.4	11.0	8.0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4,4	6.4	14.3	16.5	16.8	15.8
დანარჩენი რეგიონები[2)]	6.1	6.4	8.9	7.1	7.5	6.7

1) რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ჩათვლით.
2) სამცხე-ჯავახეთი, გურია, მცხეთა-მთიანეთი.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. www.geostat.ge

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასაქმებულის სტატუსს ანიჭებენ ოჯახურ საწარმოში/მამულში უსასყიდლოდ მომუშავე ან ახლობლისათვის უსასყიდლოდ დამხმარე პირებს. ჩვენი აზრით, მათი უმრავლესობის საქმიანობა არ არის ორიენტირებული საბაზრო წარმოებაზე, განკუთვნილია პირადი მოხმარებისათვის და შესაბამისად ასეთი საქმიანობა არ წარმოადგენს დამატებითი შემოსავლის მომტანს. მათი თვითდასაქმებულთა კატეგორიაში ჩათვლით, ხელოვნურად მცირდება უმუშევართა რიცხოვნობა და უმუშევრობის დონე. თუ უმუშევართა რიცხოვნობაში გავითვალისწინებთ თვითდასაქმებულთა ზემოაღნიშნული კატეგორიის თუნდაც 80%-ს და გამოვთვლით უმუშევრობის დონეს, მაგალითისთვის 2012 წელს, იგი შეადგენდა 32.4% და არა 15.0-ს%.

მოსახლეობის არაეფექტიან დასაქმებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ დასაქმებულთა შორის ჯერ კიდევ მრავლად არიან ე.წ. „ფარული“ უმუშევრები. ასევე, ფართოდაა წარმოდგენილი ე.წ. „სეზონური“ უმუშევრობაც, როდესაც მუშაკი მეტნაკლებად სრულფასოვნად დასაქმებულია წელიწადის მხოლოდ რამოდენიმე თვის განმავლობაში.

დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები და შრომითი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების სიმცირე ხელს უწყობს მოსახლეობის აქტიური, შრომისუნარიანი ნაწილის შრომით ემიგრაციას. მისი უარყოფითი თუ დადებითი მხარეების შეფასება ცალკე მსჯელობის საგანია, მაგრამ ერთს კი შევნიშნავთ, რომ შრომითი ემიგრაციის რეგულირება სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება უნდა გახდეს.

უმუშევრობის გაანალიზებისას ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (ცხრილი 5). ირკვევა, რომ განსაკუთრებით მაღალია უმუშევრობის დონე 20-24, 25-29, 30-34 წლის ასაკობრივ ჯგუფებში, 2013 წელს უმუშევრობის მაჩვენებელი, აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფებში შესაბამისად 33.8%, 25.7% და 20.0% იყო. ახალგაზრდების ერთი ნაწილი, უმთავრესად 20-24 წლის ასაკში სწავლითაა დაკავებული და ეკონომიურად აქტიურ მოსახლეობაში არ შედის, მაგრამ ეკონომიკურად აქტიური ახალგაზრდობის უმუშევრობის მაღალი დონე განსაკუთრებულ ყურადღებას და სპეციალური ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.

ცხრილი – 5

უმუშევრობის დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 2006-2013 წლებში (პროცენტებში)

შულ	*საშუალოდ*	*20 წლამდე*	*20-24*	*25-29*	*30-34*	*35-39*	*40-44*	*45-49*	*50-54*	*55-59*	*60-64*	*65-ზე მეტი*
2006	13.6	22.8	32.7	25.9	20.0	16.6	13.2	10.4	9.7	6.7	6.5	0.4
2010	16.3	28.9	38.3	27.8	24.2	19.1	13.0	12.0	11.2	11.6	7.7	0.7
2011	15.1	33,4	36,3	25,0	20,8	18,3	11,4	11,2	11,2	9,4	5,5	0,6
2012	15.0	36,9	32,2	25,0	19,6	17,9	15,1	12,0	10,5	10,7	5,8	0,8
2013	14.6	43,0	33,8	25,7	20,0	16,1	13,3	11,4	10,6	7,9	5,4	1,4

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. www.geostat.ge

შრომის ბაზრის ფორმირების ტენდენციებიდან საყურადღებოა ის ფაქტი, რომ უმუშევრობის მაღალ დონესთან ერთად შრომის ბაზარზე შეიმჩნევა კვლიფიციური კადრების დეფიციტი. მათ შორის იმ სფეროებშიც, სადაც შრომის ანაზღაურება შედარებით მაღალია. მაგალითად, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ 2007-2008 წელს ჩატარებული ბიზნეს გარემოს კვლევის შედეგებით გამოვლინდა, რომ საქართველოს შრომის ბაზარზე დიდი მოთხოვნაა როგორც საშუალო და მაღალი დონის პროფესიონალ მენეჯერებზე, ასევე ტექნიკურ კადრებსა და კვალიფიციურ პერსონალზე. სამშენებლო ბიზნესის სფეროს პრობლემები აქვს ელექტრიკოსებით, შემდუღებლებით, მლესავებით უზრუნველყოფაში. როგორც ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ შრომის ბაზარზე ამ პროფესიის მრავალი ადამიანი წარადგენს სამუშაო ადგილებზე მოთხოვნას, ისინი არ ფლობენ ცოდნას, უნარს და ინფორმაციას მშენებლობის თანამედროვე მეთოდების, ტექნოლოგიებისა და მასალების შესახებ. მოცემულ და მსგავს შემთხვევებში სახეზეა ტიპიური სტრუქტურული უმუშევრობა. სტრუქტურული უმუშევრობის აღმოფხვრაზე საუბარი საქართველოში ნაადრევია, მაგრამ მისი შემცირების ერთ-ერთი გზაა სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვა შრომის ბაზრის მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნების შესაბამისად.

დასაქმებისა და უმუშევრობის საკითხებზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით შრომის ანაზღაურების საკითხს. დაქირავებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ზრდის მიუხედავად (2000 წლის მდგომარეობით დაქირავებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი შეადგენდა 72.3 ლარს, 2005 წელს 204.2 ლარს, 2010 წელს 597.6 ლარს, 2012 წელს 712.5 ლარს). კვლავ მცირეა საშუალო ნომინალური ხელფასი განათლებაში (2013 წლის მდგომარეობით 422.9 ლარი თვეში,), სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობაში (495 ლარი თვეში). გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა საფინანსო საქმიანობის (დაქირავებულთა საშუალო თვიური ხელფასი 1505 ლარი), სახელმწიფო მმართველობის (დაქირავებულთა საშუალო თვიური ხელფასი 1152 ლარი), ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოების და განაწილების (დაქირავებულთა საშუალო თვიური ხელფასი 967.0 ლარი) სფეროებში. აღსანიშნავია ისიც, რომ სოფლის მეურნეობა, ნადირობა, სატყეო მეურნეობაში, განათლებაში, სადაც ყველაზე დაბალი ხელფასებია, დასაქმებულთა რაოდენობა სხვა სფეროებთან შედარებით მეტია, რაც შესაბამისად მცირეშემოსავლიან ოჯახთა რაოდენობაზე აისახება.

არაეფექტიანი დასაქმება პირდაპირ აისახება მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, გარკვეული დადებითი ძვრების მიუხედავად, მისი არსებითი გაუმჯობესება ქვეყანაში არ შეინიშნება. ქვეყნის მოსახლეობის ნაწილი ჯერ კიდევ სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს მიღმა ცხოვრობს (იხ. ცხრილი 6).

ცხრილი 6.
სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობა (რეგისტრირებული სიღარიბე) 2007-2013 წლებში.

მაჩვენებლები	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობა	279 474	368 431	436 309	430 603	411 091	435 961	437 238
წილი საშუალო წლიურ მოსახლეობასთან	6.4	8.4	9.9	9.7	9.2	9.7	9.7

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. www.geostat.ge

ეროვნული შრომის ბაზრის ფორმირების თავისებურებას წარმოადგენს არაფორმალური (არარეგისტრირებული) დასაქმების ჯერ კიდევ დიდი მასშტაბები. შეიძლება ითქვას, რომ დასაქმების მასშტაბებიდან გამომდინარე, იგი ჩამოყალიბდა როგორც შრომის ბაზრის დამოუკიდებელ სეგმენტი. ქვეყანაში დამკვიდრდა არაფორმალური საქმიანობის ისეთი სახეობები, როგორიცაა სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები, საშუამავლო საქმიანობა, წვრილი ხელოსნობა, ოჯახებში დამლაგებლებად, აღმზრდელებად მუშაობა, წვრილი ხელოსნობა, რეპეტიტორობა, სამედიცინო მომსახურება და სხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, არაფორმალურად დასაქმებულები მთლიანი შიგა პროდუქტის გარკვეულ ნაწილს ქმნიან. არაფორმალური დასაქმება უმთავრესად გამოხატულია თვითდასაქმებით, დაქირავებული შრომა გამოიყენება ძირითადად სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე; დასაქმებულთა ერთი ნაწილი ათავსებს ეკონომიკის ფორმალურ და არაფორმალურ სექტორში დასაქმებას, მეორე ნაწილი მხოლოდ არაფორმალურ სექტორშია დასაქმებული.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმების პრობლემებზე მსჯელობისას უნდა აღინიშნოს შეთავსებით დასაქმების შესახებაც. სხვადასხვა პერიოდში შინამეურნეობების შერჩევითი კვლევის და სპეციალური გამოკვლევის მასალების გაანალიზება საშუალებას იძლევა ყოველგვარი ეჭვის გარეშე ითქვას, რომ დასაქმებულთა გარკვეულ ნაწილს შეთავსებული აქვს სხვა სამუშაო ან სამუშაოები. შეთავსებით დასაქმების არსებობა ძირითადად განპირობებულია ცხოვრების დაბალი დონით, სახელდობრ, შემოსავლების სიმცირით. ქვეყნის დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, შეთავსებით დასაქმების ერთმნიშვნელოვნად დადებითად ან უარყოფითად შეფასება შეუძლებელია, რადგან მისი არსებობა გამოწვეულია ობიექტური მიზეზით— საზოგადოების არასრულყოფილი სოციალური და ეკონომიკური მოწყობით, დასაქმების არასაკმარისი სახელმწიფო რეგულირებით, არათანმიმდევრული სოციალური პოლიტიკის გატარებით. შეთავსებით დასაქმების დადებითი მხარეებიდან უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია დამატებითი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა, რაც უმრავლეს შემთხვევაში ოჯახის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის ერთ-ერთი გზაა. ამასთან, მისი მეშვეობით ზოგიერთი მოქალაქე იკმაყოფილებს სხვა მოთხოვნილებებს: ყიდულობს ბინას, ავტომობილს, მოგზაურობს, ახერხებს საკუთარი ბიზნესის დაწყებას ან გაფართოებას. მოსახლეობის მცირე ნაწილი შეთავსებით დასაქმების გზით ახერხებს მიღებული სპეციალობისა და კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაოს შესრულებას. თუმცა დადებით მომენტებთან ერთად აღსანიშნავია შეთავსებით დასაქმების უარყოფითი შედეგებიც, რაც გამოიხატება შრომის ინტენსიურობისა და ხანგრძლივობის გაზრდაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს შრომისუნარიანობის დაქვეითება ან სრული დაკარგვა ადრეულ ასაკში, ტრამვატიზმისა და ინვალიდობის შემთხვევების გაზრდა და სხვა უარყოფითი მოვლენები. რამდენიმე ადგილზე მუშაობისას ადამიანს უკვე აღარ რჩება დრო პროფესიული ზრდისა და ჰარმონიული განვითარებისათვის, რადგან ყურადღება გამახვილებული აქვს ძირითადად მატერიალურ მხარეზე.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (სამუშაო ძალა) დასაქმებისა და უმუშევრობის მდგომარეობის შესახებ წინამდებარე სტატიაში გაანალიზებული მასალა, ასევე ავტორის მონაწილეობით სხვადასხვა წლებში განხორციელებული გამოკვლევები ამ მიმართულებით, საშუალებას იძლევა ჩამოყალიბდეს რამდენიმე საგულისხმო თავისებურება, რაც ეროვნული შრომის ბაზრის ფორმირებისთვისაა ნიშანდობლივი:

- ეროვნული შრომის ბაზრის ფორმირება და ფუნქციონირება არასტაბილურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებში მიმდინარეობს. ქვეყანაში განხორციელებული გარდაქმნებისა და გარკვეული პროგრესული ძვრების მიუხედავად, მოსახლეობის ცხოვრების დონის საგრძნობი გაუმჯობესება ვერ მოხერხდა.
- შრომის ბაზრის ფორმირება მიმდინარეობს უმუშევრობის მაღალი დონის პირობებში, ქალაქში უმუშევრობის დონე საშუალოდ 4-5-ჯერ მაღალია სოფელთან შედარებით, თუმცა სოფლად უმუშევრობა შემცირებულია არაეფექტიანი თვითდასაქმების ხარჯზე.
- ეროვნული შრომის ბაზრის ფორმირების ერთ-ერთ არასასურველ ტენდენციად რჩება სამუშაო ძალის დაბალი ფასი. დაქირავებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ზრდის მიუხედავად, გაუ-

მართლებლად დაბალია საშუალო ნომინალური ხელფასი განათლებაში, სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობაში;

- უმუშევრობის მაღალ დონესთან ერთად შრომის ბაზარზე შეიმჩნევა კვლიფიციური კადრების დეფიციტი. მათ შორის იმ სფეროებშიც, სადაც შრომის ანაზღაურება შედარებით მაღალია.

- შრომის ბაზრის ფუნქციონირებაზე უარყოფითად მოქმედებს სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდა, რომელიც ამცირებს დასაქმებულთა რეალურ შემოსავლებს.

- შრომის ბაზრის ფუნქციონირების ერთ-ერთი თავისებურებაა არაფორმალური (არარეგისტრირებული) დასაქმების ჯერ კიდევ დიდი მასშტაბები. დასაქმებულთა უმრავლესობისათვის აღნიშნული საქმიანობა საარსებო სახსრების მოპოვების საშუალებაა (ისინი ძირითადად არაპრესტიჟულ, არამიმზიდველ სამუშაოებს ასრულებენ და პროფესიული ზრდის პერსპექტივა არა აქვთ), ხოლო მცირე ნაწილისათვის თავისუფალი რეჟიმით მუშაობის ან სოლიდური შემოსავლების უფრო იოლი გზით მიღების საშუალება.

- შრომის ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებებიდან აღსანიშნავია შეთავსებით დასაქმების არსებობა. უმუშევრობის მაღალი დონის პირობებში, სამუშაო ძალის გარკვეული ნაწილი ახერხებს დამატებით, სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებასაც. დადებით მომენტებთან ერთად უნდა აღინიშნოს მისი უარყოფითი მომენტები - შრომის მაღალი ინტენსიურობა და ხანგრძლივობა, ტრამვატიზმისა და ინვალიდობის შემთხვევების გაზრდა, თავისუფალი დროის შეზღუდვა.

უმუშევრობა რომ საქართველოს მოსახლეობისათვის უმთავრესი სოციალური პრობლემაა სპეციალისტებს შორის დავის საგანს არ წარმოადგენს. მისი დაძლევისა და ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია დასაქმების ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პრაქტიკული რეალიზაცია, კერძოდ:

- შრომის ბაზრისა და დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება უნდა გახდეს შრომის ბაზრის ინსტიტუტებისა და მისი ადეკვატური ინფრასტრუქტურის, ეფექტიანად მომუშავე დასაქმების სამსახურების შექმნა და განვითრება რეგიონების დონეზე.

-აუცილებელია კვალიფიციურ მუშათა კადრებსა და სპეციალისტებზე ცალკეული რეგიონის დონეზე მოთხოვნის განსაზღვრა, რადგან უმუშევრობის მაღალი დონის პირობებში, ადგილი აქვს გარკვეული პროფესიისა და კვალიფიკაციის სამუშაო ძალის დეფიციტს, რაც განპირობებულია სპეციალისტების მომზადება-გადამზადების სათანადო სისტემის განუვითარებლობით.

-დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის შემუშავებასა და რეალიზაციისათვის საჭიროა სოციალური პარტნიორობის სისტემის ფარგლებში დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის სოციალურ-შრომითი ურთიერთობების კოლექტიურ-სახელშეკრულებო რეგული¬რე¬ბის პრაქტიკის დამკვიდრება, არსებული პროფესიებისა და ვაკანსიების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა, უმუშევრობის ზრდის შეზღუდვისა და მათი სოციალური მხარდაჭერის ღონისძიებების შესრულებაზე მუდმივი მონიტორინგის განხორციელება;

-დასაქმების ეფექტიანი პროგრამების შემუშავებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმებულებისა და უმუშევრების აღრიცხვის სისტემის მოწესრიგება, მით უმეტეს, რომ მოქმედი საერთაშორისო მეთოდოლოგია, ზოგიერთი ასპექტით, არ შეესაბამება ქვეყნის განვითარების სპეციფიკას.

-მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველსაყოფად გადამწყვეტია სახელმწიფომ შესაბამისი ინსტიტუტების დახმარებით დაგეგმოს და პერმანენტულად განახორციელოს დასაქმების აქტიური პოლიტიკის მსოფლიოში აპრობირებული ღონისძიებები: დახმარება შრომით მოწყობაში, პროფესიული მომზადება და გადამზადება, საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზაცია, თვითდასაქმების და სამეწარმეო ინიციატივის წახალისება. სწორედ ასეთი ღონისძიებების წარმატებით განხორციელება შეამცირებს საარსებო შემწეობის მიმღებთა რიცხვს და შესაბამისად უმუშევრობის დონეს.

-უმუშევრობის პრობლემის გადაწყვეტა, რასაკვირველია გარკვეულ პერიოდს და სხვადასხვა ღონისძიების გატარებას მოითხოვს. მათგან უმთავრესია უმუშევართა გადამზადების კონკრეტული პროექტები, რომლებიც ორიენტირებული იქნება დამსაქმებლების მოთხოვნებზე.

-გადამზადებისას პრიორიტეტული უნდა იყოს დამსაქმებელთა მოთხოვნები, მაგრამ გასათვალისწინებელია ასევე უმუშევართა შესაძლებლობები, პროფესია, სპეციალობა, შრომითი გამოცდილება. გადამზადებისას ყურადღება უნდა მიექცეს უმუშევრების იმ ნაწილს, ვინც არ არის ჩამოყალიბებული, რა მიმართულებით გაიაროს გადამზადება ან რომელ პროფესიას დაეუფლოს.

-დასაქმების აქტიური პოლიტიკის ფარგლებში გატარებული ღონისძიებები გაცილებით შედეგიანი იქნება, თუ განხორციელდება კერძო სტრუქტურებთან პარტნიორობის ფარგლებში. ამ მიმართულებით მიზანშეწონილი იქნება კერძო სტრუქტურებს გამოეყოთ საკრედიტო რესურსი. ასეთ შემთხვევაში სტრუქტურა თვითონ იქნება დაინტერესებული გამოყოფილი თანხა მცირე ბიზნესის დასაფინანსებლად გამოიყენოს და დააფინანსოს მხოლოდ რეალური ბიზნეს იდეები, რომლებიც მომგებიანი იქნება. ამ შემთხვევაში დასაქმების პროგრამაზე გამოყოფილი თანხების არაეფექტიანი განაწილების რისკი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

-ქვეყანაში სავალდებული უნდა გახდეს ვაკანტური სამუშაო ადგილების რეგისტრაცია, საეჭვოა, რომ ყველა მეწარმემ რეგისტრაციის სავალდებულობა ზედმიწევნით დაიცვას, მაგრამ მიღებული ინფორმაცია დასაქმების სამსახურებს შრომის ბაზარზე არსებული საერთო მდგომარეობის შესახებ ინ-

ფორმაციას მისცემს. დასაქმების სამსახურები (როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სააგენტოები) აქტიურად უნდა ჩაერთონ შრომის ბაზრის ყველა სეგმენტის რეგულირებაში და მონაწილეობა მიიღონ დასაქმების პოლიტიკის რეალიზაციაში. მკვლევარები შორს არიან იმ აზრისაგან, რომ დასაქმების სამსახურების მეშვეობით მოხდება ყველა ვაკანსიის დაკავება. როგორც კვლევები ადასტურებს, მოსახლეობა სამუშაო ადგილების ძიებისას ყველაზე ნაკლებად მიმართავს დასაქმების სამსახურებს, ასე, რომ მათ მიმართ ნდობის აღდგენას, გარკვეული დრო დაჭირდება. ამ მიმართულებით საქმიანობის შედეგებზე მსჯელობაც მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ უნდა მოხდეს.

შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი რგოლი უნდა გახდეს დასაქმების კერძო სამსახურები (სააგენტოები). ფაქტობრივად ასეთი სააგენტოების ფუნქციას ასრულებენ არარეგისტრირებული ორგანიზაციები, რომლებიც ყოველგვარი წესების და სოციალური გარანტიების გარეშე ახდენენ სამუშაო ძალის არალეგალურად გაყვანას ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე მსჯელობისას ხაზგასმით უნდა აღინიშნოს შესაბამისი ინსტუტუტების მიერ მარკეტინგული საქმიანობის მაღალ დონეზე განხორციელების აუცილებლობის შესახებ. გადაუდებლად აუცილებელია შრომის ბაზრის ერთიანი საინფორმაციო სისტემის ფორმირება ეროვნულ დონეზე, რეგიონული და საერთაშორისო სტრუქტურების საინფორმაციო სისტემების ჩართვით; შრომის ბაზრის კონიუნქტურის შესწავლა და პროგნოზირება; საერთაშორისო შრომის ბაზარზე არსებული სიტუაციის ანალიზი და ინტეგრაციის წინადადებების შემუშავება; სამუშაო ძალის ფორმირების, განაწილებისა და გადანაწილების პროგნოზირება; სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ცვლილებების ტენდენციების პროგნოზირება; სამუშაო ძალის ღირებულებისა და ფასის ცვლილების ანალიზი და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტების კვლევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ.ლაცაბიძე, მ. ცარციძე უმუშევრობის ეკონომიკური და სოციალური შედეგები საქართველოში, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა", მარტი-აპრილი თბილისი, 2009წელი. გვ.66-74.

2. ნ.ლაცაბიძე იძულებით გადაადგილებულ პირთა უმუშევრობის მიზეზები და მათი დასაქმების სრულყოფის გზები. „მიგრაცია 4" თბილისი, 2010წ. გვ.145-157.

3. ნ.ლაცაბიძე, მ. ცარციძე, უმუშევრობის გამომწვევი მიზეზები დაუმუშევრის სტატუსის განსაზღვრის მეთოდოლოგიური საფუძვლები საქართველოში, მიგრაცია 6" თბილისი, 2013წ. გვ.119-139;4. Latsabidze N. Factors Influensing Labour Force Suplly. International Conference. Social-Economics Problems in Transition Countries. Collection of Scientific Works, Research Rapers and Articles.Publishing House „Universal",

Tbilisi-2008. P.94-102.

5. Internally Displaced Persons in the Gergian Labour Marke (ავტორთა კოლექტივი). Publishing House „Universal", Tbilisi-2012.

6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. www.geostat.ge

ნათელა ლაცაბიძე

შრომის ბაზრის ფორმირების თავისებურებები საქართველოში

რეზიუმე

ნაშრომში გადმოცემულია შრომის ბაზრის ფორმირების სირთულეები და თავისებურებები. დასაბუთებულია, რომ სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის აღმოფხვრა უახლოეს პერსპექტივაში შეუძლებელია. ეკონომიკის თითქმის ყველა სფერო გაჯერებულია სამუშაო ძალით. სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შედარებით მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა სოფლის მეურნეობა. თუმცა აქ დასაქმება ხშირად დაბალმწარმოებლური, არაეფექტიანი და არასრულია. ქვეყნის მასშტაბით, სამუშაო ძალაზე ერთობლივი მოთხოვნა და დასაქმების მაჩვენებელი გაზრდილია თვითდასაქმების ხარჯზე. დასაქმებულთა შორის ჯერ კიდევ მრავლად არიან „ფარული" უმუშევრები. ქვეყანაში ასევე ფართოდაა წარმოდგენილი „სეზონური" უმუშევრობაც. შრომის ბაზრის ფუნქციონირების კიდევ ერთი სპეციფიკაა შეუსაბამობა დაკავებულ თანამდებობასა და მიღებულ პროფესიულ განათლებას შორის.

ქვეყანაში პრაქტიკულად ჩამოსაყალიბებელია შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურა, განსაზღვრას და კანონმდებლობის ფარგლებში მოქცევას საჭიროებს დასაქმების სამსახურების საქმიანობა და ფუნქციები. ბაზრის ფუნქციონირებას ართულებს ისიც, რომ სამუშაო ძალის მიწოდება მცირე შემოსავლებისა და მწირი პენსიების პირობებში, კვლავაც მაღალი რჩება, მაშინ, როცა სამუშაო ძალაზე მოთხოვნის გაზრდის მიმართულებით, მოკლევადიან პერიოდში სერიოზული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. უახლოეს პერსპექტივაში შრომის ბაზარი კვლავ გაჯერდება სპეციალისტებით, მათი სრულად დასაქმება მიღებული სპეციალობის მიხედვით, პრაქტიკულად გამორიცხულია. გამოსავალი აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ერთია – თითოეული სპეციალისტის მომზადება თუ გადამზადება გათვლილი უნდა იყოს იმაზე, რომ ბაზარზე მოხდეს მიღებული ცოდნის აღიარება და შესაბამისად დასაქმება.

NNatela Latsabidze

PECULIARITIES OF LABOUR MARKET FORMATION IN GEORGIA

Summary

The work highlights difficulties and peculiarities of labour market formation. It is proved that uprooting existing imbalance between the demand and supply of labour force is impossible in the nearest perspective. Almost every field of economy is maturated by labour force. Agriculture is distinguished by comparatively high indicator of the demand for labour force. Though, employment in this sector is often low-entrepreneurial, ineffective and incomplete. Indicator of overall demand on labour force has grown due to self-employment country scale. So far there is big number of „concealed“ unemployed people among the employed ones. At the same time „seasonal“ unemployment is also widely perceived in the country. One of the specificities accompanied by the labour market functioning is irrelevance between an occupied position and acquired professional education.

Actually, labour market infrastructure in the country has to be formed while activity and functions of employ services need determination. The fact that labour force supply still remains high despite low income and little pensions, whereas no serous shortly coming changes are expected aimed at raising demand for labour force complicates functioning of labour market.

In the nearest perspective labour market will still become maturated by specialists and their full employment according to acquired specialization is virtually impossible. There is just one way out from the aforementioned issue – preparation or training of specialists should be oriented on the reality that acquired knowledge is acknowledged on the market and employed accordingly.

ლაშა ტაბატაძე

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის განვითარების ტენდენციები

უმაღლესი განათლება არის ფუნდამენტი ინოვაციური ეკონომიკის უზრუნველსაყოფად და ქვეყნის მდგრადი განვითრების ერთადერთი უპირობო ალტერნატივაა. უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი განათლების მხარდაჭერა არის ასევე დასტური ევროპულ სტრუქტურებთან თანამშრომლობის მზაობისა და შესაძლებლობის.

უმაღლესი განათლების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდაში სავსებით ცხადი და გამოკვეთილია. უმაღლესი განათლება დიდი ხანია განიხილება, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და მზარდი კაპიტალი, როგორც პროდუქცია – საქონელი, რასაც მოაქვს შემოსავალი და მოგება მისი მფლობელისთვის.

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის მიმოხილვა

უმაღლესი განათლება არის საფუძველი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა, რაც იწვევს ეკონომიკურ ზრდა-განვითარებას, ის თავის მხრივ ამაღლებს განათლების დონეს, ასტიმულირებს და თვისებრივად ახალ, უფრო მაღალ დონეზე გადაჰყავს იგი. სახელმწიფოს პრეროგატივაა, სწორედ განათლების სისტემის მეშვეობით აწარმოოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება ქვეყნის საგანმანათლებლო პოტენციალის და კერძოდ, ადამიანური კაპიტალის ზრდაზე.

ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემებიდან დღეს ყველაზე მწვავე სიღარიბის დაძლევაა. ამ მხრივ, ყველაზე სწრაფი და მაღალი ეფექტის მომცემი არის ინვესტიციები სამეცნიერო-ტექნოლოგიურ კვლევებში. ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად მოწინავე ტექნოლოგიების ქვეყნებად იქცნენ შვედეთი, ნორვეგია და დანია. [1,27] საინტერესოა, ასევე ბალტიისპირეთის ქვეყნების, უმაღლესი განათლების მხარდამჭერი პოლიტიკაც, რომელიც ძირითადად მიზანმიმართულია სოციალური უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.ამგვარი ნაბიჯები, ცხადია, აძლიერებს ქვეყნის ეკონომიკას და მიგვითითებს ადამიანისეული პოტენციალის, ზოგადად განათლების მნიშვნელობაზე ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის, უსაფრთხო და მდგრადი განვითარების ამოცანის დაძლევაში.

დღეს საქართველოს უმაღლესი საგანამანათლებლო ბაზარი საკმაოდ საინტერესო კონფიგურაციას გვთავაზობს. განათლების სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ცნობით, საქართველოში რეგისტრირებულია 72 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, საიდანაც 20 სახელმწიფოა, ხოლო 52 ერთეული კერძო უმაღლეს სასწავლებელს წარმოადგენს. (იხ.დიაგრამა1). [5] ერთი შეხედვით საკმაოდ კონკურენტულად გამოიყურება უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარი. პარადოქსია, მაგრამ ბაზარზე არსებული რიცხობრივი სიდიდე, უკვე წარმოადგენს არასამართლიანი კონკურენციის წინაპირობებს, ხოლო კერძო უნივერსიტეტების ვაუჩერული დაფინანსების მოქმედი მოდელი და სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ უნივერსიტეტებში, რიგი სპეციალობების დაფინანსება, ასევე ხელს უშლის სამართლიან კონკურენციას. შედეგი, კურსდამთავრებულთა დაბალი კვალიფიკაცია და შესაბამისად შრომის ბაზარზე კვალიფიცირებული კადრების დეფიციტი. ეს ყოველივე, კიდევ ერთხელ, ნათლად ადასტურებს უმაღლესი საგანამანათლებლო მომსახურების ბაზარზე არსებულ პრობლემებს.

დიაგრამა1. საქართველოში რეგისტრირებული უსდ–ის რაოდენობა (2014).



ძალზედ საინტერესოა, ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის ლისაბონის დეკლარაცია, რომელიც აღიარებს და განსაზღვრავს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ავტონომიის ოთხ ფუნდამენტურ განზომილებას: ფინანსური ავტონომია, პერსონალით უზრუნველყოფის ავტონომია, ორგანიზაციული ავტონომია, აკადემიური ავტონომია. მიუხედავად მაღალი ფინანსური ავტონომიისა, საყურადღებოა ის რისკები, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფო გრანტის მოპოვების მექანიზმს. ერთიანი ეროვ-

ნული გამოცდების ფარგლებში (უნივერსიტეტს არ შეუძლია სტუდენტების დამოუკიდებლად შერჩევა და პროცესი მთლიანად გატანილია უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ), ეს კი ეწინააღმდეგება უნივერსიტეტების ავტონომიურობის პრინციპს, (ევროპულ ქვეყნებში საერთოდ არ არსებობს ერთიანი ეროვნული გამოცდების პრაქტიკა). პერსონალით უზრუნველყოფის სფეროში უნივერსიტეტებს მაღალი ავტონომია აქვთ, მაგრამ მიუხედავად ამისა დაბალია ინტერნაციონალიზაციის ხარისხი და ასევე დაბალია ახალგაზრდა კადრების მოზიდვის მაჩვენებელი ეს კი ამცირებს ხარისხიანი განათლების მიღების გარანტიებს. ორგანიზაციული ავტონომიის სფეროში უნივერსიტეტებს მაღალია ვტონომია აქვთ, თუმცაღა, სუსტ მხარედ გვევლინება უნივერსიტეტების შეზღუდული ავტონომია მართვის ორგანოებში (აკადემიურ საბჭოში) გარე წევრების ჩართვის თვალსაზრისით. თავისმხრივ, ხარვეზები უფრო მეტად იკვეთება, აკადემიური ავტონომიის კუთხით. უნივერსიტეტებს არსებითად შეზღუდული აქვთ დამოუკიდებლობა სწავლების ენის, სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრაში სტუდენტთა შეფასების წესის განსაზღვრაში. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ავტორიზაცია/აკრედიტაციის მოქმედი მექანიზმი არა ხარისხის უზრუნველყოფის, არამედ უფრო უნივერსიტეტების საქმიანობაზე სახელმწიფო გავლენის განხორციელების მექანიზმია.[2,19] ამასთანავე, მთავარი პრობლემები შემდეგი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ;

- ✓ დაბალია სამუშაო ძალის ბაზრის /დამსაქმებლის როლი და ჩართულობა, სასწავლო პროგრამების შედგენა–განვითარებაში და ასევე მონიტორინგის განხორციელებაში;
- ✓ უნდა ასევე გადაიხედოს უმაღლესი განათლების დაფინანსების წყაროები და პირობები;
- ✓ კერძო და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ფუნქციონირების უმთავრეს კრიტერიუმად, კონკურენტულ ბაზარზე არსებული მოთხოვნები და საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხი უნდა განისაზღვროს;
- ✓ პრობლემატურია ასევე, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის საკითხი;
- ✓ აუცილებლად უნდა გადაიხედოს უმაღლესი დაწესებულებების რაოდენობის განსაზღვრის საკითხები;
- ✓ უნდა ამაღლედეს სამეცნიერო კვლევითი საქმინობისადმი ახალგაზრდა კადრების ინტერესი და მათი ჩართულობა;
- ✓ ფაქტიურად არ არის კავშირი უმაღლესი განათლების სფეროსა და სამეცნიერო–კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის განამახორციელებელ ინსტიტუტებს შორის;
- ✓ დასახვეწია, უმაღლესი განათლების ხარისხის კონტროლის სისტემა –(სასწავლო პროგრამების და სწავლების მეთოდების მუდმივი განახლება, ასევე უნდა გადაიხედოს სამეცნიერო ხარისხის (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი), მინიჭების კრიტერიუმები და პირობები;
- ✓ განახლებას და ხელმისაწვდომობას ექვემდებარება, სასწავლო სამეცნიერო ლიტერატურა, ლექსიკონები, სახელმძღვანელოები, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ქართულ ენაზეც.

ზემოაღნიშნულის განხორციელება, ბუნებრივია უკავშირდება საკმაოდ სერიოზულ პრობლემებს, რომელთაგანაც პირველი რიგის პრობლემად შესაძლებელია მივიჩნიოთ საფინანსო და საკანონმდებლო რესურსების არაეფექტურობა, არადა სათანადოდ გამოყოფილი ფინანსური რესურსები და არსებულ გარემოსთან შესაბამისობაში მოყვანილი საკანონმდებლო ბაზა ერთობლივად, უკვე შესაძლებელს გახდიდა დასახული მიზნების და ამოცანების რეალიზებას. საინტერესოა ასევე, უმაღლესი საგანამანათლებლო ბაზრის დაფინანსების საკითხებიც. საქართველოში სწავლის სრულ საფასურს სულ 65% იხდის, აქედან 50% სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებზე, ხოლო 15% კერძო უმაღლეს სასწავლებლებზე მოდის. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში კიდევ დაახლოებით 35% ნაწილობრივ იხდის სწავლის გადასახადს, მაშინ ადვილად გასაგებია, რომ სწავლის დაფინანსება მოკლებულია მასშტაბებს. (იხ.დიაგრამა 2). [2,29]

დიაგრამა2. უმაღლესი განათლების დაფინანსება (2013)

მიუხედავად პრობლემათა ფართე სპექტრისა, ბოლო პერიოდში ბევრი პოზიტიური ცვლილებებიც შეინიშნება უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე. მნიშვნელოვნად შეიცვალა უმაღლესი განათლების სისტემის საკანონმდებლო რეგულაცია, ხოლო 2005 წელს საქართველო ბერგენის სამიტ-

ზე შეუერთდა ბოლონიის პროცესს. [4,9] უმაღლესი განათლების სისტემაში სახელმწიფო პოლიტიკას განსაზღვავს საქართველოს პარლამენტი და მთავრობა, ხოლო მათ აღასრულებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. თავის მხრივ, სამინისტრო გამოსცემს რეგულირების და პოლიტიკის აღსრულების ცალკეულ წესებს როგორც საკუთრივ სისტემის ორგანოების, ასევე უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისათვის. რადიკალურად შეიცვალა უნივერსიტეტების დაფინანსების სისტემა. საბაზო დაფინანსებიდან მოხდა ე.წ. ვაუჩერულ სისტემაზე გადასვლა, შემოღებულმა სწავლების სამსაფეხურიანმა სისტემამ და ECTS (European Credit Transfer and Accumulation System) კრედიტების დანერგვამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა არსებული სისტემა. შემცირდა სასწავლო კურსების ხანგრძლივობა, მოხდა მათი ოპტიმიზაცია, მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნა დასაქმებაზე ორიენტირებულ სასწავლო პროგრამებზე, გაიზარდა სტუდენტთა მობილობა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

მაშასადამე, სახელმწიფოს მხრიდან,უმაღლესი საგანამანათლებლო ბაზრის სტიმულირებით, საშუალება მიეცემა თითოეულ ინდივიდს უპასუხოს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს და გამოწვევებს, იყოს მისი აქტიური და განუყოფელი ნაწილი და არ მოძველდეს მორალურად, რათა თითოეულმა მოქალაქემ შეძლოს თვითდამკვიდრება ახალი რეალობის პირობებში და მოახდინოს საკუთარი თავის რეალიზაცია, რაშიც მუდმივი/მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების სისტემას გადამწყვეტი როლი ექნება.

დაბოლოს, უმაღლესი საგანამანთლებლო მომსახურების ბაზარი მსოფლიოში არა უცვლელი, არამედ მუდმივად განვითარებადი სისტემაა. შესაბამისად, მუდმივად უნდა მოხდეს მისი სრულყოფა და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თოქმაზიშვილი მ. სართანია ვ. მაღლაკელიძე შ. (2006). *„განათლების ეკონომიკის პრინციპები“.* თბილისი. განათლება;

2. განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. (2013). *„უმაღლესი განათლების გავლენა სამუშაო ძალის ფორმირებაზე“;*

3. ჩაგელიშვილი/აგლაძე ლ. (2013). *„უმაღლესი განათლების განვითარების პრობლემები საქართველოში“.* საერთაშორისო, (Univarsitat, Koblnez – Landau – Germany) საკონფერენციო, სამეცნიერო მოხსენება–სტატია. (26-27 ოქტომბერი 2013);

4. ნარმანია დ. (2012). *უმაღლესი განათლების სისტემა საქართველოში.* თბილისი, უნივერსალი.

5. საქართველოს განათლების სამინისტროს, (2014) *განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.*

http://eqe.ge/geo/static/89/register/heis

ლაშა ტაბატაძე

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის განვითარების ტენდენციები

რეზიუმე

დიდია ადამიანური კაპიტალის როლი და მნიშვნელობა, ქვეყნის ეკონომიკის განვითრებაში. ამ მხრივ ხარისხიანი უმაღლესი განათლება კონკურენტუნარიანი სახელმწიფოს ფორმირების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. სწორედ, რომ საქართველოს მომავალი განვითარება პირდაპირ უკავშირდება განათლების ხარისხს და მის ხელმისაწვდომობას.

ამდენად, განათლების სფეროში მეტი ინვესტიციების მოზიდვა და დაბანდება მნიშვნელოვნად შეცვლის ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელს და უშუალო ასახვას ჰპოვებს ასევე, ქვეყნის სავაჭრო ბალანსზეც. დღეს უაღრესად აქტუალურია ისეთი საკითხების კვლევა როგორიცაა: რამდენად თავსებადია უმაღლესი საგანმანათლებლო ბაზრის ადმინისტრირების დონე არსებულ მსოფლიო სტანდარტებთან? რამდენად კონკურენტუნარიანია უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარი? მაშასადამე, უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ხარისხი, მისი ადმინისტრირება და დაფინანსება წარმოადგენს იმ ფუნდამენტურ თემებს, რომელსაც უნდა დაეფუძნოს თანამედროვე კონკურენტუნარიანი უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარი.

Lasha Tabatadze

DEVELOPMENT TENDENCIES OF HIGHER EDUCATIONAL SERVICE MARKET IN GEORGIA

Summary

Great is the role and significance of human capital in the development of national economy. In this regard, high quality of higher education is the most important factor of competitive state formation. The future development of Georgia is directly connected with the quality of education and its availability.

Hence, attracting and promoting more investments in education will significantly change the index of national economic growth and be immediately reflected on national trade balance.

Nowadays, the study of problems as follows are very actual: the compatibility of administration degree of Higher Education market with modern world standards; the competitiveness of HE market. Therefore, the quality of HE service market, its administration and funding are the fundamental subjects that must be the basic for modern competitive higher education market.

ნიკო კვარაცხელია

საექსკურსიო მენეჯმენტის პრობლემები საქართველოში

1. საბჭოთა მემკვიდრეობის გაკვეთილები (ისტორიული ექსკურსი)

საექსკურსიო მომსახურება ტურიზმის ერთერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია. მასზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული მოგზაურობის შესახებ ტურისტის კმაყოფილების აღმოცენება. ექსკურსია სერვისის ერთადერთი ფორმაა, რომელიც ზემოქმედებს ტურისტის მიერ სამოგზაურო ქვეყნის შესახებ აზრის ფორმირებაზე. თუ რამდენად ზემოქმედებს ექსკურსიის დროს მიღებული ინფორმაცია ამ აზრის ჩამოყალიბებაზე, ეს დამოკიდებულია: 1.ექსკურსიის შინაარსზე; 2.ექსკურსიამძღოლის (გიდის) ოსტატობაზე და 3.საკუთრივ ტურისტის ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და ინფორმირებულობაზე. ამდენად, საკითხი მეტად კომპლექსური და ამავე დროს სათუთია. შესაძლებელია მასზე განსხვავებული აზრი არსებობდეს და შესაბამისად სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვა მიდგომებს იყენებენ პრობლემის გადასაწყვეტად.

საბჭოთა სივრცეში საექსკურსიო მომსახურება თხუთმეტივე რესპუბლიკაში იყო აბსოლუტურად ერთნაირი და ხორციელდებოდა სახელმწიფოს მიერ ხელდასმული სამი უწყების მეშვეობით: 1. სააქციო საზოგადოება „ინტურისტი"; 2. ახალგაზრდული ტურიზმის ორგანიზაცია – „სპუტნიკი" და 3. პროფკავშირებს დაქვემდებარებული „ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოები". განსხვავებული იყო მათი მიდგომები და მენეჯმენტი. შედარებით მოკრძალებული იყო „სპუტნიკის" ინფრასტრუქტურა და საექსკურსიო მომსახურებაც აქ იყო მინიმიზირებული და მწირი ინფორმაციის მიწოდებით და კომენტარებით შემოიფარგლებოდა [1]. „ინტურისტი" საკუთარი მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით, რომელიც საუკეთესო იყო მთელს საბჭოთა კავშირში და მკვეთრად გამოხატული იდეოლოგიით გამოირჩეოდა. ამ მიზნების მისაღწევად საჭირო იყო შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა: 1. საბჭოთა ცხოვრების წესის (ზოგადად სოციალიზმის) უპირატესობის მტკიცება კაპიტალისტურზე; 2. გიდების მიერ ყოველგვარი ინდივიდუალიზმის გამოჩენის შესაძლებლობების შეზღუდვა, რისთვისაც მათ ურიგდებოდათ სხვადასხვა უწყებების მიერ უკვე შემოწმებული რეფერატები, რომელთა დაზეპირებაც აუცილებელი იყო და მათ აკონტროლებდნენ აღნიშნული მითითებების შესრულებაზე. 3. უცხო ენის კარგად ცოდნა და ექსკურსიის ჩატარების უნარი. ყველაზე დიდი ორგანიზაცია იყო – პროფკავშირული ტურიზმი, რომლის სახელწოდებაშიც ასახული იყო ექსკურსიები და მას, როგორც უკვე აღვნიშნეთ „ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო" ერქვა. ეს უწყება ემსახურებოდა მილიონობით საბჭოთა და აგრეთვე უცხოელ ტურისტს. თუ ამ ორგანიზაციის საქმიანობას „ინტურისტისადმი" წაყენებული ამოცანების მიხედვით განვიხილავთ, მაშინ აღმოჩნდება, რომ პირველი ამოცანა – „საბჭოთა ცხოვრების წესის (ზოგადად სოციალიზმის) უპერატესობის მტკიცება კაპიტალისტურზე", ასევე იყო მთავარი პროფკავშირებისთვისაც; რაც შეეხება მეორე ამოცანას: „გიდების მიერ ყოველგვარი ინდივიდუალიზმის გამოჩენის შესაძლებლობების შეზღუდვა", საბედნეროდ, აქ უკეთესი მდგომარეობა იყო და თითოეული ექსკურსიამძღოლი ვალდებული იყო საექსკურსიო ბიუროს მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით შეედგინა ინდივიდუალური საექსკურსიო ტექსტი, რომელიც იძლეოდა საკუთარი გემოვნების და ინტელექტის დემონსტრირების საშუალებას. მესამე ამოცანა – „ენის კარგად ცოდნა და ექსკურსიის ჩატარების უნარი", აქ გაცილებით მაღალ დონეზე იყო და მიმდინარეობდა საშური შემოქმედებითი საქმიანობა ექსკურსიის სრულყოფისათვის. [2]

საჭიროდ მიმაჩნია იმის აღნიშვნაც, რომ საბჭოთა საექსკურსიო ხელოვნების სათავეში იდგა ირაკლი ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი), რომლის ოსტატობის წყალობით და ძალისხმევით შეიქმნა პირველი თემატური ექსკურსიები ლენინგრადში: პუშკინი პიტერში, ლერმონტოვი პეტერბურგში და სხვ. თემატიკის გამო ეს სანიმუშო ექსკურსიები თავისუფალი იყო პირველი ამოცანის შესრულებისაგან და შესაბამისად, ინტელექტს და გემოვნებას ქონდა გამომჟღავნების სრული თავისუფლება.

რაც შეეხება მესამე ამოცანას – „ენის კარგად ცოდნა და ექსკურსიის ჩატარების უნარი", ამ მიმართებით საბჭოთა მეთოდოლოგიას გააჩნდა რიგი უპირატესობებისა, რომლის წყალობით მთელს ევროპაში დღეს წარმატებით საქმიანობენ გიდებად მოსკოველი, პეტერბურგელი, ოდესელი, თუ თბილისელი გიდები.

ამდენად, დასკვნის გაკეთება შედარებით ადვილია კითხვაზე, თუ რა უნდა მოგვეშორებინა წინა წლების გამოცდილებიდან, რომ შეგვექმნა საექსკურსიო მენეჯმენტის თანამედროვე სკოლა. უნდა უპირობოდ უარი გვეთქვა ნომერ პირველ ამოცანაზე – „საბჭოთა ცხოვრების წესის (ზოგადად სოციალიზმის) უპერატესობის მტკიცებაზე კაპიტალისტურთან შედარებით". დანარჩენი მეთოდოლოგია კი უნდა შეგვენარჩუნებინა. რაც დამოუკიდებლობის წლებში არ მოხდა.

2. საექსკურსიო მენეჯმენტის მდგომარეობა დამოუკიდებლობის წლებში. მოთხოვნები ექსკურსიისადმი და ქართული სინამდვილე.

დამოუკიდებლობის მიღებისთანავე დღის წესრიგში დადგა უმნიშვნელოვანესი საკითხი ექსკურსიების ორგანიზებაზე და მის შინაარსზე პასუხისმგებლობის აღების შესახებ. ყოველგვარი რეგულაციები-

სა და კანონქვემდებარე აქტების არსებობის გარეშე, სრულიად თავისუფალი ბაზრის პირობებში, ეს ფუნქცია ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე თავის თავზე აიღეს ტურისტულმა ფირმების ერთმა ნაწილმა, ცალკეულმა კერძო პირებმა, შემდეგ საკმაოდ მოგვიანებით ამ სეგმენტზე გამოჩნდნენ ორგანიზაციები, რომლებმაც განიზრახეს გიდების მომზადებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით მეტნაკლებად პროფესიულ დონეზე ექსკურსიების მომზადების მოკლევადიანი კურსების ორგანიზება. სამწუხაროდ, მათ მიერ მიღწეული შედეგის შეფასების მონიტორინგი არ არსებობს. ასევე არ არსებობს შიდა და გარე აუდიტის, ან ექსპერტთა შეფასების მეთოდოლოგია, მისი განხორციელების სურვილი და მცდელობაც კი. ბოლო ეტაპი ამ მიმართულებით იყო პროფესიოულ კოლეჯებში გიდის სპეციალობის შემოღება და სწავლების დაწყება. აქაც არის სერიოზული პრობლემები. თუ როგორ შეძლებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ბაზაზე მომზადებული ახალგაზრდები ამ პროფესიის დაუფლებას. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება კულტურული მემკვიდრების ღირსებების უცხოელ ტურისტამდე მიტანას, რისთვისაც აუცილებელია ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე ტურისტებისათვის ძეგლის ღირსებების მიტანა და სხვა. აქაც უნდა ჩატარდეს მონიტორინგი და კვლევა იმისა, თუ რამდენად დაეუფლნენ ახალგაზრდები პროფესიას და რა შეხედულება აქვთ მათზე ტურისტებს.

რა როლი უნდა შეასრულოს ამ საკითხში სახელმწიფომ? უნდა იდგეს ის განზე? ან მიუშვას ყველა აქტორი თავის ნებაზე, შეაგულიანოს ისინი: აკეთეთ რაც გინდათ! ილაპარაკეთ რაც გინდათ! თუ მომჩივანი არა გყავთ, ე.ი. ყველაფერი წესრიგშია. უპრიანია ვიკითხოთ რა ხდება ამ მიმართებით სხვა ქვეყნებში?

ჩვენი ქვეყანა სრულიად სამართლიანად იბრძვის ევროპის სივრცეში საკუთარი ადგილის მოსაპოვებლად. ამ მიმართულებით ჩვენი მიზანია ევროპულ საკანმომდებლო სივრცესთან ინტეგრაცია და ჩვენი კანონების ჰარმონიზაცია ევროპულთან. ***2008 წლის მარტში ევროკავშირმა მიიღო გიდის ევროპული სტანდარტი # 15565, რომელიც დეტალურად აღწერს პროფესიის მიღების შესაძლებლობებს***. ამ სტანდარტამდე ისინი მივიდნენ გარკვეული კომპრომისების შედეგად, რადგან არც ევროპის ქვეყნებს ქონდათ ერთნაირი კანონმდებლობა მითუმეტეს, ტურიზმში. მაგ. ევროკავშირმა აიძულა საბერძნეთი შეეცვალა ფორმულირება ეროვნულ კანონში #710/77 საერთაშორისო ტურიზმში საქმიანობის შესახებ. მასში იყო ფრაზა: „საბერძნეთში ექსკურსიამძღოლი შეიძლება გახდეს მხოლოდ ბერძენი ეროვნების მოქალაქე“ ამჟამად იგი შეცვლილია. სამაგიეროდ ბერძნებს აქვთ ევროპაში ყველაზე სრულყოფილი და დახვეწილი კანონი საერთაშორისო ტურიზმში მომუშავე გიდებისათვის. პირები, რომლებმაც განიზრახეს ადგილობრივ მოსახლეობასთან, ან უცხოელებთან მომუშავე ექსკურსიამძღოლი გახდეს, უნდა დაამთავრონ გიდების სკოლა, ასეთი სკოლები არსებობს უცხოელ ტურისტებთან მომუშავე გიდების გაერთიანებასთან და ისინი მისი ეგიდით ფუნქციონირებენ. ახალი წესით მისი დამთავრება და საბერძნეთში მუშაობა უკვე შეუძლიათ უცხოელებსაც, რომლებმაც უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი მოთხოვნები:

1.უცხოელმა გიდებმა უნდა მოიპოვონ საბერძნეთში ექსკურსიამძროლად მუშაობის უფლება,რომელიც შეიძლება მიიღოს უცხოელმა 1 წლამდე ვადით.

2.გიდი-ექსკურსიამძღოლები ვალდებულები არიან თან ახლდნენ ტურისტებს ქვეყანაში, ან ქვეყნის გარეთ, მოგზაურობისას დაუშვებელია ტურისტების გიდის თანხლების გარეშე მოგზაურობა.

3.მუზეუმების, თეატრების, არქეოლოგიური გათხრების დათვალიერებისას თანმხლებ გიდ-ექსკურსიამძღოლს არა აქვს უფლება:

ა) ჩაატაროს ექსკურსია გათხრებზე და მუზეუმებში,

ბ) შეცვალოს ბერძენი ექსკურსიამძღოლი

გ)გამოიყენოს მიკროფონი (ხმის გამაძლიერებელი)

4. თუ ბერძენი გიდი-ექსკურსიამძღოლი არ ფლობს ტურისტების ენას, მაშინ უნდა მოწვეული იქნას გიდი – თარჯიმანი, რომელიც მის საუბარს სრულად გადათარგმნის.

5. გიდი-ექსკურსიამძღოლი, რომელმაც საბერძნეთის კანონმდებლობა დაარღვია, ან ვადა გაუვიდა მის უფლებამოსილებას ხელმძღვანელობასთან, კარგავს ექსკურსიის ჩატარების უფლებას. მან ეს უფლება თავიდან უნდა მოიპოვოს.

6. გიდი –ექსკურსიამძღოლები არ ატარებენ ექსკურსიას მაშინაც, თუ ჯგუფს თან ახლავს „დამუნჯებული“ ბერძენი გიდი. თანახმად ბერძნული კანონებისა #710/77 და # 393/76 ბერძნული ბიურო და მისი გიდი შემდეგ ამ კანონების საფუძველზე დაისჯებიან.

7. პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლების არქონის შემთხვევაში ექსკურსიის ჩატარების გამო შესაძლებელია დაწესდეს მასზე თავისუფლების აღკვეთა 3-თვემდე ვადით, ან ფულადი ჯარიმა 20.000 ევროს ოდენობით. ჯარიმას გადაიხდის აგრეთვე ტურისტული ბიურო, სადაც უფლების არ მქონე პირი მუშაობდა.

8. უცხოელ ტურისტებთან მომუშავე გიდ-ექსკურსიამძღოლს ეკრძალება ტურების გაყიდვა, რაზეც აკრძალვა გათვალისწინებულია კანონმდებლობით. ნება დართული არ არის აგრეთვე:

- ექსკურსიების, ან სამოგზაურო პროგრამების ნაწილის მოწყობა და ამ მიზნით ქვეყნის ფარგლებში, ან გარეთ სატრანსპორტო საშუალებების დაგირავება და ღონისძიებების გამართვა ხმელეთზე, წყალზე, ან ჰაერში. შუამავლობის, საცხოვრებელი ფართის გაქირავების, დასვენების, მოვლის, სანსატრანსპორტო საშუალებების გაქირავების მიზნით.

- შუამავლობა ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებებზე ბილეთების შეძენის მიზნით;
- შუამავლობა კონგრესების ორგანიზების მიზნით;
- ბარგის მიღება და გაგზავნა;
- შუამავლობა სამოგზაურო პასპორტის მიღებაში;
- ყველა სხვა საქმიანობა, რომელიც პირდაპირ, ან ირიბად ტურიზმის, სასტუმროს, რეკლამის, ბილეთების რეალიზაციასთან, ან საბერძნეთის ტურიზმის ეროვნული ორგანიზაციის (EOT) საქმიანობით არის გათვალისწინებული.

9. ზემოაღნიშნული კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში საქმე სასამართლოში უნდა იქნას განხილული სასწრაფო წესით.

10. ექსკურსიამძღოლის ისეთი ქმედებები, რომლებიც საბერძნეთის სახელმწიფოს ინტერესებს, ან უსაფრთხოებას დაარღვევენ, კანონით უნდა აღიკვეთთოს.

11. მხოლოდ კუნძულ კორფუს ექსკურსიამძღოლებს ეკრძალებათ სპეციალური კანონით- საბერძნეთის ტურიზმის ეროვნული ადმინისტაციის ბრძანება #5 14769 რეგისტრირებული 30.3.78 წელს გაყვნენ ავტობუსით ტურისტებს სასტარტი პუნქტიდან 5-კმ-ზე მეტ მანძილზე.

12. ექსკურსიამძღოლებს ეკრძალებათ მიიღონ საკომისიო, ფინანსური სამსახურის მიერ დამოწმებული ქვითრის გარეშე

13. ყოველგვარი ექსპორტი უცხოური ვალუტისა უნდა იყოს შეთანხმებული სპეციალური გადაწყვეტილებებით ეროვნული ვალუტის დაცვის მიზნით. საბერძნეთის გაწევრიანებასთან ერთად ევროკავშირში და ამ უკანასკნელის მოთხოვნით რიგი პირობები ზემოაღნიშნული კანონისა გაუქმდა, მაგ. მე-13 პუნქტი, რომელშიც დარჩა მხოლოდ ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა გიდების სკოლების მოთხოვნები, რომელიც ევროკავშირის ყველა წევრისათვის სავალდებულოდ დარჩა. გამონაკლისი მიღებულ იქნა მხოლოდ საზღვარგარეთის უნივერსიტეტების არქეოლოგიის პროფესორების მიმართ.

ადგილობრივი (ლოკალური) ბერძენი გიდი:

საბერძნეთში სრულიად განსხვავებულია მოთხოვნები ადგილობრივი (ლოკალური) ექსკურსიამძღოლისა და იმ გიდის მიმართ, რომელიც ატარებს ექსკურსიებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ლოკალურმა ექსკურსიამძღოლმა უნდა დაამთავროს ერთწლიანი კურსები, რომელსაც საბერძნეთის უცხოეთის ტურიზმის გაერთიანება აწყობს. ვინც კორფუში ერთწლიან კურსებს დაამთავრებს, მას ეძლევა უფლება იონიის კუნძულზე და ეპიროტის სანაპიროზე მეტეორას მონასტრის ჩათვლით ლიცენზიის საფუძველზე ჩაატაროს ექსკურსიები. შემდგომში სწავლება გრძელდება კუნძულ როდოსზე, სადაც ერთწლიანი სწავლების შემდეგ გაიცემა ლიცენზია დოდეკანესის ყველა კუნძულზე და აგრეთვე კუნძულ კრეტაზე ექსკურსიის ჩასატარებლად.

ქვეყნის მასშტაბის ბერძენი გიდი-ექსკურსიამძღოლი:

ზემოაღნიშნულ სკოლებში სწავლების დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელება შესაძლებელია ათენში სპეციალურ სასწავლებელში სადაც ორწლიანი სწავლების შედეგად ქვეყნის მასშტაბის გიდი-ექსკურსიამძღოლის დიპლომის მიღებაა შესაძლებელი. მეორე ასეთი სკოლა არსებობს თესალონიკში. ე.ი. საბერძნეთში არსებობს ორი სახის სრულიად განსხვავებული ლოკალური და ქვეყნის მასშტაბის ექსკურსიამძღოლის ლიცენზია. მხოლოდ ასეთი ლიცენზიის მქონე გიდები არიან უფლებამოსილნი საბერძნეთში ქვეყნის მასშტაბით გაუძღვნენ ტურისტებს. ლოკალურ ექსკურსიამძღოლებს სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ დაამთავრონ ორწლიანი სკოლები ათენსა და თესალონიკში და მიიღონ ლიცენზია.

ორწლიან სკოლაში შემსვლელები გადიან ტესტირებას და აბარებენ მისაღებ გამოცდებს იგივე პროცედურას გადიან ლოკალური ექსკურსიამძღოლები. განსხვავება ისაა, რომ ლოკალური გიდები კორფუსა და კრეტაზე ექსკურსიებისაგან თავისუფლდებიან. მისაღები გამოცდებისაგან თავისუფლდებიან არქეოლოგები, რომლებიც უგამოცდოთ ირიცხებიან და ორწლიანი სწავლის შემდეგ იღებენ ლიცენზიას.

მისაღები გამოცდები და მიღების პირობები გიდ-ექსკურსიამძღოლთა ათენის სკოლაში:

ათენის გიდ-ექსკურსიამძღოლთა სკოლაში მოსახვედრად საჭიროა ურთულესი მისაღები გამოცდების ჩაბარება. პირველი პირობაა აბიტურიენტთა ასაკი, ის არ უნდა აღემატებოდეს 35 წელს. ევროკავშირის წევრობის გამო მიღებისათვის გათვალისწინებულია ევროპული კავშირის ქვეყნების გამოცდილება.შემდეგი მოთხოვნა ბერძნულის სრულყოფილად ცოდნა და ბერძნულ ენაზე:

ა) განსაზღვრულ თემაზე თხუზულების დაწერა;

ბ) თხუზულება საბერძნეთის გეოგრაფიაში

გ)თხუზულება საბერძნეთის ისტორიაში

გასაუბრება კომისიის წევრებთან, რომელშიც საბერძნეთის ტურიზმის ეროვნული გაერთიანების წევრები და მისი გენერალური მდივანი შედიან.

აღნიშნულ გამოცდებამდე კანდიდატი აბარებს გამოცდებს უცხო ენაში, მიუხედავად ეროვნებისა ათენში არსებულ რომელიმე უცხოეთის კულტურის ინსტიტუტში.მაგალითად,გერმანელებისათვისგოეთესინსტიტუტში,ინგლისურენოვანთათვის ბრიტანულ საბჭოში და ა.შ. ცოდნა უნდა შეესაბამებოდეს ტოეფელის გერმანულ ენის დიდი დიპლომის დონეს, ეს გამოცდების პირველი საფეხურია.მეორე საფე-

ხური ბევრად რთული და საპასუხისმგებლოა, რადგან კანდიდატი სამ წესით გამოცდას აბარებს და ერთ ზეპირ გამოცდას გასაუბრებას როგორც წესი ათენის სკოლაში მიღების სურვილს ყოველწრიულად 500-ზე მეტი აბიტურიენტი გამოთქვამს, მაშინ, როცა მისაღებია 50 სტუდენტი.

სასწავლო გეგმა

უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი და ქვეყნის მასშტაბის ექსკურსიამძღოლებისათვის სასწავლო გეგმა ერთნაირია. განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ საგნის მოცულობაში. ლოკალური გიდები მხოლოდ რეგიონის მასშტაბის საგნებს გადიან. ორწლიანი სწავლება შედგება, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ნაწილისაგან.

ა) თეორიული ნაწილი:

- 90 სთ კლასიკური არქეოლოგია და მშენებლობის ტოპოგრაფია;
- 90 სთ ბიზანტიური და გვიან ბიზანტიური ხელოვნების ისტორია და
- შენობის ტოპოგრაფია;
- 60 სთ წინა და ადრეისტორიული არქეოლოგია, შენობის
- ტოპოგრაფია;
- 50 სთ ევროპული ხელოვნების ისტორია, X-XX საუკუნეები
- 45 სთ ბიზანტიის ისტორია
- 30 სთ ახალი საბერძნეთის ისტორია XIX-იდან დღემდე
- 30 სთ ბერძნული რომაული და ახალბერძნული თეატრი;
- 30 სთ საბერძნეთის მხართმცოდნეობა;
- 30 სთ ბერძნული და ახალბერძნული სახელმწიფოები;
- 25 სთ ახალბერძნული ლიტერატურა;
- 25 სთ საბერძნეთის ტურისტული გეოგრაფია;
- 25 სთ რეფერატების მომზადება საექსკურსიო თემებიდან;
- 20 სთ საბერძნეთის ხალხური ხელოვნება;
- 20 სთ ექსკურსიის მომზადებისა და ჩატარების მეთოდიკა და
- ხელოვნება;
- 15 სთ საბერძნეთის ტურიზმის კანონმდებლობა;

ბ) პრაქტიკული ნაწილი:

- 100 სთ ლექციები ათენის რეგიონის მუზეუმებში.
- 70 დღიანი სასწავლო ექსკურსიები საბერძნეთში [3]

როგორც სასწავლო გეგმიდან ჩანს სწავლება ძალიან მრავალმხრივია. პედაგოგებად მოწვეულნი არიან საბერძნეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლების მეცნიერები, რომლებიც ცნობილნი არიან თავიანთი პუბლიკაციებით, როგორც საბერძნეთში, ასევე საზღვარგარეთ. სასწავლო პროცესში ჩართულები არიან გამოცდილი ან ყოფილი ექსკურსიამძღოლები, რომლებსაც მეთოდური კურსი მიჰყავთ. ასეთი მოკლე მიმოხილვაც კი საკმარისია იმ დასკვნის გამოსატანად, რომ ჩვენ არ მივდივართ სწორი გზით. გაცილებით სწორი იქნებოდა უმაღლესი ჰუმანიტარული განათლების ბაზაზე ენის მცოდნე პირების ხანგრძლივვადიან (მაგ. ერთწლიან) კურსებზე მომზადება. დაუშვებელია დიპლომში, სერთიფიკატში, ან მოწმობაში მხოლოდ სიტყვა – გიდის ჩაწერა. გიდი უნდა მიბმული იყოს გარკვეულ ლოკაციაზე, მუზეუმზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე და ა.შ., რომელსაც პირი სწავლების დროს საფუძვლიანად შეისწავლის და კომისიური წესით ჩააბარებს საფინალო გამოცდაზე და მხოლოდ ამის შემდეგ მის დიპლომშიც სათანადოდ აისახება.

3. უპასუხოდ დარჩენილი თანამედროვე გამოწვევები და საფრთხეები

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ტექნიკური პროგრესი. ტურიზმი ღრუბელივით იწოვს სიახლეებს და საზოგადოებაც მოითხოვს ტურისტული სერვისისგან მომსახურების თანამედროვე ფორმებს. ელექტრონული ტექნიკის არნახული წარმატებების შედეგად დაინერგა ტურიზმში მომსახურების ახალი ფორმა – ელექტრონული ექსკურსიები. დასავლეთში უკვე დიდი წარმატებით ატარებენ ელექტრონულ ექსკურსიებს მუზეუმებსა და ისტორიულ ქალაქებში. საყოველთაოდ გავრცელებულია საქალაქო ელექტრონული ექსკურსიის შემდეგი ფორმები:

1. აუდიო საქალაქო ექსკურსიები;
2. აუდიო-ვიზუალური საქალაქო ექსკურსიები;
3. ვირტუალური საქალაქო ექსკურსიები ინტერნეტის გამოყენებით. [4]

ჩვენთან არ დანერგილა არცერთი ეს სიახლე. სამაგიეროდ ჩვენ უკვე დიდი რაოდენობით ვიღებთ ტურისტებს, რომლებიც შეიარაღებულნი არიან სმარტფონებში ჩაწერილი აპლიკაციებით. ეს აპლიკაციები შემუშავებულია იმ ტურისტული ფირმების მიერ, რომლებიც საქართველოში აგზავნიან ტურისტებს წინანარ შედგენილი მარშრუტით. ამ მარშრუტზე არსებული ღირსშესანიშნაობების შესახებ ინფორმაციას ამზადებს უცხო ქვეყნის ტუროპერატორი. სწორედ ეს არის გამოწვევაც და საფრთხეც. ვინ იცის რამდენად კომპეტენტურია უცხო ქვეყნის ტუროპერატორი? რამდენად სანდოა მის მიერ მომზადებული ინ-

ფორმაცია? ხომ არ ხდება ფაქტების შეგნებულად ან უნებლიედ დამახინჯება? რა უნდა იღონოს სახელმწიფომ ფაქტის დასადგენად და გაანალიზებისათვის?

გარდა აღნიშნული სირთულისა არის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება, როცა მეზობელი სახელმწიფოებიდან ტურისტული ჯგუფები შემოდიან საკუთარი გიდებით, რომელთა კომპეტენცია და მიზნები დაუდგენელია. ზემოთ უკვე განვიხილეთ საბერძნეთის მაგალითი. თუმცა, ძნელად სარწმუნოა საქართველომ შეძლოს გიდების მომზადება საბერძნეთის სტანდარტით, ან უცხოელი გიდებისათვის გარკვეული შეზღუდვების დაწესება!

ამრიგად, სახეზეა საქართველოში საექსკურსიო მენეჯმენტის საყოველთაო ხარვეზები. რაც იმას არ ნიშნავს, რომ დარგში არ არიან კომპეტენტური ტურისტული ფირმები და საუკეთესო გიდი-პროფესიონალები. საჭიროა, რომ სახელმწიფო არ იყოს ტურფირმების კეთილი ნების იმედზე, არამედ შემოიღოს რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს გიდის მომზადების სახელმწიფო სტანდარტის შემუშავებასა და დანერგვას, პასუხისმგებლობას ექსკურსიის შინაარსზე, ამასთანავე დააკისრებს უცხო ქვეყნების სუბიექტებს პასუხისმგებლობას ტექნიკური პროგრესის შესაბამისად, აპლიკაციების შედგენასა და გავრცელებაზე, ხოლო უცხო ქვეყნის გიდებს განუსაზღვრავს სამოქმედო არეალს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Соловьев А.А. ЗАРОЖДЕНИЕ МЕЖДУНАРОДНОГО МОЛОДЕЖНОГО ТУРИЗМА В СССР – http://umc.gu-unpk.ru/umc/arhiv/2006/2/Soloviev.pdf
2. ОРЛОВ И. Б. *СТАНОВЛЕНИЕ ИНСТИТУТА ГИДОВ-ПЕРЕВОДЧИКОВ В СССР (1929-1939 гг.)* - *http://www.hse.ru/data/2012/10/19/1247398334/2.pdf*
3. Martin Schmidt, Wolfgang Nahrstedt. Der Reiseleiter in Europa´93. Bielefeld 1993. გვ.166-171
4. ნ. კვარაცხელია, ე. არჩვაძე. გიდის ხელოვნება. თბ. 2012. „საუნჯე“. გვ. 161-162

ნიკო კვარაცხელია

საექსკურსიო მენეჯმენტის პრობლემები საქართველოში

რ ე ზ ი უ მ ე

სტატია შეეხება ტურიზმის ერთერთი მნიშვნელოვან სეგმენტს – საექსკურსიო მომსახურებას, რომელიც გარკვეულწილად ზემოქმედებს ტურისტის მიერ სამოგზაურო ქვეყნის შესახებ აზრის ფორმირებაზე. სტატიაში განხილულია: 1. საბჭოთა მემკვიდრეობის გაკვეთილები; 2. საექსკურსიო მენეჯმენტის მდგომარეობა დამოუკიდებლობის წლებში. მოთხოვნები ექსკურსიისადმი და ქართული სინამდვილე; 3. ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაზე მოქმედი ტექნიკური პროგრესის შედეგად უპასუხოდ დარჩენილი თანამედროვე გამოწვევები და საფრთხეები. ტურიზმი ღრუბელივით იწოვს სიახლეებს და საზოგადოებაც მოითხოვს ტურისტული სერვისისგან მომსახურების თანამედროვე ფორმებს. ელექტრონული ტექნიკის არნახული წარმატებების შედეგად დაინერგა ტურიზმში მომსახურების ახალი ფორმა – ელექტრონული ექსკურსიები.

ჩვენ უკვე დიდი რაოდენობით ვიღებთ ტურისტებს, რომლებიც შეიარაღებულნი არიან სმარტფონებში ჩაწერილი აპლიკაციებით. ეს აპლიკაციები შემუშავებულია იმ ტურისტული ფირმების მიერ, რომლებიც საქართველოში აგზავნიან ტურისტებს წინაწარ შედგენილი მარშრუტით. ამ მარშრუტზე არსებული ღირსშესანიშნაობების შესახებ ინფორმაციას ამზადებს უცხო ქვეყნის ტუროპერატორი. სწორედ ეს არის გამოწვევაც და საფრთხეც. საჭიროა, რომ სახელმწიფო არ იყოს ტურფირმების კეთილი ნების იმედზე, არამედ შემოიღოს რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს გიდის მომზადების სახელმწიფო სტანდარტის შემუშავებასა და დანერგვას, პასუხისმგებლობას ექსკურსიის შინაარსზე, ამასთანავე დააკისრებს უცხო ქვეყნების სუბიექტებს პასუხისმგებლობას ტექნიკური პროგრესის შესაბამისად, აპლიკაციების შედგენასა და გავრცელებაზე, ხოლო უცხო ქვეყნის გიდებს განუსაზღვრავს სამოქმედო არეალს.

Niko Kvaratskhelia

EXCURSION MANAGEMENT PROBLEMS IN GEORGIA

Summary

Tour guide service is one of the most important segment of tourism that have an affect on tourist opinion about the target country. This paper deals with: 1. The lessons of Soviet heritage 2. Travel management in the years of independence. Tour guide requirements and Georgian reality; 3. Missed modern challenges and threats of tourism development industry ,as a result of technical progress. Tourism absorbs innovations and society also requires modern forms of tourism service . As a result of unprecedented success of electronic equipments, a new form of tourism service- electronic tours-were implemented.

We have been receiving a large number of tourist, who are armed with smart phone recorded applications. These applications have been developed by the tourism firms, which send tourists to Georgia with prior drawn tourists route. The information about sightseeing on this route is prepared by foreign tour operators and this is the right challenge and the threat. It is necessary for the state not to be dependent on goodwill of tour firms, but to introduce regulations that provide development and implementation of the state standards for tour guide preparation and the responsibility of the tour content, at the same time, impose foreign entities responsibility for application development and dissemination in accordance with technical progress, and define action area for foreign guides.

სოფიკო თევდორაძე

მარკეტინგი ტურისტული საწარმოს საქმიანობაში

ტურიზმის ინდუსტრია სამართლიანად ითვლება ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ, მაღალშემოსავლიან და დინამიკურად განვითარებად დარგად, უცხოური ვალუტის შემოდინების აქტიურ წყაროდ და ზეგავლენას ახდენს ქვეყნის საგადამხდელო ბალანსზე. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ ამ საქმიანობისადმი ინტერესი ყოველწლიურად იზრდება და მასში პრაქტიკულად მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაა ჩართული.

თანამედროვე ტურიზმი განსხვავდება მთელი რიგი თავისებურებებით, მართვის, ფასწარმოქმნის, საგადასახადო, საფინანსო რესურსების წრებრუნვის, ტურისტული პროდუქტის, სერვისის და წარმოების ორგანიზაციის მახასიათებლების თვალსაზრისით.

ტურიზმის ინდუსტრიის სისტემაში შედიან ისეთი სპეციფიკური საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, როგორიცაა:

- ტურისტული პროდუქტის დამამუშავებელი და რეალიზაციის საწარმოები (ტუროპერატორები და ტურაგენტები);
- საწარმოები, რომლებიც სამსახურს ეწევიან განთავსებაზე (სასტუმროები, მოტელები, კემპინგები, პანსიონატები, დასასვენებელი სახლები და სხვა);
- კვების საწარმოები (რესტორანი, კაფე, ბარი, და სხვა);
- სატრანსპორტო საწარმოები;
- სავაჭრო დაწესებულებები;
- საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციები და გაერთიანებები;
- ტურიზმში მაკოორდინირებელი და მარეგულირებელი ორგანოები ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე და სხვა.

გამომდინარე აქედან, ტურიზმის სფეროში შეიძლება გამოვყოთ მარკეტინგის გამოყენების შემდეგი დონეები:

- ტურისტული საწარმოების მარკეტინგი;
- ტურისტული მომსახურების მწარმოებელთა მარკეტინგი;
- საზოგადოებრივი ტურორგანიზაციების მარკეტინგი;
- ტერიტორიებისა და რეგიონების მარკეტინგი;

ტურისტული ინდუსტრიის საწარმოებს მკაცრ კონკურენტულ ბრძოლაში უწევთ მოღვაწეობა, რომლის დროსაც ჩნდება ტურისტული კომპანიების მართვის ახალი ინოვაციური მოდელები, რომლებიც ითვალისწინებენ ბიზნესის ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პროცესებს. აღნიშნული კი დაკავშირებულია მარკეტინგული კვლების ჩატარებასთან, ტურისტული პროდუქტის წარმოებასა და წინ წაწევასთან, ასევე, პერსონალის პროფესიული დონის ამაღლებასთან, რისკების შემცირებასა და უპირეტესობისაკენ სწრაფვასთან. არა ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება შეთავაზებული მომსახურების მიწოდების ხარისხს და პერსპექტიულ სტრატეგიულ დაგეგმვას, რასაც ტურისტული საწარმოები აღწევენ ტურისტული საქმიანობისადმი მარკეტინგული მიდგომით. გამომდინარე აქედან, ძალზედ მნიშვნელოვან დონეს წარმოადგენს ტურისტული საწარმოების მარკეტინგი, რომელიც თავის მხრივ ორიენტირებული უნდა იყოს შემდეგი მარკეტინგული ფუნქციების შესასრულებლად:

- საბაზრო შესაძლებლობათა ანალიზი;
- პერსპექტიული მიზნობრივი ბაზრის შერჩევა;
- ტურისტული პროდუქტის დამუშავება;
- ტურისტული პროდუქტის გავრცელება;
- ტურისტული პროდუქტის წინწაწევა;
- ტურიზმის მარკეტინგში ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი კონცეფციის განვითარების რეალიზაციაში მონაწილეობა.

ტურისტულ ინდუსტრიაში სამეწარმეო საქმიანობა უმეტეს წილად დაკავშირებულია კონკურენციის მაღალ ხარისხთან. ითვლება რა ფირმის აქტიურობის ყველაზე მგძნობიარე ინდიკატორად, იგი განსაზღვრავს მრავალ მარკეტინგულ მახასიათებელს:

- გაყიდვების მოცულობას;
- ფასებს;
- რეკლამის მეთოდებს;
- გასაღების სტიმულირებას.

მარკეტინგი მომსახურების სფეროში, მათ შორის ტურისტულშიც, არის ჩანაფიქრის დაგეგმვა/შესრულების, ფასწარმოქმნის, მომსახურების წინ წაწევისა და რეალიზაციის პროცესი, რაც ორიენტირებულია მომხმარებლის სპეციფიკური მოთხოვნების გამოვლენაზე. ის მოწოდებულია დაეხმაროს კლიენტს შეაფასოს ფირმის მომსახურება და გააკეთოს სწორი არჩენავი. მარკეტინგის კონცეფცია მიმართულია

არა მარტო გასაღების პოლიტიკაზე, არამედ ის მოიცავს კომპანიის მთლიან საქმიანობას . იგი ხელს უწყობს ტურისტულ საწარმოს, რომ მისი რესურსი მიყვანილ იქნას ტურისტული ბაზრის მოთხოვნებისა და შესაძლებლობების შესაბამისობაში მოგების მიღების მიზნით.

ცნობილი მარკეტოლოგი პ. დრუკერი წერდა :"მარკეტინგის მიზანია არ გახდეს საჭირო გასაღების ძალისხმევა, მისი მიზანია ისე კარგად შეისწავლოს და გაუგოს კლიენტს, რომ საქონელი თუ მომსახურება ზუსტად მოერგოს კლიენტს და თვითონ გაყიდოს თავისი თავი".[1]

ამგვარად, ტურისტული ფირმები მუდმივად უნდა ახდენდნენ ბაზრისათვის მიწოდებული ტურისტული პროდუქტის მოდიფიცირებას. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ბაზარი მუდმივ მოძრაობაში, დინამიკაში იმყოფება, სხვადასხვა ფაქტორების გავლენით. იცვლება მომხმარებელთა მოთხოვნა, კონკურენტებიც მუშაობენ ბაზარზე ახალი მომსახურების დასანერგად. აქედან გამომდინარე, მარკეტინგი წარმოადგენს უწყვეტ პროცესს და ტურისტული საწარმო უწყვეტად უნდა იყოს მასში ჩართული. ვინაიდან ტურიზმი არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ ერთდროულად სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური და პოლიტიკური მოვლენა, ტურისტულმა საწარმომ მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს ტურიზმისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, რათა მიღწეულ იქნას როგორც ტურისტული საწარმოს მუშაობის, ისე მომხმარებლის მომსახურების მაღალი ხარისხი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Басовкий Л.Е. - Маркетинг . М., 2000. С.9
2. ს. თევდორაძე – მარკეტინგი ტურიზმში 2014
3. მ. მეტრეველი – ტურიზმის ბიზნესი 2011

სოფიკო თევდორაძე

მარკეტინგი ტურისტული საწარმოს საქმიანობაში

რეზიუმე

XX საუკუნიდან ტურიზმს, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენას, ინდუსტრიის უმსხვილეს სექტორს განსაკუთრებული თავისებურებები გააჩნია, მართვის, ფასწარმოქმნის, საგადასახადო, საფინანსო რესურსების წრებრუნვის, ტურისტული პროდუქტის, სერვისის და წარმოების ორგანიზაციის მახასიათებლების თვალსაზრისით, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა წარიმართოს ტურისტული საწარმოს მარკეტინგული საქმიანობა.

აღნიშნულ სტატიაში განხილულია საბაზრო მართვის თანამედროვე კონცეფციები ტურიზმში. ახსნილია თუ რას წარმოადგენს მართვა მარკეტინგის საშუალებით და განხილულია ტურიზმის სფეროში მარკეტინგის გამოყენების დონეები.

Sopiko Tevdoradze

MARKETING IN FUNCTIONING OF TOURISM ENTERPRISE

Summary

Since XX century, tourism, as social, economic and political event and broad industry sector, has been characterized by certain peculiarities from the viewpoint of management, price formation, taxation, finance resource turnover, touristic product, organization of service and production. All these factors must be considered in marketing activities of tourism enterprise.

The article discusses modern concepts of market management in tourism. The author explains what the management with proper marketing means. She also analyses the levels of marketing application in the sphere of tourism.

ზურაბ ლაოშვილი

საქართველოში გის-ის მიმდინარე პრობლემები

საქართველოში გეოინფორმაციული სისტემები უკვე სამ ათეულ წელზე მეტია წარმატებით გამოიყენება, როგორც სახელმწიფო უწყებებში, ისე კერძო და ბიზნეს სექტორში. მიუხედავად ამისა, ამ ხნის განმავლობაში მთელი რიგი პრობლემები დაგროვდა, რომელთა გადაჭრა აუცილებლად მიგვაჩნია. საქმე ის არის, რომ ჩვენთან ეს ტექნოლოგიები დასაწყისში სპონტანურად, ძირითადად კერძო ინიციატივების ხარჯზე ვითარდებოდა. ზოგადად მონაცემთა სივრცითი ანალიზის ტექნოლოგიები გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ჩაისახა. საქართველოში იგი 80-იანი წლებიდან იღებს სათავეს და პროფესორ ნიკოლოზ ბერუჩაშვილის სახელთან არის დაკავშირებული. მისმა აღზრდილებმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს კომერციული გის-ების განვითარებაში. მალხაზ ხურციძის და გიორგი გოცირიძის სახელთან არის დაკავშირებული გის-ის სახელმწიფო დონეზე დანერგვაც. ამავე დროს, მათ მიერ დაარსებული კომპანია – „გეოგრაფიკი“ უალტერნატივო ლიდერია ქართულ ბაზარზე და გის-ის განვითარების კუთხით დიდ წარმატებებსაც მიაღწია.

ამ წარმატებების ფონზე ზოგადი გის პრობლემები მაინც არსებობს და ეს ბუნებრივიცაა. მაინც, რა პრობლემებზეა საუბარი? უპირველს ყოვლისა საჭიროა გეომონაცემთა ბაზების სტანდარტების დახვეწა. დღემდე არ არსებობს ერთიანი სახელმწიფო გეომონაცემთა ბაზები, რომელსაც დაეყრდნობა ქვეყნის გის-ის განვითარების სტრატეგია. ხშირად მაღალი ხარისხის სივრცითი ინფორმაცია მიუწვდომელია, ფუნქციონალური შეუთავსებლობის, მონაცემთა შექმნის, გამოქვეყნების, გაზიარების, სტანდარტების არარსებობის გამო. სახელმწიფო უწყებების უმეტესობა სხვადასხვა კომპანიების მიერ, განსხვავებული ხელწერით და სიზუსტით შექმნილ ციფრულ საფუძვლებს იყენებენ, რაც მთელ რიგ შეუსაბამოხებსა და უზუსტობებს ქმნის. სახელმწიფო მნიშვნელობის სამუშაოებს და გადაწყვეტილებებს, რომ თავი დავანებოთ სხვადასხვა საიტების ინტერაქტიურ ინტერნეტ რუკებზე ქალაქების სამისამართო მონაცემები და გზათა ქსელი განსხვავებულია, რაც გარკვეულ პრობლემებს უქმნის პირველ რიგში სანავიგაციო სისტემებს.

გარდა ამისა, მსგავსი ან იგივე მონაცემები ხშირად გროვდებოდა და ინახებოდა რამდენიმე სხვადასხვა ადგილზე სახელმწიფო ინსტიტუტებში, რაც დამატებით ხარჯებს და დროის დაკარგვას იწვევს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ დღემდე არ არის დამუშავებული ნაციონალური გის სისტემის განვითარების კონცეფცია. არადა ამის გარეშე წარმოუდგენელია ერთიანი გეომონაცმეთა ბაზების ფორმირება და ფუნქციონირება. მასში უნდა იქნას გაწერილი თუ რა სახის, რა მასშტაბის, რომელ კოორდინატთა სისტემაში უნდა იქნას ორგანიზებული ქვეყნის ციფრული ზოგად გეოგრაფიული საფუძვლები (რელიეფი, ჰიდროქსელი, მცენარეული საფარი, გზები, დასახლებული პუნქტები და სხვა), რომელზეც შემდეგ დატანილი იქნება თემატური მონაცემები. ამ კუთხით აუცილებელია შეიქმნას ციფრული საფუძვლების ერთიანი სტანდარტები და შემუშავდეს სახელმძღვანელო ინსტრუქციები.

სწორედ აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად საქართველოს მთავრობამ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მსგავსად, გადაწყვიტა, შექმნას და განავითაროს ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა (NSDI). იგი წარმოადგენს ინსტიტუციონალური ქმედებების, ტექნოლოგიების, წესების, სტანდარტების, მონაცემების და ადამიანური რესურსების კოორდინირებულ სისტემას, რომელიც ეროვნულ დონეზე სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის, მუნიციპალური თვითმმართველობებისათვის, აკადემიური წრეებისათვის, ბიზნეს სექტორისათვის და ზოგადად მოქალაქეებისათვის სივრცითი მონაცემების მოძიების, შეფასების, გამოყენების და გაზიარების ეფექტურ საშუალებას იძლევა.

პარალელურად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უკვე ორი წელია გეოსივრცითი მონაცემების ღია კონსორციუმის – OGC-ის წევრია. ტარდება კონსულტაციები ისეთ თემებზე, როგორიცაა სივრცითი მონაცემების ინტერნეტში განთავსება, უსაფრთხოება, მონაცემთა შენახვა, გეოსემანტიკა, ინტერნეტ დირექტივასთან შესაბამისობა, დაფარულობის სტანდარტების ჰარმონიზაცია, ურბანული დაგეგმარება, ადგილმდებარეობის განსაზღვრის მობილური სერვისები და ა.შ. კონსორციუმის მიზანი გეოინფორმაციული სერვისების კუთხით საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებაა. იგი 400–ზე მეტ ორგანიზაციას, კომპანიას, სახელმწიფო სააგენტოსა თუ უნივერსიტეტს აერთიანებს. თითოეული მათგანი გეოგრაფიული მონაცემების დამუშავების სტანდარტებისა და მოთხოვნების შემუშავების კუთხით საქმიანობს. აღნიშნული სტანდარტები და მოთხოვნები ხელს უწყობს სხვადასხვა გეოინფორმაციული სისტემების, მობილური კავშირებისა და ლოკალიზებული მომსახურების (LBS) ერთმანეთთან თავსებადობას, აგრეთვე, ინფორმაციული ტექნოლოგიების გავრცელებას და ეხმარება სისტემებისა თუ პროგრამების შემქმნელებს, მომხმარებლისთვის კომპლექსური გეოსივრცითი ინფორმაციისა და მომსახურების წვდომის უზრუნველყოფაში.

ასევე აუცილებელია პირობითი აღნიშვნების უნიფიცირება, რადგან სხვადასხვა უწყებები საკუთარ სიმბოლიკას იყენებს და ხშირად ეს ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას ართულებს. კერძო კომპანიების უმეტესობას მიაჩნია, რომ ამ მხრივ შეზღუდვები არ უნდა არსებობდეს. ვეთანხმებით, თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ ყველა სახელმწიფო უწყება ციფრულ რუკებზე უნიფიცირებულ სიმბოლიკას უნდა იყე-

ნებდეს. მაგალითად, დღემდე არ არის შემუშავებული ქალაქგეგმარებითი ან ტურისტული რუკების ერთიანი პირობითი აღნიშვნები და ავტორები, ხშირ შემთხვევაში საკუთარი გემოვნებით ქმნიან მას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა შეიქმნას თემატური სახელმწიფო კომისიები, რომლებიც შეიმუშავებენ და დაადგენენ სხვადასხვა მასშტაბის და თემატიკის პირობით აღნიშვნებს, რომელიც შესატყვისობაში იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან და, გარკვეულწილად გაითვალისწინებს ეროვნულ თავისებურებებსაც. გარდა ამისა, უნდა შეიქმნას მომხმარებლისთვის ადვილად მისაწვდომი პირობითი აღნიშვნების თემატური ციფრული კატალოგები.

დღემდე დეფიციტია ქართულ ენაზე სასწავლო-მეთოდური და სხვა სახის ლიტერატურა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს კვალიფიციური კადრის მომზადებას. 2004 წელს გამოიცა დ. ნიკოლაიშვილის სახელმძღვანელო „გეოინფორმაციული და ექსპერტული სისტემები". ამ ფუნდამენტალურმა ნაშრომმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწია საქართველოში გის-ის განვითარებას, თუმცა იგი უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. ამასობაში ბევრი რამ შეიცვალა და ახალ მიდგომებს საჭიროებს. ჩვენი აზრით, უნდა არსებობდეს ალტერნატიული, სხვადასხვა მომხმარებელზე გაანგარიშებული როგორც სამეცნიერო, ისე პოპულარული ლიტერატურა.

პრაქტიკულად არ არსებობს ცალკე გამოცემული გის ტერმინების დასურათებული განმარტებითი ლექსიკონი (ტერმინების ნაწილი თავმოყრილია დ. ნიკოლაიშვილის სახელმძღვანელოსა და გ. ლიპარტელიანი, დ. ლიპარტელიანის „გეოგრაფიული კარტოგრაფიის ტერმინოლოგიურ ცნობარში"). ტერმინოლოგიურ ლაფსუსებს კი ხშირად ვაწყდებით ყოველდღიურ პრაქტიკაში. ამ მიმართულებით შემდეგი ნაბიჯებია გადასადგმელი: უნდა მოხდეს არსებული ლიტერატურის სისტემატიზაცია-ანალიზი, შესაქმნელი ლიტერატურის კლასიფიცირება და სპეციალისტების ჯგუფების შექმნა, რომლებიც აღნიშნულ საკითხებზე იმუშავებს.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას მაღალკვალიფიციური გის ოპერატორების დეფიციტი წარმოადგენს. განსაკუთრებით თვალშისაცემია ისეთი სპეციალისტების სიმცირე, რომლებიც კარგად ფლობენ დისტანციური ზონდირების ხელოვნებას. ეს კი დიდ პრობლემებს ქმნის აერო-კოსმოსური სურათებიდან მონაცემთა განახლების თვალსაზრისით. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში ჯერ კიდევ დაბალია დიგიტალიზაციის კულტურა. ზოგიერთი სფერო (მაგ., სანავიგაციო სისტემები) პირდაპირ ISO სტანდარტებით ციფრულ რუკებს მოითხოვს. ეს სტანდარტები კი დიგიტალიზაციის (მაგ., გზების) რამდენიმე ასეულ წესს გულისხმობს.

ზოგადად, მაღალკვალიფიციურ გის სპეციალისტებზე მოთხოვნა, განსაკუთრებით სახელმწიფო უწყებებში, თანდათან იზრდება. საჭიროა მათი მომზადება-გადამზადება. უნდა ითქვას, რომ მცირე გამონაკლისის გარდა უმაღლეს სასწავლებლებში არ არსებობს ნორმალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც ამ საკითხის გადაჭრას მოხმარდება. საჭიროა სპეციალური სასწავლო პროგრამის შედგენა, სასწავლო მეთოდური ლიტერატურის შექმნა, ტიპიური ამოცანების ნიმუშების შემუშავება, სასწავლო კურსის ორგანიზება და შესაბამის ტექნიკური მხარდაჭერა და სერთიფიცირებული მასწავლებლების მომზადება.

ცალკე თემაა გის ერთიანი საინფორმაციო კატალოგის შექმნა, სადაც წარმოდგენილი იქნება: გის-ის მწარმოებლები და მომხმარებლები, ხელმისაწვდომი ციფრული საფუძვლები, გის პროექტები, გის ლიტერატურა, საერთაშორისო გამოცდილება. ასეთი კატალოგი გააადვილებს საჭირო მონაცემებთან ოპერატიულ წვდომას და ციფრული პროდუქტების სასურველ ფასებში შეძენის პროცედურებს. კარგი იქნება კატალოგის პოლიგრაფიულად გამოცემაც.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ტურიზმი პრიორიტეტულ მიმართულებად არის გამოცხადებული ეს სფერო ჯერ კიდევ სუსტად იყენებს გის ტექნოლოგიებს. შეიძლება ითქვას, რომ ის ერთ-ერთი ყველაზე პასიური მომხმარებელია. არადა, ამ დარგის განვითარება, დაგეგმარება აუცილებლად მოითხოვს სივრცითი მონაცემების ანალიზს. ტურიზმის მონაცემთა უდიდესი ნაწილი სწორედ გეოგრაფიულ სივრცესთან არის დაკავშირებული და, შესაბამისად, მათი მართვის ტექნიკურ-პროგრამული საშუალებები ჭარბად უნდა გამოიყენებოდეს. ეს განსაკუთრებით ტურიზმის უსაფრთხოების საკითხებს ეხება. ფაქტია, რომ ამ მიმართულებით ჩვენთან პრაქტიკულად არაფერი კეთდება. არც თუ იშვიათია უბედური შემთხვევები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ სათანადო ინფორმაციის უქონლობის ან დეფიციტის შედეგია. ტურიზმის უსაფრთხოების გეოინფორმაციული სისტემა ამ პრობლემებს მნიშვნელოვნად გამოასწორებდა.

აღსანიშნავია ქართული, ე. წ. „კარტოგრაფიული შრიფტის" უქონლობაც. საერთოდ რუკებისთვის გამოიყენება კარტოგრაფიული შრიფტი, რომელიც მეტნაკლებად განსხვავებულია სხვა შრიფტებისგან. ეს შრიფტი გამოიყენებოდა ყველა კარტოგრაფიულ ნაწარმოებში, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებამდე გამოიცემოდა. მას ამჟამადაც იყენებს კარტოგრაფიული ფაბრიკა. მაგრამ, ციფრულ კარტოგრაფირებაში ეს პრობლემას წარმოადგენს. საქმე ისაა, რომ წარწერა რუკაზე არსებით როლს თამაშობს, განსაკუთრებით დიზაინის თვალსაზრისით და ფრიად მნიშვნელოვანია მისი სწორად გამოყენება. კომპიუტერიზაციის ეპოქაში არაერთი ქართული შრიფტია შექმნილი, მათ შორის სისტემურიც, მაგრამ მათი დიზაინი ხშირად არ შეესატყვისება კარტოგრაფიული ესთეტიკის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, საჭიროა კარტოგრაფების მონაწილეობით ქართულენოვანი კარტოგრაფიული შრიფტის დიზაინის შემუშა-

ვება და ციფრულად შექმნა. დიზაინთან ერთად გათვალისწინებული უნდა იქნას მისი სისტემური თავისებურებები, რათა გის-ში არ შეიქმნას პრობლემები.

გეოინფორმაციული სისტემების განვითარებისათვის აუცილებელია მისი პოპულარიზაცია. ამ მიზნით სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში უნდა დაინერგოს გის-ების როგორც ზოგადი ისე თემატური სასწავლო დისციპლინები. დღეისათვის მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელ უნივერსიტეტებში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას უნივერსიტეტი და გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი) ისწავლება გის ტექნოლოგიები. პირველ რიგში ის გარკვეული დოზით სკოლებშიც უნდა ისწავლებოდეს. სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს ამ საკითხს. ვფიქრობთ, საჭიროა საკანონმდებლო დონეზე იქნეს ეს პრობლემა გადაჭრილი და გის-ი ყველა უმაღლეს სასწავლებელში აუცილებელ საგანს უნდა წარმოადგენდეს.

და ბოლოს: საქართველოში არ არსებობს პერიოდული გის გამოცემა. ალბათ გის-ში მომუშავე ყველა სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაცია დაინტერესებული უნდა იყოს ასეთი ბეჭდვითი ორგანოს არსებობით. ვფიქრობთ, ყოველწლიური ჟურნალი კარგ სამსახურს გაუწევდა გის ტექნოლოგიებით დაინტერესებულებს. მასში თავს მოიყრიდა ტექნოლოგიური სიახლეები, პროგრამული წიაღსვლები, ტერმინოლოგიური საკითხები; განხილული იქნებოდა მნიშვნელოვანი გის პროექტები, მიმდინარე პრობლემები და სხვა მრავალი. ამასთან, ჟურნალში საპატიო ადგილი დაეთმობოდა იმ პიროვნების ბიოგრაფიას, რომელთა საქმიანობა პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულია მონაცემთა სივრცითი ანალიზის ტექნოლოგიებთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლაოშვილი ზ., რაჰიმოვა გ., ზედგინიძე გ. საქართველოს ტურიზმის უსაფრთხოების გეოინფორმაციული სისტემა. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. N3. თბილისი, 2013.

2. ლაოშვილი ზ. ტურიზმის უსაფრთხოების გეოინფორმაციული სისტემა. ნიკო ნიკოლაძის 170 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული. თბილისი, 2013.

3. ნიკოლაიშვილი დ. გეოინფორმაციული და ექსპერტული სისტემები. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2004.

4. ნიკოლაიშვილი დ., ხურციძე მ., დემეტრაშვილი ო., ფხაკაძე შ. გეოინფორმაციული სისტემების განვითარების ისტორიიდან. სამეცნიერო ჟურნალი „საქართველოს გეოგრაფია”, 2004 წ., N3. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.

5. Вишневская Е.В., Богомазова И.В., Литвинова М.И. Актуальные проблемы использования гис в развитии регионального туризма белгородской области. Белгород, 2012.

ზურაბ ლაოშვილი

საქართველოში გის-ის მიმდინარე პრობლემები

რეზიუმე

საქართველოში გეოინფორმაციული სისტემები უკვე სამ ათეულ წელზე მეტია წარმატებით გამოიყენება. მიუხედავად ამისა, ამ ხნის განმავლობაში მთელი რიგი პრობლემები დაგროვდა, რომელთა გადაჭრა აუცილებლად მიგვაჩნია. უპირველეს ყოვლისა არ არსებობს ერთიანი, სახელმწიფო გეომონაცემთა ბაზები და მათი სტანდარტი, რომელიც საფუძვლად დაედებოდა გის-ის განვითარებს სტრატეგიას; პრაქტიკულად არ არსებობს ქართულენოვანი სასწავლო მეთოდური და სახვა სახის ლიტერატურა; მნიშნელოვან პრობლემას წარმოადგენს კვალიფიციური გის ოპერატორების დეფიციტი; არ არსებობს გის-ის მწარმოებლების და მომხმარებლების კატალოგი; საჭიროა სასწავლო დაწესებულებებში გის-ის პოპულარიზაცია.

Zurab Laoshvili

CURRENT PROBLEMS OF GIS IN GEORGIA

Summary

In Georgia GIS systems have been successfully used for more than three decades. However, during this time a number of problems have accumulated. First of all we need to improve GIS database standards. There is no single state GIS databases, on which GIS development strategy will be based. In Georgian language there is a shortage of educational-methodical and other literature, which significantly hinders the training of qualified personnel. It is needed to systemize, analyze and create literature and classify groups of specialists who work on these issues. One of the important problems is the shortage of highly skilled GIS operators. It is necessary to promote the development of Geographic Information Systems. For this purpose, various educational institutions should implement general and thematic GIS-specific academic disciplines.

თამარ აგლაძე

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღების ძირითადი ასპექტები

გლობალიზაციის უარყოფითი შედეგები უკანასკნელ ათწლეულში მსოფლიოს მასშტაბით გავრცელდა, რაც ეკნომიკური კრიზისების გრძელვადიანი ტალღებით აღინიშნება. ეს უკანასკნელი საბანკო სექტორის მუშაობაზეც აისახა.

ისეთ უდიდეს ქვეყნებშიაც, კი როგორებიცაა, ჩინეთი, იაპონია, კანადა, რუსეთი, ბრაზილია აღინიშნება კრიზისის მასშტაბურობა და მისი გაღრმავების სისწრაფე. სწორედ ამ პროცესისა და მისი თანმდევი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით, „დიდმა ოცეულმა'' სხვადასხვ მიმართულებით არა ერთი ნაბიჯი გადადგა, რომელთაგან აღსანიშნვია ეკონომიკის სახელმწიფო სტიმულირება,საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების რეგულირების გამკაცრება, ფინანსური ინსტიტუტების გამჭვირვალობის ზრდა და პროტექციონიზმის მინიმიზაცია ეკონომიკის სექტორებში.

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა გავლენა საქართველოს ეკონომიკაზეც იქონია. გლობალურმა საფინანსო კრიზისმა უკვე გამოიწვია საერთაშორისო კაპიტალის ნაკადების შეზღუდვა. ადგილი აქვს ფასიანი ქაღალდებიდან და აქტივებიდან სახსრების მასობრივ გადატანას ნაღდ ფულში და კაპიტალი ხშირ შემთხვევაში ტოვებს სარისკო ბაზრებს. ინვესტორთათვის განვითარებადი ქვეყნები ზოგადად, და მათ შორის საქართველო, ჯერ კიდევ არ წარმოადგენს მაღალი კლასის კაპიტალდაბანდების პორტფელს, რის გამოც უახლოეს მომავალში კაპიტალის გაძვირებისა და რეგულაციების გამკაცრების ფონზე ჩვენს ქვეყანაში უცხოური რესურსების შემოდინების დღემდე არსებული დონის შენარჩუნებას, უახლოეს რამდენიმე წლის განმავლობაში აღარ უნდა ველოდოთ.

ამგვარად, მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგად საქართველომ შესაძლოა დაკარგოს კაპიტალის ფორმირებისა და საგადამხდელო ბალანსის წონასწორობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმთავრესი წყარო. ეს მით უფრო საგანგაშოა იმ ფონზე რომ, ქვეყნის მთლიანი კაპიტალის ფორმირებაში უცხოური დანაზოგები გადამწყვეტ როლს ასრულებს. მათი შემცირების გამო საქართველო ბევრად უფრო მყიფე გახდება საგარეო შოკების მიმართ და გაურთულდება ისედაც არასახარბიელო მდგომარეობა საერთაშორისო საფინანსო პოზიციის თვალსაზრისით. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაძლევის მხრდასაჭერად მსოფლიო სავალუტო ფონდმა შეიმუშავა პროგრამა, სადაც 2008 წლის აგვისტოს ომის უშუალო ეკონომიკური შედეგებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ნდობის დეფიციტის წარმოქმნას, რაც შემდეგ მოვლენებში აისახა:

- დამუხრუჭდა კერძო სექტორში უცხოეთიდან კაპიტალის ნაკადების შემოდინება (პირდაპირი და პორტფელის ინვესტიციები + საბანკო კრედიტები), რის გამოც შიდა სავალუტო ბაზარზე მკვეთრად იკლო უცხოური ვალუტის მიწოდებამ და გაიზარდა ზეწოლა გაცვლით კურსზე. 2008 წლის აგვისტოში ქვეყნის საერთაშორისო რეზერვები 330 მლნ აშშ დოლარით ანუ 23 პროცენტით შემცირდა;
- დაიწყო ბანკებიდან დეპოზიტების განზიდვა. მათი მოცულობა 2008 წლის აგვისტოში, სსფ-ს შეფასებით, 400 მლნ ლარით ანუ 14 პროცენტით შემცირდა;
- ლიკვიდობის პრობლემის გამწვავებას ბანკებმა დაკრედიტების მკვეთრი შეზღუდვით უპასუხეს, რაც მნიშვნელოვანწილად საკრედიტო რისკების მატებით (განსაკუთრებით მშენებლობისა და უძრავი ქონების სექტორში), იყო გამოწვეული;
- პიკს მიაღწია ქვეყნის რისკის მაჩვენებლებმა, კერძოდ, საქართველოს ევროობლიგაციების სპრედმა აშშ-ს შესადარისი სახაზინო ვალდებულებების მიმართ 775 საბაზისო პუნქტი შეადგინა, რაც 240 საბაზისო პუნქტით მეტი იყო ომამდელ დონესთან შედარებით.

ჩატარებული კვლევის მიხედვით აღნიშნული პრობლემა კვლავ რჩება საქართველოს როგორც ხელისუფლების, ასევე საბანკო სისტემის მიმართ, რაც საბანკო ანგარიშებზე არსებული სახსრებიდანაც ნათლად ჩანს.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მიმდინარე ანგარიშის დიდი უარყოფითი ბალანსი ქონდა (2007 წელს, სსფ-ს შეფასებით, მან მშპ-ს 20%, ხოლო 2008 წლის პირველ ნახევარში – 26 პროცენტს მიაღწია), რომელიც უცხოეთიდან კერძო კაპიტალის ნაკადებით იფარებოდა, ნდობის დეფიციტით გამოწვეული შოკი საგადამხდელო ბალანსში დიდ გარღვევას და ეკონომიკური ზრდის ტემპების მკვეთრ დაცემას მოასწავებდა. აქედან გამომდინარე, სსფ-ის აზრით კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო ინვესტორთა ნდობის აღდგენა.

უცხოური ინვესტიციებისა და შიდა მოთხოვნის კლების კვალობაზე იმპორტი კიდევ შემცირდება, თუმცა მასშტაბური საერთაშორისო ფინანსური დახმარების ფონზე, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციაზეა მიმართული, იმპორტის მოცულობა მაინც დიდი იქნება. ამასთან, გლობალური რეცესიის ფონზე მოსალოდნელია ქართული ექსპორტის და უცხოეთიდან ფულადი გზავნილების მკვეთრი ვარდნა, რაც 2014 წლის მეოთხე კვარტალში კვლავ გამოიკვეთა რუსეთსა და უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო. აქედან უნდა ვივარაუდოთ, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი კვლავაც შენარჩუნდება.

ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის ბალანსისა და სტრუქტურის ანალიზი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის საგარეო ვაჭრობიდან გამომდინარე რისკების თვალსაზრი-სით. 2008 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 7 მილიარდ 556 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, რაც

წინა წლის მაჩვენებელზე 17,2%-ით მეტია. აქედან ექსპორტი 1 მილიარდ 498 მლნ დოლარია (შესაბამისად 21,5%-ით მეტი), ხოლო იმპორტი – 6 მილიარდ 58 მლნ აშშ დოლარი (16,2%-ით მეტი). 2008 წელს საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 4 მილიარდ 560 მლნ დოლარს გადააჭარბა, იმპორტმა ექსპორტს კი – 4-ჯერ.

2008 წელს საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა 107 პარტნიორ ქვეყანასთან, რომლებთანაც სავაჭრო დეფიციტი 4 მილიარდ 790 მლნ დოლარს შეადგენდა (ნაცვლად 100 ქვეყნისა და 4 მილიარდ 128 მლნ დოლარისა 2007 წელს).

2008 წელს ქვეყანას დადებითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა 21 ქვეყანასთან 230 მლნ დოლარის დადებითი სალდოთი, ნაცვლად 23 ქვეყნისა და 146 მლნ დოლარისა 2007 წელს. საგულისხმოა, რომ ეს არ არის მხოლოდ 2008 წლისთვის დამახასიათებელი ტენდენცია: საქართველოს საგარეო ვაჭრობაში იმპორტის დომინანტი პოზიცია და ექსპორტის შევიწროება ყოველწლიურად სულ უფრო მკვეთრად გამოხატულ ხასიათს ატარებს, რაზედაც საქართველოს ვაჭრობის ბოლოდროინდელი მონაცემებიც მეტყველებენ.

ექსპორტის სასქონლო ნომენკლატურში ჯერ კიდევ წამყვანი ადგილი, 18.1%-ით, მსუბუქ ავტომობილებს უკავია, რაც საიმედო პროგნოზების საშუალებას არ იძლევა.



* წინასწარი მონაცემები

სურ.1 საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების ცვლილება 2014 წელს წინა წლებთან შედარებით (%)[1]

მიუხედავად ექსპორტის შემცირებისა, საქართველოს უმსხვილეს საექსპორტო ბაზრებად კვლავ აზერბაიჯანი და სომხეთი რჩებიან. საექსპორტო ბაზრების სამეულში 2014 წელს ადგილი დაიკავა რუსეთმაც, რომელმაც სამეულში უკრაინა ჩაანაცვლა.

სავარაუდოდ, უკვე ჩამოყალიბებული ტენდენცია მოკლე ვადებში ვერ შეიცვლება. ამიტომაც, მთავრობის პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს იმაზე, რომ მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული უარყოფითი შოკი მოხმარებაზე. ამავე დროს, უნდა იკვეთებოდეს გარკვეული ხედვა იმისა, თუ როგორ უნდა მოხდეს საშუალო და გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკის რეორიენტაცია მოხმარებიდან და იმპორტიდან – დაზოგვასა და ექსპორტისაკენ.2014 წელს მცირედით გაუმჯობესდა შემოსავლის ანგარიში, თუმცა იგი კვლავ დეფიციტურია და უარყოფით ზეგავლენას ახდენს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე. 2014 წელს 12.5%-ით გაუმჯობესდა საინვესტიციო შემოსავლის დეფიციტი და 821.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, თუმცა მიუხედავად გაუმჯობესებისა იგი კვლავ შემოსავლის ანგარიშის უმსხვილეს ნეგატიურ კომპონენტს წარმოადგენს.

2014 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროს, წინა წლების მსგავსად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენდა. პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოში 2014 წელს 1.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 34.8%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა დიდწილად განაპირობა ინვესტიციების ზრდამ სამშენებლო სექტორში. 2013 წელთან შედარებით აღნიშნულ სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები თითქმის 5-ჯერ გაიზარდა, რაც ძირითადად ახალგაზრდული ოლიმპიადისათვის მოსამზადებელ მშენებლობებს უკავშირდებოდა. 2014 წელს ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა ინვესტიციები ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის (+145%), უძრავი ქონების (+106%), დამამუშავებელი მრეწველობის (+74.5%) და სოფლის მეურნეობის (+61%) სექტორებში. 2014 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული პირდაპირი ინვესტიციები 64%-ით გაიზარდა და 640.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ინვესტიციების

[1] www.geostat.ge

ზრდა ძირითადად გამოიწვია ნიდერლანდებიდან და დიდი ბრიტანეთიდან ინვესტირების ზრდამ. [1]დსთ-ის ქვეყნებიდან ინვესტიციებმა 353.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 168%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. დსთ-ის ქვეყნებიდან ინვესტიციების ზრდა უმეტესწილად აზერბაიჯანიდან (+269%) ინვესტიციების ზრდამ განაპირობა. აზერბაიჯანიდან ინვესტიციების მოცულობის ზრდა ძირითადად უკავშირდებოდა BP (British Petroleum)-ის მიერ ახალი გაზსადენის მშენებლობაში ინვესტირებას. დანარჩენი ქვეყნებიდან ინვესტიციების ოდენობა 5%-ით გაიზარდა, ძირითადად ჩინეთიდან ინვესტიციების ზრდის ხარჯზე. 2013 წლისაგან განსხვავებით, 2014 წელს ასევე მნიშვნელოვანი იყო პორტფელური და სხვა ტიპის ინვესტიციების წილი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსებაში.

2014 წელს პორტფელურმა ინვესტიციებმა 247 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 289 მლნ აშშ დოლარით აღემატება (2013 წელს პორტფელური ინვესტიციების 43 მილიონიანი გადინება დაფიქსირდა). პორტფელური ინვესტიციების ზრდაში უმთავრესი წვლილი საბანკო სექტორის მიერ მოზიდულმა უცხოურმა კაპიტალმა შეიტანა.[2]

საქართველო საკმაოდაა დამოკიდებული უცხოეთიდან ფაქტორულ შემოსავლებზე, ანუ მიგრანტთა ტრანსფერებზე, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მუხლია; საქართველო თითქმის ორი ათეული წელია სარგებლობს საერთაშორისო დონორთა დახმარებით, რომელთა ქმედითობა ასევე დიდადაა დამოკიდებული საერთაშორისო კონიუნქტურაზე. მიმდინარე სიტუაციაშიც კი არსებობს იმის რისკი, რომ საქართველოსათვის დონორების მიერ დაპირებული თანხების გარკვეული წილი ვერ მიაღწევს ადრესატამდე გლობალური ეკონომიკური კრიზისის გაუარესების შემთხვევაში. ამან შესაძლოა საქართველოს სირთულეები შეუქმნას, რაც შეიძლება გამოიხატოს საგარეო ვალის ნახტომისებური ზრდის პრობლემაში. საქართველოს ეროვნული ვალუტის გაუფასურების რისკის ზრდაში, რაც გამოწვეული იქნება ზემოთჩამოთვლილი ფაქტორების გაზრდილი წნეხით ეროვნულ ვალუტაზე ექსპანსიონისტური ფისკალური პოლიტიკის შემთხვევაში. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორის ერთობლიობა უდიდეს გავლენას ახდენს საქართველოს მდგომარეობაზე მისი საგარეო დავალიანების, საინვესტიციო პოზიციისა და ზოგადად გადამხდელუნარიანობის თვალსაზრისით. საქართველომ შესაძლოა დაკარგოს კაპიტალის ფორმირებისა და საგადამხდელო ბალანსის წონასწორობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმთავრესი წყარო. ეს მით უფრო საგანგაშოა იმ ფონზე რომ, ქვეყნის მთლიანი კაპიტალის ფორმირებაში უცხოური დანაზოგები გადამწყვეტ როლს ასრულებს. მართალია, განვითარებულ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი აშშ-ში უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთი აღინიშნებოდა, ვიდრე ეს კრიზისამდე პერიოდში იყო, მაგრამ ამგვარი პოლიტიკა დროებით ხასითს ატარებდა და ეკონომიკის სტიმულირების გზით მისი ჩიხიდან გამოყვანას ისახავდა მიზნად. ამ ამოცანის შესრულების შემდეგ კი დაიწყო საპროცენტო განაკვეთების ზრდის ტენდენცია. ამგვარად, საქართველო ბევრად უფრო მყიფე გახდება საგარეო შოკების მიმართ და გაურთულდება ისედაც არასახარბიელო მდგომარეობა საერთაშორისო საფინანსო პოზიციის თვალსაზრისით. ქვეყნის საბანკო სისტემის სიჯანსაღეზე დიდწილადაა დამოკიდებული ეკონომიკური განვითარების დინამიკა.

საბანკო სისტემის მდგრადობის გარეშე გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება პრაქტიკულად შეუძლებელია. მსოფლიო საფინანსო კრიზისის უარყოფითი ზეგავლენა უკვე საგრძნობია ქართულ ბანკებში. სახეზეა საპროცენტო განაკვეთის მკვეთრი ამაღლება, გასესხების პირობების საგრძნობი გამკაცრება და უხარისხო სესხების მომრავლება, რაც აისახა კიდეც ჩამოწერილი სესხების მოცულობის ზრდაში. აღნიშნული ტენდენცია პირველად აისახა მთლიანი საბანკო სისტემის წმინდა წაგებაში ბოლო 10 წლის განმავლობაში.

მიუხედავად ბოლო წლებში მიღწეული წარმატებისა, ასევე უცხოური კაპიტალდაბანდებების საგრძნობი ზრდისა, სამწუხაროდ, ქართული საბანკო სისტემა ვერ ჩამოყალიბდა ისეთ მდგრად ინსტიტუტად, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის ამოცანას სრულფასოვნად გაართმევდა თავს. ამას მრავალი ობიექტური შიდა თუ საგარეო, ასევე კონიუნქტურული მიზეზი განაპირობებდა, რომელთა განხილვა ვრცელი განსჯის საგანს წარმოადგენს. ფაქტობრივად, ქვეყანაში ქრონიკულად იგრძნობა კაპიტალის დანაკლისი, რისი შევსებაც საგარეო ბაზრებიდან მოზიდული სახსრებით ხდებოდა. დეპოზიტების ბაზა სამწუხაროდ საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ადგილობრივი ეკონომიკა სესხებით იქნას უზრუნველყოფლი. ცხადია, პატარა ქვეყნისათვის ამ ამოცანის მხოლოდ საკუთარი ძალებით მიღწევა უკიდურესად რთულია. ასევე გასათვალისწინებელია, რომ არც თუ შორეულ წარსულში, საქართველოს საერთაშორისო საფინანსო ცენტრად გადაქცევა მოიაზრებოდა (საქართველოს მთავრობის 50-დღიანი პროგრამის ნაწილი). უნდა აღვნიშნოთ, რომ ნებისმიერი მთავრობა კარგად უნდა აცნობიერებდეს, რომ ქვეყნის სერიოზულ საფინანსო ცენტრად გადაქცევა შეუძლებელია, სანამ ადგილობრივი საფინანსო, მათ შორის საბანკო სისტემა იმდენად მყარად არ დადგება ფეხზე, რომ ჭარბი ლიკვიდობის საზღვარგარეთ დაბანდების შესაძლებლობა გაუჩნდება (აქ, ცხადია არ ვგულისხმობთ, ოფშორულ ზონებსა და მიკროსახელმწიფოებს, როგორც საფინანსო ცენტრებს, რომელთა განვითარების მოდელები სრულიად მიუღებელი და არარეალისტურია საქართველოსთვის).

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრალურ მიზნად დღემდე უცხოური ინვესტიციების მოზიდვაა დასახული, მაშინ, როდესაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნის შიგნით დანაზოგები-

[1] www.economy.ge
[2] The Economic Transformation of Georgia – PDF; 2015

სა და კაპიტალის მობილიზაციის ალტერნატიულ საშუალებების წარმოქმნაზე ზრუნვა. უცხოური პირდა-პირი და პორტფელური ინვესტიციები უნდა განიხილებოდეს მხოლოდ როგორც საშინაო დანაზოგების დეფიციტის შევსების წყარო და არა ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალა.

საბანკო ინსტრუმენტების მიზანმიმართული გამოყენებით შესაძლებელია საქართველოს ბანკების მიერ საბანკო ინვესტიციების განხორციელება, რაც კაპიტალის მობილიზაციის შიდა წყაროების გაფართოების კარგი ალტერნატივაა. ამ გზით მიღებული დანაზოგები კი შესაძლებელია გადაიქცეს ფიზიკურ კაპიტალად. ეს კი უზრინველყოფს ეროვნული საფინანსო ინსტიტუტების უცხოურ ინვესტიციებზე ნაკლებ დამოკიდებულებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა.გრიშიკაშვილი, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები, პრობლემები, პერსპექტივები, თბ., 1998.
2. ეკონომიკური თეორია, ავტორთა კოლექტივი გ.ადეიშვილისა და რ.ასათიანის რედაქციით, თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 1998.
3. ზ.ვაშაკიძე, ლ.ჩხიკვაძე, ვ.გიორგაძე. საინვესტიციო პოლიტიკა და ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ კონვენცია. წიგნი I. ეგთო, 2005.
4. ვ.ზურაბიშვილი, საფინანსო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესში, თბ., გამომცემლობა „ფინანსები“, 1996.
5. მ.კაკულია. სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში. გამომცემლობა სტამბა შპს „ფინანსები“. თბ., 2001.
6. რ.კაკულია, ფინანსების ზოგადი თეორია, თბ., გამომცემლობა-სტამბა შპს „ფინანსები“, 2004.
7. რ.კაკულია, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები. თბ., 2003,
8. ი.კოვზანაძე, საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თბ., გამომცემლობა თსუ, 2002,
9. გ.მალაზონია. ფასიანი ქარალდების როლი ფულის მიმოქცევის რეგულიებაში. თბ., 2002
10. The Economic Transformation of Georgia – PDF; 2015
11. Bertlsmann Transformation Index; 2012
12. The Global Competitiveness Report; www.economy.ge; 2014-2015

ინტერნეტ მასალები

http://intranet.parliament.ge/
http://csrdg.gol.ge
http://nbg.gov.ge
http://mof.ge

თამარ აგლაძე

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღების ძირითადი ასპექტები

რეზიუმე

გლობალიზაციის უარყოფითი შედეგები უკანასკნელ ათწლეულში ფართომასშტაბით გავრცელდა. ესუკანასკნელი საბანკო სექტორის მუშაობაზეც აისახა. ეკონომიკური კრიზისის თანმდევი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით, „დიდმა ოცეულმა''სხვადასხვა მიმართულებით არაერთი ნაბიჯი გადადგა, რომელთაგან აღსანიშნვია ეკონომიკის სახელმწიფო სტიმულირება, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების რეგულირების გამკაცრება, ფინანსური ინსტიტუტების გამჭვირვალობის ზრდა და პროტექციონიზმის მინიმიზაცია ეკონომიკის სექტორებში.

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა გავლენა საქართველოს ეკონომიკაზეც იქონია. გლობალურმა საფინანსო კრიზისმა უკვე გამოიწვია საერთაშორისო კაპიტალის ნაკადების შეზღუდვა. ადგილი აქვს ფასიანი ქაღალდებიდან და აქტივებიდან სახსრების მასობრივ გადატანას ნაღდ ფულში და კაპიტალი ხშირ შემთხვევაში ტოვებს სარისკო ბაზრებს. ინვესტორთათვის განვითარებადი ქვეყნები ზოგადად, და მათ შორის საქართველო, ჯერ კიდევ არ წარმოადგენს მაღალი კლასის კაპიტალ დაბანდების პორტფელს, რის გამოც უახლოეს მომავალში კაპიტალის გაძვირებისა და რეგულაციების გამკაცრების ფონზე ჩვენს ქვეყანაში უცხოური რესურსების შემოდინებას დღემდე არსებული დონის შენარჩუნებას, უახლოეს რამდენიმე წლის განმავლობაში აღარ უნდა ველოდოთ.

Tamar Agladze

THE WORLD ECONOMIC CRISIS AND MAIN ASPECTS OF GEORGIAN ECONOMY RECOVERY

Summary

Negative results of globalization spread in the large-scale for the last decade. It was reflected on the banking sector as well. In order to avoid negative consequences of economic crisis, 'the Great Scores' took the number of steps in different directions, among them State stimulation of economy, tightening regulation of international financial institutions, increase of transparency in financial institutions and protectionism minimization in economic sectors, are worth mentioning.

World economic crisis has had its impact on Georgian economy. Global financial crisis have led to the limitation of International capital flows. There is a massive transfer of funds from assets into cash and in most capital leaves risky markets. For Investors developing countries in general, and Georgia among them are still not a high-class equity investment portfolio, therefore, in the nearest future on the background of capital increase and tightened regulations in the country, there is no use of waiting for inflows of foreign resources in the next few years.

PAUL SANKESS

FEARS OF A NEW GLOBAL CRASH AS DEBTS AND DOLLAR'S VALUE RISE

As Greece puts the finishing touches to its latest round of cuts, some economists are increasingly alarmed about the signals from the world economy

Greek ministers are spending this weekend, almost five grinding years since Athens was first bailed out, wrangling over the details of the spending cuts and economic reforms they have drawn up to appease their creditors.

As the recriminations fly between Europe's capitals, campaigners are warning that the global community has failed to learn the lessons of the Greek debt crisis – or even of Argentina's default in 2001, the consequences of which are still being contested furiously in courts on both sides of the Atlantic.

As Janet Yellen's Federal Reserve prepares to raise interest rates, boosting the value of the dollar, while the plunging price of crude puts intense pressure on the finances of oil-exporting countries, there are growing fears of a new debt crisis in the making.

Ann Pettifor of Prime Economics, who foreshadowed the credit crunch in her 2003 book *The Coming First World Debt Crisis*, says: „We're going to have another financial crisis. Brazil's already in great trouble with the strength of the dollar; I dread to think what's happening in South Africa; then there's Malaysia. We're back to where we were, and that for me is really frightening."

Since the aftershocks of the global financial crisis of 2008 died away, the world's policymakers have spent countless hours rewriting the banking rulebook and rethinking monetary policy. But next to nothing has been done about the question of what to do about countries that can't repay their debts, or how to stop them getting into trouble in the first place.

Brazil's already in great trouble with the strength of the dollar; I dread to think what's happening in South Africa.

Developing countries are using the UN to demand a change in the way sovereign defaults are dealt with. Led by Bolivian ambassador to the UN Sacha Sergio Llorenti, they are calling for a bankruptcy process akin to the Chapter 11 procedure for companies to be applied to governments.

Unctad, the UN's Geneva-based trade and investment arm, has been working for several years to draw up a „roadmap" for sovereign debt resolution. It recommends a series of principles, including a moratorium on repayments while a solution is negotiated; the imposition of currency controls to prevent capital fleeing the troubled country; and continued lending by the IMF to prevent the kind of existential financial threat that roils world markets and causes severe economic hardship.

If a new set of rules could be established, Unctad believes, „they should help prevent financial meltdown in countries facing difficulties servicing their external obligations, which often results in a loss of market confidence, currency collapse and drastic interest rates hikes, inflicting serious damage on public and private balance sheets and leading to large losses in output and employment and a sharp increase in poverty".

It calls for a once-and-for-all write-off, instead of the piecemeal Greek-style approach involving harsh terms and conditions that knock the economy off course and can ultimately make the debt even harder to repay. The threat of a genuine default of this kind could also help to constrain reckless lending by the private sector in the first place.

However, when these proposals were put to the UN general assembly last September, a number of developed countries, including the UK and the US, voted against it, claiming the UN was the wrong forum to discuss the proposal, which is anathema to powerful financial institutions.

Pettifor shares some of the UK and US's scepticism. „The problem for me is that the UN has no leverage here," she says. „It can make these moralistic pronouncements but ultimately it's the IMF and the governments that make the decisions."

Nevertheless, Llorenti has been touring the world's capitals making the case for change, and hopes to bring the issue back for fresh discussions next month.

And while the debate rages, developing countries have been taking advantage of rock-bottom interest rates and the cheap money created by quantitative easing to stack up billions in new debt.

Using recently released World Bank data, the Jubilee Debt Campaign calculates that in 2013 alone – the latest period for which figures are available – borrowing by developing countries was up 40% to $17.3bn.

Brazil's economy is likely to be seriously tested as the greenback rises; Turkey, Malaysia and Chile have large dollar-denominated debts and sliding currencies; and a string of African countries face sharp rises in debt repayments. Ghana and Zambia have already had to turn to the IMF to ask for help. It's as if, as Pettifor warns, „absolutely nothing has changed since the crisis".

The EU is updating its security strategy, a text adopted in 2003 that brimmed with confidence about the bloc's achievements and its ability to make the world a better place. Bliss was it in that dawn to be alive.

From the 2011 military intervention in Libya to today's sanctions on Russia, the lesson of the past 12 years is that the EU's 28 national governments still find it hard, and sometimes undesirable, to operate a common foreign and security policy. Initiatives that involve the use of force or muscular diplomacy close to Europe are invariably divisive.

Unless it takes on board this lesson, a declaration that sets out afresh the principles supposedly governing EU behaviour abroad will be just another piece of paper.

The EU is an agricultural, commercial, financial, industrial and regulatory power. But it is not a military heavyweight. It is not a state such as China, Russia or the US. But it is a more than an international forum such as the UN or the Council of Europe. In sum, the EU puzzles the rest of the world, not to mention many of its own citizens.

So much turmoil has spread across Europe and its neighbourhood that it is hard to believe the EU's revised strategy will begin with the same words as the old one: „Europe has never been so prosperous, so secure nor so free. The violence of the first half of the 20th century has given way to a period of peace and stability unprecedented in European history. The creation of the European Union has been central to this development . . . Large-scale aggression against any member-state is now improbable."

Whatever the truth of these assertions in 2003, several look questionable today. Then, the eurozone crisis was barely gathering steam. The Arab revolutions of 2011 had not broken out. Russia had not occupied Crimea or intervened in east Ukraine. The Islamic State of Iraq and the Levant was not in full cry.

The EU's 2003 document was, in many ways, a classic „soft power" statement. It was a long riff on the notion that Europe's most effective foreign policy tools include its democratic values, emphasis on trade, development and diplomacy, faith in a rules-based international order and cultural appeal.

No less important, the EU is, according to its own foundation myth, a club of friends in which co-operation replaces confrontation, big nations do not push around little ones and everyone shares a degree of sovereignty. This makes club membership precious to small, vulnerable countries with short histories of independence. It explains why the newly free states of central and eastern Europe flocked to join the EU after shedding communism.

Chris Patten, a UK Conservative grandee and EU external relations commissioner from 2000 to 2004, coined a phrase to describe these soft power tools: „weapons of mass attraction". Given Germany's pre-1945 history, it was especially important by the late 1980s that West Germany had acquired an unimpeachable reputation for „soft power". If it had seemed more threatening, the Soviet leadership would surely have been far less willing to acquiesce in the loss of its east European empire.

However, soft power was and is never enough. To say this is not to side with Frederick the Great, the 18th-century Prussian king who observed: „Diplomacy without arms is like music without instruments." It is merely to make the point that when state-fomented violence has broken out in Europe in the past 25 years — as in former Yugoslavia in the early 1990s or in Ukraine in the past year — the EU has struggled to develop a robust collective response.

European governments, via Nato, need to beef up their contributions to their own defence. But they are hamstrung by the attitudes of their populations, who have different tolerance levels for the use of military force. It is high in the Baltic and Nordic states. It is very low in Germany, Italy and Spain, reflecting their association of 20th-century warfare with national disaster.

Europe cannot wish away its inadequate hard power by writing a new security doctrine. Its bigger problem, though, is that its soft power is also looking frayed. Economic affluence is under strain from the euro crisis, high unemployment, low growth and demographic pressures. Liberal democracy is under strain from populist insurgencies and the decline of public trust in established parties. If Greece were to drop out of the eurozone, Europe's image of a club of friends with permanent membership would suffer a heavy blow.

In updating its security strategy, the EU should avoid setting itself unrealistic ambitions. Restoring Europe's soft power means, first and foremost, putting Europe's own political and economic house in order.

Why Singapore became an economic success?!

WHEN it started life as an independent, separate country in 1965, Singapore's prospects did not look good. Tiny and underdeveloped, it had no natural resources and a population of relatively recent immigrants with little shared history. The country's first prime minister, the late Lee Kuan Yew is credited with transforming it. He called one volume of his memoirs, „From Third World to First". Why did Singapore become an economic success?

First, its strategic location and natural harbour helped. It is at the mouth of the Malacca Strait, through which perhaps 40% of world maritime trade passes. It was an important trading post in the 14th century, and again from the 19th, when British diplomat Sir Stamford Raffles founded the modern city.

Now it is at the heart of one of the world's most dynamic regions. Under Mr Lee, Singapore made the most of these advantages.

Second, under Mr Lee, Singapore welcomed foreign trade and investment. Multinationals found Singapore a natural hub and were encouraged to expand and prosper.

Third, the government was kept small, efficient and honest—qualities absent in most of Singapore's neighbours. It regularly tops surveys for the ease of doing business.

But the island city is not ideal. Although clean and orderly, it has harsh judicial punishments, a tame press and illiberal social policies. Homosexual acts, for example, remain illegal. Protest demonstrations are rarely permitted.

Mr Lee saw his authoritarian style of government as an essential ingredient in Singapore's success, emphasising the island's vulnerability in a potentially hostile neighbourhood.

But younger people now question whether Singapore really is that fragile, and resent the restrictions on their freedom.

Paul Sankess

FEARS OF A NEW GLOBAL CRASH AS DEBTS AND DOLLAR'S VALUE RISE

Summary

As Greece puts the finishing touches to its latest round of cuts, some economists are increasingly alarmed about the signals from the world economy. In the article the author deals with the problem the world face concerning the dollar rise and debt repaying.

Unctad, the UN's Geneva-based trade and investment arm, has been working for several years to draw up a „roadmap" for sovereign debt resolution. It recommends a series of principles, including a moratorium on repayments while a solution is negotiated;

If a new set of rules could be established, Unctad believes, „they should help prevent financial meltdown in countries facing difficulties servicing their external obligations, which often results in a loss of market confidence, currency collapse and drastic interest rates hikes, inflicting serious damage on public and private balance sheets and leading to large losses in output and employment and a sharp increase in poverty.

Author also speaks about turmoil around the world and doubts that it will be easy to put wrongs to right

პაულ სანკესი

შიში ახალი გლობალური კრიზისის, როგორც ვალების და დოლარის ღირებულების ზრდა

რეზიუმე

სტატიაში ავტორი ეხება იმ ეკონომიკურ კრიზისს, რომელმაც მსოფლიო ეკონომიკა მოიცვა დოლართან და ვალების გადახდასთან მიმართებაში. იგი აღნიშნავს რომ მსოფლიოში გლობალურმა არეულობამ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სფეროში არასაიმედო ფონი შექმნა მსოფლიო ბაზარზე. გაერო-ჟენევის დაფუძნებულმა სავაჭრო და საინვესტიციო ორგანო რამდენიმე წელია მუშაობს რომ შეიმუშაოს „საგზაო რუკა" სუვერენული ვალის გადასაჭრელად. ის გვთავაზობს მიდგომების, პრინციპების მთელ სერიას რომელიც შეიცავს ანგარიშსწორების მორატორიუმსაც.

მარინე ვეკუა
დალი ჩიკვილაძე
ლაურა კუტუბიძე

საქართველოს მედიაგანათლებისა და მედიაბაზრის შესაბამისობის ასპექტები

ჟურნალისტური განათლების საწყისები

საქართველოში ჟურნალისტთა კორპუსის აღზრდას საკუთარი ისტორია აქვს. ჟურნალისტთა აღზრდის კერას მაშინდელი ი.სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაეყარა საფუძველი. დრო სხვაგვარი და ძალეზე რთული გახლდათ. ყოველი სიახლე საბჭოთა კავშირის ცენტრში - მოსკოვში „იბადებოდა“ და წყდებოდა, რადგან მოსკოვის დასტურ-ნებართვის გარეშე თბილისში არარა საქმე არ დაფუძნდებოდა. არადა, ცხოვრება მოითხოვდა დროის შესაბამის აღმწერ-კომუნიკატორებს, სიახლეთა აღნუსხვის სპეციალისტ-ინფორმატორებს, აღზრდის ახალი კერის შექმნისათვის ძლიერი, განსწავლული, იმჟამინდელ პოლიტიკურ ელიტაში მიღებული პიროვნება იყო საჭირო. იმხანად საკმაოდ მაღალ პოსტზე მყოფმა პროფესორმა გიორგი ჯიბლაძემ ამ პრობლემის გადაჭრა მოახერხა და 1949 წელს ი.სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე დაფუძნდა ჟურნალისტიკის სპეციალიზაცია, დაარსდა ჟურნალისტიკის კათედრა, რომლის პირველი გამგე პროფ. გიორგი ჯიბლაძე გახლდათ, რითაც საფუძველი ჩაეყარა ახალ დარგსა და ახალ მეცნიერებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ჟურნალისტიკამცოდნეობა, ჟურნალისტთა კადრების მომზადება, დღევანდელი „მეოთხე ხელისუფლების“ ზეობა 1949 წლის სპეციალიზაციიდან დაიწყო. ჟურნალისტიკის კათედრის პირველი შემადგენლობა შემდეგი გახლდათ: მეცნიერები - იოსებ ბოცვაძე, ილია ნატროშვილი, ტარიელ კვანჭილაშვილი, ნოდარ ჩხეიძე, პრაქტიკოსები - ნიკო შველიძე, დავით მჭედლიშვილი, გიორგი მერკვილაძე, ხელმძღვანელი - გიორგი ჯიბლაძე. მათ ჟურნალისტთა პირველი თაობის აღზრდაში გაუკვალავი გზის მეგზურობა იკისრეს.

ჟურნალისტიკის განყოფილებამ ერთი კათედრით 1979 წლამდე იარსება და ასობით კურსდამთავრებულზე „ჟურნალისტის“ დიპლომი გასცა დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებებზე (ქართული და რუსული სექტორებით). ასევე, 1960 წლიდან კათედრამ მოიპოვა ასპირანტებისა და მაძიებლების აღზრდის უფლება. ჟურნალისტიკის კათედრის პირველი ასპირანტები გახლდნენ: დალი ჩიკვილაძე, ნიკო ლეონიძე, მედეა ლორთქიფანიძე, ნინო მახარაძე.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოთხოვნა ჟურნალისტთა კადრებზე საგრძნობლად გაიზარდა, რამაც თეორიული და პრაქტიკული სწავლების დახვეწა-გაუმჯობესება მოითხოვა, ამან ჟურნალისტიკის განყოფილების ფაკულტეტად ჩამოყალიბების საკითხი წამოჭრა, მართლაც, 1979 წლის სექტემბრიდან ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ჟურნალისტიკის ფაკულტეტი სამი კათედრით, სასწავლო-პოლიგრაფიული ლაბორატორიით, კინო-ტელე სასწავლო-სამეცნიერო ცენტრით და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სოციოლოგიური კვლევის ლაბორატორიით (რომელსაც შემდგომ ჟურნალისტიკის სოციოლოგიური კვლევის ტელე-რადიო ლაბორატორია ეწოდა).

ერთი კათედრიდან შეიქმნა სამი: 1. პრესის თეორიისა და პრაქტიკის კათედრა, 2. ჟურნალისტიკის ისტორიის კათედრა, 3. ტელე-რადიო ჟურნალისტიკის კათედრა. 2000-2001 სასწავლო წლიდან ჟურნალისტიკის ფაკულტეტს ახალი კათედრა შეემატა - 4. მედიალოგიის, კომუნიკატივისტიკისა და საერთაშორისო ჟურნალისტიკის კათერდა. შესაბამისად, ფაკულტეტს სამი განხრით ამთავრებდნენ: პრესის, ტელევიზიის და საერთაშორისო ჟურნალისტიკის სპეციალისტები.

ამასთან, სტუდენტები პოლიგრაფიულ ლაბორატორიაში გამოსცემდნენ და ახლაც გამოსცემენ სასწავლო გაზეთებსა და ჟურნალებს - „ახალგაზრდა ჟურნალისტი“, ხოლო კინო-ტელე სასწავლო ცენტრში სტუდენტების მიერ იქმნებოდა სასწავლო ფილმები, საცდელი ტელეგადაცემები, საუნივერსიტეტო კინომატიანის ნიმუშები.

ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე 1978 წლიდან ფუნქციონირებდა კლუბი „რეპორტიორი“, რომელშიც ბევრ საინტერესო ადამიანთან მოეწყო შეხვედრა. სტუდენტები ეუფლებოდნენ კითხვა-პასუხის ხელოვნებას, ინტერვიუს აღების წესებს.

1980 წელს ფაკუტეტზე დაარსდა ცნობილი პუბლიცისტის, დიპლომატისა და სახელმწიფო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის კაბინეტი, რომელიც ნიკო ნიკოლაძის მდიდარი პუბლიცისტური მემკვიდრეობის

შეგროვების, შესწავლის, სათანადო კომენტარებით გამოქვეყნების მიზნით შეიქმნა. დღემდე გამოქვეყნებულია ნ.ნიკოლაძის ცხრა ტომი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მედია და ჟურნალისტური განათლება ისე, როგორც მთლიანად საგანმანათლებლო სისტემა დარჩა პირისპირ იმ გამოწვევებთან, რომელიც ისტორიულმი, სოციალური თუ პოლიტიკური ცვლილებებით განისაზღვრა.

უნივერსიტეტებში სასწავლო პროცესი ვეღარ აკმაყოფილებდა თანამედროვე დასავლურ სტანდარტებსა და მოთხოვნებს, ტექნიკური და მატერიალური ბაზა იყო ახალ დროპსთან შუსაბამო და მწირი, სასავლო ლიტერატურა კიმოძველებული.

სკოლაში, სამწუხაროდ, განათლების დონე დაეცა და უნივერსიტეტებში მოსული სტუდენტობა არ, ან ვერ აცნობიერებს უმაღლესი განათლების მიზნებს, ვერ ხვდება საშუალო განათლების საბაზისო სტანდარტებს. პროფესორებს უხდებათ გარკვეულწილად სილაბუსში გაცხადებული თემატიკიდან გადახვევა და ზოგჯერ უკან დახევაც, რათა ერთგვარად შეივსოს ჩავარდნები და თეთრი ლაქები, რაც საბოლოო ჯამში ობიექტურად აფერხებს სასწავლო პროცესს.

საბჭოთა კავშირში სოციალური მეცნიერებები, განსაკუთრებით ჟურნალისტიკიკა საბჭოთა იდეოლოგიით იკვებებოდა და განიცდიდა ზეწოლას სახელმწიფოს მხრიდან. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სწავლება, ახალი, საინტერესო, თანამედროვე ცოდნის აუდიტორიაში შეტანა დამოკიდებული იყო მხოლოდ ცალკეული პროფესორის ინდივიდუალურ ინტელექტზე, ცოდნის ტრანსფორმირების უნარზე და ზოგჯერ - მამაცობაზეც კი. თუმც, 70-ათიანელების სტუდენტთა თაობა იყო საგრძნობლად განსხვავებული იყო მათზე 20 წლის წინანანდელი სტუდენტობისაგან - მეტი სითამამე, სილაღე და თავისუფლებისაკენ სწრაფვა სჯაბნიდა „უნიფიცირებულ“, „საშუალო სტატისტიკურ“ საბჭოთა სტუდენტის მენტალიტეტს. სწორედ 70-ათიანებში საბჭოთა სახელმწიფო რადიოსა და ტელევიზიაში ჩნდება საბჭოთა რეჟიმისათვის ზედმეტად თამამი გადაცემები. სიტყვის თავისუფლება ნელ-ნელა იძენდა სხვა ხარისხს და ეს თავისუფალი სიტყვა აუდიტორიამდე თავისუფლად მოაზროვნე, სტერეოტიპეპისაგან მეტ-ნაკლებად გათავისუფლებულ ჟურნალისტთა თაობას უნდა მიეტანა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პირველი გამოშვება (1979 წელი) და ყველა მომდევნო - სწორედ ასეთ თაობას მიეკუთვნებოდა, თაობას, რომელმაც ხმამაღლა აღიარა ეროვნული ფასეულობები და თავისუფლების ძალა. ობიექტური რეალობაც რადიკალურად იცვლებოდაახლოვდებოდა გორბაჩოვის „გლასნოსტის“ და „პერესტროიკის“ ხანა.

ქვეყანაში მიმდინარე სოციალური, ეკონომიკური, თუ პოლიტიკური მიმდინარე პროცესები აისახება უმაღლეს განათლებაზე. ჟურნალისტურმა განათლებამაც იწვნია საბჭოთა კავშირის ნგრევის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გავლენები. ინერციით გრძელდებოდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე განათლების „პერსონიფიცირებული“ განათლების მიღება, ანუ ცოდნა, რომელიც სტუდენტს შეეძლო უინივერსიტეტიდან გამოეტანა, იყო მთლიანად დამოკიდებული პროფესორზე, მის ავტორიტეტზე, მის მიერ შექმნილ სამეცნიერო სკოლაზე და ამ სკოლის ადგილზე აკადემიურ წრეებში. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც საბოლოოდ აყალიბებდა სტუდენტ - ჟურნალისტის პროფესიონალიზმს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იყო თეორიულ და პრაქტიკულ სეგმენტებს შორის სრული დისბალანსი. თეორიული პრევალირებდა, პრაქტიკული კომპონენტი მინიმუმამდე იყო დაყვანილი, არ იყო საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროფესიული პრაქტიკა ხშირ შემთხვევებში ფორმალურ ხასიათს ატარებდა, პრაქტიკოსი ჟურნალისტები რთულად თანამშრომლობდნენ უნივერსიტეტთან.

ჟურნალისტური განათლების განვითარება 1990-2005 წლებში

მე-20 და 21-ე საუკუნეების მიჯნაზე მომხდარმა რადიცალურმა ცვლილებებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს ჟურნალისტიკის მეცნიერულ საფუძლებსა და სწავლების კონცეფციაზე, მეთოდოლოგიაზე, პროფესიულს რულყოფაზე. მედიის როლი თანამედროვე სამყაროში ძალზედ დიდია და თანამედროვე გამოწვევებს სათანადოდ უნდა უპასუხოს ჟურნალისტურმა განათლებამ, მისმა კონკრეტულმა საგანმანათლებლო პროგრამამ.

საქართველოში ფორმალურად, ჟურნალისტური განათლების მიღება შესაძლებელია უმაღლესი სკოლის სამივე დონეზე:

პირველი დონე - საბაკალავრო პროგრამები, რომლებიც სთავაზობს სტუდენტებს, როგორც წესი, საბაზისო განათლებას სოციალურ და ნაწილობრივ ჰუმანიტარულ საგნებში, კრედიტების ნახევარი ეთმობა, მეორე ნახევარი კი - მასზე დაშენებულ ჟურნალისტურ განათლებას. საბაკალავრო საფეხური, ძირითადად, ამზადებს ახალი ამბების რეპორტიორებს.

მეორე დონე - სამაგისტრო პროგრამები ითვალისწინებენ, რომ სტუდენტს შესაძლოა არ ჰქონდეს მიღებული ბაკალავრის ხარისხი ჟურნალისტიკაში და სთავაზობს მსმენელს ჟურნალისტიკის/მედიის უფრო კონკრეტულ და ვიწრო პროფესიულ სფეროში, კვლევას და პედაგოგიკის საწყისებს.

მესამე დონე - სადოქტორო პროგრამები, დაზუსტებულია და სთავაზობს დოქტორანტს მედიის კვლევას სხვადასხვა მიმართულებით. ამავდროულად, მესამე საფეხური ამზადებს დარგის აკადემიურ, საუნივერსიტეტო რესურს.

რთულია სწორად განისაზღვროს ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და შესაბამისი დიზაინი თანამედროვე მედიაბაზრის მოთხოვნების გაუთვალისწინებლად. ამასთან მნიშვნელოვანია თავად მედიის როლის განსაზღვრა, რათა ადეკვატურად გამოიკვეთოს საგანმანათლებლო პეროგრამის მიზანიც. მედიის როლთან დაკავშირებით, ჟურნალისტიკის თეორია იცნობს რამდენიმე მიდგომას: მედია - კომუნიკატორი, რომელიც დაკავებულია მხოლოდ ინფორმირებით; მედია - მანიპულატორი, რომელიც აყალიბებს საზოგადოებროვ აზრს; მედია - კრიტიკოსი, რომელიც ასრულებს „მეოთხე ხელისუფლების“ ფუნქციას და აკონტროლებს ხელისუფლების სამივე შტოს; მედია - დამოუკიდებელი სუბიექტი, რომელიც შესაძლოა აღმოჩნდეს თავისთავად ჩართული სოციალურ, თუ პოლიტიკურ პროცესებში.

ამრიგად, ჟურნალისტური საგანმანათლებლო პროგრამების წინაშე იკვეთება ერთგვარი „ჯაჭვი“: მომხმარებელი (სამიზნე აუდიტორია თავისი მოლოდინით, საჭიროებით, განწყობით, თავისებურებით) - მიზანი (ყოველი პროგრამის კონკრეტული ამოცანა, რომელიც გამომდინარეობს მომხმარებლის მოთხოვნებიდან) - მეთოდი (ინსტრუმენტი, რითიც ვაღწევთ დასახულ მიზანს - კურიკულუმი, აკადემიური და მატერიალური რესურსი).

❖

ქვეყანაში მიმდინარე ყველა პროცესი თავისთავად ჰპოვებდა ასახვას მედიის აკადემიურ პროგრამებში 90-ანი წლებიდან მოკიდებული 2005 წლამდე, ვიდრე საქართველო არ მიუერთდა ბოლონიის პროცესს.

ამ პერიოდის უნივერსიტეტებში ჟურნალისტიკის სწავლება წარმოდგენილი იყო რამდენიმე კრეპსითი მოდელით:

პირველი მოდელი, რომელსაც გააჩნდა სამივე საფეხური (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) გაჯერებული იყო ჟურნალისტური დისციპლინების სწავლებით. მეორე მოდელი წარმოადგენს ჟურნალისტიკას, როგორც სოციალური ან ჰუმანიტარული სწავლების ინტეგრირებულ ნაწილს; მესამე მოდელი ეყრდნობა ჟურნალისიტიკის major/ minor-ის სწავლების პრინციპს; მეოთხე მოდელი, ძირითადად მოქმედებს მაგისტრატურის დონეზე, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის საბაკალავრო სხვადასხვა განათლებას და ღრმავდება ჟურნალისტიკის ერთ კონკრეტულ სფეროში, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

როგორც უკვე აღინიშნა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის საქართვცელოში ჟურნალისტური განათლების დამამკვიდრებელ. თუმც, 1990-დან 2005 წლამდე ქვეყანაში გაიხსნა და სოკოებივით გამრავლდა ბევრი კერძო უნივერსიტეტი. ბევრ მათგანში წარმოდგენილი იყო ჟურნალისტური პროგრამებიც, მაგრამ დადებითი თვალსაზრისით გამოიკვეთა რამდენიმე:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- საქართველოს უნივერსიტეტი
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
- კავკასიის ჟურნალისტიკისა და მედიამენეჯმენტის სკოლა

ეს სკოლები დასაწყისში სთავაზობდნენ სტუდენტებს საბაკალავრო და/ან სამაგისტრო პროგრამებს, მოგვიანებით, ასპირანტურის გაუქმებასთან დაკავშირებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობისდნ თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაიწყო სადოქტორო პროგრამაზე მუშაობა.

ბოლონიის პროცესის დასაწყისი და განვითარება საქართველოში

<u>ა) სახელმწიფო პოლიტიკა</u>

დემოკრატიის გზაზე საქართველოს მრავალი გამოწვევის დაძლევა დასჭირდება. დემოკრატიის ინსტიტუტების გაძლერება, ადამიანის უფლებების აღიარება და დაცვა, კანონის უზენაესობა და სხვა - მნიშვნელოვანი ნაბიჯებია, რომლებიც აახლოვებს საქართველოს ევროკავშირის წევრობასთან. ევროკავშირში ინტეგრაცია მოითხოვს ქვეყნისაგან პროგრესს, სტაბილურობას, დემოკრატიის განვითარებას. ასოცირებაზე ხელის მოწერა (2014 წლის 27 ივნისი), რომელიც პირველ რიგში საქართველოს უხსნის გზას 500-მილიონიანი ბაზრისკენ, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეებს სთავაზობს გამარტივებულ ვიზა-რეგულაციებს მუშაობისა და სწავლის მიზნით, იძლევა საშუალებას ადამიანებმა, კომპანიებმა, უნივერსიტეტებმა გაუზიარონ ერთმანეთს ცოდნა და გამოცდილება. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში შესაძლებელი ხდება კიდევ უფრო დაახლოვდეს ევროპული და ქართული ფასეულობები და ღირებულებები, გაგრძელდეს რეფორმები ყველა საჭირო მიმართულებით, მათ შორიოს განათლების სფეროში - დაინერგოს სწავლისა და სწავლების საერთაშორისო სტანდარტები. ამ მიზნის მიღწევაში ევროპა მზად არის გაუწიოს საქართველოს სხვადასხვა ფორმით კონსულტუირება, ასისტირება, თანამშრომლობა. 1992 წლიდან 2005 წლამდე ევროკავშირმა საქართველოს გადასცა 505 მილიონი ევრო სხვადასხვა გრანტის სახით: TACIS, EC Humanitarian Office (ECHO), European Initiative for Democracy and Human RIGHTS (EIDHR), Rehabilitation და Macro-financial Assistance (MFA), TEMPUS, ERASMUS, და ახალ უკვე ERASMUS+ -ში. (12)

ევროპის ამგვარი მხარდაჭერის ფონზე საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა - 2004 წელს დაარსდა პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების ფონდი, რომელიც ქარ-

თველ სტუდენტებს მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებას აფინანსებს. 10 წელიწადში ფონდმა დააფინანსა 400-ზე მეტი სტუდენტი. პროგრამა დღესაც წარმატებულად გრძელდება.

ერთერთი ყველაზე მწვავე გამოწვევაა საქართველოსთვის - განათლების სწავლების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტების მიღწევა, რომელიც გახდება ქვეყნის წინსვლის და დასავლურ სამყაროსთან კიდევ უფრო მეტად დაახლოვების გარანტი. უდავოა, რომ მხოლოდ განათლებულ, ზნეობრივ ღირებულებებზე დაფუძნებულ საზოგადოებას შესწევს უნარი განავითაროს ქვეყანა და მიაღწიოს გარკვეულ წარმატებებს. ევროინტეგრაცია, ერთი მხრივ, და ეროვნული განათლების იდეები, მეორე მხრივ, არის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომელიც სწორი მიმართულებით ანვითარებს საქართველოს უმაღლეს განათლებას, დასავლურ სამყაროსთან მის დაახლოვებას და მისი სტანდარტების გაზიარებას, რაც თავს იჩენს 2005 წლის 19 მაისიდან, როდესაც საქართველო ოფიციალურად მიუერთდა ბოლონიის პროცესს.

ზოგადად, განათლების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობამ მხოლოდ 2013 წელს გამოყო 96 მილიონი ლარი. მოვიყვანთ რამდენიმე მონაცემს, თუ როგორ გადანაწილდა ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი:

ბაკალავრიატის დონეზე სახელმწიფო გრანტისთვის გამოიყო 10 მილიონ ლარამდე, მათ შორის სრულად დაფინანსებული პროგრამების რიცხვი გაიზარდა 14-დან 20-მდე:

2014 წლიდან სახელმწიფო უნივერსიტეტებში ფინანსდება სადოქტორო პროგრამები:

1,4 მილიონი ლარით ფინანსდება სოციალური პროგრამა სტუდენტების გარკვეული კატეგორიისათვის:

სტუდენტთა სახელმწიფო სტიპენდიისათვის გამოყოფილია 1.75 მილიონი ლარი. (7)

სამწუხაროდ, ამ ეტაპზე მედიაგანათლებაზე ვერ აისახა სახელმწიფო შეღავათები. მაგრამ ზოგადად ის ფაქტი, რომ სახელმწიფო სულ უფრო დიდ ყურადღებასა და მხარდაჭერას უცხადებს უმაღლეს განათლებას, იძლევა იმის იმედს, რომ ჟურნალისტიკა (და მისი სწავლება), როგორც დემოკრატიის ერთერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი, მომავალში ჩადგება სახელმწიფოს მხრიდან ხელშესაწყობი სპეციალობების რიგში.

ბ) აკრედიტაცია

განათლების სფეროში ფუნდამენტური ცვლილებების დაწყება მოითხოვს ზედმიწევნით დაფიქრებულ და ფრთხილ მიდგომას. განათლება ისევე, როგორც მეცნიერება, ზოგადად აკადემიური სფეროა, წლები ჭირდება ცოდნის დაგროვებას და მისი თაობებისათვის გადაცემის ყველაზე ეფექტიანი გზების მოძებნას. რეფორმები, ხშირად, მტკივნეულად აღიქმება საზოგადოების დიდი ნაწილის მიერ, მით უფრო ისეთ კონსერვატულ სფეროში, როგორიცაა განათლება. გონივრული რეფორმა ინარჩუნებს ყველა პოზიტიურ ასპექტს და დარგის განვითარებას, თანამედროვეობას უწყობს ხელს. მოვიყვანთ რამდენიმე მნიშვნელოვან პუნკტს:

შემუშავდა უმაღლესი განათლების კანონი, რამაც დაარეგულირა უნივერსიტეტების მისია, ფინანსური და აკადემიური დამოუკიდებლობა, სტუდენტის ინტერესები კიდევ უფრო მეტად და ერთმნიშვნელოვნად მოაქცია ყურადღების ცენტრში;

შემოღებულ იქნა ავტორიზაციის, აკრედიტაციის სისტემა, რამაც ობიექტურად შეამცირა უნივერსიტეტების რაოდენობა (220-დან რეფორმამდე 72-მდე 2014 წელს) და რეალურად აამაღლა სწავლის ხარისხი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად;

ევროპული უმაღლესი სასწავლებლების სტანდარტიზაციის მიხედვით შეიმუშავა უნივერსიტეტების გრადაციის სამი კატეგორია, რამაც საგძნობლად და რეალურად გააძლიერა უმაღლეს სასწავლებლებს შორის რეალური კონკურენცია;(7)

დაარსდა საგრანტო სისტემა, როგორც სამეცნიერო კვლევებისთვის, ისე სტუდენტებისათვის, რაც გზას უხსნის სწავლულებსა და სტუდენტებს მიიღონ მონაწილეობა სამეცნიერო და სასწავლო ეროვნულ, საერთაშორისო, თუ ერთობლივ პროექტებში;

შემოღებულ იქნა ერთიანი ეროვნული გამოცდა, რამაც ჩააყენა ყველა აბიტურიენთი თანაბარ სასტარტო პირობებში და უნივერსიტეტებში ერთმნიშვნელოვნად დაამარცხა კორუფცია;

ჩამოყალიბდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, რომელიც ობიექტური კონკურენციის საფუძველზე აფინანსებს კვლევებს მეცნიერების ყველა მიმართულებით;

მიღებულ იქნა კანონი პროფესიული განათლების შესახებ, რომელიც თავისი არსით არის პოზიტიური მივლენა, მაგრამ ჯერ კიდევ საჭიროებს დახვეწას (მაგალითად, სწავლის პერიოდში არ ათავისუფლებს ვაჟებს ჯარიდან; ათვისებული კრედიტები არ შეიძლება აღიარებულ იქნას საბაკალავრო კრედიტების ნაწილად); საქართველო გაერთიანდა რიგ საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციაში (მაგალითად, BFUG Board, London Communiqué Drafting Group).

გ) კურიკულუმი

კურიკულუმი, მისი დიზაინი განსაზღვრავს, თუ კონკრეტულად რას ისწავლის სტუდენტი, რა შინაარსი ჩაიდება მის განათლებაში, რა მეთოდებით მიაღწევს დასახულ მიზანს. უმაღლესი განათლების რეფორმიდან და ბოლონიის პროცესის ხელმოწერიდან ხუთ წელიწადში, 2010 წლის ზაფხულის მონაცემებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა ჟურნალისტიკის შესასწავლი კურიკულუმის **სამი ჯგუფი.**

ძირითადი და წამყვანი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები იყო წარმოდგენილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ათეულობით პროგრამა სხვა, კერძო უნივერსიტეტში წარმოადგენდა თსუ-ს პროგრამების, უკეთეს შემთხვევაში, მოდელირებას. იმ დროისათვის ეს არ იყო ძალზედ უცნაური მოვლენა – სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი ინარჩუნებდა ლიდერის პოზიციას თითქმის ყველა პარამეტრის მიხედვით. რამდენიმე წლით ადრე, ვიდრე რეფორმა შეეხებოდა ზოგადად უმაღლეს სკოლას, 2001 წელს თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტმა რადიკალურად შეცვალა მოძველებული საგანმანათლებლო პროგრამები, შემოიტანა ახალი თანამედროვე სასწავლო კურსები, შემოიღო კომპლექსური შეფასების სისტემა, სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართო პრაქტიკოსი ჟურნალისტები, გაამდიდრა სწავლების მეთოდოლოგია და აქტივობები. 2009 წელს სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შემადგენლობაში შესულმა ჟურნალისტიკის მიმართულებამ გამოაცხადა შეჩერებული სადოქტორო პროგრამა (ძირითადი და გარდამავალი), რომელმაც დღეისათვის დარგს შემატა ათამდე მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი. სამწუხაროდ, ვერც სახელმწიფო უნივერსიტეტმა აიცილა ერთგვარი იდეოლოგიური წნეხი, რაც აისახა 2008 წლის ახალ არჩეულ აკადემიურ პერსონალზე და ერთგვარად გავლენა იქონია, პირველ რიგში, ჟურნალისტიკის სწავლების ხარისხზე. ამრიგად, **პირველ ჯგუფს** წარმოადგენს ივანე ჯავახისვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის პროგრამები და მასთან მიახლოებული, უმნიშვნელო ცვლილებებით კერძო უნივერსიტეტების ანალოგები.

ჟურნალისტური საგანმანათლებლო პროგრამების **მეორე ჯგუფს** წარმოადგენდა პირველი ჯგუფისაგან სრულიად განსხვავებული კურიკულუმები, რომელიც უფრო ახლოს იყო ამერიკული ჟურნალისტური სკოლების ძირითად მახასიათებლებთან. ასეთებად შეიძლება დასახელდეს საქართველოს საზოგადოებრიც საქმეთა ინსტიტუტის ჟურნალისტიკისა და მედიამენეჯმენტის სკოლა, საქართველოს და კავკასიის უნივერსიტეტების მედიასკოლები. ეს არ არის გასაკვირი, რადგან ამერიკული მხარე აქტიურად იყო წარმოდგენენილი სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე პარტნიორი უნივერსიტეტების თუ სხვა ორგანოზაციების სახით: პროგრამების მომზადებისას, კურიკულუმების დიზაინის შექმნისას, ამერიკელი პროფესურის მოწვევისას, ტექნიკური თუ სხვა რესურსების მოზიდვისას, მენეჯმენტისას, სასწავლო ლიტერატურის შერჩევისას და გამოყენებისას.

მესამე ჯგუფს წარმოადგენდა ისეთი აქტიური, ამბიციური, რიგ შემთხვევებში ახლგაზრდა უნივერსიტეტები, რომლებსაც აღმოაჩნდათ საკმარისი აკადემიური, ტექნიკური, თუ სხვა რესურსი და სიახლის დანერგვის უნარი, რითიც სწრაფად და ეფექტიანად ექცეოდნენ ბოლონიის პროცესის ჩარჩოში. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, გრიგოლ რობაქიძის სახელობის და გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტები.

ყველა მოვლენას ახასიათებს დადებითი და უარყოფითი მხარეები. საქართველოს უმაღლესი განათლების რეფორმა წარიმართა ამ ორი მიმართულებით და 2010 წლისათვის გამოიკვეთა შემდეგი პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები.

დადებითად შეიძლება ჩაითვალოს:

- წამყვანი ჟურნალისტური სკოლების ძლიერი კონკურენციის ჩამოყალიბება, რამაც გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა კურიკულუმების შინაარსი;
- უნივერსიტეტების რეალური კონკურენციის პირობებში გაიზარდა სასწავლო პროცესში ჩართული პროფესორთა მოტივაცია , რათა მათი პროფესიული დონე კიდევ უფრო სწრაფად, თანამედროვედ და საინტერესოდ განვითარდეს;
- იგივე კონკურენცია აისახა არა მხოლოდ კლურიკულუმების შინაარსზე და პროფესურის დონეზე, არამედ იმაზეც, თუ რა ფორმებითა და ხერხებით აწვდიან ლექტორები სტუდენტებს ახალ ცოდნას, ანუ დაიხვეწა სწავლების მეთოდოლოგია.

ამავე დროს იკვეთება რამდენიმე ნეგატიური ასპექტიც:

- საშუალო სკოლებიდან მოსული სტუდენტების უმრავლესობის საბაზისო განათლების დონე ძალზედ დაბალია, რაც აფერხებს არა მხოლოდ სილაბუსებით გათვალისწინებული თემების დამუშავებას, არამედ ზოგადად სასწავლო პროცესს;
- 2010 წლამდე სასწავლო ლიტერატურა ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებისათვის ქართულ ენაზე იყო მწირი, რაც ძალზედ აფერხებდა გარკვეული სასწავლო კურსების შესწავლას;
- აკადემიური რესურსის ერთი ნაწილი განიცდიდა დეფიციტს – პრაქტიკოსი ჟურნალისტები მოუცლელობის თუ სხვა მიზეზთა გამო არ იყვნენ აქრტიურად ჩართული უშუალოდ სასწავლო პროცესში, რითიც აკლებდნენ სტუდენტებს პროფესიული გამოცდილების გაზიარებას;
- ძალზედ დუნე იყო მედიასაშუალებების თანამონაწილეობა კურიკულუმების შემუშავების პროცესში;

• მედიასაშუალებები ბოლომდე ვერ აცნობიერებდნენ საკუთარ მონაწილეობას კურიკულუმების შემუშავების პროცესში, რაც აშორებდა მედიაბაზრის რეალურ მოთხოვნებსა და მედიაგანათლებას ერთმანეთისაგან;

• სტუდენტები ჯერ კიდევ გაუცნობიერებლად ეკიდებიან კურიკულუმის major/minor-ის, მოდულების და არჩევითი კომპონენტის არსს და მექანიკურად აგროვებენ კრედიტებს, რითიც ვერ იყენებენ ჟურნალისტისათვის ასე სასურველ დამატებითი ცოდნის მიღების რეალურ საშუალებას;

• ზოგიერთი კურიკულუმი ჯერ კიდევ ინარჩუნებს არათანაბარ პროპორციას თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს შორის.

ნებისმიერი რეფორმა არის პროცესი, რომელიც თავის თავში გულისხმობს წარმოქმნილი პრობლემების დაძლევას და გადაწყვეტის საუკეთესო გზების პოვნას. ამგვარად განვითარდა ბოლონიის პროცესი საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროშიც და გამოავლინა, კერძოდ, ჟურნალისტური განათლების დადებითი და უარყოფითი ასპექტები რეფორმის დაწყებიდან ხუთი წლის თავზე.

ბოლო 10 წლის ევოლიცია (2005-2014)

ამ პროცესში ძალზედ მნიშვნელოვანია უცხოური ანალოგების შესწავლა და გაზიარება.

ამ მიზნით საინტერესოა ჟურნალისტური სწავლების **სკანდინავური** მაგალითი. 2014 წლის მონაცემებით 70 უმაღლესი სასწავლებელი ამზადებს მომავალ ჟურნალისტებს. სამ წამყვან უნივერსიტეტში ამოქმედებულია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები: ჰელსინკის უნივერსიტეტში („მედია და კომუნიკაციები“), ტამპერეს უნივერსიტეტში („მასობრივი კომუნიკაციები“) და იუვიასკიულეს უნივერსიტეტი („მედია და კომუნიკაციები“). სწავლა მიმდინარეობს MAJOR/MINOR-ის პრინციპით და სწავლისას აქცენტები კეთდება აუდიოვიზუალური ტექსტებისა და მედიატექნოლოგიების შესწავლაზე.ამავე დროს დიდი დრო ეთმობა უცხო ენების შსწავლას. ეს უკანასკნელი ყურადსაღებია ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა.

ჟურნალისტის პროფესიის დაუფლების კიდევ ერთი ასპექტი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. სკანდინავიაში ბევრი მედიასაშუალება თავად აფუძნებს საკუთარ ჟურნალისტურ სკოლას. მაგალითად, ჩრდილოეთ ევროპაში წამყვან მედიაკონცერნ Sanoma WSOY-ის აქვს „ჟურნალისტიკის სკოლა“; ფინეთის საზოგადოებრივ რადიომაუწყებლობა Yleisradio-ში გახსნილია „რადიოსა და ტელევიზიის ინსტიტუტი“. ბევრი საინტერესო გამოცდილების აღწერა შეიძლება, მაგრამ ჩვენ სხვა მიზანი გვამოძრავებს - შევისწავლოთ საუკეთესო, მოვახდინოთ მისი ადაპტირება და იმპლემენტაცია.

სხვადასხვა ევროპული ჟურნალისტური სკოლის მოდგომა ნამდვილად საინტერესოა საქართველოს უმაღლესებში ჟურნასლისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისას და ზოგიერთი დადებითი მაგალითის გაზიარებაც არ იქნებოდა ურიგო.

2013 წელს **ფლამანდიაში** ჩატარებული კვლევის თანახმად, ამ ქვეყანაში მოქმედებს ექვსი საბაკალავო და სამი სამაგისტრო პოგრამა, რომელიც ყოველწლიურ შიდა მონიტორინგს ჯერ უნივერსიტეტის, ხოლო შემდეგ, განათლების სამინისტროს ექსპერტიზას გადის. ფლამანდიური ჟურნალისტური განათლების საბაკალავრო საფეხური განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ინტერპერსონალური, პიროვნული უნარების განვითარებას, პრაქტიკული ცოდნის ათვისებას, მშობლიური ენის და რეგიონის სამეზობლო პოლიტიკისათვის პრიორიტეტული ენების საფუძვლიან შესწავლას. სტუდენტები, სწავლების პირველ წელს, საბაკალავრო დონეზე იძენენ ზოგად ცოდნას მედიის შესახებ, მეორე წელი ხმარდება სხვადასხვა მედიაპლატფორმის ფუნქციონირების შესწავლას, ხოლო მესამე წელს ხდება ერთ-ერთი მედიასაშუალების შერჩევა და მასში დაოსტატება. სამაგისტრო პროგრამები კი მეტწილად დაფუძნებულია კვლევის კომპონენტებზე. (6)

საფრანგეთში არსებული ჟურნალისტიკის 13 სასწავლებლიდან, ყველა ორიენტირებულია ისეთი ჟურნალისტის აღზრდაზე, რომელიც სწავლის დასრულების შემდეგ დასაქმდება ფრანგულ მედიაში. ცამეტივე სასწავლებლის ჟურნალისტური პროგრამა სარგებლობს მაღალი რეიტინგითა და რეპუტაციით, რაც ხელს უწყობს მომავალი ჟურნალისტების დასაქმებას. სპეციალობის სწავლების ხანგრძლივობა ორ წელს შეადგენს. პირველი წელი სავალდებულო სტაჟირებებთან ერთად თეორიულ სწავლებას ეთმობა, მეორე წელი კი – მთლიანად პრაქტიკულ საქმიანობას. (5)

საინტერესოდ მივიჩნიეთ ჟურნალისტური განათლების **იაპონური** მაგალითი, რომელიც, ცხადია, არ ითვალისწინებს ბოლონიის პროცესის ძირითად დებულებებს, მაგრამ ჟურნალისტიკის სწავლების არსით იდენტურია ევროპულ სკოლებთან. მომავალი ჟურნალისტების მომზადების მთავარი ცენტრია უასედას უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სკოლა (Waseda University „J.-School“), რომელიც ჩამოყალიბდა, შედარებით ევროპულ ანალოგებთან, მოგვიანებით, 2005 წელს. ამ სკოლას დეკლარირებული აქვს ძირითადი მიზანი - მოაზროვნე ინდივიდის ჩამოყალიბება. ამ პროცესში სახელდება ხუთი უმნიშვნელოვანესი საყრდენი: კრიტიკული აზროვნება, ჟურნალისტიკის როლის სიღრმისეული გაცნობიერება, სპეციალური ცოდნის მეცნიერული საფუძვლები, პროფესიული ჟურნალისტური ცოდნა, პროფესიული პრაქტიკა. (2)

საინტერესოდ იკვეთება ჟურნალისტური განათლების განვითარების ტენდენცია **ამერიკის შეერთებულ შტატებში.** XX საუკუნის ბოლოს და XXI -ს დასაწყისში აშშ-ს ჟურნალისტური სკოლები ძალზედ იყვნენ გატაცებული კურიკულუმებში პრაქტიკული უნარების აქცენტირებით. რიგ შემთხვევებში, მაგისტრატურის დონეზე, საგანმანათლებლო პროგრამები სთავაზობდნენ სტუდენტებს ჟურნალისტიკის შეს-

წავლის დაზუსტებულ, ვიწრო, კონკრეტულ სფეროს, მაგალითად, თემატურ ჟურნალისტიკას (კოლუმბიის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სკოლა), ან მედიის ერთი საშუალების ღრმად დაუფლებას (ვიზუალური, ახალი, აუდიო და სხვა). დღესდღეობით ამერიკული უნივერსიტეტები ცვლიან დამოკიდებულებას ზოგადი განათლების მიმართ და დიდ ადგილს უთმობენ თანამედროვე კურიკულუმებში. (3)

საინტერესოა, როგორ განვითარდა **საქართველოში** ჟურნალისტური განათლების პროცესი ტრადიციული მიდგომების, ბოლონიის პრინციპებისა, თუ უცხოური ანალოგების გათვალისწინებით.

ბოლო პერიოდის აკრედიტებული პროგრამების შესწავლა კონკრეტულ სურათს ხატავს დინამიკაში და გარკვეული დასკვნების გამოტანის შაშუალებას იძლევა.

ამჟამად, საქართველოს 58 უნივერსიტეტშია ამოქმედებული ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საგანმანათლებლო პროგრამები (სულ აკრედიტირებულია 72 უნივერსიტეტი). ევოლიციის თვალსაჩინოებისათვის შევადაროთ ორი მონაცემი:

2007 წელს ფუნქციონირებდა: 2 პროფესიული პროგრამა, 15 საბაკალავრო, 13 სამაგისტრო და 2 სადოქტორო პროგრამა.

2014 წლის მონაცემებით ამოქმედებულია: 2 პროფესიული, 12 საბაკალავრო, 9 სამაგისტრო და 1 სადოქტორო პროგრამა. ამასთან, ორმა ტელეკომპანიამ („მაესტრო“ და „იმედი“) და ერთმა რადიომ („თავისუფლება“) გახსნეს საკუთარი ჟურნალისტური სკოლები. რაოდენობრივად უნივერსიტეტებში საგანმანათლებლო პროგრამებმა იკლო, მაგრამ ხარისხობრივად - გახდა უფრო დახვეწილი, საინტერესო და სტუდენტისთვის მიმზიდველი, რასაც ადასტურებს აბიტურიენტთა კონკურსები.

წარმოდგენილი პროგრამების კურიკულუმების ანალიზი იძლევა საშუალებას გამოიყოს რამდენიმე დადერბითი მახასიათებალი (points?):

- ჩამოყალიბდა რეალური პარტნიორობა, სადაც საგანმანათლებლო პროგრამებში (როგორც შექმნის, ისე ამოქმედების პერიოდბში) ჩართულნი არიან პოტენციური დამსაქმებლები პროფესიული ცენტრები, ასოციაციები, ორგანიზაციები (მაგ.: ჟურნალისტთა კავშირი, მედიასაშუალებები - გაზეთები, ჟურნალები, რადიო და ტელეკომპანიები, საინფორმაციო სააგენტოები და სხვა);
- ამოქმედდა ერთობლივი პროგრამები ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე (როგორც ცალკეულ კომპონენტებში, ისე სრულად);
- ჟურნალისტიკის შესწავლის პროგრამებში გაფართოვდა დიპლომირებულ სპეციალისტთა ნუსხა: მედიამენეჯერი, რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, მედიატექნოლოგიების ინჟინერი, აუდიოვიზუალური ხელოვნების სპეციალისტი;
- გაძლიერდა პრაქტიკული კომპონენტი საუნივერსიტეტო დონეზე -აღიჭურვა სასწავლო სტუდიები, სუდენტები გადიან უნივერსიტეტების შიდა ქსელში, სუდენტური გადაცემები მაუწყებლობენ ღია ეთერში გარკვეულ სიხშირეებზე, იბეჭდება სასწავლო გაზეთები და ჟურნალები, მზადდება ონ-ლაინ ჟურნალისტური პროდუქტი;
- კურიკულუმებში შემცირდა ფილოლოგიური და ზოგადი საგნების სავალდებული სწავლება.

ყველა მოვლენას, მით უფრო მისი განვითარების პროცესში, გააჩნია როგორც დადებითი, ისე სუსტი მხარეები. არც ჟურნალისტური განათლების განვითარებისა და დახვეწის პროცესია გამონაკლისი. ჯერ კიდევ ითხოვს გადაწყვეტას რამდენიმე პრობლემა, როგორიცაა:

- სკოლიდან მოსული სუსტი კონტინგენტი აფერხებს დაგეგმილ სასწავლო პროცესს;
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთადერთი „მასობრივი კომუნიკაციის“ სადოქტორო პროგრამა, რომელიც უნდა ტონს აძლევდეს დანარჩენ უნივერსიტეტებს, იმსახურებს გარკვეულ კრიტიკულ შენიშვნებს;
- ზოგიერთ უნივერსიტეტში გაუმართავი და არასრულია ინფორმაცია პროგრამების შესახებ (აღწერა/გეგმა/აკადემიური პერსონალი/ბაზა), რიგ შემთხვევებში რთულია ნავიგაცია;
- ზოგიერთი პროგრამაში უფრო მკაფიო დაზუსტებას ითხოვს კვლევის კომპონენტის გაწერა, სასწავლო ბლოკების/მოდულების გამიჯვნა, კურსდამთევრებულის დასაქმების სფეროს დადგენა;
- საბაკალავრო და სამაგისტრო დონეებზე სასურველია გაძლიერდეს მონტაჟისა და ოპერატორის ოსტატობის უნარ-ჩვევების დაუფლება, ფოტოჟურნალისტიკისა და დოკუმენტალისტიკის სეგმენტების დაუფლება, ჯერ კიდევ მწირია ახალი მედიის შესწავლა. (1)

ინოვაციური მეთოდოლოგია

ბოლონია სასწავლო პროცესის სხვა მნიშვნელოვან კომპონენტთან ერთად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სწავლის მეთოდოლოგიას. ყველა სიახლის ამოსავალია - სტუდენტზე ორიენტირებული პრინციპი. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც ლექტორები სრულად არ იყენებენ სწავლების თანამედროვე, დინამიურ, მრავალფეროვან ფორმებს. სასწავლო პროცესი, რომელშიც XXI საუკუნის სტუდნტები, მომავალი ჟურნალისტები, არიან ჩართულნი, სწავლების კლასიკურ მეთოდებთან ერთად უნდა იყოს გამდიდრებული თანამედროვე ინოვაციური ინტერაქტიული ფორმებით (პრობლემაზე და-

ფუძნებული სწავლებით, დისკუსიებით, სიტუაციების სიმულაციებითა და მოდელირებით და მრავალი სხვა), რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიონალებად უკეთ ჩამოყალიბებას.

ბოლონიის პროცესის სტანდარტების გაზიარებამ იქონია გავლენა სასწავლო პროცესის პრაქტიკულად ყველა შმადგენელ ელემენტზე, მათ შორის სწავლების მეთოდოლოგიაზე. შეიცვალა ძირითადი პრინციპების ვექტორი - ინოვაციური მეთოდოლოგია ცენტრში აყენებს სუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას. უნივერსიტეტებში სწავლა ძირითად მიზნად ისახავდა ცოდნის გადაცემას აუდიტორიისათვის და ნაკლებ ყურადებას ანიჭებდა იმ კომპეტენციების გამომუშავებას, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მიღებული ცოდნის პროდუქტიულად გამოყენების უნარის ჩამოყალიბებას.

დღეს უნივერსიტეტების ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საგანმანათლებლო პროგრამების უმრავლესობა სხვადასხვა სასწავლო კურსების შესასწავლად იყენებს თანამედროვე მეთოდოლოგიის მრავალფეროვნებას, რაც აისახება კიდეც განათლების ხარისხსა და სწავლის შედეგებზე. სტუდენტი უნივერსიტეტისგან ელოდება მაღალ პროფესიულ ცოდნას, სწავლების საინტერესო და მრავალფეროვან მეთოდებს, სტუდენტისდ მიმართ ინდივიდუალურ მიდგომებს და ყურადღებას, თანამედროვე შესაბამის გარემოს. ჟურნალისტური ფაკულტეტების უმრავლესობამ უარი თქვა სწავლების მოძველებულ, არადინამიურ, მონოტონურ ფრომებეზე, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ხასიათთებოდა ჭარბი ინფორმაციით, ზოგჯერ მოსაწყენი მასალით, საილუსტრაციო მასალის ნაკლებობით, სტუდენტების პასიურობით. ჟურნალისტის პროფესიის დასაუფლებლად საგანმანათლებლო პროგრამები ტრადიციული და კლასიკური სწავლების ფორმებთან (ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი) ერთად სულ უფრო მეტად იყენებენ სწავლების ინტერაქტიულ მეთოდებს: პრობლემაზე დაფუძნებულ ლექციას (PBL), ლექცია-ვიზუალიზაციას, ლექცია-პრეს-კონფერენციას, სტუმარს აუდიტორიაში, დიალოგ/დიკუსიას, გონებრივ იერიშს (brain-storming), ქეის-ტექნოლოგიებს (*case study*), ობობას (spider), თემის დავიწროება/შერჩევას (topic narrowing and choosing), მენტალური რუკის მეთოდს (Mind Mapping), საქმიან,როლურ და სიტუაციურ თამაშებს, ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას (lBD). ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საგანმანათლებლო პროგრამებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკულ კომპონენტს. სწორად არის შეჯერებული თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსების ბალანსი. ბევრი უნივერსიტეტი სწავლის პროცესში აწარმოებს სასწავლო გაზეთებს, ჟურნალებს, ამზადებს და აქვეყნებს რადიო-, სატელევიზიო, მულტიმედიურ პროდუქტს, პერიოდულად გადის რადიო და სატელევიზიო სიშირეებზე. სასწავლო პროცესში პრაქტიკული საქმიანობის მსგავსი ჩართულობა ძალზედ უწყობს ხელს, რომ აუდიტორიაში მიღებული თეორიული ცოდნა ახალგაზრდამ სტუდენტობის პერიოდშივე გამოიყენოს პრაქტიკაში, რაც თავის მხრივ ემსახურება მომავალი ჟურნალისტის პროფესიული უნარების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას.

სწავლის პირობები

ინტერნაციონალიზაციის თვალთაზრისით, მობილობა და კრედიტების ტრანსფერის სისტემა იძლევა იმის საშუალებას, რომ სტუდენტმა, მათ შორის მომავალმა ჟურნალისტმა, გააკეთოს თავისუფალი არჩევანი: შეიცვალოს სპეციალობა, ფაკულტეტი, უნივერსიტეტი, გააგრძელოს სწავლა უცხოეთში. საგრანტო სისტემა და სტუდენტური სესხი აძლიერებს სწავლის მოტივაციას. სწავლის ხელშემწყობი სხვადასხვა ფონდი იზიდავს წარჩინებულ სტუდენტებს განათლების მისაღებად ევროპასა და აშშ-ში. მრავალი პროგრამა იყენებს იმ საშუალებებს, რასაც იძლევა Bologna Magna Charta და ლისაბონის კონვენცია. (10)

საქართველოს ბევრი უნივერსიტეტი, სადაც ამოქმედებულია ჟურნალისტური პროგრამები, სასწავლო პროცესში მრავალ ინოვაციას სთავაზობენ სტუდენტებს. პრაქტიკულად ყველა ჟურნალისტიკის/მასობრივი კომუნიკაციის პროგრამა ზრუნველყოფს სტუდენტებს სასწავლო რადიო და სატელევიზიო სტუდიებით, ე.წ. ნიუსრუმებით, მაგრამ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა (GIPA) და სდასუმ კიდევ უფრო წინ გადადგეს ნაბიჯი - მათ გააჩნიათ საკუთარი სამაუწყებლო სიხშირეები და სტუდენტებს საშუალება აქვთ ღია ეთერისატვის მოამზადონ პროგრამები, ხო ლ ო გრიგოლ რობაქიძის სახელობის და გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტებს აქვთ საავტორო და თემატური შემოქმედებითი სახელოსნოები. უნივერსიტეტების უმრავლესობას გაფორმებული აქვთ მემორანდუმები სხვადასხვა მედიასაშუალებებთან, რაც ხელს უწყობს პროფესიული უნარ-ჩვევების პრაქტიკულ შეძენას.

აკრედიტაციის წესის თანახმად, ყველა საგანმანათლებლო ჟურნალისტური/მასობრივი კომუნიკაციის პრაგრამა გამაგრებულია სილაბუსებით, სწავლის უახლესი მეთოდოლოგიით, სასწავლო ლიტერატურითა და სხვა მასალებით, თანამედროვე ბიბლიოთეკებით, მულტიმედია საშუალებებით, აკადემიური და მატერიალური რესურსებით, დამატებითი პროფესიული აქტივობებით (მასტერ-კლასები, საჯარო ლექციები, პროფესიული კლუბი, ფესტივალები და ა. შ.). ამგვარი კომპლექსური მიდგომა ჟურნალისტური განათლებისადმი იმედს იძლევა, რომ ჟურნალისტიკის/მასობრივი კომუნიკაციის პროგრამების კურსდამთავრებულები რეალურად აღმოჩნდნენ კონკურენტუნარებიანი პროფესიონალები თანამედროვე ქართულ მედიაბაზარზე.

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში

თანამედროვე განათლების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ახალი ტექნოლოგირბის გამოყენება სასწავლო პროცესში. ამ შემთხვევაში იგულისხმება არა მხოლოდ ინფორმატიკის როგორც საგნის სწავლება, არამედ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება როგორც, ერთი მხრივ, ცოდნის მიღების დამატებითი ინსტრუმენტი და, მეორე მხრივ, სასწავლო პროცესის მართვის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნა და გამოყენება ხელს უწყობს კომუნიკაციის პროცესს სტუდენტსა და პროფესორს შორის, მასალების ურთიერთ გაზიარებას, ჯგუფურ მუშაობას, ზოგადად ამაღლებს და თანამედროვეს ხდის სწავლისა და სწავლების კულტურას. ისეთი ელექტრონული პლატფორმები, როგორიცაა MOODLE-ი, LAMS-ი, SCORM-ი, DAQ-ი, Lab VIEW-ი, ELVIS II-ი და სხვა, რაც გამოიყენება საქართველოს უნივერსიტეტების უმრავლესობაში. კონკრეტული პროგრამები ხელს უწყობენ ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებს ელექტრონულად მოამზადონ სასწავლო გაზეთერბი და ჟურნალები, სატელევიზიო და რადიო სიუჟეტები, სარეკლამო კლიპები, ბლოგები, დაეუფლონ ახალი მედიის შექმნის პრინციპებს. (4)

სამუშაო პირობები და აკადემიური თავისუფლება

სხვადასხვა ეროვნული, თუ საერთაშორისო ფონდები, ორგანიზაციები ხელს უწყობენ ჟურნალისტიკის სწავლებაში ჩართულ პროფესურას აიმაღლოს პროფესიული დონე, გაიზიაროს სხვათა გამოცდილება, გააფართოვოს პროფესიული კონტაქტები, მიიღოს მონაწილეობა ერთობლივ პროექტებში. ამგვარი აქტივობა ემსახურება კურიკულუმების, სასწავლო კურსები, სილაბუსების, სწავლის მეთოდოლოგიის გაუმჯობესებას, დახვეწას, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანასა, ახალი სასწავლო ლიტერატურის, სხვა მასალების შექმნას, სისტემატიზაციას, თარგმნას, განახლებას, მოწესრიგებას. აღსანიშნავია, რომ სასწავლო რესურსების თვალსაზრისით მდგომარეობა ზოგადად გაუმჯობესდა, საქართველოს უნივერსიტეტის,IREX-ის, ღია საზოგადოება „საქართველოს“ და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) მიერ ითარგმნა უახლესი ინგლისურენოვანი (ძირითადად ამერიკული) სახელმძღვანელოები. მართალია, ეს უდავოდ დადებითი მოვლენაა, მაგრამ ნათარგმნ წიგნებში, ბუნებრივია, ვერ აისახებოდა ქართული რეალობა. ამ ეტაპზე ეს პრობლემა ნაწილობრივ გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს იმ ფაქტით, რომ 2013 წელს ქართველი და ფრანგი პროფესორების ძალისხმევით მომზადდა და გამოიცა ფუძემდებლური ნაშრომი „ჟურნალისტიკა“.

პროფესურის მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში, სამეცნიერო პუბლიკაციები, სამეცნიერო ფორუმებში აფართოვებს და აღრმავებს პროფესიულ აკადემიურ ცოდნას, ხელს უწყობს ლექტორების საერთაშორისო სამეცნიერო ინტელექტუალურ აქტივობებში ჩართულობას, რაც საბოლოო ჯამში პირდაპირ აისახება მათ აკადემიურ თავისუფლებაზე.

კრიტიკული და თვითკრიტიკული მიდგომა

კრიტიკული შეფასება წარმოადგენს აუცილებელ პირობას იმისათვის, რომ სწორად და რეალისტურად შეფასდეს, თუ რამდენად გამართულად, ხარისხიანად, შედეგზე ორიენტირებულად მუშაობს სასწავლო პროცესის ყოველი რგოლი.

უკუკავშირის სისტემა - ეს ერთ-ერთი ის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც ზომავს პროგრამის დეკლარირებულ მიზანსა და მიღებული შედეგის შესაბამისობას.

ამავე დროს, უკუკავშირის სისტემა გულისხმობს ლექტორისა და სტუდენტის ურთიერთკონტროლს. უნივერსიტეტებში ამოქმედებული ჟურნალისტური და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამები მიმართავენ სხვადასხვა აპრობირებულ მეთოდს, რათა ობიექტურად დადგინდეს პროგრამის შემადგენელი ნებისმიერი კომპონენტის სუსტი და ძლიერი მხარეები.

მაგალითისათვის მოვიყვანთ ჟურნალისტიკის ერთ-ერთი საბაკალავრო პროგრამის (გთსუ -GTTU) ანონიმური გამოკითხვის შეკითხვებს:

- რამდენად ნათელია სალექციო კურსის მიზნები?
- ლექტორი კარგადაა მომზადებული ყოველი ლექციისათვის, ორიგინალურად და საინტერესოდ წარმართავს მეცადინეობას?
- მასალის ახსნისას ლექტორი იყენებს მაგალითებს, თვალსაჩინოებას?
- ლექტორი ამომწურავად და გასაგებად პასუხობს სტუდენტის შეკითხვებს?
- როგორ შეაფასებდით ლექტორის მიერ შემოთავაზებულ სასწავლო მასალას?
- რამდენად ობიექტურია ლექტორი სტუდენტის ცოდნის შეფასებისას?
- ლექტორი ზუსტად მიჰყვება სილაბუსით გაწერილ გეგმას/
- რამდენად შეესაბამება სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა ლექციების შინაარსს?
- რამდენად უკავშირებს ლექტორი სასწავლო კურსის შინაარსს მის პრაქტიკულ გამოყენებას?
- რამდენად მზადაა ლექტორი გაუწიოს სტუდენტს კონსულტაცია აუდიტორიის ფარგლებ გარეთ?
- როგორ იყენებს ლექტორი დამხმარე სასწავლო საშუალებებს (პროექტორს, ინტერნეტს და ა.შ.)?
- რამდენად გაკმაყოფილებთ ლექტორის ხმის სმენადობა, ინფორმაციის მიწოდების ტემპი?

- რამდენად კმაყოფილი ხართ ბიბლიოთეკის მომსახურეობით?
- რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო გარემოთი?
- სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით რას შესთავაზებდით ლექტორს?

შკითხვების ნუსხა შეიძლება გაგრძელდეს, შეიცვალოს საჭიროებებიდან გამომდინარე, მაგრამ გამოკითხვის შედეგების ანალიზი ნებისმიერ შემთხვევაში რჩება ძალზედ მნიშვნელოვან და ანგარიშგასაწევ ფაქტორად, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას.

სტუდენტის პერსონალური განვითარებისათვის არ არის საკმარისი სასწავლო პროცესში მხოლოდ ცოდნის ათვისება, აუცილებელია მისი თითოეული ეტაპის მიღწევის შეფასება.

მაგალითად, გთსუ (GTTU) სთავაზობს სტუდენტს პერსონალური განვითარების შეფასებისათვის საინტერესო და ინფორმატიულ თვითშეფასების მეთოდს PDP (Personal Development Plan). ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს საკუთარი ცოდნის ობიექტურად შეფასების უნარს, თვითკრიტიკისა და სწავლის პროცესის მართვის უნარს.

გარდა მოყვანილი მაგალითებისა, აუცილებალდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, კეძოდ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ყოველწლიურად იგზავნება ყოველი საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური თვითშეფასების დოკუმენტი, რაც აგრეთვე ხელს უწყობს სასწავლო პროცესის სრულყოფას.

ფაკულტეტების მენეჯმენტი: საუკეთესოს ძიებაში

2005 წელს, როდესაც საქართველო მიუერთდა ბოლონიის პროცესს, უმაღლესმა სისტემამ მოითხოვა სასწავლო პროცესის რეფორმირება რამდენიმე მიმართულებით, მათ შორის მართვაში.

უნივერსიტეტების საქმიანობას არეგულირებს საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (17.06.2011; # 4792;www.parliament.ge) (8) და ყოველი უნივერსიტეტის შინაგანა წესი. ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით ისაზვრება უმაღლესი სასწავლებლის, როგორც ორგანიზაციის იურიდიული ფორმა, სტრუქტურა, ადმინისტრაციული ერთეულები, ბიუჯეტი და სხვა. 2005 წლიდან უნივერსიტეტებში დაიწყო არსებული ფაკულტეტების გაერთიანება. მაგალითად, თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტში იმ დროისათვის არსებული 22 ფაკულტეტი გაერთიანდა 6 ფაკულტეტად. ფაკულტეტების გამსხვილება არ იყო თვითმიზანი და ემსახურებოდა, და ახლაც ემსახურება ფაკულტეტების ადმინისტრირების ეფექტიან მართვას, რათა მიღწეულ იქნას რამხდენიმე ძირითადი ამოცანა: აკადემიური პროგრამებისა და კვლევითი პროექტების მომზადება და ამოქმედება; სწავლის, სწავლებისა და კვლევისათვის აუცილებელი პირობების შექმნა; პროფესურისა და სტუდენტების უფლებებისა და აკადემიური თავისუფლების დაცვა; კარიერული ცენტრების მეშვეობით სტუდენტების შემდგომი დასაქმების ხელშეწყობა; უწყვეტი განათლების (LLL) ხელშეწყობა; მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენება და განვითარება. ფაკულტეტების გამსხვილებამ სუდენტს საშუალება მისცა, თავად შეადგინოს კურიკულუმის ინდივიდუალური დიზაინი, ანუ აირჩიოს ე.წ. major/minor-ისა, თავისუფალი კომპეტენციების კომპონენტები, სასწავლო კურსების პროფესორები და სხვა. მთელ ამ პოზიტიურ პროცესს ახლავს გარკვეული ხარვეზი - რიგ უნივერსიტეტებში ფრიად ხელოვნურად მოხდა ყოფილი ფაკულტეტების გაერთიანება ერთ ფაკულტეტად. მაგალითად, ბიზნესის, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი თანაარსებობს ერთი ქოლგის ქვეშ, რაც რეალურად ქმნის გარკვეულ გაუგებრობებს და სირთულეებს. მართალია, ასეთ ზომებს მიმართავენ, ძირითადად, მცირერიცხოვანი კონტინგენტის მქონე უნივერსიტეტები და ამგვარ გაერთიანებას ხსნიან ადმინისტრირების გამარტივებით, მაგრამ, ზოგადად, ფაკულტეტების გამსხვილება უნდა ემორჩილებოდეს მონათესავე დარგების ლოგიკურ გაერთიანებას. ასეთ შემთხვევებში ბიუროკრატიული და ადმინისტრირების მექანიზმები მოქმედებს ძალზედ ეფექტიანად და სრულყოფილად.

სტუდენტი - უნივერსიტეტი - დამსაქმებელი

უნივერსიტეტი - ეს ის უნიკალური ადგილია, სადაც უნდა იქნას გათვალისწინებული ორი ბაზრის მოთხოვნა. ერთი მხრივ, ეს არის აბიტურიენტთა მოთხოვნები, მეორე მხრივ - მედიაბაზრის მოთხოვნები. ამ მოთხოვნების შეჯერება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან საფუძვლად უდევს ამჟამად ამოქმედებული პროგრამების უმეტესობას. ბოლო წლების სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ჟურნალისტიკის სპეციალობაზე აბიტურენტთა მოთხოვნა კვლავ მაღალია. პოტენციური დამსაქმებების მუდმივი ჩართულობა როგორც პროგრამის მომზადების ეტაპზე, ისე ამოქმედებისას, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მედიაბაზრის მოთხოვნები მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული და აისახოს სასწავლო გეგმებში. უნივერსიტეტების უმეტესობა მუდმივად მიმართავს სხვადასხვა მედიასაშუალებებს კითხვარებით, ანკეტებით, იმართება მრგვალი მაგიდები, თემატური შეხვედრები, იქმნება კარიერის ცენტრები, კურსდამთავრებულთა ბაზები და სხვა.

ჟურნალისტიკის სწავლებისას, რომლის შინაარსი, ფორმა და მეთოდოლოგია აისახება უმაღლესი სკოლის აკადემიურ პროგრამებში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოტენციური დამსაქმებლის მოთხოვნებსა და საჭიროებებს. საქართველოს მედიაბაზრის კვლევა და ანალიზი ხელს უწყობს აქტუალური და მოთხოვნადი პროგრამის შედგენასა და ამოქმედებას. მედიაბაზრის მასშტაბური კვლევა საქართველოში არ ჩატარებულა. მის კვლევასთან დაკავშირებულ პრობლემას ერთგვარად ავსებს სხვადასხვა ორგანიზაცი-

ების მიერ ბოლო წლებში ჩატარებული კვლევები, მაგალითად: ”საქართველოს მედიის სიღრმისეული კვლევა“ (კავკასიის კვლევის რესურსების ცენტრი, CRRC, 2009 წ.); ”საზოგადოებრივი აზრის კვლევა და მედია სტანდარტი“ (მედიის განვითარების ფონდი, MDF, 2011); ”ანგარიში ქართული მედია და სარეკლამო ბიზნესის კვლევის შესახებ“ (G-მედია პროგრამა, USAID,IREX, 2011); „მედია მონიტორინგ“ - ის ანგარიში“ (National Endowment for Democracy, 2011-2012); დაკვირვების ობიექტი გახდა აგრეთვე რამდენიმე საიტი, კერძოდ: jobs.gecareers.com; job.ge; job.geo; jobgeo.com;ambebi.ge-ვაკანსიები; საკითხის ზოგიერთი ასპექტის შესწავლა წარმოდგენილია ლ. ძამუკაშვილის სადისერტაციო ნაშრომში „ჟურნალისტიკის საბაკალავრო კურიკულუმი“ (თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011), დ. ჭანკოტაძის სტატიაში „საქართველოს 2014 წელს გასავლელი გზა ევროინტეგრაციისაკენ“, 13 უნივერსიტეტის მონაწილეობით, მათ შორის რეგიონული, გამართული მრგვალი მაგიდა „ჟურნალისტური განათლება“ (2015 წლის, 20 მარტი, გთსუ). ჟურნალისტიკის სპეციალობის კურსდამთავრებულთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების შეფასებისთვის გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის კათედრამ შეიმუშავა კითხვარი დ ა ჩაატარა გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს 13 წამყვანი მედიასაშუალების 85 წარმომადგენელი (მედიასაშუალების მთავარი რედაქტორები, მენეჯერები, პროდიუსერები, ჟურნალისტები).

მედიასაშუალებები:

1) 2 ჟურნალი - „არსენალი“ და „ჩვენი მწერლობა“;
2) 4 ტელეარხი - სსმ I და II არხები, „რუსთავი 2“ და „ერთსულოვნება“;
3) 2 გაზეთი - „ახალი გაზეთი“ და „კახეთის ხმა“;
4) 2 რადიო - სსმ -ს რადიო და რადიო FM107.9;
5) 1 საინფორმაციო სააგენტო „reportiori.ge”;
6) 1 დამოუკიდებელი ტელესტუდია „მონიტორი“;
7) 1 PR-სამსახური (გთსუ).

კითხვარის მიხედვით, ჟურნალისტური კომპეტენციების ფლობა ოთხი კრიტერიუმით იყო შესაფასებელი: ***ცუდად, საშუალოდ, კარგად, ძალიან კარგად;*** ქვემოთ დიაგრამებზე მოცემულია თითოეული კომპეტენციის თაობაზე შეფასებების გადანაწილების მაჩვენებელი. აქ კი შევეცდებით მოკლედ ჩამოვაყალიბოთ, რა ტენდენცია იკვეთება ამ მაჩვენებლების ანალიზით:

➢ ყველაზე პოზიტიური შეფასების („ძალიან კარგად“) მიხედვით პირველი ადგილი გაიყო ორმა პროფესიულმა მახასიათებელმა – „***რესპოდენტებთან, კოლეგებთან, დამსაქმებლებთან*** და ***ა.შ. კომუნიკაციის უნარი“*** და „***კრიტიკულ სიტუაციაში თავის გაკონტროლების უნარი“*** (15-15 პასუხი 85-დან); მეორე ადგილზეა ***ქართული ენის ნორმების ფლობის*** მაჩვენებელი (14 პასუხი 85-დან).

➢ შეფასება „ცუდად“ ყველაზე მაღალია ***მედიის რეგულირების სამართლებრივი ნორმების*** ცოდნასთან მიმართებაში (23 პასუხი 85 გამოკითხულიდან); აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთივეა მაჩვენებელი „საშუალოდ“. 85 გამოკითხულიდან მხოლოდ 21 აფასებს ჟურნალისტიკის სპეციალობის კურსდამთავრებულთა მიერ მედიის სამართლებრივი რეგულირების ნორმების ცოდნას „კარგად“ ან „ძალიან კარგად“;

➢ ***პროფესული ეთიკის ნორმების*** დაცვასთან დაკავშირებულ კითხვაზე შეფასება „კარგად“ (13) და „ძალიან კარგად“ (12) გაცილებით ნაკლებია, ვიდრე შეფასება „საშუალოდ“ (30); საბოლოო ჯამში, შეფასება „ცუდად“ (12) და „საშუალოდ“ გაცილებით აღემატება (42) პროფესიული ეთიკის ნორმების ფლობის პოზიტიურ მაჩვენებელს (25).

➢ ერთგვარი ტესტი აღმოჩნდა კითხვა – „***კურსდამთავრებული იცავს დამსაქმებელი მედიასაშუალების ეთიკის კოდექსს“*** და მოულოდნელი იყო პასუხების რაოდენობა (67)**;** რამდენადაც დეკლარირებულად ეთიკის კოდექსი აქვს მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელს, მოსალოდნელი იყო რომ რესპონდენტთა უმრავლესობა უპასუხოდ დატოვებდა ამ კითხვას, მაგრამ არათუ უპასუხეს, უმეტესობამ (50) შემოხაზა პასუხი – „საშუალოდ“ და „კარგად“, ხოლო შეფასება „ცუდად“ იყო მიზერული (4).

➢ აღსანიშნავია, რომ დიამეტრალურად განსხვავებული შეფასებები – „ცუდად“ და „ძალიან კარგად“ პასუხების რაოდენობის თვალსაზრისით თითქმის ყველგან მინიმალურია; გაცილებით მეტია შეფასება „საშუალოდ“ და „კარგად“.

➢ სასიამოვნო მოულოდნელობა იყო რომ კრიტერიუმებმა – „***კურსდამთავრებულს შეუძლია ტექსტის ანალიზი და სათანადო დასკვნების გამოტანა“*** და „***კურსდამთავრებულს შეუძლია ვერბალური და ვიზუალური ინფორმაციის ანალიზი და სათანადო დასკვნების გამოტანა“*** შეფასება „ცუდად“ მიიღო მინიმალური (3-3), ხოლო „საშუალოდ“ და „კარგად“ მაღალი მაჩვენებლით აღინიშნა (შესაბამისად, 60 და 56 პასუხი 85-დან).

გამოკითხვის შედეგებმა უჩვენა, რომ გამოკითხულმა რესპონდენტებმა ჟურნალისტიკის სპეციალობის კურსდამთავრებულის პროფესიულ უნარ-ჩვევებს შორის ყველაზე არსებითად მიიჩნიეს ***აქტუალური თემის გამოკვეთისა*** (44) და ***რესპონდენტის სწორად შერჩევის*** (42) უნარი.



კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

- *გამოკვეთოს აქტუალური **თემა***
- *მოიძიოს **საინფორმაციო საბაბი***
- *განავითაროს მთავარი **იდეა** თემასთან მიმართებაში*
- *სწორად შეარჩიოს **სამიზნე აუდიტორია***
- *სწორად განსაზღვროს პრაქტიკული სამუშაოს **მიზანი და ამოცანები***
- *შეადგინოს სამოქმედო **გეგმა** პრიორიტეტების გამოყოფითა და თანმიმდევრობის განსაზღვრით*
- *მოიძიოს და დაამუშაოს შესაბამისი **წყაროები***
- *მოიძიოს შესაბამისი საილუსტრაციო **მასალა***
- *სწორად შეარჩიოს **რესპონდენტი***
- *მოამზადოს და წარმართოს **ინტერვიუ***
- ***დაამონტაჟოს მასალა** და მოამზადოს ეთერისთვის (ელექტრონული მედიის შემთხვევაში)*
- ***ოპერატიულად** მოამზადოს დავალება*




2.კურსდამთავრებულს შუძლია ვერბალური და ვიზუალური ინფორმაციის ანალიზი და სათანადო დასკვნების გამოტანა
40
20
0
ცუდად
საშუალოდ
კარგად
ძალიან კარგად


3.კურსდამთავრებული ფლობს ქართული ენის ლიტერატურულ ნორმებს
30
20
10
0
ცუდად
საშუალოდ
კარგად
ძალიან კარგად


4.კურსდამთავრებული ფლობს რომელიმე უცხო ენას
50
0
ცუდად
საშუალოდ
კარგად
ძალიან კარგად


5.კურსდამთავრებულს აქვს რესპოდენტებთან, კოლეგებთან, დამსაქმებლებთან და ა.შ. კომუნიკაციის უნარი
40
20
0
ცუდად
საშუალოდ
კარგად
ძალიან კარგად


6.კურსდამთავრებული იცნობს მედიის რეგულირების სამართლებრივ ნორმებს
30
20
10
0
ცუდად
საშუალოდ
კარგად
ძალიან კარგად


7. კურსდამთავრებული იცავს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებს
30
20
10
0
ცუდად
საშუალოდ
კარგად
ძალიან კარგად





საინტერესო და საგულისხმო იყო პასუხები, რომელიც ე.წ. ღია კითხვების ***(„კიდევ რა არსებით უნარებსა და კომპეტენციებს უნდა ფლობდნენ ჟურნალისტიკის კურსდამთავრებულები"; „რა არის, თქვენი აზრით, ჟურნალისტიკის კურსდამთავრებულის სუსტი მხარე")*** პასუხად მივიღეთ: ამ კითხვების პასუხებში რესპონდენტები უმეტესწილად, იგივე ან განსხვავებული ინტერპრეტაციით, იმეორებენ კითხვარში გამოკვეთილ კომპეტენციებს; მაგრამ ვთვლით, რომ „ღია კითხვის" მეთოდით მიღებული პასუხები მაინც მნიშვნელოვანია, რადგან ეს არის სწორედ ის პრიორიტეტული კომპეტენციები და სუსტი მხარეები, რომელთა აღნიშვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნიეს კვლევაში მონაწილე პროფესიონალებმა.

„ღია კითხვებში" ძირითადად გამოიკვეთა შემდეგი უნარები და კომპეტენციები:

➢ **ანალიზისა და პრიორიტეტების განსაზღვრის უნარი** *(„უნდა ჰქონდეს ანალიტიკური აზროვნება"; „უნდა შეეძლოს ანალიზი, აქცენტების სწორად დასმა"; „სიღრმისეულად უნდა შეისწავლოს განსა-*

ხილველი თემა და დასვას სწორი აქცენტები"; „უნდა იცნობდეს თანამედროვე ტენდენციებს და შეძლოს მათი ანალიზი"; „ხშირად კურსდამთავრებულები მხოლოდ ოპერატიულობაზე არიან ორიენტირებულები და არ ცდილობენ გაარკვიონ რა არის კონკრეტული მოვლენის მთავარი არსი");

- **რესპონდენტებთან ურთიერთობისთვის საჭირო უნარ-ჩვევები** *(„კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს ღრმად გაეცნოს თემას, რომელზეც მუშაობს; ინტერვიუს შემთხვევაში დაელოდოს პასუხს და არ გადავიდეს წინასწარ განსაზღვრულ მომდევნო კითხვაზე, არამედ დააზუსტოს რესპონდენტის ხედვა, საკითხისადმი მიდგომა"; „თემაში კარგად უნდა ერკვეოდეს, რომ რესპონდენტს „იაფფასიანი" კითხვები არ დაუსვას");*
- **პასუხისმგებლობა;**
- **ოპერატიულობა;**
- **გარემოში ადაპტაციის უნარი;**
- **ფორსმაჟორულ სიტუაციაში მუშაობის უნარი;**
- **მულტიმედიური შესაძლებლობების გამოყენების უნარ-ჩვევა.**

რამდენიმე რესპონდენტმა ყურადღება გაამახვილა ისეთ სიღრმისეულ კომპეტენციაზე, როგორიცაა **ჟურნალისტიკის როლისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის გააზრება**; განსხვავებული აზრის მიღება და პატივისცემა *(„არ უნდა შელახოს სხვისი უფლებები, ესმოდეს საკუთარი საქმის მნიშვნელობა და გავლენა საზოგადოებაზე"; „შეეძლოს განსხვავებული ფოკუსის დანახვა").*

„ღია კითხვებში" კურსდამთავრებულთა სუსტი მხარეების აღნიშვნისას ფიგურირებს: **განათლების უკმარისობა, ზედაპირულობა, არაკომპეტენტურობა, პრაქტიკის არქონა, მოტივაციის არქონა, ქართული ენისა და გრამატიკის არასათანადოდ ფლობა** გამოკითხულ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ზოგადი განათლების სიმწირეზე ან არქონაზე.

საგანგებოდ გავამახვილებთ ყურადღებას ორ პასუხზე, რომლებშიც, ჩვენი აზრით, ფოკუსირებულია არა მხოლოდ ჟურნალისტიკის კურსდამთავრებულთა ერთ-ერთი არსებითი ნაკლი, არამედ, გამოკვეთილია ჟურნალისტური განათლების ერთი მთავარი ორიენტირი: ***„უნივერსიტეტში სწავლების არაადეკვატური მეთოდების გამო ჟურნალისტიკის, როგორც პროფესიის არასწორი გაგება"; „ნაკლებად იცნობენ ჟურნალისტიკის საზოგადოებრივ მნიშვნელობას, ჟურნალისტიკა მათთვის მხოლოდ დასაქმების შესაძლებლობაა და მედიის მნიშვნელობის რეალური შეფასება უჭირთ."***

ამ შედეგების განმაპირობებელი ფაქტორების შესწავლა ცალკე კვლევის საგანია, მაგრამ ჟურნალისტიკის კურსდამთავრებულთა მწირი განათლება, ზედაპირულობა, ქართული ენისა და გრამატიკის არასათანადოდ ფლობა, ინტელექტის დაბალი დონე და სხვა არ უნდა იყოს მხოლოდ უმაღლესი ჟურნალისტური განათლების ხარვეზების შედეგი. გამოცდილება ცხადყოფს, რომ სასკოლო განათლების ზედაპირულობა ის მწირი ნიადაგია, რომელზეც ძალიან ძნელია, და ზოგჯერ შეუძლებელიც, ფუნდამენტური განათლებისა და პროფესიული ცოდნის დაფუძნება.

საქართველოში მომქმედი განსხვავებული ჟურნალისტიკის/მასობრივი კომუნიკაციის საგანმანათლებლო პროგრამები ემსახურებიან ერთსა და იმავე მიზანს - მოამზადონ განათლებული, მომზადებული, მაღალი პროფესიული სტანდარტების მქონე ჟურნალისტი. ქართული ჟურნალისტური განათლების ამოცანაა - არსებულის ანალიზი, მუდმივი განვითარება და საბოლოოდ ისეთი ჟურნალისტთა კორპუსის მომზადება, რომელიც ადექვატურად უპასუხებს უველა იმ გამოწვევას, რომელიც იდგება სახელმწიფოს, საზოგადოების და მედიაბაზრის წინაშე.

ლიტერატურა

1. მარინე ვეკუა, *ჟურნალისტური განათლება: საუკეთესოსო ძიებაში.* მოხსენება, წაკითხული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „გზა ევროინტეგრაციისაკენ", გთსუ, თბილისი, 2014, გვ. 435-440.
2. მარინე ვეკუა, *საქართველოს ჟურნალისტური განათლებისა და მედიაბაზრის მოთხოვნების შესაბამისობა.* მრგვალი მაგიდის „ჟურნალისტური განათლება" მასალები. გთსუ, თბილისი, 20 მარტი, 2015.
3. მაია მიქაშავიძე, *აშშ-ს გამოცდილება ჟურნალისტიკის საუნივერსიტეტო სწავლებაში.* მრგვალი მაგიდის „ჟურნალისტური განათლება" მასალები. გთსუ, თბილისი, 20 მარტი, 2015.
4. თინათინ მშვიდობაძე, *თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირების ტენდენციები სასწავლო პროცესში.* გზა ევროინტეგრაციისაკენ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული, გთსუ, თბილისი, 2014, გვ. 435-440.
5. დიანა ჭანკოტაძე, *ჟურნალისტიკის სწავლების ფრანგული მოდელი.* მრგვალი მაგიდის „ჟურნალისტური განათლება" მასალები. გთსუ, თბილისი, 20 მარტი, 2015.
6. ლალი ძამუკაშვილი, *ჟურნალისტების პროფესიული მომზადების ფლამადიური სკოლა.* მრგვალი მაგიდის „ჟურნალისტური განათლება" მასალები. გთსუ, თბილისი, 20 მარტი, 2015.
7. *ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლები.* საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, http://www.mes.gov.ge (2014)

8. *საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ,* 17.06.2011; №4792. http//www.parliament.ge (as of 2014).
9. *დიდაქტიკური კონცეფცია.* http//www.GTTU.edu.ge (2014).
10. *Bologna Process - European Higher Education Area (2001),* Magna Charta Universitatum (1988), Lisbon Recognition Convention (1997). Ministerial
11. Declarations and Communiqués | EHEA http//www.ehea.info (as of 2014).
12. *Georgia: Country Strategy Paper 2007-2013. http//* www.enpi-info.eu/(as of 2007).
13. Lia Glonti, Marine Chitashvili, *The Challenge of Bologna: The Nuts and Boalts of Higher Education reform in Georgia*, In.V.Tomusk (ed).Creating the European Area of Higher Education: Voices from Periphery. Springer, 2006, 209-226.

მარინე ვეკუა,
დალი ჩიკვილაძე,
ლაურა კუტუბიძე,

საქართველოს მედიაგანათლებისა და მედიაბაზრის შესაბამისობის ასპექტები

რეზიუმე

სტატიაში ასახულია გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის კათედრის კვლევის შედეგები, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში არსებული აკრედიტებული მედიასკოლების შესაბამისობის თანამედროვე ქართული მედიაბაზრის მოთხოვნებთან დადგენას. კვლევაში გაანალიზებულია საქართველოში მომქმედი ყველა საბაკალავრო, სანაგისტრო და სადოქტორო ჟურნალისტიკისა თუ მასობრივი კომუნიკაციის საგანმანათლებლო პროგრამა და მათი ადექვატურობა ბოლონიის პროცესის პრინციპებთან. კვლევაში ასახულია ქართული საგანმანათლებლო პროგრამების შედარებითი ანალიზი ამერიკის, ევროპისა და იაპონიის ანალოგებთან. კვლევის ფარგლებში ჟურნალისტიკის კათედრამ ჩაატარა გამოკითხვა (მონაწილეობდნენ: წამყვანი მედიასაშუალებების მთავარი რედაქტორები/მენეჯერები, პროდიუსერები, ჟურნალისტები) ჟურნალისტიკის სპეციალობის კურსდამთავრებულთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების შეფასებისთვის. კვლევის შედეგებმა გამოკვეთა: ცალკეული საგანათლებლო პროგრამების სუსტი და ძლიერი მხარეები, კურსდამთავრებულთა პროფესიული ცოდნის ზედაპირულობა და ზოგადი განათლების არასათანადო დონე. კვლევას თან ერთვის გამოკითხვის ამსახველი მასალები.

Marine Vekua,
Dali Chikviladze,
Laura Kutubidze,

THE ASPECTS OF MATCHING OF GEORGIAN MEDIA EDUCATION AND MEDIA MARKET

Summary

The article summarizes the research conducted at the Department of Journalism at the Faculty of Social Sciences at the Guram Tavartkiladze Educational University. The aim of the research was to define all accredited media schools' conformity with the requirements of a modern media market. The research analyzed all operating in Georgia BA, MA and Ph.D. educational programs in Journalism or Mass Communication and their consistency with the principles of the Bologna Process. The research reflects comparative analysis of Georgian educational programs with American, European and Japanese analogies. The poll was conducted by within the framework the Department of Journalism at GTTU (attended by leading media editors / managers, producers, journalists) to identify journalism graduates professional skills and competencies.

The results revealed: the strengths and weaknesses of individual educational programs, gaps in graduates' general education and low level of specific professional knowledge. The study materials the polls to the research text.

მაია კალანდარიშვილი
ირმა შომახია.

განწყობის მახასიათებელთა და მათი პიროვნებისეული ასპექტების კორელაციური ანალიზი

დ. უზნაძის „განწყობის თეორია“, ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში ცნობილია, როგორც უმნიშველოვანესი ზოგადფიქოლოგიური თეორია, რომლის საფუძველზეც საქართველოში ჩამოყალიბდა მსოფლიოში ერთ-ერთი თანამედროვე და უმნიშვნელოვანესი მიმდინარეობა ფსიქოლოგიაში, განწყობის ფსიქოლოგია. განწყობის თეორიის ფორმირების ეტაპზე (გასული საუკუნის 40-იანი წლები) დ. უზნაძემ გააკრიტიკა ფსიქოლოგიის საწყისი მეთოდოლოგიური პოსტულატები, (უშუალობისა და ემპირიულობის პოსტულატები) შეიმუშავა ახალი აქსიომატური დებულებები, მოგვცა ფსიქიკურ პროცესთა განვითარების ახალი ალგორითმი. ცნობიერ და არაცნობიერ პროცესთა დამოკიდებულების ახალი მოდელი. არაცნობიერი ფსიქიკურის განსხვავებული ინტერპერტაცია, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა არაცნობიერის ფსიქოანალიტიკური მოდელებისგან. კერძოდ, იგი არაცნობიერ ფსიქიკურს მიიჩნევდა ფსიქიკურ პროცესთა განვითარების საწყის ეტაპად, რომელსაც ეფუძნება ცნობიერი ფსიქიკური პროცესები. ამასთან, არაცნობიერ ფსიქიკურს განმარტავდა დადებითად ზ. ფროიდისგან განსხვავებით. მან დაამუშავა განწყობის ცნება, როგორც ფსიქიკისა და ორგანიზმის ქცევის დეტერმინანტისა, რომელიც ფორმირდება ქცევის განხორციელების წინ და თავისთავად მისი ფორმირების პროცესი არაცნობიერია. დ. უზნაძესთან არაცნობიერი ფსიქიკური გაიგივებულია განწყობასთან. განწყობის თეორიის მეთოდოლოგიური პრინციპების დამუშავების პროცესშივე საფუძველი ჩაეყარა განწყობის ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიას. ინტესიური ექსპერიმენტული მუშაობის საფუძველზე, რომელიც აქტიურად მიმდინარეობდა საქართველოს ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების მიერ შეიქმნა ფიქსირებული განწყობის კვლევის მეთოდი, რომელიც ეფუძნებოდა შარპანტიეს და ფეხნერის მეთოდიკას აღქმის პირველადი და მეორადი ილუზიების კონსტანტირების საფუძველზე. ექსპერიმენტული მეთოდის ზოგადი სქემა შემდეგნაირია: 1) საკონტროლო ცდები – თვალახვეულ ცდისპირს ზომების შესადარებლად ჰაპტურ არეში მიეწოდება ორი ტოლი ბურთი . იგი აღნიშნავს ტოლი ეჩვენება ბურთების ზომები თუ გადააფასებს რომელიმე მხარეს. 2) საფიქსაციო ცდები -- თვალახვეულ ცდისპირს მიეწოდება დიდ-პატარა ბურთები ზომების შედარებისთვის მაგ. „მარჯვნივ დიდი ბურთი“ , რითაც უფიქსირდება აღნიშნული მიმართება მრავალჯერადი გამეორების შედეგად (საშუალოდ 15 -ჯერ) 3) კრიტიკული ცდები -- ცდისპირს მიეწოდება შესადარებლად ისევ ტოლი ბურთები. ცდების ამ ეტაპზე, როგორც წესი ტოლი ბურთები არატოლად განიცდება, კერძოდ აღინიშნება კონტრასტული ილუზიები. ტოლი ბურთების მრავალჯერადი მიწოდების შედეგად კონტრასტული ილუზიები იცვლება ასიმილაციური ილუზიებით და ბოლოს ცდისპირი გადადის ტოლი ბურთების ადექვატურ აღქმაზე. ამ მეთოდიკის გამოყენებით დადგინდა ფიქსირებული განწყობის მრავალი ზოგადფსიქოლოგიური კანონზომიერება: განწყობის აგზნებადობა, გენერალიზაცია-ირადიაცია, განწყობის ილუზიის სიდიდე, განწყობის სტაბილობა-ლაბილობა, განწყობის კონსტანტობა და ვარიაბილობა, და ა.შ.

განწყობის ზოგადფიქოლოგიურ კანონზომიერებათა შესწავლის პარალელურად დაიწყო განწყობის დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ მახასითებელთა კვლევა. ფორმალურ მახასიათებელთა მიხედვით გამოიყო სამი ტიპოლოგიური ჯგუფი: დინამური განწყობის ადამიანები, რომლებიც კრიტიკულ ცდებში მიდიან ობიექტების ტოლობის ადექვატურ განცდამდე, სტატიკური ტიპის ადამიანები, რომლებიც კრიტიკულ ცდებში იძლევიან ილუზიათა უსასრულო მწკრივს და ვარიაბილური ტიპის ადამიანები, რომლების პერიოდულად ავლენენ დინამიურობას და პერიოდულად- სტატიკურობას. ვ. ნორაკიძის (1) ხელმძღვნალობით ჩატარდა გამოკვლევები აღნიშნული ტიპოლოგიის ფსქიქოლოგიური შინაარსით შევსების მიზნით. პიროვნულ თვისებათა ტესტების, პროექციული ტესტების, ინტერვიურებისა და სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით დადგინდა, რომ დინამიკური ცდისპირები არიან უფრო ადაპტურები, სტრესგამძლეები, ჰარმონიული შინაგანი წყობით, ნაკლებ კონფლიქტურები, სამყაროს რეალური განცდით, ადექვატური თვითშეფასებით, ოპტიმისტები სტატიკური განწყობის ტიპთან შედარებით. სტატიკურები არიან შინაგანად კონფლიქტურები, თვითდაურწმუნებლები, არ აქვთ ქცევის ადექვატური ემოციური რეგულაცია განცდის დონეზე. „რომ არა ძლიერი ნებისყოფა ისინი ნამდვილ შიზოფრენიკებად მოგვეჩვენებოდნენ“ (დ. უზნაზე,(4)) ქცევის რეგულაციას ახდენენ ძლიერი ნებისყოფის საფუძველზე, თუმცა განცდების დონეზე არასოდეს არაფერში არიან დარწმუნებული და კმაყოფილი. ვ. ნორაკიძის (2)გამოკვლევების მიხედვით, არის მიმართება განწყობის ტიპოლოგიასა და ტემპერამენტის ტიპებს შორის, კერძოდ მკვეთრად გამოხატული მელანქოლოკი არის სტატიკური განწყობის მქონე ადამიანი. ა. გრიგოლავას (1983) გამოკვლევებში, სტატიკური და დინამიკური ტიპის ადამიანები განსხვავდებიან მოტორული ჩვევის ფორმირებისა და ახალი ჩვევის ფორმირების განსხვავაებული უნარებით. გ.ხოსროშვილის მონაცემების მიხედვით, არის მიმართება განწყობის ტიპებსა და უიტკინის კოგნიტურ სტილის ტიპოლოგიას შორის. ამასთან, დადგინდა, რომ (5,6,7,8) პათოლოგიური გადახრები ახასიათებსთ უფრო მეტად სტატიკური და ვარიაბილური ტიპის ადამიანებს. ვარიაბულურ ადამიანები ხასიათდებიან ან მოტივაციური არასტაბიუ-

ლურიბით, ან დაბალი მოტივირებულობითა და სასიცოცხლო ენერგიით.(4) თანამედროვე კვლევებშიც გრძელდება დაინტერესება ამ საკითხებით.(9, 11)

საკითხის დასმა და კვლევის მიზანი:

ჩვენი გამოკვლევის მიზანია:

1) ფიქსირებული განწყობის დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ მახასიათებელთა ურთიერთმიმართებების ანალიზი.

2) განწყობის ფორმალურ დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ მახასიათებელეთა მიმართების დადგენა ადამიანის პიროვნებისეულ მახასიათებლებთან.

კვლევის მეთოდი: 1) განწყობის კლასიკური მეთოდი ჰაპტურ მოდალობაში.

ხელსაწყოები და მასალა: სამი ხის ბურთი ერთი დიდი და ორი ტოლი პატარა ბურთი. დიდი ბურთის დიამეტრი – 6,5სმ , პატარა ბურთების – 3,5სმ.

2. კეტელის თექვსმეტ-ფაქტორიანი პიროვნების საკვლევი კითხვარი, რომელიც იკვლევს ადამიანის როგორც ინტელექტუალურ, ასევე, ემოციურ-ნებელობით და კომუნიკაციურ თვისებებს.

ექსპერიმენტული პროცედურა:

ცდის მიმდინარეობა: თვალდახუჭულ ცდისპირს ხელებში ვაწვდით ორ ბურთს რამოდენიმეჯერ თითოეულ მოწოდებაზე მას ევალება შეადაროს ბურთების ზომები მოცულობის მიხედვით. ცდისპირი ბურთების ზომებს აფასებს სტივენსის სუბიექტური შეფასების მეთოდით. კერძოდ, ჩვენ ვაძლევთ ეტალონურ სიდიდეს და ამ ეტალონურ სიდედესთან მიმართებაში გვეუბნება ბურთების ზომებს საკუთარი განცდების მიხედვით. კერძოდ, თუ განცდაში ბურთები მოეჩვენება ტოლად უნდა მიანიჭოს სიდიდეები 10- 10 სუბიექტურ ერთეულებში. თუ რომელიმე მხარეს მოეჩვენება დიდი უნდა შეაფასოს ამ ეტალონთან მიმართებაში. მაგალითად, მარჯვნივ - 12, მარცხნივ- 10 და ა.შ.

ექსპერიმენტი ჩატარდა განწყობის კლასიკური ექსპერიმენტის სქემით:

ა) საკონტროლო ცდები --ცდისპირს ვაწვდით ტოლ ბურთებს შესადარებლად 6-ჯერ .

ბ) საფიქსაციო ანუ საგანწყობო ცდები - ცდისპირს ვაწვდით შესადარებლად დიდ - პატარა ბურთებს რამოდენიმეჯერ. კერძოდ. ჯერ ეძლეოდა დიდ-პატარა ბურთები სხვადასხვა ხელში მხოლოდ 2-ჯერ და მერე გადავდიოდით კრიტიკულ ცდებზე. კრიტიკული ცდების დასრულებისას ცდისპირს ისევ ვაწვდიდით დიდ-პატარა ბურთებს შესადარებლად 5-ჯერ და მერე გადავდიოდით კრიტიკულ ცდებზე მის დასრულებამდე . იგივე სქემით საფიქსაციო ცდები ტარდებოდა შემდგომ 10-ჯერ, 15-ჯერ და 20-ჯერ

გ) კრიტიკული ცდები: ცდისპირს ვაწვდით შესადარებლად ისევ ტოლ ბურთებს. როგორც წესი, ტოლი ბურთები განიცდებოდა არატოლად, ანუ ჩნდებოდა ილუზიები. ცდის თვითოეულ ეტაპზე ცდისპირი ადარებს და აფასებს ბურთების ზომებს სუბიექტური სკალირების აღწერილი მეთოდით. ცდები გრძელდებოდა მანამ სანამ ცდისპირი არ აღნიშნავდა ბურთების ტოლობას კრიტიკულ ცდებში ზედიზედ 7-ჯერ. თვითოეულ ცდაზე ცდისპირი ადარებს და აფასებს ბურთების ზომებს სუბიექტური სკალირების აღწერილი მეთოდით. ცდიპირის მიერ ბურთებისთვის მოცულობებისთვის მინიჭებული რიცხობრივი მაჩვენებლები ფიქსირდებოდა შესაბამის ოქმში.

იმავე ცდისპირებს უტარდებოდათ კეტელის პიროვნული კითხვარი, რომლის საფუძველზე იზომებოდა თექვსმეტი პიროვნული მახასიათებელი (იხ. კვლევის მეთოდი)

ცდისპირები: ექსპერიმენტი ჩატარდა 50 ცდისპირეზე. ასაკი:18-42 წელი.

ექსპერიმენტული ცვლადები: ექსპერიმენტში იზომებოდა განწყობის შემდეგი დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლები:

განწყობის აგზნებადობა

აგზნებადობის ქვედა ზღურბლი -- საფიქსაციო ცდების ის მინიმალური რაოდენობა, რომელიც იწვევს ტოლი ობიექტების არატოლ, ილუზორულ აღქმას .

აგზნებადობის ზედა ზღურბლი -- საფიქსაციო ცდების ის მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც იწვევს ტოლი ობიექტების არატოლი, ილუზორული აღქმების მაქსიმალურ რაოდენობას .

განწყობის ილუზიის სიდიდე

ა) განწყობის ილუზიის სიდიდის საშუალო მნიშვნელობა --- კრიტიკულ ცდებში ტოლი ბურთების სუბიქტურ შეფასებებს შორის სხვაობის საშუალო მნიშვნელობა. მაგ. თუ ტოლი ბურთები ცდისპირს ეჩვენება არატოლად, კერძოდ , თუ მარჯვენა ბურთის ზომას აფასებს როგორც 12-ს და მარცხენას, როგორც 10-ს . მაშინ ილუზიის სიდიდე ტოლი იქნება 2 ერთეულის (12-ს მინუს 10) და ა,შ. ამ სხვაობის სიდიდეების საშუალო მნიშვნელობა ცდების მიხედვით ითვლება **განწყობის ილუზიის სიდიდის საშუალოდ .**

ბ) განწყობის ილუზიის სიდიდის მაქსიმალური მნიშვნლეობა -- განწყობის ილუზიის სიდიდეებს შორის მაქსიმური სიდიდე. მაგ თუ ილუზიის სიდიდე ერთ ცდისპირთან არის 2,3 და 4 ერთეული ილუზიის მაქსიმლურ სიდიდედ მიჩნეულია -- 4 .

კონტრასტულ ილუზიათა რაოდენობა

კრიტიკულ ცდებში კონტრასტული ილუზიების საერთო რაოდენობა . (კონტრასტული ილუზია- თუ ცდისპირს საფიქსაციო ცდებში რამოდენიმეჯერ ვრვდიდთ მარჯვნივ დიდ ბურთს და კრიტიკულ ცდებში მას ტოლი ობიექტრები ეჩვენება, როგორც „მარცხნივ დიდი“

ასიმილაციურ ილუზიათა რაოდენობა

კრიტიკულ ცდებში ასიმილაციური ილუზიების საერთო რაოდენობა . (ასილმილაციური ილუზია- თუ ცდისპირს საფიქსაციო ცდებში რამოდენიმეჯერ ვრვდიდთ მარჯვნივ დიდ ბურთს და კრიტიკულ ცდებში მას ტოლი ობიექტრები ეჩვენება, როგორც „მარჯხნივ დიდი“

ილუზიათა საერთო როდენობა -- კონტრასტულ და ასილიმაციურ ილუზიათა ჯამი.

ბუნებრივი ასიმეტრიის საშუალო სიდიდე

საკონტროლო ცდებში ცდიპირები ტოლ ბურთებს ძირითადად აღიქვამდნენ როგორც -„ტოლს“, მაგრამ იყო ბუნებრივი ასიმეტრიის შემთხვევები, როდესაც ტოლი ბურთები არატოლად ეჩვენებოდათ. ასიმეტრიის საშუალო სიდიდე იზომებოდა ბურთების სიდიდეებს შორის შეფასების სხვაობის საშუალო არითმეტკულით.

განწყობის ტიპი

დადგინდა თითოეული ცდიპირის მიკუთვნებულობა განწყობის რომელიმე დიფერეიციალურ-ფსიქოლოგიური ტიპისადმი. ეს ტიპებია:

1) დინამიური – ცდიპირი კრიტიკულ ცდებში აღწევს ტოლობის ფაზას. აქ გამოიყო კიდევ ორი ქვეტიპი: დინამიურ -ტლანქი ან დინამიურ -პლასტიური.

2) სტატიკური – ცდისპირი ვერ აღწევს თავს ილუზიებს. აქაც ორი ტიპი გამოიყო: სტატიკურ-პლასტიური და სატატიკურ-ტლანქი

3) ვარიაბილური-ცდისპირი ავლენს პერიოდულად დინამურობას და პერიოდულად-სტატიკურობას

4) ფიქსაციის უნარს მოკლებულობა

ასაკობრივი ცვლადი

პიროვნული თვისებები (ფაქტორები)

თითოეული ცდისპირის პიროვნული თვისებების შეფასება კეტელის კითხვარის მიხედვით. თითოეული ფაქტორის ინტენსივობა იზომებოდა სტენებში (1-დან 10 სტენამდე). აიგო თითოეული ცდიპირის პიროვნული პროფილი, ინტელექტუალურ, ემოციურ-ნებელობით და კომუნიკაციურ ფაქტორთა მიხედვით

ექსპერიმენტული შედეგების დამუშავება:

განწყობის ტიპოლოგიის მიხედვით გამოიყო 4 ტრადიციული ჯგუფი: დინამიური (33 ცდისპირი - 66%), სტატიკური (7 ცდისპირი -14%), ვარიაბილური (7 ცდისპირი -14%) და ნულეული ფიქსაციის მქონე ჯგუფი (3 ცდისპირი - 0.06 %) რამდენადაც ეს ჯგუფები ერთმანეთისაგან განსხვავადებოდნენ ილუზიათა თვისობრივი გამოვლენით, რაოდენობრივი პარამეტრების მიხედვით მათი გაერთიანება არ არის მიზანშეწონილი.

დინამიურ ცდისპირთა ჯგუფი

- **ასაკობრივი ფაქტორი**

1. დინამიურ ცდისპირთა ჯგუფში ასაკობრივი ფაქტორი არ კორელირებს არც ბუნებრივ ასიმეტრიასთან და არც განწყობის დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ მახასიათებლებთან;

2. პიროვნებისეული მახასიათებლებიდან ასაკობრივი ფაქტორი დადებითად კორელირებს (R = O.41 P < 0.05) პასუხისმგებლობა-ორგანიზებულობის ფაქტორთან (G). კერძოდ, ასაკის მატებასთან ერთად მატულობს პასუხიმგებლობა-ორგანიზებულობის ინტენსივობა.

- **ბუნებრივი ასიმეტრია**

1) ბუნებრივი ასიმეტრია არ კორელირებს განწყობის არც ერთ დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ მახასიათებლებთან**;**

2) ასიმეტრია უარყოფითად კორელირებს (R = – O.41 P < 0.05) სოციალურ კონტაქტებში აქტივობის ფაქტორთან (H) **.** კერძოდ, ბუნებრივი ასიმეტრიის ზრდასთან ერთად კლებულობს სტრესგამძლეობა სოციალურ ურთიერთობებში;

3) ასიმეტრია დადებითად კორელირებს (R = 0,54 P< 0.05) კონფორმულობის (Q2) ფაქტორთან. კერძოდ, ასიმეტრიის ზრდასთან ერთად იზრდება არაკონფორმულ გადაწყვეტილებათა რიცხვი, ანუ მცირდება კონფორმულობა.

- **აგზნებადობის ქვედა ზღურბლი**

1) არ კორელირებს განწყობის არც ერთ დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ მახასიათებელთან და არც აგზნებადობის ზედა ზღურბლთან (R = 0,08, P > 0.05);

2) დადებითად კორელირებს (R = 0,52, P < 0.05) ინტელექტუალურ ფაქტორთან -- „მეოცნებე – პრაქტიკული". (M). კერძოდ, აგზნებადობის ქვედა ზღურბლის მატებასთან ერთად იზრდება ოცნებისადმი მიდრეკილება, ექსცენტრულობა, არაპრაქტიკულობა, საკუთარ სურვილებზე ორიენტირებული ქცევები;

3) უარყოფითად კორელირებს (R = – 0,35, P < 0.05) სოციალურ ურთიერთობებში მოქნილობის ფაქტორთან. კერძოდ, რაც უფრო მაღალია აგზნებადობის ქვედა ზღურბლი, უფრო იმატებს სწორხაზოვანი, უხეში ქცევა და არადიპლომატიური ურთიერთობები სოციალურ კონტაქტებში.

- **აგზნებადობის ზედა ზღურბლი**

1. არ კორელირებს განწყობის არც ერთ დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ მახასიათებელთან;

1) დადებითად კორელირებს ფაქტორთან „მოქნილობა-რიგიდულობა" (Q1). ინტელეტუალურ საქმიანობაში (R = 0,42 P < 0.05). კერძოდ, რაც უფრო მაღალია ზედა ზღურბლი, მით უფრო იზრდება ფლექსიბურობა აზროვნებაში.

- **ილუზიის საშუალო სიდიდე**

1. არ კორელირებს განწყობის არც ერთ დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ მახასიათებელთან;

2. დადებითად კორელირებს ილუზიის მაქსიმალურ სიდიდესთან (R = 0,8 P < 0.05) (M);

3. უარყოფითად კორელირებს მეოცნებე-პრაქტიკულობასთან (M) და ინტელექტუალურ საქმიანობასთან (R = – 0,5 P < 0.05). კერძოდ, ილუზიის საშუალო სიდიდის ზრდასთან ერთად მცირდება ოცნება აზროვნებაში, ექსცენტრულობა და პირიქით, იზრდება პრაქტიკული და საღი აზროვნება, სიფრთხილე;

4. ემოციური მგრძნობიარება (I) --(R = – 0,48 P < 0.05). ილუზიის საშუალო სიდიდის ზრდასთან ერთად მცირდება ემოციური მგრძნობიარობის ინტენსივობა.

5. დადებითად კორელირებს ადაპტირებულობის ფაქტორთან (f) (R = – 0,36 P < 0.05) ანუ ილუზიის საშუალო სიდიდის ზრდასთან ერთად იზრდება სოციალურ გარემოსთან ადაპტირებულობის ხარისხი.

- **ილუზიის მაქსიმალური სიდიდე**

1. არ კორელირებს განწყობის არც ერთ დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ მახასიათებელთან;

2. უარყოფითად კორელირებს შემდეგ პიროვნებისეულ მახასიათებლებთან:

ემოციური მგრძნობიარება (I) -- (R = – 0, 47 P < 0.05). ილუზიის მაქსიმალური სიდიდის ზრდასთან ერთად მცირდება ემოციური მგრძნობიარობის ინტენსიობა;

3. მეოცნებე-პრაქტიკული (M) ინტელექტუალურ საქმიანობაში (R = – 0,5 P < 0.05). კერძოდ, ილუზიის მაქსიმალური სიდიდის ზრდასთან ერთად მცირდება ოცნება აზროვნებაში, ექსცენტრულობა და იზრდება პრაქტიკული და საღი აზროვნება, სიფრთხილე.

- **ილუზიათა საერთო რაოდენობა და კონტრასტული ილუზიების რაოდენობა**

1. არ კორელირებს განწყობის არც ერთ დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ მახასიათებელთან, მათ შორის არც ილუზიის სიდიდესთან (R = – 0, 19 P > 0.05), (R = – 0, 17 P > 0.05);

2. უარყოფითად კორელირებს ფაქტორთან „მოქნილობა-რიგიდულობა" (Q1). ინტელეტუალურ საქმიანობაში (R = – 0, 52 P < 0.05). კერძოდ, რაც უფერო მეტია ილუზიათა საერთო რაოდენობა და ცალკე კონტრასტულ ილუზიათა რაოდენობა (R = – 0, 47 P < 0.05), მით უფრო მცირდება ფლექსიბურობა და იმატებს რიგიდულობა ინტელექტუალურ პროცესთა მიმდინარეობაში;

3. დადებითად კორელირებს (R = O. 33 P < 0.05) -სოციალურ კონტაქტებში აქტიობის ფაქტორთან (H) . კერძოდ, ილუზიათა რაოდენობისა და კონტრასტულ ილუზიათა რაოდენობის ზრდასთან ერთად იმატებს სტრესგამძლეობა სოციალურ კონტაქტებში.

სტატიკური ტიპი

- **ასაკობრივი ფაქტორი**

1. სტატიკურ ცდისპირთა ჯგუფში ასაკობრივი ფაქტორი არ კორელირებს არც ბუნებრივ ასიმეტრიასთან და არც განწყობის დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ მახასიათებლებთან;

2. პიროვნებისეული მახასიათებლებიდან ასაკობრივი ფაქტორი დადებითად კორელირებს „მოქნილობა-რიგიდულობასთან" (Q1) და ინტელეტუალურ საქმიანობაში (R = 0,94 P < 0.01). კერძოდ, ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება ფლექსიბურობა აზროვნებაში;

3. უარყოფითად კორელირებს თვითკონტროლთან (R = – 0,84 P < 0.01).

აგზნებადობის ქვედა ზღურბლი

`1. არ კორელირებს განწყობის არც ერთ დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ მახასიათებელთან და არც ბუნებრივ ასიმეტრიასთან;

2. უარყოფითად კორელირებს (R = – 0,95, P < 0.01) კომუნიკაბელობის ფაქტორთან. კერძოდ, რაც უფრო მაღალია აგზნებადობის ქვედა ზღურბლი, მით უფრო მცირდება კომუნიკაბელობა სოციალურ კონტაქტებში.

- **ილუზიის საშუალო სიდიდე**

1. არ კორელირებს განწყობის არც ერთ დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ მახასიათებელთან და არც ბუნებრივ ასიმეტრიასთან;

2. დადებითად კორელირებს მოქნილობა-რიგიდულობის ფაქტორთან (Q1) (R = 0,85 P < 0.05).

დასკვნები:

1) ფიქსირებული განწყობის ფორმალური მახასიათებლები (განწყობის აგზნებადობა, განწყობის ილუზიის სიდიდე, ილუზიათა რაოდენობა და სხვა) დამოუკიდებელი ცვლადებია, რამდენადაც არ არის სანდო კორელაციები განწყობის დიფერენცილურ-ფსიქოლოგიურ, ფორმალურ მახასიათებელთა შორის.

2) განწყობის არც ერთი ფორმალური მახასიათებელი არ არის კავშირში ბუნებრივ ასიმეტრიასთან და ასაკობრივ ფაქტორთან, ანუ ბუნებრივი ასიმეტრიისა და ასაკის მიხედვით თანაბრადაა გადანაწილებული ადამიანის განწყობის ტიპი და განწყობის ფორმალური დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლების ინდივიდუელური სტრუქტურა.

3) ბუნებრივი ასიმეტრიის ფაქტორმა შეიძინა ძალიან საინტერესო ფსიქოლოგიური დატვირთვა და განწყობის განსხვავებულ ტიპოლოგიურ ჯგუფებში სანდო კორელაციაში არიან რიგ პიროვნებისეულ მახასიათებლებთან (იხ. მონაცემთა დამუშავება)

4) განწყობის სხვადასხვა დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური მახასითებლები (აგზნებადობა,ილუზიის სიდიდე და ა.შ.) კორელირებენ სხვადახვა პიროვნებისეულ მახსიათებლებთან განსხვავებულ ტიპოლოგიურ ჯგუფებში.

5) განწყობის განსხვავებული ტიპები ავლენენ განსხვავებული სახის სანდო მიმართებებს პიროვნებისეულ მახასიათებლებთან, რაც მეტყველებს წარმოდგენილი ტიპოლოგიის, როგორც ორიგინალური დიფერენციალუ-ფსიქოლოგიური მიდგომის მეცნიერულ სანდოობასა და პრეზენტაბელურობაზე .

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნორაკიძე ვ. ადამიანის ხასიათის კვლევის მეთოდები და თბილისი, 1989 (რუსულ ენაზე).
2. ნორაკიძე ვ. პიროვნების ტემპერამენტი, ფიქსირებული განწყობის მეთოდი და აკად. ი.პ. პავლოვის მოძღვრება უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპების შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათ აკადემია - დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტ. შრ. ტ XI, 1954
3. უზნაძე დ. „განწყობის ფსიქოლოგია“ თბილისი, 20 12
4. ნადირაშვილი შ. „ განწყობის ანთროპული თეორია“ თბილისი, 2014
5. ბჟალავა ი. სულით ავადმყოფთა ფსიქოლოგიური გამოკვლევის მეთოდები. თბილისი, 1961
6. ბჟალავა ი. შიზოფრენიის ფსიქოპათოლოგიისათვის. თბილისი, 1958.
7. ბჟალავა ი. ეპილეფსია. თბილისი, 1959
8. საყვარელიძე მ. შიზოფრენიული აზროვნების პათოფსიქოლოგიისათვის. გამომც.: „მეცნიერება“, 1974
9. ფსიქოლოგიის მაცნე, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დაარსების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2013
10. მაია კალანდარიშვილი „ ფიქსირებული განწყობის პიროვნებისეული კორელატები“, ფსიქოლოგიის მაცნე, 2013 წელი

მაია კალანდარიშვილი
ირმა შომახია

განწყობის მახასიათებელთა და მათი პიროვნებისეული ასპექტების კორელაციური ანალიზი

რეზიუმე

წარმოდგენილ სტატიაში მოცემულია ექსპერიმენტული კვლევის შედეგები, რომელიც შეეხება ფიქსირებული განწყობის ფორმალურ დიფერენციალურ-ფსიქოლოგიურ მახასიათებელთა ურთიერთმიმართებას და ამ მახასიათებელთა კავშირს პიროვნებისეულ ფაქტორებთან. 50 ცდისპირზე ჩატარდა განწყობის კლასიკური ექსპერიმენტი და კეტელის 16-ფაქტორიანი პიროვნებისეული კითხვარი. მიღებული შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ

1. ფიქსირებული განწყობის ფორმალური მასახიათებლები (განწყობის აგზნებადობა, განწყობის ილუზიის სიდიდე, ილუზიათა რაოდენობა და სხვ. ურთიერთდამოუკიდებელი ცვლადებია, რამდენადაც არ არის სანდო კორელაციები განწყობის დიფერენცილურ-ფსიქოლოგიურ, ფორმალურ მახასიათებელთა შორის.

2. გა
ნწყობის განსხვავებული ტიპები (სტატიკური, დინამიკური, ვარიაბილური) ავლენენ განსხვავებული სახის სანდო მიმართულებებს პიროვნებისეულ მახასიათებლებთან, რაც მეტყველებს წარმოდგენილი ტიპოლოგიის, როგორც ორიგინალური დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური მიდგომის, მეცნიერულ სანდოობასა და პრეზენტაბელურობაზე.

Maia Kalandarishvili, Irma Shomakhia

CORRELATIONAL ANALYSIS OF MOOD CHARACTERISTICS AND THEIR PERSONAL ASPECTS

Summary

The paper represents the results of an experimental investigation of The correlation between formal, differentional-psychological characteristics of set and between set characteristics and personal factors. There were 50 subjects taking part in exsperiment. It was conducting the classical experiment; of fixed set and Cettel's 16-faqtors personal questionioner.

conclusions:

1) Formal, differentional-psychological characteristics of set (the size of illusions; the number of illusions; the threshold of set…) are independent variables, because they are not correlated to each others.

2. The personal set types (dinamical, statical, variable…) have different kinds of correlation with personal characteristics. Accordingly, it is indicates of sciantifical reliability and pretentability of original set personal typology.

ზურაბ მანაგაძე

ალ. ყაზბეგის „ელისოს“ ეკრანული ტრანსფორმაცია

არსებობის პირველი ხუთი წლის მანძილზე „სახკინმრეწვის“ ძირითად პროდუქციას შეადგენდა ლიტერატურული პირველწყაროს მიხედვით დადგმული ფილმები : „სურამის ციხე“, „მამის მკვლელი“, „მოძღვარი“, „არსენა ყაჩაღი“, „ტარიელ მკლავაძის მკვლელობის საქმე“, „სამი სიცოცხლე“ და სხვ. მეტ-ნაკლები წარმატებით ნანარმოების სიუჟეტის მხოლოდ ილუსტრირებით იფარგლებოდნენ და სურვილიც კი არ გაჩენიათ ჩაწვდომოდნენ მწერლის მსოფლმხედველობას, ნაწარმოებთა სოციალური კონფლიქტების სიღრმეს.

ნიკოლოზ შენგელაიას უკვე გადაღებული ჰქონდა ფილმი „გიული“, როდესაც შეხვდა ცნობილ სცენარისტსა და პუბლიცისტს სერგეი ტრეტიაკოვს, რომელმაც დიდი როლი ითამაშა მის შეხედულებათა ჩამოყალიბებაში. გადაწყვიტეს გადაეღოთ ფილმი და ნ.შენგელაია ისეთი სიუჟეტის მოძიებას მოითხოვდა, სადაც ნათლად აისახებოდა ცარიზმის არსი. ასეთ სიუჟეტს იგი ალ.ყაზბეგის „ელისოში“ წააწყდა.

ს.ტრეტიაკოვმა, რომელიც იცნობდა კავკასიელთა ისტორიას, ყოფასა და ტრადიციებს, დაწერა მომავალი ფილმისათვის ლიბრეტო.

ნ.შენგელაიამ საფუძვლიანად შეისწავლა თერგის საგუბერნიოს კანცელარიის საარქივო მასალები, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ისტორია და ერთად შეუდგნენ სცენარზე მუშაობას.

„ როდესაც ჩვენ (ნ.შენგელაია,ს.ტრეტიაკოვი - ზ.მ.) შევუდექით სცენარის დამზადებასა და ჩეჩნეთის ლოკალის შესწავლას, გამოირკვა, რომ ყაზბეგს ბელეტრისტიკის ხათრით დაუმახინჯებია ისტორიული სიმართლე, კოლონიალური პოლიტიკა, ან უკეთ, ვერ გაუნათებია საჭიროებისდა გვარად.მაშინ ჩვენ დავიწყეთ თვით ისტორიული დოკუმენტების შესწავლა.გავეცანით თერგის ოლქის უფროსის საიდუმლო არქივს... და ამ მასალების შემდეგ ჩვენ „ელისოს“ დრამატიული კოლიზია სრულიად შევცვალეთ.სცენარში შევიყვანეთ უფრო მასების მოქმედება და მისი მდგომარეობის გადმოცემა.ფაბულა დავაზუსტეთ და სიუჟეტის სიბრტყე გადავიტანეთ თვით საზოგადოების მოქმედების სიღრმეში.“ 1

ყაზბეგის მოთხრობას საფუძვლად უდევს მე-19 საუკუნის 60-იან წლებში მომხდარი ტრაგედია - მეფის მთავრობამ იმისათვის,რომ „განემტკიცებინა სახელმწიფოებრიობა დაუმორჩილებელ კავკასიაში“, მშვიდობიანი მთიელები, კერძოდ ჩეჩნები, თურქეთში გადაასახლა. ოფიციალურად „ნებაყოფლობითი“ ღონისძიება, მხოლოდ და მხოლოდ ძალმომრეობა იყო. ეს იყო ძველი რეჟიმის დაპყრობითი პოლიტიკის გამოაშკარავება და მისი შედეგების სახეობა.

ნაწარმოები და ფილმი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სხვანაირია არა მარტო იდეური ჟღერადობა, სტილისტიკა, მანერა, ნაწარმოებთა მასალაც კი.

„ სცენარისტებმა მოთხრობას თითქოს ჩამოაცალეს მათთვის უინტერესო პლასტები და პირველ პლანზე წამოსწიეს არა ვაჟიასა და ელისოს სასიყვარულო ხაზი, რომელიც ყაზბეგის ნაწარმოების მოქმედების განვითარების მთავარი მამოძრავებელი ფაქტორია, არამედ ამ სიუჟეტურ ქარგას ამოფარებული სოციალური დრამა“ 2

თვალნათლივ ჩანს ფილმი „ელისო“ არ წარმოადგენს ყაზბეგის მოთხრობის ილუსტრაციას. ჩემი აზრით, ეს არც საჭირო იყო.

მოთხრობის მთავარი სიუჟეტური ხაზი აგებულია მუსლიმანი ქალიშვილისა და ქრისტიანი ყმაწვილის ტრაგიკულ სიყვარულზე, მათ შორის აღმართულ რელიგიურ და ტრადიციულ განსხვავებულობაზე.ჩეჩენთა გადასახლება კი დასაღუპად განწირული სიყვარულის ფონია მხოლოდ. ფილმში კი მათი სიყვარული სახალხო ტრაგედიის მცირე ფრაგმენტად იკვეთება.

ალ. ყაზბეგი მოთხრობის დასაწყისშივე გვამცნობს, რომ ჩეჩნები თურქეთში უნდა გადაასახლონ და გვიხატავს სახალხო გლოვას და მშობლიურ მიწასთან გამოთხოვებას.

„ ყველას თვალები სევდიანათ გასცქეროდა თავიანთ ნასოფლარს, გალაშკის ქედებს, სადაც როდესღაც ისე ამაყად იბრძოდნენ ეს წამებულნი და სადაც იმდენი სიტკბოებით სავსე წუთები გამოეცადნათ.

მაგრამ რა მიზეზი იყო იმათი გადასახლებისა, რა დაეშავებინათ ისეთი,რომ ეს სატანჯველი მიეყენებინათ,ასე უკაცურად დაესაჯათ?“ 3

ფილმში კი გადასახლების ისტორიაში ნათლად ჩანს ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის არსი.

სცენარის ავტორებმა (ს.ტრეტიაკოვი,ნ.შენგელაია) გარდა ნაწარმოების დრამატურგიული ცვლილებისა, მნიშვნელოვნად გადაამუშავეს გმირთა სახეებიც.

მოთხრობაში, მოხუცმა ანზორ ჩერბიჟმა, წარსულში მამაცმა მხედარმა, სამი ვაჟი დაკარგა ბრძოლებში. ანზორი ვაჟკაცობისა და თავგანწირვის ცოცხალ მაგალითად გვევლინება. ჩერბიჟი დალოცავს ვაჟიასა და ელისოს, ტოვებს თავისიანებს და მათთან ერთად გარბის, რუსი კაზაკებისაგან დევნილი. ფინალში სამივეს გზაში კაზაკები დახოცავენ.

„მაგრამ იმ წამსვე იგრძნო შუბის წვერი,რომელმაც გულში ცივად გაუარა.ის (ვაჟია-ზ.მ.) დაბარბაცდა, გაჟრჟოლდა და დაეცა...ანზორა და იმისი ქალი, რომლებიც ცოტა მოშორებით მოდიოდნენ, თუმცა სრულებით დაეცხავებინა ტყვიებს,მაგრამ მოხუცს სიკვდილამდის კიდევ მოესწრო თავისი ქალის მკერდში ჩაკვრა და ისე დაელია სული...“4

ფილმის ფინალი კი აბსოლუტურად განსხვავდება ყაზბეგისეული ფინალისაგან - ასთამირი და ელისო თავის ხალხთან ერთად მიდიან, ვაჟიას კი ელისოს თხოვნით გარდაცვლილი ქალის ბავშვი მიჰყავს და მოზდოკს გაემართება

ფილმში აულ ვერდის მამასახლისი ასთამირ ასბიევი (ალ.იმედაშვილი), ფრთხილი, თავშეკავებული და საზრიანია. იცავს თავისი ხალხის ინტერესებს. ყაზბეგთან ანზორ ჩერბიჟი ემორჩილება და იცავს ვაჟიასა და ელისოს სიყვარულს, ფილმში კი,პირიქით, ხელს უშლის და ანგრევს.

რისთვის დასჭირდათ სცენარის ავტორებს ამ პერსონაჟისათვის გვარ-სახელის შეცვლა?

1928 წელს ალ.ახმეტელმა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე წარმატებით დადგა ს.შანშიაშვილის მიერ გადმოქართულებული ივანოვის პიესა „ანზორ“(„ჯავშანო N“), სადაც მთავარი მოქმედი პირი სწორედ ანზორ ჩერბიჟია. ჩემი აზრით, რომ არ მომხდარიყო ამ ორი სხვადასხვა პერსონაჟის გაიგივება, მხოლოდ ესაა რეალური მიზეზი გვარ-სახელის შეცვლისა.

ნ.შენგელაიამ ყაზბეგისაგან განსხვავებით გაუტანლობის, სიხარბისა და ღალატის ხაზის განსავითარებლად ფილმში შემოიყვანა ორი პერსონაჟი – სეიდულა (ილია მამფორია) და მისი ცოლი ზაზუბეკა (ცეცილია წუწუნავა). აულ ვერდის მოსახლეობა გუბერნატორს სოფლად დარჩენის თხოვნით არზას გაუგზავნის. პროვოკატორ სეიდულასა და მეფის მოხელეთა დახმარებით არზას შეცვლიან - გადასახლებაზე თანხმობის ყალბ საბუთს წერა-კითხვის უცოდინარ გლეხებს თითის ანაბეჭდით დაადასტურებინებენ და მოტყუებულ ხალხს თურქეთის გზას გაუყენებენ. რაც შეეხება ელისოს, მოთხრობაშიც და ფილმშიც ერთნაირი ძალით უყვარს ვაჟია.ყაზბეგთან იგი თავის ხალხს ძნელბედობის ჟამს ტოვებს და შეყვარებულთან ერთად მიდის, თითქოს სიყვარულისთვის თავგანწირულ გმირად გვევლინება. ფილმში კი უფრო მეტად გაბედული, მამაცი ქალიშვილია.ფინალში ვაჟია ემუდარება ელისოს - მასთან ერთად გაიქცეს, იგი ამაყად პასუხობს:“ ჩემს ხალხთან ერთად ბედნიერად ვცხოვრობდი.დაე, ჩემს ხალხთან ერთად ვიყო უბედური“. ეს სიტყვები ერთგვარი გასაღებია შენგელაიას გმირის ხასიათის გასახსნელად. გენერლის (ალ.ჟორჟოლიანი) პოლიტიკისადმი პროტესტის ნიშნად სამშობლოსთან და შეყვარებულთან განშორების წინ სასოწარკვეთილი ქალი ცეცხლს მისცემს დაცარიელებულ აულს, რათა კაზაკებს ვერ ესარგებლათ და ამით მამის სურვილს შეასრულებს.

ფილმში ელისოს როლს მსახიობი კირა ანდრონიკაშვილი (მსახიობ ნატო ვაჩნაძის და - ზ.მ.) ქართული კინოს რეალობაში პირველად გამოჩნდა ქალი ასეთი სიმხნევით, ღირსებითა და თავგანწირვით აღსავსე. იგი საზოგადოებრივს პირადულზე მაღლა აყენებს, განსხვავებით ყაზბეგის ელისოსაგან. მსახიობი ჩინებულად გადმოგვცემს გმირის ფსიქოლოგიას, მიუხედავად იმისა, რომ სურათი უხმოა.

მცდარი მეჩვენება მოსაზრება, რომ ვაჟიას არანაირი დრამატურგიული დატვირთვა არ აქვს.მოთხრობაში მისი როლი ძალიან დიდია.იგი მზადაა საყვარელი ადამიანისათვის გენერალთან მივიდეს და სთხოვოს გადასახლებულთა სიიდან ელისო და მამამისი ამოიღოს.ჯარისკაცებთან ბრძოლაში ჩანს მისი ვაჟკაცური ბუნება, თავგანწირვა სიყვარულისთვის.

„ რამდენსამე თოფის ხმაზედ, რომელიც მიმართეს ვაჟიას ყაზახებმა, მოხევემ დასჭყივლა ცხენს და შეეფარა ტყეში...საიდგანაც ყაზახები ბევრი ძებნის შემდეგ ცარიელები დაბრუნდნენ და ამ შემთხვევამ ნაჩალნიკს წამოაძახა:

- აკი მოგახსენებთ,რომ ყველანი ღვთის რისხვა და გარეგანი არიან!..რაც შეიძლება და რითაც შეიძლება, საჭიროა მაგათი ჩქარა მოშორება თავიდგან!

- მართალსა ბრძანებთ მართალს! - თავის კანტრუშით ეთანხმებოდნენ, თუ ეჩვენებოდნენ თანახმად, იქ მყოფნი, რომლებიც ჩეჩნელთ გადასახლებით ისე გახალისდნენ, რომ ქართველებსაც ამასავე უპირებდნენ.“5

ფილმში კი მისი სახე მართლაც შეცვლილია , ნაკლებადაა წინ წამოწეული. გენერალთან მისვლის მიზეზი საძოვრებზე პირუტყვის გაშვების ნებართვაა და არა სიყვარული. იქ მისული გაიგებს ჩეჩნების გადასახლების შესახებ და მოითხოვს მის გაუქმებას.

ეკრანებზე „ელისო“ 1928 წლის 18 სექტემბერს გამოვიდა და იმთავითვე სეზონის საუკეთესო ფილმად აღიარეს. მისი წარმატების მიზეზი,უპირველესად იყო ისტორიული მოვლენების ახლებური მიდგომა.

„ელისოში“ რეჟისორი ქართული კინოს ისტორიაში პირველად ამუშავებს „მოაზროვნე მასის“ სახეს.ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ფილმის სამ ცენტრალურ ეპიზოდში: 1. მუსლიმი ქვრივის სახლის მშენებლობის დროს.ეზოში აულის თითქმის მთელი მოსახლეობაა თავმოყრილი.ფერხულში ჩაბმული ქალები თიხას ზელენ,მამაკაცებს აგურის კედელი ამოყავთ და რიტმულად გადასცემენ ხელიდან-ხელში.შემდეგ მამაკაცები და ქალები სამუშაოს ცვლიან,მამაკაცები თიხას ზელენ, ქალები აგურს აწყობენ. კადრების ასეთი მონტაჟური ცვლა საცეკვაო სიუტის შთაბეჭდილებას ქმნის.

2. აულის გასახლების ცნობამ აღაშფოთა მოსახლეობა.მათ არ სურთ უბრძოლველად მშობლიური მხარის დატოვება. ასთამირმა იცის, კაზაკთა სისხლის დაღვრა კიდევ უფრო მეტ უსიამოვნებას მოუტანს მის ხალხს.იგი სიმშვიდისაკენ მოუწოდებს თანამოძმეებს.მთიელები გადაწყვეტენ სხვაგვარი წინააღმდეგობა გაუწიონ მოძალადეებს. აულის მთელი მოსახლეობა გზაზე გადის, მიწაზე სხდება და გზას უღობავს კაზაკებს... „ კაზაკთა რაზმი ჭენებით მოაგელვებს ცხენებს უმწეო ხალხისკენ. მსხვილი პლანების მონტაჟი;ცხენები, მაღლა აღმართული მათრახები,შიშისგან შეცვლილი სახეები - თხრობის რიტმი მძაფრდება. გეჩვენებათ,ეს-ესაა გაოფლილი ცხენების ნიაღვარი წალეკავს ხალხსო.და რაც უფრო უახლოვდებიან კაზაკები, რაც უფრო გარდუვალი ხდება ანგარისწორება, მით უფრო ვაჟკაცური იერი ედება ქალთა და მამაკაცთა ,მოხუცთა და ბავშვთა სახეებს,მით უფრო მტკიცდება ხალხის სული და ნებისყოფა.

კაზაკები ტყუილუბრალოდ ურტყამენ ცხენებს.მონუსხულივით გაქვავდნენ ისინი ერთარსად ქცეული მასის წინაშე.

წამით ყველაფერი მიყუჩდება და ისევ მათრახების მსხვილი პლანი.

ამჯერად, გამხეცებული კაზაკები ჩეჩნებს დაუნდობლად უსწორდებიან. ადამიანები ტკივილისა და შეურაცხყოფისაგან იკლაკნებიან, მაგრამ მაინც სხედან მოუდრეკელნი, ამაყნი“ 6

3. აულის გასახლების ეპიზოდი მასის სახის გახსნის კულმინაციური წერტილია.

... პირქუში სასოწარკვეთით მიიწევს წინ საკუთარი მიწა-წყლიდან აყრილი აული.ოპერატორის (ვ.კერესელიძე) მიერ საერთო პლანებითა და პანორამებით გადაღებული ხალხის უწყვეტი ნაკადი ხაზს უსვამს ბარბაროსული ძალადობის საშინელებას.

ერთ-ერთი შესვენების დროს იღუპება ქალი.ერთბაშად იფეთქა დაგროვილმა ბოღმამ, გატყდა პირქუში მთიელი ხალხი, წუხილი საერთო გლოვად გადაიქცა,თმებს იგლეჯენ და სახეს იხოკავენ ქალები, მუშტებს იბრაგუნებენ მკერდში მამაკაცები...

თუ ასე გაგრძელდა ეს შეუდრეკელი, მხნე სულის მქონე ხალხი უსუსურ ბრბოდ იქცევა. ასტამირი გაქვავებული სახით შესცქერის თანამოძმეებს.მან კარგად იცის,რომ თუ დარდმა გატეხა, ხალხი ვერ გაუძლებს ამ მძიმე გზას. ასტამირი მუსიკოსებს დაკვრას უბრძანებს, ახალგაზრდებს ააცეკვებს და თვითონაც აცეკვდება. თანასოფლელები გაოცებული შესცქერიან ასტამირის საქციელს, გაიფიქრებენ - ხომ არ გაგიჟდაო? ელისო მიუხვდა მამას და თავადაც ჩაებმება საცეკვაო ფერხულში...წრე ფართოვდება,მატულობს ტემპი და ხალხი თანთადათან აჰყვება ცეკვას.

ამ ეპიზოდში ნ.შენგელაიამ გვიჩვენა მონტაჟის ფლობის შეუდარებელი ოსტატობა.ერთი მეორეს ცვლიან კადრები, ენაცვლებიან პლანები - მასა - სახე, სახე - მასა, კადრების ასეთი მონაცვლეობა საოცარ მელოდიურობას ქმნის.

რიტმული მონტაჟი, გლოვა და ცეკვა, მუსიკალურ ტაქტებად დაყოფა - ამის მიღწევა უხმო კინემატოგრაფში საკმაოდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული

ფილმის ამ ეპიზოდში (მოთხრობაში ეს ეპიზოდი არ არსებობს) მკვეთრად ჩანს ნ.შენგელაიას პოეზიისა და კინოს ნათესაობა.

„მთელ სამონტაჟოში, - იგონებს ნატო ვაჩნაძე, - უამრავი,სხვადასხვა ზომის ფირის ნაჭრები ეკიდა, ცალკეული ხელები,ფეხები,თავები.ყველა ამ ნაჭერს დოლის აკომპანიმენტქვეშ ერთ მუსიკალურ ქმნილებად ამონტაჟებდნენ შენგელაიასა და დოლენკოს მოქნილი მუსიკალური ხელები. ჩვენი სტუდიის რამდენიმე მუშაკი ქირქილით ადევნებდა თვალყურს ამ მუშაობას და სულწასული ელოდნენ პირველ გასინჯვას.

ბოლოს ეს დღეც დადგა.

მე გასინჯვის ბოლოს მივედი და აღელვებული დერეფნის ბოლოში ვიდექი. უეცრად ჩაბნელებული დარბაზიდან შენგელაია გამოვარდა და აღშფოთებულმა მითხრა, რომ ცეკვისა და ტირილის სცენისა და საერთოდ ამ „აბდაუბდა მონტაჟის“ ამოგდება მოსთხოვეს. შენგელაია არ დაეთანხმა დირექციის წინადადებას და მოსკოვში გაემგზავრა, სადაც სურათი ყოველგვარი შესწორების გარეშე მიიღეს და რაც მთავარია, სწორედ ამ სცენებმა გამოიწვია აღფრთოვანება“ 7

„ელისოთი“ აღფრთოვანებულმა ვსევოლოდ პუდოვკინმა ასეთი შეფასება მისცა ფილმს:“ როდესაც გზაზე აყრილი აულის ქარავანი გაიჭიმა, როდესაც თანდათან დაიძრა რიტმის გასაოცარი, უნაკლო გრძნობით აგებული სამონტაჟო მელოდია, მე და, ჩემის აზრით, ყველა დარბაზში მსხდომმა, ვიგრძენით ჭეშმარიტი ნიჭის ძალა.ისღა დაგვრჩენია, რომ მხოლოდ გავვოცდეთ, როგორ შეძლო იმ ადამიანმა, რომელიც თავის პირველ სურათს ჰქმნიდა(აქ უზუსტობაა,ნ.შენგელაიას პირველი ფილმი „გიული“ იყო,1927 წ. ზ.მ.), ასეთი უნაკლო ოსტატობით დაემონტაჟებინა ურთულესი ნაგებობა,ესოდენ ღრმა ცოდნასა და ტექნიკურ გაწაფულობას რომ მოითხოვს. მე მხედველობაში მაქვს ცეკვა - სურათის ეს ეპიზოდი, განსაცვიფრებელია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არა მარტო ემოციურად, არამედ მონტაჟის დახვეწილი შესრულების დონითაც.“ 8

ნ.შენგელაიამ „ელისოთი“ შექმნა ღრმად რეალისტური, მხატვრულად მართალი ფილმი და წარმოჩინდა როგორც შთამბეჭდავი რთული მასობრივი სცენების აგების რეჟისორი. მან ამ ფილმში მიაღწია მონტაჟური, აქტიორულ-ფსიქოლოგიური და ტიპური კინემატოგრაფის შერწყმას.

1. თაბუკაშვილი ო. - ნიკოლოზ შენგელაია, გ.“ხელოვნება“, თბ. 1974, გვ. 51
2. იქვე - გვ. 52
3. ყაზბეგი ალ. „ელისო“, ჩემი რჩეული, ტ. 86, გვ. 5,6,გ.პალიტრა, თბ., 2013.
4. იქვე - გვ. 40
5. ყაზბეგი ალ. „ელისო“, ჩემი რჩეული, ტ. 86, გვ. 31, გ.პალიტრა, თბ. 2013
6.თაბუკაშვილი ო. - ნიკოლოზ შენგელაია, გ. “ხელოვნება“, თბ., 1974, გვ. 60
7. თაბუკაშვილი ო. - ნიკოლოზ შენგელაია, გ.“ხელოვნება“, თბ., 1974, გვ. 65
8. იქვე - გვ. 66

ზურაბ მანაგაძე

ალ. ყაზბეგის „ელისოს“ ეკრანული ტრანსფორმაცია

რეზიუმე

ნაწარმოები და ფილმი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სხვანაირია არა მარტო იდეური ჟღერადობა, სტილისტიკა, მანერა, ნაწარმოებთა მასალაც კი. სცენარისტებმა /ს. ტრეტიაკოვი, ნ. შენგელაია/ მოთხრობას ჩამოაცილეს მათთვის უინტერესო პლასტები და პირველ პლანზე წამოსწიეს არა ვაჟიასა და ელისოს სასიყვარულო ხაზი, რომელიც ყაზბეგის ნაწარმოების მოქმედების განვითარების მთავარი მამოძრავებელი ფაქტორია, არამედ ამ სიუჟეტურ ქარგას ამოფარებული სოციალური დრამა. ფილმი „ელისო“ არ წარმოადგენს ყაზბეგის მოთხრობის ილუსრაციას.

ნ. შენგელაიამ „ელისოთი“ შექმნა ღრმად რეალისტური მხატვრულად მართალი ფილმი და წარმოჩინდა როგორც შთამბეჭდავი რთული მასობრივი სცენების აგების რეჟისორი. მან ამ ფილმში მიაღწია მონტაჟური, აქტიორულ-ფსიქოლოგიური და ტიპური კინემატოგრაფის შერწყმას.

Zurab Managadze

SCREEN TRANSFORMATION OF „ELISO'' BY AL. KAZBEGI

summary

There is a big difference between Al. Kazbegi's „Eliso“ and N.Shengelaia's „Eliso“.The difference is not only in sounding, it's also in stylistics, manner and even in the material.

Screenwriters (S.Tretiakov, N.Shengelaia) have cut out uninteresting parts of the story and have emphasized not love between Vazhia and Eliso, which is main moving fact of Al.Kazbegi's story, but they showed implicit social drama.The screen writers have changed characters of the story and not only the dramatic part of it.

Film „Eliso“ is not illustration of Al.Kazbegi's work.

ნონა ახალაშვილი, ლიკა შენგელია

სტუდენტთა პრიორიტეტული პიროვნული ღირებულებები

როგორი ღირებულებებიც ბატონობს, ისეთივეა პიროვნება და, შესაბამისად, საზოგადოებაც. შემთხვევით არ არის, რომ საზოგადოებრივი განვითარების გარდამავალ პერიოდში პირველ ადგილზე ყოველთვის ღირებულებების პრობლემა გამოდის. ჩვენი საზოგადოება ამჟამად სწორედ ამას განიცდის – არასტაბილურობას, მკვეთრ სოციალურ ბიძგებს, პიროვნების დეზორიენტაციასა და დეზინდეტიფიკაციას. ყოველივე ეს თავის გამოხატულებას ჰპოვებს ღირებულებათა გადაფასების პროცესში. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შიდა კონფლიქტებმა, ტრადიციულ ღირებულებათა გაფერმკრთალებამ, ზოგიერთის კი სრულად მოშლამ, შესაძლოა, საზოგადოებისა და პიროვნების ცხოვრების ძველი ფორმების უარყოფა გამოიწვიოს.

ღირებულებებისა და მათი ბუნების შესახებ ფილოსოფიურ სწავლებას აქსიოლოგია ეწოდება. ანტიკურ, შემდგომ კი შუასაუკუნეების, ფილოსოფიაში ღირებულებები თავად ყოფიერებასთან იყო გაიგივებული. ამგვარად, ღირებულებები კი არ იმიჯნებოდა ყოფიერებისგან, არამედ განიხილებოდა როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ჯერ კიდევ სოკრატე და პლატონი ინტერესდებოდნენ, თუ რა არის სამართლიანობა, კეთილდღეობა, პატიოსნება და ა.შ., რომლებიც ჭეშმარიტი ყოფიერების ძირითად კრიტერიუმებს წარმოადგენდნენ. პლატონმაც ხომ თავის სწავლებას იდეალური სახელმწიფოს შესახებ სამართლიანობის პრინციპი დაუდო საფუძვლად.

ანტიკურ ფილოსოფიაში ღირებულებების აბსოლუტურ და შეფარდებით ხასიათთან დაკავშირებით სხვადასხვა მიდგომა არსებობს. მაგალითად, პლატონის აზრით, უმაღლესი ღირებულებები ატარებენ აბსოლუტურ ხასიათს; სოფისტების შეხედულებით კი, ყველა ღირებულება ინდივიდუალური და შეფარდებითია, რაც გამომდინარეობდა მათი ძირითადი თეზისიდან: „ადამიანი ყველაფრის საზომია“. ღირებულებებისადმი დიფერენცირებული მიდგომის მცდელობას შეიცავს არისტოტელეს ფილოსოფია, რომელიც აღიარებდა თვითმყოფად ღირებულებებს, ანუ „თვითღირებულებებს“. მათ განეკუთვნება ადამიანი, ბედნიერება, სამართლიანობა და ა.შ. ამასთან, იგი ამტკიცებდა ღირებულებათა უმრავლესობის შეფარდებით ხასიათსაც, რამეთუ სხვადასხვა საგნები ფასეულად მიაჩნიათ ბავშვებს და ზრდასრულებს, განათლებულ და ბრძენ ადამიანებსაც.

სხვადასხვა ისტორიულმა ეპოქამ და ფილოსოფიურმა სისტემამ საკუთარი ანაბეჭდი დატოვა ღირებულებების გაგებაზე. შუასაუკუნეებში ისინი ღვთაებრივ არსებას უკავშირდებიან, რელიგიურ ხასიათს იძენენ. აღორძინების ეპოქაში კი წინა პლანზე გამოდის ჰუმანიზმის ღირებულებები. ჩვენ დროში მეცნიერებისა და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარება მეტწილად განსაზღვრავს საგნებისა და მოვლენებისადმი, როგორც ფასეულობებისადმი მიდგომას.

ი. კანტი პირველად იყენებს ღირებულებების ცნებას ვიწრო გაგებით. აქსიოლოგიის წანამძღვრად მასთან რეალურისა და იდეალურის განსხვავებულობა გამოდის. მისი აზრით, ღირებულებებია: ნებელობისადმი წაყენებული მოთხოვნები, ადამიანის წინაშე მდგარი მიზნები, პიროვნებისათვის ამა თუ იმ ფაქტორის მნიშვნელოვნობა და სხვა. ჰეგელი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ღირებულებების დაყოფას ეკონომიკურად (უტილიტარულად) და სულიერად. ეკონომიკური ღირებულებები გამოდიან როგორც საქონელი და ხასიათდებიან „რაოდენობრივი განსაზღვრულობით“. ჰეგელის თანახმად, იმდენად, რამდენადაც საგნებს აქვთ ფასეულობა, ჩვენ მათ განვიხილავთ როგორც საქონელს. მათი მნიშვნელობა მდგომარეობს მხოლოდ ღირებულებაში და არა მათ სპეციფიკურ თავისებურებებში. ეს ღირებულებები ყოველთვის შეფარდებითია, ანუ დამოკიდებულია მოთხოვნაზე, ხალხის გემოვნებაზე, გაყიდვის ოდენობაზე. სხვა აზრით, ღირებულებები დაკავშირებულია სულის თავისუფლებასთან, და ყოველივე „რასაც აქვს ფასეულობა და მნიშვნელობა – სულიერია თავისი ბუნებით“.

აქსიოლოგიის დამოუკიდებელი ფილოსოფიური კვლევის სფეროდ გამოყოფის შემდგომ ღირებულებების თეორიების სხვადასხვა ტიპი ჩამოყალიბდა. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

ნატურალისტური ფსიქოლოგიზმი (ჯ. დიუი) ფასეულობებს განიხილავს, როგორც რეალობის ობიექტურ ფაქტორებს, რომლებიც ემპირიულად დაკვირვებადია, ხოლო მათი წყარო უკავშირდება ადამიანის ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებებს. ამ თვალსაზრისით, ნებისმიერი საგანი, რომელიც ადამიანთა რაიმე მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, ღირებულებას წარმოადგენს.

აქსიოლოგიური ტრანსცენდენტალიზმის (ვ. ვინდელბანდი, გ. რიკერტი) მიხედვით, ღირებულება არა ობიექტური რეალობა, არამედ იდეალური ყოფაა. ღირებულებები ადამიანთა სურვილისაგან დამოუკიდებლად განიხილება. ეს არის სიკეთე, ჭეშმარიტება, სილამაზე, რომლებიც თავად წარმოადგენენ მიზნებს და არა სხვა რაიმეს მიღწევის საშუალებას. ამდენად, ღირებულება არა რეალობა, არამედ იდეალია, რომლის მატარებელიც „ცნობიერება“ ანუ ტრანსცენდენტალური (ზღვარს მიღმა) სუბიექტია. ის ამ კონცეფციაში განიხილება როგორც ნორმს, რომელიც არ არის ადამიანზე დამოკიდებული და კონკრეტული ღირებულებებისა და კულტურის ზოგად საფუძველს წარმოქმნის.

ამ მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენელი მ. შელერი ღირებულებების ობიექტურ ხასიათს ამტკიცებდა. მისი აზრით, ისინი პიროვნების ონტოლოგიურ საფუძველს წარმოქმნიან, მაგრამ არ შეიძლება საგნებში არსებული ღირებულებების გაიგივება მათ ემპირიულ ბუნებასთან. მაგალითად, როგორც ფერი არსებობს იმ საგნებისგან დამოუკიდებლად, რომელთაც ის მიეკუთვნება, ასევე ღირებულებებიც

(სასიამოვნო, დიდებული, კეთილი) შესაძლებელია, გაცნობიერდეს იმ საგნებისგან დამოუკიდებლად, რომელთაც ისინი მიეკუთვნებიან. ღირებულებების შეცნობა და მათი განჭვრეტა საბოლოოდ დაფუძნებულია სიყვარულის ან სიძულვილის გრძნობაზე. ღირებულებები მით უფრო მაღალია, რაც უფრო მარადიულია და უფრო დიდია ის კმაყოფილება, რომელსაც მათგან ვიღებთ. ამ გაგებით, შედარებით ნაკლები ხანგრძლივობის ის ღირებულებები არიან, რომლებიც გრძნობადი სურვილებისა და მატერიალური კეთილდღეობის დაკმაყოფილებას უკავშირდება, მაღალი ღირებულებები კი, მათგან განსხვავებით, ყოველივე „ლამაზსა“ და „შემეცნებითს“ ასახავენ.

ღირებულებების პრობლემა სოციოლოგიაში მ. ვებერმა შემოიტანა. მისი აზრით, ღირებულება არის ნორმა, რომელსაც განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს სოციალური სუბიექტისათვის. ამასთან დაკავშირებით, იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა საზოგადოების განვითარებაში ეთიკური და რელიგიური ფასეულობების როლს.

თანამედროვე ლიტერატურაშიც ღირებულებების ბუნებასა და მათი გაგების საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ღირებულება განიხილება როგორც საგანი (რომელსაც აქვს რაღაც სარგებელი და რომელსაც შეუძლია ადამიანის ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილება), როგორც იდეალი, როგორც ნორმა და ა.შ. ღირებულებების სხვა სახეობას წარმოადგენს „სუბიექტური ღირებულებები“, რომელთაც განეკუთვნებიან განწყობები, შეფასებები, მოთხოვნები, აკრძალვები და სხვა, გამოხატული ნორმების ფორმით. ისინი ადამიანთა საქმიანობაში გამოდიან როგორც ორიენტირები და კრიტერიუმები. ამდენად, ღირებულებების გაგების ცენტრში იმ სამყაროსადმი ღირებულებითი დამოკიდებულებაა, რომლის მხარეებსაც „საგნობრივი“ და „სუბიექტური“ ღირებულებები შეადგენენ.

ღირებულებები ყოველთვის ადამიანურია და სოციალურ ხასიათს ატარებს. ისინი საზოგადოებრივი პრაქტიკის, ადამიანის ინდივიდუალური საქმიანობისა და განსაზღვრული კონკრეტულ-ისტორიული საზოგადოებრივი მიმართულებების ჩარჩოებში იქმნება. ღირებულებით აღქმისა და მათი ჩამოყალიბების პროცესზე გავლენას ახდენს ადამიანის არსებობის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ფაქტორი – ბიოლოგიური, სოციალური, ფსიქიკური და ა.შ. მათი ინდივიდუალური შეთანაწყობა განაპირობებს ადამიანის ღირებულებების პიროვნულ ხასიათს, რომელიც არ უარყოფს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები ინდივიდუალური ღირებულებების გვერდით, ცალკე არსებობენ. ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები – ეს, ამავე დროს, ინდივიდუალური, პიროვნული ღირებულებებია და ყოველი პიროვნება მათ თავისებურად აღიქვამს და შეიმეცნებს.

ადამიანის პრაქტიკის, მოთხოვნილებების და სოციალური ურთიერთობების ბაზაზე აღმოცენდება ინტერესები, რომლებიც უშუალოდ განაპირობებენ ადამიანის ამა თუ იმ საკითხით, საგნით დაინტერესებას. ამიტომ მოკლედ რომ ვთქვათ, თუ რა არის ღირებულება, თავს უფლებას მივცემთ, ვისარგებლოთ შიბუტანის ფორმულირებით: „ობიექტის შესახებ მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ღირებულებას ფლობს, თუ მისადმი ავლენენ რაღაც განსაკუთრებულ ინტერესს“.

ყოველი ადამიანი ღირებულებათა განსაზღვრულ სისტემაში ცხოვრობს, რაშიც იგულისხმება პიროვნების შინაგანი სტრუქტურის უმნიშვნელოვანესი თვისებების ერთობლიობა, ის, რაც მისთვის განსაკუთრებულად ფასეულია. ეს ღირებულებითი ორიენტაციები წარმოქმნიან პიროვნების ქცევისა და ცნობიერების საფუძველს და უშუალოდ ახდენენ გავლენას მის განვითარებაზე. ამასთან, ყოველთვის შეინიშნება ღირებულებითი ორიენტაციის შედარებითი ხასიათი, რამეთუ ვიღაც სწავლობს იმიტომ, რომ მომავალში მაღალანაზღაურებადი სამუშაო იშოვნოს, ხოლო მეორე მუშაობს იმისთვის, რომ სწავლისა და განვითარების მიღების საშუალება ჰქონდეს. მაგრამ, ასეა თუ ისე, ღირებულებითი ორიენტაციის კონკრეტული სისტემა და მათი იერარქია პიროვნების განვითარების რეგულატორებია. ისინი პიროვნების ქცევის წესებისა და ნორმების კრიტერიუმების როლსაც ასრულებენ.

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ღირებულებების კლასიფიცირების და იერარქიის სხვადასხვა ხერხები და პრინციპები არსებობს. მაგალითად, გამოყოფილია ღირებულებები – მიზნები ანუ უმაღლესი (აბსოლუტური) ღირებულებები, და ღირებულებები – საშუალებები ანუ ინსტრუმენტული ღირებულებები. საუბარია, ასევე, დადებით და უარყოფით ღირებულებებზე, მხედველობაში აქვთ რა მათი სოციალური მნიშვნელობა და მათი რეალიზების შედეგები. შეიძლება გამოვყოთ მატერიალური და სულიერი ღირებულებები და ა.შ. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ღირებულებები მჭიდრო ურთიერთკავშირში და ერთიანობაში არიან და წარმოქმნიან ყოველი ადამიანის მთლიან ფასეულობით სამყაროს.

ღირებულებების დიფერენციაციის განსხვავებული ფორმებისა და მათი რეგულაციური ხასიათის მიუხედავად, არსებობს უმაღლესი და აბსოლუტური ღირებულება – თვით ადამიანი და მისი ცხოვრება. ეს ღირებულება შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ როგორც ღირებულება – მიზანი და არასოდეს უნდა გვქონდეს მისადმი როგორც ღირებულება – საშუალებისადმი დამოკიდებულება. ადამიანი – თვითღირებულებაა, აბსოლუტური ფასეულობაა. ის წარმოადგენს ღირებულებებისა და ღირებულებითი დამოკიდებულებების სუბიექტს. ადამიანის გარეშე ღირებულებების შესახებ საკითხის დაყენება აზრს კარგავს. მსგავს ღირებულებებს წარმოადგენს სოციალური ერთობები და საზოგადოება მთლიანად, რომლებიც ღირებულებების სუბიექტადაც გვევლინებიან.

ჩვენი კვლევის მიზანსაც სწორედ რომ ჩვენ საზოგადოებაში გაბატონებული ღირებულებების კვლევა წარმოადგენს.

უმაღლეს ღირებულებებს მიეკუთვნება, ასევე, ცხოვრების საზრისი, სიკეთე, სამართლიანობა, ჭეშმარიტება, სილამაზე, თავისუფლება, დამოუკიდებლობა და სხვა. ეს ღირებულებები, უპირველესად, პი-

როვნების სოციალიზაციაზე ახდენენ ზეგავლენას. მათი რეალიზაცია გაიგივებულია პიროვნების სტრუქტურის ისეთი სიღრმისეული ფენის რეალიზებასთან, როგორიც თვითაქტუალიზაციაა. ამის გარეშე ადამიანი პიროვნებად ვერ ყალიბდება. მაგრამ არამხოლოდ უმაღლესი ღირებულებები ახდენენ პიროვნების სოციალიზაციაზე გავლენას. ამ პროცესში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებათ ღირებულება – საშუალებებს, რომლებიც გამოდიან შუალედური ღირებულებების როლში. ისინი განპირობებულნი არიან და ექვემდებარებიან უმაღლეს ღირებულებებს. თუ ადამიანი იღწვის სამართლიანობის დასამტკიცებლად, ის მის მისაღწევად უსამართლო ხერხებს არასოდეს მიმართავს; სიკეთისადმი მისწრაფება შეუთავსებელია ბოროტი საშუალებების გამოყენებასთან. ამდენად, ღირებულება – საშუალებების გარეშე მიუღწეველია ღირებულება – მიზნები. ამასთან, ვერანაირი კეთილშობილი მიზანი ვერ გაამართლებს მიუღებელ ხერხებს. ამიტომ ჩვენ გამოკვლევაში გამოვიყენეთ როგორც ღირებულება – მიზნები, ისე ღირებულება – საშუალებები.

საზოგადოების განსხვავებული სოციოკულტურული ტიპები სპეციფიკურ ღირებულებებს ფლობენ, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ პიროვნების ქცევასა და ღირებულებით ორიენტაციას, ასევე, მისი სოციალიზაციის ხერხებსაც. მაგალითად, კაცობრიობის ისტორიაში არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი ორი ღირებულებითი პარადიგმა – აღმოსავლური და დასავლური – ასახავს შესაბამისი საზოგადოების ცხოვრების წესებთან დაკავშირებულ ფასეულობებს. აღმოსავლური ტრადიციისათვის დამახასიათებელია ადამიანისა და საზოგადოების ერთიანობის განმტკიცება, ისეთი ნორმებისა და ქცევის წესების ბატონობა, როგორიცაა სამართლიანობა, ჰუმანურობა, გულწრფელობა, მშობლებისა და უფროსების პატივისცემა. პიროვნების სოციალიზაციის პროცესში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ოჯახს, შეიძლება ითქვას, რომ თვით საზოგადოება განიხილება ერთ დიდ ოჯახად. აღზრდასა და პიროვნების სოციალიზაციაში მთავარს წარმოადგენს არა სამყაროს შეცვლა, არამედ საკუთარ თავზე მუშაობა და თვითსრულყოფა.

დასავლური ტრადიციებისათვის დამახასიათებელია პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირება და პრიორიტეტი, საზოგადოებრივთან შედარებით, ინდივიდუალურ ფასეულობებს აქვს მინიჭებული. შესაბამისად, პიროვნების სოციალიზაცია აქ სოციალური გარემოს შეცვლას უკავშირდება.

ამ ორი ტრადიციის კონტექსტში ჩვენ საზოგადოებაში პიროვნებათა სოციალიზაციის პერსპექტივა ორივე სახის ღირებულებებს უნდა უკავშირდებოდეს. ვფიქრობ, რომ არაფერი სასირცხვილო და დასაძრახი არ არის კოლექტივიზმის პრინციპში, რომელიც განმტკიცებულია ქართველი ხალხის მენტალიტეტში, ტრადიციულ ფასეულობებში. მაგრამ, არ უნდა მოვახდინოთ ამ პრინციპის აბსოლუტიზირება და „ყაზარმულ კოლექტივიზმთან“ მისი გაიგივება. ამასთან დაკავშირებით საჭიროა ინდივიდუალიზმის ღირებულებების წინ წამოწევა, მაგრამ არა უკიდურესი ეგოიზმის, არამედ პიროვნების ინდივიდუალიზმის, აქტიურობისა და დამოუკიდებლობის განვითარების ფორმით. მხოლოდ კოლექტივიზმისა და ინდივიდუალიზმის ღირებულებების ერთიანობა მოგვცემს პიროვნების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის საშუალებას. როდესაც ისმის კითხვა – პიროვნების სოციალიზაციის რომელ ხერხს უნდა მიეცეს უპირატესობა, რა უნდა შეიცვალოს უპირველესად – პიროვნება თუ სოციალური გარემო, პასუხი შეიძლება გავცეთ ამგვარად: პიროვნების ნორმალური განვითარებისათვის უნდა შეიცვალოს ადამიანიც და სოციალური გარემოც (სამყაროც). პიროვნება, რომლის ღირებულებითი ორიენტაციები უკავშირდება მხოლოდ საკუთარი თავის შეცვლას, მხოლოდ სოციალური გარემოსადმი შეგუებას, განწირულია კონფორმიზმისათვის. ინდივიდუალიზმის ღირებულებათა აბსოლუტიზაცია კი იწვევს პიროვნების საზოგადოებისგან გაუცხოებას.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურების ღირებულებების შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ დასავლეთის კულტურებში წინა პლანზე გამოდიან ისეთ ღირებულებები, როგორიცაა ინდივიდუალობა, ფული, ეფექტურობა, პირველობისადმი სწრაფვა, აგრესიულობა, ახალგაზრდული ასაკის პატივისცემა, ქალისა და მამაკაცის თანასწორობა. აღმოსავლეთის კულტურაში პირველ ადგილზეა კოლექტიური პასუხისმგებლობა, უფროსების პატივისცემა, პატრიოტიზმი, ავტორიტარიზმი, დედობა, უბრალოება. კულტურის ყოველ ტიპს თავისი ნაკლოვანებები და ღირსებები აქვს.

ზოგადად სოციალური, პროფესიული, ასაკობრივი, გენდერული, ეთნიკური თუ სხვა სახის ჯგუფების ღირებულებების შესწავლას მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში, მრავალწლიანი ისტორია აქვს. თუმცა, ღირებულებათა სისტემიდან გარკვეული ღირებულებების შერჩევის გზით სპეციალური კითხვარის შემუშავება და ამის მიხედვით ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის კვლევა ყოველთვის სიახლესთან არის დაკავშირებული. ამ მხრივ ჩვენ მიერ შემუშავებული კითხვარი და კვლევის მიზნებიც საინტერესო აღმოჩნდა. კვლევის მიზნებს წარმოადგენდა:

1. სტუდენტთა მიერ პრიორიტეტულად აღიარებული ფასეულობების დადგენა;
2. გენდერული ასპექტების შედარებითი შესწავლა.

ამისთვის შევიმუშავეთ სპეციალური ჩამონათვალი, რომელიც ეფუძნება როკიჩის „ღირებულებითი ორიენტაციების“ მეთოდიკას. შეგახსენებთ, რომ ეს მეთოდიკა შედგება 36 ტერმინალური და ინსტრუმენტალური ღირებულებისგან, სადაც 18 არის ტერმინალური ანუ ღირებულება-მიზანი და 18-ინსტრუმენტალური, ანუ ღირებულება-საშუალება. ჩვენ ავირჩიეთ 17 ღირებულება, რომელშიც გაერთიანებულია როგორც ტერმინალური, ასევე ინსტრუმენტალური ღირებულებები. ესენია:

1. გულისხმიერება;

2. სიყვარული (სულიერი და ფიზიკური სიახლოვე საყვარელ ადამიანთან);
3. კარგი და სანდო მეგობრების ყოლა;
4. განვითარება;
5. თავისუფლება;
6. ბედნიერი ოჯახური ცხოვრება;
7. აღზრდილობა;
8. დამოუკიდებლობა;
9. სამშობლოს სიყვარული;
10. განათლებულობა;
11. მოთმინება, პატიების და შეწყნარების უნარი;
12. პატიოსნება;
13. ჯანმრთელობა (ფიზიკური და ფსიქიკური);
14. პასუხისმგებლობა;
15. ნებისყოფა;
16. სამართლიანობა;
17. სულიერება (ღვთის რწმენა, რელიგიური კანონებით ცხოვრება).

გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო 952-მა ცდისპირმა, რომელთაგან 423 გოგონა იყო, ხოლო 529 ვაჟი. აღვნიშნავთ, რომ მონაწილეობა მიიღეს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის, თსუ-ს, გთსუ-ს, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის, ეროვნული თავდაცვის აკადემიის და თელავის ი. გოგებაშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა. ასაკი შეზღუდული იყო – 17-დან 21 წლამდე, ანუ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ბაკალავრიატის I –III კურსის სტუდენტებმა.

მიღებულმა შედეგებმა დაგვანახა კვლევის გაგრძელების საჭიროება და მეორე ეტაპის ჩატარება. ახლა კი წარმოგიდგენთ ჩატარებული კვლევის პირველი ეტაპის შედეგებს.

სტუდენტთა მიერ პრიორიტეტულად აღიარებულია ისეთი ფასეულობები, როგორიცაა სიყვარული, კარგი და სანდო მეგობრების ყოლა, ჯანმრთელობა, სულიერება. გაუფასურებულია ისეთი ღირებულებები, როგორიცაა გულისხმიერება, განვითარება, თავისუფლება, აღზრდილობა, დამოუკიდებლობა, სამშობლოს სიყვარული, მოთმინება, პასუხისმგებლობა, ნებისყოფა. საინტერესოა ერთი ფაქტი, თუკი ღირებულება – მიზანი ანუ ტერმინალური ღირებულება – „სულიერება“ ყველაზე მეტად არჩევითია, ისმის კითხვა: რას გულისხმობენ ჩვენი სტუდენტები სულიერებაში. ჩამონათვალში სულიერება ახსნილია, როგორც ღვთის რწმენა, რელიგიური კანონებით ცხოვრება. ისინი სულიერებაში არ მოიაზრებენ არც გულისხმიერებას, არც მოთმინებასა და პატიების, შეწყნარების უნარს, არც პასუხისმგებლობასა და ნებისყოფას, რაც იძლევა სრულიად თამამი დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ სულიერება ყველაზე რბილად რომ ვთქვათ – არა სიღრმისეული და მოჩვენებითია. ეს შედეგი შეგვიძლია გრაფიკულად ასე გამოვსახოთ



რაც შეეხება გენდერული ასპექტების შედარებით შესწავლას (შეგახსენებთ, რომ ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო დაგვედგინა, არსებობს თუ არა შესამჩნევი განსხვავებები გოგონებისა და ვაჟების მიერ პრიორიტეტულად აღიარებულ ფასეულობებში), შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შესამჩნევი განსხვავებები არ აღმოჩნდა. ეს კი იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა,

რომ ჩვენი კვლევის შედეგად გამოკვეთილი და პრიორიტეტულად მიჩნეული ღირებულებები ზოგადად ამ თაობის მახასიათებელია. რაც არ უნდა გულსატკენი იყოს მიღებული შედეგები, აღნიშნულმა კვლევამ კიდევ ერთი პრობლემა წამოწია წინ. უმაღლეს სასწავლებელში მოსულ სტუდენტებს თითქმის ჩამოყალიბებული აქვთ ღირებულებითი ორიენტაციები და აქ მათთან მუშაობამ შეიძლება ბევრი ვერაფერი შეცვალოს. ე.ი. საჭიროა კვლევის გაგრძელება იმ მიმართულებით, რომ დადგინდეს პრობლემის სათავე. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია გარდამავალი ასაკის, ანუ სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა ღირებულებების შესწავლა. ამ დროს აღმოცენდება „მოწიფულობის გრძნობა". მოზარდი თავს გრძნობს როგორც სრულყოფილ და თანასწორუფლებიან წევრად მოზრდილთა საზოგადოებაში და მათგანაც იგივეს აღიარებას მოითხოვს. მოზარდობის პერიოდში უყალიბდება მას თვითცნობიერება და სპეციფიკური სოციალური აქტიურობა, რომელიც მდგომარეობს იმ ნორმათა, ღირებულებათა და ქცევის ფორმათა ათვისების დიდ უნარიანობაში, რაც არსებობს მოზრდილთა სამყაროში და მათ ურთიერთდამოკიდებულებებში. სწორედ ეს განსაზღვრავს მოზარდის ღირებულებათა ორიენტაციის ჩამოყალიბებას – რაც გამოიხატება ერთი სახის ნორმებისა და ფასეულობებიდან მეორეზე გადანაცვლებაში, ანუ ბავშვობიდან მოზრდილობაში გადასვლაში.

მოზარდთა ანუ სკოლის დამამთავრებელი ასაკის მოსწავლეთა პრიორიტეტული ღირებულებებს, კვლევა და მითითებული შედეგების ზემოთ მოცემულ მონაცემებთან შედარების შემდეგ უფრო დაბეჯითებით შეიძლება ლაპარაკი გასატარებელ ღონისძიებებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნადირაშვილი შ. განწყობის ანთროპული თეორია. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი, 2014.
2. Шевандрин Н. Психодиагностика, коррекция и развитие личности. М., 1999.
3. Большая энциклопедия психологичесих тестов. М., 2007.
4. Ильин Е. Мотивация и мотивы. М., С-Пб...2006.
5. Фернхем А., Хейвен П. Личность и социальное поведение. С-Пб., М...2001.
6. Реан А. Психология личности. М. С-Пб...2007.
7. Кузнецова Е. Личностные ценности: понятие, подходы к классификации. Вестник ОГУ №10. 2010.
8. http://socfil.narod. ru/glava_9.htm.

ნონა ახალაშვილი
ლიკა შენგელია

სტუდენტთა პრიორიტეტული პიროვნული ღირებულებები

რეზიუმე

სოციალური, პროფესიული, ასაკობრივი, გენდერული, ეთნიკური თუ სხვა სახის ჯგუფების ღირებულებების შესწავლას მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში, მრავალწლიანი ისტორია აქვს. თუმცა, ღირებულებათა სისტემიდან გარკვეული ღირებულებების შერჩევის გზით სპეციალური კითხვარის შემუშავება და ამის მიხედვით ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის კვლევა ყოველთვის სიახლესთან არის დაკავშირებული. ამ მხრივ ჩვენ მიერ შემუშავებული კითხვარი და კვლევის მიზნებიც საინტერესო აღმოჩნდა. ამისთვის შევიმუშავეთ სპეციალური ჩამონათვალი, რომელიც ეფუძნება როკიჩის „ღირებულებითი ორიენტაციების" მეთოდიკას. გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო 1040-მა ცდისპირმა, რომელთაგან 423 გოგონა იყო, ხოლო 529 ვაჟი. გამოკვლევის შედეგებმა გვაჩვენა, რომ სტუდენტთა მიერ პრიორიტეტულად აღიარებულია ისეთი ფასეულობები, როგორიცაა სიყვარული, კარგი და სანდო მეგობრების ყოლა, ჯანმრთელობა, სულიერება. გაუფასურებულია გულისხმიერება, განვითარება, თავისუფლება, აღზრდილობა, დამოუკიდებლობა, სამშობლოს სიყვარული, მოთმინება, პასუხისმგებლობა, ნებისყოფა. მიღებულმა მონაცემების ანალიზმა დაგვანახა კვლევის გაგრძელების საჭიროება და მეორე ეტაპის ჩატარება.

Nona Akhalashvili, Lika Shengelia

STUDENTS' PERSONAL VALUES PRIORITY

Summary

Social, professional, age, gender, ethnic or other groups to study the values of the world, including in Georgia, has a long history. However, the system of values of certain values and selection through a questionnaire developed for the study of a social group is always associated with innovation. In this regard, we have developed a questionnaire and research objectives are interesting. For this reason, we have developed a special list, which is based on Rokich „value orientations“ methods. Participants in the study were derived from 1040 people, 423 were girls and 529 boys among them. The Survey outcomes showed that the students recognized the priority values, such as love, good and reliable friends, health, and spirituality. Impaired understanding, development, freedom, independence, country, love, patience, responsibility, willpower. The data analysis has demonstrated the need to continue the research on the second stage.

თამარ ფანცულაია

ბიზნესის ეთიკური პრობლემები – კორპორაციები და ზნეობრიობა

ეთიკური შეფასებები ეხება ყველა საქმიან შეთანხმებას, ყველა საწარმოს, დიდსაც და პატარასაც. მაგრამ საქმიან ეთიკაში, აქცენტი მაინც კორპორაციების, განსაკუთრებით მსხვილი კორპორაციების, ეთიკაზე კეთდება. ამის მრავალი მიზეზი არსებობს. მცირე საწარმოები, ჩვეულებრივ, მათი მფლობელების მიერ იმართება. ისინი, შესაბამისად, თავისი მფლობელის ზნეობრივ შეხედულებებს ასახავენ, რომლებიც საწარმოშიც და პირად ცხოვრებაშიც ერთი და იგივე მორალური ნორმებით ხელმძღვანელობენ. თუ მათ დაქირავებული მოსამსახურე პერსონალი ჰყავთ, ცდილობენ თითოეული მათგანი კარგად, უფრო ახლოს გაიცნონ; მათთან, ძირითადად, საქმიანი ურთიერთობები აკავშირებთ, რაც არ შეიძლება პირად ურთიერთობებში არ გადაიზარდოს, რადგან ყოველდღე ხვდებიან ერთმანეთს. ასეთი დამოკიდებულების ერთ-ერთი შედეგი ის არის, რომ უმეტეს შემთხვევაში, საწარმოს მფლობელის ქმედებები თანამშრომლებთან მიმართებაში, ხელქვეითებისათვის სრულიად გასაგებია. თანამშრომლებისათვის ცნობილია ის პირობები, რომელშიც მუშაობა უწევთ; მათთვის ნათელია, პატიოსნად ექცევიან, თუ არა; თუ უსამართლოდ მოექცნენ, იციან ვინ დაადანაშაულონ და ვისთან იჩივლონ. კლიენტებთან ურთიერთობაც ასეთივე გამჭვირვალეა. მუდმივი კლიენტები ფირმის მხრიდან პატიოსან დამოკიდებულებას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა საწარმოებთან დაამყარებენ ურთიერთობებს.

საზოგადოდ, კორპორაციებს შეზღუდული პასუხისმგებლობა აკისრიათ. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ უნდა მიუდგეთ მათ განსხვავებულად: კომპანიის აქციათა მფლობელები პასუხს აგებენ მხოლოდ საწარმოში მათ მიერ ჩადებული თანხის ოდენობაზე. აქციონერების პირადი საკუთრება არავითარ როლს არ თამაშობს. მაგრამ მსხვილი კორპორაციებისადმი ჩვენი განსაკუთრებული ყურადღების მთავარი მიზეზი ის არის, რომ მსხვილი კორპორაციები, როგორც წესი, ძლიერი და უპიროვნო ხასიათისაა და მათ როგორც დიდი სარგებლის, ასევე დიდი ზიანის მოტანა შეუძლიათ. უპიროვნო იმიტომ არის, რომ აქციონერების მიერ დაქირავებული მენეჯერების მიერ იმართებიან. კორპორაციების სიდიდის გამო, პრაქტიკულად შეუძლებელია უმაღლესი ხელმძღვანელობა პირადად იცნობდეს ყველა თანამშრომელს, თანაც თანამშრომლებსა და მთავარ დირექტორ-განმკარგულებელს შორის არსებობს სხვადასხვა შუალედური მმართველი რგოლები. მაშასადამე, კორპორაციებში თანამშრომელთა უშუალო მართვა იცვლება ორგანიზაციული სტრუქტურებით, საწარმოს ფუნქციონირების წესებითა და სპეციფიკური თავისებურებებით. კორპორაციებში ზნეობრივ ფონს უმაღლესი ხელმძღვანელობა ქმნის. აქ, განსხვავებით მმართველი-მფლობელებისაგან, რომლებიც პირადად და განსაკუთრებულად არიან დაინტერესებული თავისი კომპანიის ბედით, მმართველობას დაქირავებული პერსონალი ახორციელებს.

მსხვილ კორპორაციებში დასაქმებულია ადამიანთა დიდი რაოდენობა, რომლებიც მათზე დამოკიდებული ხდებიან. დიდ ძალაუფლებას დიდი პასუხისმგებლობაც ახლავს თან. საქმიანი ეთიკის ერთ-ერთი ამოცანაა გაარკვიოს, როგორი პასუხისმგებლობა ეკისრებათ თავისი ქმედებებისათვის კორპორაციებს საზოგადოების, თავისი პერსონალის, აქციონერებისა და აგრეთვე მათ წინაშე, ვისაც მათი ქმედებები ეხება.

კორპორაცია განსაკუთრებული სახის წარმონაქმნია. 1819 წელს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ მარშალმა საქმის, „დორტმუნდის კოლეჯი ვუდვორდის წინააღმდეგ", განხილვის დროს, შემდეგი განსაზღვრება გამოიტანა: „კორპორაცია არის უხილავი, ხელით შეუხებელი ხელოვნური წარმონაქმნი, რომელიც მხოლოდ იურიდიული თვალსაზრისით არსებობს. იგი კანონის საფუძველზეა შექმნილი და ახასიათებს მხოლოდ ის თვისებები, რომლებიც დამფუძნებელმა წესდებამ მიანიჭა: ან გარკვევით განსაზღვრული თვისებები, ან ნაგულისხმევი თვისებები, რომლებსაც თავად მისი არსებობა განაპირობებს. ეს ისეთი თვისებებია, რომლებიც, სავარაუდოდ, საუკეთესოდ შეესაბამება იმ მიზნებს, რის გამოც იგი შეიქმნა" (1,229). კორპორაციას შეუძლია ფუნქციონირება, აქვს საკუთრების ქონის უფლება და შესაძლებელია გახდეს სასამართლო სარჩელის ობიექტი. კორპორაციისათვის დამახასიათებელია მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობა. ეს ის უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა, რომელიც მისი დაფუძნების მთავარი მოტივი გახდა. აქციონერებს ან მის მესაკუთრეებს შეზღუდული პასუხისმგებლობა პერსონალურ პასუხისმგებლობას აცილებს თავიდან. ისინი, ვისაც თანხები კორპორაციაში აქვთ დაბანდებული, დაკარგავენ მხოლოდ იმ ოდენობის თანხას, რაც დააბანდეს. მათი პირადი აქტივები ხელშეუხებელია.

მორალური პასუხისმგებლობა, ჩვეულებრივ, ცალკეულ პირებს ეკისრებათ. აქვს თუ არა აზრი, ვისაუბროთ სახელმწიფოების, ან კორპორაციების, ან სხვა ოფიციალური ორგანიზაციების მორალურ პასუხისმგებლობაზე? თუ აზრი აქვს, მაშინ ამ შემთხვევაში რას ვგულისხმობთ ცნებაში „მორალური პასუხისმგებლობა"? იგივეს, რასაც ცალკეულ პირებთან მიმართებაში?

არსებობს მოსაზრება, რომლის თამახმად კორპორაციები და სხვა ოფიციალური ორგანიზაციები მორალის სუბიექტებს არ მიეკუთვნებიან; ისინი, უკეთეს შემთხვევაში, იურიდიულ პირებს წარმოადგენენ. ასეთი ორგანიზაციები ერთმანეთთან შეიძლება იურიდიული ვალდებულებებით იყოს დაკავშირებუ-

ლი, მათი საქმიანობა კანონით რეგულირდება. მხოლოდ ადამიანები წარმოადგენენ ზნეობრიობის სუბიექტებს, მხოლოდ ადამიანებს ეკისრებათ მორალური პასუხისმგებლობა. ვიღაცას შეიძლება მიაჩნდეს, თითქოს კორპორაციებს ან საწარმოებს მორალური ვალდებულებები აკისრიათ, მაგრამ ის ცდება.

აღნიშნული კონცეფციის თანახმად, როდესაც ადამიანები კომპანიის მიზნებისათვის მუშაობენ, ისინი მოქმედებენ კომპანიისათვის და კომპანიის სახელით. ამ საქმიანობის ფარგლებში, მათი ქმედებები, ფირმის ქმედებების ნაწილია; მაშასადამე, ეს ქმედებები არ შეიძლება მორალური პოზიციებიდან შეფასდეს. ხოლო, თუ ფირმის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებენ, ან კანონს არღვევენ, ან კომპანიას პარავენ, ან ითვისებენ მის ფულს, მაშინ ისინი საკუთარი ინიციატივით მოქმედებენ და ზნეობრივი პოზიციებიდან მათი განსჯა სრულიად შესაძლებელია.

ამ მოსაზრების ზოგადი დასკვნა შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: საწარმოები მორალის სუბიექტებს არ წარმოადგენენ, მათ მორალური პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ და ისინი მორალის პოზიციებიდან არ უნდა შევაფასოთ.

ეს თვალსაზრისი, რომელსაც რიჩარდ დე ჯორჯი „ორგანიზაციის კონცეფციას“ უწოდებს (1,230), ნაწილობრივ წარმოიშვა, როგორც რეაქცია მომხმარებელთა ჯგუფებისა და გარემოს დამცველთა მთელ რიგ მოთხოვნებზე, რომლებიც ბიზნესისათვის სოციალური პასუხისმგებლობის დაკისრებას ითვალისწინებდნენ. მილტონ ფრიდმენმა, მათ საწინააღმდეგოდ, წამოაყენა დებულება, რომ ბიზნესის ფუნქციას მოგების შექმნა წარმოადგენს, ხოლო სოციალური რეფორმები, ქველმოქმედება და სხვა მსგავსი, ბიზნესის კი არა, სახელმწიფოს საქმეა (1,230).

„ორგანიზაციის კონცეფციის“ მარტივად უარყოფა არ შეიძლება. ის სამართლიანად თვლის, რომ ორგანიზაციები, კორპორაციები და სახელმწიფოები იმ გაგებით არ არიან ზნეობრიობის სუბიექტები, რა მნიშვნელობითაც ცალკეული ადამიანები. ამიტომ, როდესაც მათ მორალის სუბიექტებად განვიხილავთ, წინდახედული უნდა ვიყოთ ტერმინოლოგიის შერჩევა-გამოყენებაში და ზუსტად განვმარტოთ, რას ვგულისხმობთ ამ ტერმინებში.

ზემოაღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგო არგუმენტაციის მოტანა არ არის რთული. ოფიციალური ორგანიზაციები, მაგალითად, კორპორაციები, გარკვეულ საქმიანობას ეწევიან. „Ford Motor Company“ ქმნის ავტომანქანებს, აშენებს ქარხნებს, სამსახურში იღებს და ათავისუფლებს მუშახელს, აძლევს მათ ხელფასს, იხდის გადასახადებს, ექსპლუატაციიდან იღებს დეფექტიან მოდელებს და ა.შ. საწარმოები, ხელმძღვანელობენ რა გადაწყვეტილებების მიღების რაციონალური მეთოდით, გონივრულად მოქმედებენ. რამდენადაც მათი გონივრული ქმედებები ადამიანებზე აისახება, ამ ქმედებების ზნეობრივი თვალსაზრისით შეფასება შესაძლებელია. თუ ერთი ადამიანის მიერ სხვა ადამიანების დისკრიმინაცია არაზნეობრივია, ასევე არაზნეობრივია კორპორაციის მიერ პრაქტიკაში დანერგილი დისკრიმინაციაც; თუ კონკრეტული პირისათვის ქველმოქმედება მოსაწონი საქციელია, ასევე მოსაწონია კორპორაციისათვისაც; თუ ცუდია, როცა ცალკეული ადამიანები ქურდობენ, ასევე ცუდია, როცა საწარმოები იპარავენ. ქმედებები, მიუხედავად იმისა, კონკრეტული ადამიანი ახორციელებს მათ, თუ ისეთი სუბიექტი, როგორიცაა კომპანია, კორპორაცია ან სახელმწიფო, შეიძლება მორალურად შეფასდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ ცალკეული ადამიანებისათვის მკვლელობის ჩადენა ცუდია, საწარმოებისათვის კი არაზნეობრივი არ არის, ან ერთი ადამიანის მიერ სხვა ადამიანების დისკრიმინაცია არაზნეობრივია, ხოლო კორპორაციისათვის, მორალური თვალსაზრისით, არაარსებითია. ასეთი მიდგომა მიუღებელია, რადგან მკვლელობა, ქურდობა, ექსპლუატაცია თუ სიცრუე ყველა შემთხვევაში მანკიერებაა და არ აქვს მნიშვნელობა, ვინ მიმართავს ამ ქმედებებს - კონკრეტული ადამიანი, კორპორაცია, თუ სახელმწიფო.

მაგრამ ამით პრობლემა არ გადაწყდება, რადგან „ორგანიზაციის კონცეფციის“ შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს დებულება, რომლის თანახმად, ოფიციალური ორგანიზაციები თავისთავად არ მოქმედებენ. ოფიციალურ ორგანიზაციებში მოქმედებენ ადამიანები, ხოლო ორგანიზაცია, როგორც ასეთი, წარმოადგენს ფორმალურ სტრუქტურას. თავად ეს სტრუქტურა არაფერს აკეთებს. რაც კეთდება, ყველაფერს ადამიანები აკეთებენ. ამ დებულებაში ნამდვილად არის რაციონალური მარცვალი. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხშირად ვსაუბრობთ ფირმებსა და სახელმწიფოებზე, როგორც მოქმედ სუბიექტებზე. როგორ დავადგინოთ, ვინ არის მართალი.

სალაპარაკო ენაში ფირმასთან დაკავშირებული ყველა ადამიანის, მათ მიერ წარმოებული ნაკეთობების ან იმ სუბიექტის აღსანიშნავად, რომელსაც პრეტენზიებით შეიძლება მივმართოთ, ჩვენ სრულიად მართებულად ვხმარობთ ფირმის სახელს. ამიტომ, როდესაც ფირმის ქმედებებზე მორალური პოზიციებიდან ვმსჯელობთ, სულ არ არის აუცილებელი ვიცოდეთ, მის პროდუქციაზე კონკრეტულად ვის აკისრია პასუხისმგებლობა. როგორც მორალური, ასევე იურიდიული თვალსაზრისით, ჩვენ უფლება გვაქვს პასუხისმგებლობა ფირმას დავაკისროთ. მაგრამ, როცა ფირმის ქმედებებზე მორალური დასკვნები გამოგვაქვს, ჩვენ ჯერ უნდა ვიცოდეთ, რატომ ვაკეთებთ ამას. პასუხს მივიღებთ, თუ გავარკვევთ რისი მიღწევა გვსურს. ვაფასებთ რა მორალურად რაიმე ქმედებას, ჩვენ გამოვხატავთ ჩვენს გრძნობებს, ვაგულიანებთ სხვა ადამიანებს, ამ ქმედებაზე ჩვენნაირი რეაქცია რომ ქონდეთ. როდესაც რაიმე ქმედებას მორალურად მიუღებლად ვაცხადებთ, ჩვენ შეიძლება მორალური სანქციების დადების სურვილი გაგვიჩ-

ნდეს და ვეცადოთ სხვებშიც იგივე რეაქცია გამოვიწვიოთ; ან მოცემული ქმედებით განპირობებული ბოროტების გამოსწორების, ან პოლიტიკის შეცვლის მიზნით, ფირმაზე ზეწოლა მოვახდინოთ.

ასეთი გავლენის განხორციელების ერთ-ერთი მეთოდია მომხმარებლების მიერ ორგანიზებული ბოიკოტი (მაგალითად, გაერთიანება „Infect"--მა ბოიკოტი გამოუცხადა კომპანია „Nestle"-ს პროდუქციას). ბოიკოტის ორგანიზატორებმა შეიძლება არც კი იცოდნენ, ვინ იყო პასუხისმგებელი ფირმის მანკიერ პრაქტიკასა ან ამორალურ პოლიტიკაზე. ეს მათ არც აინტერესებთ და არც ჭირდებათ. ბოიკოტმა შეიძლება ფირმის წარმოების მოცულობის შემცირება, მაშასადამე, მუშების დათხოვნა გამოიწვიოს, რომლებსაც არავითარი კავშირი არ აქვთ ფირმის პოლიტიკისა და მისი პრაქტიკული განხორციელების გეგმის შემუშავებაში. მაგრამ ბოიკოტს მიმართავენ ფირმის პოლიტიკის შეცვლის მიზნით და არა იმიტომ, რომ კონკრეტულმა ადამიანებმა სამუშაო ადგილები დაკარგონ. ბოიკოტის ორგანიზატორების ამოცანაა, დაამტკიცონ ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის წარმოების ამორალურობა, ადამიანების ყურადღება გაამახვილონ ამ მოვლენაზე და, მანკიერი პრაქტიკის შეწყვეტის მიზნით, მათი ძალისხმევა გააერთიანონ ფირმაზე მორალური ზეწოლის განსახორციელებლად.

კორპორაციისათვის გარედან წაყენებული მორალური ბრალდებები, დაკისრებული მორალური პასუხისმგებლობა შესაძლებელია უარყონ, სადავო გახადონ ან არც შეამჩნიონ. ეს ხდება, როდესაც კორპორაციის მხრიდან არავის სურს გარედან დაკისრებული პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება.

ერთი რამ ცხადია: პასუხისმგებლობა ყოველთვის ადამიანებს ეკისრებათ. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, ადამიანები პირადად იტვირთებენ, თუ დაკავებული თანამდებობიდან გამომდინარე, კორპორაციას აკისრებენ პასუხისმგებლობას. კორპორაციის ქმედებებზე მორალური პასუხისმგებლობა შეიძლება აიღონ დირექტორთა საბჭოს წევრებმა, პრეზიდენტმა, სხვადასხვა დონის მენეჯერებმა ან მუშებმა.

კორპორაციები - ადამიანები არ არიან. განსხვავება, ერთი მხრივ, ცალკეულ ადამიანებსა და, მეორე მხრივ, კორპორაციებს, სხვა ოფიციალურ ორგანიზაციებსა და სახელმწიფოებს შორის, ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც მორალური, ასევე მორალური პასუხისმგებლობის თვალსაზრისითაც. თავისთავად კორპორაციას არ ახასიათებს სინდისი, გრძნობები, თვითშეგნება. რამდენადაც კორპორაცია ფუნქციონირებას მხოლოდ მასზე მომუშავე ადამიანების საშუალებით ახორციელებს, სწორედ მათ უნდა დაეკისროს მორალური პასუხისმგებლობა. თუმცა, ყოველთვის ადვილი არ არის ზუსტად განვსაზღვროთ, ვინ არის პასუხისმგებელი.

რამდენადაც კორპორაციის მორალური სტატუსი განსხვავდება ადამიანების მორალური სტატუსისაგან, კორპორაციის მორალური ვალდებულებებიც ასევე განსხვავებულია ადამიანების მორალური ვალდებულებებისაგან. ეს ფაქტი იმით არის განპირობებული, რომ კორპორაცია შეზღუდული წარმონაქმნია და მხოლოდ გარკვეული მიზნებისათვის ყალიბდება. ის გარემოება, რომ კორპორაცია არსებობს და გარკვეული მიზნებისთვის არის შექმნილი, სულაც არ ამტკიცებს მისი არსებობის აუცილებლობას ან მისი მიზნების მორალური თვალსაზრისით გამართლებას. მაგრამ, თუ კორპორაციების მიზნები, რისთვისაც ისინი შექმნილია, ამორალური არ არის და არც მიზნების მიღწევის საშუალებებია ამორალური, კორპორაციებზე, ადამიანებისაგან განსხვავებით, მთელი რიგი მორალური წესები არ ვრცელდება.

როგორც მორალის ყველა სხვა სუბიექტი, კორპორაციებიც ვალდებული არიან ზიანი არ მიაყენონ სხვებს. ეს „უარყოფითი" ბრძანება ძალიან ზღუდავს კორპორაციის საქმიანობას. რაც შეეხება კორპორაციის „დადებით" ვალდებულებებს, ისინი დამოკიდებულია კორპორაციის მიერ დასახული მიზნების, კონკრეტული სიტუაციის, მისი იურიდიული სტატუსისა და იმ სოციოპოლიტიკური გარემოსაგან, რომელშიც ის ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს.

რამდენადაც კორპორაციები მორალის სუბიექტებს არ წარმოადგენენ, საეჭვოა, რომ მათი ქმედებები ზნეობრივად მოტივირებული იყოს. სასურველი იქნება, თუ ისინი მორალის საწინააღმდეგო ქმედებებს არ მიმართავენ. კორპორაციას ადამიანებისათვის ჩვეული თვისებები არ ახასიათებს. ამიტომ ზნეობრივ შეფასებას ექვემდებარება მათი ქმედებები და არა ამ ქმედებების გამომწვევი მოტივები. მაშასადამე, კორპორაცია არის ადამიანების მიერ მართული, მორალური სტატუსის მქონე ორგანიზაცია, ექვემდებარება ზნეობრივ შეფასებას, თუმცა, თავისი არსით, მორალურ პიროვნებას არ წარმოადგენს.

კორპორაციის კლასიკური კონცეფცია მას განსაზღვრავს, როგორც ორგანიზაციას, რომლის არსებობის ძირითადი მიზანია, ემსახუროს აქციონერების ინტერესებს. კორპორაცია ასაქმებს პერსონალს, აწარმოებს საქონელს ან მომსახურებას აწვდის საზოგადოებას. მაგრამ ეს მხოლოდ მიზნის მიღწევის საშუალებებია. მიზანი კი აქციონერების უფრო მეტად გამდიდრებაა. კორპორაციას არ გააჩნია ვალდებულება, იზრუნოს თავისი აქციონერების გამდიდრებაზე. ასეთი ვალდებულების თავის თავზე აღება მას ერთი მიზეზის გამო არ შეუძლია – უბრალოდ, ვერ შეასრულებს. თუმცა ზოგიერთი აქციონერი თვლის, რომ კორპორაციის მენეჯერების მოვალეობაა, კანონის ფარგლებში, აქციონერებისათვის რაც შეიძლება მეტი სარგებელი უზრუნველყონ. მათი აზრით, კორპორაციის დირექტორთა საბჭო იმიტომ ქირაობს და ხელმძღვანელობას უწევს მენეჯერებს, რომ მათ გაზარდონ აქციონერების შემოსავალი; ისინი თვლიან, რომ მენეჯერებს აქციონერების წინაშე აკისრიათ დაუწერელი ვალდებულება - მათ ამ მიზნის მისაღწე-

ვად უნდა გამოიყენონ თავისი ცოდნა, გამოცდილება და შესაძლებლობები. ამ თვალსაზრისის თანახმად, აქციონერების ინტერესები პრიორიტეტულია და ყველა სხვა ინტერესზე მაღლა დგას.

ამ პოზიციას ყველა არ იზიარებს. საწინააღმდეგო პოზიცია ორ სხვადასხვა მოსაზრებას ეფუძნება. 1) მიუხედავად იმისა, რომ აქციონერები კორპორაციის იურიდიული მფლობელები არიან, საკმაოდ ხშირად გარე მეთვალყურეების როლს ჯერდებიან და კომპანიის გრძელვადიან კეთილდღეობაში სათანადოდ დაინტერესებული არ არიან. მათ, უპირველეს ყოვლისა, კომპანიაში დაბანდებული თანხებიდან რაც შეიძლება მეტი შემოსავლების მიღება აინტერესებთ მაშინაც კი, როდესაც მათი შემოსავლების ზრდამ შეიძლება კომპანიის მდგომარეობის გაუარესება გამოიწვიოს. როგორც კი კომპანიის აქციების კურსი ეცემა, აქციონერები ყიდიან თავის აქციებს და ფულს სხვაგან აბანდებენ. ასეთი აქციონერების ინტერესების დაცვით, კომპანიის ხელმძღვანელობა თავად კომპანიის არსებობას უქმნის საფრთხეს. გარდა ამისა, არსებობს აქციათა ბევრი ისეთი მფლობელი, რომლებსაც აქციები ღია ტიპის საინვესტიციო ფონდების, საინვესტიციო პროგრამების ან სადაზღვევო ფირმების მეშვეობით აქვთ შეძენილი. ზოგიერთმა მათგანმა არც კი იცის, რომელი კონკრეტული კომპანიის აქციათა მფლობელია. ცოტა უცნაურია, როცა ამტკიცებენ, რომ კომპანია მთლიანად თუ არა, უპირატესად მაინც, აქციონერების ინტერესების გათვალისწინებით უნდა იმართებოდეს.

2) გარდა იმისა, რომ კომპანიის აქციონერები ტექნიკურად მისი მფლობელები არიან და შესაბამისი უფლებებით სარგებლობენ, არსებობენ სხვა უფლებამოსილი სუბიექტები, რომლებიც ფირმის წარმატებაში უფრო მეტად არიან დაინტერესებული, უფრო მჭიდრო კავშირი აქვთ მასთან, მის ფუნქციონირებაში უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, უფრო მეტად არიან დამოკიდებული მისი საქმიანობის გაგრძელებასა და წარმატებაზე. ყოველივე ზემოთქმულიდან თავისთავად გამომდინარეობს დასკვნა, რომ კომპანიის მართვის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს არამხოლოდ აქციონერთა ინტერესები, არამედ კომპანიის კეთილდღეობაში დაინტერესებული ყველა სხვა ჯგუფისა და პირების ანუ ეგრეთ წოდებული სტეიქჰოლდერების („წილის მფლობელი“ – თავდაპირველად: კომპანიის დამფუძნებელ კაპიტალში წილის მქონე პირი ან ორგანიზაცია. სადღეისოდ: ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელზეც დამოკიდებულია თქვენი ბიზნესი, კომპანიის შიგნით ან გარეთ არსებული გავლენის ჯგუფები, რომელთა ინტერესები გათვალისწინებული უნდა იყოს პროექტის რეალიზაციის, საქმიანობის განხორციელების დროს) ინტერესებიც.

ფირმის პერსონალი, უდავოდ, განსაკუთრებულად არის დაინტერესებული ფირმის საქმიანობით. თანამშრომლები თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ ფირმაში ატარებენ. მთელ დროსა და ენერგიას, შესაძლებლობებსა და პოტენციალს, იდეებსა და ფიზიკურ ძალ-ღონეს კორპორაციას ახმარენ. მათ გარეშე ფირმა არ იარსებებდა. კომპანიისათვის თანამშრომლები ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მისი აქციონერები. რამდენადაც მათ ფირმაში საკუთარი ცოდნა და გამოცდილება აქვთ დაბანდებული, ამდენად, ფირმის მიერ გადაწყვეტილებების მიღების დროს, ისინი პატივისცემას და მათი ინტერესების გათვალისწინებასა და დაცვას იმსახურებენ.

ფირმისადმი „სტეიქჰოლდერული“ მიდგომა სულაც არ უხსნის მენეჯერებს ვალდებულებას, აქციათა მფლობელები რაც შეიძლება მეტი შემოსავლებით უზრუნველყონ. მაგრამ, თუ ამ მიდგომას რეალისტურად განვიხილავთ, გაზრდილი შემოსავლების მიღება ხანგრძლივ პერსპექტივაზე უნდა იყოს გათვლილი და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, შეჯერებული უნდა იყოს ყველა სხვა „სტეიქჰოლდერების“ წინაშე აღებულ ვალდებულებებთან.

კორპორაციის მართვა, ყველა „სტეიქჰოლდერის“ ინტერესების დაფასებისა და პატიოსნად გათვალისწინების საფუძველზე, გულისხმობს კომპანიის ტრადიციულ მიდგომაზე უარის თქმას, რომლის დროს ან მხოლოდ აქციონერთა ინტერესებია გათვალისწინებული, ან ეს ინტერესები პირველხარისხოვნად არის მიჩნეული. კორპორაციის „სტეიქჰოლდერული“ მიდგომა სრულიად ახალ, აქციონერების შეხედულებიდან განსხვავებულ, წარმოდგენას ქმნის კორპორაციაზე - რას წარმოადგენს და როგორ უნდა იმართებოდეს კორპორაცია. მიუხედავად ამისა, „სტეიქჰოლდერული“ მიდგომა მაინც არ არის ახალი. ამ მიდგომას ფარულად ბევრი მენეჯერი იყენებს, რომლებიც თვლიან, რომ კომპანიის აქციების გაზრდისა და მოგების მიღების საუკეთესო და ყველაზე საიმედო საშუალებაა ლოიალური და კომპეტენტური პერსონალის შერჩევა, კლიენტებისათვის ყველაზე სარგებლიანი კონკურეტუნარიანი ფასებით უმაღლესი ხარისხის პროდუქციის მიწოდება. კომპანიები, რომლებიც მოგების მიღებას თავისი პერსონალისა და კლიენტების ინტერესების შელახვის ხარჯზე ცდილობენ, დიდი ხნით იშვიათად თუ ინარჩუნებენ მოგებას.

კორპორაციის ზოგადი ვალდებულებები გამომდინარეობს როგორც თავად კორპორაციის, ასევე საზოგადოებისა და მათ შორის ნაგულისხმები შეთანხმების ბუნებიდან. პირველი ვალდებულებაა „არ ავნო!“ ეს ზოგადი ვალდებულებაა, რომელიც ცალკეულ პირებთან ერთად, კორპორაციებსაც ეკისრება. მას, ზოგჯერ, ნებისმიერი კორპორაციისათვის აუცილებელ, ზნეობრივ მინიმუმს უწოდებენ. ზიანი, რომელიც თავიდან უნდა ავიცილოთ, უპირველეს ყოვლისა, ადამიანებისათვის მიყენებული ზიანია, ადამიანისათვის, რომელსაც პატივს უნდა ვცემდეთ და ღირებულების მატარებლად ვთვლიდეთ. ეს ყოვლისმომ-

ცველი ვალდებულებაა, რომელიც კორპორაციის საქმიანობის ყველა მიმართულებაზე ვრცელდება. ის გავლენას ახდენს კორპორაციის დამოკიდებულებაზე თავისი პერსონალის, კლიენტების, საწარმოების მუშების, მთლიანად საზოგადოების მიმართ. ეს ვალდებულება განსაზღვრავს კორპორაციების პოზიციას გარემოს დაცვის საკითხშიც.

კორპორაციების მეორე ზოგადი ვალდებულება გამომდინარეობს თავისუფალი მეწარმეობის ბუნების სისტემიდან, რომელშიც კორპორაცია ფუნქციონირებს. კორპორაცია სისტემის მთლიანობაზე, ჰარმონიულობაზეა დამოკიდებული და, მაშასადამე, მას აკისრია მორალური პასუხისმგებლობა, არ დაარღვიოს სისტემა და არ გააუფასუროს მისი ღირებულებები. ეს ვალდებულება ასევე მოიცავს კორპორაციის საქმიანობის სხვა მხარეებსაც - მექრთამეობის აკრძალვის ვალდებულებასა და მონოპოლისტურ პრაქტიკაზე უარის თქმას, რამდენადაც ეს ორი უარყოფითი მოვლენა არ შეესაბამება თავისუფალი კონკურენციის სისტემის არსს.

კორპორაციის მესამე ზოგადი ვალდებულების თანახმად, პატიოსნად და პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ დადებული კონტრაქტების შესრულებას. სისტემის სიცოცხლიუნარიანობის შენარჩუნებისათვის, დიდი მნიშვნელობა სწორედ კონტრაქტებისადმი პატიოსან დამოკიდებულებას ენიჭება. პატიოსანი დამოკიდებულების გარეშე, კონტრაქტებს უბრალოდ არ დადებენ ან არ განაახლებენ. უპატიოსნო კონტრაქტები შედეგად არაეფექტურ და არასაწარმოო ტრანსაქციურ ხარჯებს იწვევს, რომელთა დახმარებით კონტრაქტის ყველა მხარე მოსალოდნელი უსამართლობის შედეგებისაგან თავის დაცვას ეცდება. შეთანხმების ალტერნატივის იძულებით თავზე მოხვევა, არღვევს გრძელვადიან შეთანხმებებს, რადგან მხარეები, თვლიან რა თავს დაზარალებულად, ყველა ღონეს მიმართავენ, რომ უსამართლობას წინ აღუდგნენ ან გააუქმონ შეთანხმება. პატიოსნებაში მოიაზრება პრობლემათა ფართო წრე – ზიანის სამართლიანი კომპენსაცია, რეკლამის სიმართლე, პროდუქციის ან მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და ა.შ.

კორპორაციის მეოთხე ზოგადი ვალდებულება მდგომარეობს ნებაყოფლობით დადებული კონტრაქტების დაცვაში. კონტრაქტები თავისუფალი მეწარმეობის სისტემის სისხლძარღვებია. კონტრაქტის მხარეებმა ეფექტურად და ნაყოფიერად რომ იმუშაონ, დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ კონტრაქტში გათვალისწინებული ვალდებულებები დაცული იქნება კონტრაგენტების მიერ. თავისუფალი მეწარმეობის სისტემა, როგორც აუცილებელ კომპონენტს, თავის თავში მოიცავს კანონებს კონტრაქტების იძულებითი შესრულების შესახებ. მაგრამ სამართლებრივი იძულება კი არ უნდა ჩაენაცვლოს კონტრაქტების შესრულების ეთიკურ პოზიციას, არამედ მან უნდა გაამყაროს იგი.

კორპორაციები თავისუფალი შეთანხმებების რეზულტატია, თუმცა მათი მესაკუთრეების უმრავლესობამ არც კი იცის, კონკრეტულად რას აკეთებს ადმინისტრაცია. ყიდულობენ რა აქციებს, მესაკუთრეებმა წინასწარ იციან, რომ: კორპორაციის გაკონტროლებას ვერ შეძლებენ; კორპორაციას შეიძლება სასამართლო სარჩელი წაუყენონ; შეიძლება მოგება მიიღონ ან ზარალი განიცადონ; მოგების მიღება ადმინისტრაციის ეფექტურ მუშაობაზეა დამოკიდებული და პირიქით. აქციონერები შეგნებულად აბანდებენ ფულს კორპორაციაში და ესმით, რა რისკთან არის ეს დაკავშირებული. კორპორაციის აქციათა მფლობელები იურიდიულად დირექტორთა საბჭოს სახით არიან წარმოდგენილნი, რომლის მოვალეობაში, სხვა დანარჩენთან ერთად, აქციონერთა ინტერესების დაცვაც შედის. დირექტორთა საბჭო ზედამხედველობას უწევს ადმინისტრაციის საქმიანობას. მენეჯმენტის ამოცანაა ისე წარმართოს კორპორაციის მუშაობა, რომ მან შეასრულოს დასახული მიზანი, კერძოდ, აწარმოოს და გაყიდოს თავისი პროდუქცია და მიიღოს მოგება.

მსხვილ კორპორაციაში საქმიანობაზე, ისევე როგორც მის ჩავარდნებზე, პასუხისმგებლობა, საბოლოო ჯამში, კორპორაციის გამგეობას, დირექტორთა საბჭოს ეკისრება. დირექტორთა საბჭოს წევრები კორპორაციის მმართველი აპარატის საქმიანობის კანონიერი მაკონტროლებლები არიან. დირექტორთა საბჭოს წევრები აქციონერების წინაშე პასუხს აგებენ პატიოსანი, ენერგიული მენეჯერებისა და განსაკუთრებით პირველი ვიცეპრეზიდენტის (განმკარგულებლის) შერჩევაზე. ისინი მორალურად პასუხისმგებელნი არიან კორპორაციის მუშაობის სტილზე და მისი სტრატეგიის მთავარ მიმართულებებზე; მათ შეუძლიათ შექმნან ზნეობრივი ატმოსფერო კორპორაციაში, მაგრამ ასევე შეუძლიათ თვალი დახუჭონ კორპორაციის საქმიანობის ამორალურ მეთოდებზე. დირექტორთა საბჭოს წევრებს შეუძლიათ და თვალყური უნდა ადევნონ კიდეც, რომ კორპორაცია პატიოსნად იმართებოდეს და მენეჯმენტმა აქციონერთა ინტერესები დაიცვას.

დირექტორთა საბჭოს წევრებმა უნდა დაამტკიცონ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები კორპორაციის სტრატეგიის თაობაზე და პასუხი აგონ მის კეთილდღეობაზე. გამგეობის წევრები პასუხისმგებელნი არიან, როგორც მიღებულ, ასევე იმ გადაწყვეტილებებზეც, რომლებიც უნდა მიეღოთ, მაგრამ არ მიიღეს. ეფექტურად რომ შეასრულონ აქციონერთა ინტერესების დამცველთა და კორპორაციის მენეჯმენტის პრაქტიკული საქმიანობის შემფასებლის როლი, დირექტორთა საბჭოს წევრები გამიჯნული უნდა იყვნენ კორპორაციის მმართველი აპარატისაგან. დირექტორთა საბჭოს წევრები მენეჯერების საქმიანობის შეფასებაში ობიექტური ვერ იქნებიან, თუ იმავდროულად კორპორაციის მართვაშიც იღებენ მონაწილეო-

ბას. მაგალითად, თუ პრეზიდენტისა და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობები ერთსა და იმავე პირს უკავია, საეჭვოა, გამგეობა ობიექტური იყოს კორპორაციის მენეჯმენტთან მიმართებაში. ასევე, მმართველების საქმიანობის მიუკერძოებელი შეფასების იმედიც არ გვექნება, თუ დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა ურთიერთკავშირებისა და ნაცნობობის საფუძველზე იქნება დაკომპლექტებული. ამასთანავე, არც დირექტორთა საბჭოს ფუნქციების ეფექტურად და სათანადოდ შესრულების იმედი გვექნება, თუ: მმართველი აპარატი სრულად არ მიაწვდის ინფორმაციას თავისი საქმიანობის შესახებ; საბჭოსათვის ხელმისაწვდომი არ არის მისთვის საჭირო აუცილებელი ინფორმაცია; საბჭოს წევრებს დრო არ აქვთ შეისწავლონ გამოსაძიებელი მასალები. დირექტორთა საბჭო მორალურად და იურიდიულად პასუხისმგებელია აქციონერთა ინტერესებზე და ვალდებულია არ იხელმძღვანელოს მხოლოდ თავისი ინტერესებითა და პირადი სარგებლის მიღების სურვილით, რაც ზარალს მიაყენებს აქციონერებს.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია დირექტორთა საბჭოს წინაშე. იგი ვალდებულია დირექტორთა საბჭოს მიაწოდოს ინფორმაცია თავისი ქმედებების, მისაღებად მომზადებული და ასევე დაგეგმილი გადაწყვეტილებების, ფირმის ფინანსური მდგომარეობის, მისი წარმატებებისა და წარუმატებლობების შესახებ და ა.შ. ფირმის პატიოსან და ეფექტურ მართვაზე მენეჯმენტი, დირექტორთა საბჭოს მეშვეობით, პასუხს აგებს აქციონერების წინაშე. მენეჯმენტი მოგების მაქსიმილიზაციაზე, კომპანიის კაპიტალის გაზრდაზე, პროდუქციის გაყიდვების უფრო დიდი მოცულობის ან უფრო მეტი მოგების უზრუნველყოფაზე მორალურად პასუხისმგებელი არ არის. აქციონერებს უფლება არ აქვთ მენეჯერებისაგან მოითხოვონ ამ ამოცანების შესრულება. თუ მენეჯერები სათანადოდ ვერ ასრულებენ დირექტორთა საბჭოს მიერ სამუშაოს განსაზღვრულ მოცულობას, მათ ან დაითხოვენ, ან შეცვლიან. მაგრამ ამას საერთო არაფერი აქვს მენეჯერების მიერ თავისი მორალური ვალდებულებების შესრულება-არშესრულებასთან. აქციონერებმა იციან, რომ კორპორაციის აქტივების ღირებულება და მოგების რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს კიდეც. მათ ასევე უნდა იცოდნენ, რომ მორალური თვალსაზრისით, მოგების მაქსიმილიზაციის ამოცანა ვერ იქნება უფრო პრიორიტეტული, ვიდრე ფირმის ზნეობრივი და იურიდიული ვალდებულებების დაცვა.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფირმაში ზნეობრივი ატმოსფეროს შექმნაზე. თუ მაღალი რანგის მმართველები პერსონალისაგან ზნეობრივი ქცევის ნორმების დაცვას არ მოითხოვენ, არ სჯიან ამ ნორმების დარღვევისათვის ან არ ხდება ზნეობრივი ქცევის წახალისება, კორპორაციის საქმიანობა მორალური კრიტერიუმების გარეშე წარიმართება, რაც, საბოლოო ჯამში, თავად კორპორაციას მიაყენებს ზიანს.

მენეჯმენტი პერსონალის წინაშეც არის პასუხისმგებელი. ის ქირაობს და შრომის სათანადო პირობებს უქმნის მათ. ადმინისტრაცია თანამშრომლების დაქირავების დროს ვალდებულია დაიცვას პრინციპები, ეგრეთ წოდებული „დაქირავების სამართლიანი მეთოდები". ეს პრინციპები მოიცავს სამართლიანობის დაცვისა და დისკრიმინაციის (რასობრივი, სქესობრივი, რელიგიური და სხვა ნიშნით, რომლებსაც თავად სამუშაოს შინაარსთან კავშირი არ აქვთ) დაუშვებლობის პირობებს მუშახელის დაქირავების დროს. უკვე დაქირავებული თანამშრომლების მიმართ, ადმინისტრაციის მხრიდან მუდმივად დაცული უნდა იყოს შემდეგი ვალდებულებები: სამართლიანობა მათი შრომის შეფასების დროს; სამართლიანობა კარიერული ზრდისა ან საკვალიფიკაციო თანრიგის მინიჭების დროს; სამართლიანობა მათდამი დამოკიდებულების დროს. ეს საკითხები, რა თქმა უნდა, მორალის სფეროს განეკუთვნება და სავსებით შესაძლებელია იყოს ან არ იყოს შეტანილი კონტრაქტის პირობებში, მაგრამ თავისთავად იგულისხმება ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის სამუშაოზე დაქირავების დროს. ადმინისტრაცია ვალდებულია აგრეთვე უზრუნველყოს თავისი თანამშრომლების ჯანმრთელობის დაცვა, შრომის უსაფრთხო პირობები და მუდმივად გაითვალისწინოს მათი, როგორც ადამიანური არსებების, საჭიროებები და გონივრული მოთხოვნები.

დამსაქმებლებს არ შეუძლიათ თვითნებურად, თავისი შეხედულებისამებრ, დაადგინონ დასაქმების ნებისმიერი პირობები. მათ თანამშრომლების წინაშე მორალური ვალდებულებები აკისრიათ მაშინაც კი, როდესაც ეს ვალდებულებები შეტანილი არ არის კონტრაქტში ან კანონმდებლობაში. არ არის გამორიცხული, რომ კანონით გათვალისწინებული წესები რომელიმე ფირმას, საწარმოს ან ორგანიზაციას არ ესადაგება ან დაფუძნებულია ისეთ სტანდარტებზე, რომლებიც იქ არ გამოიყენება. ასეთ შემთხვევებში, წესები აუცილებლად უნდა შეიცვალოს ფირმის, საწარმოს ან ორგანიზაციის სპეციფიკის გათვალისწინებით.

თანამშრომლები, თავის მხრივ, პასუხისმგებელნი არიან დაკისრებული სამუშაოს კეთილსინდისიერად შესრულებაზე. ეს ვალდებულება გამოხატულია ფორმულით – „კეთილსინდისიერი მუშაობისათვის – სამართლიანი ანაზღაურება". ამ ვალდებულების შეუსრულებლობა სამსახურიდან დათხოვნის საკმარის საფუძველად ითვლება. მორალური თვალსაზრისით, ზეწოლის შემთხვევაშიც კი, ადამიანის სამუშაო დაკავშირებული არ უნდა იყოს არც კანონის დარღვევასთან და არც რაიმე არაზნეობრივ ქმედებასთან. მოცემული სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, თანამშრომლებმა უნდა შეასრულონ მათზე თანამდებობრივად მაღლა მდგომ პირთა მითითებები. მათ ქირაობენ გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად და

ისინიც ვალდებული არიან, თავისი შესაძლებლობების გათვალისწინებით, ზედმიწევნით, კვალიფიციურად, დათქმულ ვადებში და საუკეთესოდ გაართვან თავი დაკისრებულ ვალდებულებებს.

კორპორაციები თავისი მომწოდებლებისა და კონკურენტების წინაშე მათდამი სამართლიანი დამოკიდებულებისათვის არიან პასუხისმგებელნი. კორპორაციებს საქმე აქვთ როგორც სხვა ფირმებთან, ასევე საზოგადოების დიდ ნაწილთან. მათ შეუძლიათ სხვებისაგან იყიდონ ნედლეული, ნახევარფაბრიკატები, დასაკომპლექტებელი ნაკეთობანი და ა.შ. საქმიან ურთიერთობებში (სხვებისთვის პროდუქციის მიწოდება, ასევე სხვებისგან საქონლის ან მომსახურების მიღება) ისინი ვალდებული არიან პატიოსნად იმოქმედონ: როდესაც ფასები შეთანხმებულია, ფასები არ უნდა შეცვალონ; როდესაც სპეციფიკაციები დამტკიცებულია, ისინი უნდა დაიცვან; როდესაც გადახდების ვადები დათქმულია, პირობა არ უნდა დაარღვიონ და ა.შ.

კორპორაციებს კონკურენტებთან დამოკიდებულებაშიც მოეთხოვებათ პატიოსნება. კონკურენტულ ბაზარზე არცერთი ფირმა ვალდებული არ არის კონკურენტ კომპანიას დაეხმაროს. კონკურენციის პირობებში ხშირია კონკურენტის ხარჯზე ბაზრის წილების გადანაწილება; ყველა ცდილობს დაიქირაოს უფრო კარგი პროფესიონალი მუშები და მენეჯერები, ვიდრე კონკურენტებს ყავთ; ანალოგიური საქონელი უფრო დაბალ ფასად გაყიდოს; აწარმოოს უფრო მაღალი ხარისხის პროდუქცია და ა.შ. ყოველივე აღნიშნული, ზნეობრივი თვალსაზრისით, მისაღებია. თუ პატიოსანი კონკურენტული ბრძოლის შედეგად, რომელიმე ფირმა იძულებული ხდება დატოვს ბაზარი, გამარჯვებულ ფირმას დამარცხებულის წინაშე მორალური პასუხისმგებლობა არ ეკისრება. მაგრამ ამ წინადადებაში საკვანძო სიტყვა პატიოსნებაა. პატიოსნება ნიშნავს, რომ დაუშვებელია კონკურენტზე ან მის პროდუქციაზე არასწორი ინფორმაციის გავრცელება, საწარმოო შპიონაჟი, დივერსიები და კონკურენტი ფირმის საქმიანობაში სხვა სახის უხეში ჩარევა. პატიოსნების პრინციპის თანახმად, კონკურენტთან ურთიერთობის დროს დაუშვებელია სხვა კონკურენტ კომპანიებთან საიდუმლო გარიგებები (მაგალითად, ფასებზე), სპეკულაციური მაქინაციები ბაზარზე და სხვა ქმედებები, რომლებიც მიმართულია პატიოსანი კონკურენციის სისტემის დანგრევისაკენ.

კორპორაცია თავის პროდუქციაზე მომხმარებლის წინაშე აგებს პასუხს. პროდუქცია საკმაოდ უსაფრთხო უნდა იყოს. ეს ნიშნავს, რომ პროდუქციის მოხმარებისას, რიგით მომხმარებელს მხოლოდ დასაშვებ ფარგლებში შეიძლება დაემუქროს საფრთხე, რომლის შესახებაც იგი წინასწარ გაფრთხილებულია. მომხმარებელს აუცილებლად უნდა მიეწოდოს პროდუქციის შესახებ ინფორმაცია. საქონელს იარლიკები უნდა ჰქონდეს, საქონლის მარკირება უნდა იყოს ზუსტი, რათა მყიდველმა იცოდეს, რას ყიდულობს. რამდენადაც სათანადო ინფორმაცია პატიოსანი შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, მწარმოებელი ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს მყიდველს ნაკეთობის იმ არსებით თვისებებზეც, რომლებსაც თავად მყიდველი ვერ გამოავლენს. მაგალითად, მყიდველს უნდა აცნობონ, რა სახის ქსოვილიდან არის შეკერილი ტანსაცმელი ან როგორია ავტომობილის ძრავის სიმძლავრე. პროდუქციაზე აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული მისი გამოყენების ვარგისობის ვადები. გარანტიები უპირობოდ უნდა იყოს დაცული. კლიენტი საქონელს გარკვეულ ფასად ყიდულობს. მას უნდა, იცოდეს რას ყიდულობს და იმედოვნებს, რომ მოლოდინი გაუმართლდება. ეს მისი მორალური უფლებაა. რა თქმა უნდა, არსებობს სხვადასხვა ხარისხისა და განსხვავებული თვისებების მქონე პროდუქცია. ერთი სახის საქონელი უფრო ძვირადღირებულია, შესაბამისად უფრო უსაფრთხო, უფრო გამძლე, უფრო საიმედო, უფრო მიმზიდველად გაფორმებული, დამზადებული უფრო მაღალი ხარისხის დეტალებისაგან, ვიდრე იაფი საქონელი. ნებისმიერი შეთანხმება პატიოსანი ხასიათის რომ იყოს, მომხმარებელს სრული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს, პროდუქციამ მისი მოლოდინი უნდა გაამართლოს; ზოგჯერ საჭიროა სპეციალურად მიეთითოს მომხმარებელს, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, მისი იმედები შეიძლება არ გამართლდეს. დაზიანებული ნაკეთობების გაყიდვა შესაძლებელია მხოლოდ მათი დეფექტების მითითების შემთხვევაში. მეორეხარისხოვანი საქონელი უნდა გაიყიდოს როგორც მეორეხარისხოვანი და არა როგორც უმაღლესი ხარისხის საქონელი. ეს ამორალური საქციელია.

და, ბოლოს. კორპორაცია მორალურად პასუხისმგებელია საზოგადოების დიდი ნაწილის ან მთლიანად საზოგადოების წინაშე. რამდენადაც კორპორაცია მრავალი სუბიექტის ანუ „სტეიქჰოლდერების“ წინაშეა პასუხისმგებელი, სწორი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ იგი მხოლოდ ფირმის მფლობელებთან ან აქციონერებთან მიმართებაში უნდა იყოს ლოიალური. მორალური თვალსაზრისიდან სულაც არ გამომდინარეობს, რომ აქციონერთა ინტერესები ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვების ინტერესები. მაგალითად, ფირმის მორალური ვალდებულებაა უზრუნველყოს თანამშრომლების, მუშების შრომის უსაფრთხო პირობები, გარემოს დაცვა, მომხმარებელთა ინტერესები. ყოველივე ეს სინამდვილეში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოგების გაზრდის ვალდებულება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კანკე ვ.ა. პასუხისმგებლობის ეთიკა. მომავლის ეთიკის თეორია. მ., 2000
2. პეტრუნინი ი.ი., ბორისოვი ვ.კ. ბიზნესის ეთიკა. მ., 2004

3. პოდოგრიგორა მ.გ. საქმიანი ეთიკა. ტაგანროგი. 2012
4.პროფესიული ეთიკის საიტი http://www.guestia.com=professional etics
5. რიჩარდ ტ.დე ჯონსი. ბიზნესმენის სამაგიდო წიდნი. საქმიანი ეთიკა. მ., 2004

თამარ ფანცულაია

ბიზნესის ეთიკური პრობლემები – კორპორაციები და ზნეობრიობა

რეზიუმე

ეთიკური შეფასებები ეხება ყველა საქმიან შეთანხმებას, ყველა საწარმოს, დიდსაც და პატარასაც. მაგრამ საქმიან ეთიკაში, აქცენტი მაინც კორპორაციების, განსაკუთრებით მსხვილი კორპორაციების, ეთიკაზე კეთდება. საქმიანი ეთიკის ერთ-ერთი ამოცანაა გაარკვიოს, როგორი პასუხისმგებლობა ეკისრებათ თავისი ქმედებებისათვის კორპორაციებს საზოგადოების, თავისი პერსონალის, აქციონერებისა და აგრეთვე მათ წინაშე, ვისაც მათი ქმედებები ეხება.

Tamar Pantsulaia

ETHICAL PROBLEMS OF BUSINESS – CORPORATIONS AND MORALITY

Summery

Ethic evaluations concern any business agreements and any industries __ small or big. But in business ethic, particular attention is paid to ethics of corporations and especially those of big ones. One of the main tasks of the business ethics is to define responsibility of corporations towards society, its staff, shareholders and any involved party, directly connected with corporation's activities.

ნანა გოგიჩაშვილი

კრიტიკული აზროვნება, როგორც პედაგოგიური პრობლემა

მოგეხსენებათ, რომ 21-ე საუკუნეში რადიკალურად შეიცვალა განათლების მიზნები და ამოცანები, რაც გულისხმობს იმას, რომ პედაგოგის მიზანი გახდა არა გარკვეული ინფორმაციის და ცოდნის სუმირება, არამედ მოსწავლის და სტუდენტის შეიარაღება ისეთი ინსტრუმენტით, რომელიც ხელს შეუწყობს მას დამოუკიდებლად მოიპოვოს ესა თუ ის ინფორმაცია და ცოდნა. ტერმინი „კრიტიკული აზროვნება“ საგანმანათლებლო წრეებში ათწლეულების განმავლობაში იხმარება და სხვადასხვა წრეებში სხვადასხვა რამეს გულისხმობს. საგანმანათლებლო სფეროს წამყვანი სპეციალისტები კრიტიკულ აზროვნებას აზროვნების უფრო მაღალ დონედ მიიჩნევენ. დ.ხალპერნი თავის წიგნში „კრიტიკული აზროვნების ფსიქოლოგია“ აღნიშნავს, რომ მათგან ყველაზე მარტივი ასეთია: „კრიტიკული აზროვნება – ეს არის კოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობენ სასურველი საბოლოო შედეგის მიღების ალბათობას. აქ იგულისხმება აზროვნების ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ლოგიკურობა და მიზანმიმართულება“[1].

კრიტიკული აზროვნების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კონცეფცია ეკუთვნის ამერიკელ პედაგოგს რ.ენისს, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა განსაზღვრა კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის საჭირო განწყობებისა და დამოკიდებულებების განვითარების სისტემა ანდა სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ის შინაგანი მოტივატორები, რომლებიც გავლენას ახდენენ აზროვნების „ხარისხზე“.

რ.ენისის კონცეფციის თანახმად, კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი ვალდებულია:

1. ზრუნავდეს იმაზე, რომ მისი შეხედულებები და გადაწყვეტილებები იყოს მკაფიოდ ფორმულირებული, რისთვისაც აუცილებელია:

- ❖ ცდილობდეს ახალი ჰიპოთეზების, ალტერნატიული განმარტებების წყაროების და დასკვნების ძიებას;
- ❖ იყოს კარგად ინფორმირებული;
- ❖ განიხილოს საკუთარი თვალსაზრისებისაგან განსხვავებული პოზიციები;
- ❖ გაიფართოოს თვალსაწიერი და ცდილობდეს ცოდნის გამრავალფეროვნებას.

2. იყოს მზად, ნათლად წარმოიდგინოს როგორც საკუთარი, ისე სხვების პოზიციები:

- ❖ ნათლად და მკაფიოდ გაიგოს წაკითხული და დაწერილი, გაითვალისწინოს კონკრეტული სიტუაციის თავისებურებები;
- ❖ კონცენტრირება მოახდინოს ძირითადი თემის ასპექტებზე;
- ❖ მოიძიოს და შესთავაზოს არგუმენტების მტკიცებულებები;
- ❖ გაითვალისწინოს სიტუაცია მთლიანობაში.

3. პატივი სცეს თანამოსაუბრის თვალსაზრისს და ღირსებას ანუ

- ❖ ჰქონდეს მოსმენისა და გაგების უნარი;
- ❖ გაითვალისწინებს რა თანამოსაუბრის გრძნობებს, მოერიდება კრიტიკულ შენიშვნებს.
- ❖ იქნება მზრუნველი სხვა პირების მიმართ.

თანამედროვე კონცეფციებში, კრიტიკული აზროვნების ინტელექტუალური უნარების საფუძვლად მოიაზრება ამერიკელი მკვლევარის ე.გლეიზერის იდეები. მან პირველმა შემოგვთავაზა გარკვეული უნარების ნაკრები(ჩამონათვალი), რომელიც მისი აზრით, მიეკუთვნება კრიტიკულ აზროვნებას. ესენია: უნარი აღიარო პრობლემა და მოიძიო მისი გადაწყვეტის გზები და საშუალებები; შეაგროვო და გაცხრილო ზედმეტი ინფორმაცია, აღიარო დაუდასტურებელი დაშვებები და შეფასებები, სიზუსტით და შერჩევით გამოიყენო ენობრივი რესურსები აღქმის თვალსაზრისით, მოახდინო ფაქტებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაცია მტკიცებულებების შეფასების თვალსაზრისით, აღმოაჩინო არსებული ან არარსებული ლოგიკური კავშირები, გამოიტანო დასკვნები, მოახდინო განზოგადებები და ამავე დროს, ისინი დააყენო ეჭვქვეშ, აღიდგინო საკუთარი თავის რწმენა, გადააფასო საკუთარი ღირებულებები და ხელი შეუწყო საკუთარ თავს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში.

ე.გლეიზერის მიერ აღწერილი ინტელექტუალური უნარ-ჩვევების კონცეფციამ განვითარება ჰპოვა ისეთი მკვლევარების ნაშრომებში, როგორიცაა რ.ენისი, რ.პოლი, ს.ნორისი, ა.ფიშერი და სხვ. მაგ. რ.პოლმა ჩამოაყალიბა კრიტიკული აზროვნების განვითარების სტრატეგიები, რომლებიც განხილული ჰქონდა ნაშრომში „რა სჭირდება ადამიანს სწრაფად ცვალებად სამყაროში“[2]. ნაშრომის ერთ–ერთი თავი უშუალოდ დათმობილი ჰქონდა საკითხს „კრიტიკული აზროვნების 35 ასპექტი“. აღნიშნული ასპექტები ასე გამოიყურებოდა:

1. დამოუკიდებლად აზროვნება;
2. ეგოცენტრულობისა და სოციოცენტრულობის სრულყოფა და გამოვლენა;
3. სამართლიანობის განხორციელება;

4. გრძნობებსა და ემოციებზე დაფუძნებული აზრების და აზრებზე დაფუძნებული გრძნობებისა და ემოციების გამოკვლევა;
5. ინტელექტუალური შეგუების და მსჯელობების შეჩერების სრულყოფა და გამოვლენა;
6. ინტელექტუალური სიმამაცის სრულყოფა და გამოვლენა;
7. კეთილსინდისიერების სრულყოფა და გამოვლენა;
8. ინტელექტუალური ჟინიანობის გამოვლენა;
9. გონივრული(გონისმიერი) მსჯელობების სრულყოფა და გამოვლენა;
10. განზოგადებების დაზუსტება და გამარტივების უარყოფა;
11. ანალოგიური სიტუაციების შედარება --- გადასვლა გაგებიდან ახალ კონტექსტზე.
12. მრავალფეროვანი თვალსაზრისების სრულყოფა და გამოვლენა: არგუმენტების და თეორიების ძიება და შედარება.
13. პრობლემების, ვარაუდებისა და მოსაზრებების გადამოწმება;
14. სიტყვებისა და ფრაზების მნიშვნელობების ანალიზი და გადამოწმება;
15. სტანდარტებისა და ღირებულებების შეფასების კრიტერიუმების გამოვლენა და სრულყოფა;
16. ინფორმაციის წყაროს სანდოობის გადამოწმება;
17. პრობლემური საკითხების სიღრმისეული ანალიზი;
18. არგუმენტების, ინტერპრეტაციების, თეორიებისა და მოსაზრებების შეფასება და ანალიზი;
19. გადაწყვეტილებების გენერირება და შეფასება;
20. მოქმედებების(ტაქტიკის) შეფასება და გენერირება;
21. კრიტიკული კითხვა: ტექსტების მოსმენა და გარჩევა;
22. კრიტიკული მოსმენა: ჩუმი დიალოგის ხელოვნება;
23. დისციპლინათშორისი კავშირების განხორციელება;
24. სოკრატესეული დისკუსიის უნარების ათვისება: მოსაზრებების, თეორიების და თვალსაზრისების ახსნა და განსაზღვრა;
25. დიალოგური განსჯა:შეხედულებების, ინტერპრეტაციების და თეორიების შედარება;
26. დიალექტიკური მსჯელობა: შეხედულებების, ინტერპრეტაციების და თეორიების შეფასება;
27. იდეალებისა და რეალური პრაქტიკის შედარება და განსაზღვრა;
28. სწორი აზროვნება აზროვნების შესახებ: კრიტიკული აზროვნების ლექსიკონის გამოყენება;
29. არსებითი მახასიათებლების(მსგავსი და განმასხვავებელი) გამოყოფა;
30. შესაძლო ვარაუდების შემოწმება და შეფასება;
31. რელევანტური და არარელევანტური ფაქტების განსხვავება;
32. ყველაზე რეალური შეხედულებებისა და ინტერპრეტაციების გენერირება;
33. შესაძლო ფაქტების შემოწმება/გადამოწმება;
34. წინააღმდეგობების აღიარება;
35. მიზეზებისა და შედეგების ანალიზი.

თუ ყოველივე ზემოთქმულს შევაჯერებთ, ვგულისხმობთ რ.ენისის და რ.პოლის მოსაზრებებს კრიტიკული აზროვნების მახასიათებლების შესახებ, ჩვენ ისინი შეგვიძლია რამდენიმე ძირითად ასპექტზე დავიყვანოთ. კერძოდ:

1. ინფორმაციის წყაროების სანდოობის შეფასება;
2. აუცილებელი ინფორმაციის გამოყოფის და მისი შემდგომი დასაბუთების უნარი;
3. ვარაუდების, მსჯელობების, დასკვნების, ჰიპოთეზების შეფასებისა და ანალიზის უნარი;
4. ზუსტი ინფორმაციის მოპოვების ან შეფასების მიზნით კითხვების დასმის უნარი ;
5. პრობლემის მიმოხილვა და მისი შედარება/შეფასება სხვადასხვა პოზიციიდან;
6. საკუთარი პოზიციის გადმოცემა მსმენელისათვის გასაგებ ენაზე;
7. გადაწყვეტილების მიღება და საკუთარი არჩევანის დასაბუთების უნარი.

როგორია კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანის პიროვნული მახასიათებლები? გამომდინარე იქიდან, რომ კრიტიკული აზროვნება ეს არის ჯანსაღი აზრის ძიება, კრიტიკული აზროვნებისას მნიშვნელოვანია რამდენიმე ასპექტი. კერძოდ:

- ❖ ცოდნის გადაცემა ერთი ადამიანიდან მეორე ადამიანზე;
- ❖ არსებული ცოდნის გამოვლენა პრობლემის გადასაწყვეტად;
- ❖ ცრურწმენების უარყოფა.

აქედან გამომდინარე, კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი სვამს შემდეგ კითხვებს:

- ❖ რა ვიცი მე?
- ❖ რა გავიგე ახალი?
- ❖ როგორ შეიცვალა ჩემი ცოდნა?
- ❖ რაში გამომადგება ახალი ინფორმაცია?

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, იდეალურ დონეზე კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანის პიროვნული თვისებები, როგორც წესი, ასე გამოიყურება:

❖ ცნობისმოყვარე;
❖ განათლებული;
❖ ცრურწმენების გარეშე;
❖ მოქნილი აზროვნების უნარით;
❖ შეფასებებში სამართლიანი;
❖ მსჯელობებში კეთილგონიერი;
❖ პრობლემის გადაწყვეტისას ღრმა გაცნობიერების და წვდომის უნარით;
❖ საჭირო ინფორმაციის ძიებით;
❖ კრიტერიუმების არჩევისას გონიერებით;

კრიტიკული აზროვნება ადამიანს სჭირდება იმისათვის, რომ:

➢ გაცნობიერებულად აღიქვას გარემო სინამდვილე;
➢ ერთმანეთისაგან გაარჩიოს სიკეთე და ბოროტება;
➢ ჰქონდეს ეჭვის შეტანის ან გადამოწმების უნარი;
➢ არ შეიქმნას კუმირი არც საკუთარი თავისგან და არც სხვისგან.
➢ არ გახდეს მანიპულაციის მსხვერპლი და არ იქცეს ბრმა იარაღად სხვის ხელში;
➢ თვითონ არ იქცეს მანიპულატორად;
➢ რაც შეიძლება იშვიათად აღმოჩნდეს მოტყუებული, გაბითურებული, გულგატეხილი და ნაცრისფერი მასის ნაწილი;
➢ არ აღმოჩნდეს ჩათრეული ისეთ ორგანიზაციებში(სექტა, გაურკვეველი წარმომავლობის კომპანია/ორგანიზაციები), რომლებიც შეურყევენ რეპუტაციას, თვითშეფასებას, კეთილდღეობას და თავისუფლების ხარისხს.
➢ გააკეთოს გაცნობიერებული არჩევანი სიყვარულსა და მეგობრობაში;
➢ არ იქცეს კრიმინალიტეტის, პოლიტიკოსებისა და რელიგიის ბრმად მიმდევართა მსხვერპლად;
➢ ექნება რა ღვთის რწმენა, არ იქცეს ბრმა ფანატიკოსად;
➢ იყოს საკუთარი ქვეყნის ჯარისკაცი და არა სამხედრო დამნაშავე;
➢ არ მოექცეს სოციალურად საშიში სტერეოტიპებისა და ცრურწმენების ძალაუფლების ქვეშ;
➢ შეეძლოს დამოუკიდებლად ფიქრი და საკმაოდ რთული ცხოვრებისეული ამოცანების დამოუკიდებლად დასახვა და გადაწყვეტა;
➢ ჰქონდეს საკუთარი არგუმენტირებული პოზიცია, შეეძლოს პრობლემის ფორმულირება, სხვებთან კონსტრუქციული კამათი და კონსენსუსის მიღწევა;
➢ ისწავლოს არა მარტო საკუთარ, არამედ სხვის შეცდომებზეც;
➢ შეეძლოს საკუთარი ქცევების შედეგების პროგნოზირება;
➢ შეეძლოს საკუთარი ძლიერი და სუსტი თვისებების ობიექტურად შეფასება;
➢ მუდმივად ვითარდებოდეს, პიროვნულად იზრდებოდეს, ხდებოდეს უფრო კეთილშობილი, მტკიცე ხასიათის და ა.შ.
➢ მთელი ცხოვრება შეიმეცნებდეს ჭეშმარიტებას და თანაც აცნობიერებდეს, რომ ეს პროცესი უსასრულოა.
➢ და ბოლოს, შეიძინოს მშვენიერი და საოცარი თვისება მთელი ცხოვრების მანძილზე – **ფიქრის უნარი!!!**

რა უნდა გაითვალისწინოს პედაგოგმა კრიტიკული აზროვნების გასავითარებლად:

❖ სუბიექტების აქტიურობა სასწავლო პროცესში;
❖ ჯგუფური და გუნდური მუშაობის ორგანიზაცია კლასსა თუ აუდიტორიაში;
❖ კომუნიკატორული უნარ–ჩვევების ფორმირება;
❖ პიროვნების იდეის ღირებულება;
❖ საგანმანათლებლო ტექნოლოგიებისადმი ისეთი მიდგომა, როგორც ადამიანის თვითგანვითარების ინსტრუმენტი;
❖ სასწავლო პროცესის შინაარსის თანხვედრა კონკრეტულ ცხოვრებისეულ ამოცანებთან, პრობლემების გამოვლენასა და მათ გადაწყვეტასთან ანუ იგულისხმევა ისეთი პრობლემები, რომლებსაც მოსწავლეები რეალურად ხვდებიან ცხოვრებაში.

რა შედეგებია მოსალოდნელი საგანმანათლებლო თვალსაზრისით და რა უნარების გაუმჯობესებას შეძლებს სტუდენტი თუ მოსწავლე?

❖ სხვადასხვა სფეროში მუდმივად ზრდადი და განახლებადი ინფორმაციის გადამუშავების და გადახარისხების უნარი;
❖ ინფორმაციის ინტეგრირების სხვადასხვა საშუალებების გამოყენება;
❖ კითხვების დასმა და ჰიპოთეზების ფორმულირება დამოუკიდებლად;
❖ პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტა;
❖ სხვადასხვა სახის გამოცდილების, იდეების და წარმოდგენების საფუძველზე საკუთარი არგუმენტირებული პოზიციის ჩამოყალიბება;

❖ საკუთარი აზრების მკაფიოდ და ნათლად გადმოცემა, კორექტულობა სხვათა პოზიციების მიმართ.

❖ საკუთარი პოზიციის არგუმენტირება სხვების შეურაცხყოფის გარეშე;

❖ აკადემიური მობილობა, რაც გულისხმობს დამოუკიდებელ სწავლა-განათლებას;

❖ პასუხისმგებლობის აღებას;

❖ მონაწილეობის მიღება ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებაში;

❖ კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება სხვა ადამიანებთან;

❖ გუნდური მუშაობის და თანამშრომლობის უნარი.

და ბოლოს, პრაქტიკოსი პედაგოგები, რომლებიც მუშაობენ კრიტიკული აზროვნების მეთოდებით, გამოყოფენ შემდეგ უპირატესობებს:

❖ გუნდური და წყვილებში მუშაობის დროს ორმაგდება და სამმაგდება მოსწავლეთა ინტელექტუალური პოტენციალი, მნიშვნელოვნად იზრდება მათი ლექსიკური მარაგი;

❖ ერთობლივი მუშაობა განსაკუთრებულად უწყობს ხელს მძიმე ინფორმაციული ტექსტის გაგებასა და გაცნობიერებას;

❖ არსებობს მასალის გამეორებისა და უკეთ ათვისების შესაძლებლობა;

❖ მატულობს დიალოგში ჩართულობის ხარისხი ტექსტის აზრის გაგებასთან დაკავშირებით(პედაგოგი ამ დროს აქცენტს აკეთებს იმაზე, თუ სხვას გასაგებ ენაზე როგორ გადასცენ ესა თუ ის ინფორმაცია);

❖ გამომუშავდება პატივისცემის განცდა საკუთარი აზრებისა და გამოცდილების მიმართ;

❖ თავს იჩენს ტექსტის სიღრმისეული გაგება და ჩნდება უფრო ღრმა და საინტერესო აზრები;

❖ იზრდება ცნობისმოყვარეობისა და დაკვირვებულობის ხარისხი;

❖ მოსწავლეები უფრო მგრძნობიარეები ხდებიან სხვა მოსწავლეების გამოცდილების მიმართ. ერთობლივი მუშაობა ბადებს ერთიანობის განცდას, ერთმანეთის მოსმენის უნარს, პასუხისმგებლობის ზრდას ერთობლივ გადაწყვეტილებებზე;

❖ წერითი მეტყველება ხელს უწყობს ზეპირი მეტყველების განვითარებას და პირიქით;

❖ მსჯელობის პროცესში თავს იჩენს ერთი პოზიციის განსხვავებული ინტერპრეტაციები, რაც თავის მხრივ, კიდევ უფრო ეხმარება მოსწავლეების მასალის უკეთ გაგებაში;

❖ ხელს უწყობს აქტიური მოსმენის განვითარებას;

❖ ქრება საჯარო გამოსვლისა და თეთრი ფურცლის შიში.

იძლევა შანსს გაბრწყინდე თანაკლასელებისა და ჯგუფელების წინაშე, გამოავლინო საკუთარი ინტელექტი, დაანგრიო სტერეოტიპი, რომელიც შენ გეხება და აიმაღლო თვითშეფასება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Халперн Дайана пихолоия критического мышления Питер 2001;

2. Поль Р. П. Критическое мышление: Что необходимо каждому для выживания в быстро меняющемся мире Москва 1990;

3. Девид Клустер Что такое критическое мышление? Холланд штат мичиган США 1986;

ნანა გოგიჩაშვილი

კრიტიკული აზროვნება, როგორც პედაგოგიური პრობლემა

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია კრიტიკული აზროვნების, როგორც პედაგოგიური პრობლემის გარკვეული ასპექტები. კერძოდ, მიმოხილულია სხვადასხვა ავტორთა მიდგომები და მოსაზრებები, რომლებიც ერთხმად აღიარებენ კრიტიკული აზროვნების განვითარების აუცილებლობას, რომელიც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ისეთი პიროვნების ჩამოყალიბებას, რომელიც შეძლებს პრობლემის აღიარებას და მის ეფექტურად გადაწყვეტას, ფაქტებისა და ინფორმაციების ინტერპრეტაციას, დასკვნების გამოტანას, თავაზიანი სკეპტიციზმის გამოვლენას, საკუთარი ცხოვრებისეული ღირებულებების არგუმენტირებას, ჯანსაღი აზრის ძიებას და სხვ.

Nana Gogichashvili

CRITICAL THINKING, AS A PEDAGOGICAL PROBLEM

Summary

The paper deals with critical thinking, as certain aspects of the problem in terms of teaching. In particular, the review shows approaches and opinions of various authors, which all acknowledge the necessity for the development of critical thinking, assists the formation of personality that will be able to recognize the problem and solve it effectively, interpretation of the facts and information, reaching conclusion, reveal the polite skepticism, show the arguments of his vital values searching for common sense etc.

რეზო ბალანჩივაძე

„გვაქვს უთვალავი ფერითა“
/მხატვარ ილია პატაშურის შემოქმედების ჰერმენევტიკული ანალიზი/

გენიალური შოთა რუსთაველი თავის „ვეფხისტყაოსანის“ პირველივე სტროფში, სამყაროს შექმნის საოცარ სურათს რომ ხატავს, არც იმას ივიწყებს, რომ ასე ლამაზი და მიმზიდველი, იგი თავად არსთა გამრიგემ შექმნა:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა, ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, **გვაქვს უთვალავი ფერითა“**...

ამასთან, რუსთაველი არა მარტო ფერთა სიუხვესა და სილამაზეზე ლაპარაკობს, არამედ იმასაც უსვამს ხაზს, რომ ფერები ზემოქმედებენ ადამიანზე, ცვლიან მის გუნება- განწყობილებას, იწვევენ გარკვეულ განცდებსა და ემოციებს, გავლენას ახდენენ ხასიათსა და ტემპერამენტზე.ამასთან, იგი კონკრეტულადაც ასახელებდა ცალკეულ ფერებს, რომლებიც სხვადასხვა განწყობას /თუ განწყობილებას/ იწვევდნენ ადამიანებში.

როგორც პროფ, ვახტანგ ჭელიძე წერს, შოთა რუსთაველისთვის ლალისა და ბროლის ფერი სიხარულისა და ბედნიერების გამომხატველი ფერებია, ყვითელი ანუ ზაფრანისფერი მაღალი სულიერი განწყობილებაზე მიმანიშნებელი, ხოლო შავი და ამარტის ფერი მწუხარები გრძნობას უკავშირდება.

მრავალთაგან მხოლოდ ორ მაგალითს დავასახელებთ:

ერთი: „ამარტის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა დენამა“

და მეორე: „შეჰხედნის, თვალნი ამართნის, შავ-თეთრი ელვა კრთებოდა,
მართ ვითა ლალსა მზისაგან მას ფერი ემატებოდა“.

აქედან პირველი გვაჩვენებს, თუ როგორ იცვლება ხასიათი დაღმავალი მიმართულებით, ანუ როგორ თანდათანობით ფუჭდება იგი, მეორე კი, პირიქით, გუნება-განწყობილების გამოკეთებას, კარგ ხასიათზე დადგომას გამოხატავს.

ფერთა შესახებ საინტერესო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ძველ ბერძენ ფილოსოფოსებს პლატონსა და არისტოტელეს, ახალ დროში კი – ისააკ ნიუტონს. საინტერესო ფერთა თეორია შექმნა დიდმა გოეთემ.

ოდითგანვე ცნობილია ფერთა სიმბოლიკა, რომელზედაც განსაკუთრებულად ამახვილებენ ყურადღებას თანამედროვე მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები, კულტუროლოგები, ესთეტიკოსები.

ეს საკმაოდ მოზრდილი შესავალი იმისთვის დაგვჭირდა, რომ საგანგებოდ გაგვეანალიზებინა მხატვარ ილია პატაშურის, როგორც ფერმწერის, დამოკიდებულება ფერებისადმი.

შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ილია პატაშური ჭეშმარიტი **ფერ მწერია.** იგი ფერების ხატვის ნამდვილი დიდოსტატია. იგი ისევე საუბრობს ფერებით, როგორც მუსიკოსი ბგერებით, ხოლო პოეტი- სიტყვებით. თუ ცნობილ მხატვარს, კანდინსკის, დავესესხებით, ილია პატაშურისთვის ფერწერა სულიერი მდგომარეობის ფერითი ინსტრუმენტია.

იგი ფერებით ამბობს თავის სათქმელს, ფერებით ზემოქმედებს ადამიანზე და იწვევს მასში გარკვეულ შთაბეჭდილებას. ფერებით გვიქმნის მოვლენების ან ადამიანების მიმართ სიმპათია-ანტიპატიას, გვიქმნის განწყობას, ფერებით ჩაგვაფიქრებს წარსულსა და მომავალზე. ფერებით გვახალისებს და გვასევდიანებს, ამავე ფერებით არა მარტო საოცარ ესთეტიკურ ტკბობას გვანიჭებს, არამედ დიდი ვაჟა-ფშაველას მსგავსად, გვეუბნება, რომ „ნისლი ფიქრია მთებისა“ და ჩვენ მისი ნახატების აღქმისას გვჯერა, რომ ეს მართლა ასეა. მას დიდი გალაკტიონივით მიაჩნია, რომ სამშობლოს მთები, არც მეტი არც ნაკლები, დაბინდული ქლიავის ფერია და ესეც გვჯერა. გვჯერა, რომ არსებობს ის, რაც სინამდვილეში არ არსებობს. გვჯერა იმიტომ, რომ თავად ხელოვნების ბუნებაა ასეთი.იგი არარსებულს არსებულად აქცევს, ანუ ქმნის ახალ სინამდვილეს, ახალ სიმართლეს, რომელსაც მხატვრული სიმართლე ჰქვია და რომელიც რეალურზე ნაკლებად შთამბეწდავი როდია.

სანიმუშოდ ავიღოთ, მაგალითად, ილია პატაშურის ნახატი „**წითელი ფერდობები“.** გინახავთ სადმე წითელი ფერდობები?! არაო, ვერ იტყვით, რადგან თქვენ არც იისფერი თოვლი გინახავთ და არც „უდაბნო ლურჯად ნახავერდევი“, მაგრამ ხომ დაგანახათ ისინი დიდმა გალაკტიონმა და არა მარტო დაგანახათ, არამედ შეგაყვარათ კიდეც. მაშ, რატომ გგონიათ, რომ არ არსებობენ „წითელი ფერდობები“. ისინიც /ეს ფერდობები/ ხომ ხელოვანის ფანტაზიის ნაყოფია, მისგან შექმნილი მხატვრული მეტაფორა. მეტაფორა კი, როგორც დონალდ დევიდსონი ამბობდა, ენის სიზმარია და სხვა არაფერი.

ან ავიღოთ „**ეზო**“. აქ ეზოს გარდა ყველაფერია (სწორედ რომ **ყველა ფერი).** სხვათაშორის, გერონტი ქიქოძემ ნიკო ფიროსმანს, როგორც ფერმწერს, ფერ-მწერალი /ანუ ფერების მწერალი/ უწოდა. ბატონი ილია პატაშურიც **ფერ-მწერალია,** რომელიც ზოგჯერ ფერით უფრო მეტს ამბობს, ვიდრე მწერალი- სიტყვით. მივყვეთ დანარჩენ ნახატებსაც და ამაში ადვილად დავრწმუნდებით. „**თორღვას კარმიდამო“, „ცისკრის ზარები“, „ღრულები“**-აქ სამივე შემთხვევაში სათქმელს ფერები ამბობენ და არა-საგნები

„მზიანი დღე“- აქ მზე არსად ჩანს, მაგრამ სამაგიეროდ იმდენი ნათელი ფერი ჩანს, იმდენი სითბო და სილაღეა ნახატში ჩაღვრილი ავტორის მიერ, რომ შენ, როგორც აღქმელი, თავადაც ხვდები, რომ აქ, ამ დალოცვილ მიწაზე, კიდევ ერთი თბილი, ნათელი, ლაღი, ხალისიანი დღე (დილა) გათენდა...და თუ მაინც სიტყვის ოსტატის მიერ აღწერილ დილას შევადარებთ ამ ნახატით განცდილ დილას, ალბათ, ილია ჭავჭავაძის „აჩრდილი“ უნდა გავიხსენოთ:

„აღმობრწყინდა მზე დიდებულადა
და გაანათლა ქვეყანა ბნელი,
კავკასის მთების წვერთა მაღალთა
ზედ გადაჰფინა ოქროს ნათელი“.

უცნაური ნახატია „**შობა“.** კონკრეტულად აქ არაფერი ჩანს. ნახატის აღმქმელმა არც იცის, ვის შობაზეა აქ ლაპარაკი – მაცხოვრის თუ ჩვეულებრივი ადამიანის. მაგრამ იცის, რომ ხდება რაღაც სასწაული, რაღაც ნათელი და ამაღლებული, რაღაც სიტყვით გამოუთქმელი, მაგრამ ფუნჯით სიტყვაზე უკეთ გამოხატული (წარმოიდგინეთ- რა დონის ოსტატი უნდა იყოს მხატვარი, რომ თავისი სათქმელი ფერებით უკეთ გამოხატოს, ვიდრე ეს სიტყვებს შეუძლია). ან ავიღოთ „**ტრაგედია“.** შორიდან იკვეთება რამდენიმე ქალის სილუეტი. ახლოში კი რაღაცას ხედავ და ვერც ხედავ, ხედავ თავჩახრილ ვაჟკაცებს, მაგრამ იმას ნამდვილად ვერ ხედავ, ვის ადგანან ისინი თავზე, რომელ ლუხუმს, ალუდას, ზვიადაურს, თუ ზეზვას გლოვობენ უცრემლო კაცური გლოვით.

ან ავიღოთ „**აღაზა“.** აქ ქალის სილუეტი აშკარად იკვეთება, ჩანს მისი სახეც, ხელებიც, სამოსიც და, რაც მთავარია, ჩანს ქალი, აღაზად წოდებული (თუმცა ჩვენ არ ვიცით- რომელი აღაზაა იგი – ჯოყოლას ცოლი თუ ვინმე სხვა აღაზა), დიდი სევდისა და წუხილის მატარებელი მთიელი ქალი და ყველაფერ ამას გრძნობ ფერებით, სევდის მომგვრელი ფერებით.

„სოფლის სევდა“-ძნელია ამ ნახატში სოფელი დაინახო, მაგრამ სევდას, დარდს, წუხილს ნამდვილად ხედავ, ან უფრო ზუსტად, გრძნობ, განიცდი. გრძნობ იმ „მეექვსე გრძნობით“, რომელიც იმ დროს ჩაერთვება ხოლმე, როცა დანარჩენი ხუთი გრძნობის ორგანო არ გშველის და როცა რაღაც განსაკუთრებული გაქვს სახილველი.

„გზა ტაძრისაკენ“ – ასეთი სახელწოდებით გვთავაზობს მხატვარი თავის ერთ-ერთ ნახატს, სადაც, კაცმა რომ თქვას, არც ტაძარი ჩანს და არც მისკენ მიმავალი გზა, კონკრეტულად აქ არც არავის სილუეტი არ იკვეთება, მაგრამ მაინც შინაგანი ინტუიციით (კვლავ მეექვსე გრძნობით) გრძნობ, რომ ეს სწორედ ის გზაა, რომელიც უეჭველად მიგიყვანს ტაძრამდე.

ეს საოცრებაა, ნამდვილ საოცრება. მხოლოდ დიდოსტატს შეუძლია ასეთი რამ განგაცდევინოს.

„**გვიანი შემოდგომა“, „წვიმა“**-არავითარი კონკრეტიკა, არსად შემცივნებული, ან წვიმას შეფარებული ადამიანი, მაგრამ მაინც წვიმა, მაგრამ მაინც გვიანი შემდგომა.

საოცრებაა მხარვრის „**ნატვრის ხე“.** აქ ხე საერთოდ არ ჩანს, მაგრამ სამაგიეროდ ჩანს უამრავი ფერი, ფერთა საოცარი კალეიდოსკოპი, რომლებიც ერთიანობაში ფერთა საოცარ ჰარმონიას ქმნის.

რასაკვირველია, ბატონი ილიას ნახატების ამგვარ აღქმას მარტო ჩვეულებრივი თვალი არ ჰყოფნის. მას სხვა თვალი-შემოქმედის ან თანაშემოქმედის (ასეთია სწორედ მაღალგემოვნებიანი აღმქმელი) თვალით უნდა ჭვრეტა. ამგვარ ჭვრეტას გულისხმობს სწორედ ნახატის ან ნებისმიერი სხვა ტექსტის) ჰერმენევტიკული ანალიზი, ანუ მისი გაგება, განმარტება, ინერპრეტაცია, ან სხვანაირად, ნახატში ჩადებული აზრის /საზრისის/ მიტანა ჩვეულებრივ აღმქმელამდე. ასეთი ინტერპრეტატორი ნებისმიერ ძნელად გასაგებ ტექსტს სჭირდება.ასეთი ინტერპრეტატორის არსებობა სხვისი ნააზრევის წვდომას და ამ აზრით, სხვის გაგებას, სხვის ცნობიერებაში „შეღწევას“ გულისხმობს. თავის მხრივ, ეს ნიშნავს გარკვეულ დიალოგს ტექსტის ავტორს /ამ შემთხვევაში მხატვარს/ და ტექსტის გამგებს /ნახატის აღმქმელს/ შორის, ანუ დივინაციას. დივინაცია ნიშნავს ნაწარმოების ავტორის სულში „შესვლას“, „ჩასახლებას“. როგორ ხდება ეს „შესვლა“ და „ჩასახლება“ლოგიკურად აუხსნელია.

დივინიცია შესაძლებელს ხდის ზუსტად ვწვდეთ ნაწარმოების ავტორის ჩანაფიქრს. უფრო მეტიც. ზოგჯერ დივინიცია იმის შესაძლებლობასაც იძლევა – ესა თუ ის ნაწარმოები გავიგოთ განსხვავებულად, ზოგჯერ უკეთესადაც კი, ვიდრე იგი მის ავტორს ესმოდა. ეს არავითარ სემთხვევაში არაა თავად ნაწარმოების ავტორისათვის შეურაცხმყოფელი. ეს შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც ინტერპრეტატორი ინტერპრეტაციის მომენტში აცნობიერებს იმას, რაც ნაწარმოების ავტორის /ჩვენ შემთხვევაში მხატვრის/ მიერ არ იყო გაცნობიერებული. გავიხსენოთ, რომ შემოქმედების პროცესი არაცნობიერი პროცესია, რომელიც ტიციან ტაბიძემ ასე გამოხატა: „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს

ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს“

იმაზე, რომ ნაწარმოების ტექსტი /ჩვენს შემთხვევაში ნახატი/ რომ მეტია ტექსტის ავტორის თავდაპირველ ჩანაფიქრზე, საგანგებოდ უსვამს ხაზს ცნობილი ჰერმენევტიკოსი გადამერი. შესაბამისად, გაგება ნიშნავს „მეტის გაგებას“, ან სხვანაირად, არა „უკეთესად გაგებას“, არამედ „სხვაგვარად გაგებას“. აქ ძალაუნებურად გაგონდება სოკრატესა და მის მოწაფეებს შორის გამართული დიალოგი: როცა სოკრატეს მისმა მოწაფეებმა უთხრეს-კეთილ კაცს კი ვხედავთ, მაგრამ სიკეთეს (ლაპარაკია სიკეთის

იდეაზე, სიკეთის არსზე) ვერაო, მაშინ სოკრატემ ასე უპასუხა მათ: ეს იმიტომ ხდება, რომ თქვენ ჩვეულებრივი თვალით იყურებით, სიკეთის იდეა რომ დაინახო, მის არსს რომ ჩაწვდე, სხვა თვალი, კერძოდ, „გონების თვალია“ საჭიროო. ასეა აქაც!

ილია პატაშური არაა ადვილად გასაგები მხატვარი. მე ვამბობ: გასაგები და არა აღსაქმელი. აღსაქმელად ის დიდად სასიამოვნოა, თავისი ფერთა ჰარმონიით, მაგრამ მის გაგებას, მისი ნახატის არსში ჩაწვდომა სჭირდება, რაც, პირდაპირ ვთქვათ, ადვილი საქმე არაა და ტექსტებზე („ტექსტი“ აქაც ამ ცნების ფართო გაგებითაა ნახმარი) ჰერმენევტიკული მუშაობის გარკვეულ ცოდნას და გამოცდილებას მოითხოვს.

ახლა თუ ამ საზომით მივუდგებით ილია პატაშურის ნახატებს, იმთავითვე უნდა განვეწყოთ არა საგნების ან მოვლენების საცქერლად, არამედ იმაზე უნდა გავაკეთოთ აქცენტი, თუ რა განცდებს, ემოციებს, შთაბეჭდილებებს, განწყობას აღძრავს იგი ჩვენში, ყოველივე ამის გათვალისწინებით სრული გულუბრყვილობა იქნებოდა მის კომპოზიციებში, რომლებიც ძალიან ბევრია, ნატურმორტებში / „ნატურმორტი ბროწეულებით“, „ნატურმორტი კომშებით“, „ვარდების ნატურმორტი“/ და პეიზაჟებში /ამ სათაურით ავტორს ბევრი ნახატი აქვს შექმნილი/ ჩვენთვის ნაცნობი საგნები დაგვეძებნა და დაგვენახა. უფრო მეტიც, ზოგჯერ უსაგნო კომპოზიციებშიც კი არა, თვით კონკრეტული დასახელების საგნებშიც კი არ უნდა ვეძებოთ ზუსტი მსგავსება, მაგალითისთვის ავიღოთ **„კიბე“**, ან **„ახალი გზა“** ძნელია აქ სადმე იპოვო კიბე (მისაყუდებელი ან ქუჩის კიბეები), რაც შეეხება „ახალ გზას“, ერთადერთი, რაც ამ ნახატში გზის ძებნისას შეიძლება გაგვახსენდეს, ვაჟა-ფშაველას ცნობილი ფრაზებია: „გზას ვამბობ, თორემ რა გზაა, ვიწრო ბილიკი კლდეზედა“ (აქ კი ვიწრო ბილიკიც არსად ჩანს).

ნათქვამი იმას არ ნიშნავს, რომ ბატონ ილია პატაშურს არა აქვს ე.წ რეალისტური ნახატები, სადაც ნათლად და გამოკვეთილად ჩანს გამოსასახი პიროვნება, საგანი მოვლენა, თუმცა არცერთ მის ნახატში არ არიან ეს ადამიანები, საგნები და მოვლენები ფოტოგრაფიული სიზუსტით ასახულნი (ასეთ ასახულს ლენინი „სარკისებურ ასახვას“ უწოდებდა)

ამ რეალისტურ ნაწარმოებებში უკვე აშკარად იკვეთება მთავარი თემებიც და ხელოვანის მთავარი სათქმელიც.

ერთ-ერთი ასეთი მთავარი თემა ილია პატაშურის შემოქმედებაში არის ქართული მთა აქ მცხოვრები ადამიანები, მათი ცხოვრების წესი, ტრადიციები. მთა არა მარტო იმიტომ, რომ „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი..., ჩემი სამშობლოც ის არის“, არამედ იმიტომ, რომ მთა დღემდე ინარჩუნებს პირველყოფილ სიწმინდესა და სისუფთავეს, ზნეობრივ ღირებულებებს, აქ ჯერ კიდევ ფასობს კაცური სიტყვა, ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ურთიერთგატანა, თანადგომა, თანალმობა, მხარდაჭერა, ერთგულება, „კაი ყმობა“. იგი ჯერ კიდევ მეტნაკლებად დაცულია უზნეობისაგან, ურთიერთგაუტანლობისაგან, ფლიდობისა და მზაკვრობისგან, ურთიერთსიძულვილისა და გაუცხოებისაგან, რაც, სამწუხაროდ, ასე გავრცელებულია „ბარში“. ბარში აქ მთელი ცივილიზებული სამყარო იგულისხმება, ცივილიზებული და არა-კულტურული. მათ შორის კი პრინციპული განსხვავებაა. ბარში ცივილიზაციის ზეიმია, მთაში კი ჯერ კიდევ შენარჩუნებულია კულტურული, ზნეობრივი ნორმები, ანუ ის, რაც ჭეშმარიტი ღირებულებებია ბატონ ილია პატაშურისათვის.

მთის თემა აახლოებს მხატვარ ილია პატაშურს გენიალურ ვაჟა-ფშაველასთან, რომელიც საოცარი სიზუსტითა და მაღალი მხატვრული ოსტატობით ძერწავდა მთიელთა ჭეშმარიტ ბუნებას, მათ „კაი ყმობას“, ტრადიციებისადმი ერთგულებას, მთის მკაცრი ზნეობრივი კანონებისადმი მორჩილებას და ა.შ.

მთიელთა ცხოვრების წესის ასახვა არ ნიშნავს იმას, რომ მათ მხოლოდ მთის ცხოვრების წესები იციან და ბარისა – არა! როგორც უკვე ითქვა, „ბარში“ აქ ის შეშლილი, შეშლილი სამყარო იგულისხმება, რომელიც, რბილად რომ ვთქვა, მათთვის აღარაა საინტერესო.

როცა მთისადმი სიყვარულზე ამ ორი დიდი ავტორის სიყვარულზე ვლაპარაკობ, არ შემიძლია აქვე არ ვახსენო ჩვენი დაუვიწყარი გოდერძი ჩოხელი, რომელიც მთას ისეთივე წმინდა და ზნეობრივად შეურყვნელ ადგილად მიიჩნევდა როგორც ზემოდასახელებული ორი ავტორი. ერთ ჩემს წიგნში გოდერძის შესახებ, რომელთანაც მე პირადი მეგობრობა მაკავშირებდა, ვწერდი და აქაც მინდა გავიმეორო, რომ გოდერძი, სწორედ იმიტომ, რომ ამ უზნეო და შეშლილ სამყაროს დაპირისპირებოდა, თავისი მიკროსამყარო შეჰქმნა და იგი არაჩვეულებრივი ადამიანებით დაასახლა. აქ, ამ გოდერძისეულ სამყაროში, საოცარი ურთიერთგაგება და ურთიერთსიყვარული სუფევს. აქ, ამ სამყაროში ჯერ არ შემოუღწევია მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას, მისი მავნე სოციალური შედეგებით, აქ ჯერ კიდევ არაფერი იციან ეროვნული კულტურების წამლეკავ გლობალიზაციაზე. გოდერძის გმირები, სამწუხაროდ, ცოტანი არიან, მაგრამ მთის წყაროსავით ანკარა და თოვლივით სუფთანი ნამდვილად არიან. რაც შეეხება ბატონ ილია პატაშურს, ისიც ზუსტად იმავე მიზეზის გამო ვერ ელევა თავის მთიულეთსა და ხევსურეთს. არ გამოსახავს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მონაპოვრებს, არ მოჰყავს აღტაცებაში ტექნიკისა და ტექნოლოგიების უახლოეს მიღწევებს.

სულ სხვაა მთა. აქ, თავის მთიულეთსა და ხევსურეთში, ყველაფერი იზიდავს მხატვრის გონებასა და გულს, იზიდავს თავისი სიწმინდითა და სისუფთავით. პირველ რიგში კი ეამაყება ძირძველი ქართული ხალხური ტრადიციები, ადათ-წესები, რიტუალები, ცხოვრების წესი, რაც ყველაფერში იჩენს თავს – ქცევაშიც, ყოფით კულტურაშიც, ჩაცმაშიც.

ე.წ მთის ციკლის ნახატებიდან, პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს ხევსური გოგონები (სულერთია რომელია კონკრეტულად იგი-სოფიკო თუ მთვარისა). დავაკვირდეთ მთვარისას. ეს მთიელი გოგონა ფეხშიშველი კია, მაგრამ თავსაბურის გარეშე მაინც არაა. ეს ერთ-ერთი იმ ტრადიციათაგანია, რომელიც ბარში დიდი ხანია დაივიწყეს, მთაში კი დღემდე ცოცხლობს. ამ მშვენიერ გოგონას კაბა კოჭებს უფარავს, კაბის სახელურები გრძელია და მთლიანად ფარავს ხელებს. შთაბეჭდილება ისეთია, რომ ეს ფეხშიშველი მთიელი გოგონა მთის ყველა ადათ-წესებს იცავს და, რაც მთავარია, ინარჩუნებს სიმორცხვეს, სინაზეს, კლდემამოსილებას და უბიწოებას.

ისევ ხევსური გოგონაა გამოსახული ნახატში **„ხევსური გოგონა-მოლოდინი“.** მასაც ტრადიციულ სამოსში ხატავს მხატვარი. ნაწარმოების აღმქმელი გრძნობს ქალის განცდებს. იგი მოლოდინშია. ელოდება მთელი არსებით, მთელი გულით, ელოდება ისე ერთგულად და განცდის სიღრმით, მარტო მთაში რომ იციან ლოდინი.

მთის თემის ნაწილია მწყემსების ყოფა. თეთრ ცხენზე ამხედრებული მწყემსი ისეა გამოსახული, თითქოს ცხვრების სამწყესავად კი არა მიდიოდეს, არამედ მომხდური მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდეს. ცხენიც ისეა ყალყზე შემდგარი, გეგონებათ, ახლა უნდა გადაეშვას მტერთან ბრძოლაშიო, ხელში დაჭერილი გრძელი კომბალიც ხმლის შთაბეჭდილების უფრო ტოვებს, ვიდრე-კომბლისას, ხოლო ქალები ისე დანანებით, ისეთი გულდაწყვეტით უცქერიან წასასვლელად გამზადებულ ყმაწვილს, თითქოს გზას ულოცავენ და კარგად არც იციან, კიდევ ეღირსებათ თუ არა მისი ხილვა, რაც შეეხება მწყემს ყმაწვილს, იგი ნახევრადაა შებრუნებული ქალებისაკენ. აშკარაა, რომ მასაც ძალიან ენანება მათგან განშორება, რომელთა შორის რომელიმე ერთი იქნება ან მისი ცოლია, ან შეყვარებული. ცხენის წინ ახალგაზრდა ყმაწვილი დგას. მას ხელები ზემოთ აქვს აპყრობილი, თითქოს გზას ულოცავს შორ და სარისკო გზაზე მიმავალ მწყემსს.

შემდეგი ნახატი მთის თემას რომ ეხება, არის **„მყვირალობა მთაში“.** აქ კლდეთა ფონზე ჩანს სამი ჯიხვი, მაგრამ აქ ჯიხვების გამოსახვის სიზუსტე კი არა იქცევს იმდენად მნახველის ყურადღებას, რამდენადაც საოცარი ექსპრესია, მოზღვავებული ენერგია და სიძნელეთა დაძლევის („გაჰკვეთა ქარი გააპე წყალის“ მსგავსი) დაუოკებელი ვნება.

ყველა ზემოდასახელებულ ნახატში დომინანტობს წითელი ფერი, ან მუქი წაბლისფერი. წითელი კი, ფერთა სიმბოლიკის მიხედვით, სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების, სიკეთით ბოროტების დაძლევის, დაბრკოლებებისა და წინააღმდეგობების დაძლევის, ბრძოლის, აქტივობის, შექმნის, შენების, ოპტიმიზმის , ცხოველმყოფელობის, შინაგანი ენერგიის გამომხატველი ფერია. ეს ფერი მხატვრის მოქალაქეობრივ პოზიციასაც შეესაბამება და მის მსოფლმხედველობასაც ზედმიწევნით გამოხატავს.

ილია პატაშურის შემოქმედებაში ცალკე უნდა გამოიყოს სამშობლოს თემა. რაკი მისთვის სამშობლო მშობლიური მთებით იწყება, შესაბამისად გვაქვს ამ თემაზე შექმნილი ბევრი ნახატი. ესენია: „მთიულეთი. ციხიანი“, „მთიულეთი“, „ხევშა“, „ჩემი სოფელი – პატაშურნი“, „ხევსური ქალი“, „ თორღვას კარმიდამო“, „გუდამაყარი“, ისევ „მტიულეთი“ და მრავალი სხვა.

ილია პატაშურის სამშობლო, მართალია, მთებით იწყება, მაგრამ, ცხადია, მთებით არ თავდება. სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ მხატვარს არ შეეძლო უყურადღებოდ დაეტოვებინა ისტორიული თემატიკა. ამ თემისადმი მიძღვნილ მრავალ ნახატთაგან საგანგებოდ მხოლოდ ორს -საქართველოს ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესს – ავიღებთ. ესენია: „დიდგორი“ და „კრწანისი“.

„დიდგორი“ ფართო ტილოა. ჩანს, რომ უზარმაზარ ტერიტორიაზე ხელჩართული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გაჩაღებული. ჩანან როგორც ფეხოსანი, ისე ცხენზე ამხედრებული მეომრები. მაგრამ არცერთი მხარე მკვეთრად არ არის გამოკვეტილი. ომის გრანდიოზუ მასშტაბზე კვლავ ფერები გვიქმნიან წარმოდგენას. აქ მთავარი ფერი მუქი წითელია, როგორც ბოროტზე კეთილის გამარჯვების, მტრის დაძლევის სიმბოლო.

სულ სხვა ფერებითაა დახატული „კრწანისი“. და თუმცა აქ კონკრეტულად არც არაფერია გამოსახული, სწორედ ფერთა უცნაური შეხამებით მხატვარი გვაგრძნობინებს, რომ მოხდა რა ღაც დიდი უბედურება , რა დაღუპვის, განადგურების ტოლფასია. და ეს ყველაფერი ნაჩვენებია მუქი ლურჯი ფერით, რომელიც უმეტეს შემთხვევაში შავ ფერში გადადის. შავი ფერი კი რომ გლოვის, დიდი მწუხარების, ტრაგედიის მომასწავებელი ფერია, ეს ოდითგანვე არის ცნობილი. ზუსტად იგივე ფერებს იყენებს მხატვარი ნახატში, რომელსაც „სოფლის სევდა“ ჰქვია.

თუ კარგად დავაკვირდებით, „დიდგორშიც“ და „კრწანისშიც“ ნაწყვეტ-ნაწყვეტ რაღაცები კი იკითხება, მაგრამ მეთუ მკითხავთ, სულ არაა ასეული ზედმიწევნითი განჩხრეკვა საჭირო. ორივე ნახატი ყლიანობაში უნდა აღვიქვათ და ფერებით მივხვდებით – რა დიდი განსხვავებაა ამ ორ მოვლენას შორის.

არის კიდევ ერთი თემა, რომელიც საგანგებოდ უნდა გამოიყოს ილია პატაშურის შემოქმედებაში. ეს არის პორტრეტები. მრავალთაგან აქაც ორს გამოვყოფთ ესენია: „დედის პორტრეტი“ და „მამის პორტრეტი“. ქართულ მხატვრობაში დედის მრავალი ჩინებული პორტრეტია შექმნილი. მათ შორის არის დავით კაკაბაძის „დედის პორტრეტი“, ჩა ჯაფარიძის „დედა“., მაგრამ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ბატონი ილია პატაშურის „დედის პორტრეტი“ ერთ-ერთი საუკეთესოა მათ შორის. მაინც როგორია ილია პატაშურისეული დედა?

იგი სელის სკამზე ზის. დინჯი, დარბაისელი, ამაყი, ძლიერი ნებისყოფის, მტკიცე ხასიათის ადამიანი. ტანთ გრძელი კაბა აცვია, რომელსაც ზემოდან ძვირფასი მოსასხამი ამშვენებს. კაბის სამკლავურები ბოლომდე ფარავს მის ხელებს, ოღონდ ხელის მტევნებია ღია. რაც შხება სახეს, ამ სახეში კარგად იკითხება რაღაც ზოგადქართული – ოთარაანთ ქვრივისეული, სანათასეული, იკითხება. იმ სანათასეული, რომელსაც, იმის მიუხედავად, რომ „ურჯულო თათებთან“ ბრძოლაში შვიდი შვილი და ქმარი დაეღუპა, მაინც ეყო შინაგანი ძალა და ენერგია ეთქვა: „ეგებ ინებოს ბატონმა გაგვმარჯვებიყოს მტრებზედა,

თუ ამას გავიგონებდი, არ ვიგლოვებდი მკვდრებზედა,

იმავ დღეს ,შვილო, დედილავ, ჭრელს ჩავიცომდი კაბასა...“

სწორედ სანათასეულ ეს სმტკიცე და გაუტეხელობა იკითხება მხატვრის დედის პორტრეტშიც. ასეტივე რეალისტური ფერებით და დიდი მხატვრული სიმართლით არის დახატული „მამის პორტრეტი“.

კიდევ ერთი თემა , რომელსაც საპატიო ადგილი უჭირავს ილია პატაშურის შემოქმედებაში, არის რელიგიის თემა. ამ თეას ეძღვნება ისეთი ნახათები, როგორებიცაა: „საკურთხეველთან“, „გამოცხადება“, „გზა ტაძრისაკენ“, „სულის სავანე“.

განვიხილოთ „საკურთხეველთან“. აქ ძნელია მიხვდე, სად ხდება მოქმედება. ერთადერთი, რასაც ნამდვილად ხედავ და არჩევ, ეს ანთებული სანთლებია, . სანთლებია კედლებზეც, სასანთლეებშიც, კლდის ქიმებზე, ყველგან, სადაც კი სათლის დამაგრება შეიძლება. მაგრამ სანთლები ხომ ვიღაცამ უნდა აანთოს?!ისინი სად არიან? რატომ არ ჩანან?!ისინი არიან თითქოს და არც არიან /აქ არ შიძლება არ გაგახსენდეს ბესიკ ხარანაულის ექსი „სად არიან შვილები, შვილები სად არიან?!/. რა შეეხება სანთელს, იგი, აშკარაა, აქ რწმენის, სიწმინდის, სილამაზისა და სილამაზის სიმბოლოა.

„გამოცხადება“! -კონკრეტულად აქ არაფერი ჩანს და,ალბათ, არც უნდა ჩანდესხ, რადგან მამაზეციერი თვალით არ იხილება. იგი მხოლოდ ინტუიციით შეიგრძნობა,რასაც აკეთებს კიდეც ეს ნახატი.

„სულის სავანე“ – აქ ჩანს თეთრი ეკლესია, თეთრი კი სიწმინდის, უბიწოების სიმბოლოა. აქ არა მარტო ეკლესიაა წმინდა, და შეურყვნელი, არამედ ეკლესიის ეზოში გაშვებული ცხენიც კი. წიტელი და ლურჯი ფერების გარდა, როგორც ვხედავთ,არცთუ იშვიათად მიმართავს თეთრ ფერს. ერთ-ერთ ნახატს ასეც ჰქვია „თეთრი ქალი“. სინამდვილეში ეს არის ქალი მოჩვენება,ქალი მირაჟი,ქალი სიწმინდის, კდემამოსილების, უბიწოების გამომსახველი. ამ ქალს ხელები მაღლა აქვს აღმართული, თითქოს მისი სახეც ჩანს და ტანსაცმელიც, მაგრამ , მაგრამ ბოლომდე ვერ გარკვეულხარ – რა პოზაშია იგი. რატომაზ იგი ასშორეულიცა და ახლობელიც ერთდროულად.აშკარაა, რომ ეს ოცნების ქალია. იგი ის ნაცნობი- უცნობია ,რომელიც გიზიდავს კიდევაც და გიცილებს კიდევაც.

ასეთია მხატვარ ილია პატაშურის შემოქმედების ჰერმენევტიკული ანალიზის პირველი ცდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მარტინ ჰაიდეგერი, დასაბამი ხელოვნების ქმნილებისა გამომც. „გონი, თბ. 1992
2. რევაზ სირაძე, სახისმეტყველება, გამ. „ნაკადული“, 1982
3. დავით კაკაბაძე , ხელოვნება და სივრცე, „ნაკადული“, თბ. 1983
4. მარიამ თაბორიძე,ვეფხისტყაოსნის ლიტერატურულ-ესთეტიკური ანალიხი,თბ. 2000
5. გ. ნადირაძე, ვეფხისტყაოსნის ესთეტიკა, თბ. 1958.

რეზო ბალანჩივაძე

მხატვარ ილია პატაშურის შემოქმედების ჰერმენევტიკული ანალიზი

რეზიუმე

ილია პატაშური ჭეშმარიტი ფერმწერია, ფერების ხატვის ნამდვილი დიდოსტატი. იგი ფერებით ამბობს თავის სათქმელს.ფერებით ზემოქმედებს ადამიანზე და იწვევს მასში გარკვეულ შთაბეჭდილებას. ფერებით ქმნის ახალ სინამდვილეს, ახალ სიმართლეს, რომელსაც მხატვრული სიმართლე ჰქვია და რომელიც რეალურზე ნაკლებ შთაბეჭდილებას როდი ახდენს.

რასაკვირველია, ილია პატაშურის ნახატების არსში წვდომას მარტო ჩვეულებრივი თვალი /ჩვენი გრძნობის ორგანო/ არ ჰყოფნის. მას სხვა თვალი – შემოქმედის ან თანაშემოქმედის თვალით უნდა ჭვრეტა. ამგვარ ჭვრეტას გულისხმობს სწორედ ნახატის /ან ნებისმიერი სხვა ტექსტის/ ჰერმენევტიკული ანალიზი, ანუ მისი გაგება, განმარტება, ინტერპრეტაცია, ან

სხვანაირად, ნახატში ჩადებული აზრის /საზრისის/ ამოკითხვა და მიტანა ჩვეულებრივ აღმქმელამდე.

წინამდებარე ნაშრომი მხატვარ ილია პატაშურის შემოქმედების ამგვარი ჰერმენევტიკული ანალიზის პირველი ცდაა.

Rezo Balanchivadze

THE HERMENEUTICAL ANALYSIS OF ARTIST ILIA PATASHURI'S CREATIVE WORK

Summary

Ilia Patashuri is a veritable artist, a grand master of colour drawing. He uses colours to convey he has to say, with the help of them he influences on a man and makes some impression on him. The painter creates new reality, new truth that is called artistic truth and that actually doesn't make less impression than real one.

Naturally, an eye as a physiological organ isn't enough to capture the essence in Ilia Patashuri's paintings. Only a creator's or co-creator's eye is able to contemplate the substance in the painter's art works. This kind of contemplating is meant under the hermeneutical analysis of a picture (or any text).So, this type of analysis is thought as comprehending, defining, interpreting .In other words it's bringing the creator's that essential opinion to the perceiver that lies in his art work.

The present work is the first effort to do hermeneutical analysis of the artist Ilia Patashuri's creative work.

ავთანდილ ჩაჩავა

საკულტო სანახაობები / „ბერიკაობა“ და „ყეენობა“/ როგორც კულტურული ღირებულებანი და გონითი ფენომენები

ჰაიზინგას მიხედვით,საკულტო სანახაობები თამაშია და ამდენად,კულტურა. რამდენადაც საკულტო სანახაობები აქამდე არასოდეს განხილულა,როგორც ობიექტური გონი,საჭიროდ მივიჩნიეთ სწორედ ეს მომენტი წამოვწიოთ ჩვენი ნაშრომის ამ ნაწილში. იგი, ისევე როგორც საკულტო სანახაობების გამოცხადება საზრისის მქონე თამაშობებად, ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთ საინტერესო სიახლედ მიგვაჩნია.

დავიწყოთ იმით, რომ „გონის“ ცნება ახალი არ არის მეცნიერებისათვის. მასზე ჯერ კიდევ კანტი და ჰეგელი ლაპარაკობდნენ, მაგრამ „გონის“ ცნებას ახალი სიცოცხლე შესძინეს მე-20 საუკუნის ისეთმა დიდმა ფილოსოფოსებმა, როგორებიც იყვნენ მარტინ ჰაიდეგერი, მაქს შელერი და სხვები. მაქს შელერმა, მაგალითად, ადამიანის სტრუქტურაში ოთხი სხვადასხვა ფენის არსებობას გაუსვა ხაზი. ეს ფენებია; სხეული, სიცოცხლე, ფსიქიკა და გონი.

რა არის გონი? გონი ადამიანის სპეციფიკური ნიშანია.იგი მას (ადამიანს) ყველა სხვა არსებულთაგან განასხვავებს,ყველა სხვა არსებულთაგან–თქო,რომ ვამბობთ,უპირველეს ყოვლისა,ცხადია,ღმერთსა და ცხოველს ვგულისხმობთ. **კულტურა ადამიანის გონითაა შექმნილი.** გონი ქმნის ყველაფერს: მშვილდ-ისარსაც და დანა-ჩანგალსაც,მითსაც და რელიგიასაც, ენასაც და ზნე-ჩვეულებებსაც, მორალსაც და მეცნიერებასაც სამართალსაც და ხელოვნებასაც, განათლებასაც და სახელმწიფო სისტემებსაც.

რაკი კულტურას ადამიანი ქმნის, მიაჩნიათ, რომ თითქოს მას ქმნის ადამიანი როგორც ფსიქიკური არსება, მაგრამ ეს არაა სწორი. სინამდვილეში კულტურა არც ფიზიკურია და არც ფსიქიკური. ის, როგორც ამას პროფ. თამაზ ბუაჩიძე ამბობს, ეკუთვნის ყოფიერების სრულიად თავისებურ სახეობას. იგი ობიექტური გონია. მართალია ფიზიკური საგნების მსგავსად, იგი დროსა და სივრცეშია განფენილი, მაგრამ პრინციპულად განსხვავებულია ფიზიკური საგნებისაგან,

ფიზიკური საგნები ისაა, რასაც თვალი ხედავს, რასაც ხელით შეეხები და რასაც სივრცეში გარკვეული ადგილი უჭირავს. გონითი ფენომენის შემთხვევაში თვალი აღიქვამს ერთს, სინამდვილეში კი მასში სულ სხვა რამ იგულისხმება. სანიმუშოდ ვაჟა-ფშაველას „მოხუცის სიმღერა“ გავიხსენოთ. სიზმარი, რომელზედაც ამ ტექსტშია ლაპარაკი, მართლა სიზმარი კი არაა, არამედ ამქვეყნიური ცხოვრების სწრაფწარმავლობის მხატვრული გამოხატულება.

ადამიანს,როგორც ბიო–სოციალურ არსებას, აქვს ბიოლოგიური, ვიტალური, სასიცოცხლო მოთხოვნილებები, მაგრამ მას, როგორც სოციალურ და კულტურულ არსებას, ცხოველისაგან განსხვავებით, შეუძლია ამაღლდეს ბიოლოგიური მოთხოვნილებებიდან, არამედ მის საპირისპიროდაც იმოქმედოს. ამას კი ადამიანი ახერხებს იმდენად,რამდენადაც იგი არის გონითი არსება.გონი სულიერი ფენომენია.იგი,ფსიქიკისაგან განსხვავებით,არ არის ადამიანის სხეულზე მიჯაჭვული. სხეული ადამიანისაგან იმ დანაკლისის შევსებას მოითხოვს, რაც ორგანიზმს მოცემულ მომენტში გააჩნია. გონი კი იმ დონემდე უპირისპირდება სხეულს, რო მასზე საერთოდ შეუძლია უარის თქმა. ამის საუკეთესო გამოხატულებაა თავგანწირვა, საკუთარ სიცოცხლეზე უარის თქმა. ეს, ცხადია, არ შეუძლია სხეულს, არ შეუძლია ფსიქიკას, ეს შეუძლია მხოლოდდამხოლოდ გონს.

ადამიანის გონითი ცხოვრება გონითი აქტების სახით ხორციელდება,გონითი აქტი თავისუფალი აქტია.პირველ რიგში,მას ვხვდებით შემეცნების პროცესში,შემდეგ კი ხელოვნების ნაწარმოების აღქმაში,უფრო ზუსტად კი იმ ესთეტიკურ ტკბობაში,რომელსაც ადამიანი განიცდის ხელოვნების ნაწარმოების აღქმისას.

ახლა, თუ ყოველივე ზემონათქვამს ჩვენთვის საინტერესო საკულტო სანახაობებისაკენ მივაბრუნებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკულტო სანახაობა მარტო გართობის,დროსტარების საშუალება კი არაა, არამედ იგი დიდ ესთეტიკურ ტკბობასაც ანიჭებს ადამიანს. თავის მხრივ, ესთეტიკური ტკბობა ესთეტიკურ ღირებულებებთანაა დაკავშირებული, რომელიც კულტურის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

ესთეტიკური ღირებულებები, ისევე როგორც ეთიკური ღირებულებები, კულტურის ფენომენებია, ანუ გონითი სამყაროა. გონის გამოვლინების უპირველესი ფორმა ხელოვნებაა. გარდა ხელოვნებისა, გონის გამოვლინების სფერო არის ენა, ზნე–ჩვეულებები, ტრადიციები, ადათ–წესები, რომლებიც ჩართულია საკულტო სანახაობებში. ისინი, რელიგიასთან ერთად, გონითი ფენომენებია და ამდენად, კულტურის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ.

კიდევ ერთხელ გავიმეოროთ, რომ სული, ფსიქიკური ფენომენები საზოგადოდ სხეულთან არის დაკავშირებული. გონი კი ამაღლებულია სხეულიდან. შესაბამისად, საკულტო სანახაობები, ისეთები, როგორებიცაა „ბერიკაობა“ და „ყეენობა“, გონითი ფენომენებია და არა ფსიქიკური.

თავის მხრივ, გონი ორი სახისაა: სუბიექტური გონი და ობიექტური გონი.სუბიექტური გონის გამოხატულებაა: ზნეობა, სინდისი, სილამაზე, ანუ მშვენიერება, რელიგიური რწმენა, სულიერი ღირებულებები.

ობიექტურ გონს განეკუთვნებიან კულტურის ცალკეული ფენომენები,მათ შორის ისეთი კულტურის ფენომენები, როგორებიცაა „ბერიკაობა“ და „ყეენობა“. შესაბამისად, ობიექტურ გონს განეკუთვნებიან ლექსი, მოთხრობა, პიესა, მუსიკა,მხატვრობა,სკულპტურა,ცეკვა,სიმღერა და ა.შ. ამ ობიექტურ გონს ქმნის სუბიექტი,ანუ სუბიექტური გონი .სუბიექტური გონი კულტურის ზემოთდასა- ხელებულ ფენომენთა საშუალებით იქცევა ობიექტურ გონად.

კიდევ ერთი, ჩვენი აზრით, უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც უნდა შევეხოთ,ასეთია: როგორ ახერხებს სუბიექტური გონი კულტურის (ხელოვნების ნაწარმოების) გაგებას? ამას იგი ახერხებს იმდენად, რამდენადაც თვითონ ხელოვნების ნაწარმოებსაც გონითი არსება ქმნის,ანუ ხდება ორი სუბიექტური გონის შეხვედრა ,თუმცა მათ შორის გაგება შეიძლება საუკუნეების გასვლის შემდეგ მოხდეს. .ასე მაგალითად,ჩვენ ვგებულობთ „ვეფხისტყაოსანს“ იმიტომ, რომ მასში, როგორც ობიექტურ გონში, ჩასახლებულია მისი შემოქმედის სუბიექტური გონი,მისი მსოფლგანცდა, იდეები, ღირებულებები და ა.შ. ანალოგიურად ვიქცევით ჩვენ საკულტო სანახაობების შემთხვევაშიც. ჩვენ ვგებულობთ საკულტო სანახაობებში ჩადებულ აზრებს იმდენად,რამდენადაც ვწვდებით მასში ჩადებულ იდეებს, ღირებულებებს, საზრისიან კავშირებს და ა.შ. ეს არის სწორედ გაგება და იგი არსებითად განსხვავდება ახსნისაგან,რომელსაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებები იყენებენ. ახსნა მხოლოდ იმის შეიძლება, რაც მიზეზ–შედეგობრივ კავშირშია ჩართული.უმეტესად ასე ხდება ხოლმე: გვაქვს შედეგი, მაგრამ არა გვაქვს მოცემული მიზეზი. ახსნა სწორედ ამ მიზეზის დადგენაა.თუ მე ვიცი,რომ ყველა სიმძიმის მქონე სხეული დედამიწას მიეზიდება,მაგრამ არ ვიცი მიზეზი,რომლის გამოც ეს ხდება,მე ჯერ მოვლენა არა მაქვს ახსნილი, მაგრამ თუ მე დავადგენ,რომ ამის მიზეზი მიზიდულობის კანონია,მაშინ მე უკვე მოვლენა ახსნილი მექნება.ან ავიღოთ სხვა მაგალითი:თუ წნევის საზომმა აპარატმა მაღალი წნევა მიჩვენა,მე შედეგი სახეზე მაქვს.მაგრამ შემდეგი ამოცანა იმის დადგენაა,თუ რამ გამოიწვია წნევის აწევამ, ნერვიულობამ, ღვიძლის გაღიზიანებამ თუ სხვა რამემ). მოვლენა ახსნილი მაშინ გვექნება,თუ ბოლოს და ბოლოს, მივაგნებთ წნევის აწევის მიზეზს.

ახსნის მეთოდი საბუნებისმეტყველო მეცნიერებისათვის უმთავრესი მეთოდია,მაგრამ იგივე მეთოდით ვერ გაიგება ლექსი, მოთხრობა, ნახატი, სიმღერა, ცეკვა და ვერც საკულტო სანახაობები– „ბერიკაობა“ და „ყეენობა“.ამის წვდომის საუკეთესო საშუალებაა გაგება. გაგება და არა ახსნა.

გაგება ჰუმანიტარული მეცნიერებების მეთოდია. შესაბამისად, გონითი ფენომენები კი არ უნდა ავხსნათ, არამედ უნდა გავიგოთ.კულტურა ობიექტური გონია იმდენად,რამდენადაც მასში გამოვლინდება მისი შემქმნელი ხალხის ეროვნული პოტენციალი, მისი ხასიათი, ბუნება, ღირებულებითი ორიენტაცია, მსოფლმხედველობრივი პოზიცია, ხვალინდელი დღის რწმენა და ა.შ.

ქართული ეროვნული გონი განსხეულებულია ქართული კულტურის ნებისმიერ ფენომენში, ქართულ ორნამენტსა და ფრესკაში, ქართულ სიმღერასა და ცეკვაში, თეატრალურ წარმოდგენასა თუ რელიგიურ რიტუალში და ა.შ.

სანიმუშოდ ავიღოთ ყინწვისის შესანიშნავი ფრესკები–ცნობილი ყინწვისის ანგელოზი და „ჯვარცმა".

როგორც პროფ.თ.ბუაჩიძე ამბობს,ერთიც და მეორეც ბუნებისმეცნიერის თვალითაც შეიძლება იქნას შესწავლილი. ამ შემთხვევაში ბუნების მეცნიერს შეუძლია დაინტერესდეს, ვთქვათ, იმით, თუ როგორი იყო იმ საღებავის შემადგენლობა, რომელთაც ხმარობდა ფრესკის შემქმნელი ,ან იმით, თუ როგორ გადაურჩა დროთა სრბოლას ფრესკის ერთი ნაწილი, მეორე კი – ვერა. ეს საკითხი ახსნის კომპეტენციაში შედის,მაგრამ განა ეს ფრესკა ამგვარი ახსნისათვის შექმნა დიდმა ხელოვანმა?! ის გაგებისათვის შეიქმნა,რადგან ქართველმა შემოქმედმა თავისი „მრწამსი“ ჩადო ფრესკაში.

ფრესკა ერთგვარი „ტექსტია",გრძნობადი მასალაა,რომელშიც უნდა ამოვიკითხოთ მასში ჩადებული საზრისი,ანუ ობიექტური გონი. ტექსტის ამგვარი გაგება განმარტების, ინტერპრეტაციის პროცესს გულისხმობს. ფრესკის ინტერპრეტაციით მიღწეული გაგება წინ გადაგვიშლის ქართული გონის მრავალფეროვანი სიცოცხლის ერთ მონაკვეთს,ეს ინტერპრეტაცია გამოამზეურებს,მაგალითად ქართული ფენომენის გარკვეულ ასპექტს–უღრმეს მოწიწებას ღვთიურის წინაშე.

ჩვენ ვუცქერით უძველეს საკულტო სანახაობებს და ამ ობიექტად ქცეულ გონში, ვწვდებით ქართველი კაცის დამოკიდებულებას ბუნებასთან ,სიცოცხლესთან, მეორე ადამიანთან,სამშობლოსთან, მის არტისტულ ბუნებას, სილაღეს, თავისუფლებისმოყვარეობას, სიცოცხლის წყურვილსა და ხალისს.ჩვენ ვუცქერით უძველეს საკულტო სანახაობებს (ისეთს,როგორებიცაა ყეენობა და ბერიკაობა) და ვწვდებით ფენომენ „ქართულის“ სპეციფიკას,მის უნიკალურობას და განსხვავებას სხვა ერის ეროვნული ნიშანთვისებებისაგან.

კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ თემას: მაინც რამ განაპირობა ქართული ფოლკლორის /უფრო კონკრეტულად კი, ქართული ცეკვის/ ასეთი საყოველთაო აღიარება?

დავიწყოთ იმით, რომ ქართული ცეკვა, ცხადია, ოდენ მაყურებლის გართობისა და სიამოვნების მინიჭების საშუალება არაა. მასში, როგორც ქართული კულტურის ერთ-ერთ ფენომენში, იკითხება ქართული ეროვნული სული, ქართველი კაცის დამოკიდებულება ბუნებასთან, საზოგადოებასთან, სხვა ადამიანებთან, სიკვდილ-სიცოცხლესთან, მისი მსოფლხედვა, ღირებულებითი ორიენტაცია, ხასიათი, ტემპერამენტი, ნიჭიერება, და ეს იმიტომ, რომ ქართული /ხალხური/ ცეკვა ობიექტად ქცეული ქართული

გონია. იგი, როგორც თანამედროვე ჰერმენევტიკოსები ამბობენ, ის „ტექსტია“, რომელშიდაც უნდა ამოვიკითხოთ მასში ჩადებული საზრისი, ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი ისეთი სპეციფიკურ-ადამიანური თვისებები, როგორებიცაა: სამშობლოს სიყვარული და ერთგულება, რაინდობა, „კაი ყმობა“, მეგობრისადმი თავდადება და თანადგომა, რელიგიური ტოლერანტობა. ასეთივე ტექსტებია: „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“, „ვეფხისტყაოსანი“, ქართული მითი, ლეგენდა, ზღაპარი, ქართული ფრესკა და ორნამენტი, ქართული სიმღერა და ა. შ. ყველა ისინი ობიექტურად ქცეული გონია, რომელშიდაც სწორედ რომ ქართული სულია განივთებული.

როგორც თ. ბუაჩიძე ამბობს, ერის ერთობა, უპირველეს ყოვლისა, გონითი ერთობაა. ქართველია ის, ვინც აითვისა და გაითავისა ქართული ობიექტური გონის ფენომენები, მათ სიღრმეში „ჩამალული“ ქართული. სწორედ ასეთია ქართული ცეკვა და ქართული სიმღერა. ისინი ქართული გონის გამოხატულებაა ისევე, როგორც ხელოვნების სხვა სახეები. ისინი თავის დროზე. /საუკუნეების წინათ/ სუბიექტის ან სუბიექტთა მიერაა შექმნილი, მაგრამ ისინი შემდგომში ობიექტურ გონად იქცნენ, ისევე როგორც ლექსი, მუსიკალური ნაწარმოები, ნახატი, სკულპტურა, არქიტექტურის ნიმუშები და ყველა ისინი, როგორც უმაღლესი კულტურული ღირებულებები, მოითხოვენ არაჩვეულებრივად სათუთ მოპყრობას და თვალის ჩინივით დაცვას. ქართულ ცეკვაში ქართული ეროვნული გონითი სული რომ არის განფენილი, ამიტომ იკითხება მასში ქართული ეროვნული ტრადიციები, ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებები, ქართველი კაცის სპეციფიკური ნიშან-თვისებები: თავისუფლებისაკენ სწრაფვა, „ჭირთა თმენისა“ და წინააღმდეგობის დაძლევის უნარი, მამულის სიყვალური, ქალისადმი საოცრად ამაღლებული, სათუთი დამოკიდებულება. მომავლის რწმენა, აქვე ჩანს ქართველი ქალის კდემამოსილება, სიდარბაისლე და სინარნარე, სინაზე და სილამაზე.

ზემოთქმული სიტყვები რომ ცარიელ განცხადებად არ დარჩეს, ჩვენ სულ რამდენიმე ქართულ ცეკვას გავიხსენებთ და მათში ჩადებულ საზრისის გადმოცემასაც შევეცდებით:

ყველამ ვიცით, რომ ცეკვა „ხევსურულში“ ქალის გულის მოსანადირებლად, მისთვის თავის მოსაწონებლად მამაკაცებს შორის ხმლებით კენჭაობა გაიმართება. ქალი უდიდესი ინტერესითა და გულისფანცქალით ადევნებს თვალს ამ ორთაბრძოლას. მისთვის არ არის ადვილი, გაარკვიოს, ვინ არის ძლიერი და ვის სასარგებლოდ უნდა გააკეთოს არჩევანი. მამაკაცები ამას გრძნობენ და არც ერთი მხარე უკან დახევას არ აპირებს. გამარჯვების წყურვილი იმდენად დიდია თითოეულში, რომ ბრძოლა უფრო და უფრო მძაფრდება. ქალს ენანება ერთიც და მეორეც. იგი ხედავს, რომ მდგომარეობა სულ უფრო და უფრო იძაბება, ინტუიციით გრძნობს მის მოსალოდნელ ტრაგიკულ დასასრულს და ამიტომაც ელვის უსწრაფესად მიგოგმანდება მორკინალ მამაკაცებთან და მათ შუა თავის თეთრ მანდილს ჩააგდებს, და ხდება სასწაული – მამაკაცები მსწრაფლ წყვეტენ ბრძოლას და ამ სიფრიფანა, უნაზესი ქალის წინაშე თავდადრეკილები გაქვავდებიან.

თავისთავად ცხადია, ეს ცეკვა ხაზს უსვამს ქართველი მამაკაცის სიმამაცესა და ბრძოლისუნარიანობას, მაგრამ ყველაზე მეტად მის მაღალ ზნეობას და უდიდეს მოკრძალებასა და პატივისცემას ქალისადმი. ოდითგანვე მომდინარე ქალის კულტი ზუსტად აისახა ქართულ ცეკვაში. ქალის მანდილი ამ ცეკვაში უდიდესი სიმბოლური დატვირთვის დეტალია. იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ის მხატვრული სახეა, რომელმაც უნდა გაგვაგებინოს ცეკვის საზრისი და ფილოსოფიური შინაარსი.

მამაკაცთა შორის ჩაგდებული თეთრი მანდილი არა მარტო ქალის კეთილშობილების, სათნოების, თავისუფალი ნების და მამაკაცების ურთიერთშერიგების სურვილის გამომხატველია, არამედ იგი იმავდროიულად არის სიმბოლო ზავის, მშვიდობის, კეთილმოსურნეობის. ისტორიულად ცნობილია, რომ, თუ მტერი თეთრი ბაირაღით მოდიოდა, ეს ზავის, ნეიტრალიტეტის, დამორჩილების სიმბოლო იყო და ასეთ მტერს უპრობლემოდ ატარებდნენ მოწინააღმდეგეთა ბანაკში.

ამასთან, თეთრი ფერი, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ოდითგანვე იყო სიწმინდ ის, სისპეტაკის, უბიწოების სიმბოლო.

აი, ამგვარი საზრისები იკითხება როგორც ბერიკაობაში, ისე ყეენობაში. როგორც ქართველი კაცის შინაგანი ბუნების „გარეგან“ გამოსახულებაში. გემოვნებიანი მაყურებელი და მსმენელი მიჩვეულია ამგვარი საზრისების ამოკითხვას „ტექსტშიც“ და „ქვეტექსტშიც“. და ამიტომაა, რომ მას მარტო წარმოდ-გენილი სანახაობების პლასტიკა და დახვეწილობა კი არ იზიდავს, არამედ ქართული სული, ქართული ხასიათი, ქართული ადამიანური ურთიერთობები.

სხვათაშორის, ქართული კულტურის დარგებიდან ქართული ცეკვა იმიტომაა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საზღვარგარეთ, რომ, თუ ქართული ლიტერატურის, სპექტაკლის, კინოფილმის გაგებას ქართული ენის ცოდნა სჭირდება, როგორც „ტექსტის“ ათვისების აუცილებელი პირობა, ცეკვას თავისი საკუთარი ენა აქვს – პლასტიკის ენა, რომელიც ყველასათვის თანაბრად გასაგებია და რომელშიდაც ყველაზე უკეთ იკითხება ქართველის „შინაგანი“ ბუნება.

ამ საკითხზე ასე ვრცლად იმიტომ შევჩერდით, რომ, თუ ამ ცეკვიდან ქალის მანდილს ამოვიღებთ, ამით, როგორც სუხიშვილ-რამიშვილის დროინდელი /ძველი/ ანსამბლის წევრი, ლეგენდარული მოცეკვავე ბატონი ომარ მხეიძე ამბობს, ჩვენ გავაღარიბებთ და გამოვფიტავთ ცეკვას და, რაც მთავარია, გამოვაცლით ქართულ სულს და აგრესიულ ცეკვად ვაქცევთ. საქმეს ვერ შველის ვერც საუკეთესო საშემსრულებლო ტექნიკა და ვერც მაღალი პროფესიონალიზმი.

ქართულ ცეკვათაგან ერთ-ერთი გამორჩეული ცეკვაა „ხორუმი“. იგი მოგვითხრობს ქართველი ხალხის მებრძოლ სულზე, მის გმირობასა და ვაჟკაცობაზე. ცეკვა იწყება მტრის ბანაკის თვალთვალით. მებრძოლთა ერთი ჯგუფი წრეს ჰკრავს, მეორენი მათ მხრებზე დგებიან და ისე ზვერავენ მტრის ბანაკს.

როცა ყველაფერს შეისწავლიან, მეომრები კვლავ საბრძოლო წყობაზე გადადიან და „ხორუმის თავის“, ანუ „თავმოსამის“ ნიშანზე ჯერ ჩაჩოქილი ეპარებიან მტერს, მერე წელში სწორდებიან და მოკლე ხანჯლებით მტრისაკენ მიიწევენ. „თავმოსამის“ ხელში გაშლილი დროშა ფრიალებს, ნიშნად ქართველთა უძლეველობისა და სიმტკიცისა. სწორედ იმ მომეტში, როცა გამარჯვება თითქოს გარანტირებულია, უეცრად „თავმოსამი“ იჭრება, წამით თითქოს საბრძოლო დროშაც იხრება ქვემოთ, მაგრამ ეს მხოლოდ წამით. შემდეგ ყველაფერი ისევ ძველ მდგომარეობას უბრუნდება. გაშლილი დროშა ისევ ზეაღმართულია, ნიშნად ქართველთა უძლეველობისა, მეომრები დაჭრილ მეთაურს აიტაცებენ და მომღიმარი მეთაურით ხელში ტოვებენ საბრძოლო მოედანს, ანუ სცენას.

მომღიმარი მეომარი იმის სიმბოლოა, რომ ქართველ კაცს არც დაჭრის და არც სიკვდილის არ ეშინია. დიახ, ვიჭრებით და მშვიდად ვართ, ვკვდებით და მაშინაც არ ვვარდებით სასოწარკვეთილებაში. რადგან კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ ვეწირებით ყველაზე დიდ, ყველაზე მაღალ ღირებულებებს – მშობლიურ მიწა-წყალსა და მშობლიურ ხალხს. აკი ამიტომაც ქართველი კაცის, ზოგადქართული ბუნების გამოხატულებად თუ მიიჩნევა შემდეგი სიტყვები: „სიკვდილს მე როდი შევუშინდები, იგი, ძმავ, მუდამ ჩვენს მხარეზეა, მე მეშინის ისეთ სიცოცხლის სიკვდილს რომ ჰგავს და უარესია“.

ვფიქრობთ, ცეკვა „ხორუმის“ ამგვარი დახასიათების შემდეგ სრულიად გაუგებარია „ქალთა ხორუმის“ არსებობა. ეს უკვე ემანსიპაციის გამოხატულებაც კი აღარაა. ეს არის ქართველი ქალის კდემამოსილების, სინაზის, სინარნარის, სიკეკლუცის დაცინვა. აბა, ვის გაუგონია ხანჯლით მეომარი ქართველი ქალი?“ ამგვარი ექსპერიმენტების ავტორები არა მარტო „ხორუმის“ ფილოსოფიურ სიღრმეს ვერ წვდებიან, არამედ არც ის იციან, რომ „ქართველი მეომარი ქალის“ ტერმინიც კი არ არსებობს /გარდა მითიური ამორძალებისა/. ცეკვის ავტორებს გენიალური ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“ მაინც არ წაუკითხავთ, ქალს რომ არაფრით არ იღებენ მეომართა რიგებში?! „ქალთა ხორუმი“ – ეს საქართველოს ისტორიის ფალსიფიცირებაა და, რაც მთავარია, იგი ქართული ეროვნული ხასიათის სრული გაუთვალისწინებლობა და უგულებელყოფაა.

ან ავიღოთ ცეკვა „ჯეირანი“. როგორც სუხიშვილი-რამიშვილის ანსამბლის უბრწყინვალესი მოცეკვავე ლატავრა ფოჩიანი ამბობს, ჯეირანი ულამაზესი ცხოველია. ისე ლამაზი, რომ მასზე სანადიროდ წასული მონადირეებიც კი ზოგჯერ იმდენად იხიბლებიან მისი ცქერით, რომ მოსაკლავად ვერ იმეტებენ. ცეკვაში სწორედ ჯეირანისა და მონადირეების ეს ურთიერთმოწონება და „ხიბლში ჩავარდნაა“ ხაზგასმული.

მაგრამ, თუ ეს ცეკვა ისე დაიდგმება, რომ იქნება მხოლოდ ჯეირანი და არ იქნებიან მონადირეები, ამბობს ქალბატონი ლატავრა, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ სრულიად დაუკარგო მას ის ხიბლი, რაც მას თავდაპირველად გააჩნდა, ანუ დაუკარგო სიღრმე, გამოაცალო საზრისი და ცალკეული ილეთების თუნდაც მაღალპროფესიული შესრულების ტექნიკად წარმოადგინო.

იგივე ითქმის ცეკვა „ქართულზედაც“. ამ ცეკვაში, გარდა ქალისა და მამაკაცის გარეგნული სილაზისა და მომხიბვლელობისა, ხაზგასმულია მამაკაცის კრძალვა და რიდი, უღრმესი მოწიწება და თაყვანისცემა ქალისადმი. ჩვენი უნიჭიერესი მოცეკვავე, ცეკვა „ქართულის“ განუმეორებელი შემსრულებელი ბატონი ფრიდონ სულაბერიძე მარტო საცეკვაო ოლეთების უბადლო, ვირტუოზული შესრულებისათვის კი არ შეიყვარა ქართველმა ხალხმა ქართული ცეკვა, არამედ იმისთვისაც, რომ მისი გმირი /პერსონაჟი/ ნამდვილი ქართველი რაინდია, ღირსებითა და სიდარბაისლით სავსე, ზრდილი, თავაზიანი, ქალის უაღრესად პატივისმცემელი.

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: ქართულმა გენიამ ქართულ ცეკვაში ყველა საუკეთესო ქართული თვისება ჩადო და ამიტომაც არ შეიძლება მისთვის ხელის ხლება, მისი გადაკეთება, მისი „განვითარება“, თუნდაც იმიტომ, რომ არავინ იცის სინამდვილეში ეს მისი განვითარება იქნება თუ პირიქით. იმის ნიმუშად, რომ არ შეიძლება ძველი ტრადიციებისა და ახალი ნოვაციების მექანიკური შერწყმა-ინტეგრირება, ახალი ესთეტიკით ძველის „გამდიდრება“, ერთ ასეთ მაგალითს მოვიტანთ: როგორც უკვე მრავალჯერ ითქვა, ძველ ქართულ ცეკვებში კარგად იკვეთებოდა ქალის კულტი. მაშინდელი ქართული კულტურა ამ ღირებულების მატარებელი იყო. ახლანდელი ქართული კულტურა /იქნებ უფრო მოდა/ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობას უფრო სხვა თვალით უყურებს. კონკრეტულად: ათანასწორებს მათ, რაც ცეკვის შემთხვევაში ნიშნავს – იხტუნოს ან ფეხის წვერებზე იდგეს კაცივით, იკენწლაოს ხმლით და ა. შ. მაგრამ ეს უკვე სხვა კულტურაა, სხვა ესთეტიკაა /რამდენად მისაღები – ეგ უკვე სხვა თემაა/. ეს უკანასკნელი მიდგომა იქნებ დროის შესაბამისად გამართლებულიც კი იყოს, მაგრამ ძველი და ახალი კულტურის ასეთი მექანიკური გაერთიანება, ერთი მხრივ, ქალის კულტი და, მეორე მხრივ, კაცთან გათანაბრებული ქალი, თავისი შარვლითა და მხედრული, მეომრული თვისებებით, რბილად რომ ვთქვათ, ძნელად შესაგუებელია ერთმანეთთან.

ამ დილემიდან გამოსვლის ერთადერთ გზად ჩვენ მიგვაჩნია: ძველის შენარჩუნება იმ სახით, რა სახითაც საუკუნეების გამოვლით მოვიდა ჩვენამდე და ამის პარალელურად ახალი ცეკვების შექმნა, რომელიც ბოლომდე, ცხადია, არ იქნება და ვერც იქნება მოწყვეტილი ძველ ტრადიციებს. არ გამოვრიცხავთ, რომ „ახალმა ქართველმა“ ამგვარი ახალი ცეკვები უფრო მოიწონოს, მათ მიანიჭოს უპირატესობა, ბაზარზეც უკეთ გაიყიდოს, როგორც ახლა უყვართ თქმა, უფრო კონკურენტუნარიანი გამოდგეს, მაგრამ მათ შორის რომელია უკეთესი და რომელი უარესი, დაე, ეს მომავალმა საუკუნეებმა და თაობებმა გადაწყვიტონ.

ქართულ ხალხურ ცეკვებში რაიმე „კორექტივების“ წინააღმდეგ რომ გამოვდივარ /ვიმეორებთ, ლაპარაკია ძირძველ, უნიკალურ, საუკუნეების ტრადიციების მქონე ქართულ ხალხურ ცეკვებზე/ ჩვენ

ამით იმის თქმა სულაც არ გვინდა, რომ ჩვენი ფოლკლორული ანსამბლები რომელიმე ქართული ცეკვის /„ქართული“ იქნება იგი, თუ განდაგანა“/ მხოლოდ ერთ /ერთადერთ/ ვარიანტს უნდა ასრულებდნენ. პირიქით, ჩვენ გვინდა, რომ მისი სულ სხვადასხვა ვარიანტი თუ დიალექტი /კუთხეებისა და რეგიონების მიხედვით/ წარმოჩინდეს სცენაზე. საამისოდ ამ ვარიანტების მოძიება, მათი აღმოჩენა და გაცოცხლებაა საჭირო. თუ ამას „განვითარებას“ დავარქმევთ, ჩვენ ასეთი განვითარების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. პირიქით, ამა თუ იმ ცეკვის რაც უფრო მეტი ვარიანტი /დიალექტი/ დაიძებნება და მიეწოდება მაყურებელს, მით უკეთესი ჩვენი კულტურისათვის. ოღონდ ეს აუცილებლად ძირძველი ქართული ხალხური ცეკვის ვარიანტი უნდა იყოს და არა გათანემდროვებული ცეკვა.

რამდენადაც ჩვენ ვიცით, ასეთი კამათი /დისკუსია/ ქართული ხალხური სიმღერის სპეციალისტთა შორისაც მიმდინარეობს. იმის გათვალისწინებით, რომ სიმღერას მაინც თავისი სპეციფიკა გააჩნია. ვთვლით, რომ იგი სცილდება ჩვენი კომპეტენციის ფარგლებს და ამიტომაც თავს შევიკავებთ ამ დისკუსიაში ჩართვისაგან, თუმცა იმას კი ნამდვილად ვიტყვით, რომ ქართულ ხალხურ სიმღერებსაც ისევე უნდა მოფრთხილება და მოფერება-მოსათუთება, როგორც ქართულ ცეკვას.

ქართული ხელოვნების დარგებიდან მხოლოდ ერთადერთი – ხუროთმოძღვრება – ითმენს, ჩვენი აზრით, ჩარევას, რესტავრაციას, ანუ იმის აღდგენას, რაც იყო და აი, რატომ: ხუროთმოძღვრული ძეგლების გარკვეული ნაწილი ან დანგრეულია ან სერიოზულად არის დაზიანებული /კედლები აქვს ჩამონგრეული, სახურავი გადახდილი და ა. შ./ ეს უნიკალური ძეგლები დროთა განმავლობაში კიდევ უფრო ზიანდებიან წვიმით, თოვლით, ქარით, სიცხით და ა. შ. ამიტომ მათთვის კედლების გამაგრება, გადახურვა და ა. შ. თუნდაც იმიტომ არის აუცილებელი, რომ ის მაინც არ დაინგრეს, რაც დღემდე არის გადარჩენილი. ამასთთან, ნებისმიერ ძეგლს ეტყობა – რაა მასში ძირძველი და რა – რესტავრირებული, შემდეგ საუკუნეებში დაშენებული /სამწუხაროდ, ჩვენი „კირითხურონი“ თავიანთი ოსტატობით ვერ უტოლდებიან გელათის, სვეტიცხოვლის, ნიკორწმინდის და სხვა ძეგლთა ამგებ დიდოსტატებს/. ამდენად, აქ „ჩარევა“ არსებული უკიდურესად მწვავე მდგომარეობითაა გამართლებული, რასაც ვერ ვიტყვით ხელოვნების სხვა დარგებზე, მათ შორის ცეკვაზეც.

როგორც ზემოთ ითქვა,ხელოვნების ყოველი ჭეშმარიტი ნაწარმოები,კულტურის ყოველი ფენომენი არის ობიექტური გონი,მაგრამ ეს იმას მაინც არ ნიშნავს,რომ ობიექტური გონია ყოველი ლექსი,ყოველი ნახატი ,ყოველი სიმღერა,ყოველი ცეკვა და ა.შ. იმიტომ,რომ ჭეშმარიტი კულტურის გარდა,არსებობს ე.წ. მასკულტურაც,რომელიც ობიექტურ გონად არ აღიქმება თავისი დაბალმხატვრულობის და უგემოვნობის გამო. გონია ის,რაც ერის მიერ არის მიღებული, გათავისებული, შესისხლხორცებული. ასეთია სწორედ ჩვენს მიერ განხილული საკულტო სანახაობები– „ყეენობა“ და „ბერიკაობა“. ადამიანი ბევრ რამეს ქმნის,მაგრამ ობიექტური გონის საუფლოში ყველაფერი როდი მკვიდრდება, ლექსი, რომელსაც არავინ კითხულობს, მკვდარია,რიტუალი რომელსაც არავინ ასრულებს ,არ არსებობს როგორც კულტურის ფაქტი.სანახაობა,რომელსაც არავინ ნახულობს,არავის გაახსენდება და მისი ნახვის სურვილი არავის გაუჩნდება,არ არის ობიექტური გონი."ქართული „ მხოლოდ ის გონითი ფენომენია,რომელიც „შეირჩა",გამოიყო უამრავ სხვა ნაწარმოებთაგან,მტკიცედ დამკვიდრდა ობიექტური გონის საუფლოში და ტრადიციის სახით გადადის თაობიდან თაობაში.ასეთია სწორედ ძველთაძველი ქართული საკულტო სანახაობანი– „ბერიკაობა“ და „ყეენობა“ .ეს სანახაობები გამძლე გამოდგნენ,რადგან ისინი შეისისხლხორცა ქართველმა ერმა, ხოლო შეისისხლხორცა იმიტომ,რომ ისინი ყოველი ქართველის გულისთქმის,მისწრაფებების,აზრის,ხასიათის შესატყვისნი არიან.ანუ ერთიც და მეორეც ქართველის „შინაგანის“ გარეგან გამოხატულებას წარმოადგენენ.

ყოველივე ზემონათქვამს თუ შევაჯამებთ, შეგვიძლია ვთქვათ,რომ ქართული კულტურა და ხელოვნება არის ქართული გონი,განხორციელებული ისეთ გონით ფენომენებში,როგორებიცაა ენა, ზნე–ჩვეულება, მითი, სარწმუნოება და ხელოვნება. მისი ყოველი დარგი: ცეკვა, სიმღერა, მხატვრობა, ხატწერა, სკულპტურა და ა. ს. ყველა ზემოჩამოთვლილი ფენომენი ქართული გონის ობიექტურ გამოსახულებებს წარმოადგენენ.

როგორც პროფ.თ.ბუაჩიძე წერს, ერი ორგანული მთელია.მისი ნაწილები გარეგნულად კი არ არიან „მიწებებულნი“ ერთმანეთთან, არამედ ერთი საერთო საწყისიდან–ეროვნული გონიდან არიან წარმომდგარნი. უწინარეს ყოვლისა, სწორედ ეს ერთი გონი აძლევს მთლიანობას ერს, ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერის ერთობა ,უპირველეს ყოვლისა,გონითი ერთობაა.ქართველია ის,ვინც აითვისა და გაითავისა ქართული ობიექტური გონის ფენომენები,მათ სიღრმეში ჩამალული „ქართული". ეს ვითარება შესანიშნავად არის გამოთქმული გალაკტიონ ტაბიძის მიერ:

„ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს,
ის პოეზიას ჩემსას გაიგებს".

ეს ნიშნავს: ვინც ჩაწვდება ჩუქურთმაში ქართულ სულს,მისთვის ღია იქნება კარი ქართული ლექსისა და სიმღერისა, ქართული საკულტო–სანახაობებისა და ა.შ.

ავთანდილ ჩაჩავა

საკულტო სანახაობები /„ბერიკაობა“ და „ყეენობა“/, როგორც კულტურული ღირებულებები და გონითი ფენომენები

რეზიუმე

ადამიანის სტრუქტურაში ოთხი სხვადასხვა ფენა არსებობს: სხეული, სიცოცხლე, ფსიქიკა და გონი. საკულტო სანახაობა, როგორც კულტურა, ადამიანის გონითაა შექმნილი.

ადამიანის გონითი ცხოვრება გონითი აქტებით ხორციელდება. საკულტო სანახაობები გონითი აქტებია და კულტურის შემადგენელი ნაჭილი. როგორც კულტურის ნაწილი, საკულტო სანახაობები გაგებას მოითხოვს და არა – ახსნას.

თავის მხრივ, იმ საზრისიანი კავშირის ამოკითხვას გულისხმობს, რომელიც implicito ჩადებულია ამ საკულტო სანახაობებში.

Avtandil Chachava

CULTIC PERFORMANCES /”BERIKAOBA“ AND „KEENOBA”/ AS CULTURAL VALUES AND CONSCIOUS PHENOMENON.

Summary

Human anatomy consists of four different levels: body, life, psyche and consciousness. Cultic performances, as a culture, are formed by human’s consciousness. The conscious life of human is formed by the acts of awareness. Cultic performances are exactly this acts of awareness and part of culture as well. So they need to be understood, not explained.

Over and above, this means to understand the important links which are hidden in these performances.

ანა კლდიაშვილი

აზიელი ქალი ნობელიანტები მშვიდობის განმტკიცების დარგში

XIX საუკუნის მსოფლიოს ერთ–ერთმა უმდიდრესმა კაპიტალისტმა და როგორც მას ხშირად მოიხსენიებენ ''დინამიტის მამამ"– ალფრედ ნობელმა სიკვდილამდე დაახლოებით ერთი წლით ადრე, 1895 წლის 27 ნოემბერს, შეადგინა ანდერძი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ნობელის ფონდის დაარსების იდეა და მისი მოღვაწეობის მიმართულებები. ალფრედ ნობელი გარდაიცვალა 1896 წლის 10 დეკემბერს იტალიის ქალაქ სან-რემოში. ნობელის ფონდი 1900 წელს შეიქმნა. მისი საწყისი კაპიტალი 31 მილიონ შვედურ კრონს შეადგენდა. გამარჯვებულები პირველად 1901 წლის 10 დეკემბერს დაჯილდოვდნენ. ალფრედ ნობელის ანდერძის თანახმად, პრემია გადაეცათ ფიზიკის, ქიმიის, ფიზიოლოგია-მედიცინის და კულტურის სფეროს ღირსეულ წარმომადგენლებს, ასევე მსოფლიოში მშვიდობის საქმეში შეტანილი წვლილისთვის. 1969 წლიდან კი ნობელის პრემია ეკონომიკაშიც დაწესდა. მას შემდეგ ნობელის ფონდის ხელმძღვანელობას ნომინაციების რაოდენობა აღარ გაუზრდია. ნობელის პრემია არ გადაეცემა მათემატიკოსებს. ერთ–ერთი ვერსიის თანახმად, ალფრედ ნობელი განაწყენებული იყო შვედ მათემატიკოს მიტაგ ლეფლერზე, რომელმაც მას საცოლე წაართვა. განრისხებულმა ნობელმა მათემატიკოსების კრეატიულობაში ეჭვი შეიტანა და არ მოახვედრა ლაურეატთა სიაში. ყოველწლიური პრემია არ გაიცემა ერთი სფეროს სამზე მეტ წარმომადგენელზე. ნობელის პრემიის მინიჭების პროცედურები განსხვავებულია. ფიზიკაში, ქიმიასა და ფიზიოლოგია-მედიცინაში, ლიტერატურასა და ეკონომიკაში აღიარებული ლაურეატების დაჯილდოების ცერემონია კოპენჰაგენის საკონცერტო დარბაზში იმართება და გამარჯვებულებს შვედეთის მეფე აჯილდოვებს, ნორვეგიის ნობელის კომიტეტი კი ამ პრემიას მსოფლიოში მშვიდობის საქმეში შეტანილი წვლილისთვის ნობელიანტებს ოსლოში გადასცემს ნორვეგიის მეფისა და სამეფო ოჯახის წევრების თანდასწრებით. 1946 წლიდან ნობელის ფონდი გადასახადებისგან გათავისუფლდა და ინვესტიციების, საქველმოქმედო შემოსავლების ხარჯზე ივსება. ძირითად სამუშაო ენებად მიიჩნევა ფრანგული, ინგლისური, რუსული და გერმანული. ნობელის პრემია შედგება ოქროს მედლისგან, რომელზედაც გამოსახულია ნობელი, ასევე დიპლომისა და ფულადი თანხის ჩეკისგან; თანხის ოდენობა განისაზღვრება ნობელის პრემიის ფონდის შემოსავლით ნობელის პრემიას ანიჭებენ ცალკეულ პირებს მხოლოდ ერთხელ (გამონაკლისი იყო მარია სკლოდოვსკაია-კიური, მან ორჯერ მიიღო ნობელის პრემია ქიმიასა და ფიზიკაში). ნობელის პრემიის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი ყოველი წლის 10 დეკემბერს, ნობელის გარდაცვალების დღეს იმართება, ეს დღე ნობელის დღედაა გამოცხადებული. 1901 წელს პირველი პრემიის გადაცემასთან ერთად გაიმართა ნობელის პირველი ბანკეტი, რომელიც მერიის ლურჯ დარბაზში ეწყობა. {I.}

დღეისათვის მსოფლიოს ჰყავს 889 ნობელის პრემიის ლაურეატი, საიდანაც 47 ქალბატონია, ხოლო ორმა ლაურეატმა საკუთარი ნებით განაცხადა უარი პრემიაზე. 1972 წელს უარი განაცხადა ნობელის პრემიაზე ცნობილმა ფრანგმა მწერალმა და ფილოსოფოსმა ჟან–პოლ სარტმა. თავისი გადაწყვეტილება მან ასე ახსნა: 'არ მინდა რომელიმე სოციალური ინსტიტუტისგან ვიყო დავალებული, ეს ჩემს თავისუფლებას შეზღუდავს". შეერთებული შტატების მიერ ვიეტნამში მოწყობილი ხოცვა–ჟლეტისადმი პროტესტის ნიშნად მშვიდობის პრემიაზე უარი თქვა ვიეტნამელა ლუ დიკ თხომ. რაც შეეხება რუს მწერალ ბორის პასტერნაკს, იგი იძულებული გახდა უკან დაებრუნებინა „კაპიტალისტების" მიერ მინიჭებული პრემია, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი რეპრესიების მსხვერპლი გახდებოდა ხელისუფლების მხრიდან.{III.} საინტერესოა ის ფაქტიც რომ გასული საუკუნის დასაწყისში სტუდენტთა გარკვეულმა ჯგუფმა გამოთქვა სურვილი, რომ ნობელის პრემიაზე აკაკი წერეთელი წარედგინათ, რაზეც მწერლისგან უარი მიიღეს. „როგორც ვიცი, ნობელის პრემიას საყოველთაო მშვიდობის ქადაგებისთვის აძლევენ საზოგადო მოღვაწეებს, მე კი მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მტერთან ბრძოლას და მის განადგურებას ვუქადაგებ ჩემს ხალხს"– განაცხადა აკაკიმ. მსოფლიო სავსეა პარადოქსებით და არც ნობელის პრიზი გახლავთ გამონაკლისი. 1991 წლიდან მოყოლებული ყოველი წლის 30 სექტემბერს ჰარვარდის უნივერსიტეტის 1200 კაციან სააქტო დარბაზში ტარდება მარკ აბრაჰამსის მიერ ინიცირებული ნობელის პრემიის დაჯილდოების ალტერნატიული ცერემონია ე.წ. „ანტინობელი", რომელსაც გადასცემენ ისეთი კვლევებისა თუ გამოგონებებისათვის, რომელთა განხორციელებაც შეუძლებელია ან აზრი არ აქვს. ჯილდოს ნამდვილი ნობელიანტები გადასცემენ. ეს ყოველივე შარჟის ფორმატში მიმდინარეობს თუმცა არანაკლები პოპულარობით სარგებლობს ვიდრე ნამდვილი ნობელის პრემიით დაჯილდოების ცერემონიალი.

აქვე მინდა ავღნიშნო ის ფაქტი, რომ ალფრედ ნობელი არასდროს ყოფილა დაქორწინებული, მას ერთხელ უყვარდა. მისი რჩეული გახლდათ ავსტრიელი ფელდმარშალის და გრაფის ქალიშვილი ბერტა კინსკი. ის ორი წელი მუშაობდა ნობელის მდივნად, მაგრამ სიყვარულითვე ვერ უპასუხა მას. ბერტა ფონ ზუტერსზე იყო შეყვარებული, რომელიც მასზე შვიდი წლით იყო უმცროსი. ოჯახმა არ მისცა ფონ ზუტერსს თანხმობა ბერტა ცოლად შეერთო, რის გამოც ისინი საფრანგეთიდან გაიქცნენ და თავი საქართველოს, კერძოდ სამეგრელოს შეაფარეს, სადაც 9 წელი იცხოვრეს. ბერტა კინსკი ხშირად სტუმრობდა დადიანების სასახლეს და საყვარელი სტუმარი გახლდათ სამეგრელოს სამთავროს ბოლო დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძის. მიუხედავად ყველაფრისა ალფრედსა და ბერტას მიმოწერა არ შეუწყვეტიათ. ალ-

ფრედ ნობელი დიდ თანხებს ურიცხავდა „მოძრაობას მშვიდობისათვის“, რომლის აქტიური წევრიც გახლდათ ბერტა. სამეგრელოში ყოფნისას ცნობილი პუბლიცისტის და კრიტიკოსის იონა მეუნარგიას თხოვნით, არტურ ფონ ზუტნერემა ”ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად თარგმნა დაიწყეს. ეკატერინე ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ, ფონ ზუტნერები სამეგრელოდან გაემგზავრნენ თბილისში, სადაც 4 წელი იცხოვრეს. ბერტა ფონ ზუტნერის ბიოგრაფიის მკვლევარები აღნიშნავენ, რომ მან სწორედ საქართველოში დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა და იმ პერიოდის ევროპული პოლიტიკით დაინტერესდა. ფონ ზუტნერები 1885 წელს დაბრუნდნენ ვენაში, სადაც ბერტამ თავისი პოლიტიკური და საზოგადოებრივი შეხედულებების ამსახველი არაერთი მოთხრობა და სტატია გამოაქვეყნა. 1886 წელს ფონ ზუტნერები მიემგზავრებიან პარიზში, სადაც ალფრედ ნობელის მეშვეობით ბერტა გაეცნო იმ პერიოდის წამყვან პოლიტიკოსებს, ლიტერატორებს და, როგორც შემდეგ დაწერს, გააოგნა პარიზელების მილიტარისტულმა განწყობამ. 1889 წელს ბერტა ფონ ზუტნერი წერს თავის ყველაზე ცნობილ რომანს ”ძირს იარაღი,“ რომელიც მე-19 საუკუნის 60-იანი წლების ევროპული ომებით გაუბედურებული ახალგაზრდა ქალის ცხოვრებას აღწერს. რომანი 16 ენაზე ითარგმნა, პირველი გერმანული გამოცემის ეგზემპლარი კი ზუგდიდში, დადიანების სასახლეში ინახება. სწორედ ამ ნაწარმოებმა მოუტანა ბერტა ფონ ზუტნერს მშვიდობისთვის აქტიურად მებრძოლის სახელი და იქცა იმის ერთ-ერთ საფუძვლად, რომ 1905 წელს ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი გამხდარიყო. მის სახელს უკავშირდება თავად მშვიდობის პრემიის დაარსებაც. ალფრედ ნობელთან მიმოწერისას ბერტა ფონ ზუტნერის მოწოდებებმა, რომ პაციფისტური პროექტები დაეფინანსებინა, შედეგად ის გამოიღო, რომ 1893 წელს მიწერილ პირად წერილში ალფრედ ნობელი მშვიდობის პრემიის დაწესებას დაჰპირდა. {IV.}

მშვიდობის დარგში მოპოვებული ნობელის პრემიის ლაურეატი ქალბატონები არიან: ბერტა ფონ ზუტნერი (1905წ /ავსტრია–უნგრეთი); ჯეინ ადამსი (1931წ. / აშშ/ სოციოლოგი; საერთაშორისო ორგანიზაციის ქალთა საერთაშორისო ლიგა მშვიდობისა და თავისუფლებისათვის პრეზიდენტი); ემის ბოლჩი (1946წ./ აშშ/ისტორიის ყოფილი პროფესორი და სოციოლოგი; საერთაშორისო ორგანიზაციის ქალთა საერთაშორისო ლიგა მშვიდობისა და თავისუფლებისათვის საპატიო პრეზიდენტი); ბეტი უილიამსი (1976წ./ დიდი ბრიტანეთი/ ჩრდილოეთ ირლანდიაში მშვიდობისათვის მოძრაობის დამაარსებელი (ინგლ. Northern Ireland Peace Movement); მეირიდ კორიგანი (1976წ./დიდი ბრიტანეთი/ ჩრდილოეთ ირლანდიაში მშვიდობისათვის მოძრაობის დამაარსებელი (Northern Ireland Peace Movement)); დედა ტერეზა (1979წ./ინდოეთი/ ქველმოქმედების მისიონერების» ლიდერი, კალკუტა); ალვა მიურდალი (1982წ./შვედეთი/ ყოფილი მინისტრი; დიპლომატი; მწერალი); აუნ სან სუ ჩი (1991წ./ მიანმარი/მისი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების არაძალადობრივი ბრძოლისათვის); რიგობერტა მენჩუ (1992წ./ გვატემალა/ იმ მუშაობის აღიარების ნიშნად, რასაც იგი აწარმოებდა მკვიდრი მოსახლეობის სოციალური სამართლიანობისა და ეთნო კულტურულ შერიგების კუთხით); ჯოდი უილიამსი (1997წ./აშშ/მისი მუშაობისათვის ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვისათვის); შირინ ებადი(2003წ./ირანი/მისი ძალისხმევისათვის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების საქმეში. იგი თავის ყურადღებას ამახვილებდა ძირითადად ქალებსა და ბავშვებზე); ვანგარი მატაი (2004წ./კენია/ მისი წვლილისათვის მდგრადი განვითარების, დემოკრატიის და მშვიდობის საქმეში); ელენ ჯონსონ–სირლვი (2001წ./ლიბერია/ ქალთა უსაფრთხოებისა და მათი მშვიდობის მშენებლობაში სრულფასოვანი ჩართვისათვის არაძალადობრივი ბრძოლის გამო); ლეიმა გბოვი (2001წ./ლიბერია/ქალთა უსაფრთხოებისა და მათი მშვიდობის მშენებლობაში სრულფასოვანი ჩართვისათვის არაძალადობრივი ბრძოლის გამო); ტავაკულ კარმანი (2011წ./იემენი/ქალთა უსაფრთხოებისა და მათი მშვიდობის მშენებლობაში სრულფასოვანი ჩართვისათვის არაძალადობრივი ბრძოლის გამო) და მალალა იუსაფზაი (2014წ./პაკისტანი/ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლებების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლისთვის);

დღეისათვის მსოფლიოში 889 ნობელის ლაურეატია, აქედან 47 გახლავთ ქალბატონი და ამ 47–დან კი თექვსმეტს აქვს მიღებული ნობელის სიგელი მშვიდობის დარგში შეტანილი წვლილისთვის. მე არ შეგაწყენთ ყველა მათგანზე საუბრით თავს და მხოლოდ აზიელ ქალბატონებს განვიხილავ შედარებით უფრო ვრცლად. {III.}

აუნ სან სუ ჩი დაიბადა 1945 წლის 19 ივნისს იანგონში, ცნობილი ბირმელი პოლიტიკოსის, ეროვნული გმირისა და პირველი ბირმელი ქალი დიპლომატის ოჯახში. მან განათლება მიიღო ინდოეთში, დელის უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ დიდ ბრიტანეთში, ოქსფორდისა და ლონდონის უნივერსიტეტებში. შემდეგ მოღვაწეობდა ამერიკაში და 1988 წლიდან მიანმარში (ბირმა) დაბრუნების შემდეგ იწყებს პოლიტიუკურ მოღვაწეობას. ამ პერიოდში მიანმარის ხელისუფლებაში სამხედრო ხუნტა მოდის, აუნ სან სუ ჩი შედის პოლიტიკურ მოძრაობაში– ეროვნული ლიგა დემოკრატიისათვის. ხუნტამ იგი შესაძლო ანტი–სახელმწიფოებრივი მოძრაობის ლიდერად მოიაზრა და 1989 წელს მას პირველად შინაპატიმრობა მიუსაჯა. 1990 წელს ხუნტის მიერ ჩატარებულ არჩევნებში ეროვნულმა ლიგამ დემოკრატიისათვის დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. ლიგის ლიდერი არაერთხელ იქნა შინაპატიმრობის მსხვერპლი 1991-2010 წლებში. მან 1991 წელს მიიღო ნობელის პრემია მშვიდობის დარგში. მიღებული ჰონორარი 1,3 მლნ აშშ. დოლარი

მან თანამემამულეების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუნმჯობესებასა და განათლების გავრცელებას მოახმარა.

აუნ სან სუ ჩი მკვლევარების მიერ აღიერებულია როგორც ერთ–ერთი წამყვანი ოპოზიციური პოლიტიკის გამტარებელი აზიელი ქალი პოლიტიკოსი დინასტიური მახასიათებლით. მისი პოლიტიკური იდეოლოგია ოთხ ძირითად კონცეფციას ემყარება“ ა) ხალხის გაუმჯობესება შიშისგან დახსნის გზით; ბ) გაერთიანება დიალოგის მეშვეობით; გ) არა–ძალადობა და დ) „დჰამა“ (მიმდინარეობა ბუდიზმში) ანუ რელიგიური ერთობა. იგი ცნობილია თავისი ღრმა ბუდისტური მრწამსით და მიაჩნია, რომ ბუდისტური რწმენა არის ერთადერთი ეფექტური და აბსოლუტური კანონიერი ძალა.

მისი როგორც პოლიტიკოსის პორტრეტი ასე გამოიყურება : „პატიოსანი, პოპულარული, თავგანწირული და დემოკრატიისთვის მებრძოლი გაბედული ლიდერი, რომელიც ერთადერთია ვისაც შეუძლია ბირმას მოუტანოს დემოკრატია, თავისუფლება, განვითარება და ხალხის გადარჩენა“. მიუხედავად იმისა რომ ბირმელი პოლიტიკოსი გმობს მილიტარისტულ რეჟიმს და იღწვის გენდერული თავისუფლებისთვის მისი პარტიის უმრავლესობა მამაკაცები არიან. იგი არ ხასიათდება ქალთა საკითხებისადმი განსაკუთრებული ინტერესით, თუმცა 2004 წლის ქალთა დღისადმი მიძღვნილ გამოსვლაში იგი ყურადღებას ამახვილებს სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მქონე ბირმელი ქალების ერთობაზე, მან მოუწოდა ბირმელ ქალბატონებს პოლიტიკურ ცხოვრებასა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩართულობისკენ.

2008 წელს ბირმის მილიტარისტულმა ხელისუფლებამ ცვლილება შეიტანა კონსტიტუციაში. უცხოეთის მოქალაქეზე დაქორწინებულ პირებს ეკრძალებოდათ არჩევნებში მონაწილეობის მიღება. როგორც ცნობილია აუნ სან სუ ჩი დაქორწინებული იყო ბრიტანელ მკვლევარზე, რომელთანაც ორი ვაჟი ჰყავს. აღნიშნულმა ცვლილებამ კონსტიტუციაში თითქოს შექმნა საშიშროება აუნ სან სუ ჩის პოლიტიკიდან ჩამოშორებისა, თუმცა ვერავინ იფიქრებდა იმას რომ 2012 წლის 8 ოქტომბერს გამართულ პრესკონფერენციაზე დასმულ შეკითხვაზე, რომელიც 2015 წლის არჩევნებს ეხებოდა, ბირმელი ქალბატონი პარლამენტის წევრისა და ოპოზოციური პარტიის ლიდერის სტატუსით გასცემდა პასუხს. მან განაცხადა რომ: იგი არ არის სამხედროების წინააღმდეგი, პირიქით იგი მიესალმება მათთან ერთად ქვეყნის უკეთესობისკენ შეცვლას. მე ვარ პარტიის ლიდერი და თუ ხალხი მოინდომებს მე უნდა მეყოს გამბედაობა რომ ვიყო პრეზიდენტიც“{VI} დღეს უკვე 2015 წელია და სწორედ წელს დავინახავთ, თუ როგორ მოხდება მიანმარში პოლიტიკური ხელისუფლების გადაბარება, იქნება ეს ჩილეს, ინდონეზიის, პაკისტანის თუ ტაილანდის მოდელი ან იქნებ დავიტოვოთ იმის იმედი რომ დემოკრატია და ლიბერალიზმი გაიმარჯვებს მიანმარში.

პირველი მუსლიმი ქალი ნობელიანტი შირინ ებადი ირანსა და მუსლიმურ სამყაროში ერთ-ერთ თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენს ადამინის უფლებათა დაცვის სფეროში, რომელიც 2003 წელს ნობელის კომიტეტმა ნობელის მშვიდობის პრემიით დააჯილდოვა, როგორც ადამიანთა უფლებებისათვის მებრძოლი მოსამართლე, ადვოკატი, ლექტორი, მწერალი და აქტიური საზოგადო მოღვაწე.

შირინ ებადიმ თავისი აქტიური მოღვაწეობა სამართლის სფეროში 1969 წელს, იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, დაიწყო. მან ჯერ მოსამართლის ტიტული მიიღო, ხოლო მოგვიანებით, 1975 წელს, თეირანის საქალაქო სასამართლოს პირველი ქალი პრეზიდენტი გახდა, სწორედ იმ დროს, როდესაც ქვეყანას ჯერ კიდევ ფაჰლავიანთა დინასტია მართავდა და რომლის დროსაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ადამინის უფლებებისა და განსაკუთრებით ქალთა უფლებების გაუმჯობესების თვალსაზრისით. სწორედ ამ პერიოდში იღებს ებადიც მოსამართლის სტატუსს. მაგრამ შირინ ებადიცა და მისი ოჯახიც იმ ბანაკში აღმოჩნდნენ, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ შაჰის პოლიტიკას, სხვა ინტელექტუალთა მსგავსად, იმ აზრს იზიარებდა, რომ დასავლეთი ხშირ შემთხვევაში სულაც არ იყო პროგრესისა და თავისუფლების მომტანი. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა რეჟიმის წინააღმდეგ წარმართულ კამპანიაში და ირანელ ქალებთან ერთად თავისი წვლილიც შეიტანა ისლამური რევოლუციის გამარჯვებაში, რომელიც ირანელი ხალხისთვის იყო სიმბოლო ახალი ცხოვრებისა და მეტი თავისუფლებისა. მაგრამ რევოლუციის გამარჯვებიდან სულ რამდენიმე თვეში რევოლუციამდელი დაპირებები წარსულს ჩაბარდა და ქვეყანამ საზოგადოებრივი ცხოვრების რიგ სფეროებში რეგრესი განიცადა. საგრძნობლად შეიზღუდა ქალთა უფლებები, დაწესდა სქესთა სეგრეგაცია სამუშაო ადგილებზე, ქალებს ჩამოერთვათ მოსამართლეობის უფლება, ჩადრის ტარება სავალდებულო გახდა, აიკრძალა ოპოზიციური აზრის დაფიქსირება. აქედან მოყოლებული 1993 წლამდე ებადის მოსამართლედ მუშაობის საშუალება აღარ ჰქონია, მაგრამ მას ეს დრო უქმად არ დაუკარგავს, წერდა წიგნებს და აქვეყნებდა სტატიებს პერიოდულ გამოცემებში. აქედან იღებს სათავეს შირინ ებადის, როგორც ადამიანის უფლებათა თავგამოდებული დამცველის, მოღვაწეობა.

შირინ ებადი განსაკუთრებულ აქცენტს ქალების, ბავშვებისა და ლტოლვილების უფლებებზე აკეთებს, როგორც ქვეყნის სოციუმის ყველაზე დაჩაგრულ ფენაზე. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ებადი სათავეში უდგას ადამიანის უფლებათა დაცვის კამპანიას ირანში, მან დააარსა ორი არასამთავრობო ორაგანიზაცია დასავლური დაფინანსებით – ბავშვთა უფლებათა დაცვის საზოგადოება და ადამიანის უფლებათა დამცველი ცენტრი.

შირინ ებადის სამართლიანობისათვის ბრძოლის გზაზე არაერთხელ დაუყენებია თავი საფრთხის ქვეშ. 1999-2000 წლებში ებადის მცდელობა, თეირანის უნივერსიტეტის სტუდენტებზე თავდასხმის ორაგნიზატორები და შემსრულებლები გამოეაშკარავებინა ფირზე ჩაწერილი აღიარებითი ჩვენების საშუალებით, მისი დაპატიმრებითა და სამსახურეობრივი უფლებამოსილების ჩამორთმევით დასრულდა. სწორედ ასეთი ხმაურიანი პროცესების შემდეგ გაიზარდა მსოფლიოს ადმინის უფლებათა დამცველი ორაგნიზა-

ციების ყურადღება როგორც შირინ ებადის, ისე ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის მიმართ, რაც 2003 წელს შირინ ებადისთვის ნობელის მშვიდობის პრემიის გადაცემით დაგვირგვინდა. ამ ფაქტმა მსოფლიო საზოგადოების გაკვირვება გამოიწვია, რადგან პრემიის მთავარ პრეტენდენტად სიკვდილის პირას მყოფი რომის პაპი – იონე პავლე II – მოიაზრებოდა. ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილება მაშინვე პოლიტიკურად მოინათლა და პარალელები გაევლო მიხეილ გორბაჩოვისა და ლეხ ვალენსას ნობელის პრემიით დაჯილდოების ფაქტებთან. აქტიურად ესმებოდა ხაზი ალფრედ ნობელის მრწამსს, რომ პრემია უნდა გადაეცეს იმ ადამიანს, რომელმაც სამშვიდობო მოლაპარაკებები დაიწყო ერებს შორის, წვლილი შეიტანა საომრად გამზადებული არმიების უკან დასახევად ან უზრუნველყო სამშვიდობო მოლაპარაკებების მოწყობა, რასაც ადგილი არ ჰქონია შირინ ებადის მოღვაწეობის მანძილზე.

ეს არის პირველი პრიზი, რომელიც მუსლიმ ქალბატონს გადაეცა თავდაუზოგავი ბრძოლისათვის ადამიანის უფლებების სფეროში მოღვაწეობისათვის. მართალია, ირანში დღეს ქალთა მდგომარეობა წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესებულია, მაგრამ ებადი მაინც თვლის საჭიროდ აქტიურ მოქმედებას, ქალების უფლებების გასაუმჯობესებლად. ის, რომ ირანის უმაღლესი სასწავლებლების კონტინგენტს 66%-ს ქალები შეადგენენ და ისინი მეჯლისშიც არიან წარმოდგენილი, არაა საკმარისი. მამაკაცს კვლავ შეუძლია ოთხი ცოლის მოყვანა, განქორწინება ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, ქალს კვლავ სჭირდება ქმრის ნებართვა სამოგზაუროდ წასასვლელად,

2009 წელს საპრეზიდენტო არჩევნებამდე ძლიერ გამკაცრდა კონტროლი ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილ აქტივისტებზე, მათ შორის, შირინ ებადიზეც. იგი იღებდა არაერთ შეტყობინებასა თუ მოკვლის მუქარას, თავი დაენებებინა ანტისახელისუფლებო, „ანტიისლამური“ პროპაგანდისათვის. ამ გაფრთხილებებს ებადიზე არასოდეს უმოქმედია, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ მან დატოვა ირანი, რადგან სრულ შეუსაბამისობაში მოდიოდა მისი პრინციპები ქვეყნის ხელისუფლებასთან. იგი დღემდე ცხოვრობს და მოღვაწეობს ლონდონში და კვლავ აქტიურად განაგრძობს ირანში ადამიანის უფლებების დაცვისათვის ბრძოლას და საერთაშორისო ორგანიზაციებს მუდმივად ახსენებს ირანში შექმნილ მდგომარეობას. იგი გაერო–ში აგზავნის ოფიციალურ წერილებს, სადაც აშუქებს სხვადასხვა პრობლემურ საკითხებს, როგორიცაა, მაგალითად, პოლიტიკური პრობლემები და ვითარება ირანში, მუშახელის არახელსაყრელი სამუშაო პირობები, პატიმრებისა და განსაკუთრებით ევინის ციხის პატიმრების უფლებათა შელახვა და ა.შ.

გარდა ზემოაღნისშნულისა, ებადი ასევე ხშირად საუბრობს ირანის ბირთვულ პროგრამასა და მის წინააღმდეგ ამერიკისა და გაეროს მიერ დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებზე. ებადი ამ საკითხს, პირველ რიგში, ადამიანის უფლებათა დარღვევის ჭრილში განიხილავს. გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნის წინააღმდეგ შემოღებული სანქციები პირდაპირ რიგითი ადამიანების ეკონომიკურ მდგომარეობაზე აისახება, ებადის აზრით, უმჯობესია აკრძალვების დაწესება უშუალოდ ქვეყნის ოფიციალური პირებისათვის, როგორიცაა, მაგალითად, ქვეყნის საზღვრების დატოვება, მათი პირადი ანგარიშების დაბლოკვა და ა.შ., და არა მთლიანად ქვეყნისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ებადი ანტისახელისუფლებო განწყობით გამოირჩევა, იგი მხარს უჭერს ირანის ბირთვულ პროგრამას და საჯაროდ იცავს მას, როგორც ნაციონალურ სიამაყეს. იგი დაუშვებლად მიიჩნევს პროგრამის შეჩერებას, ამიტომ გამოსავლად მხოლოდ ირანისა და ამერიკის მშვიდობიანი მოლაპარაკებები ესახება. {VII.}

მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის 2011 წლის ლაურეატი სამი ქალი გახდა. მათ პრემია მიენიჭათ კონფლიქტების განმუხტვასა და მსოფლიოში ქალების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის. ესენი არიან ლიბერიის პრეზიდენტი ელენ ჯონსონ-სერლიფი, ლიბერიაში დაბადებული მშვიდობის მოძრაობის აქტივისტი ლეიმა გბოვი და იემენელი უფლებადამცავი ტავაკულ კარმანი. ოფიციალურ ტექსტში წაიკითხავთ, რომ ისინი დააფასეს „ქალების უსაფრთხოებისა და ქალების უფლებებისთვის არაძალადობრივი ბრძოლისა და სამშვიდობო საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის გამო“. ნორვეგიის ნობელის კომიტეტის თავმჯდომარემ თორბიორნ იაგლანდმა ლაურეატების გამოცხადებისას თქვა: „ნორვეგიის ნობელის კომიტეტი იმედს გამოთქვამს, რომ ელენ-ჯონსონ სერლიფის, ლეიმა გბოვისა და ტავაკულ კარმანისთვის პრემიის მინიჭება ხელს შეუწყობს ქალების, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებული, ჩაგვრის დასრულებას. ეს ხელს შეუწყობს დემოკრატიისა და მშვიდობისთვის იმ დიდი პოტენციალის რეალიზებას, რომელსაც ქალები შეიძლება წარმოადგენდნენ.

ტავაკულ კარმანმა სიმამაცე გამოიჩინა რევოლუციის დაწყებამდე ბევრად უფრო ადრე. მრავალი წლის წინ, ის წინ აღუდგა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტარულ და ავტოკრატიულ რეჟიმს...“

იაგლანდმა ხოტბა შეასხა ჯონსონ-სერლიფის საქმიანობას იმ მიმართულებით, რომ მოეტანა მშვიდობა თავისი ქვეყნისთვის და წვლილი შეეტანა სოციალური და ეკონომიკური სამართლიანობის განვითარებაში მას მერე, რაც ის ლიბერიის პრეზიდენტი გახდა. იაგლანდმა ისაუბრა, მეორე ლაურეატზე, გბოვიზე, რომლის ღვაწლი დიდია ლიბერიასა და დასავლეთ აფრიკაში მშვიდობის დამყარების საქმეში. იაგლანდმა აღნიშნა, რომ იემენელი ქალის, კარმანისთვის პრემიის მინიჭება ხაზს უსვამს ნობელის კომიტეტის თვალსაზრისს, რომ ქალების ჩაგვრა არაბულ სამყაროში ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. მან თქვა, რომ „არაბულ გაზაფხულად“ წოდებულ ამბოხამდე ბევრად უფრო ადრე იბრძოდა კარმანი უფლე-

ბების დაცვისთვის. იაგლანდმა შეკითხვაზე, თუ რატომ არ დაასახელეს „არაბული გაზაფხულის“ მონაწილე სხვა აქტივისტები, ასე უპასუხა:

„ტავაკულ კარმანმა სიმამაცე გამოიჩინა რევოლუციის დაწყებამდე ბევრად უფრო ადრე. მრავალი წლის წინ ის წინ აღუდგა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტარულ და ავტოკრატიულ რეჟიმს. ნობელის პრემიას ასე უბრალოდ ვერ მიიღებ. მე დიდად ვაფასებ ბლოგერებს, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებით ვაფასებთ მათ, ვინც სიმამაცე გამოიჩინა უფრო ადრე – მანამ, სანამ მსოფლიო მედია იქ ჩავიდოდა და ცნობებს გაავრცელებდა.“

იემენის რეჟიმის წინააღმდეგ მშვიდობიან ბრძოლაში კარმანი აქტიურად არის ჩართული, ის ერთი-ერთი ლიდერია საპროტესტო მოძრაობისა. მას რეჟიმის შეიარაღებული მომხრეები თავსაც კი დაესხნენ. თვითონ კარმანი მშვიდობიანი ბრძოლის, მაჰათმა განდის და მარტინ ლუთერ კინგის, ასევე ნელსონ მანდელას ტაქტიკის მიმდევარია. ნობელის პრემიის მინიჭების თაობაზე მან თქვა, რომ ის პრემიას იემენის რევოლუციის ახალგაზრდა მონაწილეებს და იემენისხალხსუძღვნის. ფულადი პრიზი – მილიონ ოთხას ოთხმოცი ათას დოლარი მათ თანაბრად გაინაწილეს. {III.}

ნობელიანტებს შორის ყველაზე უმცროსი გახლავთ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე, მალალა იუსაფზაი, პაკისტანელი უფლებადამცველი, რომელიც მთელს მსოფლიოში ქალებისთვის განათლებაზე ხელმისაწვდომობისთვის გამოდის. მისი უფლებადამცველობითი საქმიანობის გამო, 2012 წლის 9 ოქტომბერს იგი ძლიერად იქნა დაჭრილი ტერორისტული მოძრაობა „ტეჰრიკ-ი-თალიბან პაკისტან“-ის მებრძოლების მიერ. 2013 წელს მიიღო ანა პოლიტკოვსკაიას სახელობის პრემია და სახაროვის პრემია. 2014 წელს გახდა ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი ინდოელ კაილაშ სატიართისთან ერთად. 2014 წლის 29 ოქტომბერს მიენიჭა კიდევ ერთი პრესტიჟული პრემია, მსოფლიოს ბავშვთა პრემია, რომელსაც მედია ნობელის ბავშვთა პრემიას უწოდებს.{VII.}

„პრესტიჟი ნობელის პრემიისა აიხსნება მრავალი მიზეზით, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მისი ორმაგი თვისებით – იდეალისტურითა და ინტერნაციონალურით: იდეალისტურით, რამეთუ იგი მაღალი იდეებით შთაგონებული ნაწარმოებებისთვისაა განკუთვნილი, და ინტერნაციონალურით, რადგანაც მისი მინიჭება ხდება სხვადასხვა ქვეყნის მიღწევათა საგულდაგულო შესწავლისა და მთელი მსოფლიოს ინტელექტუალური მოღვაწეობის შეჯამების შემდეგ. ყოველგვარი მეორეხარისხოვანი მოსაზრების უარყოფით, – აქ მნიშვნელობა მხოლოდ სულიერ ღირებულებებს ენიჭება, – მსაჯულნი გონებით გადადიან იმ სფეროში, რომელსაც ფილოსოფოსები „გონის საზოგადოებას“ უწოდებენ, რითაც მათ ზედმიწევნით მოჰყავთ სისრულეში ფონდის დამაარსებლის ჩანაფიქრი. თავის ანდერძში ალფრედ ბერნჰარდ ნობელი აცხადებს, რომ სურს ემსახუროს იდეალიზმსა და ხალხთა შორის ძმობის დამკვიდრების საქმეს. მან ზუსტად განსაზღვრა თავისი მიზანი, როდესაც ლიტერატურისა და სამეცნიერო მოღვაწეობისათვის დაწესებულ ჯილდოებთან ერთად დააწესა „მშვიდობის პრემიაც".–წერდა ფრანგი მწერალი ანრი ბერგსონი.

ნობელის პრემია ერთერთი ყველაზე საპატიო ჯილოდოა მსოფლიოში. ის ახდენს ადამიანის შესაძლებლობების, უნარის, ნიჭისა და თავდადების აღიარებასა და დაფასებას. ა.ნობელის ანდერძში მკაცრადაა გაწერილი ის მიმართულებები, რომელიც სასიცოცხლოა კაცობრიობის გადასარჩენად. ა.ნობელის ფონდი ემსახურება მეცნიერებისთვის, ლიტერატურასა და მშვიდობისათვის თავგანწირული მოღვაწეების შრომის დაფასებას. ის კვლევები, შრომები, ლიტერატურული ქმნილებები რომელთა გამოც ნობელიანტები ჯილდოვდებიან კაცობრიობისათვის სულიერი საზრდოსა და მამოძრავებელი ეფექტის მქონე მნიშვნელობისაა. თითქოს ყველამ ვიცით ნობელის ფონდის შესახებ, მეტ-ნაკლებად თვალყურს ვადევნებთ ყოველწლიურ დაჯილდოების ცერემონიალს, მაგრამ ბევრმა არ იცის ის მათემატიკური სიზუსტის მქონე პროცედურები, ეტიკეტი და ვალდებულებები რაც ამ გრანდიოზულ ღონისძიებას ახლავს თან. ისევე როგორც „ყველაფერს ამ სამყაროში, ნობელის ჯილდოსაც აქვს თავისი ისტორია, რომელმაც ნაშრომის წერისას ძალიან გამიტაცა. ასევე საინტერესო და მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ის ადამიანები, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობისა თუ ფასდაუდებელი მიღწევებით დაიმსახურეს ნობელის ჯილდო. თუ გადავხედავთ ნობელის ლაურეატებს, აუცილებლად დავინახავთ იმ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ თუ სულიერ გარემოს რაც თითოეულის მოღვაწეობის დროისათვის იყო დამახასიათებელი. ნაშრომიდან გამომდინარე, მე განსაკუთრებით დავინტერესდი მშვიდობის დარგში აზიელი ქალბატონების მიერ შეტანილი წვლილით. განვიხილე რამდენიმე მათგანი და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი და თითქოს უფრო მკაფიოდ გავიგე აზიელი ქალბატონებიის მზაობა და მონდომება იყვნენ დემოკრატიული, თანასწორ პრინციპებზე დაფუძნებული მსოფლიოს განუყრელი ნაწილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

I. ‘’ალფრედ ნობელი“ ავტორი: კენე ფანტი/ გამომცემლობა: ქართული ბიოგრაფიული ცენტრი 2011წ.

II. “Alfred Nobel. The Man Behind the Peace Prize”- Kathy-jo Wargin, 2009

III. www.nobelprize.org

IV. www.radiotavisupleba.ge სტატია: ‘’ნობელის მუზეუმი ბათუმში“, ავტორი: გიორგი გვახარია, 23,04,2007წ.

V. Interview with Aung San Suu Kyi conducted in Maesot 2004
VI. The Nation ‘’Myanmar’s Suu Kyi says willing to be president“ 2012
VII. „ოქროს გალია“ ავტორი: შირინ ებადი/ გამომცემლობა ინტელექტი 2011წ.
VIII. „მე ვარ მალალა“ ავტორი: მალალა იუსაფზაი/ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა 2015წ.

ანა კლდიაშვილი

აზიელი ქალი ნობელიანტები მშვიდობის განმტკიცების დარგში

რეზიუმე

ნობელის პრემია ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ჯილდოა მსოფლიოში. ის ახდენს ადამიანის შესაძ-ლებლობების, უნარის, ნიჭისა და თავდადების აღიარებასა და დაფასებას. ასევე საინტერესო და მნიშვნე-ლოვანია ვიცოდეთ ის ადამიანები, რომლებმაც თავიანთი საქმიანობითა თუ ფასდაუდებელი მიღწევებით დაიმსახურეს ნობელის ჯილდო. მე განსაკუთრებით დავინტერესდი მშვიდობის დარგში აზიელი ქალბა-ტონების მიერ შეტანილი წვლილით. განვიხილე რამდენიმე მათგანი და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი და თითქოს უფრო მკაფიოდ გავიგე აზიელი ქალბატონების მზაობა და მონდომება იყვნენ დემოკრატიული, თანასწორ პრინციპებზე დაფუძნებული მსოფლიოს განუყრელი ნაწილი.

Ana Kldiashvili

NOBEL PEACE PRIZE AWARDED ASIAN LADIES

Summery

Nobel Prize is one of the most popular and honourable prize in the world. It evaluates and estimates the human’s talent, aptitude and devotion. It is very important to know the people who were awarded the Nobel Prize for their works and invaluable achievements. It was interesting to look through the life and work of the Asian ladies who won the Nobel Peace Prize and finally, somewhere deep in my mind, I could better understand their readiness and desire to live in and be the part of the democratic, equal rights based modern world.

მაყვალა (გაია) კოღუაშვილი

მედეა – უფრო მეტი, ვიდრე მითი

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში უკვე მრავალი წელია განსაკუთრებული ინტერესი არსებობს უცხოურ ლიტერატურაში ქართული თემატიკის ასახვის მიმართ. იმ მწერალთა ნუსხას, რომელთაც ქართული თემატიკა მხატვრული ასახვის ობიექტად აირჩიეს, ბუნებრივია, სათავეში ბერძენი ავტორები უდგანან. და, რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა ისინი, ვინც არგონავტების შესახებ მითი გადაამუშავეს. ამ უკანასკნელთა შორის კი თავისი პოპულარობით ყველას აღემატება ევრიპიდეს ტრაგედია „მედეა“.

როგორც ცნობილია, მედეას თემის გადამუშავებაზე, მის ინტერპრეტაციაზე, ევრიპიდეს „მედეას“ ადაპტაციასა თუ რეცეფციაზე, მრავალი ნაშრომია დაწერილი.მაგრამ, არც ის არის უცნობი, რომ მხატვრული ლიტერატურა განვითარებადი პროცესია და რასაკვირველია, ზღვარის დადება რომელიღაც ეპოქით ან მწერლით ყოვლად გაუმართლებელია.

სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანებში, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში შეინიშნება ერთგვარად ყურადღების მოდუნება იმ საკითხის მიმართ, თუ როგორ ასახვას პოვებს არგონავტების და კერძოდ, მედეას თემა მეორე მსოფლიო ომისშემდგომ უცხოურ ლიტერატურაში, რომელსაც ქმნიან ახალი მენტალიტეტის ადამიანები ახალი მენტალობის მაყურებლისთვის.

როგორც ცნობილია, დღესაც კი მსოფლიოში საქართველოს იდენტიფიკაციის ძირითად სიმბოლოებად თუ საორიენტაციო ობიექტებად ერთის მხრივ პრომეთეს ესქილესთან წარმოდგენილი სახე, მეორეს მხრივ არგონავტების თქმულება და კერძოდ, ევრიპიდეს მიერ შექმნილი მედეას ფიგურა გვევლინებიან. რასაკვირველია, ინტერესმოკლებული არ არის გავერკვეთ, თუ როგორ რეაგირებს ომისშემდგომი დასავლეთი მედეას თემაზე, მას შემდგომ, რაც ჩამოყალიბება იწყეს დასავლური იდენტობის ახალმა კრიტერიუმებმა, ახალმა ღირებულებებმა, ახალმა დამოკიდებულებებმა საერთო ფემინიზმის ეპოქაში.

მედეა თითქმის ორი ათასწლეულის მანძილზე წამყვანი ფიგურა და პერსონაჟია მსოფლიო ლიტერატურასა და ხელოვნებაში. იგი გარკვეული დროის შემდეგ მსგავსად ბიბლიური დავითისა გახდა დაზარალებული და მებრძოლი ქალის სახე. ბერძნულ ტრაგედიებს შორის ევრიპიდეს „მედეა“აღიარებულია როგორც ყველაზე მეტად ინტერპრეტირებული პიესა. სწორედ ევრიპიდემ მედეას პერსონაჟს შვილების დახოცვით და შემდეგ კი გაქცევით უფრო მეტი სირთულე და ორაზროვნება შესძინა. მედეა იქცა პრობლემატურ, წინააღმდეგობებით აღსავსე გმირ ქალად ლიტერატურაში.

უკვე დიდი ხანია მედეა გახდა უფრო მეტი ვიდრე პერსონაჟი. იგი გაცდა მითის საზღვრებს და დაიწყო თავისი თავის მატერიალიზება. დროთა განმავლობაში მედეას პერსონაჟმა განიცადა ტრანსფორმაცია, რომელიც ადვილად ერგება სხვადასხვა კულტურას და ადაპტირდება თანამედროვეობასთან. ევრიპიდემდე მითში მედეას შესახებ არ იყო შვილების მკვლელობა. ევრიპიდემ კი ამ ფაქტით შექმნა მეტად საინტერესო პერსონაჟი, რასაც მივყავართ იმ დასკვნამდე, თუ რამდენად მარტივად არის შესაძლებელი მხატვრული პერსონაჟის გადაქცევა არქეტიპად, რომელიც თავის თავში აერთიანებს უამრავ ხასიათს და შეუძლია გარდაისახოს სხვადასხვა დროსა და ეპოქაში.

მედეას მხატვრული სახე პოლიტიკური და რელიგიური ზეწოლის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანის სიმბოლო გახდა. 1635 წელს პ. კორნელიმ მოახდინა მედეას ადაპტაცია და ეს იყო პასუხი იმ პერიოდში განხორციელებულ რელიგიურ დევნებზე. გრილპარცერმა თავის ტრილოგიაში „ოქროს საწმისი“ ასევე მოახდინა მედეას ინტერპრეტირება თანამედროვეობასთან და იგი მე-19 საუკუნის დასაწყისის ავსტრიაში, ბობოქარი ანტისემიტიზმის ხანაში დაიწერა.

ისტორიული მოვლენების ცვალებადობასთან ერთად მედეას სახეც ეტაპობრივად იცვლებოდა. ფაშისტური იდეოლოგიის დროს მედეა, როგორც არქეტიპი, განასახიერებდა ებრაელთა ბრძოლას პოლიტიკური მოტივით მსხვერპლთშეწირვის წინააღმდეგ. ამ მითის პოლიტიზირებას ახორციელებს ასევე ირლანდიური თეატრი, რომელიც ინგლის-ირლანდიის იმპერიალისტური დაძაბულობის ტიპიური ნიმუში გახლდათ.

ევრიპიდეს „მედეას“ მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოახდინოს გარდასახვა და ადაპტაცია ყოველი ეპოქის გამოძახილსა თუ პრობლემატიკაზე. შემდგომ ეტაპზე მედეა ასევე გვევლინება პროტო-ფემინისტურ ფიგურად. ეს იდეა დომინირებს Robert Duncan-ის პიესაში „Medea at Kolchis“, რომელიც 1965 წელს დაიდგა. ავტორი აქცენტირებას აკეთებს მედეას, მოზარდი გოგონას ნაადრევ სქესობრივ მიდრეკილებებზე, ბავშვების ეროტიზაციაზე და ზრდასრული ადამიანის დანაშაულზე.

ზოგიერთი მნიშვნელოვანი პროცესის ნათელსაყოფად, რაც ამ მხრივ ხდებოდა დასვლეთის ლიტერატურასა და დრამატურგიაში და ჯერ კიდევ შეუმჩნეველი დარჩა ქართულ ლიტერატურათმცონეობაში, ყურადღებას შევაჩერებ რამდენიმე ამერიკელ ავტორზე. თავდაპირველად განვიხილავ რ. ჯეფერსის „მედეას“, რომელიც, როგორც ჩემთვის ცნობილია, შეუმჩნეველი დარჩა ქართველი მკითხველისათვის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პროფესორ ნატალია ორლოვსკაიას ქუთაისში, ამერიკათმცოდნეობის საერთაშორისო კონფერენციის შრომებში გამოქვეყნებულ სტატიას.[1]

[1] ნ. ორლოვსკაია – „რობინსონ ჯეფერსი და მისი პიესა „მედეა“. III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ქუთაისი, 2006.

მოკლედ შევეცდები თქვენი ყურადღება შევაჩერო იმაზე, რაც ქ-მა ნატალია ორლოვსკაიამ შენიშნა რ. ჯეფერსის „მედეას“ანალიზისას. თავდაპირველად ავტორი გვაძლევს მოკლე მონაცემებს მწერლის შესახებ და ყურადღებას ამახვილებს, რობინსონ ჯეფერსის მნიშვნელობაზე, მის მოღვაწეობაზე ომისშემდგომ პერიოდში. იგი აღნიშნავს, რომ რ. ჯეფერსი გამოირჩეოდა დიდი ინტერესით ანტიკურობის მიმართ და თავადაც კარგად ფლობდა ბერძნულ ენას.

რობინსონ ჯეფერსი (1887-1962) ცნობილი ამერიკელი მწერალია, რომელიც აქტიურად მოღვაწეობდა მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში. მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობა მეტად დიდია. იგი ქმნიდა ლექსებს, პიესებს, დრამატურგიულ ნაწარმოებებს. უმეტესად იგი წერდა თეთრი ლექსით. უკვე შემოქმედების ადრეულ პერიოდში იგი მიმართავს სიუჟეტს არგონავტებისა და მედეას შესახებ, მაგრამ მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები არის პიესა „მედეა“, რომელიც დაიწერა 1946 წელს.

ქ-ნ ნ. ორლოვსკაია სტატიაში განიხილავს თავად პიესას და ყურადღებას აქცევს იმ მსგავსება-განსხვავებას რაც ევრიპიდეს „მედეასა“ და რ. ჯეფერსის „მედეას“ შორის არსებობს.

მინდა აღვნიშნო, რომ „მედეას“ადაპტაცია გამოვლინდა არამარტო სიუჟეტის განვითარების, არამედ კონცეპტუალური დონეზე.

ცნობილია, რომ ევრიპიდედან დაწყებული, ამ თემის უამრავი დამუშავება არსებობს. დიდი ფრანგი დრამატურგი პიერ კორნელი წერდა: „ყველაზე ცნობილი რაც ანტიკურობამ დაგვიტოვა, არის ლეგენდა არგონავტებზე“. პიესებში მედეას შესახებ გამოყენებულია თქმულების სხვადასხვა ეპიზოდი და შეტანილია ცვლილებები სიუჟეტის განვითარებასა და ინტერპრეტაციაში.

ეჭვგარეშეა, რომ რ. ჯეფერსის „მედეა“ წარმოადგენს მწერლის შემოქმედების მწვერვალს. პიესა მიძღვნილია ცნობილი მსახიობის ჯუდით ანდერსონისადმი, ვისთვისაც ავტორმა გადაამუშავა ეს ძველი მითი: „To Judith Anderson for whom this was written“. ნაწარმოების სათაურშივე აღნიშნულია, რომ პიესა წარმოადგენს ევრიპიდეს ტრაგედიის თავისუფალ ადაპტაციას. ისევე როგორც ბერძნულ პიესაში, მოქმედება ხდება ერთი დღის განმავლობაში კორინთოში, მედეას სახლის წინ. იგივე რჩებიან მოქმედი გმირები, ოღონდ მაცნეს ნაცვლად შეყვანილია ახალგაზრდა მონა. ინგლისური ტექსტისათვის დამახასიათებელია მრავალი შენიშვნა და რემარკა, რომლებიც ხაზს უსვამენ სცენაზე წარმოდგენილ ამბებს.

როგორც პროფ. ნატალია ორლოვსკაია აღნიშნავს, „ტექსტების შედარებამ გვიჩვენა, რომ ევრიპიდეს სიუჟეტის ძირითადი ხაზი არ არის შეცვლილი ჯეფერსის მიერ, მაგრამ მის ადაპტაციაში მოქმედება უფრო დინამიურად ვითარდება. ამერიკელი ავტორი ამოკლებს ბერძნული პიესის გრძელ მონოლოგებს“. მაგალითად, ბერძნულ პიესაში კრეონის წასვლის შემდეგ მედეა გამოხატავს თავის გრძნობებს ვრცელ მონოლოგში, ინგლისურ ტექსტში კი იგი ამბობს მხოლოდ ერთ, მაგრამ ძალიან შთამბეჭდავ ფრაზას: „I will thank you, and the whole world will hear of it“[1]. ზოგ ადგილას მონოლოგების ნაცვლად გამოყენებულია დიალოგები. ამავე დროს გვხვდება ადგილები, სადაც ტექსტი გაზრდილია და ამით ავტორი ცდილობს ხაზი გაუსვას პიესაში შექმნილ დაძაბულ სიტუაციებს. ამავე მიზანს ემსახურება ტექსტში გაკეთებული რემარკები, რომლებშიც ავტორი აძლევს მსახიობებს სათანადო მითითებებს.

სტატიის ავტორი ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ ამერიკელი ავტორის პიესაში საგრძნობლადაა გაზრდილი მედეას გადიის როლი. გადია სცენაზე მხოლოდ პიესის დასაწყისში არის. ნაწარმოები იწყება მისი მონოლოგით. ინგლისურ ტექსტში კი გადია პიესის ბოლომდე იღებს აქტიურ მონაწილეობას მომხდარ ამბებში. იგი ყოველნაირად ცდილობს დაეხმაროს მედეას, გაიგებს ათენის მეფის ჩამოსვლის შესახებ და უნდა შეახვედროს მას მედეა; სწორედ გადია თხოვს ეგეუსს, რომ მისცეს მედეას თავშესაფარი. ევრიპიდეს მაცნეს ნაცვლად გადია ყვება კრეონისა და მისი ქალიშვილის დაღუპვის ამბავს.

საგულისხმოა, რომ პროფ. ნატალია ორლოვსკაიას ყურადღებიდან არ რჩება ჯეფერსის მიერ გაკეთებული მნიშვნელოვანი ცვლილებები აგრეთვე ქოროს როლშიც. ორივე პიესაში ეს არის კორინთოს ქალების ქორო, მაგრამ ჯეფერსთან მისი შემადგენლობიდან ცალკე გამოყვანილია სამი ქალი, რომლებიც გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებებს. ისინი დაახლოებული არიან პიესის გმირებთან, უფრო შინაურულად ესაუბრებიან მათ. ტექსტის ეს ნაწილი უმეტეს შემთხვევაში მთლიანად დაწერილია თვით ჯეფერსის მიერ.

პიესის ზოგ ადგილას ჩართულია სცენები, სადაც მედეა ესაუბრება ქალებს, რაც ავტორს საშუალებას აძლევს უკეთესად გააშუქოს მთავარი გმირის სახე. ევრიპიდესთან ქორო დგას მოქმედ გმირებზე მაღლა, ქორო აფასებს მათ საქციელს და წინასწარ იციან რა უნდა მოხდეს. ჯეფერსის პიესაში კი არის ადგილები, სადაც მბრძანებლის როლში გამოყვანილია მედეა.

პროფ. ნ. ორლოვსკაიას აზრით, ჯეფერსის პიესაში იასონის სახე, ევრიპიდესთან შედარებით, თითქმის, უცვლელი რჩება – ზოგ ადგილას კიდევ უფრო ხაზგასმულია მისი უარყოფითი თვისებები.

ცხადია, რომ პიესის ცენტრში დგას მთავარი გმირი ქალი – მედეა. სტატიის ავტორი მართებულად აღნიშნავს: „ჯეფერსს იზიდავს არაჩვეულებრივი ქალი, უსაზღვროდ ძლიერი სიყვარულშიც და სიძულვილშიც. თავის პიესაში იგი ცდილობს, რაც შეიძლება ღრმად და მრავალმხრივად აჩვენოს მისი შინაგანი სამყარო. ამისათვის ავტორი ზოგჯერ ცვლის ან გადაადგილებს ცალკე ეპიზოდებს“[2]. მაგალითად, შემ-

[1] Robinson Jeffers. Medea. New York, 1946, p. 27

[2] ნ. ორლოვსკაია – „რობინსონ ჯეფერსი და მისი პიესა „მედეა“. III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ქუთაისი, 2006, გვ. 150.

თხვევითი არ არის რომ მოქმედ გმირთა რიცხვში შეყვანილია ახალგაზრდა მონა. ეს პერსონაჟი ავტორს დაჭირდა, რათა ხაზი გაესვა მედეას გულკეთილობისა და უბრალო ხალხისადმი კარგი დამოკიდებულებისათვის.

მთელი პიესის განმავლობაში ხაზგასმულია მედეას, როგორც მეფის შვილის სიამაყე. ამავე დროს ტექსტში ნახსენებია მისი აღმოსავლური წარმოშობა. ნაწარმოების დასაწყისში, როდესაც მედეა დასტირის თავის ბედს, ავტორი აკეთებს რემარკას: „She is asiatic an laments loudly“[1]. თვით მედეა უპირისპირებს თავისთავს ბერძნებს და ეუბნება კორინთოს ქალებს: „You came to see how the barbarian woman endures betrayal“[2].

ძლიერი და ამაყი ხასიათის ქალი,მედეა ძალზე გაბრაზდება, როცა კრეონი, მისი მტერი, ამბობს: „I pity you, Medea, but you must go“. მედეას პასუხში უკვე იგრძნობა მისი შურისძიების ტრაგიკული დასასრული: „You pity me?... We shall see in the end who’s to be pitied“[3].

პროფ. ნატალია ორლოვსკაია განსაკუთრებით ხაზს უსვამს, თუ როგორ შთამბეჭდავად აჩვენებს რ. ჯეფერსი მედეას გულში შურისძიების გრძნობის მომწიფებას. ამასთან დაკავშირებით მას მოყავს მედეასა და ათენის მეფის შეხვედრის სცენა, რომელიც ჯეფერსთან სულ სხვა ხასიათს ატარებს. „ევრიპიდესთან მედეა მუხლებზე მდგომი ეხვეწება ეგეუსს, რომ მისცეს თავშესაფარი მას და მის შვილებს, ჯეფერსის ადაპტაციაში კი სცენის დასაწყისში მედეას საერთოდ არ უნდა შეხვდეს ათენის მეფეს. მის ნაცვლად მოქმედებს გადია, მედეა კი ჩაფლულია თავის ფიქრებში და აქტიურად ჩაებმება ლაპარაკში მხოლოდ მაშინ, როდესაც ეგეუსი ჩივის, რომ არის უშვილო: „One’s children are the life after death“. აქედან ებადება მედეას აზრი, რომ იასონის მიმართ სრული შურისძიებისათვის საჭიროა დატოვოს იგი უშვილოდ, მაგრამ ეს ფიქრი აშინებს მას: „My dear, my love... I would not hurt my children“[4].

მოტანილი მაგალითების საფუძველზე სტატიის ავტორი ასაბუთებს, რომ ტექსტში შეტანილი ცვლილებებით ჯეფერსი კიდევ უფრო უსვამს ხაზს, თუ როგორ იბრძვიან მედეას გულში შეურაცხყოფილი ქალის და მოსიყვარულე დედის გრძნობები. მისი სიამაყე მოითხოვს შურისძიებას და იგი ღუპავს კრეონსა და მის ქალიშვილს, მაგრამ შურისძიების მეორე საფეხური მისთვის აუტანელია „I wish all life would perish, and the holy gods in high heaven die, before my little ones come home to my hands“[5].

მედეას გრძნობების ბრძოლა გრძელდება პიესის ბოლომდე, მაგრამ ქალის სიამაყე საბოლოოდ იმარჯვებს. მედეა პირდაპირ ამბობს, რომ არ არის ჩვეულებრივი ქალი, რომელიც მოითმენს შეურაცხყოფას: „You there! You thought me soft and submissive like a common woman – who takes a blow and cries a little and runs about the housework, loving her master? I am not such a woman“[6].

ქ-ნ ნ. ორლოვსკაიას მართებული მოსაზრების საფუძველზე პიესის ბოლო სცენაში მედეა გვევლინება, როგორც ძალიან მრისხანე, საშიში, მაგრამ დიადი, როდესაც იგი ხვდება აღშფოთებულ იასონს და უწინასწარმეტყველებს, რომ იგი დაიღუპება მისივე გემის, არგოს ნამსხვრევებში.

ჯეფერსის „მედეა“ დაიდგა სცენაზე ნიუ იორკში და სენსაციური წარმატება ჰქონდა. ყველა წყაროში აღნიშნულია, რომ მედეას როლს უბრწყინვალესად ასრულებდა ჯუდით ანდერსონი, ვისთვისაც დაიწერა ეს ადაპტაცია. პიესის დადგმას დიდი გამოხმაურება მოყვა. მარკ შორერი ყურადღებას ამახვილებს პიესის მელოდრამატულ მომენტებზე, მაგრამ ისიც ადასტურებს, რომ „მედეას“ დადგმის შემდეგ, „Jeffers found a wide audience“[7], ხოლო ბ. კოსტელო ჯეფერსის პიესას უწოდებს „A powerful adaptation“-ს[8] და აღნიშნავს მის დიდ წარმატებას. ჯეფერსის პიესა უდავოდ არის ევრიპიდეს ნაწარმოების უაღრესად საინტერესო ადაპტაცია, რომელშიც კარგად არის გათვალისწინებული მეოცე საუკუნის სცენის სპეციფიკა და მისი თანამედროვე მაყურებლის მოთხოვნილებები.

საინტერესოდ მიმაჩნია ყურადღება მივაქციო იმ საკითხებს, რაც ამ სტატიის მიღმა დარჩა. კერძოდ, თუ რა რეაქცია და გამოხმაურება ჰქონდა აღნიშნულ დადგმას და რატომ გახდა ასე აუცილებელი მისი განხორციელება ომისშემდგომ ამერიკაში.“ When Robinson Jeffers’ adaptation of Euripides’ Medea opened on Broadway, on October 20th, 1947, it was immediately hailed as one of the greatest successes of the year. If Medea does not entirely understand every aspect of her whirling character, wrote the critic for the New York Times, she would do well to consult Judith Anderson (who took the title role)“[9].

საინტერესოა, რა სტიმული მისცა აღნიშნულმა პიესამ მის შემდგომ დამუშავებას, როგორ აისახება სხვა მენტალობის თანამედროვეობაში მედეას თემა, როგორ ეხმიანება სექსუალურ რევოლუციას და ის რაც ადრე ტაბუდადებულ თემებად ითვლებოდა, როგორ ხდება პრიორიტეტული.

---

[1] Robinson Jeffers. Medea. New York, 1946, p. 7
[2] Ibid, p. 81
[3] Ibid, p. 21
[4] ნ. ორლოვსკაია – „რობინსონ ჯეფერსი და მისი პიესა „მედეა“. III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ქუთაისი, 2006, გვ. 151.
[5] Robinson Jeffers. Medea. New York, 1946, p. 78
[6] Ibid, p. 93
[7] M. Schorer, Op. cit,. p. 196
[8] B. Costello. Robinson Jeffers. The World Book Encyclopedia, vol. 11. Chicago, London, 1996, p.75
[9] The New York Times, October 21st, 1947, p.27

ამის ნათელსაყოფად კი შემოგთავაზებთ ნიჭიერი დრამატურგის, მსახიობისა და რეჟისორის ჩარლზ ლადლემის მიერ 80-იან წლებში განხორციელებულ „მედეას“ ახალ ადაპტაციას.

ჩარლზ ბრაუნ ლადლემი დაიბადა ნიუ-იორკში (Floral Park-ში) მერჯორი (დაბადებით ბრაუნი) და ჯოზეფ უილიამ ლადლემების ოჯახში. გაიზარდა ნიუ-იორკში (Greenloawn-ში) და სწავლობდა Harborfields-ის საშუალო სკოლაში. არ იყო საიდუმლო, რომ იგი იყო გეი. ლადლემი თავის პიესებში ძირითადად ქალთა როლების შემსრულებლად გვევლინება. მან მოიპოვა გაუგენჰაიმის, როკფელერის პრემიები და გრანტები ნიუ-იორკის სახელმწიფო საბჭოს და ხელოვნების ეროვნული ფონდებიდან. სიკვდილამდე ორი კვირით ადრე მას თეატრში გამორჩეული მიღწევისთვის მიანიჭეს Gilder-ის პრემია.

მისი ყველაზე ცნობილი პიესა იყო „The Mystery of Irma Vep“, რომელიც 1991 წლისათვის იყო ყველაზე უფრო დადგმადი პიესა ამერიკაში. ლადლემი ამ პიესაში თამაშობდა მის შეყვარებულთან ევერეტ კვინტონთან ერთად. 1987 წლის მარტში ლადლემს დაუსვეს სპიდის დიაგნოზი. იგი შეეცადა თავი გადაერჩინა ჯანსაღი ცხოვრების წესით და ვეგეტარიანული დიეტით. გარდაიცვალა 1 თვის შემდეგ პნევმონიით ნიუ-იორკში. მისი თეატრის წინ ქუჩას უწოდეს მისი სახელი. 2009 წლიდან იგი შეიყვანეს „American Theater Hall of Fame“-ის წევრად.

რამდენიმე სიტყვა სასაცილო თეატრზე,სადაც ლადლემის პიესები იდგმებოდა. იგი თეატრალური ჟანრის სახელწოდებაა. 1965 წ. ნიუ-იორკში ჩამოყალიბდა „სასაცილო თეატრალური სახლი“, რომელსაც 1967 წელს გამოეყო „სასაცილო თეატრალური კომპანია“. აღნიშნულ თეატრში დასაქმდნენ ფართო სამსახიობო ნიჭის, სხვადასხვა სტილისა და მიმართულების მსახიობები. შეიცვალა დეკორაციებიც. ყველა ცვლილება ემსახურებოდა ერთ მიზანს, დადგმა ყოფილიყო მაქსიმალურად შოკისმომგვრელი. სასაცილო თეატრმა ინტენსიურად გამოიყენა ე. წ. ოქროს გენდერის თემა (ადამიანი, რომელსაც გააჩნია საპირისპირო სქესად ყოფნის სურვილი და თავს ცუდად გრძნობს საკუთარ სხეულში). სამსახიობო დასი ძირითადად არაპროფესიონალი მსახიობებისგან იყო შემდგარი, მრავლად იყვნენ ე. წ. drag queen-ები, აუდიტორიის გასახალისებლად ქალის ფორმაში გადაცმული მამაკაცები. თეატრის სცენარები ძირითადად იქმნებოდა პოპ-კულტურული ნაწარმოების პაროდიებისგან. თეატრში მნიშვნელოვანი როლი იმპროვიზაციას ეჭირა. თავად სახელწოდების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მისი ავტორი გახლდათ მწერალი რონალდ თაველი, რომელმაც ამ ტერმინის ქვეშ თავისივე რამდენიმე დრამატურგიული ნაწარმოები გააერთიანა, თუმცა მოგვიანებით იგი მთლიანად ჟანრის აღმნიშვნელი გახდა.

თეატრის დირექტორი იყო ჯონ ვაკარო, რომელიც ჯერ კიდევ მიწისქვეშა თეატრალურ ჯგუფს ხელმძღვანელობდა. სპექტაკლები რონალდ თაველთან თანამშრომლობით ხორციელდებოდა. პირველი ოფიციალური სპექტაკლი იყო „Life of Lady Godiva“ რონალდ თაველის ავტორობით. ვაკაროსთან ერთად გამორჩეული ადგილი ეჭირა ჩარლზ ლადლემს, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოგვიანებით გამოეყო ვაკაროს და მსახიობთა ნაწილთან ერთად შექმნა საკუთარი კომპანია „Ridiculous theatrical Group“. ამ უკვე ორ სხვადასხვა მოძრაობას ბევრი საერთო ჰქონდა. განსაკუთრებით არატრადიციული ორიენტაციის საკითხი, ორივე იყენებდა ე. წ. ოქროს გენდერებს და დრაგ ქუინებს. თუმცა ლადლემი ვაკაროს კონსერვატორად მიიჩნევდა, რომელსაც არ სურდა ჰომოსექსუალების გამოყენება და უარყოფდა სიშიშვლეს სცენაზე, რადგან ეშინოდა დაპატიმრების.

ვფიქრობ, არ იქნება ინტერესმოკლებული გავერკვეთ ე.წ. „სასაცილო თეატრის“ არსში, რომლის ძირითადი მიზანი იყო გაეხადა პიესები შოკისმომგვრელი, უაღრესად ტრაგიკული – სასაცილო. მაყურებლის შოკირებისთვის მრავალ საშუალებათა შორის კი უპირატესობას ანიჭებდნენ შოკირებას, რაც უნდა გამოხატულიყო საზარელის გამძაფრებული ჩვენების და სატირულის წინა პლანზე წამოწევით.

ჩარლზ ლადლემი ცდილობდა სასაცილო გაეხადა გოთური რომანები, ლორკას, შექსპირის, ვაგნერის ნაწარმოებები. თეატრის კრიტიკოსი ბრენდან გილი აღნიშნავდა: „This is not farce. This isn’t absurd. This is absolutely ridiculous[1]“. თვითონ ლადლემი კი წერდა: „I would say that my work falls into the classical tradition of comedy. Over the years there have been certain traditional approaches to comedy. As a modern artist you have to advance the tradition. I want to work within the tradition so that I don’t waste my time trying to establish new conversions. You can be very original within the established conversions.“[2]

ლადლემი ე. წ. „დრეგ“ პერფომანსის წარმომადგენელია. 60-იანი წლებიდან ჰომოსექსუალთა ტერა ინკოგნიტა იპყრობს მეცნიერთა ყურადღებას. მათ შორის ჰომოსექსუალთა დრეგ თეატრი, რადგან ბევრი გეი მსახიობი უფრო უკეთ წარმოაჩენდა ქალურობას, ვიდრე ქალი შემსრულებლები.

ლადლემის ოცნება, სასაცილო თეატრი გადაქცეულიყო დიდი სოციალური ძვრების საბაბად და ამერიკის ყველაზე დიდ კომიკურ თეატრად, თითქმის განხორციელდა. იგი იპყრობდა ყველა ტიპის აუდიტორიას და მიმართული არ იყო მხოლოდ გეებისკენ.

ლადლემის პიესაში თავდაპირველად მონაცვლეობით თამაშობდა Everell Quinton და Black-Eyed Susan მედეას როლში. ზოგადად კი მედეას როლის შემსრულებლად ყოველთვის რჩებოდნენ მამრობითი სქესის წარმომადგენლები.

[1] http://en.wikipedia.org/wiki/Charles_Ludlam

[2] Castle, Ted „Charles Ludlam and Christopher Scott Interview“ *BOMB Magazine*, Winter 1982

ეს პიესა სასცილო თეატრის კონცეფციის მიხედვით იუმორისტულ ჭრილში ვითარდებოდა, მაგრამ მედეა აქ კვლავ მებრძოლ ადამიანად გვევლინება რაღაც მიუღებლის წინააღმდეგ. იგი იბრძვის ანტიდემოკრატიული პრინციპების, ბედისწერის არსებობისა და ტრადიციული კლიშეების წინააღმდეგ:

მედეა: „You Greeks are idiots with your fatalism and your democracy! Your institutionalize your mediocrity and make a virtue of it! We don't accept our fate so easily where I come from, nor do we consider it an advantage to be in the majority".[1]

ევრიპიდეს „მედეასგან" განსხვავებით ამ შემთხვევაში აქცენტირება კეთდება მამაკაცის როლზე საზოგადოებაში, როგორც დომინანტზე. მოყვანილია მზარდი სიკვდილიანობის მაგალითები ამერიკის რეალობიდან, რაც სქესობრივი ურთიერთობების გზით გადამდები დაავადებებით იყო გამოწვეული. საზოგადოება კი თავს არიდებდა რეალობას.

ლადლემის გარდაცვალების შემდეგ გაგრძელდა მისი ტრადიციები. ლადლემის ზეგავლენით აარონ მარკმა წარმოადგინა მონოსპექტაკლი „სხვა მედეა". იგი თავად იყო სცენარის ავტორი და რეჟისორი. მთავარ როლს ასრულებდა მსახიობი ტომ ჰიუტი. ეს იყო მართლაც შემაძრწმუნებელი სპექტაკლი. „I walked away from the show incredibly impressid and legitimately terified (there were times I found myself gripping the back of the seat in front of me). Another Medea chronicles the tale of Marcus, a gay actor in present-day New York who gets into a relationship with arich British doctor (Jason, naturally), has two children with him, and well... you can guess how it ends."[2] იგი წარმოადგენს გეი წყვილის ტრაგედიას. კერძოდ, მასში აღწერილია გეი მსახიობის ურთიერთობა მდიდარ ბრიტანელ ექიმთან (იასონთან), რომელთაც ყავთ ორი შვილი. რეჟისორს იდეა, რომ მედეას როლი ეთამაშა გეის, გაუჩნდა ლადლემის პიესისგან „მედეა", თუმცა ლადლემი თავის პიესაში ქალს განასახიერებდა. ეს სპექტაკლი კი ტომი ჰიუტისთვის შეიქმნა. მარკმა შექმნა სრულიად განსხვავებული პიესა, ძალზედ საზარელი, სადაც ტომი დეტალურად ყვება შვილების მკვლელობის ამბავს. გეი წყვილის თემამ კი ეს ყველაფერი ზედმიწევნით გაამძაფრა.

ასევე ყურადღებას იმსახურებს ლადლემის გარდაცვალების დღისადმი მიძღვნილი სატირული „მედეა", რომელშიც მისი ტრადიციის გამგრძელებლები შეეცადნენ ეჩვენებინათ ლადლემის თეატრის კონცეფცია და არსი. მათ ამ პიესის ჩვენებით ხაზი გაუსვეს იმ დიდი ვაკუუმის არსებობას, რაც ლადლემის სიკვდილმა გამოიწვია. „The tribute was in part dedicated to demonnstrating the continiuty of the company Mr. Ludlam left behind, and to this end, Ridiculous troupers nobly performed scenes from past triumphs. But Mr. Ludlam was not merely the igniting spirit, artistic director and playwright-in-residence of the Ridiculous – he was also its foremost performer. Instead of affirming the company's artistic survival, each of the memorial's haunted sketches seemed to accentuate the enormous size of the vacuum left by Mr. Ludlam. One kept waiting for the star entrance that would never come".[3] 1984 წელს ევერეტ კუინტონის მიერ ლადლემის „მედეას" მიხედვით განხორციელებული დადგმა არ წარმოადგენდა მის განმეორებას. და მიუხედავად ამისა ამ თეატრს უდაოდ გამოუჩნდა გამგრძელებლები. „While the Ridiculous Theatrical Company's own fate is impossible to predict, two evenings of its „Medea" does leave the promising feeling that its heirs are searching their own talents to find the founder's artistic legacy rather than enshrining what is irretrievable in the past.''[4]

ასე რომ, მედეას პერსონაჟმა უამრავი გარდასახვა განიცადა ორი ათასწლეულის მანძილზე, რომლის სრულყოფილად მიმოხილვა ერთი სტატიის ფარგლებში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. მან განსახიერება ჰპოვა არამარტო მხატვრულ ლიტერატურაში, არამედ მუსიკაში, მხატვრობაში, ბალეტში, საოპერო ხელოვნებასა თუ კინოში.

ევრიპიდეს „მედეა" დღემდე რჩება იმ ერთ-ერთ განუმეორებელ პერსონაჟად, რომლის ადაპტაცია შესაძლებელია ნებისმიერ დროსა და ეპოქაში, ნებისმიერი სოციალური თუ პოლიტიკური გარდაქმნების ფონზე.

როგორც ჩანს, მედეას თემა ჩვენს ეპოქაში აღელვებს თანამედროვე ლიტერატურას და რაც მთავარია, მას გამოუჩნდა მრავალი აპოლოგეტი, მაგალითად კრისტა ვოლფი. საინტერესოა, რომ ინგლისის სამეფო თეატრის სცენაზე ბენ პაუერის მიერ სულ ახლახან განხორციელებული „მედეა"ამ თეატრში ყველაზე პოპულარულ და გახმაურებულ დადგმად ითვლება.

როგორც ვხედავთ, ბერძენი მწერლის მიერ აქტუალიზებული საქართველოსთან დაკავშირებული პერსონაჟის სახე თავისი მნიშვნელოვნებით დღესაც მსოფლიო ლიტერატურის ე.წ. პროტაგონისტთა რიგებშია. ქართული თემატიკის ასახვა მსოფლიო ლიტერატურაში არ არის დროში და სივრცეში ჩაკეტილი მოვლენა. იგი ისევე დინამიურია და ცვალებადი, როგორც საზოგადოდ ლიტერატურული პროცესი,რაც მის სისტემატურად გამოვლენას და კვლევას საჭიროებს.

[1] Medea by Charles Ludlam From Euripides' drama. Ed. by Samuel French, p. 8

[2] John Stuart Fauquet - A Conversation With Another Medea's Aaron Mark; http://www.huffingtonpost.com/johnstuart-fauquet/another-medea-aaron-mark-interview_b_3087353.html

[3] Frank Rich - Satirical 'Medea,' By the Ludlam Troupe; http://www.nytimes.com/1987/11/09/theater/stage-satirical-medea-by-the-ludlam-troupe.html

[4] Ibid.

გამოყენებული ლიტერატურა:

ნ. ორლოვსკაია – რობინსონ ჯეფერსი და მისი პიესა „მედეა“. III საერთაშორისო სამეცნიერო კონ-ფერენციის მასალები. ქუთაისი, 2006.
Robinson Jeffers. Medea. New York, 1946.
B. Costello. Robinson Jeffers. The World Book Encyclopedia, vol. 11. Chicago, London, 1996.
The New York Times, October 21st, 1947.
http://en.wikipedia.org/wiki/Charles_Ludlam
Castle, Ted „Charles Ludlam and Christopher Scott Interview“ *BOMB Magazine*, Winter 1982
Medea by Charles Ludlam From Euripides' drama. Ed. by Samuel French.
John Stuart Fauquet - A Conversation With Another Medea's Aaron Mark; http://www.huffingtonpost.com/johnstuart-fauquet/another-medea-aaron-mark-interview_b_3087353.html
Frank Rich - Satirical 'Medea,' By the Ludlam Troupe; http://www.nytimes.com/1987/11/09/theater/stage-satirical-medea-by-the-ludlam-troupe.htm

მაყვალა (ბაია) კოღუაშვილი

მედეა – უფრო მეტი ვიდრე მითი

რეზიუმე

უცხოურ ლიტერატურაში ქართული თემატიკის ასახვის საკითხის განხილვისას წინა პლანზე არგო-ნავტიკის და კერძოდ მედეას თემა იწევს.

მედეა მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი პერსონაჟია და როგორც თავად ევრიპიდეს „მედეა“, ასევე მისი სხვადასხვა მწერლის მიერ ადაპტირებული ვერსიები, დღესაც წარმატებით იდგმება მსოფლიო სცენებზე. გამონაკლისს არც ამერიკა წარმოადგენს.

სტატიაში წარმოჩენილია ამერიკაში განხორციელებული „მედეას“ რამდენიმე გახმაურებული დად-გმა, რომლებსაც მიმართება აქვთ ევრიპიდეს „მედეასთან“, მაგრამ ამავდროულად ადაპტაციის პროცეს-ში ისინი შორდებიან ერთმანეთს.

სტატიაში განხილულია, რაში მდგომარეობს ეს მსგავსება-განსხვავებანი, რატომ შეირჩა ეს პიესა ადაპტაციისათვის,როგორ ეხმიანება თანამედროვეობას, რა შედეგები ჰქონდა მაყურებელზე და რაში გამოვლინდა ადაპტაცია სიუჟეტურ თუ კონცეპტუალურ დონეზე.

Makvala (Baia) Koguashvili

MEDEA – MORE THAN MYTH

Summary

When the question of featuring Georgian themes in the world literature is brought up for discussions the story of Argonauts and „Medea“ comes out in the frontline of attention.

Media is one of the most notorious protagonists in the world literature and like Euripides’ „Medea“ proper, adapted versions of other playwrights’ are successfully produced on different theatrical stages of the world and, evidently, America has been no exception.

In the present article I discuss some of the most hailed adaptations of Medea, both of which account for some references to Euripides’ play. However, in the adaptation process the new versions appear distanced from the Greek master’s composition.

The article discusses the reasons of the similarities and differences, and answers the question why the given drama had been chosen for adaptations, how the productions respond to the modern world, what impacts the respective plays made on spectators, and in what the adaptations have been realized on the plot and conceptual levels.

რამაზ ლომინაძე

აშშ-ს კავკასიური პოლიტიკა და ზემოქმედების ახალი ბერკეტები

კავკასიის რეგიონი ყოველთვის იპყრობდა ძლიერი ქვეყნების ყურადღებას. თუკი მე-16 საუკუნემდე აქ ბატონობისთვის ძირითადად ოსმალეთი და სპარსეთი ეცილებოდა ერთმანეთს, შემდგომში მათ რუსეთიც შეუერთდა. მე-19 საუკუნის 30-ანი წლებისთვის წარმატებული ომებისა და აქტიური საგარეო პოლიტიკის შედეგად რუსეთი პრაქტიკულად უკვე მთელ კავკასიას აკონტროლებდა. რუსეთის ამგვარმა აქტივობამ ინგლისი შეაშფოთა, ვინაიდან კავკასია რუსეთისთვის ინდოეთში შესაღწევი პლაცდარმი ხდებოდა. სწორედ ამიტომ ინგლისმა კავკასია ბრიტანეთის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების სფეროდ გამოაცხადა და დაიწყო ისეთი პოლიტიკური სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც დღევანდელი აშშ-სა და მათი მოკავშირეების ამჟამინდელი რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედებებს მოგვაგონებს. ინგლისმა რუსეთის მზარდი ექსპანსიის შესაჩერებლად საფრანგეთი და თურქეთი მოკავშირეებად გაიხადა. შავ ზღვასა და კავკასიაში გავლენის სფეროების გადანაწილებისთვის ბრძოლა ყირიმის ომით დასრულდა. მოკავშერათა გამარჯვების მიუხედავად რუსეთმა შეძლო კავკასიის შენარჩუნება. პირველმა მსოფლიო ომმა და რუსეთის რევოლუციამ კავკასიაში არსებული სახელმწიფო სტრუქტურების რღვევა, ეკონომიკური ქაოსი, ეროვნებათშორისო და რელიგიური კონფლიქტების გამწვავება გამოიწვია. შექმნილი სიტუაციით ისარგებლეს ინგლისმა, საფრანგეთმა, თურქეთმა და აშშ-მ, რომლებმაც ნავთობით მდიდარ რეგიონში თავისი გავლენის გაზრდის მიზნით ხელი შეუწყეს კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბებას. საბჭოთა კავშირის შექმნის შედეგად რუსეთმა მოახერხა კვლავ აღედგინა თავისი გავლენა კავკასიაში, შემოერთებინა კავკასიის ხალხები და ახლად შექმნილი სახელმწიფოები. კავკასიის მიმართ ცხოველ ინტერესს ამჟღავნებდა ჰიტლერული გერმანიაც, რომლისთვისაც ეს რეგიონი აღმოსავლეთში შემდგომი ექსპანსიის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენდა, მაგრამ გერმანელთა მცდელობა მიემხროთ კავკასიელები, უშედეგო აღმოჩნდა. ფაშიზმზე გამარჯვებისა და საბჭოთა კავშირის ძლევამოსილ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შედეგად კავკასიის რეგიონისადმი სხვა სახელმწიფოების ინტერესი მე-20 საუკუნის 90-ან წლებამდე მნიშვნელოვნად შენელდა. ამ ინტერესმა აქტიურად კვლავ იჩინა თავი მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც ამიერკავკასიაში სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სუვერენული სახელმწიფოები შეიქმნა. ამ პერიოდში რუსეთის დასუსტებამ, მისმა არათანმიმდევრულმა და მეტწილად მცდარმა კავკასიურმა პოლიტიკამ ერთის მხრივ, ამიერკავკასიაში რუსეთის გავლენის მნიშვნელოვანი შესუსტება და, მეორეს მხრივ, ამ რეგიონში მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების გააქტიურება გამოიწვია. ამ აქტიობის ძირითად მიზანს ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოების თავიანთი გავლენის სფეროებში მოქცევა წარმოადგენდა. ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესი ამიერკავკასიის მიმართ გასული საუკუნის 90-ანი წლების მეორე ნახევრიდან მნიშვნელოვნად ძლიერდება, როდესაც ცნობილი გახდა კასპიის ზღვის აუზში ნავთობისა და გაზის დიდი მარაგების არსებობის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის სამინისტროს მონაცემებით კასპიის ზღვის აუზის რესურსები ასე გამოიყურებოდა: ნავთობი – 17-დან 33 მილიარდ ბარელამდე, პოტენციური მარაგი 223 მილიარდ ბარელამდე; გაზი-გამოკვლეულია 232 ტრილიონი კუბური ფუტი, პოტენციური მარაგი 350 ტრილიონი კუბური ფუტი. სწორედ ამან ათქმევინა აშშ-ს ყოფილ სახელმწიფო მდივან ჯ. ბეიკერს, რომ 21-ე საუკუნეში ინდუსტრიული სამყაროსთვის კასპიის ნავთობი ისეთივე მნიშვნელობის იქნება, როგორც ამჟამად სპარსეთის ყურის საბადოები. სწორედ ამიტომ ამიერკავკასია და კასპიისპირეთი ამერიკის აქტიური საგარეო პოლიტიკის რეგიონს წარმოადგენს. ამ ლოგიკიდან გამომდინარე 1997 წელს აშშ კონგრესმა კავკასია თავისი საციცოცხლო ინტერების ზონად გამოაცხადა. ამავე წელს ზბიგევ ბზეჟინსკი აცხადებს, რომ: „ევრაზიის დაპყრობა და მასზე კონტროლი შეერთებული შტატების ძირითადი მიზანია.“ მისი აზრით, აშშ გეოსტრატეგიის გრძელვადიანი მართვის ინტერესების ფორმულირების ამოსავალი წერტილი კონცენტრირდება საკვანძო მომქმედი სუბიექტების სწორ შეფასებაზე. (3)

კავკასიაში დამკვიდრების პოლიტიკას აქტიურად დაუჭირეს მხარი აშშ-ს მოკავშირე სახელმწიფოებმა, პირველ რიგში ნატოს წევრმა ქვეყნებმა. 2000 წელს რუსეთმა ასევე გამოაცხადა კავკასია თავისი ინტერესების სასიცოხლო ზონად, როდესაც აღნიშნა, რომ კავკასიის რეგიონი ტრადიციულად წარმოადგენს რუსეთის ნაციონალური ინტერესების ზონას. გასული საუკუნის მიწურულს მსოფლიოს პოლიტიკურ რუქაზე მომხდარმა ცვლილებებმა მრავალ რეგიონში და, რასაკვირველია, მათ შორის კავკასიაშიც, სიტუაცია დაძაბა. თვალნათლივ წარმოჩინდა პოლიტიკური და ეკონომიკური წინააღმდეგობები როგორც რეგიონის ქვეყნების ურთიერთმიმართებაში, ასევე რუსეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, თურქეთს, ირანს, ევროკავშირსა და სხვა სახელმწიფოებს, სამხედრო და ეკონომიკურ გაერთიანებებს შორის. კავკასიაში და მის მიმდებარე მეზობელ რეგიონებში (შუა აზია, შუა და ახლო აღმოსავლეთი) მრავლად დაგროვდა სახელმწიფოთაშორისო,რელიგიური, ეთნიკური და სხვა მოუწესრიგებელი საკითხები, რომელთა გამწვავებასაც ხშირად რეგიონით დაინტერესებული მსხვილი პოლიტიკური მოთამაშეები ცდილობენ თავის სასარებლოდ გამოიყენეონ.

კავკასიისადმი ასეთი განუხრელი და მზარდი ყურადღება შემთხვევითი არ არის, ვინაიდან გეოპოლიტიკური თვალსაზრისით კავკასიის რეგიონი უმნიშვნელოვანესია იმის გამო, რომ:

- ეს არის დერეფანი გაზისა და ნავთობის მისაწიდებლად შუა აზიიდან და კასპიის აუზოდან შავი ზღვის პორტებსა და თურქეთში;
- ეს არის რეგიონი, რომელიც უშუალოდ ეკვრის კასპიის მნიშვნელოვან ნავთობსაბადოებს;
- ეს არის კვანძი, რომელშიც გადაიკვეთება უმნიშვნელოვანესი კომუნიკაციები ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და აღმოსავლეთოდან დასავლეთისაკენ;
- სამხედრო თვალსაზრისით, ეს არის უმნიშვნელოვანესი პლაცდარმი ავიაციის, ფლოტისა და სახმელეთო ჯარების განლაგებისათვის. (7)

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებს მსოფლიო ასპარეზზე ჯეროვანი კონკურენტი აღარ დარჩა. ორი ზესახელმწოფოსგან ერთ-ერთის დაშლამ ბიპოლარული მსოფლიო ერთპოლარულად აქცია. ამ კარდინალური გეოპოლიტიკური ცვლილებებიდან გამომდინარე შეერთებული შტატების მიერ გადაიხედა სტრატეგიის ძირითადი კონცეფციები, მათ შორის კავკასიასთან მიმართებაშიც. აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და გეოპოლიტიკური სტრატეგია ჩამოყალიბებულია აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში, აშშ-ს ეროვნული თავდაცვის სტრატეგიაში, აშშ-ს სამხედრო ნაციონალურ სტრატეგიაში, აშშ-ს პრეზიდენტების გადაწყვეტილებებში, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტისა და კონგრესის დადგენილებებში.

ახალი რეალიების გათვალისწინებით წამყვანი ამერიკელი პოლიტოლოგების აზრით, (2) შეერთებული შტატების გეოპოლიტიკის მიზანს ევრაზიულ კონტინენტზე უპირობო ზეგავლენის მოპოვება წარმოადგებს. ევრაზიაზე კონტროლის გაძლიერება ხომ ნიშნავს, გავლენა გქონდეს მსოფლიოს მოსახლეობის 75%, მსოფლიო ენერგორესურსების ¾, რაც თავისთავად მსოფლიოზე ზეგავლენის მოპოვებას გულისხმობს. ამ თვალსაზრისით ევრაზიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონი, საითკენაც მიმართული უნდა იყოს აშშ-ს ძალისხმევა – კავკასიაა. თუ კი მივიჩნევთ, რომ ერთპოლარული მსოფლიოს პირობებში მსოფლიოზე განუხრელი ზეგავლენის მოპოვებისათვის აშშ-თვის ევრაზიის კონტინენტზე შეუზღუდავი დამკვიდრება წარმოადგენს,უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ მხრივ მისი ძირითადი მოწინააღმდეგე რუსეთი უნდა იყოს. სწორედ ამიტომ, რიგ სხვა ფაქტორების გათვალისწინებითაც, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონი, რომლის მიმართაც შტატების ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული კავკასიაა. ამერიკელი პოლიტიკოსები ერთიანი არიან მოსაზრებაში, რომ კავკასიაზე პოლიტიკური გავლენა გლობალური კონტროლის ერთ-ერთი გასაღებია. სწორედ ამ გავლენის გასაძლიერებლად აშშ-ს ინტერესს ამიერკავკასიაში წარმოადგენს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის გარანტიის უზრუნველყოფა, ირანსა და ისლამურ ფუნდამენტალიზმზე კონტროლის განხორციელება, ენერგორესურსებზე წვდომა და რეგიონში რუსული იმპერიული ამბიციების აღორძინების შესაძლებლობების თავიდან აცილება.

მსოფლიოში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით 2010 წელს განახლდა აშს-ს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. (8) გამოიკვეთა, რომ აშშ-ს პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს იმ მზარდ საფრთხეებს, როგორიცაა ომები კიბერცივრცეებში, ეპიდემიური დაავადებები, ეთნიკური კონფლიქტები და უთანასწორობანი. პოლიტიკურ სტრატეგიაში შემოვიდა ტერმინი „პაუერ“ („power”), რომელიც გულისხმობს ძალას, ძალაუფლებას. „პაუერ“ – ესაა სხვადასხვა სფეროში გამოყენებული უნივერსალური ცნება. ამ კონტექსტში „პაუერ“ – ესაა სხვებზე ზემოქმედებისა და სასურველი შედეგის მიღების საშუალება. თავისი არსისა და ზემოქმედების მიხედვით პოლიტიკური „პაუერი“ სამი სახისაა: მყარი, რბილი და საშუალო.

მყარი (hard power) – გულისხმობს სასურველი შედეგის მისაღწევად ხისტი პოლიტიკის, მათ შორის სამხედრო ძალის გამოყენებას. რბილი (soft power) საშუალებას იძლევა არაძალადობრივი გზით მომხრეებად გაიხადო ადამიანები, საზოგადოება და ისე მიაღწიო დასახულ მიზანს. საშუალო (smart power) წარმოადგენს წინა ორის კომბინაციას.ამერიკელების მიერ გატარებული „ რბილი ძალის“ მეთოდი 5 ძირითად პუნქტზეა კონცენტრირებული.

1. გლობალური ცვლილებების გათვალისწინებით ალიანსებისა და ინსტიტუციების შექმნა,პარტნიორობის დამყარება.
2. საზოგადოებრივი დიპლომატიის,განათლებისა და სწავლების სფეროში საერთაშორისო კონტაქტების აქტივიზაცია.
3. გლობალური განვითარების საკითხებში უნიფიცირებული მიდგომების შემუშავება.
4.ადამიანების ფართე ფენებისთვის ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგად ვაჭრობით მიღებული მოგების გადიდება.
5. ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მხარდაჭერა.

„რბილი ძალის“ მეთოდი წარმატებით იქნა გამოყენებული ამერიკელების მიერ კავკასიაში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ახალი სტრატეგია იქნებოდა მიღებული. პოლიტოლოგების რჩევების საფუძველზე ჯერ კიდევ პრეზიდენტ ბ.კლიმტონის ადმინისტრაციამ განსაზღვრა კავკასიაში ძირითადი მიზანი, როგორც „მთელი რეგიონისა და მის ირგვლივ საერთაშორისო სისტემის გარდასახვა.“ (3)

კავკასიაში ამ მეთოდის ძირითადი მიზანი იყო მოსახლეობაში ახალი მომხრეების შეძენა.მასობრივი ინფორმაციის საშუალებები,პოლიტიკოსები და კულტურის მოღვაწეები,სხვადასხვა საგანმანათლებლო ცენტრები ამერიკული ცხოვრების წესის პროპაგანდას ეწეოდნენ,მოუთხრობდნენ ამერიკულ იდეალებზე,მაღალ კულტურაზე,სამართლიანობაზე. ფუნქციონირება დაიწყო სხვადასხვა ამერიკული ფონდების მიერ დაფინანსებულმა პროგრამებმა მცირე ბიზნესის განვითარებისათვის,კადრების გადამზადებისა თუ ინგლისური ენის შესწავლისათვის.გახშირდა მასწავლებლებისა და მოსწავლეების სტაჟირებები. მრავალი ამ პროგრამებიდან დღესაც მოქმედებს.შედეგად ვღებულობთ,რომ ყოველგვარი ძალადობის გამოყენების გარეშე, მომხრეთა წრის გაფართოების ხარჯზე,ინტერნეტის,მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და თანამედროვე კომუნიკაციების გამოყენებით ხორციელდება აშშ სტრატეგიული გავლენის ზრდის უზრუნველყოფა.განსაკუთრებით გამოვლინდა ეს საქართველოში.2012 წლისგაზაფხულზე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა,რომ მოქალაქეები საქართველოს ყველაზე დიდ პარტნიორად აშშ-ს მიიჩნევენ-60%,ყველაზე მეტ საფრთხეს რუსეთისაგან ელიან-82%,ხოლო „ნატო“-ში ინტეგრაცია 79% სურს. საქართველო შედარებით მოკლე დროში დემოკრატიული განვითარების ნიმუშად იქცა და სამაგალითოა ყველა პოსტ-საბჭოთა ქვეყნისთვის. საქართველო აშშ-სა და ევროკავშირში ხედავს იმ მოკავშირეებს, რომლებსაც მისი დაცვა შეუძლიათ მოსკოვის ზეწოლისაგან. ამ ამოცანის შესასრულებლად საჭიროა თანამშრომლობა სამხედრო სფეროში, პოლიტიკური მხარდაჭერა, ქართული ეკონომიკის რეფორმირება დასავლურ ყაიდაზე და საზოგადოებაში დემოკრატიული პროცესების შემდგომი გაღრმავება.

ნატოს პროგრამის „პარტიორობა მშვიდობისათვის“ აშშ აქტიურად ეხმარება საქართველოს ჯარის მომზადებაში, სამხედრო რეფორმაში. ამავდროულად საქართველო მნიშვნელოვანი პარტნიორია ვაშინგტონისათვის. შეერთებულ შტატებს უნდათ, საქართველო მისაბაძი მაგალითი გახდეს მთელი რეგიონისთვის. განხორციელებული რეფორმების შედეგად საქართველო შევიდა მსოფლიოს იმ ქვეყნების ათეულში, სადაც იოლია ბიზნესის დაწყება და ამვდროულად სამართლიანად ითვლება რეგიონის საუკეთესო დემოკრატიის ქვეყნად.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამერიკული „რბილი ძალის“ პოლიტიკის წარმატებას ამიერკავკასიაში, და მეტწილად საქართველოში, ხელი შეუწყო რეგიონში რუსეთის აგრესიულმა, წინააღმდეგობრივმა, არათანმიმდევრულმა და ბუნდოვანმა პოლიტიკამ. ამდენად, შეიძლება დაისკვნას, რომ ამერიკული „SOFT POWER“-ი იზრდებოდა, ხოლო რუსული „SOFT POWER“-ი მცირდებოდა. შეერთებული შტატების უმთავრესი გეოპოლიტიკური მიზანია მსოფლიო გავლენის მოპოვება, რაც პირველ რიგში მოითხოვს ევრაზიის კონტინენტზე ამ გავლენის გავრცელებასა და რუსეთის გავლენის შესუსტებას. ამ მიზნის მისაღწევად პოლიტიოკური აქტივობის ერთ-ერთ უმთავრეს პლაცდარმად რჩება კავკასია, როგორც ე.წ. „უსაფრთხოების ქამარი“ და „SOFT POWER“-ის პოლიტიკის გატარება საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მიმართ.

ლიტერატურა

1. Anthony Cordesman, Michael Gibbs, Brian Gold, *The US strategy in the Caucasus* http://csis.org/publication/us-and-iranian-strategic-competition-impact-turkey-and-south-caucasus (2015)

2. Ariel Cohen, *Eurasia on a knife edge,* 2006 www.heritage.org/.../reducing-us-dependence-on-middle-eastern-oil (2015)

3. Joseph Nye, *Soft Power: The Means to Success to World Politics,* 2005

4. Збигнев Бзежинский, *Великая шахматная доска*,1997, www.e-reading.club/book.php?book=6132(2015)

5. Н. Гегелашвили, *Политика США на Южном Кавказе в контексте перезагрузки,* magazines.russ.ru/vestnik/2011/30/ge8.html (2015)

6. Сергей Македонов, *США на Южном Кавказе: особенности внешнеполитических подходов* commonspace.eu/rus/blogs/15/author8/id81 (2015)

7. www.nbenegroup.com/war/kavkaz.html

8. www.state.gov/p/eur/ci/gg/(2015)

რამაზ ლომინაძე

აშშ-ს კავკასიური პოლიტიკა და ზემოქმედების ახალი ბერკეტები

რეზიუმე

მსოფლიოში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით 2010 წელს განახლდა აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. პოლიტიკურ სტრატეგიაში შემოვიდა ტერმინი „პაუერ“ („power”) – სხვებზე ზემოქმედებისა და სასურველი შედეგის მიღების საშუალება. თავისი არსისა და ზემოქმედების მიხედვით „პაუერი“ სამი სახისაა: მყარი, რბილი და საშუალო. რბილი ძალის მეთოდი წარმატებით იქნა გამოყენებული ამერიკელების მიერ კავკასიაში. განსაკუთრებით გამოვლინდა ეს საქართველოში, რომელიც შედარებით მოკლე დროში დემოკრატიული განვითარების ნიმუშად იქცა და სამაგალითო გახდა ყველა პოსტ-საბჭოთა ქვეყნისთვის. რბილი ძალის გამოყენების მიზნით შეიქმნა რეფორმების მხარდამჭერი ბავრი ფონდი თუ საზოგადოება, ამოქმედდა მრავალი სხვადასხვა მიმართულების პროგრამა, რომელიც ძირითადად ეწეოდა ამერიკული ხცოვრების წესის, კულტურის, იდეალების, ადამიანის უფლებების და სხვა ღირებულებების პოპულარიზაციას. განხორციელებული რეფორმების შედეგად საქართველო შევიდა მსოფლიოს იმ ქვეყნების ათეულში, სადაც იოლია ბიზნესის დაწყება და ამვდროულად სამართლიანად ითვლება რეგიონის საუკეთესო დემოკრატიის ქვეყნად.

Ramaz Lominadze

THE US NEW CAUCASIAN POLICY AND THE LEVERS OF IMPACT

Summary

Considering to the changes in the world in 2010 the US National Security Concept was resumed. In political context the „power“ is used as a certain influence on others and the opportunity to obtain the desired results. There are three types of „power“: hard, soft and smart. The soft power method has been successfully used by the US in the Caucasus region. This was especially revealed in Georgia, which has become a paragon of democratic development in a relatively short period of time and became an exemplary pattern among all post-soviet countries. For purpose to use the soft power strategy in Georgia different kind of foundations, programs were established, which supported and popularized American life style, culture, ideals, human rights and other values. As a result of implemented reforms Georgia became one of the world top states where it is easy to start business and at the same time is considered as the most democratic country the region.

INGA DIAKONIDZE

PRINCIPAL ASPECTS OF PREPARATION FOR INTERNATIONAL ENGLISH LANGUAGE EXAMS

Internationalization of tertiary institutions usually means implementing higher education in English or, in simpler terms, Anglicization, since universities tend to use this language more and more as a means of instruction and a working language, with the aim of attracting not only international students but also staff and courses. Anglicization in higher education means making use of the English language as a *lingua franca* for academia [1, 2-4) and converting material in the local language into English in an attempt to increase international cooperation or, more succinctly and directly, introducing a number of English-medium programmes.

In the circumstances described above, it has become especially important to master English language at least at B2 level in order to become successful professional and/or, in most cases, to be able to go on studies in HEI abroad.

Many people around the world, especially teenagers over 16, have to take formal English language examinations. These may be internationally recognized exams like the Cambridge First Certificate, TEOFL, TOEIC, IELTS and etc.

Most frequently asked questions in this situation is which exam to take? Which is better to prepare for me? And finally, which is the easiest one?

In this century of information redundancy on any topic, caused by the world of digital technologies, it must be easy to find answers to all these questions above. However, every year I have plenty of students who ask me one and the same questions about International English Language Exams. Sometimes, much information turns out to be a more confusable than the lack of it.

In the situation like this, it is of crucial importance to give them proper advice.

First of all, decision should be taken in terms of type of skills required and the purpose set by the certain individual.

Second, depending on whether or not you have choice and which type of English you feel more comfortable with – British or American – there are certain things you should take into consideration before attempting any of them.

Finally, it is also noteworthy to find out what are the language skills requirement for the certain HEI abroad. As far as there are HEI that set special demand or preference, as well as amount of minimum scores for certain type of International Exam, be it TOEFL, IELTS, TOEIC, Cambridge exam and etc.

A Popular American English Exam is TOEFL which is geared towards testing English level prior to entering American University. IELTS is an exam from the UK and Australia which is widely recognized for academic and professional purposes. Of all the exams, it is Cambridge First Certificate which seems to have established itself as the most widely accepted basic qualification in English, and the exam is taken by a large number of students worldwide each year [2, 327].

While making a final decision, it would be helpful to provide language exam applicants with proper understanding of approximate equivalence between the scores of different type of International Language Exams:

The table below shows comparisons between various test scores and level systems (like TOEIC, TOEFL and IELTS) and the VEC level system [3, 1].

TOEIC	TOEFL Paper	TOEFL CBT	TOEFL IBT	IELTS	Cambridge Exam	CEFR	VEC Online Score	Approximate VEC Level
0 – 250	0 - 310	0 – 30	0 - 8	0 - 1.0			0 – 34	2
	310 - 343	33 – 60	9 - 18	1.0 - 1.5		A1	35 – 38	3
255 - 400	347 - 393	63 – 90	19 - 29	2.0 - 2.5		A1	39 – 45	4 - 5
	397 - 433	93 – 120	30 - 40	3.0 - 3.5	KET (IELTS 3.0)	A2	46 – 53	6 - 7
					PET (IELTS 3.5)	B1 (IELTS 3.5)		
405 - 600	437 - 473	123 – 150	41 - 52	4.0	PET	B1	54 – 57	8
	477 - 510	153 – 180	53 - 64	4.5 - 5.0	PET (IELTS 4.5)	B1 (IELTS 4.5)	58 – 65	9 - 10
					FCE (IELTS 5.0)	B2 (IELTS 5.0)		
605 - 780	513 - 547	183 – 210	65 - 78	5.5 - 6.0	FCE	B2	66 – 73	11 - 12
	550 - 587	213 – 240	79 - 95	6.5 - 7.0	CAE	C1	74 – 81	13 - 14
785 - 990	590 - 677	243 – 300	96 - 120	7.5 - 9.0	CPE	C2	82 - 100	15

Top Score	Top Score	Top Score	Top Score	Top Score	Top Score	Top Level	Top Score	Top Level
990	677	300	120	9	100	C2	100	15

Many students follow a preparation course before doing the exam. In this paper we are looking at providing some recommendations that we find helpful for students to do as well as they possibly can in these exams, while maintaining motivation and enjoyment in English classes [4, 1-3].

Some of the problems of preparing students for English exams are:

- Preparing for exams can be very stressful for students;
- There never seems to be enough time;
- Exam preparation classes can become very boring;
- Doing practice tests can be very demotivating for students when they do badly in the
- Teaching turns into testing;

Yet in many ways the examination preparation class could be seen more positively as:

- Students are motivated to pass their exams;
- Students are all working towards the same goal;
- There is a set syllabus to follow;
- It is easy for teachers to justify what they do in lessons if it's useful in the exam;
- There is a real challenge for students and teacher alike;
- The satisfaction of knowing you are doing well is very motivating

So we must attempt to build on these positive factors and reduce the negative. Here are some tips and practical suggestions on how to do so:

- Exam preparation classes should not just practice doing exams but teach students examination techniques and make these transparent.
- Students must know what the exam includes and what the examiner is looking for. Look through old exam papers with your students. Let them discuss what each question is testing e.g. a composition tests grammar, vocabulary, structure, punctuation, organization of ideas, ability to interest the reader, ability to answer the question thoroughly and sometimes creativity and imagination, too.

- Explain that examiners mark many papers and that can be a boring job. They are pleased when handwriting is tidy and easy to read and when students are imaginative.
- Merely going through practice tests only shows the students what they don't know and doesn't actually teach them very much.
- Practice tests are useful for students to get to know the format of the exam and to get used to the timing, but should be used sparingly. They take up a lot of time, teachers have to do a lot of marking and the results can be very demotivating.
- You should continue to be 'teaching' English all the way up to the exam and not just recycling or testing. This will help keep students motivated and make good use of the limited time you have.

An examination preparation course should probably include:

- language work that is likely to be relevant to that needed in the exam;
- tasks and activities to raise general language awareness;
- Specific practice on exam techniques (e.g. multiple choice questions, writing essays and etc.);
- Work on study skills (e.g. Use of dictionaries and grammar books, ways of working with recordings at home and etc. [2, 328].

Even if the exam is only concerned with reading and writing, there is still a strong case to be made for including a fair amount of speaking and listening work in the course, as the students' English is most likely to improve from balanced work on all skill areas as well as on grammar and lexis. It is also worth taking the time to help students learn some basis techniques for studying. A student who can understand the phonemic symbols in a dictionary, or who can take a tape at home and use it efficiently, or who can make usable notes at the lessons, is likely to get more from the course, than one who has not thought about these things. A basis skill that often need some time assigned to it is how to organize your file/exercise book: do you just record page after page, day after day, or do you try to organize it into sections at the start of the course (e.g. lexis, grammar, pronunciation, etc.)?

A common problem with exam preparation course arises when too much time is spent on exam technique and not enough on the other areas.

Teachers often feel pressure from students to do exam practice work right from the start of a course, as if writing out countless mock tests will markedly improve their English. Clearly, students need to be very familiar with the form

the exam takes, but doing practice tests alone will not in itself help the students to learn very much and can easily lead to 'burn-out'.

A more balanced approach, for, say, a twelve-week course might be to give students a lot of general language work and study skills in week 1 and 2 to give them the foundations for working successfully through the course.

It is often a good idea on exam preparation course to be even more systematic than usual about what has been studied and to take care that items, once met, are recycled usefully.

Finally, here are few ideas how to make practice of exam techniques a little more interesting. Many of these ideas also perform the essential task of raising awareness about how the tests are marked and the criteria the examiner will use.

- Students do exercises in pairs or small groups;
- Students mark each other's tests.
- 'Blitz' it: do an exercise at great speed (e.g. 10-20 per cent of the normal time – no thinking time, just do it). Keep atmosphere light hearted. It is not a serious test. Then let them go over it and consider their answers at leisure.
- A 'teacherless' lesson: give the students the chalk or board pens and let them discuss and work through an exam paper together on the board. Only look and mark on the board when they are completely finished.
- Take some written information about the exam;
- You do the exercise (including a mistake or two!) and the students correct it.

References

1. Mauranen A. and Ranta E, (Eds.). English as as a Lingua Franca: Studies and Flindings, Newcast upon Tyne, UK: Cambridge Scholars Publishing, 2009.
2. Scrivener J. Learning Teaching, Macmillan Book for Teachers, 2014
3. Vancouver English http://secure.vec.bc.ca/toefl-equivalency-table.cfm
4. One Stop English http://www.onestopenglish.com/teenagers/methodology/exam-preparation/

Inga Diakonidze

Principal Aspects of Preparation for International English Language Exams

Summary

In the era of internationalization and globalization it has become especially important to master English language at least at B2 level in order to become successful professional and/or, in most cases, to be able to go on studies in HEI abroad.

Many people around the world, especially teenagers over 16, have to take formal English language examinations. These may be internationally recognized exams like the Cambridge First Certificate, TEOFL, TOEIC, IELTS and etc.

In the article the author discusses principal aspects of preparation for international English Language Exams, touches upon the major issues encountering the exam preparation class and gives some methodological recommendations for achieving desirable outcomes.

ინგა დიაკონიძე

ინგლისური ენის საერთშორისო გამოცდის მომზადების ძირითადი ასპექტები

რეზიუმე

ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის ხანაში, წარმატებული პროფესიული კარიერის მისაღწევად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინგლისური ენის სულ მცირე B2 დონეზე ფლობას. ასევე, ეს უმეტესწილად, აუცილებელი პირობაა იმათთვის, ვისაც სწავლის გაგრძელება საზღვარგარეთ სურთ.

ადამიანებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, განსაკუთრებით კი თინეიჯერებს, 16 წლის ასაკის ზემოთ, უხდება ინგლისური ენის საერთაშორისოდ აღიარებული ერთ-ერთი გამოცდის (Cambridge First Certificate /TEOFL/TOEIC/ IELTS და ა.შ.) ჩაბარება.

სტატიაში ავტორი განიხილავს ინგლისური ენის საერთაშორისო გამოცდებისათვის მზადების ძირითად ასპექტებს, ეხება იმ მთავარ პრობლემებს, რომლის წინაშეც დგას სტუდენტი სწავლის პროცესში, გვაწვდის მეთოდოლოგიურ რეკომენდაციებს, რომლებიც გვეხმარება სასურველი შედეგების მიღწევაში.

ჩვენი ავტორები:

ბესიკ ალადაშვილი - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის + /გთსუ-ს/ პროფესორი

გელა ალადაშვილი – გთსუ-ს პროფესორი

თამარ აგლაძე – კავკასიის ბიზნეს სკოლის დოქტორანტი

თამარ ალფაიძე – გთსუ-ს მოწვეული პროფესორი

ნონა ახალაშვილი– გთსუ-ს პროფესორი; საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რეზო ბალანჩივაძე– გთსუ-ს პროფესორი

ნანა გოგიჩაშვილი – გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი

ინგა დიაკონიძე – გთსუ-ს პროფესორი

დავით ვეკუა – გთსუ-ს პროფესორი

მარინე ვეკუა – გთსუ-ს პროფესორი

ამირან /სიმონ/ თავართქილაძე - გთსუ-ს პროფესორი

ნუგზარ თევდორაძე – გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი

სოფიკო თევდორაძე – გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი

ლია თოთლაძე – გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი

მამუკა თორია – გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი

მაია კალანდარიშვილი – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

დავით კბილაძე – გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი

ნიკო კვარაცხელია – გთსუ-ს პროფესორი

ანა კლდიაშვილი – საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ანა კობიაშვილი – საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ბაია /მაყვალა/ კოღუაშვილი – გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი

ლაურა კუტუბიძე – გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი

ზურაბ ლაოშვილი – გთსუ-ს მოწვეული ასოცირებული პროფესორი

ნათელა ლაცაბიძე – გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი

გივი ლობჟანიძე – გთსუ-ს პროფესორი

რამაზ ლომინაძე – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი

ზურაბ მანაგაძე – გთსუ- ს ასოცირებული პროფესორი

მანანა მარიდაშვილი – გთსუ-ს ასისტენტ პროფესორი

თალიკო ჟვანია – გთსუ-ს პროფესორი

პაულ სანკესი – ორიგენის /აშშ/ უნივერსიტეტის პროფესორი

დავით სუხიტაშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

თეა სუხიტაშვილი -თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

ლაშა ტაბატაძე – გთსუ-ს ასისტენტ პროფესორი

თამარ ფანცულაია – გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი

შენგელი ფიცხელაური – გთსუ-ს პროფესორი

ლიკა შენგელია – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

ირმა შომახია –საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

ლალი ჩაგელიშვილი – გთსუ-ს პროფესორი

ავთანდილ ჩაჩავა – თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის დოქტორანტი

დალი ჩიკვილაძე – გთსუ-ს პროფესორი

სერგო ჭელიძე- გთსუ-ს პროფესორი

OUR AUTHORS

Besik Aladashvili – Professor of Guram Tavartkiladze Teaching University /GTTU/
Gela Aladashvili – Professor GTTU
Tamar Agladze – Doctoral student of Caucasus School of Business
Tamar Alphaidze – Professor of GTTU
Nona Achalashvili – Professor GTTU, Associate professor of ST Andrew the First-called Patriarchate University
Rezo Balanchivadze – Professor of GTTU
LAli Chagelishvili – Professor of GTTU
Avtandil Chachava – doctoral student of TAFU
Sergo Chelidze-– Associate Professor of GTTU
Dali Chikviladze – Professor of GTTU
Inga Diakonidze – Professor GTTU
Nana Gogichashvili - Associate Professor GTTU
Maia Kalandarashvili - Associate Professor of ST Andrew the First-called Patriarchate University
David Kbiladze – Associate Professor of GTTU
Ani Kldiashvili – Doctoral Student of Georgian Thechnical University
Ana Kobiashvili – professor of GTU
Mayvala /Baia/ Koghuashvili – Associate Professor of GTTU
Laura Kutubidze-Zubashvili – Associate Professor of GTTU
Niko Kvaratchxelia – Professor GTTU
Zurab Laoshvili – Associate Professor GTTU
Natela Lacabidze – Associate Professor GTTU
Givi Lobzhanidze – Professor of GTTU
Ramaz Lominadze – professor of ST Andrew the First-called Patriarchate University
Zurab Managadze – Associate Professor GTTU
Manana Maridashvili – Associate Professor of GTTU
Shengeli Pitskelauri – Professor of GTTU
Tamara Pantsulaia – Associate Professor of GTTU
Paul Sankes – Professor of Oregan University USA
Lika Shengelia – Doctoral student of ST. Andrew the First-called Patriarchate University
Irma Shomachia – Doctoral student of SANGU
Davit Suchitashvili – Doctor of Law at GTU
Tea Suchitashvili – Doctorial student of GTU
Lasha Tabatadze – Assistent Professor of GTTU
Amiran /Simon/ Tavartkiladze – Professor of GTTU
Nugzar Tevdoradze – Associate Professor of GTTU
Sofiko Tevdoradze – Associate Professor of GTTU
Lia Totladze –Associate Professor of GTTU
Mamuka Toria – Associate Professor of GTTU
Davit Vekua – Professor of GTTU
Marine Vekua – Professor GTTU
Taliko Zhvania – Professor of GTTU

მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება კრებულში გამოსაქვეყნებელ ნაშრომებს:

კრებულში გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

– სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ ან ინგლისურ ენაზე.

– ნაშრომს უნდა ახლდეს რეზიუმე (7-8 სტრიქონი) ორ ენაზე (ქართული, ინგლისური). ორივე ენაზე უნდა ითარგმნოს ნაშრომის სათაური, ავტორის სრული სახელი და გვარი

– ნაშრომი უნდა იყოს აწყობილი Microsoft Word- ში;

– ქართული ნაშრომი იწყობა sylfaen შრიფტით;

– ინგლისური ნაშრომები იწყობა Times New Roman შრიფტით;

– შრიფტის ზომა 12, ინტერვალი ერთი;

– ნაშრომის მოცულობა, რეზიუმის ჩათვლით, შეიძლება იყოს 5-დან 10-მდე ნაბეჭდი A4 ზომის გვერდი.

– ნაშრომს უნდა დაერთოს ავტორისსაკონტაქტო რეკვიზიტები: მისამართი (სახლის, სამსახურის), ტელეფონის ნომერი, ფაქსი, ელ-ფოსტა, სრული სამეცნიერო ხარისხი და წოდება, ასევე დაკავებული თანამდებობა;

– ნაშრომის ელექტრონული ვერსია უნდა მოგვაწოდოთ როგორც დისკეტით, ისე ამონაბეჭდი სახით ერთ ეგზემპლარად A4 ზომის ქაღალდზე;

– ნაშრომში გამოქვეყნებულ მასალაზე პასუხისმგებელია ავტორი.

– ნაშრომის რეცენზირება ანონიმური წესით.

პროფ. ამირან თავართქილაძეს: 899537744 125(შიდა) ამირან.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვირეკეთ ტელეფონებზე: 23-20-20; ან 899-90-40-04.

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

რედაქციის მისამართია: 0101 – თბილისი, სამღერეთის ქუჩა 5

ტელ. /99532/ 2246591; 266 1512

ელ-ფოსტა – GTTU Scientific works

ვებ-გვერდი: www.GTTU.edu.ge

Requirements

For Publication Format in Scientific Proceedings of Guram Tavartkiladze Teaching University

For publication in Scientific Proceedings of Guram Tavartkiladze Teaching University, the scientific work, article should satisfy the following requirements:

- Scientific article can be submitted either in Georgian or English.
- The work should be followed by the abstract (7-8 lines) into two languages (Georgian and English). The title of the article and author's full name must be into two languages (Georgian and English).
- The work should be presented in Microsoft Word format;
- Georgian work should be presented in Acadnusx, 12 pt. font;
- English work should be presented in Times New Roman 12 pt. font;
- Line spacing 1.0;
- The work, including the abstract should be 5-10 printed page, paper size A4.
- In the body of the text, in-text citation should be done in brackets, in the following order: reference and page number of the used source in the bibliography attached to the work. At the end of the work, the list of the used literature (bibliography) should be arranged in the following order: Author, title of the source and the year of publication.
- Contact info and requisites of the author should be submitted on the separate paper. This info should include: the address, (home, work), academic degree, title, position, tel, fax number and e-mail address.
- The work should be handed in electronic version on CD disc, as well as 2 hard copies on A4 size paper;
- The author is responsible for the authenticity of the material provided by him/her for publication.
- The work will be reviewed anonymously.

For additional info, please contact us: tel: 2 23 20 20; 599 90 40 04.

Address: Guram Tavartkiladze Teaching University
5, Samghereti str. Tbilisi, Georgia.

ფასი სახელშეკრულებლო

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge